

ԹԻՎՈՒԹՅԱՆ ԿՈՅՆԱՆԻ

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

**კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი**

**გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის
სახელმწიფო მუზეუმი**

დომიტრი ყიფიანი

თხზულებანი

ათტომად

დიმიტრი ყიფიანი

თხზულებანი

ტომი VI

**საჯარო სიტყვები
სხვადასხვა
დაუმთავრებელი**

შეადგინა, რუსული ტექსტები თარგმნა, შენიშვნები,
კომენტარები და საძიებლები დაურთო

თამაზ ჯოლოგუაშვილი



საქართველოს ეროვნული
ბიბლიოთეკა

თბილისი 2021

UDC (უაკ) 94(479.22)
ყ-561

დიმიტრი ყიფიანის ავტომეულის მეექვსე ტომში შესულია საჯაროდ წარმოთქმული სიტყვები, სხვადასხვა ხასიათის ტექსტები (1832 წლის შეთქმულების საგამომძიებლო კომისიისთვის მიცემული ჩვენებები, ჩანაწერები, სამოქალაქო გარიგებები და სხვ.), აგრეთვე, დაუმთავრებელი თხზულებები. შემდგომ ტომებში შევა ოფიციალური, საქმიანი და კერძო მიმონერა.

დიმიტრი ყიფიანის ნაწერები, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი აქამდე არ გამოქვეყნებულა, მრავალმხრივ საინტერესო მასალაა XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის და, ვფიქრობთ, დააინტერესებს როგორც სპეციალისტებს, ისე XIX საუკუნის საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ მკითხველს.

რედაქტორები:

ბეგო ბეჟუაშვილი
რევაზ გოგია

ISBN 978-9941-463-37-2 (დიმიტრი ყიფიანი. თხზულებანი)
ISBN 978-9941-9750-9-7 (VI ტომი)

© თამაზ ჯოლოგუა, 2021

ს ა რ ჩ ე ვ ი

საჯარო სიტყვები

სიტყვა თქმული 1848 წლის 22 აპრილს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის ყრილობაზე	13	296
სიტყვა თქმული 1848 წლის 26 აპრილს თბილისის ბოტანიკურ ბაღში გამართულ ნადიმზე	16	299
სიტყვა თქმული 1864 წლის 16 თებერვალს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის არჩევნებზე	18	301
სიტყვა თქმული 1864 წლის 26 მაისს საგლეხო რეფორმის შემმუშავებელი კომიტეტის სხდომაზე	20	305
სიტყვა თქმული 1865 წლის 16 აპრილს დიდი მთავრის, ნიკოლოზ ალექსანდრეს ძის, გარდაცვალების გამო	28	307
სიტყვა თქმული 1867 წლის 26 მარტს მიხეილ ვორონცოვის ძეგლის გახსნისადმი მიძღვნილ ნადიმზე	29	309
სიტყვა თქმული 1867 წლის 5 მაისს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის ყრილობაზე	32	310
სიტყვა თქმული 1871 წლის 9 აპრილს თბილისის საოლქო სასამართლოში ნიკოლოზ დადიან-მინგრელსკის სარჩელთან დაკავშირებით	34	312
სიტყვა თქმული 1870 წლის 6 მაისს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის ყრილობაზე	58	319
სიტყვა თქმული 1876 წლის 4 მარტს „დროების“ 10 წლისთავისადმი მიძღვნილ ნადიმზე	60	321
სიტყვა თქმული 1877 წლის 30 ნოემბერს რუსეთ-ოსმალეთის ომიდან მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძის დაბრუნებისას	62	322

სიტყვა თქმული 1878 წლის 2 მაისს თბილისში ირანის შაჰის ვიზიტის გამო.....	63	322
სიტყვა თქმული 1878 წლის 20 ნოემბერს აჭარა-ქობულეთის შემოერთებისადმი მიძღვნილ ნადიმზე	64	323
სიტყვა თქმული 1882 წლის 2 ოქტომბერს პავლე ეგ ზარქოსის თბილისში ჩამოსვლასთან დაკავშირებით.....	66	326
სიტყვა თქმული 1885 წლის 30 მაისს ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლად არჩევის გამო.....	69	328
სიტყვა თქმული 1885 წლის 5 ოქტომბერს ქუთაისში მიხეილ ნიკოლოზის ძის პატივსაცემად გამართულ ვახშამზე	71	329
სიტყვა თქმული 1885 წლის 20 ოქტომბერს სენაკის სააზნაურო სკოლაში	72	333
სიტყვა თქმული 1886 წლის 14 იანვარს ქუთაისში, წინოობის დღესასწაულზე სხვადასხვა.....	74	335

სხვადასხვა

1832 წლის შეთქმულების საგამომძიებლო კომისიისათვის მიცემული ჩვენებები.....	77	336
სოლომონ ბაგრატიონ-დავიდოვის საქმე	124	367
როგორ უნდა ისწავლებოდეს თბილისის გიმნაზიაში ქართული ენა (ც ხ რ ი ლ ი)	126	368
მთავრის მეუღლე ე. ა. დადიანის შესახებ	128	371
თავად ნიკოლოზ დადიანის შესახებ	131	373
შენიშვნები გაზეთ „დროების“ ენის შესახებ	132	374
აზნაურ ნიკიტა სერებრიაკოვის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.....	135	375
წესდებულება ტფილისის საზოგადოებისა, რომელმაც წიგნის ცოდნა უნდა გაახშიროს ქართველებ შუა, სადაც მოსახლობენ კავკასიის სანამესტნიკოში	136	376
საქმის წარმოების რიგი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელს		

საზოგადოებაში შედგენილი დიმიტრი ივანეს ძის ყიფიანის მიერ და მიღებული გამგეობისგან 1880 წ.	150	382
ჰომეოპათიური რვეული	158	383

ჩანაწერები.....	175	387
------------------------	------------	------------

სამოქალაქო გარიგებები

ხელშეკრულება დადებული თეოდორე ნაპოლეონ შივოსთან	203	408
ხელშეკრულება დადებული ალექსანდრე თერზიბაშოვთან	204	409
ხელშეკრულება დადებული სტეფანე ბელიაევთან.....	205	410
მორიგება ყიფიანთა შორის.....	207	411
ხელშეკრულება დადებული ლეონიდ შევალისთან.....	216	411
გარიგება გენერალ მიხეილ ასტაფიევიანთან	218	412
ანდერძი	221	414

დაუმთავრებელნი

* * * („როს შეირყევა ზღვა მწარის წყლისა...“).....	225	416
სცენები თავადაზნაურობის ცხოვრებიდან	226	417
ალექსი დგებუაძისა და ელისაბედ ელიავას სიყვარულის ამბავი	237	419
უახლესი ესკიზი. მომრიგებელი მოსამართლე კომპასით ხელში	279	436
მთავარი პოლიტიკური თემა	287	442

შენიშვნები და კომენტარები

ტექსტისათვის	293
დამონმებანი	443
შემოკლებანი	462

საძიებლები:

პირთა	465
გეოგრაფიულ სახელთა.....	579

საჯარო სიტყვა

1. სიტყვა თქმული 1848 წლის 22 აპრილს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის ყრილობაზე

ბატონებო!

არჩევნები დასრულდა. ისლა დაგვრჩენია, ჩვენს საზოგადოებრივ საჭიროებებზეც ვისაუბროთ. ნება მიბოძეთ, ამის თაობაზე ორიოდე სიტყვა მოვახსენოთ:

აზრი, რომლის გამოხატვაც მსურს, მარტო ჩემი კი არა, თითოეული ჩვენგანის აზრია. დასანანი მხოლოდ ის არის, რომ ზოგიერთები, რომლებიც არ არიან ამ თავშეყრის მონაწილენი, აქეთ გვირჩევენ იმას, რაც ჩვენგანვე აქეთ შეთვისებული.

საქმე ასეა:¹

ჩვენ, ქართველები, ერთი მუჭა უძველესი ქრისტიანი ხალხი, დიდხანს, მრავალი საუკუნის განმავლობაში, მთელ ჩვენს ტერიტორიაზე ვებრძოდით გარს შემოჯარულ მტრებს და მხოლოდ ამ ასწლეულის დამდეგს რუსეთის საფარქვეშ მოვიპოვეთ მშვიდობა.

თუ მძიმე, ხანგრძლივ განსაცდელს თავი დავალწიეთ და შევინარჩუნეთ საქართველოს სამეფოს საუკეთესო დროთაგან ნანადერძები სიმტკიცე სარწმუნოებისა, თუ არ ვულალატეთ ჩვენს მართლმადიდებლობას, თუ, ბოლოს და ბოლოს, შევინარჩუნეთ კეთილშობილება და კეთილი სახელი, თითოეულმა ჩვენგანმა იცის, რომ ამას ისტორიულად თვითმპყრობელ და ერთმმართველ ხელმწიფობას უნდა ვუმადლოდეთ. – რასაკვირველია, თვითმპყრობელობა და ერთმთავრობა არის ის საფუძველი, რომლისგანაც ოდითგანვე გამომდინარეობდა ჩვენი და ჩვენი საზოგადოების სიმტკიცე და შეურყევლობა, ჩვენი პირადული კეთილდღეობა.

ამჟამად ჩვენ უშფოთველად ვმოქმედებთ საშინაო ცხოვრებაში, მშვიდობიანად ვუძღვებით საოჯახო საქმეებს, მტრებს შინ კი არ ვებრძვით, არამედ – მათსავე საზღვრებში, უსაფრთხო გარემოში ვზრდით შვილებს და შევხარით მათ მომავალს.

დიდი ხანია, ჩვენი მართლმადიდებლობა, ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება დაცულია საფრთხეებისგან.

რამ მიგვიყვანა აქამდე?

ქრისტიანულ მსოფლიოში ერთადერთი ძლევა მოსილი, თვითმპყრობელი მართლმადიდებელი მონარქის ერთმმართველობამ; მონარქისა, რომლის დიდსულოვნებას მიანდო უზენაესმა ერთმორწმუნე საქართველოს ბედი უკანასკნელ ქართველ მეფეთა მეშვეობით.

დღე არ გავა, თითოეულმა ჩვენგანმა არ იხილოს გამოხატულება ჩვენ მიმართ რუსი ხელმწიფის მზრუნველობისა; დღე არ გავა, ჩვენი კეთილდღეობისთვის არ დაიღვაროს რუსების, გრძნობითა და რწმენით ჩვენი ძველი მოძმეების, სისხლი; *სისხლი წმინდა და უმანკო, როგორც ეს ყრილობის პირველ დღეს ბრძანა ჩვენმა ღრმად პატივცემულმა თანანევრმა, ინფანტერიის გენერალმა, ბატონმა ერისთოვმა.*²

თითოეული ჩვენგანი გამსჭვალულია უმნიკვლო, წმინდა სიყვარულითა და წრფელი ერთგულებით თვითმპყრობელი რუსი მონარქისა და მისი უავგუსტესი ოჯახისადმი. ჩვენი კეთილმდგომარეობა მეფის გულსა და უფლის ხელშია, ჩვენს საერთო ქრისტეშია, რომლის მადიდებელნიც ვართ და რომელმაც მოილო ჩვენზე წყალობა – ჩვენი სამშობლო არა სხვა სჯულის სახელმწიფოსთან, არამედ ერთმორწმუნე რუსეთთან შეაერთა. ჩვენ ვგრძნობთ ყოველივე ამას, მაგრამ საკმარისად ჩანს კი ჩვენი გრძნობები? არის კი ეს გრძნობები იმდენად კეთილშობილური, რომ შევძლოთ მისი გამოთქმა, მისი დასაბუთება? ჩვენი სურვილი სწორედ ეს არის.

წილად მხვდა პატივი, ჩემი ეს აზრი წინასწარ გამეზიარებინა აქ დამსწრეთაგან არა ერთისა და ორისათვის და, თუკი კეთილშობილი თავადაზნაურობა ჩემს ამ სიტყვებში ერთგულქვეშევ-

რდომული სურვილების ასე თუ ისე ღირსეულ გამოხატულებას დაინახავს, მაშინ ვიფიქრებდი: ვთხოვოთ უმორჩილესად მის ბრწყინვალეობას, ბ-ნ მიხეილ სიმონის ძე ვორონცოვს, მეფის-ნაცვალს, გამოიჩინოს ისეთივე მამობრივი მზრუნველობა, როგორსაც, ბრწყინვალე მაგალითებით დადასტურებულს, ისედაც ყოველწუთიერად ვგრძნობთ, და მან ინებოს:

1. შეატყობინოს ხელმწიფე იმპერატორს ჩვენი გრძნობების შესახებ იმ საშინაო მშვიდობიანობის გამო, რომლითაც ვტკბებით მისი მაღლით ცხებული მონარქიული ერთმთავრობის ქვეშ და უკვე მონიჭებული თუ განზრახული კეთილდღეობის გამოც, რომელიც ჩვენი პიროვნული თუ ქონებრივი უფლებების განმტკიცებითაა გამოხატული.

2. ნარუდგინოს მის იმპერატორობით უდიდებულესობას ჩვენი საერთო სურვილი: თუკი არეულობა, რომელიც აგრერიგად აშფოთებს ევროპის დასავლეთს,³ კარს მოადგება და დაემუქრება იმ სახელმწიფოს კეთილმდგომარეობას, რომლის ნაწილიც ჩვენი მირონცხებული მეფეების ანდერძისა და თითოეული აქაური კეთილშობილი მკვიდრის სურვილის თანახმად, ჩვენი საქართველოა, მოგვეთხოვოს სამსახური მხარის გარეთაც, სადაც არ უნდა იყოს საჭირო ეს სამსახური— სახელმწიფოს შიგნით, თუ მის ფარგლებს გარეთ, როგორც ამას ჩვენი მეფეები საერთო საფრთხის დროს მოგვინოდებდნენ. თუკი ქართველი თავადაზნაურობის ასეთი სურვილი დაიმსახურებს მონარქიულ ყურადღებას, მაშინ ეს თავადაზნაურობა რწმუნებულებას მისცემს თავის წინამძღოლს და იგი, მაზრების წინამძღოლებთან შეთანხმებით, მხარის ხელმძღვანელობას მოახსენებს შესაბამისი საშუალებების შესახებ, რათა იარაღითა და სხვა საჭიროებით იყოს უზრუნველყოფილი ჩვენი მამაცი მხედრობა; ის მხედრობა, რომელსაც ჩვენ სიამაყით გავგზავნივთ ხელმწიფის ღვთივჩაგონებული სურვილების აღსასრულებლად. თავადაზნაურობა ყოველივე ამას ხელმძღვანელობას ნარუდგენს დადგენილი წესით.⁴

2. სიტყვა თქმული 1848 წლის 26 აპრილს თბილისის ბოტანიკურ ბაღში გამართულ ნადიმზე

მქონდა პატივი, ამ დღეებში სიტყვა წარმომეტქვა ქართველ თავად-აზნაურთა ყრილობაზე,¹ გამომეხატა მათი გრძნობები ხელმწიფის მიმართ და დამედასტურებინა რუსეთისადმი საქართველოს გულწრფელი ერთგულება. საერთო ენთუზიაზმმა დამარწმუნა, რომ იოტისოდენადაც კი არ შევმცდარვარ.

ამით გამხნეებულს, გთხოვთ ნება მიბოძოთ, ორიოდე სიტყვა თქვენ, აქაური უმაღლესი ჩინოვნიკობისა და განათლების სფეროს წარმომადგენელთა, წინაშეც წარმოვთქვა. –

მისი აღმატებულება, ვასილ ნიკოლოზის ძე, პეტერბურგს მიემგზავრება.² ზოგადად ორპიროვნობა ერთი უსაძაგლესი მანკიერებათაგანია, მაგრამ ამწუთას იგი საფუძველია ჩემი სიამაყისა: სამსახურებრივი მდგომარეობით, პურით არსობისა და აზრის მიმართულებით მე რუსი ვარ; დაბადებითა და თანამოძმეთა ენით მე ვარ ქართველი. – როგორც რუსი, დარწმუნებული ვარ, ვასილ ნიკოლოზის ძეს ყოველი ჩვენგანი გზას დაულოცავს, რათა მან სრული წარმატებით აღასრულოს თავისი გამგზავრების მიზანი, რამდენადაც ამ საქმეში მისი წარმატება სარგებელსა და სახელს მოუხვეჭს რუსეთს; როგორც ქართველი, ვადასტურებ ყველა იმ ქართველის სახელით, რომლებმაც ამ დღეებში საზეიმო ვითარებაში გაიზიარეს ჩემი შეხედულებები: თითოეული ჩვენგანი წრფელი გულით ისურვებს იმავე მიზნის წარმატებით განხორციელებას, რადგანაც ამას შეუძლია განუზომელი სიკეთე მოუტანოს საქართველოს, ამიერკავკასიის მხარეს.

ვასილ ნიკოლოზის ძევ!

ცოტა ხნის წინ თვითონ ბრძანეთ, რომ საქმე, რომელსაც პეტერბურგში აკეთებთ, თქვენი საყვარელი შვილია. დაე, ღმერთმა მაღალმა გაკურთხოთ, რათა ეს თქვენი საყვარელი შვილი ჯანმრთელი იხილოთ და მას ისე აუდგათ ფეხი, როგორც თავად გინდათ და როგორც ყველა ვისურვებთ. მან უნდა წარმოშვას სხვა კეთილი შვილები ჩვენი დიდებით მოსილი საერთო-რუსული მამულის სასიქადულოდ, ჩვენს მხარეში სანარმოო ძალების გასაძლიერებლად, იმ ზღვარის წასაშლელად, რომელიც გავლელებულია ორ სიტყვას შორის: რუსი, ქართველი, სიტყვითა და საქმით ამ სიტყვათა მნიშვნელობის შესადაულაბებლად; და უნდა აღიბეჭდოს მთავრობისა და ხალხის მეხსიერებაში აქ მოვლენილი მიხეილ სიმონის ძე ვორონცოვის, როგორც ჭეშმარიტი რუსის, დაუცხრომელი ზრუნვა, რათა რუსული სიკეთის მარცვალი საქართველოში უნაყოფო, ბერწ ნიადაგზე არ დაეცეს. მის მიერ გაკეთებულ საქმეთა შორის, რომლებიც თანაბრად ეკუთვნით თანამედროვეებსაც და შთამომავლებსაც, თქვენთვის დაკისრებული საქმე, კავკასიის სასწავლო ნაწილის გარდაქმნა, იქნება ის, რასაც გრანტიის განაყოფიერებაც კი შეუძლია. —

გონივრულმა შრომამ და მოთმინებამ ქვაზე, კლდეზე გააშენა ის ბაღი, რომელშიც ახლა ვიმყოფებით. ღმერთია მონმე, ჩვენი გული ქვისა არ არის, იგი ოფლით კი არა, კეთილშობილური და გონივრული გულის შემატკივრობით უნდა მოიწინყას. ამგვარი გულის შემატკივრობა ჩანს თავად ვორონცოვის ყველა საქმეში, მათ შორის, იმაშიც, რომლის აღსრულებაც თქვენ დაგაკისრათ.

ისლა დაგვრჩენია, მაღალ ღმერთს შევსთხოვოთ ამ საქმის წარმატებით დაგვირგვინება. ჩვეულებისამებრ, სუფრას ჩვენ ერთი აუცილებელი სადღეგრძელოთი ვამთავრებთ. ნება მიბოძეთ, ახლა სწორედ ეს სადღეგრძელო წარმოვთქვა:

ყოვლადწმიდაო ივერიის ღვთისმშობელო, დაე, შენი შემწეობით აღსრულდეს აქ გამოთქმული ყველა სურვილი; დაე, იდღეგრძელოს შენი კალთის ქვეშ რუსეთმა და მისი მფარველობით — შენმა წილხვდომილმა საქართველომ.

3. სიტყვა თქმული 1864 წლის 16 თებერვალს თბილისის გუბერნიის თავადაზნაუროვის წინამძღოლის არჩევნებზე

კენჭის ჩამოტარების წინეთ:

მგონია დარწმუნებული ბრძანდებოდეთ ყოველნივე, რომ თქვენი მარშლობა მე ფიქრათაც არას დროს არა მქონიყოს. მიზეზი მრავალი მაქვს, რომ ამ წოდებას ვერიდებოდე, რადგან დიდად სასიქადულოა მართალია, მაგრამ თანდართული ვალდებულებაც დიდად მძიმეა.

მე ვერც ვიტყვი, რომ არ მესმოდეს ესა, ვერც დაგიმაღავთ, ვიშიშვი, ვაი თუ ვერ შევსძლო აღსრულება ამ ვალდებულებისა.

მაგრამ ერთხელვე (1862) წარმომითქვამს თქვენთან, რომ ვისაც საზოგადოება თავის წევრთაგანს დაჰსაქმებს რასმე, ან სამსახურს მოსთხოვს რასმე, უარს არა ვინ უნდა იტყოდეს,¹ მეტადრე ვინაც სხვა უფრო სასარგებლო სამსახურისაგან თავისუფალი არის.

მე მონა ვარ ერთხელვე წარმითქმულის ჩემის სიტყვისა და, თუ საზოგადოება სამსახურს მომთხოვს, უარის ყოფა აღარ შემიძლია აღარც სვინიდისითა, აღარც კანონით.

მხოლოდ ამასა გთხოვთ, რომ ამ შემთხვევაშიაც არა გამოგვივიდეს რა განდრეკილება ვითარიმე კანონთაგან და სურვილი თქვენი გამოცხადდეს კენჭით.

კენჭის გათავების შემდეგ:

ჩემი გრძნობა მოგესხენებათ ყოველთავე და ამაზედ თქვენთან ლაპარაკი საჭირო აღარ არის. საჭირო ეს არის ახლა, რომ გარეთაც იცოდნენ და ნება მიბოძეთ რამდენიმე სიტყვა რუსულად მოგახსენოთ:

დღეს, ბატონებო, თქვენ გადასდგით ძნელი, უდიდესი ნაბიჯი თქვენს საზოგადო ცხოვრებაში; თქვენი კენჭებით თქვენ მოიხსენით და წარსულის უფსკრულში გადაისროლეთ ჩვენს თავზე მიმედ დაკიდებული ცრუ შეხედულებანი.² თქვენ ღირსი გამხადეთ მაღალი პატივისა – ჩავიდგეთ სათავეში; ჩაუდგე სათავეში ქართულ თავად-აზნაურობას, რომელიც უ ძ ვ ე ლ ე ს ი ა მ ს ო ფ ლ ი ო შ ი. საჭიროა, რომ არც მომავალში ჰქონდეს ადგილი ჩვენს შორის რაიმე გაუგებრობას. უფლება და მოვალეობანი თავად-აზნაურთა წინამძღოლისა გარკვეულნი არიან: მთავრობის წინ ის არის წარმომადგენელი თავისი ნოდებისა და შუამავალი მის სასარგებლოდ; ნოდების წინ – ის მთავრობის ნაკარნახევის აღმასრულებელი; როგორც ერთი, ისე მეორე სახის მოღვაწეობისათვის დანვრილებით ცნობებს იძლევიან კანონები. რაც შეეხება კანონებს, თქვენ იცით, ბ.ბ., რომ მათს პატივისცემასა და იმ წესიერებისას, რომელსაც ისინი ამყარებენ, ვერავითარ შემთხვევაში ვერ გადაუხვევ; ამაში არის, მგონი, მთელი ჩემი დამსახურებაც თქვენს წინაშე. ჩემის მხრით მე ვიცი, რომ თქვენც არას დროს არ მომთხოვთ ასეთს გადახვევას. სხვაფრივ თქვენ მე არ ამომირჩევდით.

მაგრამ გარდა დაწერილი წესებისა, ყველა ჩვენთაგანი ემორჩილება საკუთარი სინიდისის შთაგონებას. აი ამაზე მიხდა ვსთქვა ორიოდე სიტყვა.

ერთგულება ჩვენი ხელმწიფე იმპერატორისა და მისი უმაღლესი ტახტისადმი აუცილებელია; ჩემი სინიდისისა და ძალისა და ღონის მიხედვით ერთგული მსახური ვიქნები ამ გრძნობისა; პირდაპირ ვამბობ, მე არ მესმის არავითარი ინტერესები, გარეშე ამ წესისა, გარეშე – ასე ვსთქვათ – ჩვენი მოვალეობისა და ღირსების ბუნებრივი შეგნებისა: თავად-აზნაურთა ღირსებას კი უძრახველი სამსახური შეადგენს ტახტისადმი.

ამ შეხედულებით თქვენ შეგიძლიათ მოელოდეთ და მოითხოვდეთ ჩემგან თქვენი კანონიერი და წესიერი წინმსვლელობისათვის დაუცხრომელ მოქმედებას. გმადლობთ პატივისათვის: ის იმდენად დიდია, რომ როგორც მოგეხსენებათ, ოცნებადაც არ მქონია არასოდეს და მერწმუნეთ დაფასებული მექნება ის, რა შემთხვევაც არ უნდა იყოს.

4. სიტყვა თქმული 1864 წლის 26 მაისს საგლეხო რეფორმის შემსუშავებელი კომიტეტის სხდომაზე

თავადაზნაურობის მიერ წარმოდგენილი შეხედულების არსი სახელდობრ იმაში გამოიხატება, რომ ყმაგლეხები ხიზნების მდგომარეობაში იქნენ გადაყვანილნი.¹

ხიზნების მდგომარეობას კომიტეტი² ბედნიერ შემთხვევითობად მიიჩნევს. ზოგადად იმპერიას თუ ავიღებთ ეს მართლაც შემთხვევითობაა, ხოლო რაც შეეხება საქართველოს, ხიზნობა აქ თვითონ ხალხის წიაღშია ჩამოყალიბებული და მას მკაფიო ნოდებრივი თავისებურებები ახასიათებს.

ხიზანს დახმარება მხოლოდ იმაში სჭირდება, რომ მამული შეიძინოს და დაისაკუთროს. ამის შემდეგ იგი სავსებით უზრუნველყოფილი ხდება. ხოლო სანამ დროებით მოიხმარს მიწას, იგი უზრუნველყოფილია ნაწილობრივ – მიწის შემოსავლის თითქმის ნახევარი მიწის მფლობელს უნდა აძლიოს და, ამას გარდა, მფლობელის სასარგებლოდ სხვა სამუშაოებიც შეასრულოს.

გლეხთათვის ხიზნის უფლებების მინიჭება რთული არ არის – საკმარისი იქნება სულ რაღაც 10 ან 15 პარაგრაფის შემსუშავება, რომ მეტატონებმაც და გლეხებმაც ზუსტად იცოდნენ თავთავიანთი უფლებები, მოვალეობები და ურთიერთობის წესი.

მაგრამ კომიტეტმა ეს მოუხერხებლად მიიჩნია და ამიტომ წარმოიშვა საჭიროება დებულების შექმნისა იმ საფუძვლებზე, რა საფუძვლებიც შიდა გუბერნიებისთვისაა შემსუშავებული.

ამან, პირველ რიგში, დაწვრილებითი რეგლამენტაციის აუცილებლობამდე მიგვიყვანა – შემოღებულ უნდა იქნეს ახალი, ხალხისთვის უცნობი და უჩვეულო, პირობები. რადგანაც

შემოსაღები პირობები ხალხისთვის უცნობიცაა და უჩვეულოც, შეუძლებელია ამ ახალი წესების მოკლედ და მარტივად ჩამოყალიბება. ამის გამო დებულება ისეთ სახეს იძენს, რომ თვით ადგილობრივ დაწესებულებებსაც კი, რომლებსაც ამ დებულების ცხოვრებაში გატარება ეკისრებათ, უჭირთ მისი გაგება. მხარეებს კი, რომლებსაც ცვლილებები უშუალოდ ეხებათ – ქართველ მებატონეებსა და, განსაკუთრებით, გლეხებს – კარგა ხანი მოუნდებათ ამ ახალი წესების გასაგებად, თუ საერთოდ მოახერხეს ეს; და ეს იმიტომ, რომ დებულება შედგენილია რუსულ ენაზე. ძირითადი დებულების, დამატებების, ცალკეული დანესებებისა თუ მითითებების ადვილად გასაგებ ენაზე ქართულად თარგმნა კი მოითხოვს ისეთ შრომას, რომლის სწრაფად დასრულების შესაძლებლობას ჩვენ ვერ ვხედავთ.

თუმცა, შეიძლება დავუშვა, რომ ასეთი შესაძლებლობა არსებობს. მაშინ იმისი შესაძლებლობაც უნდა დავუშვა, რომ შეიძლება დებულება თბილისის გუბერნიასა და შიდა გუბერნიებისთვის ერთსა და იმავე საფუძვლებზე იყოს შემუშავებული.

ასეთ შემთხვევაში წარმოიშობა უალრესად მნიშვნელოვანი სხვა უხერხულობანი, რომლებსაც უფრო ახლოდან უნდა დავაკვირდეთ.

დიდი მიხვედრილობა არ სჭირდება იმას, რომ ჩვენ შორის ვერავინ გაიგებს სამართლიანობას იმ ღონისძიებისა, რომლის მიხედვითაც, გლეხების ფლობის კანონიერების გაუქმებამ იმავდროულად ჩვენი სხვა უფლების – მინის საკუთრების – თავისუფლად გამოყენების უფლებაც უნდა გააუქმოს. რაც არ უნდა ვილაპარაკოთ და რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ, გლეხებისთვის ერთხელვე დადგენილი პირობებით მინის მუდმივ სარგებლობაში გადაცემის ვალდებულება იმდენად ზღუდავს ჩვენს საკუთრების უფლებას, რომ იგი არსებითად ამ უფლების ჩამორთმევის ტოლფასი ხდება.

მაგრამ იტყვიან, და საფუძვლიანადაც, რომ ეს ასე მოხდა მთელ რუსეთში და, მაშასადამე, ღონისძიება, რომელიც გან-

ხორციელდა მილიონებისთვის, უსამართლო ვერ იქნება ათასებისთვის.

ამის საწინააღმდეგოდ ვერაფერს ვიტყვით, მაგრამ, მოდით, დავაკვირდეთ უფრო ახლოდან: იქ განხორციელებული ღონისძიება რამდენად სამართლიანი იქნება აქ?

რუსეთში ურთიერთობა მეზობონესა და გლეხს შორის გამოიხატებოდა ორი სახის გადასახადით: *онок* [ლალა] და *барщина* [ბეგარა].

ჩვენთანაც გადასახადი ორგვარია: პირადი, გამომდინარე ბატონყმური დამოკიდებულების წესიდან, და ნატურალური, რომელიც ადგილ-მამულით სარგებლობის წესიდან გამომდინარეობს.

რუსეთში როგორც პირადი, ისე ადგილ-მამულით სარგებლობის მხრივ „ობროკი“ და „ბარშჩინა“ იმდენადაა ერთმანეთში შერეული, რომ შეუძლებელი ხდება მათ შორის რაიმე მიჯნის გავლება. „ობროკი“ კი დარჩა „ობროკად“ და „ბარშჩინა“ – „ბარშჩინად“, მაგრამ მათ შორის სხვაობას მხოლოდ ნადელის მოცულობა განსაზღვრავს.

ჩვენთან პირიქითაა – ერთი გადასახადი მკვეთრად განსხვავდება მეორისაგან და, რადგანაც პირადი გადასახადი მთლიანად უქმდება, რჩება მხოლოდ ადგილ-მამულის გადასახადი. ვინაიდან ადგილ-მამულის გადასახადის სამი სახიდან³ რჩება მხოლოდ ბეგარა, ანუ შრომითი გადასახადი, და ისიც უნდა გაუქმდეს, შესაბამისად, პირად გადასახადთან ერთად უქმდება ადგილ-მამულის გადასახადიც.

ასე და ამგვარად, ირკვევა, რომ რუსეთის შიდა გუბერნიებში შემოღებულ წესს ჩვენთან სულ სხვა ნიადაგი ხვდება და აქ ლაპარაკიც კი ზედმეტია ყოველგვარ „ობროკსა“ თუ ყოველგვარ „ბარშჩინაზე“ – ისინი მხოლოდ პირად გადასახადებთანაა დაკავშირებული, ანუ იმასთან, რაც ჩვენთან ახალი წესით ისედაც აღმოფხვრილია.

გამოდის, რომ შიდა გუბერნიებში მეზობონეები, კაცმა რომ თქვას, არაფერს ან თითქმის არაფერს კარგავენ; ჩვენ კი ვკარგავთ იმ შემოსავლის უმეტეს ნაწილს, რომელიც საუკუნეების

განმავლობაში კანონიერად ითვლებოდა და ქართველი თავადაზნაურობის მატერიალური არსებობის ერთადერთ წყაროს წარმოადგენდა. უმეტეს ნაწილს, იმიტომ ვამბობთ, რომ ადგილ-მამულის გადასახადი ძლივძლივობით უტოლდება გაუქმებული პირადი გადასახადის მეხუთედს.

ახლა ვნახოთ ჩვენი ზარალის რიცხობრივი გამოხატულება:

პირადი გადასახადი სხვადასხვა გამოთვლით საშუალოდ შეადგენდა კომლზე 148 მანეთს კაპიკებით. ბეგარას კი წინასწარვე განსაზღვრული რიცხობრივი გამოხატულება არა ჰქონია, მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ მოგახსენებთ. აქ კი მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ბეგრისგან შემოსული ღირებულება არც ერთ შემთხვევაში არ უნდა ჩამოუვარდებოდეს ღალის ღირებულებას.

ვუბრუნდები 148 მანეთს.

არ შევუდგები იმის განსჯას, გადაჭარბებულია ეს თანხა, თუ არ არის გადაჭარბებული. და ეს თემა კამათის საგნად რომ არ იქცეს, საერთოდ აუუვლი გვერდს დანაკარგის უდიდეს ნაწილს და ვისაუბრებ მხოლოდ დარჩენილ უმცირეს ნაწილზე: ჩვენ უფლება გვაქვს, კომლიდან ერთი ადამიანი შინამოსამსახურედ ან მოჯამაგირედ ავიყვანოთ და ამ უფლებას ვერავინ, უკიდურეს შემთხვევაში, ეჭვქვეშ ვერ დააყენებს.

დაქირავებულის წლიური ანაზღაურება საშუალოდ არანაკლებ 60 მანეთია; ხოლო იმ კომლისგან, რომლისგანაც მოსამსახურეს არ ვიყვანთ, სხვა გადასახადს ვიღებთ და იგი, რასაკვირველია, არ უნდა ჩამოუვარდებოდეს წელიწადში 60 მანეთის ღირებულებას. ასე რომ, პირადი გადასახადის გაუქმების გამო ჩვენ ვკარგავთ თითოეული კომლიდან წელიწადში სულ ცოტა 60 მანეთის ღირებულების შემოსავალს.

ახლა დავსვათ კითხვა: გვაქვს თუ არა უფლება, პირადი გადასახადის სანაცვლო ანაზღაურება ვითხოვოთ?

გვაქვს! ამ უფლების წინააღმდეგ წასვლა ნიშნავს, რომ იმას, ვინც საზოგადოებრივ სარგებელს თავის საკუთრებას სწირავს, დანაკარგის ანაზღაურების თხოვნის საშუალება წავართვათ.

რჩება შემდეგი კითხვა: უნდა შეესაბამებოდეს თუ არა გასამრჯელო დანაკარგს?

თუ უნდა შეესაბამებოდეს, მაშინ უნდა გაიცეს იმდენი თანხა, რა თანხაც უნდა შეესაბამებოდეს წელიწადში 60 მანეთის შემოსავალს თითოეული კომლისგან. ე. ი. უზარმაზარი თანხა გროვდება.

მაგრამ თავადაზნაურობამ, ანდობს რა თავის ბედს ხელმწიფე იმპერატორის ყოვლადმონყალე ნებას, მიიჩნია, რომ სამყოფი გასამრჯელო იქნებოდა კომლზე არა 60, არამედ წელიწადში 20 ან 24 მანეთი.⁴

ითქვა, რომ ასეთი მოთხოვნა ზომიერადსაა, მაგრამ კეთილინებეთ და მომისმინეთ:

1. მოთხოვნა ჩვენგან არავის დაუყენებია. ხელმწიფე იმპერატორისადმი ერთგულქვეშევრდომული თხოვნა მოთხოვნად არ უნდა ჩაითვალოს.

2. ამბობდნენ, რომ ეს მოთხოვნა მეტისმეტია თუნდაც იმიტომ, რომ გლახთა პირადი გადასახადის გაუქმების სანაცვლოდ რუსი მემამულეებისათვის სანაცვლო ანაზღაურება არ მიუციათ. მაშ, რატომ უნდა მიეცეს იგი ქართველ მემამულეებს?

მაგრამ ანაზღაურებას ხომ ჩამორთმეულის სანაცვლოდ იძლევიან? რუსი მემამულეებისთვის „ობროკი“ არავის ჩამოურთმევია, „ბარშჩინა“ არავის ჩამოურთმევია. ჩვენ კი, სხვა პირად გადასახადებთან ერთად, კომლიდან ერთი მოსამსახურის აყვანის უფლებაც კი გვერთმევა.

3. მიუხედავად ყოველივე ამისა, თავადაზნაურობა, ყოველ შემთხვევაში, მისი ცალკეული წევრების მიერ არაერთხელ გამოხატული პირადი მოსაზრებების მიხედვით, განუწყვეტილად ამბობდა, რომ თანახმა იყო, მიეღო ზარალის შეუსაბამო გასამრჯელო მონარქის შეხედულებისამებრ, ოღონდ აქაურ გლახთა განთავისუფლებას საფუძვლად უნდა დასდებოდა მათი ხიზანთა მდგომარეობაში გადაყვანა.

ახლა კი ირკვევა, რომ არც გლახობის ხიზანთა მდგომარეობაში გადაყვანა შეიძლება და არც – დანაკარგისა და ანაზღაურ-

რების შესაბამისობაში მოყვანა. კი, ბატონო! მაგრამ თუკი საჭიროა დანაკარგის ფულით ანაზღაურება და, იმავდროულად, შეუძლებელია დანაკარგის ფულით ანაზღაურება (უმორჩილესად გთხოვთ, რომ ყურადღება მიაქციოთ – მე არსად ვამბობ: „სრულად ანაზღაურება“), მაშინ განა შეუძლებელია მოიძებნოს გასამრჯელოს მიცემის სხვა, უფრო მოხერხებული, საშუალება?

მაგრამ, სანამ ამ საშუალების ძიებას დავიწყებდეთ, საჭიროა გავიხსენოთ ბეგარა, რომელიც ასევე ქრება და, მამასადამე, ჩვენი დანაკარგი კიდევ უფრო იზრდება.

ზემოთ ვთქვით, რომ ბეგრის ღირებულება არ უნდა ჩამოუვარდებოდეს ღალის ღირებულებას; და მართლაც, თუკი დღიური სახნავი მიწა იძლევა ერთ კოდ ღალას, მაშინ ღალის მიმცემი თავისი ხარ-კამეჩით მეტატონის სასარგებლოდ უნდა მუშაობდეს არანაკლებ სამი დღისა.

ასე და ამგვარად, მიწის მხოლოდ ერთი ჩვეულებრივი – საადგილმამულო – გადასახადით ქართველი მემამულეები წელიწადში გლეხებისთვის გაცემულ თითოეულ დღიურ სახნავზე სულ ცოტა 2 მანეთს კარგავენ.

თითო საგლეხო კომლს, რომელიც სარგებლობს, ვთქვათ, 10 დღიური სარწყავი და 20 დღიური ურწყავი სახნავებით, დადგენილი და საუკუნეების განმავლობაში განმტკიცებული წესით მემამულის სასარგებლოდ ეკისრება არანაკლებ 60 მანეთისა პირადი გადასახადის სახით, არანაკლებ 20 მანეთისა ბეგრის სახით და არანაკლებ 20 მანეთისა ღალის სახით. სულ გამოდის 100 მანეთი.

ბატონყმობის გაუქმების შემდეგ მემამულე მიიღებს მხოლოდ 20 მანეთის ღირებულების ღალას და, შესაბამისად, იგი თავისი შემოსავლის ოთხ მეხუთედს კარგავს.

რამდენადაც ასეთი დანაკარგის მოკლე დროში აღდგენა ვერც ფულადი გასამრჯელოთი და ვერც ხიზნობის შესახებ თავადაზნაურობის აზრის გათვალისწინების შემთხვევაში ვერ მოხერხდება, ხომ არ არის შესაძლებელი, მოიძებნოს რაღაც სხვა

გამოსავალი, რომელიც, თავის მხრივ, გაჭირვებისაგანაც დაუზიანებლად გამოგვიყვანს და ხაზინასაც არ დააზარალებს?

განა არ შეიძლება, ზოგადად საადგილმამულო რენტის საკითხს დავაკვირდეთ?

შოტლანდია, მაგალითად, მოსავლიანობის მხრივ საქართველოს ვერ შეედრება, მაგრამ იქ ჩვეულებრივი რენტა მიწის მფლობელის მთლიანი შემოსავლის მეოთხედს შეადგენს; საფრანგეთში – საშუალოდ შემოსავლის მესამედს; ინგლისის ინდოეთში, კანონითა და იქაური ჩვეულების მიხედვითაც, საადგილმამულო რენტა იძლევა მთლიანი შემოსავლის ნახევარს; თვითონ რუსეთში, ვოლოგდის გუბერნიაში, მონახევრეები მიწის მფლობელებს მოსავლის ნახევარს აძლევენ; საქართველოში არაერთგან თავისუფალი ადამიანები, რომლებიც სხვისი მიწით სარგებლობენ, მიწის მფლობელებს მოსავლის ნახევრით ისტუმრებენ.

ზოგადად ჩვენში დანესება გადასახადის ისეთი ფორმისა, როცა გლეხი მიწის მფლობელს მოსავლის ნახევარს მისცემს, მიუხედავად ზემოთ მოყვანილი მაგალითებისა, გადაჭარბებულად მოგვეჩვენება. თუმცა მივმართოთ რიცხვებს.

კომიტეტის აზრით, სარწყავი მიწის დღიური სახნავიდან მიღებული მოსავალი შეადგენს 16 კოდს. ნადელის 10 დღიურიდან, როგორც კომიტეტი ფიქრობს, ყოველწლიურად მოხდება ნახევრის დამუშავება. ამიტომაც მიწის მფლობელი წლიურად მიიღებს 40 კოდს, ანუ 40 მანეთის შემოსავალს. შესაბამისად, მას კომლიდან წლიურად 60 მანეთის შემოსავალი დააკლდება.

ერთი სიტყვით, თუ ჩვენ გვსურს საქმის სამართლიანად გადაწყვეტა, ჩემი აზრით, სამიდან ერთ-ერთ გზას უნდა დავადგეთ:

1. ან: გადავიყვანოთ ყმაგლეხები ხიზანთა მდგომარეობაში და უცვლელად დავტოვოთ საქართველოში ამ უკანასკნელთა უძველესი დროიდანვე დამკვიდრებული უფლებები. ასეთ შემთხვევაში, პირადი გადასახადის სანაცვლოდ მემამულეებს მიეცეთ ყოვლადმონყალე ხელმწიფე იმპერატორის ნებით განსაზღვრული თანხა.

2. ან: კომიტეტის შეხვედულებისამებრ, დაწესდეს ნადელი და გადასახადის ოდენობად განისაზღვროს მოსავლის ნახევარი მიწის მფლობელთა სასარგებლოდ. ხოლო პირადი გადასახადის სანაცვლო ანაზღაურება მოხდეს წინა მუხლის მიხედვით.

3. ან: კომიტეტის მიერ დაწესებული ნადელიდან მიწის მფლობელს მიეცეს მოსავლის მესამედი; ამასთანავე, შეუნარჩუნდეს უფლება კომლიდან ერთი მოსამსახურის აყვანისა, ან კიდევ – უფლება „ობროკისა“ მოსამსახურის აყვანის ნაცვლად. ფულადი გასამრჯელოს მიცემა კი, რა რაოდენობისაც არ უნდა იყოს იგი, ასეთ შემთხვევაში იქნება გამოხატულება მონარქის მიერ ქართველი თავადაზნაურობის სასარგებლოდ გაღებული განუზომელი წყალობისა.

მიწის მფლობელთა სასარგებლოდ მხოლოდ და მხოლოდ მოსავლის მეოთხედის დაწესება მათი ინტერესების მეტისმეტი შელახვა იქნება. ყოველ შემთხვევაში, აუცილებელია დაწესდეს, რომ მიწის საკუთრების შესახებ დავის წარმოშობის შემთხვევაში საქმე გადანყდეს კანონის საფუძველზე გამოცემული აქტების მიხედვით.

ყოველივე ამის შესახებ თავადაზნაურობის მოსაზრებებში მოცემულია დეტალები, რომლებიც სერიოზული ყურადღების ღირსია.

**5. სიტყვა თქმული 1865 წლის 16 აპრილს
დიდი მთავრის, ნიკოლოზ ალექსანდრეს ძის,
გარდაცვალების გამო**

თქვენო უმაღლესობავ,

სიტყვა სუსტია, ხელმწიფეო, გამოხატოს ხელმწიფე იმპერატორის ყოველი ქვეშევრდომის უსაზღვრო მწუხარება აუნაზღაურებელი დანაკლისის, ცესარევიჩ ნიკოლოზ ალექსანდრეს ძის, გარდაცვალების გამო.

ჩვენ, აქ მყოფ თავად-აზნაურებს, წილად გვხვდა უმძიმესი ხვედრი, თქვენს უმაღლესობას გამოვუცხადოთ ქართველი თავადაზნაურობისა და მთლიანად ხალხის უღრმესი თანაგრძნობა იმ უბედურების გამო, რომელიც საიმპერატორო ოჯახსა და საიმპერატორო რუსეთს თავს დაატყდა. – ამაში ხელს გვიშლის ცრემლი, მაგრამ ეს ცრემლი ადასტურებს ჩვენი სამძიმრის სიღრმესა და გულწრფელობას.

ნება გვიბოძეთ, თქვენო იმპერატორობითო უმაღლესობავ,¹ მოგართვათ ქართველი თავადაზნაურობის გრძნობების წერილობითი გამოხატულება და გთხოვოთ, გადასცეთ იგი მგლოვიარე მამას – ხელმწიფე იმპერატორს.

6. სიტყვა თქმული 1867 წლის 26 მარტს მიხეილ ვორონცოვის ძებლის გახსენსადმი მიძღვნილ ნადიგზე

ის წამი, როდესაც სრულდება ყოველი გულითადი აზრი, ყოველი გულის ნადილი, ჩვენს გულში აღძრავს დიდს თუ მცირედს გრძნობას სიამოვნებისას და სიხარულისას; ეს გრძნობა, რასაკვირველია, მაშინ უფრო სრულია, როცა სასურველი ფაქტი დიდათ შესანიშნავია. და რამდენათაც ეს გრძნობა უფრო სრულია, იმოდენათ უფრო ცხადათ სჩანს საჭიროება, ის წარმოვსთქვათ და მოყვასთ განვუზიაროთ.

ჩვენ ქართველ კეთილშობილების წარმომადგენლებისთვის სწორეთ ეს წრეა საჭირო, რომელშიაც დღეს ვიმყოფებით, რომ გუშინდლის დღის გრძნობა წარმოვსთქვათ.

გუშინდელი დღესასწაული, რომელსაც დღეს ვაგრძელებთ, დიდი დღესასწაული იყო. იმან ჩვენი გულითადი აზრი და ჩვენი გულის ნადილი აასრულა. ჩვენ ახლა დიდი თავმონონებით თავის თავს ამ აზრის პატრონათა ვრაცხთ, და მით უფრო სრულად და ტკბილათ გვახარებს ჩვენ ჩვენი სიმართლე ამ აზრზედ, რომ ამ სიმართლემ მთელის ჩვენის მხრის მცხოვრებლების პირმოუთნეველი თანაგრძნობა და საყვარლის ხელმწიფის ცხოველმყოფელი მონაწილეობა მოიპოვა.

დიდს კაცს ძეგლი აუმართეს. ეს საქმე თვითონ თავისთავად ძალიან შესანიშნავია, რადგანაც ის გამოაცხადებს დიდს საზოგადო მადლობას.

მაგრამ საკუთრათ ჩვენი წილი ამ დღესასწაულში, საკუთრათ ქართველ კეთილშობილობის, სწორეთ იმაში მდგომარეობს, რომ იმის თვალის წინ ბრწყინვალედ აღიარებენ იმ მიზე-

ზებს და საფუძველს, რომელნიც ჩვენ სახეში გვექონდა, როცა სურვილი გამოვაცხადეთ კნიაზის მიხეილ სვიმონის ძის ვარანცოვის ძეგლის ამართვაზედ.

ჩვენ სწორეთ ეს მიზეზები და საფუძველი გვსურს ახლა გამოვაცხადოთ იმისთვის, რომ, ასე ვსთქვათ, ისინი განვაახლოთ ჩვენი წრის და ჩვენი მხრის მცხოვრებლების მადლიერ ხსოვნაში.

ჩვენ, თითქმის ყველა აქ მყოფნი, ზოგი უფრო და ზოგი ნაკლებ, დაახლოვებულნი ვიყავით განსვენებულ უგანათლებულეს კნიაზთან; ჩვენ თითქმის ყველანი ცხადათ ვხედავდით ანუ ცხადათ ვგრძნობდით მის განზრახვას, სურვილს და მეცადინეობას; მაგრამ მე არა დამრჩა-რა სათქმელი შემდეგ ბრწყინვალე სიტყვისა, რომელიც გუშინ ბარონმა ალექსანდრე პავლეს ძემ წარმოსთქვა¹ და რომლისაც, რასაკვირველია, ჩვენ ყველანი თანახმანი ვართ. მე მინდა ვსთქვა მხოლოდ იმაზედ, რასაც ქართველი კეთილ-შობილება ვარანცოვის მოქმედებაში ხედავდა და გრძნობდა.

ყოველს განსვენებულის კნიაზის მიხეილ სვიმონის ძის ვარანცოვის საქმეში, – მისს ოფიციალურს მოქმედებაში და კერძობით ცხოვრებაშიაც, – ჩვენ ვხედავდით ერთს ხელმძღვანებელს პრინციპს, რომლისთვის მას, ჩვენი აზრით, არას დროს არ გადაუხვევია. – ეს პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ ის ცდილობდა კეთილის გავრცელებით ბოროტი დაეთრგუნვა. მისი მაღალი სახელმწიფო ჭკუა, – მისი მდიდარი ადმინისტრაციული გამოცდილება, – მისი წმინდა პატრიოტული გრძნობა, რომელიც ჩვენს მხარეს გარეშე კარგათ ვერ გაუგიათ, დიდი გამჭრიახობით და სიმარჯვით ყოველგან და ყველაფერში ეძებდნენ კარგს, მრთელს დასაწყისს. ეს თვისებანი გამოიყვანდნენ იმას სინათლეში, ნაყოფიერს ნიადაგზედ, უვლიდნენ და ხელს უწყობდნენ და ამით თრგუნვიდნენ ბოროტების და მავნებლობის თესლსა და ამნაირათ ამკვიდრებდნენ – უფრო ზნეობითი, ვიდრე მატერიალური ძალითა – ერთობას ხელმძღვანელსა და ხელ მძღვანებულს შუა.

რაც იმან მოიმოქმედა და დაიწყო, ყველა გამომდინარეობდა ამ დიდის ზნეობითის წესისაგან, და ამის გამოც ის პატივს სცემდა ჩვენს ჩვეულებას, რწმუნებას, ჩვენს ცნებას ძველსა და ახალს, რომელიც ჩვენთვის დიდად პატივსაცემია. მართლაც ის ამისგამო შეიქმნა ჩვენთვის დიდად საყვარელი გვამი და კიდევ ვისურვებთ, რომ იმის ნათელი და მშვენიერი სახელი მომავალის შთამომავლობისათვის გადაგვეცა. ჩვენი სურვილიც შეისმინეს; ის გუშინ ასრულდა იმისთანა ბრწყინვალეებით, რომელიც აქ ჯერ არ ნახულა.

ჩვენი სიხარული მით უფრო გულსაჯერია, რომ ხელმწიფე დიდმა მთავარმა, ახლანდელმა კავკასიის ნამესტნიკმა მიიღო ამ საქმეში გასაშტერებელად ცხოველი მონაწილეობა; ეს კიდევ არ იკმარა. მისის უავგუსტესის გვამის წინაშე გუშინ ჩვენ მოგვესმა დაახლოებული კეთილშობილის იმის თანაშემწის ბარონ ალექსანდრე პავლეს ძის პირით, რომ მისი უმაღლესობა შეასრულებსო თავის გამგეობაში იმას, რაც მიხეილ სვიმონის ძემ დაიწყო, აგრეთვე მაღალის სითავმდაბლით, რამდენათაც ამაღლებულია იმისი მდგომარეობა და იმის მნიშვნელობა. ეს დიდი ჩვენი სიხარული დაბადებს აგრეთსავე წმინდას და გულწრფელს სურვილს, რომ დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ აღასრულოს ის, რაც მისმა დიდებულმა წინამოადგილემ დაიწყო და განამართლოს თავის საკუთარი განზრახვა, რომელშიაც შთადებულია ჩვენი მხარის სიკეთე.

ამისთვის ნება მომეცით გულის სიღრმით და წრფელის გულით დავლიო სადღეგრძელო მისის უმაღლესობისა და უავგუსტესის მისის სახლობისა.

7. სიტყვა თქმული 1867 წლის 5 მაისს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის ყრილობაზე

ვიდრე საქმის წარმოებას შევუდგებოდეთ, მე თქვენ უნდა გახაროთ: წარსულის წლის ოცდა ცხრა ნოემბერს მე მეღირსა ხელმწიფე იმპერატორის წინაშე წარდგომა¹ და მისი დიდებულების პასუხის მოსმენა: „შენი მადლობელი ვარ კარგი სამსახურისთვის, ვმადლობ საყვარელსა და ერთგულს საქართველოს აზნაურობას, რომ ის ყოველთვის ასრულებდა ჩემს იმედსა და განსაკუთრებით იმისთვის, რომ ის ასე კარგად მოქმედებდა გლეხების განთავისუფლებაში“.²

მე სრულ ბედნიერად ვრაცხავ ჩემს თავს, მოწყალენო ხელმწიფენო, რომ გადმოქცეთ თქვენ და თქვენთან მთელ აზნაურობასაც ასე სასიამოვნოდ წარმოთქმული ყოვლად უმოწყალესი კეთილ-მნებელობა; მით უფრო ბედნიერად ვრაცხავ ჩემ თავსა, რომ თქვენ აგრე ბრწყინვალე მხიარულებით მიეგებეთ ჩემს შვებასა.³ მაგრამ საიდგან წარმოსდგა ეს შვება?

ჩემს გულზედ თქვენ ჰხედავთ ჩვენთვის მეტად ძვირფასს ნიშნებს ხელმწიფისაგან ნაწყალობებთა ჯილდოთა;⁴ ამას გარდა პირად მე ღირსი შევიქენი ხელმწიფის მადლობისა. ესე ყოველივე თქვენით შემემთხვა, მე შევიქენ თქვენგან დავალებული, ამისთვის რომ გუბერნიის მარშლად ამომირჩიეთ. – და ამისთვის, რომ მართლაც თქვენმა კეთილ-შობილებამ, თქვენმა კეთილ-გონიერებამ, თქვენმა ჭეშმარიტად კეთილ შობილურმა მოწადინებამ მისცა ბატონ-ყმობის საქმეს იმისთანა წარმოება, რომელმაც განამართლა ხელმწიფის იმედი.

პირად ჩემზედ მოღებული წყალობა აცხადებს თქვენზედ მოქცეულს ყურადღებასა და მეც თქვენ გიძღვნით გულ ახ-

დილს და ჩემს ღრმა მადლობასა. ვიცი და ამისთვისაც ახლა წარმოვსთქვამ თქვენს გულის პასუხსა. უუდიდესად ვის უნდა ვმადლობდეთ ხელმწიფე იმპერატორის სიტყვებისათვის, რომელიც ჩვენთვის ასე სასიამოვნოა?

იმას, რომ სამეუფო ნამესტნიკი კავკასიისა,⁵ რომელსაც მუდამ უავგუსტესს გულში აქვს ყოველივე, რაც კი შეეხება ჩვენს კეთილ-მდგომარეობას, არაოდეს არ გადაგვადებს ხოლმე თავისს მაღალს მფარველობას და ნიადაგ დასტურს აძლევს ხელმწიფის წინაშე ჭეშმარიტს ჩვენს გრძნობასა. უნდა ვმადლობდეთ იმას, რომ მისი იმპერატორების უმაღლესობის დაახლოვებული თანაშემწე გამგეობაში თავობს იმის უმთავრესს სამართველოსა და აწარმოებს ჩვენს შესახებს საქმესა იმავე კეთილ-შობილური თანა გრძნობითა, რომელიც მუდამ ცხადდება ყოველს იმის მოქმედებაში; და ბოლოს იმასაც უნდა ვმადლობდეთ, რომ პირ-და-პირი და უმეშვეო გამყვანი მთავრობის განზრახვისა და ჩვენზედ დაახლოვებული წარმომადგენელი უფლებისა ყოველს თავის განკარგულებაში ყოველთვის იმარხავს ურთიერთობის თანა შეკრულობას⁶ ჩვენ საზოგადო ინტერესებთან. ამ სახით არაოდეს არავითარი ჩვენი საჭიროება, მართლად და კანონიერად წარმოთქმული, არ დარჩენილა უყურადღებოთ.

მხოლოდ ამისთანა გარემოებას შეეძლო ჩავეყენებინეთ იმისთანა მდგომარეობაში, რომელმაც მოგვიპოვა ყოვლად უმონყალესი ხელმწიფის კარგი აზრი. ეს ჩვენ გვამხნევენს ჩვენს მომავალს საქმეში.

თუ მე არ ვსცდები და ამ სახით მართლად წარმოვსთქვი თქვენი აზრი, მაშ უსაცოლოდ თქვენც ინებებთ იმის გამართლებას დანესებულების ფორმითა.⁷

8. სიტყვა თქმული 1871 წლის 9 აპრილს თბილისის საოლქო სასამართლოში ნიკოლოზ დადიან-მინგრაელსკის სარჩელთან დაკავშირებით

სარჩელი, რომელიც მოსარჩელისგან¹ წერილობით, სიტყვიერად კი ბატონი წევრ-მომხსენებლის მიერ არის წარმოდგენილი და კონსტანტინე ნიკოლოზის ძე რეიტერის მიერ წარმოდგენილ სიტყვაშია განმარტებული, მოიცავს სამ ნაწილს და სწორედ მათ შესახებ მომიწევს საწინააღმდეგო მოსაზრებათა ჩამოყალიბება და დაჯგუფება.

ერთ ნაწილს საფუძვლად უდევს საკუთრივ მოსარჩელის მოსაზრებები და ვარაუდები ან მისი რწმუნებულის, ივანე ეგნატეს ძე პოლტორაძის, ვარაუდები, რომლებიც, შესაძლოა, მცდარი იყოს და მე იმედი მაქვს მათი გაბათილებისა.

მეორე ნაწილს საფუძვლად უდევს რიცხვები და მე მათ სისწორეზე კი არ ვდავობ, არამედ მსურს ავხსნა და განვმარტო, რა ვითარებებმა წარმოშვა ეს რიცხვები.

მესამე ნაწილს საფუძვლად უდევს სამართლებრივი გარემოებები, რომლებსაც სარჩელში გულმოდგინედ უვლიან გვერდს.

პირველ ნაწილში მედავებიან:

ვალდებული ვიყავი, წარმედგინა ყოველი წლის ანგარიში, თუმცა თითქოს რვა წლის განმავლობაში მე ეს არ გამიკეთებია; თითქოს მთავრის მეუღლე ეკატერინე დადიანი მთელი ამ დროის განმავლობაში პეტერბურგში იმყოფებოდა და მე მას 1868 წელს მთელი რვა წლის ერთობლივი ანგარიში კი წარვუდგინე, მაგრამო, მეუბნებიან, და ამას 1870 წლის ბოლოს მეუბნებიან, არც საანგარიშო დავთრები და არც თანდართული დოკუმენტე-

ბი აქამდე გადმოცემული არა გაქვთო. ამიტომო, – მოსარჩელე აცხადებს, – ხსენებული დავთრებისა და დოკუმენტების წარმოდგენამდე მათი დაწვრილებითი განხილვა უნდა გადაიდოს, ხოლო ამჟამად წარმოდგენილი სარჩელი ანგარიშის ზედაპირულ განხილვაზე გვაქვს აგებულიო.

ბრალდება – დაფუძნებული ანგარიშის ზედაპირულ განხილვაზე! ამასაც თავი რომ დავანებოთ, როცა ვინმეს ადანაშაულებენ, ვალდებულებებს არ ასრულებდაო, უპირველეს ყოვლისა, თვით ამ ვალდებულებათა რაობა უნდა გამოვარკვიოთ.

ჩემი, როგორც სამეგრელოს მთავრის საკუთრების მეურვის, ვალდებულებები ნაწილობრივ მეურვეობის შესახებ ზოგადი კანონმდებლობიდან, უპირველესად კი უმაღლესი საგანგებო და სახელდებითი ბრძანებულებიდან გამომდინარეობს. კანონთა სრული კრებულიდან წარმოგიდგენთ 1859 წლის 7 ივნისის ბრძანებულების ნოტარიალურად დამონმებულ ამონაწერს.

ბრძანებულების მე-3 პუნქტში ნათქვამია:

„მცირეწლოვანი მთავრის ადგილ-მამულების მეურვეები მთავრის უფლებებისა და ინტერესების დაცვისას, სახელდობრ, გლეხთა ცალკეული ოჯახების უმიწოდ თუ მიწიანად გათავისუფლებასთან დაკავშირებულ განკარგულებათა გაცემისას მოქმედებენ საკუთარი სახელით, თუმცა მთავრის მეუღლის, ეკატერინე ალექსანდრეს ასულ დადიანის, მითითებების საფუძველზე და ყოველი თავიანთი მოქმედების შესახებ მასვე წარუდგენენ ერთიან ანგარიშს“.

ახლა კითხვა: რაში გამოიხატება მთავრის მეუღლის, ეკატერინე ალექსანდრეს ასულ დადიანის, მითითებები?

აი, რაში: 1859 წლის 10 მაისის წერილში მთავრის მეუღლე ეკატერინე ალექსანდრეს ასული მწერს, რომ თავი არ შევიზღუდო იმ წესებით, რომლებიც ჩემმა წინამორბედებმა შეიმუშავეს.²

სხვა, 1859 წლის 21 ივნისის, წერილში იგი მწერს:

„ყველაზე უფრო იმას ეცადეთ, რომ ზუსტად იყოს გამიჯნული სამთავრო მიწების, მთებისა თუ ველების საზღვრები. ჩემი ნებართვის გარეშე მიწა არავის უბოძოთ: მთხოვნელი ბევრია, თუმცა ითხოვენ თავიანთი გაუმადლობის გამო. ჩვენში ყველა გლექს მიწა იმაზე მეტიც კი აქვს, ვიდრე სჭირდება. – ჩემი მეორე თხოვნა ისაა, რომ დაცულ ტყეებს სანდო ადამიანები და ტყისმცველები დაუყენოთ; – სახლები და ბალებიც ერთგულ ადამიანებს ჩააბარეთ, რომ არაფერი გაფუჭდეს. ამ ბალებზე დიდძალი შრომა და ჯაფაა განეული. გთხოვთ ისიც მაცნობოთ წერილობით, თუ ვინ რომელ სამსახურშია გამწესებული, ვის რომელი ბალი აქვს ჩაბარებული. სახლთუხუცესმაც მომწეროს,³ რამდენად არის გაზრდილი ოჯალეშისა და მსხმოიარე ბალების მოსავალი, რა მდგომარეობაშია კახური ბალი აბასთუმანში? ირაკლის⁴ დავალებული ჰქონდა, ზედმეტი ხის სახლები გაეყიდა, თორემ ჩვენს დაბრუნებამდე ისინი ტყუილურალოდ დაღუპება და გაოხრდება. – ჩემი მესამე თხოვნაა: რამდენადაც ეს შესაძლებელია, ამოღებულ იქნეს გასესხებული ფული, შემდეგ კი იმაზე ვიფიქროთ, თუ სად უფრო სასარგებლო იქნება ამ ფულის დაბანდება. – თუკი ეს შესაძლებელია, ამ ზაფხულს გორდის ქვის სახლი უნდა გადაიხუროს, რათა ასეთი კარგი შენობა არ დაზიანდეს. საამისოდ საჭიროა დროგამოშვებით სახლს არქიტექტორმაც დახედოს. ჩემი ყველაზე დიდი სურვილი კი ის არის, ფოთიდან ძეგლი წამოიღოთ და განსვენებული მთავრის საფლავზე დადგათ.“⁴ – იმედი მაქვს, ყველა ამ თხოვნას შემისრულებთ და ამით საბოლოოდ დამამშვიდებთ“.

მესამე, იმავე წლის 3 სექტემბრის, წერილი:

„ეცადეთ, საქმეები სამთავრო სამართლის საფუძველზე წაიყვანოთ. ბატონყმური ვალდებულებისგან განთავისუფლებული

* თავადი ირაკლი ლორთქიფანიძე, რომელიც მთავრის მეუღლეს სამთავრო მამულების ადგილობრივ მმართველად ჰყავდა დანიშნული და მეურვეობას ექვემდებარებოდა.

ავტ. [ა. ავალოვი]

ყველა გლეხი მთავრის საკუთრებაში უნდა ჩარიცხვით,* აგრეთვე – უპატრონოდ დარჩენილი მამულებიც. არ ვიცი, რა შემოგვდის ბაზრებიდან (ვაჭრობის გადასახადი) ან ნავეებიდან (რიონზე რომ ასრულებენ რეისებს), ან კიდევ – ჩარვადარებისგან. ეს ყველაფერი, ასე მგონია, ჩემი შვილებისთვის დაკარგულია. თქვენზეა დამოკიდებული, აღუდგება თუ არა ჩემს შვილებს ყველა ეს შემოსავალი. – არც ის ვიცი, ყველგან არის თუ არა დაგებული ანკესები ზუთხისთვის; კერძოდ: ფოთში, საჭილაოში, ანაკლიაში. თევზჭერიდანაც გვარია-ნი შემოსავლის მიღება შეიძლება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ საქმეს სხვები მითვისებენ და ეს შემოსავალი ჩვენთვის სამუდამოდ დაიკარგება. ბევრი სასარგებლო საქმის გაკეთება შეიძლება, პირველ რიგში, სადავო საკითხების მოგვარების შემდეგ. ამის მერე კი ყველაფერი სასიკეთოდ წარიმართება“.

აი, მთავრის მეუღლე ეკატერინე ალექსანდრეს ასულის მითითებები, რომლებსაც მე უდავოდ და ულაპარაკოდ უნდა მივყოლოდი. იყო თუ არა როდისმე ან ვინმეს მიერ გამოცხადებული, რომ მე ამ მითითებებიდან რომელიმე არ შემისრულება? არასოდეს, არავის მიერ!

რაც შეეხება მეურვეობასა და ადგილობრივ ადმინისტრაციას შორის წარმოშობილ დავას, აგრეთვე, ჩემ მიერ გამოთქმულ არაერთ პროტესტს ადგილობრივი ხელისუფლების, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის მმართველობისა და თვით მთავარმმართველობის წინააღმდეგ,⁵ საქმე მიდიოდა მაღალი ეშელონების დადგენილებებამდე და ყოველივე ამას საბოლოოდ მოჰყვა იმპერატორის 1861 წლის აპრილის ბრძანებულება, რომლის ნოტარიალურად დამონმებულ შინაარსსაც აქვე წარმოგიდ-

* როცა ამის საფუძველზე ბ-ნმა ყიფიანმა გამოაცხადა, სამეგრეოში თავისუფალ გლეხთა კლასი ან ე. წ. სახაზინო გლეხები სინამდვილეში სამთავრო გლეხები არიან და ამიტომ კერძო მებატონეთაგან თავგამოსყიდული გლეხები სამთავროდ ჩარიცხა, იგი დაადანაშაულეს – თავისუფალი ადამიანების ყმებად გადაქცევა უნდაო.

ავტ. [ა. ავალოვი]

გენტ. ბრძანებულების ოთხი პუნქტით დადასტურებულია, რომ მეურვეობამ უნდა იმოქმედოს 1859 წლის 7 ივნისის წესდებულების საფუძველზე და აქ ისიც არის ნათქვამი, რომ მეურვეობა ოფიციალური დაწესებულებაა და უშუალოდ კავკასიის მეფის-ნაცვალს ექვემდებარება. – ამგვარი დაქვემდებარებიდან გამომდინარე, იყო თუ არა როდისმე ან ვინმეს მიერ გამოცხადებული, რომ მე ვალდებულებებისთვის თავი ამირიდებია? არასოდეს, არავის მიერ!

სარჩელში კი ნათქვამია, რომ ვალდებულება ყოველწლიური ანგარიშის წარდგენის შესახებ არც ერთხელ არ შემისრულებია და, თითქოს იმის გამო, რომ მთავრის მეუღლე გამუდმებით პეტერბურგში იმყოფებოდა, მე მას რვა წლის ანგარიში ერთიანად წარვუდგინე.

როგორც პირველი, ისე მეორე გარემოების სრულ უსაფუძვლობას მე ახლა თვითონ ეკატერინე ალექსანდრეს ასულ დადინის მიერ საკუთარი ხელით დაწერილი და ჩემ მიერ ნოტარიალურად დამონმებული წერილების ნაწყვეტებით დავამტკიცებ. – რაც შეეხება იმას, რომ რვა წლის ანგარიში მის უგანათლებულესობას 1866 წელსაც, მისი შვილის სრულწლოვანებიდან, ანუ მეურვეობის გაუქმებიდან, წელიწად-ნახევრის შემდეგაც წარვუდგინე, მე ეს მისი სურვილით გავაკეთე. ვითარება გასაგები გახდება, თუ გავიხსენებთ, რომ პერიოდულ ანგარიშებს, რომლებსაც იგი ჩემგან იღებდა, წიგნების ან რვეულების სახე კი არ ჰქონდა, არამედ მონაცემებს წერილებშივე ვატყობინებდი. საქმე ის არის, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში მთავრის მეუღლე პეტერბურგში კი არ იმყოფებოდა, არამედ: ხან პარიზში, ხანაც – ჰამბურგში, რომში, ლონდონში, მადრიდში, ნეაპოლში. ასეთ ვითარებაში, შესაძლოა, მას არც ჰქონოდა საშუალება, ჩემ მიერ ცალ-ცალკე გავზავნილი ანგარიშები სათანადო წესითა და რიგით შეენახა და მათ საფუძველზე შვილისთვის თვითონვე შეედგინა ანგარიში.

უეჭველია, სწორედ ამის გამო მწერდა მთავრის მეუღლე 1867 წლის 4 თებერვალს:

„გადაწყვეტილი მაქვს, შვილთან ერთად მიმდინარე წლის სექტემბერში სამეგრელოში ჩავიდე. საშუალება რომ მომეცეს, ჩემს შვილს, თავად ნიკოლოზს, წარვუდგინო დაწვრილებითი ანგარიში ჩემი მოქმედებების შესახებ, თქვენგან აუცილებლად მჭირდება მთელი თქვენი სამეურვეო მმართველობის **სრული და დაწვრილებითი** ანგარიში“.

მე აქამდე (1870 წლის სექტემბრამდე) არ ჩამიბარებია არც საანგარიშო წიგნები, არც დოკუმენტები, – ამას სარჩელში ვკითხულობთ.

მთავრის მეუღლისთვის ანგარიშის წარდგენისას 1868 წლის 9 აგვისტოს მას სხვათა შორის ამასაც ვწერდი:

„რაც შეეხება ზონარგაყრილ საანგარიშო წიგნებს, დოკუმენტებსა და ორივე კანცელარიის საქმეებს, გთხოვთ კეთილინებოთ და მიიღოთ ისინი თავად ნიჟარაძისაგან,⁶ რომელსაც ამასთან ვუგზავნი წერილობით განკარგულებას, ეს ყოველივე გადმოგცეთ ჩემ გარეშე“.

აქ წარმოდგენილი 1869 წლის 4 აგვისტოს წერილის მიხედვით, თავადი ნიკოლოზ მინგრელსკი თავად ნიჟარაძეს სთხოვს, ყველა საქმე და ზონარგაყრილი წიგნი, სათანადოდ **აღწესხული** და ხელწერილით დადასტურებული, აზნაურ ჩიქოანს ჩააბაროს. როგორც ნოტარიალურად დადასტურებული საბუთიდან ჩანს, თავადმა ნიჟარაძემ ეს ყველაფერი დაუყოვნებლივ შეასრულა.

მთავრის მეუღლის 1862 წლის 20 მარტის, 1863 წლის 22 თებერვლისა და 18 აგვისტოს წერილებში, რომელთა ნოტარიალურად დამონმებულ ამონარიდებსაც აქ წარმოგიდგენთ, ეკატერინე ალექსანდრეს ასული მწერს –

პირველ წერილში:

„თქვენ არ იცით, რა დრო დამიდგა. ამასობაში თქვენ აღშფოთებულიც ხართ [მონდობილი საქმის ინტერესთა დაცვისათვის სამსა-

ხურს ვკარგავდი და მეურვის წოდებისგან ჩემი განთავისუფლებაც ცოცხალი თავით არ სურდათ. ამიტომ გასაგები უნდა იყოს, რატომაც ვიყავი აღშფოთებული. გევედრებით: დაიცადეთ, დამშვიდდით. თქვენ მიერ მეურვეობაზე ხელის აღება იმას ნიშნავს, რომ ჩემი სიკვდილი გინდათ. მირჩევნია მთელი ჩემი ქონება დაილუპოს, ვიდრე იგი თქვენს ხელში არ იყოს“.

მეორე წერილიდან:

„როგორი მადლიერი ვარ თქვენი, ჩემი შვილებისთვის ამდენს რომ შრომობთ. მივიღე 5000 მან., რისთვისაც კიდევ ერთხელ გიცხადებთ მადლობას და გთხოვთ სასწრაფოდ, რამდენადაც მოგიხერხდებათ, ფული კიდევ გამომიგზავნოთ“.

მესამეში:

„გევედრებით, ნურაფერზე იღვლევათ, ყველაფერი სასიკეთოდ შეიცვლება. მე თქვენი ისეთი იმედი მაქვს – რომ მოვკვდე, იმ რწმენით წავალ, ჩემს შვილებს პატრონი ეყოლება“.

თავს უფლებას მივცემ, აქვე ვთქვა – მთავარი მეურვე არ მისწერს ასეთ სიტყვებს ისეთ მეურვეს, რომელიც ანგარიშებს არ იძლევა.

ასე და ამგვარად მტკიცდება სრული უსაფუძვლობა მოსარჩელის მხრიდან წარმოთქმული იმ პრეტენზიისა, რომელიც ჩემი სიტყვის დასაწყისში სარჩელის პირველ ნაწილს მივაკუთვნიე, ანუ – ვლაპარაკობ სარჩელის იმ ნაწილზე, რომელიც მოსარჩელის ან კიდევ მისი რწმუნებულის ვარაუდებზეა აგებული.

ახლა რიცხვებზე უნდა გადავიდე...

კონსტანტინე ნიკოლოზის ძე რეიტერმა სასამართლო სხდომაზე განაცხადა, რომ, თუკი რიცხვების სისწორე სადავო გახდება, იგი ამ რიცხვების გადამონმების უფლებას მოითხოვს.

რიცხვების გადამონმებასთან დაკავშირებული შრომისგან მე მას ვათავისუფლებ და ვამბობ, რომ მათი სისწორე არ არის სადავო. მაგრამ რამ წარმოშვა ეს რიცხვები? აი, ეს არის არსებითი მნიშვნელობის კითხვა და ახლა სწორედ ამ კითხვაზე პასუხის გაცემას უნდა შევუდგეთ.

აქ საგანგებო, ანუ *ყველაზე* უფრო სერიოზული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს გასავლის ორ მუხლს, რომელთა შესახებაც 1869 წლის თებერვალში თვითონ მთავრის მეუღლეს მოითხოვდა ჩემგან პასუხს. ესენია: 8907 მანეთი და 39 023 მანეთი და 25 კაპიკი.

8907 მანეთის გასავალი 1865 წლის ანგარიშშია მითითებული ისეთ ხარჯად, რომელზეც თვითონ ეკატერინე ალექსანდრეს ასულს ჰქონდა ნებართვა გაცემული და ეს ფული მისი უგანათლებულესობისათვის ცნობილ საქროებებს მოხმარდა.

იმავე 1869 წლის თებერვალში მთავრის მეუღლეს ვუპასუხებ, და ახლაც, სასამართლო სხდომაზე, მთელი გულწრფელობითა და გულახდილობით ვაცხადებ: ეს ნაწილი ანგარიშისა გაუგებრობის შედეგია და ეს გაუგებრობა უნდა მომდინარეობდეს ან კანცელარიის მწერლისაგან, ან – ბულალტერიისაგან. არავითარი აუცილებლობა არ არსებობდა, მთავრის მეუღლე ნახსენები ყოფილიყო იქ, სადაც ჩემი სახელის ხსენება სავსებით საკმარისი იყო. ეს ხარჯი ჩემთვის ცნობილ გარემოებათა გამო და ჩემი ნებართვით გავიდა. ეს ყველაფერი მოხდა ჩემი, როგორც მეურვის, უფლებების ფარგლებში. ეს უფლებები კი განსაზღვრულია და შეუძლებელია, დავის საგნად იქცეს:

„მეურვეებზე განუული ის ხარჯები, რომლებიც მცირეწლოვანთა სარგებელს ემსახურება ან აუცილებელია მათივე მამულიდან შემოსავლის მისაღებად, თვითონ მცირეწლოვანთა გასავალში შედის; აქვე შედის მომსახურე პირთა ჯამაგირი და მამულიდან შემოსავლის მისაღებად განუული შრომისთვის სხვა პირებზე გაცემული გასამრჯელო. მეურვეებს არა მარტო შეუძლიათ, არამედ *ვალდე-*

ბულნი არიან, ეს გასავალი გაიღონ ან თვითონ მცირეწლოვანთა შემოსავლებიდან, ან, თუ ეს შემოსავლები საკმარისი არ იქნება – თვითონ მცირეწლოვანთა კუთვნილი მამულის გარკვეული ნაწილის სახით“.

თუ ჩემი მონინააღმდეგე იტყვის, რომ რაღაც ახალ სწავლებას ვიგონებ, ვუპასუხებ: მე მხოლოდ და მხოლოდ მკაცრად მივდევი დადგენილებებს მეურვეობის შესახებ, სახელდობრ, კანონთა სულისა და გონის გამომხატველ იმ გარემოებას, რომელიც სამოქალაქო სამართლის X ტომის I ნაწილში 290-ე მუხლითაა გამოხატული და რომლის საფუძველზეც მმართველი სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტს არაერთი გადანყვეტილება აქვს მიღებული.^{*} ხოლო ის, ჩაითვლება თუ არა ჩემი მეურვეობის დროინდელი გასავალი შეუსაბამოდ, ანუ აქვს თუ არა მეურვეს ამგვარი ხარჯის განწესა თუ მასზე ნებართვის გაცემის უფლება, ამაზე მე ჩემი სიტყვის ბოლო ნაწილში ვილაპარაკებ, კერძოდ, მაშინ, როცა შევხვები საკითხს, რომელსაც სარჩელში გულმოდგინედ უვლიან გვერდს.

რაც შეეხება ყველაზე დიდ რიცხვს – 39 023 მანეთსა და 25 კაპიკს, ანუ ყოველწლიურ გასავალს დაახლოებით 4878 მანეთის ოდენობით, ამის შესახებ მთავრის მეუღლე ეკატერინე ალექსანდრეს ასულის მიერ 1869 წლის თებერვალში დასმულ კითხვას იმავე თებერვლის 18-ში ასე ვუპასუხებ:

„რაც შეეხება მეორე კითხვას შემოსავლებიდან ჩემ სასარგებლოდ 20%-ის გამოწერის შესახებ, ეს საკითხი თქვენთვისაც და ჩემთვისაც გაცილებით უფრო რთულიცაა და – საჩოთიროც იმდენად, რამდენადაც ეხება ურთიერთობის მორალურ მხარეს, ბევრად უფრო წმინდას, ვიდრე ფულია, რაც არ უნდა ბევრი იყოს ეს ფული. **ფორმის** მხრივ თქვენი კითხვა საფუძვლიანია – გასა-

^{*} სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის 1869 წლის გადანყვეტილებები: №№224, 225, 232, 233, 234.

ვალი ისეა გამოყვანილი, რომ მითითებულია არა ის, რაც სინამდვილეში აღებული მაქვს, არამედ ის, თუ რამდენი უნდა ამელო. ჩემს ანგარიშებში გაერთიანებულია ორი სახის გასავალი: 5%, რომელიც მეურვეს კანონით ეკუთვნის და 15%, რომელიც მაკონტროლებელი ინსტანციის მიერ მეურვის განკარგულებაშია გადაცემული.

1859 წელს თქვენ მე 10% დამინიშნეთ, თუმცა მე ამაზე უარი ვთქვი. იქნებ გაიხსენოთ ერთ-ერთი მიზეზი, რომელიც მე მაშინ მოგწერეთ: არ ვაღიარებდი თქვენს უფლებას, მეურვისთვის იმაზე მეტი ანაზღაურება დაგენიშნათ, ვიდრე ამას კანონი ითვალისწინებს. მაგრამ 1861 წელს, მას შემდეგ, რაც მეურვეზე კონტროლის ფუნქცია კანონით უკვე თქვენ გქონდათ მონიჭებული, კერძოდ, 1861 წლის 12 აპრილის წერილით, ნებას მრთავდით, მთელი თქვენი შემოსავლის 15% გასავლის სახით გაუთვალისწინებელი საჭიროებებისთვის გამოიყენებინა“.

მართლაც, ბუღალტერიის რედაქციაში დამკვიდრდა არა ის დასახელება გასავლისა, რომელიც ფორმალურად იყო განსაზღვრული, არამედ ის, რომელიც სინამდვილეში ჰქონდა ფაქტობრივად და დანიშნულებითაც. მთავრის მეუღლე ეკატერინე ალექსანდრეს ასულის 1861 წლის 12 აპრილის წერილში ნათქვამია:

„უფლებას ვაძლევ თქვენს აღმატებულებას, მეურვეობის განკარგულებაში არსებული მთელი იმ შემოსავლიდან, რომელიც ზონარგაყრილ წიგნებსა და ანგარიშებშია აღრიცხული, გასავლის ნაწილში წელიწადში 15% გამოიყენოთ გაუთვალისწინებელი საჭიროებებისათვის“.

ეს 15% განსაკარგავად ანგარიშუგებლად რომ მქონდა გამოცემული, აქვე სხვა წერილობითი აქტებითაც დავასაბუთებ. ზოგადად აღნიშნული გარემოება მაინცადამაინც ისე რომ იყო გაგებული, როგორც ვამბობ, არც მთავრის მეუღლესთან მი-

წერ-მოწერისას, არც მასთან პირადი საუბრებისას ოდნავადაც არ დამდგარა ეჭვქვეშ. ასეთ ვითარებას არ შეიძლებოდა არ მივეყვანე კითხვამდე: ღირდა კი გასაველის ნაწილში რეალური ვითარება „გაუთვალისწინებელი საჭიროებებით“ ყოფილიყო შენიღბული? და ამ კითხვაზე პასუხს ვერ გავცემდი შემდეგ გარემოებათა გაუთვალისწინებლად:

1. მითითება გასაველისა ერთი მისამართით, ხოლო გაცემა მეორე მისამართით იქნებოდა აბუჩად აგდება როგორც საკუთარი ღირსებისა, ისე – სხვებისაც, ამასთანავე – დადგენილ წესებზე მე აქ არაფერს ვიტყვი – უპატივცემულობაც როგორც საკუთარი თანამდებობრივი მდგომარეობისა და ასაკისა, ისე მთავრის მეუღლის წოდებისა და მდგომარეობისაც.

2. მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, შეიძლებოდა თუ არა, არსებუდიყო სხვა რამ შემაგულიანებელი მიზეზი და შეეძლო თუ არა ამ მიზეზს ზეგავლენა ჰქონოდა ჩემს მოქმედებებზე?

არა! მე ანგარიში გასაველების შესახებ მხოლოდ მთავრის მეუღლე დადიანისთვის უნდა წარმედგინა. ის კი, თავის მხრივ, საკუთარი შვილის წინაშე იყო ანგარიშვალდებული. არა მქონია და არცა მაქვს საფუძველი ვიფიქრო, რომ მათ შორის იყო რაიმე ისეთი სახის ურთიერთობა, რომელიც ეკატერინე ალექსანდრეს ასულისთვის არასწორ მონაცემთა მიწოდებას მაიძულებდა. ამიტომაც მთავრის მეუღლის 1861 წლის 12 აპრილის წერილი სამეურვეოს კანცელარიისთვის არ გადამიცია, ხოლო ბუღალტერსა თუ მოლარეს პირადად მივუთითე ამ 15%-ის პირდაპირი და ნამდვილი დანიშნულება. ისიც, ვინაიდან იცოდა, რომ ანგარიში მთავრის მეუღლე ეკატერინე ალექსანდრეს ასულის იქით არ მიდიოდა, ამ ანგარიშების ყველა ნაწილს თავთავისი ნამდვილი დასახელებებით მოიხსენიებდა. ხოლო იმას, რომ ამგვარი დასახელებები რეალობის შესაფერისია, მიუხედავად 1869 წლამდე დედოფლის დუმილისა, შემდეგი აქტით და-ვასაბუთებ –

თავადი მინგრელსკი 1867 წლის 14 იანვარს, ე. ი. სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ, მწერდა:

„ვინაიდან მიმდინარე წლის სექტემბრამდე არ მეძლევა საშუალება, საკუთარი მამული თქვენგან გამგებლობაში მივიღო და, შესაბამისად, თვითონ ვმართო იგი, თქვენო აღმატებულებავ, უმორჩილესად გთხოვთ, აღნიშნულ თარიღამდე თქვენვე გააგრძელოთ მამულის მართვა ისე, რომ დაცული იყოს ჩემი უფლებები და **შენარჩუნებულ იქნეს ამჟამად არსებული წესწობილება**“.

როგორ ჰქონდა წარმოდგენილი **ამჟამად არსებული წესწობილება** 20 წლის ყმაწვილს? (სწორედ ეს ასაკი იყო უპირობოდ და უგამონაკლისოდ დადგენილი მისი სრულწლოვნად გამოცხადებისათვის). ეს გამოირკვა მოკლე ხანში მის მიერვე გამოგზავნილ წერილში. თავად მინგრელსკის გაუგია, რომ წინა წერილს ვერც ფორმითა და ვერც შინაარსობრივად მინდობილობის მნიშვნელობა ვერ მიენიჭებოდა.

ამ უკანასკნელ წერილში კი იგი უკვე ამბობდა:

„კანონით გათვალისწინებული მინდობილობით განიჭებთ უფლებამოსილებას, მიმდინარე წლის 1 სექტემბრამდე მართოთ ჩემი მამული, ამასთანავე, მითითებულ დრომდე თქვენს აღმატებულებას გადავცემ ჩემი მამულის შემოსავლების **20%-ს** საკუთარი შეხედულებისამებრ გამოსაყენებლად“.

არსებული წესწობილების შემადგენელი ეს ერთი ნაწილი, ცალკე აღებული, სრულად და მკაფიოდ არ ასახავდა ფორმალურ მინდობილობაში გამოხატულ აზრს და, შესაბამისად, საკითხის დასაზუსტებლად და მისთვის კანონიერი ძალის მისანიჭებლად სხვა წერილობითი აქტიც იყო საჭირო.

ის, რომ თავად მინგრელსკის დედის მიერ გადმოცემული კანონით გათვალისწინებული 5% და დედისგანვე, როგორც მთა-

ვარი მეურვისაგან, გამოყოფილი 15% განუყოფელი ნაწილია **არსებული წესწყობილებისა**, დამტკიცებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ თვითონ მთავრის მეუღლესაც ზუსტად ამგვარი წარმოდგენა ექნებოდა საკითხის თაობაზე. და, აი, რა არის საამისო საბუთი –

1860 წლის 1 აპრილს მთავრის მეუღლე მწერს:

„გუშინ მივიღე თქვენი კიდევ ერთი წერილი, რომლითაც მიგზავნით გასული, ანუ 1859 წლის, ანგარიშს [აქვე თავს უფლებას მივცემ შევახსენოთ სასარჩელო პრეტენზია, რომ **არც ერთხელ არ შემისრულებია ჩემი ვალდებულება და არ წარმიდგენია ანგარიში**]. ჩემი თხოვნა ისევ ის არის, რომ კანონით გათვალისწინებული თქვენი **მოცედი** აიღოთ სამთავრო შემოსავლებიდან“.

თავს უფლებას ვაძლევ აქვე ჩავუთო, რომ ამ – 1860 წლის 1 აპრილის – წერილში სწორედ 5%-ზეა საუბარი. რაც შეეხება შემოსავლებიდან 15%-ის ჩემს განკარგულებაში გადმოცემას, ეს ნათქვამია ზემოთ დამოწმებულ 1861 წლის 12 აპრილის წერილში. რას ამბობდა იგი ხსენებულ პროცენტებზე ამის შემდეგ?

1864 წლის 18 მარტს მთავრის მეუღლე პარიზიდან მწერს:

„უსიამოვნებანი, უაღრესად საპასუხისმგებლო მოვალეობა – ეს ყველაფერი თქვენთვის მეტისმეტად მძიმე ტვირთია. მე, ჩემი მხრიდან, დიდად დავალებული და მადლიერი ვარ, რომ მეურვეობის ამ მძიმე ტვირთს ეწევით. ამიტომაც ჭეშმარიტად გაკვირვებული ვარ, რომ მწერთ: „ჩემს სინდისს მხოლოდ ის ქენჯნის, რომ შემოსავლებიდან **თქვენ მიერ დანიშნული** ნაწილი უნდა ავიღო“. არავითარ შემთხვევაში, დიმიტრი ივანეს ძეგ! როგორ შეიძლება ან ამის თქმა, ან – ამის გამო სინანული?! აიღეთ და სიკეთით მოიხმარეთ თქვენივე სიამოვნებისა და კეთილდღეობისათვის“.

წესით, აქ უნდა გავჩერდე, რამდენადაც დამატებითი ახსნა-განმარტებანი სხვა არაფერი იქნება, თუ არა – თქვენი ყუ-

რადღების ბოროტად გამოყენება. მაგრამ ორიოდ სიტყვა იმაზედაც უნდა ვთქვა, თუ რამ გადაწყვეტინა მთავრის მეუღლე დადიანს ამ 15%-ის დანიშვნა. ეს მოხდა 1861 წლის 12 აპრილს.

იმავე აპრილის 7-ში გამოვიდა უმაღლესი ბრძანებულება, რომელიც წელან ჩემი, როგორც მეურვის, ვალდებულებებზე მსჯელობისას წარმოვუდგინე სასამართლოს. ხსენებულ ბრძანებულებაზე დაყრდნობით – მქონდა პატივი, ამის შესახებ უკვე მელაპარაკა – წყდებოდა მეურვეობასა და ადგილობრივ ადმინისტრაციას შორის ჩამოვარდნილ უთანხმოებებთან დაკავშირებული დავები; და ეს დავები, როგორც წესი, წყდებოდა იმ უფლებათა სასარგებლოდ, რომლებსაც ადგილობრივი ადმინისტრაციის წინააღმდეგ მეურვეობის ინტერესთა სასარგებლოდ ვიცავდი. რამდენადაც წარმატებებს ზოგადად დანაკარგებიც ახლავს ხოლმე, ვდგებოდი საშიშროების წინაშე – დამრჩებოდა თუ არა სამეურვეო მოვალეობათა შესრულებისთვის საკმარისი ძალები? რაც შეეხება კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს წევრობას, ვიდექი საფრთხის წინაშე, ერთდროულად საპატიო სამსახურებრივი მდგომარეობაც დამეკარგა და ის ხელფასიც, რომლითაც ოჯახს ვინახავდი. მე მაშინ ხელფასის სახით ვიღებდი 5500 მანეთს, ხოლო სამეურვეო 5%-ის სახით – 1600 მანეთს.

მთავრის მეუღლის ჩემდამი დამოკიდებულების გამომხატველ სიტყვებს: მირჩევნია მთელი ჩემი მამული დავკარგო, ვიდრე იგი თქვენს ხელში არ იყოსო, პრაქტიკულ ვაგრძელებად ის მოჰყვა, რომ მან მთელი შემოსავლის 15% პირადად გადმომცა განსაკარგავად, რასაც წელიწადში დაახლოებით 5400 მანეთი უნდა შეედგინა.* – ასე და ამგვარად, როცა სახელმწიფო სამსახურში ვიყავი, ჩემი სახელფასო შემოსავალი წელიწადში 7100 მანეთს შეადგენდა, ხოლო მას შემდეგ, რაც ადგილობრივ ხელისუფლებას პროცესი მოვუგე და ამის გამო სამსახური დავკარგე,⁷ ჩემი წლიური შემოსავალი მხოლოდ 6478 მანეთი გახდა. –

* ხარჯების დაანგარიშების შემდეგ საშუალოდ მხოლოდ 4878 მან. გამოვიდა.

შემედლო თუ არა ამ შემოსავლის გარეშე დავრჩენილიყავი მეურვის თანამდებობაზე, რომლისგან განთავისუფლებასაც **მთელი მამულის დაკარგვა** ერჩივნათ?

სიტყვის მესამე ნაწილში მოვიყვან სხვა რიცხვებს, რომლებშიც ჩემ მიერ სამეურვეოს მართვის შედეგებია ასახული და რომლებიც თვალნათლივ აჩვენებს გასავლისა და შემოსავლის რაოდენობრივ შეფარდებას.

ახლა სარჩელში ნაჩვენებ მომდევნო რიცხვებს უნდა დავუბრუნდე. იქ ნახსენებია 39 023 მანეთი და 25 კაპიკი; თუკი მოსარჩელის მხარე ჩემს ანგარიშებში აღრიცხული გასავლის იმ ნაწილში, რომელსაც **გაუთვალისწინებელი საჭიროებები** ჰქვია, იპოვის გასავლის სხვა ოდენობას, ჩემდათავად ვაღიარებ, რომ დასახელებული რიცხვი არ არის სწორი.

დადგა რიგი კიდევ ერთი რიცხვისა – 12 415 მანეთი და 34 კაპიკი, რომელიც დახარჯულია 8 წლის განმავლობაში და შეტანილია გასავლის იმ ნაწილში, რომელსაც ცალკე სახელწოდება არა აქვს და ეს ხარჯი სამეურვეო ინტერესებს მოხმარდა.

მთავრის მეუღლის, ეკატერინე ალექსანდრეს ასულ დადიანის, მიერ დამტკიცებულ გასავლის ხარჯთაღრიცხვაში სასამართლო დაინახავს, რომ საკუთრივ დედა-შვილის მამულების მართვის ხარჯად დამტკიცებულია 6040 მანეთი წელიწადში. ეს თანხა განკუთვნილი იყო იმ პირებისთვის, რომლებიც მეურვეობას დაქვემდებარებული მამულების მართვა-გამგეობაში სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდნენ.

როდესაც მეურვე გავხდი, შესაძლებლად ვცანი, ეს უკანასკნელი ხარჯი მეტ-ნაკლებად შემემცირებინა და გამოთავისუფლებული თანხა სხვა საჭიროებისკენ მიმემართა – მეურვეობის მიერ დანიშნული იმ პირების მოულოდნელი თუ პერიოდული შემოწმებისთვის, რომლებიც, მამულების მთელს სამეგრელოში განფენილობის გამო, სამივე ოლქსა თუ მაზრასა და ქალაქებში აგენტებად იყვნენ დანიშნულნი. თუ მოსარჩელის მხარე დაასაბუთებს, რომ ეს 8 წლის ხარჯი – 12 415 მანეთი და 34 კაპიკი,

აგრეთვე, თანხა, რომელიც სამთავრო მამულის მართვა-გამგეობის უზრუნველყოფას მოუწდა, ერთობლივად ყოველწლიურ 6040 მანეთს აღემატება, მზად ვარ, განსხვავების დაფარვა საკუთარ თავზე ავილო უთქმელად და ულაპარაკოდ.

პარიზში ჩემ ყოფნასთან დაკავშირებით⁸ სარჩელში ნათქვამია, რომ თავადი მინგრელსკი ყოველთვიურ ხარჯად 500 მანეთს საკმარისად მიიჩნევს. და ეს მაშინ, როცა ამ ამბიდან და, შესაბამისად, ხარჯის გაღებიდან ოთხი წელიწადია გასული. – როცა 1870 წელს ამბობ, 1866 წელს ამა და ამ საქმისთვის საკმარისი იყო ამდენი თუ იმდენი მანეთი, თანაც ისე, რომ აღარც კი გახსოვს მანეთის იმდროინდელი ღირებულება, მისი იმდროინდელი კურსი, საკადრისი არ არის ასე ლაპარაკი, უკიდურეს შემთხვევაში, მას შემდეგ, რაც ადამიანს აქედან დაიბარებ პარიზში, თანაც არა მარტო გააფრთხილებ, რომ იქ იცხოვრებს არა საკუთარი შეხედულებისამებრ, არამედ – როგორც სამთავრო სახლის მეურვე; იცხოვრებს პარიზის ერთ-ერთ უძვირეს სასტუმრო Grand Hotel du Louvre-ში და ისეთ ვითარებაში, რომელიც ჰარმონიზებულია იმგვარი პერსონის ღირსებასთან, რომელსაც იქ du Prince Régnant-ს უწოდებდნენ.⁹ მე სწორედ ასეთი პერსონის საკუთრების მეურვე ვიყავი. უფრო მეტიც, ამგვარი მოგზაურობების დროს ჩემთვის არაერთხელ შეუხსენებიათ, რომ არ მოვრიდებოდი ხარჯებს. აი, მტკიცებულებაც –

მთავრის მეუღლე ეკატერინე ალექსანდრეს ასული, რომლის ნებაზეც იყო დამოკიდებული ამ სახის ხარჯები, 1860 წლის 21 თებერვალს მწერს:

„გთხოვთ სასწრაფოდ ჩამოხვიდეთ... მგზავრობის ხარჯი, თავისთავად ცხადია, იქნება ჩემი... არაფრის დიდებით არ შეიძლება თქვენი ჩამოუსვლელია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენი საქმე დაილუპება საბოლოოდ. რა დროს ეკონომიაა! ფული, რამდენიც საჭირო იქნება, აიღეთ სამეურვეო თანხიდან. არაფრის მოგერიდოთ,

ოლონდ კი მშვიდობით მობრძანდეთ აქ, სადაც მოუთმენლად გელოდებით“.

1861 წლის ²⁰/₈ ოქტომბრის წერილში წერია:

„ხვალ მივემგზავრები ნეაპოლში, იქიდან – რომში, შემდეგ – პარიზში... თუ საჭიროდ ჩათვლით, არ მოერიდოთ ხარჯებს... ყოველ მიზეზ გარეშე უნდა ჩამოხვიდეთ პარიზში. ხარჯს არ მოერიდოთ“.

და თუ ყოველივე ამის შემდეგ ივანე ეგნატეს ძე პოლტორაცკი, რწმუნებული თავად მინგრელსკისა, ახლა უკვე თავად მინგრელსკის სახელით გააგრძელებს მტკიცებას, რომ 1866 წელს, პარიზში ჩემი ოთხთვიანი ყოფნისას, უნდა მყოფნოდა მხოლოდ 2000 მანეთი ჩემივე ჯიბიდან, პირველ რიგში, ამას ვიტყვი: მე ვერ შეურაცხვეყოფ ვერც თავად მინგრელსკის, ვერც დედამისს და ვერ დავიჯერებ, რომ ეს სიტყვები მართლაც მათი ნათქვამია, რამდენადაც ამ სიტყვებში, სხვას ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, იურიდიული შეუსაბამობაა – განა მე ვიხვეწებოდი პარიზში მიპატიჟებას? მე დამიბარეს და არა მარტო არ განუსაზღვრავთ არავითარი ნორმა ხარჯისა, არამედ პირიქით: გამიხსნეს შეუზღუდავი კრედიტი, გამიხსნეს მათივე ფულიდან, რომელიც მე მებარა. და სად უნდა ეპოვათ მათ საფუძველი რაიმე ბრალდებისა, თუ მე ნაცვლად ნ ათასი მანეთისა, რომელიც დამეხარჯა, ათჯერ მეტს დავხარჯავდი?

განმარტებათა რიგში უნებურად კინაღამ კიდევ ერთი გარემოება გამომჩა. მე ჯერ არაფერი მითქვამს 3743 მანეთსა და 90 კაპიკზე, რომელიც 73 873 მანეთიდან მეურვისთვის განკუთვნილ 5%-ს წარმოადგენს და რომლის უფლებასაც ივანე ეგნატეს ძე პოლტორაცკი მედავება. დავისას იგი, როგორც ჩანს, სრულებით არ ითვალისწინებს, რომ:

1. ეს 3743 მანეთი და 90 კაპიკი ნაწილია იმ 13 000 მანეთისა, რომელიც თვითონ მის მიერვე წარდგენილ სარჩელში აღიარე-

ბულია, როგორც მ წლის განმავლობაში ჩემ სასარგებლოდ სწორად გამოთვლილი თანხა.

2. 73 873 მანეთი, რომლისგანაც ხსენებული 5%-ია გამოყვანილი, რაიმე საკუთრების გასხვისებით კი არ არის მიღებული, არამედ შედეგია მაინცადამაინც ჩემი, როგორც მეურვის, მიერ სამთავრო ოჯახის სარგებლისთვის განხორციელებული მოქმედებებისა.

ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ უნდა დავიმონწილო 1861 წლის უმაღლესი ბრძანებულება, რომლის შინაარსიც სასამართლოს წერილობით წარვუდგინე იმ საკითხის განხილვისას, ჩემი, როგორც მეურვის, მოვალეობებს რომ შეეხებოდა.

აღნიშნული ბრძანებულება, ზემოთ ეს უკვე ვთქვი, მთავრის ქონებრივ უფლებებთან დაკავშირებით ადგილობრივი ხელი-სუფლების წინააღმდეგ ჩემს საჩივრებს მოჰყვა და მის პირველ პუნქტში ნათქვამია:

„სამეგრელოს მთავრის მცირეწლოვანი მემკვიდრის, ნიკოლოზის, სრულწლოვანებამდე სამთავრო ოჯახის შემოსავლები განსაკარგავად მის საკუთრებაზე დაწესებულ მეურვეობას გადაეცემა. ეს შემოსავლები გამოიანგარიშება ტაბელებისა და ინვენტარიზაციის საფუძველზე, რომლებიც შედგენილია სამთავრო ოჯახის მამულებისა და შემოსავლების გამოსარკვევად შექმნილი იმ სპეციალური კომისიის მიერ, რომელიც კავკასიის მეფისნაცვლის მიერ 1857 წელს, სამეგრელოში რუსული მმართველობის შემოღებისას, იქნა დაარსებული“.

იმავე ბრძანებულებაში, მე-ნ პუნქტში, ნათქვამია:

„შემოსავლების ის მუხლები, რომლებიც სამეგრელოს სამთავრო ოჯახს პირველი პუნქტის მიხედვით აქვს მიკუთვნებული, თუმცა მათი აკრეფა არა ამ ოჯახის კუთვნილი, არამედ სხვა მებატონეთა მამულებიდან ხდება, სამთავრო ოჯახის სასარგებლოდ უნდა

აიკრიფოს სამეგრელოს მმართველობის განკარგულებით. მმართველობის მიერ შეკრებილი თანხა სრულად განკარგვის უფლებით უნდა გადაეცეს მეურვეობას“.

ამის შემდეგ უფრო მოსახერხებლად ჩაითვალა, რომ ამ სახის შემოსავლები გადაყვანილიყო თანხაში, ხოლო თანხა ხაზინიდან გაცემულიყო. ფასების განსაზღვრა მოხდა კავკასიის მეფისნაცვლის მთავარსამმართველოში და, რაც ამის მიხედვით 1861-1867 წლებში გამოვიდა, გადაეცა მეურვეობას. ყოველივე ამის შემდეგ თქმა იმისა, რომ აღნიშნული თანხა ის შემოსავალი არ არის, რომლისგანაც მეურვეს 5% ერგებოდაო, სხვა არაფერია, თუ არა დავა იმაზე, რაც თავისდათავად ცხადი და აშკარაა. მით უმეტეს, როცა ეს შემოსავალი სწორედ მეურვის უშუალო ძალისხმევითაა მოპოვებული.

მეექვსე პუნქტი დანარიცხისა, რომელიც ივანე ეგნატეს ძე პოლტორაცკის აქვს წარმოდგენილი, მისივე დაანგარიშებით, არის 17 175 მანეთი და 45 კაპიკი, სინამდვილეში კი – 17 130 მანეთი და 45 კაპიკი. ეს არის გაუგებრობა, რომელიც შეიძლება აიხსნას საკითხისადმი ზერეულ მიდგომითა და სურვილით, როგორმე გართულდეს ის, რაც უაღრესად მარტივი და ცხადზე უცხადესია. 1866 წლის ანგარიშის მიხედვით, ნაშთის სახით უნდა დარჩენილიყო 17 130 მანეთი და 45 კაპიკი. როგორი ვითარება შეიქმნა ამ მხრივ 1867 წელს? პირველ პუნქტში ეს თანხა წინა წლის მონარჩენად და ახალი წლის შემოსავლად არის ნაჩვენები. თუკი შესაძლებელია ამ ფაქტის გარშემო დავა, მაშინ შესაძლებელი ყოფილა დავა ყველაფერზე, რაც დღესავით ნათელია. – საქმე სხვაგვარად იქნებოდა, 1867 წლის ანგარიშში ეს თანხა საერთოდ რომ არ ყოფილიყო ასახული, მაგრამ ამის თაობაზე სარჩელში არც არაფერია, და ვერც ვერაფერი იქნებოდა ნათქვამი.

შემდეგ:

სანამ სარჩელის მეორე ნაწილზე განმარტებებს დავასრულებდე, ორიოდ სიტყვა უნდა ვთქვა უკანასკნელ და საკმაოდ

მოზრდილ რიცხვზე – 27 169 მანეთსა და 20 კაპიკზე. მოსარჩელე ითხოვს ჩემგან ამ თანხას, როგორც ზემოთ დასახელებული თანხის პროცენტს. ვინაიდან მე უკვე დავასაბუთე ზემოთ დასახელებული თანხის მოთხოვნის უსაფუძვლობა, შესაბამისად, მისგან გამოყვანილ პროცენტებზე საუბარი ზედმეტად მიმაჩნია.

რჩება სარჩელის უკანასკნელი ნაწილი, რომლის კანონიერებისკენაც უნდა მივმართო მოსარჩელის ყურადღება, სასამართლოს კი ავუხსნა ჩემ წინააღმდეგ წამოყენებული მოთხოვნების ზოგადი ხასიათი.

პირველ რიგში, საჭიროდ მივიჩნევ განვმარტო: რას ეყრდნობა მეურვეობის დანესების ლეგალური და არსებითი მიზანი? – ამ კითხვაზე პასუხს იძლევა სამოქალაქო კანონთა X ტომის I ნაწილის 287-ე მუხლი, რომელიც მოითხოვს, რომ **მცირეწლოვანი პირებისა და მათი მამულების მეურვეობა უნდა იყოს რეალური სარგებლის მომტანი და არა – საფუძველი მათი განადგურებისა და გაჩანაგებისა.**

მე ვიყავი მთავრის საკუთრივ **მამულის** მეურვე. ამიტომ საკითხი ასე დგას: რა შედეგი მოჰყვა ამ მამულის მეურვეობას – სარგებლის მოტანა, თუ განადგურება და გაჩანაგება?

ამ მამულიდან არაფერია გირაოში გადაცემული, არაფერია გაყიდული და, საერთოდ, არანაირი ფორმით არაფერია გასხვისებული. იმ უამრავზე უამრავი დავიდან, რომლებიც წარმოიშვა როგორც მეურვეობის დაარსებამდე, ისე მეურვეობის არსებობის პერიოდში, **არ არის წაგებული არც ერთი**, მოგებული კი **ბევრია**, მათ შორის, სადავო მამულებთან დაკავშირებული, თავისი მნიშვნელობითა და ღირებულებით მეტად სერიოზული, რამდენიმე პროცესი. შესაბამისად, სამეურვეო მამული კი არ განადგურებულა და გაჩანაგებულა, არამედ, პირიქით, მნიშვნელოვნად გაფართოვდა კიდევაც.

რჩება კიდევ ერთი კითხვა: ხომ არ შემცირებულა მამულის შემოსავლიანობა?

აი, კითხვა, რომელიც ყოველ მიზეზ გარეშე უნდა დაისვას, მიუხედავად იმისა, რომ იგი უკიდურეს უხერხულობას ქმნის მოსარჩელისთვის.

ამ საკითხის ახსნა-განმარტებისთვის დავუბრუნდები დაცვის იმ მეთოდს, რომელსაც აქამდეც მკაცრად მივდევდი, ანუ პასუხებს ამოვიღებ იმ წერილობითი აქტებიდან, რომლებიც ნოტარიალურად არის დამონმებული.

1859 წლის 10 აპრილს, ანუ მეურვედ ჩემს დანიშვნამდე სამი დღით ადრე, მთავრის მეუღლე ეკატერინე ალექსანდრეს ასულს დადიანი სანქტ-პეტერბურგიდან მწერს:

„ამ დღეებში მეურვეობის ერთი წლის ანგარიში მივიღე... მთავარს არაფერი დაუტოვეს. მთელი შემოსავალი **რვა ათასი** მანეთია, ხარჯის შემდეგ კი **ორას მანეთზე ცოტა მეტი** რჩება“.

სხვა წერილში, რომელიც იმავე წლის 12 მაისს ცარსკოე-სელოდან არის გამოგზავნილი, იგი მწერს:

„ვინც გაიგო, ყველა განცვიფრებულია, რომ სამეგრელოს მთავრის წმინდა შემოსავალი მხოლოდ 277 მანეთია. სიტყვაც არავის დაუძრავს, როცა გვართმევდნენ მთელ შემოსავალს ბაზრებისას, რიონისას, ჩარვადრებისგან, ბილეთებისას“.

ცხადია, მთავრის მეუღლეს მიაჩნდა, რომ ასეთი მცირე შემოსავლის მიზეზი ზემოხსენებული დანაკარგები იყო. და მართლაც, ეს შემოსავლები, ანუ ვაჭრობის გადასახადი, მეურვეობისთვის დაკარგული იყო; დაკარგული იყო აგრეთვე: გადასახადი ნაგებისა, რიონში რომ ასრულებდნენ რეისებს, ქირით გასული მეურმეებისგან აღებული ბაჟი. ეს ყველაფერი უკვე მთავრობის რეგალია იყო¹⁰ და არა – კერძო მფლობელისა.

და ასეთ პირობებში რა მოლოდინი უნდა ჰქონოდა ეკატერინე ალექსანდრეს ასულს დადიანს, რა ოდენობამდე შემეძლო გასავლის შემდეგ დარჩენილი 277 მანეთის გაზრდა? ამაზე პასუხს იგი თვითონ იძლევა – 1863 წლის 24 დეკემბერს პარიზიდან მწერს:

„მას შემდეგ, რაც ჩემი შვილები წამოიზარდნენ, ხარჯები დღი-თი-დღე იზრდება და შეუძლებელი გახდება აქ ცხოვრება, თუ წლიურად ორ-ორ ათას მანეთს არ გამოგვიგზავნი“.

აი, გაზრდილი ოდენობა წლიური წმინდა შემოსავლისა, რომელსაც 1863 წელს მთავრის მეუღლე ჩემგან ელოდებოდა.

და როგორ აღსრულდა ეს მოლოდინი? პასუხს რიცხვები გაცემს: 1858 წელს, როგორც ამას თვითონ მთავრის მეუღლე ეკატერინე ალექსანდრეს ასული წერს, 8000 მანეთი შემოსავლიდან გასავლის შემდეგ 277 მანეთი დარჩა.

1859-1866 წლებში, ანუ ჩემი მეურვეობის პერიოდში:

შემოსავალი: სულ 315 000 მანეთი კაპიკებით, ანუ წლიურად არა 8000, არამედ – 39 375 მანეთი.

ხოლო წმინდა შემოსავალი ხარჯების შემდეგ: 136 000, ანუ წლიურად არა 277, არამედ – 17 000 მანეთი.

ხომ არის უკან ჩაბარებული მამული 70 000 მანეთზე მეტი წლიური შემოსავლით?¹¹

შეიძლება ჩემ მიერ დასახელებული რიცხვები ზედმინებით ზუსტი არ იყოს, რადგანაც 1868 წლის აგვისტოს შემდგომი შემოსავალ-გასავლის წიგნები მე არა მაქვს, მეხსიერებას კი ხანგრძლივი დროის განმავლობაში დაგროვილი რიცხობრივი მონაცემების დამახსოვრება არ შეუძლია, თუმცა ძირითადად ეს რიცხვები სწორია. და თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ მთავრის მეუღლეს, ეკატერინე ალექსანდრეს ასულ დადიანს, ჩემგან მიღებული აქვს 116 000 მანეთი ნაღდი ფული, ხოლო 1867 წლისთვის ჩემს ხელთ თამასუქების სახით რჩებოდა 17 000 მანეთზე ცოტა მეტი, განა არა მაქვს უფლება ყოველივე ამის შემდეგ იმედი ვიქონიო – ჩემ წინააღმდეგ თავად მინგრელსკის სახელით აღძრულ სარჩელს, სულ მცირე, არასწორად ჩათვლით და მიიღებთ გადაწყვეტილებას, დააკისროთ მას სასამართლო ხარჯები, მე კი საქმის წარმოებაზე განეულ შრომას ამინაზღაურებთ.

ამასთანავე, რაც შეეხება 17 130 მანეთისა და 45 კაპიკის თამასუქებს, რომელზეც აქ იყო ლაპარაკი, წარმოვადგენ ცალკე ანგარიშს და სასამართლო დაინახავს, რომ ჩემთვის დაბრუნებულ ერთ-ერთ – სავალო გადახდევინების – ვალდებულებას საკუთარ თავზე ვერ ავიღებ,¹² ხოლო იმისთვის, რომ თავადმა მინგრელსკიმ თავისი ფული ტყუილუბრალოდ არ დაკარგოს, მე მხოლოდ 5231 მანეთისა და 77 კაპიკის დაქვითვას ვითხოვ, ანუ იმ თანხისას, რომელიც საკომისიონერო გასამრჯელოს სახით მეკუთვნის. – რაც შეეხება სხვა შემთხვევას, კერძოდ, საიდუმლო მრჩეველ სემიონოვის თამასუქს,¹³ არ მოვიტხოვ არავითარ ზღვევინებას, რადგანაც თავად მინგრელსკის ინტერესთა სასარგებლოდ განუთლი შრომის გასამრჯელო სემიონოვისთვის საკუთარი ჯიბიდან მაქვს გადახდილი. ამას ცხადყოფს მთავრის მეუღლე ეკატერინე ალექსანდრეს ასულის მიერ ჩემთვის 1863 წლის 24 დეკემბერს პარიზიდან გამოგზავნილი წერილი:

„სემიონოვის გარდაცვალების შესახებ აქამდე არაფერი ვიცოდი. მასზე თამასუქი, მგონი, სერიოზული მიზნების გარეშე გაიცა *[ეს მიზანი ჩემთვის ფრიად სერიოზული იყო, რამდენადაც, როგორც უკვე აღვნიშნე, თავად მინგრელსკის ანგარიშით, ჩემი ფული იყო გაცემული, ხოლო ამ ფულის სამეურვეო თანხიდან ალება მთავრის მეუღლის სპეციალური ნებართვის გარეშე უხერხულად მიმარჩნდა]*. – მას არც შეეძლო გადახდა. როგორც მახსოვს, ეს თანხა მაშინ ჩვენ გასავალში შევიტანეთ“.

სხვა, ჰამბურგიდან 1864 წლის 29 ივნისს გამოგზავნილი, წერილით მთავრის მეუღლე მატყობინებდა:

„როდის გექონია ვასილიევისგან ფულის დაბრუნების იმედი? *[უნებური შეცდომაა. უნდა იყოს ვასილ ნიკოლოზის ძე სემიონოვი]*. ვფიქრობ, მაშინ ასეც გადავწყვიტეთ *[სიტყვიე-*

რად და არა წერილობით) – ეს თანხა ამოგვეწერა ხარჯებიდან, ხოლო თამასუქი მისი მეუღლისთვის გავგვეგზავნა“.

სწორედ ამის გამო ვთხოვ საოლქო სასამართლოს, აიძულოს თავადი მინგრელსკი, ჩემგან რომ ფულს ელოდება, იმის სანაცვლოდ მიიღოს დასახელებული თამასუქები, ხოლო შემდეგ მათ ისე მოექცეს, როგორც ადრევე იყო განზრახული. ამასთანავე, საჭიროდ მიმაჩნია ისიც ვთქვა, რომ სემიონოვის თამასუქი სხვა დროს თავად მინგრელსკის კიდევაც გადავეცი ნომრიანი ქალაქითა და დაუბრუნებლად.¹⁴

საოლქო სასამართლოს მე ბევრი წერილობითი აქტი წარმოვუდგინე. სასამართლოს კანცელარიას მათ შორის კავშირის გაბმა რომ არ გაუძნელდეს, კიდევ ერთ ქალაქს წარმოგიდგინო – ხსენებული აქტების ცალკე ჩამონათვალს.

9. სიტყვა თქმული 1870 წლის 6 მაისს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის ყრილობაზე

თქვენ ახლა გუბერნიის წინამძღოლის თანამდებობაზე ორ კანდიდატს უნდა უყაროთ კენჭი. კანონის მიხედვით, კენჭისყრა ამჟამინდელი წინამძღოლით, ესე იგი ჩემით, უნდა დაიწყოს.

ამასთან დაკავშირებით გთხოვთ მათქმევინოთ ორიოდე სიტყვა და მომისმინოთ ისეთივე ყურადღებით, როგორი ყურადღებითაც თქვენგან ყოველთვის ვიყავი განებივრებული და ისევე აულელვებლად, როგორც ეს საერთოდ თქვენი შეკრებებისთვის არის დამახასიათებელი.

ჩვენ, მონყალეო ბატონებო, ველოდებით უაღრესად მნიშვნელოვან ამბავს – არა უგვიანეს აგვისტოს დასასრულისა მოგვენიჭება ხელმწიფე იმპერატორის ხილვის ბედნიერება.¹

ხელმწიფე იმპერატორი გიცნობთ თქვენ. ხელმწიფე იმპერატორმა იცის, რომ თქვენი, ჩვენი ყველასი, ერთგულება მის მიმართ არის გულწრფელი, ღრმა და ყოვლისმომცველი. ხელმწიფე იმპერატორმა ისიც იცის, რომ მის ერთგულქვეშევრდომებს, ამ სიტყვის წმიდა მნიშვნელობით, გვამოძრავებს მხურვალე სურვილი, ჩვენი სამსახური მის გულისთქმას შეესაბამებოდეს და ეს სამსახური იყოს მისთვის სასურველი და სარგებლობის მომტანი.

ჩვენც ვიცით, სათაყვანებელი ხელმწიფის გულმონყალეობა როგორი ენით აუნერვლია და რა ფართოდაა გაღებული მისი ღვთიური მადლით მოსილი გულის კარი ჩვენთვის.

აი, რატომ ვანიჭებ მე საგანგებო მნიშვნელობას მონარქთან შეხვედრას. სწორედ მისკენ არის მიმართული ჩვენი ფიქრები,

სურვილები, იმედები; – დიდი, ნათელი და შეურყეველი იმედები, რომლებიც ნამდვილი თუ მოჩვენებითი გასაჭირისაგან ჩვენს გადარჩენას უკავშირდება.

თქვენმა წარმომადგენელმა ნამდვილი მოჩვენებითისაგან უნდა განასხვავოს და მონარქის მზერა ჩვენი ეკონომიკური ყოფის იმ მხარეებისკენ მიმართოს, სადაც ნამდვილად გვიჭირს და რომლის განკურნება მხოლოდ მონარქიულ გულუხვობას შეუძლია.

ძლიერ ვშიშობ, რომ მე ამას ვერ შევძლებ.

მე ამას ვამბობ როგორც თქვენი წინამძღოლი, ამასთანავე, როგორც აზნაური და სავსებით გულწრფელი და გულღია ვარ თქვენ წინაშე.

თქვენი იმედებისა და სურვილების განსახორციელებლად აუცილებელია არჩევანი ჩემზე ღირსეულ კანდიდატზე შეაჩეროთ; ისეთზე, რომელიც ჩემზე უკეთ გაუნევეს სამსახურს ჩვენი საერთო მიზნების განხორციელებასა და ჩვენი საჭიროებების მოგვარებას.

მე რაც შემეხება, მგონი არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ თქვენ შორის ძნელად მოიძებნება ისეთი ადამიანი, ჩემზე მეტად რომ იყოს საერთო ინტერესების ერთგული. თქვენ იცით – საზოგადოების სამსახურისათვის მე არასოდეს ამირიდებია თავი. გპირდებით, რომ მომავალშიც ჩემი ცოდნა და უნარი ჩვენს საზოგადოებასა და ჩვენს მხარეს მოხმარდება. მე გუბერნიის წინამძღოლის წოდების გარეშეც გავაგრძელებ საზოგადოების სამსახურს.

ახლა კი საჭიროა გუბერნიის წინამძღოლის თანამდებობაზე წარდგენილ იქნეს ორი კანდიდატი, რომელთაგან ერთ-ერთის დამტკიცებას ხელმწიფე იმპერატორის უმაღლესი ნება გადაწყვეტს. მაშ, დაასახელეთ კანდიდატები, რომლებსაც კენჭი უნდა ვუყაროთ.

10. სიტყვა თქმული 1876 წლის 4 მარტს „ღროუზის“ 10 წლისთავისადმი მიძღვნილ ნადიმზე

დიდად ვჰსწუხვარ, რომ დღევანდელს ნადიმობაში პირადს მონაწილეობას ვერ მივიღებ. – მაგრამ ნებას ვითხოვ, ორიოდ სიტყვა შემომათვლევინოთ. ვითამ თქვენში მეთქვას.¹

ქვეყანა ისე არის დაფუძნებული, რომ ყოველივე, რაც რამ თვალთ სახილველია, ან გონიერებით გამოკვლეული, სულ წინ მიდის ყოველივე, რაგვარი მსვლელობაც უნდა ჰქონდეს მითვისებული: ბრუნვა, ტრიალი, ცურვა, თუ სხვა მოძრაობა. რაც ამგვარს ნივთიერებათ მსვლელობას ერთხელვე უკან ჩამორჩება, უძრავათლა რჩება, ირღვევა, იხრნება და გადადის იმავე გარეშეუწერელსა და ყოვლად განუზომელს არარაობაში, საიდანაც მომავლობდა.

რასაც კანონს ეს ნივთიერებითი მსოფლიო ემყარება, სწორეთ იმგვარსავე კანონს ექვემდებარება ზნეობითი მსოფლიოცა.

გუშინდელი ჩვენი საზოგადო თუ სამოქალაქო დაწყობილება დღეს ისე იცვლება, ხვალ ისე; გავა რამდენიმე ხანი, ჩვენთვის მოკლე თუ გრძელი, მაგრამ ქვეყნიერების არსებობისათვის ნუთხედაც უზომოდ უმცირესი, – და რაც გუშინ, შარშან, იმ საუკუნეში მკვიდრი რამ დაწყობილება გვეგულებოდა, დღეს იქნება კვალიც აღარსადა ჰქნდეს იმისი.

ასე, გუშინდელი, შარშანდელი ან ცოტა კიდევ იმის უწინარესი ჩვენი დამოძღვრება, ჩვენი დამრიგებლობა და სწავლება უკან ჩამოგვრჩნენ და ჩვენ რომ შეუფერხებლად წინ მივალთ, რაღას მოგვეწვეიან.

იმათ ფეხში სხვა რიგი არის ახლა ჩამდგარი, სხვა წესი, სხვა ძალა, – ეს მიგვიძღვის ახლა წინა, ამას მივდევთ და ასე მიმა-

ვალნი თითქო ჩვენც უფრო თვალ-ახილვით ვმოძრაობთ, ჩვენს საკუთარს პირადს მსოფლიობასა ვჰგრძნობთ, უფრო გულდასმით და ყურისგდებით გარეშემოვიყურებით და საზოგადო მოძრაობას მივდევთ.

რა არის ახლა, ან ვინ არის ამ ახლანდელს ჩვენს წყობილებაში ჩვენი წინამორბედი, ჩვენი დამმოდღვრებელი, ჩვენი მეგობარი და ჩვენი მეინახე?

ეს არის სტამბა, ეს არის ბეჭდვა. უჟურნალოთ, უგაზეთოთ რილას მაქნისი ვართ ახლა?

ჩვენი საბრალო „დროების“ ათნლოვანებასა ვჰდღეობთ დღესა.

ვისურვოთ გულით, რომ ეს გაზეთი გაღონიერდეს, გავრცელდეს და საფუძველი განიმკვიდროს ხალხის სასარგებლოდ. მრავალჟამიერ სიცოცხლე მისი!!

**11. სიტყვა თქმული 1877 წლის 30 ნოემბერს
რუსეთ-ოსმალეთის ომიდან მიწისნაცვალ
მიხეილ ნიკოლოზის ძის დაბრუნებისას**

თქვენო იმპერატორებით უმაღლესობაე!

თქვენ, ხელმწიფეო, და თქვენმა უავგუსტოესმა ძმამ, დიდ-
მა მთავარმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ მტერზედ გამარჯვე-
ბით შეიმკეთ თავი დაუჭკნობელის დიდებითა; თქვენ გაახა-
რეთ ხელმწიფე იმპერატორი და მთელი რუსეთი; აღამაღლეთ
დიდება რუსის მხედრობისა და ჩვენში, ქალაქის წარმომადგენ-
ლებში და ყველა მცხოვრებლებში აღძერით ისეთი აღტაცება,
რომელიც სიტყვით არ გამოითქმის, არამედ მარტო ერთის და-
ძახილით: ურა!

12. სიტყვა თქმული 1878 წლის 2 მაისს თბილისში ირანის შაჰის ვიზიტის გამო

ქალაქის ნარმომადგენელთ აქვთ ბედნიერება მოგილოცოთ, თქვენო დიდებულებავ, ჩვენი ხელმწიფის მეგობარო, მშვიდობით მობრძანება ჩვენს ქალაქში და გაბედვენ გულითადი ნატვრის განცხადებას, რომ თქვენი მოგზაურობა დასრულდეს ისე, როგორც შეეფერება თქვენს დიდებას და განზრახვას.

13. სიტყვა თქმული 1878 წლის 20 ნოემბერს აჭარა-ქოზულეთის შიმოქრთებისადმი მიძღვნილ ნადიგზე

დღევანდლისთანა დღე დიდი ხანია სანატრელი იყო ჩვენთვის. ორიოდ სიტყვა მომახსენებინეთ ამისი განსამარტებელი.

ერთხელ საქართველოც ვრცელი და მაგარი ქვეყანა ყოფილა. ამაზედ გვემონებთან – ერთის მხრით – გმირული საისტორიო საქმეები, რომელსაც თვალწინ წამოგვიყენებს ერთი ცარიელი ხსენება ისეთის სახელისა, როგორც, მაგალითად, ვახტანგ გორგასლან, დავით აღმაშენებელი, დიდი და დიდად მნათობი თამარ მეფე; – მეორეს მხრით გვემონებთან ისეთი ხუროთმოძღვრებითი ამოსაკითხავები, როგორც, მაგალითად, ციხესიმაგრეები და ტაძრები შიგნით, და ტაძრები გარეთ, დიდის სიშორიდან რომ მოგვითხრობენ ქართველების ქველობასა და ღვთისმოყვარებას, – ათონის მთიდან, მაგალითად, იერუსალიმიდან.

ბუნების გამომეძიებლობით ვიცით, რომ ქვეყნიერებაში უძრავი არა არის-რა, და არც ჩვენი ერთობა და სიმაგრე მდგარა უძრავად. დროთა ბრუნვაში სხვა-და-სხვა შეტაკება მომხდარა და ერთი ისეთიცა, რომ დაურღვევია ჩვენი გვარ-ტომობითი კავშირი, – და ორასმა, სამასმა წელიწადმა განვლო, რომ აქაურ ქართველებს იქაური ქართველებისა არა გვსმენია-რა; – ისინი ჩვენთვისა სწუხდნენ, ჩვენ იმათთვის; – ჩვენ იმათი აღარა ვიცოდით-რა, იმათ ჩვენი.

ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს ვიქნებოდით ამ მდგომარეობაში, ჩვენ რომ დიდებულის რუს ხელმწიფისათვის არ მიგვენდო თავი. იმის მღვთიურმა ხალხთათვის ზრუნვამ მოგვემადლა

ეს შეერთება ამდენის ხნის დაშორებულებსა. როგორც კნიაზ-
მა გრიგოლ დიმიტრის ძემ წარმოსთქვა,¹ მისი დიდებულების
უქვეშევრდომილესს მადლობას განუზომელათა ვზდით ჩვენს
გულში და რადგან ახლა აგვიხდა სამას-წლეული ნატვრა, ვი-
სურვოთ, კნიაზ გრიგოლის სიტყვისამებრ, სიმტკიცე ამ ახლათ
აღდგენილის კავშირისა უკუნისამდე, – და ამ ჩვენს ძველს მოძ-
მეებს რომ თვალითა ვჰხედავთ და ძმურის სიყვარულით შევჰ-
ხარით, შევსვათ სადღეგრძელო იმათი!

14. სიტყვა თქვენი 1882 წლის 2 ოქტომბერს პაპლე ეგზარქოსის თბილისში ჩამოსვლასთან დაკავშირებით

თქვენო უსამღვდელოესობავ!

ყოვლადმონყალე ხელმწიფე იმპერატორის ნებით მოვლინებული ბრძანდებით მართლმადიდებელი ქართველი ხალხის ეგზარქოსად. ბედნიერი ჩამობრძანების პირველ დღესვე ზარივით გაისმა თქვენი სიტყვები: „მოვედი და მომაქვს მშვიდობა და კურთხევა“. არანაკლებ ღირსშესანიშნავია ის სიტყვები, რომელიც გვახარეთ და ჩვენც ღრმად ჩაგვებეჭდა გულში: „მე მოვედი, რათა დაუსრულებელი დავასრულო და გამრუდებული გავასწორო“. ყოველივე ამის შემდეგ გავკადნიერდები და ქართველი თავადაზნაურობის სახელით მოგესალმებით, ვითარცა სულიერ მწყემსს, რომელიც დალოცავს სამწყსოს, მშვიდობას მოუტანს მართლმადიდებლობის ერთგულ ქართველ ხალხს და გამრუდებულსაც გაასწორებს.¹

თქვენო უსამღვდელოესობავ!

ათას ხუთასი წელიწადია, რაც არსებობს საქართველოს ეკლესია. ათას ხუთასი წელიწადია იგი დგას, როგორც დასტური დიადი აღმოსავლური მართლმადიდებელი ეკლესიის სინმინდისა და ჭეშმარიტებისა. თხუთმეტი საუკუნის განმავლობაში ქართველი ხალხი არ განდრეკილა წმინდა მართლმადიდებლური მოძღვრების დოგმატებისა და ჭეშმარიტებისაგან. მას მაშინაც არ უღალატია რწმენისათვის, როცა განიცდიდა საში-

ნელ დარტყმებს ჩინგიზ-ყაენის, თემურლენგისა და სხვა უცხო სჯულის მხედრობისაგან, რომლებიც ცდილობდნენ, ამოეგლიჯათ ქართველის გულიდან წმინდა გრძობა ქრისტიანული სარწმუნოებისა. ასეთად დარჩა იგი დღემდე. მართალია, იმათ შორის, ვინც ჩვენ ცუდად გვიცნობს, არსებობს აზრი, თითქოს რელიგიურობა ქართველებისა დაბალ ხარისხზე იდგეს, მაგრამ ეს უსამართლო ბრალდებაა. ღვთისმოსაობა, რომელიც განმტკიცებულია მრავალსაუკუნოვანი ისტორიითა და განბანილია სისხლით, ღრმადაა ფესვგადგმული თითოეული ქართველის გულში. იმის აღიარება კი შეიძლება, რომ რელიგიური სულისკვეთება რამდენადმე შესუსტებულია მოსახლეობაში. ამის ძირითადი მიზეზი კი იმაში უნდა ვეძებოთ, რომ არა გვყავს კარგად მომზადებული მღვდელმსახურები, რომლებიც უნდა შეენიონ ხალხში წინაპართაგან ნაანდერძევი ღვთისმოსაობის შენარჩუნებასა და გაძლიერებას.

ეს ხარვეზი, თავის მხრივ, აიხსნება ქართველ მღვდელმსახურთა აღმზრდელი სემინარიის სასწავლო პროგრამაში არსებული ნაკლებეფანებით. მასში მეტისმეტად მცირე ადგილი აქვს დათმობილი ქართულ ენას; იმდენად მცირე, რომ სემინარიის ბევრი კურსდამთავრებული საერთოდ არ იცნობს საქართველოს ეკლესიის ისტორიას, უფრო მეტიც, მათ უჭირთ ქართულად წაიკითხონ ლოცვები და საღმრთო წიგნები, რომელთა ენა დღესაც ადვილად გასაგებია ხალხისათვის. არას ვამბობ იმაზე, რომ აღარა გვყავან მქადაგებელნი, რომლებიც გააძლიერებენ რწმენას და განამტკიცებენ სულიერ კავშირს მრევლსა და მოძღვარს შორის.

თავს ნებას ვაძლევ, თქვენი მწყემსმთავრული ყურადღება მივაპყრო ცხად ჭეშმარიტებას – ხალხს, რომელსაც აქვს მრავალსაუკუნოვანი სასახელო ისტორია, შეუძლებელია მოვთხოვოთ მისი დავინწყება, ხოლო ჩვენი წინაპრებისა და ჩვენი ისტორიის ანდერძია: ღვთის რწმენა, ხელმწიფე იმპერატორის ერთგულქვეშევრდომობა და თავდადება მამულისათვის. ჩვენ, შთამომავალნი ამ ხალხისა, გამოვცხადდით თქვენ წინაშე, როგორც

მწყემსმთავართან, რათა მოგილოცოთ მშვიდობით ჩამობრძანება და მივიღოთ თქვენი უსამღვდელოესობისაგან კურთხევა. გთხოვთ დაგვიახლოვდეთ, გაგვიცნოთ, გაიგოთ ჩვენი საჭიროებები, ღმობიერებით მოეპყროთ ჩვენს სისუსტეებსა და ნაკლებულევანებებს. ჩვენ კი, ჩვენი მხრივ, შევასრულებთ თქვენს დანებსებს, რადგანაც დარწმუნებული ვართ, ისინი ქართველი ხალხის სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისაკენ იქნება მიმართული.

შეგვენიოს უფალი თქვენცა და ჩვენც, რათა აღსრულდეს ის სანუკვარი ნადილი, ჩამობრძანებისთანავე რომ გვამცნეთ – დამყაროთ სულიერი კავშირი მწყემსსა და სამწყსოს შორის.

15. სიტყვა თქმული 1885 წლის 30 მაისს ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლად არჩევის გამო

მანამდის ხემწიფე იმპერატორისაგან დამტკიცებას ველირსებოდე, მარშლის ნოდებით გამოსვლა რიგი არ არის.

მე მოვედი აქ ასე, შინაურულად, როგორც მოძმე თქვენი, ერთის ოჯახის შვილი; – და მოვედი მხოლოდ იმისთვის, რომ მაღლობის გამოთქმა მოვახერხო როგორმე, რაც თქვენ დიდი პატივი მე დამდეთ, იმისი დაახლოვებით მაინც შესაბამი.

სატრაბახო ჩემთვის, დიდად სასიქადულოა თქვენი აღრჩევა, მეტადრე ისეთი, როგორც თავადმა აღმასხანმა ბძანა,¹ უმაგალითო ერთხმოზა და ერთსულოზა ძველთა და ახალთა შორის, რომლითაც თქვენი საერთო ღირსება ასახელეთ.

დიდად ვაფასებ მე ამას და – მეტი რომ არ შეიძლება – ისე დავალებული ვარ ამ თქვენის აღრჩევით. მაგრამ ამასაც კი ვგრძნობ, რომ სიტყვა ცარიელ სიტყვად დარჩება, თუ საქმითაც არ დამტკიცდა.

საქმის დამტკიცებას მე ასე აღვითქვამთ:

მანამდის ჩვენებურის კეთილშობილური შეურყევლობით და შეუპოვრობით ვიდგებით სიმართლისა და კანონიერების გზაზედ, – და ხომ კარგად მოგეხსენებათ, რომ დასაბამი და დასასრული ამ გზისა ჩვენი გულითადი, ნრფელი ერთგულება არის ჩვენის ხემწიფე იმპერატორისა, – მანამდის ამ გზაზედ ვიდგებით, პირობას გაძლევთ, პირობას პატიოსანს, კაცურს, რომ არასოდეს, არა რაისათვის არაფერს მოვერიდო და არას შემთხვევაში არ დავზოგო არც დრო და არც შრომა ჩემი ჩვენის საზოგადოების სარგებლობისათვის.

როდესაც დამტკიცებას ვეღირსები,² ამ აღთქმას ჯვარსა და სახარებაზედ ფიცით მოუნდება დამონმება და მაშინ თქვენი საგუბერნიო წინამძღოლი თქვენს დეპუტატებსა და თქვენს მაზრის მარშლებს მივმართავ ამ სიტყვებით: – აბა, ბატონებო! მხარი-მხარს ახლა, ხელი-ხელს და ასე, ყოველი ჩვენი ღონის შემოკრებით, წინ ვუძლოდეთ ჩვენს თავად-აზნაურობას მისს წინმსვლელობაში და მისს მიმართულებაში.

ეს იყო ამ თავით ჩემი სათქმელი, თუ რომ საკმაოდ ცხადად გამოვსთქვი.

მაგრამ ესეც კი უნდა ჩავეიჭდიოთ გულში, რომ თქვენნი წინამძღოლნი მხნედ ვიქნებით თქვენს სამსახურზედ, მანამდის თვალ-სახილველად გვექნება ის უძლეველი ღონიერება, რომელსაც ჩვენს ენაზედ ეწოდება:

„თანხმობა და ერთსულობა საზოგადოებისა!“

16. სიტყვა თქმული 1885 წლის 5 ოქტომბერს ქუთაისში მიხეილ ნიკოლოზის ძის პატივსაცემად გამართულ ვახუშაშვი

თქვენო იმპერატორობითო უმაღლესობავ!

იმერეთის თავადაზნაურობას ასე მოკლე დროში რომ შესძლებოდა შეკრება, ოდნავი ეჭვიც არ არის, უკლებლივ ყველა აქ იქნებოდა, რათა თქვენს იმპერატორობით უმაღლესობას მისალმებოდნენ; მაგრამ ეს შეუძლებელი იყო და ამიტომაც მე, როგორც მათი წინამძღოლი, თქვენი უმაღლესობის წინაშე ვადასტურებ მთელი წოდებრივი ფენის სოლიდარობას იმ გრძნობების მიმართ, რომელიც ახლახან ქალაქისთავმა გამოხატა.¹

თავადაზნაურობა, ისევე, როგორც მთლიანად მოსახლეობა, გრძნობს რა თქვენს კეთილგანწყობილ ყურადღებას, სამომავლოდაც თქვენზე, სათაყვანებელი მონარქის უმაღლეს და უახლოეს წარმომადგენელზე, ამყარებს მთელ თავის იმედებსა და სასოებას.

ხელმწიფის მიმართ ჩვენი უსაზღვრო ერთგულება და მისთვის თავდადება თქვენ სხვაზე უკეთ მოგეხსენებათ. ხოლო იმისათვის, რომ უფრო მკაფიოდ გამოვხატოთ ჩვენი გრძნობები და, ასე ვთქვათ, თქვენი კეთილგანწყობაც გავალრმაოთ, თავს ნებას ვაძლევ თქვენთვის ყველაზე ძვირფასი სადღეგრძელო წარმოვთქვა:

იღღეგრძელონ მისმა უმაღლესობამ, ოლგა თეოდორეს ასულმა² და მისმა უავგუსტოესმა შვილებმა.

17. სიტყვა თქმული 1885 წლის 20 ოქტომბერს სენატის სააზნაურო სკოლაში

„ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა“. – ადამიანი ისეა დაბადებული, რომ რაკი შვილი მიეცემა, სულ იმას ჰფიქრობს და იმასა ჰზრუნავს, რა დავუტოვო, როგორ დავუმკვიდრო უზრუნველი ცხოვრებაო.

ზოგი იმით იოხებს გულსა, რომ ფულებს უგროვებს. ზოგი იმითი, რომ ადგილ-მამულს უმზადებს. მაგრამ, წარმავალია ეს ყოველივე: ფული ადვილად დაიხარჯება, ადგილ-მამული შეიძლება სადავოდ გახდეს და სასამართლოში წაგებულ იქმნეს.

გაცრუვდა ხომ მაშინ ყოველი იმედი მშობლისა; უნუგეშოდ, უღონოდ დარჩნენ ხომ მაშინ იმისი ობლები! ამაზედ იყო, რომ ვსთქვი: „ხერხი სჯობია მეთქი ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა!“

მაგრამ – სად არის ეს ხერხი?

აქ არის, ამ სახლში, ამ სასწავლებელში!

რა არის მერე ეს ხერხი? – ეს ხერხი არის **სწავლა**.

სწავლას დაჰყვება ცოდნა; – და იპოვება ჩვენში ვინმე ისეთი, რომ აღრიცხვას შეიძლებდეს, გამოიანგარიშებდეს, რა და რა საქმეში გამოიყენებს კაცი თავის ცოდნასა, – რა და რა გაჭირვებასა და განსაცდელს გადაივლებს თავიდან თავისი ცოდნითა?

სწავლას დაჰყვება მეცნიერება და მეცნიერება ის ხერხია, რომლის მოხმარებითაც შეიტყობენ და შეგვატყობინებენ, ამა და ამ დროს, ამა და ამ ადგილს მზე, თუ მთვარე ამა და ამ გვარად დაბნელდება და ამდენსა და ამდენს წამს შემდეგ ისევ განათლდებაო. –

ის ხერხია მეცნიერება, რომლითაც კაცი განუზომელს ჰზომავს; განუვალს განვლის; ზღვის ლელვა-ფურთვნას არაფრად აგდებს; მზის სინათლეს იგდებს ხელში და თვის ნებისად ამუშავებს; – ზოგს ცეცხლით, ზოგს ელექტრონის ძალით, ე. ი. ხელოვნებითი ელვა-ჭექის გამოყენებით და ზოგს ცალიერი ანგარიშით.

მეცნიერება ის ხერხია, რომელმაც შინმჯდომარე კაცს ათქმევინა, ამა და ამ ცისმნათობთა შორის ამა და ამ ღამეს გამოჩნდება ვარსკვლავი, რომლის სხივი ფიქრის უსწრაფესად მორბის მსოფლიოს დაარსებიდამ – აქამომდე და მხოლოდ ახლა უნდა მოაღწიოს ამ ჩვენს ქვეყანასაო. –

ან მე რას ვამბობ, რომ მკითხავდეს ვინმე!

ცოდნასა და მეცნიერებას გარდა სწავლას დაჰყვება ის ღვთიური სინათლე გონიერებისა, რომლის ძალითაც აღვიარებთ და გვრწამს გონება მიუწდომელი ყოვლის შემძლებლობა ყოველთა ხილულთა და არა ხილულთა შემოქმედისა. ერთის სიტყვით: სწავლა აპატიოსნებს კაცსა, აფაქიზებს, აღონიერებს, ზე აღავლენს და ღირს ჰყოფს დაუსაბამოსთან მიახლოებისა.

ეს დაჰყვება სწავლას და ამ სწავლისათვის არის ეს სკოლა გამართული.

მაშ ერთითა სულით და ერთითა გულით ვთხოვთ მის ყოვლად-სამღვდელო მეუფებას¹ ავედროს უზენაესს კაცთმოყვარეობისა ეს სკოლა და მას შინა მშრომელნი მოწაფენი და მასწავლებელნი.

18. სიტყვა თქმული 1886 წლის 14 იანვარს ქუთაისში, ნინოშვილის დღესასწაულზე

ორიოდე სიტყვას მოგახსენებთ დღევანდელს დღეობაზედ.

შავი-ზღვის სამხრეთის მხარე. რომელსაც კაპპადოკია ეწოდებოდა, ქართველთ ტომის საცხოვრებელი ყოფილა, როგორც ძველი მოთხრობებიდამ სჩანს და ახლა ეწოდებათ იმათ ჭანნი ან ლაზნი.

ამ კაპპადოკიაში ერთს ქალს ღვთის სიყვარულმა და ქრისტეს სარწმუნოებამ ისე აღუგზნა გული, რომ ამ ჩვენს საქართველოში წამოსვლა გააბედვინა. გადმოლახა მრავალი მთა და ხეობა, გამოიარა მრავალი განსაცდელი და თავისი ცხოველი ქადაგებით ნათელი ქრისტესი მოჰფინა მრთელს ამ ჩვენს ქვეყანას. ქალი იყო ისა, წმიდა ნინა, მოციქულთა თანასწორი, ქართველთ განმანათლებელი. ასე იხსენიებს მას ისტორია და ასე აქებს მას დღევანდელს დღეს ჩვენი მართლ-მადიდებელი ეკლესია. ჩვენც ამ დღეობამ შეგვკრიბა აქ და ჩვენი ნადიმობის პირველი თასი უნდა ეკუთვნოდეს ქალებს: ღმერთმა ადღეგრძელოს ჩვენი ქალები!

სხვადასხვა

1832 წლის შეთქმულების საბამომიქივლო კომისიისათვის მიცემული ჩვენება

1. ჩვენება 1832 წლის 13 დეკემბრისა

წარსული, 1831 წლის ნოემბერში იყო ჩემთან ჩემი ამხანაგი მასწავლებელი ავთანდილოვი, რომელსაც როგორღაც შევსჩივლე ჩემს მარტობაზე, რომ მე სრულებით არა მყავს ნაცნობები, რომლებთანაც შემიძლოს თავისუფალი დრო მხიარულად გავატარო და რომ ამიტომ ხანდახან ვგრძნობ მეტისმეტ მოწყენილობას.¹

ავთანდილ. — რას მომცემ, რომ გაგაცნო ისინი, რომლებთანაც მე ვარ მეგობრულ დამოკიდებულებაში!

მე. — მართლა?... ვინ?..

ავთ. — აი ვახტანგი თავისი ძმით ალექსანდრეთი,² კიდევ გიორგი ერისთავი. შენ, ვგონებ სრულებით არ იცნობ მას?

მე. — არა; ვინ არის ის?³

ავთ. — კარგი ახალგაზრდაა; ისეთი მხიარული! ის ვაჟია დავით ერისთავის, სახაზინო ექსპედიციის მრჩეველი რომ იყო, ხოლერით მოჰკვდა.

მე. — მოილე მოწყალება, ძმაო, გამაცანი. შენ ამით მე დიდათ დამავალე.

ამის შემდეგ ჩვენ ვილაპარაკეთ ცოტა ხანს ჩვენი მოწაფეობის დროის შესახებ და შემდეგ ის წავიდა ჩემგან, დამაიმედა, რომ გამაცნობდა ახალ წრეს.

უნდა აღვნიშნო, რომ რამდენიმე დღით ამაზე წინ ვინმე მესანგრე ბათალიონის პრაპორშჩიკმა გამაზოგმა მთხოვა გადა-

მეთარგმნა ქართულ ენაზე მის მიერ შეთხზული ვოდვეილი: Грузины 19-го века или Удачное сватовство.

ამ შემთხვევამ მე გამაცნო ზემოხსენებული გიორგი ერისთავი, რომელიც სთარგმნიდა ლექსებს ამ კომედიიდან.⁴

ორი კვირის შემდეგ ავთანდილოვმა წამიყვანა მე ალექსანდრე ორბელიანის სახლში და გამაცნო როგორც ის, ისე მისი ძმა ვახტანგიც.

ამ რიგათ ნოემბრის დამლევამდე მე გავეცანი დასახელებულ სამ პირს, რომელთაც განიზრახეს ყველიერში ეთამაშათ კომედია-ვოდვეილი „Знакомые незнакомцы“,⁵ ქართულ ენაზე გადმოთარგმნილი ვახტანგ ორბელიანის მიერ. დაიწყო რეპეტიციები და მით ჩვენ დავახლოვდით, თუმცა კომედია აღარ დადგმულა.

წარსული წლის მარტში მასწავლებელმა დოდაშვილმა მიგვიწვია ჩვენ: ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანები, გიორგი ერისთავი (რომელსაც მე შემდეგ ვუნოდებ პირველს, რადგან საუბარი გვექნება მეორე გიორგიზეც),⁶ ავთანდილოვი და მე, თავის სახლში ჩაიზე. იმ დროს ის ცხოვრობდა ახვერდოვის სახლში. მისგან ჩვენ წამოვედით საღამოს 8 საათზე: მე, ერისთავი და ავთანდილოვი. მე გზაში შევნიშნე, რომ ეს უკანასკნელი ერთმანეთში რალაცაზე ჩურჩულებდენ და თითქოს ჩემდა გასაგონადაც სთქვეს ეს სიტყვები:

ერისთ. – არა, ჯერ კიდევ არ შეიძლება, რომ მას ვუთხრათ.

ავთ. – ჰო, საჭიროა დავიცადოთ.

სთქვეს და კიდევ შეასრულეს. მაშინ იმათ ჩემთვის არაფერი არ გაუმჟღავნებიათ, მიუხედავად ჩემი ხვეწნა-მუდარისა.

გაიარა რამდენიმე ხანმა, მაგრამ მე არ შემეძლო დამევიწყებია ეს და ამას გარდა, როცა მივდიოდი ორბელიანებისას, თითქმის ყოველთვის მომმართავდა ხოლმე ალექსანდრე კითხვით: „ა, დიმიტრი ივანეს-ძევ! თქვენ არ წავიკითხავთ უკანასკნელი გაზეთები?“ მე ხან ვეტყვოდი, რომ წავიკითხე, ხან კი არა თქო.

„უჰ, ეს წყეული ფრანგები, მითხრა მან ერთხელ, ან ისევ ჰოლანდიელები“, – და ამავე დროს გადმომცა „Северная пчела“-ს

ფურცლები,⁷ რომელშიაც მირჩევდა ნამეკითხა განსაკუთრებით თანამედროვე პოლიტიკა. მაგრამ მე მაინც ვერ მივხვდი.

დეკემბრის პირველ რიცხვებში თუ ნოემბრის უკანასკნელ რიცხვებში, ერთი სიტყვით, დეკემბრის მარხვის პირველ კვირაში, ავთანდილოვი მართავს ვახშამს, რომელზეც მინვეულნი იყვნენ: ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანები, გიორგი ერისთავი I-ლი, მე, სიძე ავთანდილოვისა გამაზოვი და ვილაც გიმნაზიის მოწაფე თავადი დავით მაჩაბელი.

ვახშმის გათავების შემდეგ სტუმრებს უნდოდათ წასვლა, მაგრამ ყველანი დაარჩინეს, გარდა ორი უკანასკნელისა. და აი იქ მე გავიგე მათი იერიშები ჩემს მიმართ, როცა ჩემდა საკვირველად გავიგონე, თუ როგორ ჰკიცხავდენ რუსულ მართველობას. მაგრამ ჯერ კიდევ ყველანი ფრთხილად მსჯელობდენ. იხმაურეს, იდავეს და დაიშალნენ. მე და ერისთავი I-ლი ერთი გზით წამოვედით, ვისარგებლე შემთხვევით და დავუნყე ხვეწნა, გაემჟღავნებია ჩემთვის საიდუმლო, რომლის შესახებაც ის და ავთანდილოვი ჩურჩულებდენ ერთმანეთში.

ერისთ. I-ლი – თუ მომცემ პატიოსან სიტყვას, რომ არსად ამის შესახებ სიტყვას არ დასძრავ, ინებე!

მე. – აი ჩემი ხელი.

ერისთ. I-ლი – აბა მისმინე! ჩვენ გვაქვს ერთი საზოგადოება, რომელიც...

მე. – ო, დაამთავრეთ, თუ ხათრი გაქვთ! ოჰ, ღმერთო ჩემო! მე ერთიან ვკანკალებ სიცივისაგან!

ერისთ. I-ლი – რომელიც აწყობს შეთქმულებას.

მე. – როგორ?.. ნუთუ მართლა?

ერისთ. I-ლი – ჩუმათ, თუ ხათრი გაქვს, ყურს არაავინ გვიგდებდეს; მაგრამ ახლა ხომ შუალამეზე გადასულია. ნუ შიშობ... როგორ კანკალებ! ჩვენი საქმის წამომწყებნი ცნობილი მთავარი პირები არიან, განსაკუთრებით ჭავჭავაძე,⁸ რომელიც შენ საკმაოთ კარგად გიცნობს და გვეუბნებოდა, რომ როგორმე შენ...

მე. – (ცოტა მორბილებულად) ჰო, ჰო! რომ მე ჩაგეჭირეთ! ნააქეზე ჩემი თავმოყვარეობა... შემდეგ?

ერისთ. I-ლი – ამრიგათ ახლა შენ ჩვენი ხარ. თავისთავად ცხადია, რომ მე არ მცოდნოდა, რომ შენ გაქვს გონიერება, რომ შენაც სავსებით შეგიძლია იგრძნო სიყვარული და თავდადება შენი სამშობლოსადმი, რომელიც ახლა საკმაოდ კრიტიკულ მდგომარეობაშია, მაშინ რა თქმა უნდა, ამ მნიშვნელოვან საქმეს არ გაგვიშლავნებდი. აბა, ახლა შენი იმედი მაქვს. მშვიდობით!

მე. – კარგი... მშვიდობით!⁹

და თავჩაქინდრული გავსწიე სახლისაკენ. საუბარი ჩვენ გვექონდა იმ ადგილას, სადაც ახლა პრიბილის სახლი შენდება.¹⁰

მე დავინყე ფიქრი ამ მნიშვნელოვან საქმეზე და გადავსწყვიტე დრომდე არ ჩამოვშორებოდი მათ.

რამდენიმე დღის შემდეგ ამავე ამბავს მიცხადებს თავის სახლში თავადი ვახტანგ ორბელიანი; და შემდეგ მისი ძმა ალექსანდრეც.

ამ მდგომარეობაში გადის ზამთარი; დგება გაზაფხული. თავადი ვახტანგი გადადის საცხოვრებლად თავის ბაღში და გვთხოვს ვიაროთ მასთან. ამავე დროს მე ვგებულობ ავთანდილოვისაგან, რომ დიდი ხანია მას ეს ამბავი განუცხადეს და რომ ამ შეთქმულების სისრულეში მოყვანა სურდათ ერთ და იმავე დროს პოლონელებთან ერთად, მაგრამ პოლონელების დამარცხებამ დაშალა მათი განზრახვები, რომელთაც სავსებით მაინც არ ეშვებინ.¹¹

ორბელიანებისას მე გამაცნეს თავადი ელიზბარ ერისთავი და სულიწმინდის კვირამდე ჩვენ ერთმანეთს ხშირად ვნახულობდით. ამ ხანებში თუ ვგონებ აღდგომის მესამე დღეს, მე გამაცნეს კიდევ ერთი ქართველი რაზმაძე, პეტერბურგიდან ჩამოსული და გრაფი სიმონიჩი.¹²

რამდენიმე კვირის შემდეგ, თუ რამდენიმე კვირით ადრე, არ შემიძლია დაბეჯითებით ვთქვა, ტფილისში გარდაიცვალა ვილაც თავადი ჩოლოყაშვილი და ის წაასვენეს კახეთში.¹³ სხვებთან ერთად გასვენებას გაჰყვა გიორგი ერისთავი I-ლი, რომელმაც, როცა ტფილისში დაბრუნდა, მე და ავთანდილოვს წაგვიკითხა რომელიღაც აქტი, ქართულ ენაზე, რომლის მიზანიც იყო

შექმნა ერთგული და ფარული ძმობა; აქტი დაწერილი იყო ვილაც კახელი ბერის მიერ, რომელსაც ის გადაეცა ერისთავისთვის.¹⁴ ერისთავი ჩვენგან მოითხოვდა, რომ დაგვედო საიდუმლო ძმობის ფიცი, ამ აქტის თანახმად. ამაზე მე და ავთანდილოვი არ დავთანხმდით.¹⁵

ა. ნ. ივნიისის ბოლო რიცხვებში თავადმა ელიზბარ ერისთავმა ავთანდილოვის პირით, სხვათა შორის, მეც დამპატიჟა თავის ბინაზე სადილად. ის სცხოვრობდა მაშინ თავისი სიძის, კოლეგის მრჩეველ მელნიკოვის სახლში. მე გავფურე ავთანდილოვს, მერე ვახტანგ ორბელიანს და ჩვენ სამნი წავედით ელიზბართან, სადაც ჩვენ დაგვხვდნენ: ზემოდ ნახსენები სოლომონ ივანეს ძე რაზმაძე, დოდაშვილი და ელიზბარის ძმა, არტილერიის პრაპორშჩიკი დიმიტრი. შემდეგ მოვიდნენ: ალექსანდრე ორბელიანი და გიორგი ერისთავი I-ლი. აქ ელიზბარმა გამაცნო მე თავის ძმას.¹⁶ რომ სტუმრები რამეთი გაერთოთ, სთხოვეს რაზმაძეს წაეკითხა მის მიერ რუსულიდან ქართულად გადმოთარგმნილი: მიცკევიჩის „ფარისი“.¹⁷ ამის შემდეგ აუტყდენ დოდაშვილს და განსაკუთრებით ელიზბარი ეუბნება მას სიცილით: „როგორ გაბედე შენ დაგებეჭდა შენს ჟურნალში ისეთი სტატიები, რომელთათვისაც სხვა ჟურნალისტს პასუხის გეპაში მისცემდენ?“¹⁸

დოდაშვილი – რა?

ელიზბ. – აი მაგალითად ბატონი სენატორის ბიძაჩემის ლექსები.¹⁹ ისინი რომ ახსნა-განმარტო, იცი რომ...?

დოდ. – არაფერია. სანკოვსკიმ განიხილა;²⁰ მე რა მესაქმება.

ელ. – იმიტომაც! ან კიდევ: პოემა ამ ახალგაზრდა პოეტისა (უჩვენა გიორგი ერისთავ I-ზე).²¹

ერისთ. I-ლი – არა! შენ ასე დასწერ.

რაზმაძე – მართლა, ხუმრობა გაშვებით, მან საკმაოდ გაბედულად დასწერა: ეს არც ხუმრობაა.

ელ. – აბა, ნაიკითხე!

და გიორგი ერისთავმა I-მა წაგვიკითხა ზეპირად ერთი ადგილი დოდაშვილის მიერ გამოცემულ ჟურნალში მოთავსებულ თავისი „ოსური მოთხრობიდან“, რომელზედაც ლაპარაკობ-

დენ და რომელიც ნათქვამი იყო საკმაოდ მაგრათ. შემდეგ თავი მიანებეს ამ პოეტების გაბედულებაზე სჯა-ბაასს და კაცი გაუგზავნეს მოსაპატიუებლად „экспедиция суда и расправы“-ს²² თარჯიმანს მამაცაშვილს, რომელიც მოვიდა. სადილის დროს ლაპარაკობდნენ ქართულათ საკმაოდ გაბედულათ თავიანთ განზრახვების შესახებ. სტუმრებმა დალიეს შამპანიურით თავის უფლები სადღეგრძელო, შემდეგ ჩამოაგდეს ლაპარაკი ქართლზე და კახეთზე, რომელი მათგანი უფრო დაეხმარება საქმეს. კახელების დამცველი იყო დოდაშვილი, ქართლელების კი – ერისთავი I-ლი, რომელიც ოხუნჯობდა და მოსწრებული სიტყვებით სჯაბნიდა პირველს.

ერისთ. I-ლი – აი უცნაური კაცი! იცავს კახელებს, რომლებიც ერთ ლეკს რომ დაინახავენ, აღარ იციან სად დაიმალონ. მე ვყოფილვარ იქაც.

დოდ. – ჰო! იციან: ქართლელებმა თუ კახელებმა რომელმა მათგანმა გამოიჩინეს თავი მე-12-ე წელს!²³ რაა თქვენი ქართლელები. იმათ არაფერი არ იციან.

ერ. I-ლი – ჰო, ყველა ხომ ისეთი ფილოსოფოსი არ იქნება, როგორც შენა ხარ; ან ისეთი სულელები, როგორიც თქვენა ხართ.

ამ სიტყვებზე ყველამ ხარხარი დაიწყეს. იმ დღის საღამოს 5 საათზე ყველა სტუმრები გაემართენ ორბელიანების ბაღისაკენ ცალ-ცალკე, რომ არ აღეძრათ რაიმე ეჭვები საზოგადოებაზე. „რუსები ხომ გაიძვერები არიან“, – სთქვა რაზმაძემ. ბაღში შეკრებილებმა დაიწყეს სჯა-ბაასი იმავე საგანზე და მე გავიგე, რომ ელიზბარსა და დიმიტრის აქვთ მიწერ-მოწერა ერთი მეოთხედი ფურცელი დანახაზიანი და შენიშვნებიანი ქალაქის საშვალეებით, რომელიც ბატონიშვილთან რუსეთში და აწვდიან ცნობებს თავიანთი მოქმედების შესახებ, ისე, რომ თუნდაც ხელთ ჩაუვარდეს ვინმეს ის წერილი, ვერავინ გაიგებს მის ნამდვილ შინაარსს, საიდუმლო ფურცლის უმისოდ.²⁴ იქვე რაზმაძეს, ორბელიანებს, ერისთავს I-ლს, ავთანდილოვს და მე გვეუბნებოდნენ, რომ საჭირო იქნება ვსთხოვოთ დახმარება კაზი-მულ-

ლას და ეგვიპტის ფაშას²⁵ და რომ საჭიროა გაიგზავნოს ვინმე ბატონიშვილთან და ყველაფერი აცნობოს. წასვლის სურვილი აღტაცებით განვაცხადე მე, მაგრამ მათ ხარჯზე და სავსებით სხვა განზრახვით: წავსულიყავ პეტერბურგში და აღარ დავბრუნებულყავ;²⁶ და პირველად ჩემს ცხოვრებაში მინდოდა მათი მოტყუილება; მაგრამ არ ვიცოდი, რომ ტყუილებში ისინი უფრო მოხერხებულნი არიან. ცოტა ხნის ბაღში სეირნობის შემდეგ დავიშალენით. რამდენიმე დღის შემდეგ ჩვენ: ელიზბარ და დიმიტრი ერისთავები, ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანები, ავთანდილოვი და მე ისევ შევიკრიბენით იმავე ბაღში.

ელიზბარ – რას ფიქრობთ ბატონებო! როგორ ვუშველოთ ამ საქმეს!

ალექ. – დიახ, დიახ! მართლაც რა ვქნათ? მოიფიქრეთ გეთაყვა.

დიმ. – ის ხარი მუხრანსკი უნდა როგორმე მოვიშოროთ.²⁷

ვახტ. – ისევ მუხრანსკი! მე შენ გითხარი, რომ აქ გვაროვნული შუღლი უნდა დავივიწყოთ.

ალექ. – არა, დიმიტრი, არ შეიძლება.

დიმიტ. – არ შეიძლება? როგორმე მოვაშოროთ ის სამოქმედო არეს. უბრალოთ დავიჭიროთ ყველანი და ჩაკეცოთ ერთ ადგილას.

ალექ. – არა! მას აქვს გავლენა ბრბოზე.

ელიზბ. – გვობრძანეთ, რა უნდა ვქნათ? ის ისეთი არამზადაა, რომ ყველაფერს გააფუჭებს.

მე – არა, არ შეიძლება მისი ასე გამოზა. იმან არ იცის თქვენი კანონი და ამიტომ უთუოდ სულელი უნდა იყოს?

დიმ. – რაზე მსჯელობთ თქვენ?

მე – არაფერზე.

დიმ. – აი კიდევ მაგალითად ჭილაშვილი.²⁸ აი ასეთი ხალხი ჩვენ დავგვლუპავს. როგორც სურო, ისეა მიკრული რუსებზე.

მე – ჰმ (ჩემთვის). ახლა მე ვხვდები.

ელიზბ. – (ჩემსკენ მომართვით) რაზე ლაპარაკობთ!

მე – მე ისე, ერთი საქმე გამახსენდა.

ვახტ. – კმარა ძმაო მელანქოლია! აი მეორე ჩემი ძმა.²⁹

ალ. – ჰო, ისიც ჩაფიქრდება ხანდახან.

დიმ. – თავი გაანებეთ; მაგათი... არა, ჭილაშვილი უთუოდ უნდა დაილუპოს.

ალექ. – მე შენ გირჩევ, დიმიტრი... ის დიდი კაცია. საჭიროა მოვიმხროთ, სანამ მას არა აქვს თავისი ღირსების შესაფერი ადგილი, თორემ შემდეგ ვერაფრით ველარ მოვაშორებთ მას რუსებს. მე თქვენ გირჩევდით... მოდი ელიზბარ შეარიგეთ ის თქვენს ბიძას, თავადს სენატორს გიორგის.³⁰

დიმ. – აი ეს კი აღარ შეიძლება.

ელიზბ. – ბიძა ჩემი უფრო ადრე სატანას შეურიგდება, ვინემ ჭილაშვილს. იმას მისი სისხლი სწყურია, როგორც ნყალი პაპანაქებაში.³¹

დიმ. – არა, არ შეიძლება, ის უთუოდ უნდა მოვკლათ, სხვაგვარად შეუძლებელია.

მე – (ჩემთვის) ვინ არის ნეტა ეს ჭილაშვილი.

მაგრამ ბოლოს ისინი დააჯერეს, რომ საჭირო არ არის მუხრანსკის და ჭილაშვილის მოკვლა.

ა/წ ნოემბრის პირველ რიცხვებში სალამოზე მიგვიწვია თავის სახლში ალექსანდრე ორბელიანმა და მასთან შევიკრიბეთ ყველანი, გარდა რაზმაძისა, რომელიც გრაფ სიმონიჩთან ერთად წასულიყო სპარსეთში, – და კიდევ, გვარდიის კაპიტანი ჩოლოყაშვილი, რომელსაც ჩვენ არ ვიცნობდით და იმ სალამოს გაგვაცნო ალექსანდრემ. ყველანი მოუსხედით მაგიდას და წინ გვედო გაზეთები თითქოს საკითხავათ. მაგიდას უსხდნენ შემდეგი პირები: თავადი ჩოლოყაშვილი, ალექსანდრე ორბელიანი და მისი ძმა ვახტანგი, ელიზბარ ერისთავი და მისი ძმა დიმიტრი, დოდაშვილი, მამაცაშვილი, ავთანდილოვი და მე. გიორგი ერისთავი 1-ლი მაშინ იმყოფებოდა მთიულეების წინააღმდეგ ლაშქრობაში. დაიწყო მსჯელობა. უნდა აღვნიშნო, რომ ვახტანგმა გაგვაფრთხილა მე და ავთანდილოვი, რომ არ შევშფოთებულეყავით ცნობის მიღებაზე, რომელსაც იქ მივიღებდით.

საუბარი დაიწყო:

ალექს. – (მიიხედ-მოიხედა ირგვლივ და ნელი ხმით) ბატონებო! ჩვენ ახლა ყველას უნდა განუცხადოთ, რომ ჩვენი განზრახვები მალე უნდა შესრულდეს.

მე – ყოველ შემთხვევაში არა უადრეს 20 წლისა?

ყველამ, გარდა მამაცაშვილისა, შეჰქმნეს ხარხარი.

მე – რა არის აქ სასაცილო (ცოტათი შეურაცხყოფილად).

ალექს. – კმარა ხუმრობა. ახლა სიცილისთვის არა გვცალიან.

ჩოლოყ. – განაგრძეთ, განაგრძეთ!

ალექს. – მოგეხსენებათ, რომ თავად-აზნაურობა მალე შეიკრიბება კენჭის საყრელად.³²

ელიზბ. – ჰო, აი იქ შეიძლება, თუ რამ შესაძლოა რომ გაკეთდეს. გადადება აღარ უნდა. აი ჩვენ იასესას ამაზე ვლაპარაკობდით.

მამაც. – კარგი, მაგრამ როგორ აპირებთ ასე სახელდახელოდ ყველაფრის გაკეთებას? არავითარი საამისო საშუალება ჩვენ არა გვაქვს და კიდევ ასი წელი არ გვექნება.³³

ამ დროს შემოვიდა სოფლიდან ახლად ჩამოსული გუსართა ოფიცერი გიორგი ერისთავი 2-ე, რომელიც მოგვესალმა ყველას და რომელსაც ჩოლოყაშვილი ეკითხებოდა შინაურების ამბავს, დედის და სხვა. შემდეგ ისევ დაინყეს მსჯელობა საშვალეების შესახებ და ჩოლოყაშვილი ასაბუთებდა როგორც შესაძლებლობას განზრახვისა, ისე მის შეუძლებლობას. ის ამბობდა, რომ შესაძლებელია რუსის ჯარები შეჯგუფდნენ სადმე სამხრეთ ნაწილში, სადაც მათ შეუერთდებოდა მთებში მყოფი ჯარის ნაწილებიც; და რომ ქართულ მილიციას³⁴ იქიდან უკვე აღარ გამოუშვებენ და აიძულებენ თავისიანების წინააღმდეგ ბრძოლას და სხვა. ერთი სიტყვით შეთქმულების გამარჯვებას ის ხატავდა შესაძლებლად და შეუძლებლად. მალე მოგვართვეს ვახშამი და ჩვენც ცალ-ცალკე დავინყეთ საუბარი სხვადასხვა საგნებზე; მაგრამ უცებ ერთის ხმამ მიიქცია საერთო ყურადღება და გამოიწვია გულიანი სიცილი. მაგრამ მე, ვინაიდან ვილაცას, არ მახსოვს ვის, ველაპარაკებოდი და თანაც

ჩაფიქრებული ვიყავი, ვედარ გავიგე, ვინ სთქვა და რა მოსწრებული სიტყვა იყო. მაგრამ შემდეგ გავიგე, რომ დოდაშვილი კისრულობდა ყველაფერს და განსაკუთრებით პასუხისმგებლობას კახეთის მხრით.

იქვე გამოითქვა აზრი, რომ საჭიროა უთუოდ ჩაბმულ იქნას საქმეში ხალხში ავტორიტეტის მქონე თავადები: გენერალი ჭავჭავაძე (რომლის შესახებაც მე თავდაპირველად მეუბნებოდა გიორგი ერისთავი I-ლი) და მაიორი ლუარსაბ ორბელიანი და 20 ნოემბერს უთუოდ მოენყოს აჯანყება. მაშინ რომ დავშორდით, მის შემდეგ, მადლობა ღმერთს, ერთმანეთი აღარ გვინახავს 23 ნოემბრამდე. ამ დრომდე თუმცა მე ვხვდებოდი ვახტანგ ორბელიანს და მის ძმას, მაგრამ ამ საქმის შესახებ არაფერი გვილაპარაკია. 23 ნოემბერს მე შემთხვევით შევხვდი ელიზბარ ერისთავს და ვუთხარი, რომ 20 ნოემბერი უკვე წავიდა. მან მიპასუხა მხოლოდ ამოოხვრით. ამის მიზეზი, როგორც მე გავიგე იმავე დღეს, ყოფილიყო ის, რომ ვერ მოიმხრეს ვერც ჭავჭავაძე და ვერც ლუარსაბ ორბელიანი და ამის გამო ყველა ოცნების კოშკები დაიმსხვრენ.³⁵

ამაზე წინ უნდა მეთქვა (რაც შემთხვევით გამომრჩა) შემდეგი: წარსული ოქტომბრის 17-ს ავთანდილოვმა მითხრა, რომ მე და მას გვთხოვა ელიზბარმა, რომ შევიაროთ მასთან საღამოს. ჩვენ წავედით ერთად ელიზბარის ახალ ბინაზე და იქ დაგვხვდნენ: ორი ძმა ერისთავები და კიდევ გუსართა ოფიცერი გიორგი ერისთავი 2-ე, ორთავე ორბელიანები და კიდევ ერთი თავადი ბირთველ თუმანიშვილი. გარეგნობით დაახლოებით 60 წლის კაცი. გიორგი ერისთავი 2-ე ხაზავდა და მოგვითხრობდა რუსის ჯარის პოლონეთში მოქმედების გეგმას და განსაკუთრებით ვარშავის აღებას. რამდენიმე ხნის შემდეგ მოვიდა დოდაშვილი და შემდეგ თავადი იასე ფალავანდიშვილი, რომელიც მოგვესალმა და დაჯდა ჩუმათ თავისთვის და ყურს უგდებდა ერისთავის მოთხრობას პოლონეთის ომის შესახებ. შემდეგ გადავიდა საუბარი ისევ საქართველოზე და ფალავანდიშვილმა ამოიოხრა გულის სიღრმიდან და დაიწყო აღწერა მისი დამცირების; შემ-

დეგ დაიწყო ლაპარაკი თავისი ოსმალეთში ყოფნის შესახებ და ბოლოს, როცა თავისი მოკლე მოთხრობა გაათავა,³⁶ რალაც გადაუწერწულა ელიზბარს ყურში და ალექსანდრე ორბელიანთან ერთად გავიდა გარეთ, თავის ტკივილის მომიზეზებით. ვახშამზე ზემოდხსენებული ბირთველ თუმანიშვილი ლაპარაკობდა კახეთის აჯანყებაზე, და მის აჯანყებულ მცხოვრებთა დაუმშვიდებლობაზე. ვახშმის დასრულების შემდეგ ელიზბარმა გამოგვიცხადა ჩვენ ფალავანდიშვილის თხოვნა და დაპატიჟება ვახშმით მისი ძმის, სამოქალაქო გუბერნატორის სახლში,³⁷ მეორე დღისთვის ე. ი. ტფილისის გიმნაზიის საჯარო აქტების დღეს. როცა თავი მოვიყარეთ აქტზე, ჩვენ გამოგვიცხადეს, რომ ფალავანდიშვილისას მისვლა გადაგვედო მეორე დღისთვის. ამან ძლიერ გამაკვირვა, ვერ წარმომედგინა, რომ ჩვენ გუბერნატორი კი არ გვპატიჟებდა, რომელიც მეორე დღეს მიემგზავრებოდა, არამედ თვით იასე, გუბერნატორის ძმა. ამ რიგათ 19 ოქტომბერს მე მივდივარ ფალავანდიშვილისას და იქ მხვდებიან: ალექსანდრე ორბელიანი, გიორგი ერისთავი 2-ე, ელიზბარ და დიმიტრი ერისთავები, რამდენიმე წუთის შემდეგ მოვიდა ვახტანგ ორბელიანი და უკანასკნელად ავთანდილოვიც. ვუსხდებით სუფრას; ლაპარაკობენ ევროპის თანამედროვე პოლიტიკურ ამბებზე: საფრანგეთის რევოლიუციაზე, განსაკუთრებით ბელგიელებზე და ბოლოს უდგებიან საქმეს.³⁸

ალექს. — აბა დაიწყეთ!

ელიზ. — ჰო, დაიწყეთ, რა არის აქ დასაფარავი.

ფალავანდიშვილი — ბატონებო! ვინაიდან ყველამ იცით ის მიზანი, რომლისკენაც მიმართულია ყველა ჩვენგანის აზრები, ვიყოთ გულახდილნი. დღეიდან ჩვენ მეგობრები ვართ, ჩვენს შორის არაფერი არ უნდა იყოს დაფარული. დრო ჩვენს შორის ძვირფასია: ისტორია გვიჩვენებს, რომ დაგვიანებას საქმე ყოველთვის ჩაუშლია. ჩვენ ახლა ვსთხოვთ ყველას, რომ გამოსთქვან თავიანთი აზრი საშვალეების შესახებ, რომ...

დიმიტ. — რომ საქართველო განვათავისუფლოთ რუსებისაგან, ცხადია.

ელიზბ. – ხომ გაიგეთ ბატონებო! აი მიზანი ჩვენი შეკრების. ინებეთ გამოსთქვათ თქვენ-თქვენი აზრი. ალექსანდრე! და-ინწყეთ თქვენ!

ალექს. – საკითხი: დაუშვათ, რომ ჩვენ მოვახდინეთ აჯანყება, შევეკრიბეთ ჯარი, საჭიროა თუ არა, რომ მას ექნეს სურსათი?

დიმიტ. – სურსათს ჩვენ ნავართმევთ თვით რუსებს.

ალექს. – კარგი.

ელიზბ. – (ანწყვეტინებს I-ს) შემდეგმა ილაპარაკე.

ვახტ. – დე ასე იყოს, დაუშვათ, რომ იმათ ნავართმევთ.

ელიზბ. – აბა, განაგრძეთ თქვენ.

დიმიტ. – რა წეს-რიგია, მათქმევინე ერთი სიტყვა. იქნება თუ არა მაღაზიებში ერთი წლის საყოფი სურსათი?

ავთ. – არა.

ელიზბ. – იქნება, მე ვიცი, რომ იქნება. თქვენ რას ფიქრობთ?

მე – მე სულ ვფიქრობ, რით დაბოლოვდება.

ფალავ. – (თავისთვის) მოსანყენი კაცია! (ხმა მაღლა) კარგი, ვთქვათ ყველაფერი გვაქვს, ახლა როგორ შევეკრიბოთ ჯარი. მე იმედი მაქვს ტფილისის ბროდიაგების და ლოთების.

ავთ. – (მე ყურში) ჩინებული ჯარია – ლოთები!

ალექს. – არა, იმათზე არ შეიძლება დაყრდნობა. ჩვენი გლენობა...

ვახტ. – აბა, ახლა გლენები ძალიან კი უჯერიან მემამულეებს, როცა ყოველ მათგანს შეუძლია მოიპოვოს თავისუფლება. საკმარისია მხოლოდ იჩივლოს სასამართლოში.

ელიზბ. – არა, ნუ შიშობ, ერთგულებს მაინც ვიპოვით. და ამის გარდა კიდევ მოიპოვება საშუალება ბრბოს აღსაშფოთებლად. საკმარისია გავავრცელოთ ხმა, რომ ახალწვეულებს ჰკრებენ ჯარში ნასაყვანად და ნახავ როგორ იფეთქებს.

დიმ. – დიახ, ამას გარდა, განა ცოტანი გვყვანან ჩვენ ბებერი მისნები, – საკმარისია მხოლოდ, რომ იმათ მოიგონონ გრძნობის დაკარგვა, დავარდენ ხალხის წინაშე და მორთონ ყვირილი, რომ წმინდა გიორგი ამას და ამას ბრძანებს, ღვთისმშობელი – ამას და ამას და მაშინ ნახავთ.

ალექ. – მოიძებნება ჩემებიდან რამდენიმე ერთგული ადამიანი და არიან კიდევაც ასეთები.³⁹

ფლავ. – შესაძლებელია. მაგრამ როდის დავინწყოთ?

ამ დროს შემოვიდა გუბერნატორის მდივანი ლხოვსკი, რომელმაც ალბათ, კანცელარიაში მუშაობის შემდეგ შემოიარა გასართობათ. მისმა მოსვლამ ყველას შეუცვალა სახე.

ალექ. – (ლხოვსკის) რა მშვენიერი დარია დღეს.

ლხოვსკი – დიახ, იყო.

ელიზ. – მე კიდევ მეცინება დოდაშვილის სიტყვაზე, გუშინ აქტის დროს რომ წარმოსთქვა, ანუ „ფელიქსი“ ისევ?⁴⁰

ლხოვ. – მერე რა? დოდაშვილი რალაც სასაცილოა, ისე კი უნდა ვსთქვათ, რომ თუმცა მჭერმეტყველი არაა, მაგრამ ხანდახან კარგათ მსჯელობს...

ვახშობამდე გიორგი ერისთავი 2-ე, ლხოვსკი, ავთანდილოვი და მე ვსაუბრობდით სხვადასხვა საგნებზე; ხანდახან ჩამოგვერეოდენ სხვებიც, რომელნიც უმთავრესად ერთმანეთშორის ჩურჩულებდენ. ნავახშმევს დავიშალენით, მაგრამ ლხოვსკის გაცილების შემდეგ ვგონებ ისევ დაბრუნდენ.

ამის შემდეგ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ნოემბრის პირველ რიცხვებში უკანასკნელი საღამო იყო ალექსანდრე ორბელიანისას.

ვაღიარებ რა გულწრფელად ყოველივეს, რაც მე მინახავს და გამიგონია ერთი წლის განმავლობაში, მე არ შემიძლია თავი ვიმართლო და ვგრძნობ, რომ ვარ დიდი დამნაშავე. მაგრამ გულწრფელად ვინანიებ რა ჩემს დანაშაულს, ვანდობ თავს სულგრძელ მთავრობის ნება-სურვილს, რომლისადმი მე გამოვიჩინე უმადურობა, ყველა იმ მოწყალებისათვის, რომელიც მიმიღია მისგან და იმედი მაქვს კიდევ, რომ ის, მიიღებს რა მხედველობაში ჩემს ახალგაზრდობას, რომ მე ძალათ ვიქმენი შეყვანილი შეცდომაში, მაპატიებს, რომ ვერ შევასრულე მაცხოვრის ხატისა და წმინდა სახარების წინაშე დადებული ფიცი და მით საშუალებას მომცემს, ჩემის შეძლებისდაგვარად გულმოდგინეთ ვემსახურო ჩვენს ყოვლად მონყალე და კეთილ

მონარქს, თავისი გზააბნეულ შვილების გულშემატკივარ მამას და გამოვასწორო ჩემი შეცოდება მომავალში სასარგებლო სამსახურით, რომელიც შეეფერება ჭეშმარიტ ერთგულ ქვეშევრდომს, რომელმაც გამოცდილებით ისწავლა, რომ ასეთი დარჩეს სამუდამოთ.⁴¹

ტფილისის გიმნაზიის მასწავლებელი
დიმიტრი ყიფიანი

1832 წ. დეკ. 13.

ამას უნდა დაეუმატო, რომ, როდის დაიწყო ეს შეთქმულება, მე დანამდვილებით არ ვიცი, მაგრამ ჩემმა ამხანაგმა ავთანდილოვმა, როგორც მე უკვე ვსთქვი, მითხრა, რომ მას ეს განუცხადეს დიდი ხანია, 1830 წ., ასე რომ, როცა დაიწყო პოლონეთის რევოლუცია, მაშინ აქაც მზათ იყვნენ დაეწყოთ აჯანყება, მაგრამ ვერ შეასრულეს თავიანთი განზრახვა სხვადასხვა მიზეზთა გამო, რომელიც მას ჩემთვის არ უცნობებია; თუ ვინ იყვნენ ის პირნი, რომლებმაც მას ეს ამბები აცნობეს, მე მისთვის არ მიკითხავს.

მასწავლებელი **ყიფიანი**

1832 წ. დეკ. 13.

2. ჩვენება 1833 წლის 2 იანვრისა


თავად გიორგი დავითის ძე ერისთოვი I-ის მიერ ჩემთვის და ბ-ნი ავთანდილოვისთვის წაკითხული აქტის თაობაზე, რის შესახებაც გასული წლის 13 დეკემბერს ვწერდი, მაქვს პატივი, დამატებითი ახსნა-განმარტების სახით განვაცხადო შემდეგი:

როცა ხსენებული ერისთოვი კახეთიდან, თავად ჩოლოყაყვის დაკრძალვიდან დაბრუნდა, კერძოდ, გასული წლის აპრილში, მან წაგვიკითხა, როგორც ადრე მაქვს ნათქვამი, აქტად წოდებული წესდება. მას იგი მიუღია კახეთში ქართველი ბერის

– ფილადელფოს კიკნაძისგან, რომელიც კახეთშივე ვილაც თავადთან სტუმრობისას გაუცნია და რომელსაც ამის შემდეგ მისივე მიპატიჟებით მონასტერში სწვევია. მიზანი იმ აქტისა, რამდენადაც მახსოვს, იყო მოპოვება ერთგული ამხანაგებისა, რომლებსაც ერთმანეთში გულწრფელი და საიდუმლო მეგობრობა უნდა ჰქონოდათ და, ამასთანავე, ეს ამბავი არ უნდა გაემჟღავნებინათ იმათთვის, ვინც ამ წრეში ფიცის წარმოთქმით არ გაერთიანდებოდა. ეს აქტი დაწერილი იყო მნიგნობრული, საკმაოდ გამართული ენით, თუმცა ბუნდოვანი რჩებოდა, რაში გამოიხატებოდა არსი ამგვარი მეგობრობისა. გარდა ამისა, არ იყო განმარტებული სიტყვა სექტა, რომელიც სხვადასხვა ადგილას რამდენჯერმე იყო ნახსენები.¹ აქტი ნაცრისფერ ქალაქზე, ფურცლის მეოთხედზე ეწერა, 2 თუ 3 გვერდისგან შედგებოდა და დართული ჰქონდა სიტყვები ფიცისა, რომელიც რომელიღაც ძმობაში შემავალ ყოველ პირს უნდა წარმოეთქვა. თუმცა ერისთავს, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ ფიცის დადების შემდეგ წესდების ჭეშმარიტი არსის ახსნას გვპირდებოდა, მის წარმოთქმაზე უარი ვუთხარით – არ გვსურდა ფიცის საზეიმოდ წარმოთქმით რაიმე სახის საიდუმლო ორგანიზაციის წევრები გავმხდარიყავით² (მართალია, ჩვენ მაინც აღმოვჩინდით ამ საქმეში გარეულნი, მაგრამ არა ფიცის საფუძველზე, არამედ – გარემოებათა გამო. ამის შესახებ მე უკვე მაქვს ნათქვამი). ამის შემდეგ მას, ერისთავს, ეს ამბავი ჩვენთვის არასოდეს არ შეუხსენებია და, ჩანს, სიფრთხილის გამო, მიუხედავად ჩვენი თხოვნისა, ხსენებული აქტი არ გადმოუცია. ბერი კიკნაძის შესახებ ლაპარაკი გვქონდა ელიზბარ ერისთავის სახლშიც, როცა ამ უკანასკნელს თავისი თანამოაზრეები სადილზე ჰყავდა მიწვეული. ჩემი მონანიე სინდისი მიკარნახებს ისიც ვთქვა, რომ კახეთიდან ჩამოსულმა გიორგი ერისთავმა მაჩვენა წერილი, რომელიც, მისი თქმით, კიკნაძისგან მიიღო.³ წერილი გაკრული ხელით და უცნობი, არსებულთაგან განსხვავებული, ასოებით იყო დაწერილი. ერისთავმა მითხრა, რომ სურვილის შემთხვევაში ამ ასოებით კითხვას მასწავლიდა. მცირეო-

დენი ყოყმანის შემდეგ დავთანხმდი, რადგან მსურდა, თუნდაც ამ გზით მომეპოვებინა წერილობითი მტკიცებულება და ამით აღმესრულებინა ერთი (თითქმის მთავარი) პუნქტი იმ ფიცისა, სამსახურში მიღებისას რომ მქონდა დადებული⁴ – გამომევიღინა განზრახულება შფოთის მთესველი გუნდისა, რომლის საქმეებშიც თითქმის ჩათრეული ვიყავი.⁵ ერისთოვმა მაჩვენა ის ახალი ქართული ანბანი, თუმცა იმ, ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის ბედნიერ დღემდე, გასული წლის 11 დეკემბრამდე, არ მომეცა საშუალება,⁶ ეს ახალგაგებებული ამბავი გამემჟღავნებინა და ამით ზემოხსენებული ჩემი სურვილი და მოვალეობა ამესრულებინა.

ეს ასოებია:



ამასთანავე, მწუხარებისგან განადგურებული, გულწრფელად ვინანიებ ჩადენილსა და იმედის თვალს მივაპყრობ ღმერთს, ყოველი ჩვენგანის მსაჯულსა და ხელმწიფეს, ჩვენს სულგრძელ მამას – იმ სასჯელის ნაცვლად, რისი ღირსიც ვარ ჩემი ცოდვისა და შეცდომის გამო, მომეცეს დრო, რათა გამოვსწორდე, გამოვიჩინო უაღრესი ერთგულება ყოვლადმონყალე ხელმწიფის სამსახურში და სამუდამოდ ნავშალო უზარმაზარი შავი ლაქა – შედეგი ჩემი ახალგაზრდული გამოუცდელიობისა.

მასწავლებელი დ. ყიფიანოვი

1833 წლის 2 იანვარი.

3. ჩვენება 1833 წლის 27 იანვრისა

საგამომძიებლო კომისიის შეკითხვის პასუხად ვიმეორებ ადრე მიცემულ ჩვენებაში¹ აღნიშნულ ერთ-ერთ გარემოებას:

მაისსა თუ ივნისში, ზუსტად არ მახსოვს, ჩემს მეგობართან, მასწავლებელ ავთანდილოვთან, ერთად თავად ელიზბარ ერისთოვის მიერ სადილად ვიყავი მინვეული. დაახლოებით 12 საათისთვის ავთანდილოვს შევეუარე და პირველ საათზე უკვე ვიყავით ბ-ნი მელნიკოვის სახლში, სადაც იმ დროს ერისთოვი ცხოვრობდა. იქ იყვნენ ძმა მისი, არტილერიის პრაპორშჩიკი, თავადი დიმიტრი ერისთოვი, რომელიც გამაცნეს; თავადი ალექსანდრე ორბელიანოვი და მისი ძმა ვახტანგ ორბელიანოვი; მასწავლებელი დოდაევი; ბ-ნი სოლომონ რაზმაძე; თავადი გიორგი დავითის ძე ერისთოვი; პრაპორშჩიკი, თავადი დავით ჯორჯაძე და სისხლის სამართლის ექსპედიციის თარჯიმანი, ბ-ნი მამაცოვი. დასახელებულთაგან ზოგიერთი ჩვენ შემდეგ მოვიდა. მამაცოვთან ორჯერ გავზავნეს კაცი და ბოლოს, სამი საათისთვის, ისიც შემოგვემატა. სადილობამდე დრო რომ მოგვეკლა, რაზმაძეს ვთხოვეთ, რამე ლექსი წაეკითხა და მანაც წაგვიკითხა „ფარისი“ ქართულ ენაზე.² მთარგმნელი შევაქეთ, ელიზბარი კი დოდაევს მიუბრუნდა და უთხრა: „სოლომონ ივანეს ძე, სხვათა შორის, შესანიშნავი სტატიები გაქვთ გამოქვეყნებული თქვენს ლიტერატურულ ჟურნალში“.³

დოდ. რომელი?

რაზმაძე. დიახ, დიახ! ამის გამო სხვა ჟურნალისტს სასამართლოს გადასცემდნენ.

ელიზბ. აი, მაგალითად, მოწოდება ბიძაჩემისა, ბ-ნი სენატორისა ან თუნდაც ამ ახალგაზრდა პოეტის ოსური პოემა⁴ (თითს გიორგი დავითის ძე ერისთოვისკენ იშვერს).

გიორგ. ერისთ. არა! შენ უკეთ დანერ.

ელიზბ. ამაზე ხმა არ გავიგონო.

დოდ. მე რა მენაღვლება: ყველა სტატიას ხომ სანკოვსკი განიხილავდა.⁵

ელიზბარ. (ერისთოვს) აბა, აბა! წაგვიკითხე ის ადგილი შენი პოემიდან.

– და მან წაგვიკითხა, ერთი ადგილი თავისი პოემიდან, როგორც მახსოვს, ის პასუხი, სპარსეთის შაჰს რომ გასცეს მის წინაშე მდგარმა თავადებმა, ბიძინამ და შალვამ, რომლებიც სპარსთა შემოსევისგან თავსაც იცავდნენ და სამშობლოსაც: „რატომღა გვეძახიან ჩვენ ივერიის მამაც შვილებს, თუ ვერ შევძლებთ სამშობლოს დაცვას მტრისაგან და არ გავათავისუფლებთ მას მტაცებლებისგან“.⁶ ამ სიტყვებმა იქ მყოფნი აღაფრთოვანა. ამასობაში სტუმრები გაშლილ მაგიდასთან მიიწვიეს და სადილიც დაიწყო. დავცალეთ რამდენიმე ბოთლი ჭავჭავაძისეული ღვინო და, ბოლოს და ბოლოს, შემოიტანეს შამპანური. ყველა სტუმარს, სურდა მას ეს თუ – არა, დამლუპველი თავისუფლების სადღეგრძელო უნდა დაეღია. ამ დროს ბატონები დოდაევი და გიორგი ერისთოვი მოსწრებული სიტყვით იცავდნენ: ერთი კახელებსა და მეორე – ქართლებს. ყველას სიცილი აგვიტყდა, როცა დოდაევის ნათქვამზე: „ქართლებმა არაფერი არ იციან“, გიორგი ერისთოვმა უპასუხა: „რას ვიზამთ, ყველა ვერ იქნება ისეთი ფილოსოფოსი, როგორიც *შენა* ხარ და ისეთი სულელი, როგორიც *თქვენა* ხართ“.

სადილს შემდეგ თავადმა ალექსანდრე ორბელიანოვმა ბაღში მიგვიწვია. ითქვა, რომ უნდა გვევლო ცალ-ცალკე, ვინმეს ეჭვი რომ არ აღძვროდა.

„რუსები ხომ გაიძვერები არიან“, – ეს რაზმამემ დასძინა ბაღში ყოფნისას. სალამოს ნ საათისთვის უკვე სჯა-ბაასი იყო გამართული, თუ ვის უნდა წაეღო წერილები და მიეწოდებინა ზეპირი ცნობები აქ მიმდინარე ამბების შესახებ რუსეთში მყოფი რომელიღაც, აღარ მახსოვს, ბატონიშვილისათვის. საიდუმლო მიმონერის ხერხი რომ გვცოდნოდა, ელიზბარმა (ან მისმა ძმამ, დიმიტრიმ, კარგად აღარ მახსოვს), გვაჩვენა ანბანი, რომლის შესახებაც მე ვრცლად აღრინდელ ჩვენებაში ვწერდი. ბოლოს დავიშალეთ და ჩვენ-ჩვენს სახლებში წავედით. პრაპორშჩიკ ჯორჯაძესა და მე ერთი გზა გვექონდა და, მიუხედავად მისი

მხიარული ხასიათისა, რალაცნაირი ნაღვლიანი კილოთი მე-კითხებოდა: „რას იტყვით დღევანდელ სჯა-ბაასზე, ჩემო **მამიკო?**“ (ასე იმიტომ მომმართავდა, რომ ვახტანგ ორბელიანოვის მიერ ქართულად თარგმნილ კომედიაში „ნაცნობი უცნობები“ მე მამას ვთამაშობდი, ის კი – ჩემს ქალიშვილს).⁷

მე. არც ვიცი, რა ვთქვა, კარგად დაფიქრებაა საჭირო.

ჯორჯ. დიახ, კარგად დაფიქრდით, გეთაყვა! – ღრმა ამოოხვრით მითხრა მან და ჩვენ ერთმანეთს დავემშვიდობეთ.

თბილისის გიმნაზიის მასწავლებელი

დ. ყიფიანოვი

1833 წლის 27 იანვარი.

4. ჩვენება 1833 წლის 7 თებერვლისა

კითხვითი პუნქტები:

1. რა არს სახელი თქვენი, მამისა თქვენისა და რა ჩინი გაქვსთ?
2. რაოდენის წლისა ხართ თქვენ?
3. უცოლო ხართ თუ ცოლიანი, ვისზედა ხართ ჯვარდანერილი და რა ერთი გყავსთ სახლობა?
4. რა ერთი ყმა და მამული გყავსთ თქვენ და სადა? ყოველივე თქვენი წლის შემოსავალი რა ერთი და რა და რა იყო?
5. სადა და ვისის მეცადინეობითა, ესე იგი თქვენის მშობლებისა, თუ სხვისა ვისიმე პატრონობითა აღიზარდენით თქვენ?
6. სახელდობრ რას სამსახურში იმყოფებოდით? პახოდებში ყოფილხართ და სახელდობრ რომელს პოხოდებში და დაჭრილი ხართ სადმე თუ არა?
7. ყოფილხართ თქვენ პეტერბურლსა ანუ მოსკოვსა, სახელდობრ როდის, და რომელს დროს თქვენ აქ დაბრუნდით?
8. ქრისტიანებრივის მოვალეობითა დაიარებითა თქვენ ჩვეულებრივ დღესასწაულებში ეკლესიასა შინა და მიგიღიესთა ყოველწლივ წმინდა საიდუმლო?

9. ხომ არ ყოფილხართ თქვენ აქნობამდე სამართალს ქვეშ და სლეთსტვიას ქვეშ და ან შტრაფ ქვეშ? სახელდობრ რისათვის, და როდის, შემდგომში გამართლებულ ხართ, თუ დასჯილ ხართ ანუ გარდაგხდომიათ რამე?

10. პირველ ვისგან შეიტყვეთ თქვენ ეს განზრახულობა და შეთქმულობა? სახელდობრ ვინ შეგიყვანა თქვენ იმაში? როგორის სიტყვებით გამოგიცხადესა თქვენ? როდის იყო ესე, სადა და ვინ დაესწრენ იქ მონმებად? გამოაცხადეთ ყოველივე ესე ყოვლის ჭეშმარიტებით გამონვლილებით.

11. სახელდობრ როგორმა მიზეზმა განგაღვიძათ და შეგიყვანათ თქვენ შეთქმაში წინააღმდეგ მმართველობისა? გამოაცხადეთ ეს სრულის გულწრფელობით.

12. როგორი ღონისძიება და შემწეობა გედოთ თვალწინ, რომელთაც შესძლებოდათ დაგვირგინოსნება ამა თქვენის შეთქმულობისა? გამოაცხადეთ ეს ყოველმხრივ ნამდვილათ და გამონვლილებით.

13. გქონდათ თქვენ როგორიმე ცნობა ბატონიშვილებთან, რომელთან? სადა, როდის და რა მოქმედება შეეძლოთ იმათ ჰქონოდათ თქვენზედ და ან შეთქმულობაზედ?

14. იცნობთ თქვენ ღენერალ მაიორს თავადს **ჭავჭავაძეს**? დიდი ხანია რაც იცნობთ? რა იცით იმის მენაწილობისა ამ განზრახვაში? შეგხვედრიათ თქვენ მასთან ლაპარაკი შეთქმულების ბარობაზედ, პირდაპირ გილაპარაკნიათ, თუ მხოლოდ შეგიტყვიათ იმისი მონაწილეობა სხვებისაგან და სახელდობრ ვისგან?

15. იცნობთ თქვენ გუბერნატორად ყოფილს **ზავილეისკის**, სად და როდის გაიცანით და რა იცით იმის მენაწილეობისა ამ განზრახვაში ანუ იმაზედ რა ვაგიგონიათ და სახელდობრ ვისგან?

16. ვის ჰრაცხევდით თქვენ ამ შეთქმულების მთავრად ანუ უფროს გვარად? თვითონ თქვენ გეგონათ რომ ის მთავარია, თუ სხვამ გამოგიცხადა, ვინ იყო ისი და ვისთან გამოგიცხადა?

კომისია ჯერეთ ერთ გზისცა მოგაგონებს თქვენ, რომელ მხოლოდ ოდენ გულწრფელისა და განუსაზღვრებელის აღვია-რებითა შეგიძლიანთ კიდევ მოპოება თქვენის დანაშაულის შემ-სუბუქების ღონისძიებისა და ეს ღონისძიება ძვირფასათ უნდა მითვალოთ და რომელ თვითოეულსა ზედა ზემოაღნიშნულთა კითხვათაგანსა თანაგაქსთ თქვენ მისცეთ ნამდვილისა აზრისა-მებრ მისისა პასუხი სრული და კმასაყოფელი და აღარ უნდა შე-მოიტანოთ უწინდელნი თქვენი ჩვენებანი.

პასუხები კითხვით პუნქტებზე ტფილისის გიმნაზიის მასწავ-ლებელ დიმიტრი ყიფიანოვისა, სადაც გულწრფელად ვალიარებ და ვამბობ ყველა იმას, რაც ფიცით შემიძლია დავამტკიცო.

1. სახელი ჩემი დიმიტრი; მამა ჩემის ნათლობის სახელი ივა-ნე იყო; ცხოვრებაში კი მას ქოჩოს ეძახდნენ. მაქვს მეორე კლა-სის „ჩინი“.

2. ოცდა ორი წლისა ვარ.¹

3. უცოლო ვარ, მყავს დედა და სამი უფროსი ძმა, რომელთა-გან ერთი ცოლიანია და შვილებიცა ჰყავს; ერთი გაუთხოვარი დაი და გარდა ამისა მოხუცებული დედა და მამა, რომლებსაც ასე ვუწოდებ იმიტომ, რომ მათ რადგან შვილი არა ჰყავდათ რა, მე მიშვილეს მცირეწლოებიდანვე და როგორც ქვევით იქნება ნათქვამი, კიდევ მზრდიდნენ.² მთელ ამ ოჯახს უმეტეს წილად მე ვარჩენდი.

4. მამული მაქვს ჩემ ძმებთან საერთო და განუყოფელი გო-რის მაზრის სოფლებში: ქვიშხეთში, მოლითში, ზედუბანში, ნე-ბოძირში და ცარიელი ადგილი, სადაც წინათ სოფელი ვარდისუ-ბანი იყო. იგი შედგება სახნავი და უხნავი მიწიდან, ერთი ვენა-ხიდან და ორი კომლი გლეხისაგან, გარდა ამისა ტფილისში სა-კუთარ მიწაზე აშენებულია ორი ქვითკირის სახლი, რომლებიც ჩემი მამობილის პრაპორშჩიკ ფეოდოროვისა და მისი მეუღლის აზნაურ მარიამ ყიფიანოვის ასულის ნამოღვანარია. საკუთრივ ჩემი შემოსავალი წელიწადში 840 მანეთამდე აღწევდა, რასაც

სამსახურის ჯამაგირი და კერძო გაკვეთილების გასამრჯელო შეადგენდა; მე რომ ოჯახებში ან ჩემ სახლში მოწაფეებს ვასწავლიდი, ამის გარდა ჩემ დედობილ-მამობილთან ერთად წელიწადში 30 თუმანი სახლის ქირა შემოგვდიოდა ვერცხლით. რაც შეეხება პრაპორშიკ ფეოდოროვის წლიურ პენსიას 300 მანეთს ასიგნაციებით, მხოლოდ მის მიერ დამსახურებისთვის აძლევენ და ამიტომ მე მასში წილს არ ვიდებ.

5. მე ვიზრდებოდი ტფილისის ყოფილ კეთილშობილთა სასწავლებელში პროპ. ნიკიფორე ფეოდოროვისა და მისი მეუღლის მარიამ ყიფიანოვის ასულის მეცადინეობით, რომლებმაც მე მიშვილეს, რადგან თვითონ უშვილონი იყვნენ. მაგრამ ამასთან ერთად ჩემ აღზრდაში არა ნაკლებ მონაწილეობას იღებდა თვით მთავრობაც, რომელიც კურსის დასრულებამდე ყოველთვიურად ხუთ მანეთს ვერცხლად მაძლევდა.

6. მე ვმსახურობდი ტფილისის გიმნაზიაში და მისი ბრწყინვალეების თ. პასკევიჩის დამტკიცების თანახმად ამა გიმნაზიის ჯერ პირველ და მერე მეორე კლასის მასწავლებლობას ვენეოდი; ამას გარდა თავისუფალ დროს, გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლის გენერალ-მაიორ თ. ბაგრატიონ-მუხრანსკის მიწვევით საქართველოს თავადაზნაურთა სადეპუტატო-საკრებულოში ვთარჯიმნობდი. ლაშქრობაში არსად არ ვყოფილვარ, მაშასადამე არც სადმე დავჭრილვარ.

7. არასოდეს არ ვყოფილვარ არც პეტერბურგსა და მოსკოვში, არც კავკასიონის იქითა სხვა რომელიმე ქალაქში.

8. ქრისტიანობრივი მოვალეობის თანახმად კვირა-უქმე დღეს თითქმის მუდამ დავიარებოდი ეკლესიაში, თუ კი გარემოება ხელს მიწყობდა, ყოველ წელს ვზიარებულვარ.

9. სამართალსა და გამოძიების ქვეშ არა ვყოფილვარ, არც ჯარიმა რამე გადამხდენია.

10. განძრახულებასა და შეთქმულებაზე პირველად თ. გიორგი დავითის ძე ერისთოვისაგან გავიგონე და იმან შემიყვანა ამ საქმეში სწორედ, თუმცა ჩემი ამხანაგი მასწავლებელი ავთანდილოვიც დამნაშავეა, რომელმაც თ. ალექსანდრე და მისი ძმა

ვახტანგ ორბელიანოვები გამაცნო. ერისთოვმა შემდეგი სიტყვები გამომიცხადა: „გამიგონე! მე შენ ერთ საიღუმლოს გეტყვი, მაგრამ ნუ გეშინია, კარგად მომისმინე: ჩვენ შევადგინეთ საზოგადოება, რომელიც აწყობს... ერთი სიტყვით, შეთქმულებას, რომლის მხურვალე მონაწილეც თვით ალექსანდრე ჭავჭავაძეა. ის შენ გიცნობს და დაგვავალა როგორმე მასთან მივიყვანოთ. რასაკვირველია, მე რომ არ ვიცოდე, რომ შენ უკვე ისეთ ასაკში ხარ, რომ შეგწევს შეგნება იგრძნო: თუ რას ნიშნავს სამშობლოსადმი სიყვარული და რომ შენში იგი არსებობს, – მე შენ არასოდეს არ გაგიმჟღავნებდი. უნდა როგორმე გავანთავისუფლოთ საქართველო უსამართლო მმართველობისაგანო, თუმცა შემდეგ შენ თვითონ დაინახავ ყველაფერს მშვიდობით. – გაცემით ვერ გამცემ, რადგან მარტონი ვართ“. ეს მოხდა, როგორც მახსოვს 1831 წლის დამლევს ან 1832 წლის დამდეგს, შუალამის ჟამს გარეთუბანში, ექიმი პრიბილი სახლს რომ აშენებს, იმის გვერდით. ცისა და ქვეყნის მეტი მონმედ არავინ ყოფილა.

11. მთავრობის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობისათვის მე არავითარი მიზეზი არა მქონია, მხოლოდ ჩემი გამოუცდელობისა და გაუფრთხილებლობის გამო ვიყავი ჩათრეული. რამე მიზეზი რომ მქონოდა, გულწრფელად ვაღიარებდი.

12. ჩემ თავად არავითარი ღონისძიება არ მეგულებოდა, რომელსაც ჩვენი შეთქმულების წარმატებით დაგვირგვინება შესძლებოდა, მხოლოდ შარშან ოქტომბრის 19-ს გავიგონე იესე ფალავანდოვთან, რომელთანაც ვახშმად ვიყავ და სადაც აგრეთვე იყვნენ თავადები: პოდპორუჩიკი ელიზბარი, პრაპორშჩიკი დიმიტრი და კორნეტი გიორგი ერისთოვები; პოდპორუჩიკი ალექსანდრე და მისი ძმა ვახტანგ ორბელიანოვები და მასწავლებელი ავთანდილოვი, რომ რათა ჩვენი განზრახვა შევასრულოთ, საჭიროა ყველამ ტფილისში ჩამოიყვანოს თავისი გლეხები, ვისაც რამდენი შეუძლია, აქ კი თვითონ იესე ფალავანდოვი თავს მოუყრის უქმად მოხეტიალე ლოთებს. წინასწარ კი უნდა ადგილობრივი უმაღლესი მოხელენი სადმე ვახშმად იქნენ მიწვეულნი; აქ უნდა ვისარგებლოთ შემთხვევით და გენერლები ყველა

ამოვხოცოთ, შემდეგ თავს დავესხათ არტილერიის არსენალს, პურის მალაზიებს, ჰაუპტვახტსა და სხვა სახაზინო ადგილებს; ამნაირად ხელთ ვიგდებთ რა თავიდანვე წარმატებას, უნდა ვეცადოთ ჩვენი მოქმედება საქართველოს სხვა ქალაქებზეც გავავრცელოთ, ვეცადნეთ თავს დავესხათ ჯარის ნაწილებს და გადაუჭრათ გზები საერთო შესაკრებლისკენ. ამის მეტი მე არც არა ვიცოდი და არც ვიცი.

13. არც ერთ ბატონიშვილთან ნაცნობობა არა მქონია და არც ვიცი შეთქმულებაზე მათ რა გავლენის მოხდენა შეეძლოთ. მაგრამ გამიგონია კი ელიზბარისა და მისი ძმის დიმიტრი ერისთოვთაგან, რომ უნდა ვაცნობოთო რუსეთში მყოფ რომელიღაც ბატონიშვილს – და ამ დავალებას მე მიპირებდნენ. ერთხელ კიდევაც გადამიკრეს სიტყვა.³

14. გენ.-მაიორ ჭავჭავაძესთან არავითარი ნაცნობობა არა მქონია, მხოლოდ ორჯერ გავიგონე მასზე გიორგი ერისთოვისაგან, როცა მან მე შეთქმულება გამომიცხადა, რომ იგი ამ საქმეში დიდ მონაწილეობას იღებსო, და გასული წლის ნოემბრის 23-ს ელიზბარ ერისთოვისაგან, რომელმაც შემდეგი სიტყვები მითხრა: „ამ გვარად ყველაფერი გათავდა! ჭავჭავაძემ თვალი ამიხილა და დამარწმუნა იმაში, რომ ჩვენ დიდად ვცდებით“. ამის მეტი მე იმაზე არა ვიცი რა.

15. გუბერნატორად ყოფილ ზავილესკისთან არავითარი ნაცნობობა არა მქონია, და იმაზე სრულებით არაფერი გამიგონია და არც არა ვიცი რა.

16. შეთქმულების მეთაურად მე არავინა მგულებია და არც ვისგანვე გამიგონია რამე; – არა მგულებია იმიტომ, რომ ამ ბოროტგანმზრახველთა გაცნობის პირველი დღიდანვე, მე ისინი თავქარიან თავნებურად მოაზროვნე ბრბოდ მიმაჩნდა, რომელთაც უსაქმურობის გამო ჩხირკედელაობისთვის მიუყვიათ ხელი.

ვალარე რა ყველაფერი გულწრფელად სიცხადით ჩემს დანაშაულში მთავრობის წინააღმდეგ, იმ მთავრობის, რომელიც ჩვენს მიმართ ქველმოქმედებდა და რომლის მშვიდი მმართველობით, შეიძლება ითქვას, უზრუნველყოფილია ყველას სა-

კუთრება და თვით სიცოცხლე – განა მე გავბედავ ოდნავ მაინც თავი გავიმართლო სულგრძელი მმართველობის წინაშე? განა შემიძლიან მე, ჯერ ახალგაზრდა ადამიანს, ჩემ დანაშაულს რა-მე დამსახურება დავუპირისპირო? არა, მაგრამ მაინც შეუფარდები ფეხთა ქვეშე მამასა ჩვენსა ხელმწიფესა, რომელიც განვარისხეთ ჩვენ, აულაგმავმა ძეთა მისთა, და არ შემიძლიან არ ვიქონიო იმედი, რომ მე შეწყალებული ვიქნები და მომეცემა დრო და შემთხვევა უნებური, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, შეცოდება ჩემი დავფარო სამსახურისადმი გაასკეცებული ერთგულებით. იმედი ყველაფერს სძლევს.

ტფილისის გიმნაზიის მასწავლებელი

დიმიტრი ყიფიანოვი

ტფილისი, თებერვალი, 1833 წ.

5. ჩვენება 1833 წლის 27 თებერვლისა

1833 წლის თებერვლის 27-სა დღესა საგამომძიებლო კომისიის დაკითხვაზე მაქვს პატივი ვუპასუხო შემდეგი:

ჭილაევის მონაწილეობაზე ამ განზრახულებაში არავისგან არასოდეს რა გამიგონია იმის მეტი, რომ თეკლა ბატონიშვილის ბაღში პრაპორშჩიკი დიმიტრი ერისთავი ამბობდა: ის უნდა მოვსპოთ, რათა ჩვენი შეეთქმულების დაუბრკოლებლივ შესრულება შევძლოთ.

მაიორ დიმიტრი ორბელიანოვზე გავიგონე ალექსანდრე ორბელიანოვთან სწორედ ამისგან, რომ როდესაც თავად კაპიტან ჩოლოყაევსა და მასწავლებელ დოდაევს გამოუცხადებიათ მისთვის განზრახულება, მას თანხმობა განუცხადებია და ვითომც უთქვამს: „მე დავამტკიცებ, რომ მეც რაღაცას წარმოვადგენ“-ო. მე მასთან ნაცნობობა არა მქონია.

პრაპორშჩიკ ნათალოვს მხოლოდ, როგორც იტყვიან, ქუდის მოხდით ვიცნობდი ვახტანგ ორბელიანოვის საშუალებით, რომელთანაც იგი იყო ჩამომხდარი გასული წლის ზაფხულს, – მაგ-

რამ იღებდა თუ არა შეთქმულებაში მონაწილეობას, არ ვიცი. ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანოვებს არა ერთხელ უნიშნებიათ ჩვენთვის: „ბატონებო, მაგასთან ფრთხილად იყავით“.

პრაპორშჩიკ მამაცოვთან მქონდა ნაცნობობა ნათესაობისა გამო, მაგრამ მის შეთქმულებაში მონაწილეობაზე არავისგან რა გამიგონია.

აქაურ სამოსწავლო ბათალიონზე არსად არა გამიგონია რა.

დუშეთის ისპრავნიკ პაუშენკოზე გამიგონია ელიზბარ ერისთავისაგან, რომ მას იგი ახლო იცნობს და დამეგობრებულიც კია და რომ იგი ამისთვის „თავის სიცოცხლესაც კი არ დაზოგავს, თუ საჭირო იქნება,“ მე კი თვითონ მასთან არავითარი ნაცნობობა არა მქონია.

პრაპორშჩიკ თავად დადიანზე გიორგი დავითის ძე ერისთავმა უკანასკნელი ექსპედიციიდან დაბრუნების შემდეგ გვითხრა მე და მასწავლებელ ავთანდილოვს, რომ ჩვენი განზრახულება გამოუცხადა მან დადიანსაც, რომელმაც თანხმობა და მზადყოფნა გამოაცხადაო. მე პირადად მასთან არავითარი ნაცნობობა არა მქონია.

თავად თარხანოვზე არასოდეს არავისგან რა გამიგონია და არც მათთან ნაცნობობა მქონია, გარდა ალექსანდრესი, პოლკოვნიკ დავითის შვილისა: მე და ის ერთად ვსწავლობდით 1827 წელს.

მასწავლებელი **დიმიტრი ყიფიანოვი**

6. ჩვენება 1833 წლის 15 აპრილისა

ბატონ მასწავლებელს დიმიტრი ყიფიანოვს. 15 აპრილი, 1833 წ.

მრავალ ჩვენებათაგან ჩანს, რომ იასე ფალავანდოვი, რომელიც იყო 1831 წლის შეთქმულების წევრი, მხურვალე მონაწილეობას იღებდა 1832 წელსაც, მაგრამ საჭიროა თქვენგან გარკვეული განმარტება, თუ სახელდობრ როდის განაახლა იასე ფალავანდოვმა 1832 წლის განზრახულებაში მონაწილე-

ობა. ამიტომ განმარტეთ 1832 წ. როდის და ვისი თანდასწრებით გელაპარაკათ იასე ფალავანდოვი განზრახულებაზე.

გენერალ-მაიორი **ბაიკოვი**¹

ამ კითხვაზე მაქვს პატივი ვუპასუხო, რომ თავად იასე ფალავანდოვთან 1832 წლის 19 ოქტომბრამდე არავითარი ნაცნობობა არა მქონია და იღებდა თუ არა იგი განზრახულებაში მონაწილეობას 1831 წელში, მე არ ვიცი, რადგანაც ამ საქმის მაშინ მე თვითონ არა ვიცოდი რა.² მაგრამ გასული წლის 19 ოქტომბერს თავად ელიზბარ ერისთოვის პირით მიმინვია თავისთან ვახშამზე, სადაც ჩემი თანდასწრებით პირველად ილაპარაკა განზრახულებაზე, რომელშიაც თვითონ დიდ მონაწილეობას იღებდა, როგორც მე შევნიშნე. ამის მეტი მე მასთან არასდროს არც შეხვედრა და არც რამე საუბარი აღარ მქონია და არც არა ვიცოდი რა მის შესახებ.

მასწავლებელი **დიმიტრი ყიფიანოვი**

15 აპრილი, 1833 წ.

7. ჩვენება 1833 წლის [20] აპრილისა

თარჯიმანი მამაცოვი აჩვენებს, რომ სოვეტნიკ ორბელიანოვთან ერთად შეკრების დროს ნოემბრის დამდეგს, თქვენთან ერთად ამბობდა განზრახულების შეუძლებლობაზე, მაგრამ ელიზბარ ერისთოვს ჩაუჩუმებია იგი. განმარტეთ, რა თქვა მამაცოვმა და ელიზბარმა მართლა აიძულა იგი გაჩუმებულიყო თუ არა და ამის შემდეგ ყოფილა თუ აღარ მამაცოვი თქვენს თათბირებზე.

გენერალ-მაიორი **ვოლხოვსკი**

თარჯიმანი მამაცოვი სოვეტნიკ ორბელიანთან შეკრებაზე ნამდვილად ლაპარაკობდა განზრახულების შეუძლებლობაზე,

მაგრამ რა სიტყვები იხმარა, ზუსტად არ შემიძლიან გავიხსენო. ელიზბარმა მართლაც აიძულა იგი გაჩუმებულიყო: იგი უნინაც ასევე აჩუმებდა სხვებსაც (თუ ვინმე წინააღმდეგს იტყოდა), ჩააცივდებოდა: „აბა თქვით, თქვით თქვენი აზრი, საჭიროა შეიგნოთ“. ამას გარდა, როდესაც ორბელიანთან შეკრებიდან წამოვედით, მე და მამაცოვს შინისკენ ერთი გზა გვქონდა და მან მითხრა: „მითხარი გეთაყვა, რისთვის ჩავცვივდით მათს ხელში ჩვენს დასალუპად, ჩვენ ხომ სამუდამოდ გავუბედურდით. აი მათი ფუქსავატობის შედეგი. უნდა მივატოვოთ ისინი, თუ გვსურს როგორმე შევამსუბუქოთ ჩვენი უბედურებაო“. ამის შემდეგ არც მე და არც ის აღარავითარ თათბირზე არ ვყოფილვართ.

მასწავლებელი **დ. ყიფიანოვი**

მეორე კითხვაზე, რომლის შინაარსია: თარჯიმანი მამაცოვი ამბობს, რომ ის გირჩევდათ ჩამოსცლოდით თავადების კრებას და რომ თქვენ, როგორც აზნაურებს, გმართებთ იყოთ მთავრობის ერთგული. განმარტეთ, მართალია თუ არა ეს ჩვენება და სახელდობრ რას გელაპარაკებოდათ მამაცოვი.

დ. ყიფიანი უპასუხებს: ბატონ მამაცოვის ეს ჩვენებაც სრული ჭეშმარიტებაა, ხოლო ზუსტად რა მითხრა, მე უკვე ვთქვი პირველ კითხვაზე პასუხში.

მასწავლებელი **დ. ყიფიანი**

8. ჩვენება 1833 წლის 23 აპრილისა

პრაპორჩიკი მამაცოვი (გვ. 2307) აჩვენებს, რომ 1832 წელს, ერთხელ თქვენთან იყვნენ ავთანდილოვი და ვახტანგ ორბელიანოვი, რომელმაც უცებ მხარზე ხელი დაჰკრა მამაცოვს და თქვა: „ჩვენ რომ თავისუფალი ვიყოთ, ვერ დაგვიყოლიებდნენ, ხომ მართალიაო“. განმარტეთ როგორ იყო ეს; რა უპასუხა მამაცოვმა და რა დაუმატა ავთანდილოვმა.

გენერალ-მაიორი ვოლხოვსკი

პრაპორჩიკ მამაცოვის ჩვენება მართალია, რომ იგი, ავთან-დილოვი და ვახტანგ ორბელიანოვი შარშან იყვნენ ჩემთან, მაგრამ რა უპასუხა მამაცოვს ვახტანგმა და რა დაუმატა მას ავთან-დილოვმა, სრულებით ვერ გამიხსენებია, რადგანაც სწორედ ამ საუბარში დედა ჩემმა დამიძახა¹ რალაც საოჯახო საქმეზე.

მასწავლებელი **დ. ყიფიანოვი**

9. ჩვენება 1833 წლის 25 აპრილისა

თქვენს ჩვენებათა შესავსებად კომისია მოგიწოდებთ განმარტოთ მოკლედ, მაგრამ ზუსტად და სათანადო გულახდილობით:

1. ვინ მიგაჩნდათ მთავარ და დამწყებ წყაროდ მთავრობის წინააღმდეგ განზრახულებისა.

2. ხომ არ არსებობდა ასეთი განზრახულება უკვე 1830 წლის უწინარეს.

3. რა საშუალებით ფიქრობდნენ შეთქმულნი 1831 წელს განზრახულის განხორციელებას ვარშავის ალების წინ. ნავარაუდები იყო თუ არა საამისოდ პირველი ღამის განკარგულება,¹ როგორც ეს იყო 1832 წელს.

4. რა ვადა იყო დანიშნული ან ნავარაუდები აღნიშნული განზრახულების შესასრულებლად 1831 წელს.

5. რადგან ვარშავის დაცემის შემდეგ შეთქმულება ცოტა შენელდა და მისი შესრულება უკუგდებული იქნა, — სახელდობრ რა მიზეზმა შთაგაგონათ ესოდენ საქმიანად გაგეახლებინათ იგი 1832 წელს და მის განხორციელებასაც კი შესდგომოდით.

1. მთავრობის წინააღმდეგ შეთქმულების მესვეურებად მე უნდა მივიჩნიო ქართველი ბატონიშვილები, რადგან შეთქმულნი მათ ხშირად ახსენებდნენ; მაგრამ სახელდობრ ვინ, მე არ ვიცი, და მე არც ვიცნობ რომელიმე ბატონიშვილს.

2. ამაზე სრულებით არა ვიცი რა.

3. აგრეთვე არა ვიცი რა 1831 წელში მზადებათა შესახებ, ან თუ ემსგავსებოდა 1832 წლის განკარგულებას, რადგან მე შეთქმულებაში მხოლოდ 1832 წელს ჩამითრიეს.

4. გასული წლის 20 ნოემბერი; ხოლო იმის დასამტკიცებლად, რომ მე სრულიად მცირე მონაწილეობას ვიღებდი და დარწმუნებული ვიყავი მათს ზერელობაში, საკმარისია, რომ იმავე თვის 10 რიცხვში რუსეთიდან გამოვიწერე ნივთები.

5. არც ამის შესახებ ვიცი რამე, იმავე მიზეზის გამო, რაც მესამე პუნქტში აღვნიშნე.

მასწავლებელი **დ. ყიფიანოვი**

25 აპრილი, 1833 წ.

10. ჩვენება 1833 წლის 9 მაისისა

ბატონ მასწავლებელ დიმიტრი ყიფიანოვს
9 მაისი, 1833 წ.

1.

თქვენ აღიარეთ, რომ ავთანდილოვთან ვახშმის შემდეგ 1831 წლის ოქტომბერში, თქვენ პირველად გამოგიცხადათ შეთქმულება პრაპორშჩიკმა გიორგი ერისთოვმა (60); ამის შემდეგ თქვენს ჩვენებაში იასე ფალავანდოვის შესახებ, სხვათა შორის, სთქვით, რომ თქვენ 1832 წელს ამ შეთქმულებაზე არა იცოდით რა (2449). სხვათა ჩვენებებიდან კი ჩანს, რომ: იასე ფალავანდოვის წინაშე – რომელთან ვახშამსაც ესწრებოდით, – თქვენ წარგადგინეს თქვენმა ამხანაგებმა და იქვე ითქვა, რომ განზრახულება თქვენ იცოდით უკვე 1831 წელს (4); პრაპორშჩიკი გიორგი ერისთოვის ჩვენებითაც თქვენ იცოდით შეთქმულება უკვე 1831 წელს. განმარტეთ გარკვეულად, როდის გაიგეთ 1831 წლის შეთქმულების არსებობა.

ამ შეკითხვიდან ჩანს, რომ თავადი ფალავანდოვი და პრაპორშჩიკი გიორგი ერისთოვი ჩემზე აჩვენებენ, რომ, ვითომ, მათ

იცოდნენ, რომ შეთქმულება ჩემთვის 1831 წელს იყო ცნობილი, მაგრამ სახელდობრ, ვისგან და როგორ იცოდნენ მათ ეს, ამაზე კი არაფერს ამბობენ. ხოლო თუ ვახშამი (როგორც მე წინათაც ვაჩვენე) ავთანდილოვთან იყო სწორედ 1831 წლის დეკემბერში და არა შემდგომ, – მაშინ მე უარს ველარ ვიტყვი. დროის შესახებ, გეფიცებით, დანამდვილებით ვერაფერს ვიტყვი, არ მახსოვს; იქნებ ინებოს კომისიამ და თვით ავთანდილოვს შეეკითხოს, ან სოვეტნიკ ორბელიანოვსა და მის ძმას ვახტანგს და თუ ისინი იტყვიან, რომ იგი სწორედ 1831 წლის დეკემბერია, მაშინ მეც ამას დავადასტურებ; დასამალი კი არაფერი მაქვს, რადგანაც ჩემი დანაშაული დიდმნიშვნელოვანია როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში. ხოლო რაც შეეხება იმას, რომ ვითომც მე ვიცოდი იგი აღნიშნულ დროზე უწინარეს, ამას ვერც ფალაგანდოვი, ვერც გიორგი ერისთოვი და ვერც სხვა ვინმე დაამტკიცებს.

2.

თქვენ აჩვენეთ, რომ ერთგულ და საიდუმლო მეგობრობის აკტი, შედგენილი ბერმონაზონ ფილადელფოს კიკნაძის მიერ, ნაგვიკითხათ პრაპორშჩიკმა (374); მანვე, გიორგი ერისთოვმა, თქვა, რომ სხვებთან ერთად, მან ეს აკტი წასაკითხად გადმოგცათ თქვენც, რომ ყველა აქებდა მის შინაარსს, მაგრამ დასძენდნენ, რომ მის შესრულებას ვერავინ შესძლებსო (381) და რომ როდესაც იგი, გიორგი ერისთოვი, გვიკითხავდათ აკტს, თქვენ იმეორებით ფიცს (1681). განმარტეთ ისე, რომ არაფერი დაჰფაროთ, მართლა აქებდით თუ არა აკტის შინაარსს, ან სხვა ვინმე თუ აქებდა და სახელდობრ ვინ. რა გარემოების გამო მიეწერებოდა აკტს ქება თქვენსა და იქ მყოფთაგან, აგრეთვე, რატომ ჰფიქრობდით, რომ მისი შესრულება არავის შეუძლიან, ეხებოდა ეს აკტის ნესებს თუ მის მიზანს; ცნობილია თუ არა თქვენთვის ეს მიზანი და სახელდობრ, რაში მდგომარეობდა იგი. და ბოლოს, ფიცს იმეორებდით მაშინ, როდესაც გიორგი ერისთოვი აკტს გვიკითხავდათ, თუ ამ აკტის შესაბამისი ფიცი ადრევე მიეცით, ან შემდეგში.

* იგულისხმება „აკტი გონიური“.

ერთგულებისა და საიდუმლო მეგობრობის აკტზე მე აღრეც ვაჩვენე ზუსტად როგორც იყო, სახელდობრ: როდესაც პრაპორშჩიკი გიორგი ერისთოვი კახეთიდან ჩამოვიდა (1832 წლის მაისში), იგი მოვიდა ჩემთან სახლში, სადაც მას დახვდა ავთანდილოვი. ჩვეულებრივ მისალმებათა შემდეგ, მან გვითხრა, რომ მას აქვს ერთი ჩინებული თხზულება დიდი სწავლული ავტორისა, შემდეგ ამოიღო ჯიბიდან ორი ფურცელი ქალაქი და ნაგვიკითხა ხსენებული აკტი. მე და ავთანდილოვმა სწორედ შევაქეთ კარგი და მაღალფარდოვანი ქართული წყობა. მაგრამ მისი შინაარსი და მიზანი მე არასოდეს შემიქია, რადგან არც ერთი და არც მეორე პირველი შეხედვისთანავე, ჩემთვის გასაგები არ იყო, ეს უკანასკნელი – მიზანი, რაში მდგომარეობდა დღესაც არ ვიცი. ხოლო წაუკითხა თუ არა, ან გადასცა თუ არა ვისმე წასაკითხად გიორგი ერისთოვმა, მე არაფერი ვიცი ამაზე. რაც შეეხება იმას, რომ ვითომც მე დავდე ფიცი როდისმე, – ეს არ შეიძლება მომხდარიყო.

3.

მასწავლებელმა დოდაევმა აჩვენა, რომ იგი გირჩევდათ ჩამოშორებოდით მოაჯანყებებს, მაგრამ თქვენ ეს უთხარი თავადებს, რის გამოც დოდაევმა მიიღო მათგან გაკიცხვა (984). განმარტეთ ზუსტად, გითხრათ თუ არა დოდაევმა აღნიშნული და რა განზრახვით გადაეცით იგი თავადებს.

დოდაევის ჩვენება მართალია. მაგრამ მისი კეთილი რჩევის შესახებ არც ერთი შეთქმულისათვის არაფერი მითქვამს. იქნებ ინებოს კომისიამ ჰკითხოს მას, სწორად ახსოვს, რომ მე იგი გავეცი? ამგვარი რჩევის საიდუმლოდ შენახვა მე შემიძლია, მაგრამ უსარგებლოდ.

* მე-4 კითხვაში მოთხრობილია სიტყვასიტყვით ის მომენტი მთლიანად, როდესაც ვახტანგ ორბელიანს უთქვამს მამაცოვისათვის, – თავისუფალი რომ ვიყოთ, ასე არ წავხედებოდითო, რაზედაც დ. ყიფიანი უპასუხებს, რომ ის ამ მომენტს არ დასწრებია.

გ. გოზალიშვილის შენიშვნა.

5.

ვახტანგ ორბელიანის ჩვენებით, როდესაც მისი ძმის ალექსანდრეს ბაღში შეკრებილი თავადები ფიქრობდნენ გაეგზავნათ ვინმე ოქროპირ ბატონიშვილთან, რათა ეცნობებინათ აქ შეთქმულების მიმდინარეობის შესახებ, – თქვენ დათანხმდით, რომ შეასრულებდით ელჩის როლს (880); ელიზბარ ერისთოვის ჩვენებით, როდესაც აღნიშნულ შეკრებილობაში თქვენ განაცხადეთ, რომ პეტერბურგში წასვლას აპირებთ ახალგაზრდა მონაფეებითურთ, მოაჯანყებმა წინადადება მოგცეს, მოგენახულებინათ იქ დიმიტრი ბატონიშვილი და გეამბნათ მათ საქმეზე (1882); მასწავლებელ ავთანდილოვის ჩვენებით, 1832 წელს ალექსანდრე ორბელიანოვის ბაღში შემდგარ შეთქმულთა კრებაში მოგეცათ წინადადება წასულიყავით ოქროპირ ბატონიშვილთან (957). რომ თქვენ თანახმა იყავით წასულიყავით რუსეთში დიმიტრი ბატონიშვილთან, ეს აჩვენა გიორგი ერისთოვმაც (884), ხოლო რომ თქვენ ნამდვილად იყავით ალექსანდრე ორბელიანოვის ბაღში, სადაც საუბარი იყო რუსეთში ბატონიშვილთან კაცის გაგზავნაზე და რომ ეს მისია დაგეკისრათ თქვენ, – ეს დასტურდება თქვენი საკუთარი ჩვენებებით. მაგრამ ეხლა, კომისია ამ გარემოების ზუსტად დადგენის მიზნით, მოითხოვს თქვენგან დადებით განმარტებას: თქვენ თვითონ განაცხადეთ სურვილი რუსეთში ბატონიშვილთან წასვლის შესახებ თუ არა და სახელდობრ ვისთან აპირებდით მისვლას, რათა გეცნობებინათ აქაური შეთქმულების მიმდინარეობასა და წარმატებაზე; ან თუ თქვენ წინასწარ გქონდათ მოცემული ასეთი წინადადება და იკისრეთ თუ არა მისი შესრულება და რა საშუალებით.

მე (ბრწყინვალე სადილის შემდეგ) დავთანხმდი, რომ წავიდოდი რუსეთს ბატონიშვილებთან, რათა ყველაფერი მეცნობებინა. მაგრამ ამის შემდეგ აღარასოდეს მიკისრია ელჩის როლი; და არც აღარავის გაუხსენებია ეს ჩემთვის. რაც შეეხება ელიზბარ ერისთოვის ჩვენებას, ამაზე შემიძლიან ვუპასუხო, რომ მე არა-

სოდეს ვყოფილვარ იმდენად უგუნური, რათა მეფიქრა, რომ უფროსები მე ჩამაბარებდნენ მონაფეებს რუსეთში ჩასაყვანად და ჩემზე უკეთეს მოხელეს ვერ მოძებნიდნენ. ხოლო, თუ რომელ ბატონიშვილთან მიპირებდნენ გაგზავნას, მე სრულებით არ ვიცი.

გენერალ-მაიორი გიმნაზიის მასწავლებელი
ბაიკოვი I¹ დიმიტრი ყიფიანოვი

11. ჩვენება 1833 წლის 16 მაისისა

ბატონ მასწავლებელ დიმიტრი ყიფიანოვს
16 მაისი, 1833 წ.

1.

თქვენ აღიარეთ, რომ იყავით იასე ფალავანდოვთან ვახშამზე, ხოლო სხვა თანამონაწილეთა ჩვენებებიდან ჩანს, რომ იმ საღამოს წამოყენებული იყო წინადადება თავად მუხრანსკის (გუბერნიის წინამძღოლისა) და გუბერნატორ ფალავანდოვის მოსპობის შესახებ, რაზედაც ზოგი თანახმა იყო, ზოგი კი არა. განმარტეთ ზუსტად: იყავით თუ არა?

გუბერნიის წინამძღოლ თავად მუხრანსკის მოსპობა მე არ გამიგონია, მაგრამ გუბერნატორ ფალავანდოვზე კი გავიგონე თვით მისი ძმისაგან, რომელიც ამბობდა: „ისეთი პირები თავიდან უნდა მოვიშოროთ, როგორც მაგ: ჩემი ძმაა. აჯანყების დროს ისინი უთუოდ გაჰკიცხავენ ხალხს და თავიანთი მხოლოდ სიტყვით შეუძლიანთ ჩააქრონ აჯანყება. მის საიქიოს გასტუმრებას მე ვკისრულობ“.

2.

შეთქმულების ერთი თანამონაწილის ჩვენებიდან ჩანს, რომ აჯანყების პირველი ღამის განკარგულების შედეგის დროს ვახტანგ ორბელიანოვმა შეიტანა წინადადება, ხალხის გამრავლების მიზნით, თქვენც, სხვებთან ერთად, მიგამავრონ რომე-

ლიმე პოსტს (967). განმარტეთ სრულიად გულახდილად, იცოდით თუ არა ვახტანგ ორბელიანოვის ეს წინადადება და ვახტანგმა ხომ არ წამოაყენა იგი თქვენი თანხმობით?

ვახტანგ ორბელიანოვის წინადადების შესახებ, რომ მეც განზრახულების შემსრულებელთა შორის ვინმესთან მივემადრებინე, მე არაფერი მსმენია და ამაზე ჩემი მხრით არავისთვის თანხმობა არ მიმიცია.

თბილისის გიმნაზიის მასწავლებელი
დ. ყიფიანოვი

12. ჩვენება 1833 წლის 23 მაისისა

ბატონ მასწავლებელ ყიფიანოვს,
23 მაისი, 1833 წ.

გასული წლის ოქტომბერში იყავით ჩაიზე:¹ თქვენ, სოვეტნიკი ალექსანდრე ორბელიანოვი, მისი ძმა ვახტანგი, პორუჩიკი გიორგი, დიმიტრი და ელიზბარ ერისთოვები, ავთანდილოვი. იქ ლაპარაკი იყო, თუ როგორ მოგეხდინათ აჯანყება, ხელთ გეგდოთ ხაზინა, სურსათი და არტილერია. შემდეგ მსჯელობით გენერალ თავად მუხრანსკისა და გუბერნატორ ფალავანდოვის დახოცვის აუცილებლობაზე. განმარტეთ, ვინ მოითხოვდა დაჟინებით მათს დახოცვას და პირველად ვინ წამოაყენა ეს აზრი; აგრეთვე, დამსწრეთაგან ვინ ეთანხმებოდა ამას და ვინ უარს ამბობდა.

გენერალ-მაიორი **ვოლხოვსკი**

იასე ფალავანდოვის სახლში გენერალ თავად მუხრანსკის მოკვლაზე არა გამიგონია რა, გუბერნატორ თავად ფალავანდოვის მოკვლაზე კი, თვით მისი ძმა იასე ლაპარაკობდა; მაგრამ ძმის მკვლელობაზე მისი ნათქვამი არავინ მიიღო და მასზე არა-

ვის უპასუხნია; არც არავის მოუთხოვნია დაჟინებით აღნიშნულის შესრულება.

დიმიტრი ყიფიანოვი

13. ჩვენება 1833 წლის 19 ივნისისა

საგამომძიებლო კომისიის შეკითხვაზე: თქვა თუ არა კაპიტანმა თავადმა ჩელოყაევმა სოვეტნიკ ალექსანდრე ორბელიანოვის სახლში ჩემი, დოდაევის, ავთანდილოვის და თვით სოვეტნიკის თანადასწრებით, რომ ვითომც დიმიტრი ორბელიანოვი (მაიორი) არც თუ დიდად ერთგულია მთავრობისა და ვითომც მას ეთქვას, როდესაც მასთან სადილად იყვნენ ჩელოყაევი და დოდაევი, რომ საქართველოში თუ რაიმე მოხდება, ის უჩვენებს, რომ მას შესწევს სარდლობის უნარი;

აგრეთვე, თქვა თუ არა ჩელოყაევმა, რომ იგი, მაიორი დიმიტრი ორბელიანოვი, უარს არ იტყვის მათს განზრახვაზე — მაქვს პატივი განვაცხადო, რომ მე ეს საუბარი არ მომისმენია და როგორც მახსოვს, სოვეტნიკ ორბელიანოვთან ჩვენ ოთხნი ერთად არც არასოდეს ვყოფილვართ.

მასწავლებელი **დიმიტრი ყიფიანოვი**

19 ივნისი, 1833 წ.

14. ჩვენება 1833 წლის 4 ივლისისა

ივლისის 4, 1833 წ.

განუმარტეთ კომისიას, მართლა ვითხრათ ვახტანგ ორბელიანოვმა, რომ შეთქმულების მონაწილეებმა არა კეთილგონიერულ საქმეს მოჰკიდეს ხელი; რომ საქართველო ისე ბედნიერი არასოდეს ყოფილა, როგორც ეხლა და რომ ქართველები მადლიერნიც კი უნდა იყვნენ რუსებისა მათგან მიღებული მფარველობისა და განთავისუფლებისათვის?

თუ სწორედ ეს სიტყვები არ იყო თქმული ვახტანგის მიერ, ხომ არ გამოუთქვამს მას რამე სხვანაირად, რომ იგი მისდა უნებურად, უხალისოდ იღებს მონაწილეობას შეთქმულებაში? სად, როდის და ვისი თანდასწრებით იყო ეს?

გენერალ-მაიორი ჩ ე ვ კ ი ნ ი

მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ თავადმა ვახტანგ ორბელიანოვმა მართლაც თქვა, რომ შეთქმულების მონაწილეებმა არაკეთილგონიერი საქმე წამოიწყეს, რომ ქართველები დიდად ბედნიერი არიან რუსული მმართველობით და საქართველო მადლიერი უნდა იყოს იმ მფარველობისა და განათლებისათვის, რაც მას რუსეთმა მოუტანა.

ეს იყო მის სახლში, მასწავლებელ ავთანდილოვის თანდასწრებით, მაგრამ დრო არ მახსოვს.

ამას გარდა, როდესაც ჩვენ სამთ გვიხდებოდა მსჯელობა ჩვენს მიუტევებელ სისულელეზე, ისიც გამოსთქვამდა ამის გამო მწუხარებასა და მონანიებას.

მასწავლებელი ყიფიანოვი

15. ჩვენება 1833 წლის ივლისისა (I)

საგამომძიებლო კომისიის მიერ ჩემთვის წარმოდგენილ კითხვაზე იმის შესახებ, რომ ვითომც მე ვაწარმოებდი მიმონერას თავად დიმიტრი ერისთოვთან,¹ როგორც ამას იგი თვითონ აჩვენებს, მაქვს პატივი გაუწყოთ, რომ მასთან, ერისთოვთან, არა თუ აქ, დაპატიმრების შემდეგ, არამედ არასოდეს არა მქონია რამე მიმონერა. ხოლო რაც შეეხება იმ ორი თვის, თუ უფრო წინათ საპირფარეშოში კედელზე მიწერილ ორ სტრიქონს, – მართალია, მე ის შევნიშნე, მაგრამ იგი მხოლოდ ახალგაზრდობის მიმართ დაცინვას შეიცავდა და, რა თქმა უნდა, სიტყვასიტყვით არ მახსოვს, მითუმეტეს, რომ, ამ უბედურებაში მყოფი, მე ამგვარ ხუმრობას სრულებით ყურადღებას არ ვაქცევ.

მასწავლებელი დიმიტრი ყიფიანოვი

16. ჩვენება 1833 წლის ივლისისა (II)

საგამომძიებლო კომისიის შეკითხვაზე მაქვს პატივი ვუპასუხო, რომ ის ორი სტრიქონი, რომელიც საპირფარეშოს კედელზე შემჩნეულ იქმნა ჩემთან ერთად ერთ საკანში მყოფ თავადების: პრაპორშჩიკ თეიმურაზ ამილახვაროვისა და კაპიტან ჩელოყაევის, აგრეთვე ჩემს მიერ, – შეიცავდა, როგორც მახსოვს შემდეგს: „განათლებულო ახალგაზრდებო, დიდება თქვენ! თქვენი თავიც და სხვებიც დაჰლუპეთ“. ამისა და კიდევ ნაშლილი ორი სტრიქონის მეტი მე არა შემინიშნავს რა.^{*}

მასწავლებელი **ყიფიანოვი**

17. ჩვენება 1833 წლის 17 ივლისისა

საგამომძიებლო კომისიის შეკითხვაზე მაქვს პატივი გიპასუხოთ, რომ ამა წლის მარტის თვეში თავად მამუკა ორბელიანოვთან მოლაპარაკება ამოქოლვილი კარის საშუალებით, ამგვარად დაიწყო: ერთ სალამოს შემოგვესმა (მე, ბარძიმ და თეიმურაზ ამილახვაროვებს) კარების იქეთა მხრიდან სიმღერა, რისთვისაც ესენი მივიდნენ კარებთან და ყურმილებულნი დიდხანს უსმენდნენ, მაგრამ, ეტყობა, ვერ მიხვდნენ ვინა მღეროდა. ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად, ბარძიმმა და თეიმურაზმა ხმამაღლა ჩაახველეს, რის პასუხადაც მეზობელი ოთახიდან ასეთივე ნიშანი მიიღეს. თეიმურაზმა ორჯერ კიდევ ჩაახველა და მერე ხმადაბლა ჰკითხა: „ვინა ხართ თქვენ?“ რადგან პასუხი ვერ მიიღო, იგივე კითხვა უფრო ხმამაღლა გაიმეორა, რაზედაც იყო პასუხი: „მე მამუკა ვარ, თქვენ ვინა ხართ?“ „ჩვენ სამნი ვართ – უპასუხა თეიმურაზმა – ბარძიმ ამილახვაროვი,

* ამავე ჩვენების ბოლოს ჩოლოყაშვილს მიუწერია: „არც მე თვითონ წამიკითხავს ის წარწერა და არც ყიფიანოვისაგან გამიგონია. კაპიტანი თავადი ჩელოყაევი“.

გ. გოზალიშვილის შენიშვნა.

თეიმურაზ ამილახვაროვი და დიმიტრი ყიფიანოვი. თქვენ მარტო ხართ?“ „მარტო ვარ“. „დიდი ხანია დაგაპატიმრეს?“ „მესამე დღეა“. „ჯანმრთელობა როგორა გაქვს?“ „მაღლობა ღმერთს, ეხლა გაცილებით უკეთესად“.

ამის შემდეგ აღარაფერი თქმულა, მაგრამ მერე დაიწყო საუბრები, რაც ეხებოდა იმას, რომ მამუკა ყოველგვარი ფიცით ირწმუნებოდა, რომ მან არაფერი იცის და მას ტყუილად დასწამეს ცილი ლევან ერისთოვმა, ელიზბარ ერისთოვმა და სოვეტნიკმა ალექსანდრემ – პუპლიამ,^{*} ხოლო ბარძიმი მას ანუგეშებდა იმით, რომ ისიც ტყუილად არის დაპატიმრებული, რომ მან აგრეთვე არაფერი იცის, მაგრამ ეხლა გვმართებს, როგორც ეს სამღვთო სჯულშია ნათქვამი: მოთმინებითა ჩვენითა მოვიპოვოთ სული ჩვენი და რომ მთავრობა მართალსა და მტყუანს ყველას გამოარკვევს!

როდესაც ბარძიმი ჩვენგან სხვა ოთახში გადაიყვანეს და მის მაგიერ მოიყვანეს კაპიტანი ჩელოყაევი, მამუკამ კარის საშუალებით უკვე გამოთქვა თავისი სიხარული იმის გამო, რომ მეზობლად ეყოლებოდა ჩელოყაევი. რამდენიმე ხანში ჩვენ ოთხივე ერთმანეთს ვეკითხებოდით ჯანმრთელობაზე. რასაკვირველია, მამუკამ აქაც არ დააყოვნა ჩელოყაევისთვის დაემტკიცებინა თავისი უდანაშაულობა, რომელიც მასთან არც თუ ხშირად საუბრობდა.

ერთ დღეს, როცა ჩვენ ყველას გვეძინა (მე და ჩელოყაევის მაინც), მამუკამ მიიხმო თავისთან თეიმურაზი და დაავალა გვთხოვოს, ხომ არ შეგვიძლიან მას რითიმე დავეხმაროთ. ეს და-

* პუპლია ალექსანდრე ორბელიანის ზედმეტი სახელია.

გ. გოზალიშვილის შენიშვნა.

თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის დირექტორს, თ. ბუკრინსკის, თავისი მონაფისთვის, ალ. ორბელიანისთვის, ერთხელ ამ სიტყვებით მიუმართავს: „შენა ხარ რომაელი პუპლი... ეცადე ისწავლო ჩემო რომაელო პუპლი“ (ბერძნიშვილი 1983: 125). „პუპლი“ მალე „პუპლიად“ გადაკეთდა და ალ. ორბელიანს ეს სახელი სიცოცხლის ბოლომდე შერჩა.

ვალეზა გამოგვიცხადა თეიმურაზმა უკვე საღამო ჟამს, როდესაც მე ვუპასუხე, რომ სიამოვნებით გავამართლებდი, მასთან რომ რამე ნაცნობობა მქონოდა, ან შვხვედროდი როდესმე, ან რამე მქონოდა მასზე გაგონილი. ჩელოყაევმა უპასუხა მას, რომ ისიც სრულებით არ იცნობს მას და მხოლოდ ერთხელ ნახა იგი, ისიც ავადმყოფი და მისი სახე სრულებით არ ახსოვს! მაგრამ რადგანაც ჩელოყაევს ერთხელ ნათქვამი ჰქონდა, რომ როდესაც ის ლევან ერისთოვთან ერთად იჯდა, მისგან გაიგონა, რომ მან, ლევანმა, მამუკაზე არა იცის რა – ამიტომ მამუკამ თეიმურაზის საშუალებით სთხოვა მას, რათა ეს აცნობოს ჩელოყაევმა კომისიას. თეიმურაზი კი მუდამ არწმუნებდა მას, რომ რამდენჯერმე შეეკითხნენ მასზე, მაგრამ აჩვენა, რომ მან არა იცის რა მის მონაწილეობაზე.

რადგანაც მამუკამ ჩვენგან გადაჭრით უარი მიიღო, ამის გამო, აღარცკი გველაპარაკებოდა; სარკმელის საშუალებით კი აღარც მასთან და აღარც სხვასთან ჩვენ საუბარი აღარ გვექონია. განსაკუთრებით მე არასოდეს, არავისთან საუბარი არა მქონია.

მასწავლებელი **ყიფიანოვი**

მაქვს პატივი ამას დავუმატო, რომ მამუკა კარის საშუალებით მეკითხებოდა: რას მელაპარაკებოდა მასზე დიმიტრი ერისთოვი, როდესაც ის ჩემთან იჯდა. მე კი ვუპასუხე, რომ: სწორედ არ მახსოვს, მაგრამ, მგონია, მას თქვენზე არაფერი უთქვამს მეთქი. ამის შემდეგ მამუკას მასზე აღარაფერი უკითხავს ჩემთვის.

ყიფიანოვი

1833 წლის 17 ივლისი.

18. ჩვენება 1833 წლის 21 ივლისისა

ვახტანგ ორბელიანოვი აჩვენებს, რომ 1832 წლის ოქტომბერში, როდესაც იყავით იასე ფალავანდოვთან, მან პირველმა

შემოიტანა ბალის გამართვის წინადადება, სადაც უნდა ამოგე-
ხოცნათ უმაღლესი მოხელენი, მერე თავს დასხმოდით ციხეს,
არსენალსა და სხვა ადგილებს. განმარტეთ ეს გარემოება ჭეშ-
მარიტებით.

გენერალ-მაიორი ჩეკვინი

1832 წლის 19 ოქტომბერს იასე ფალავანდოვის სახლში ვახ-
შამზე, თუმცა სხვებიც ლაპარაკობდნენ აჯანყების მოსაწყობ
საშუალებებზე, მაგრამ როგორც ამ საშუალებებზე, ისე ბალის
გამართვაზე, უმაღლეს მოხელეთა ამოხოცვაზე, ციხეზე, არსე-
ნალზე და სხვა ადგილებზე თავდასხმის წინადადება პირველად
იასე ფალავანდოვმა შემოიტანა.

მასწავლებელი ყიფიანოვი

19. ჩვენება 1833 წლის 26 ივლისისა

პირზე წაყენება კოლეგიის რეგისტრატორის, თავად იასე
ფალავანდოვისა თავად ვახტანგ ორბელიანოვთან და მასწავ-
ლებელ ყიფიანოვთან.

1833 წლის 26 ივლისი.

მასწავლებელი ყიფიანოვი თავის ჩვენებაში ამტკიცებდა,
რომ ფალავანდოვთან გამართულ ვახშამზე იგი, ფალავანდო-
ვი, ამბობდა: „ვინაიდან ყველანი მეგობრები ვართ, ვილაპარა-
კოთ გულწრფელად; ისტორია გვიმტკიცებს, რომ დაყოვნება
ყოველთვის დამლუპველია საქმისთვის“. მისი თქმით, ყველას
უნდა გამოეხატა აზრი საშუალებებზე, თვითონ კი გამოაცხა-
და, რომ საჭიროა ჯარის შეკრება. რაც შეეხება თბილისელ ლო-
თებსა და მანანალებს, ფალავანდოვს იმედი ჰქონდა, რომ თვი-
თონვე შეკრებდა მათ და ბუნტში ჩააბამდა.

ვახტანგ ორბელიანოვმაც დაადასტურა თავისი ჩვენება,
რომელიც მთლიანად ემთხვევა მასწავლებელ ყიფიანოვის ჩვე-

ნებას და, ამასთანავე, დასძინა, რომ ფალავანდოვი პირობას იძლეოდა, გამოეყვანა 200 თუ 300 თბილისელი ხელოსანი, რომელთაც მან, ფალავანდოვმა, უკვე გააგებინა განზრახულება. ამას გარდა, ფალავანდოვი ამბობდა: თუ დროზე არ ვიმოქმედებთ, უკვე იმდენმა იცის, რომ, ადვილი შესაძლებელია, გამჟღავნდესო.

იასე ფალავანდოვმა ეს ყველაფერი უარყო, ამასთანავე, განაცხადა, რომ იგი, მსგავსად სხვა თანამზრახველებისა, აჯანყებისთვის ხალხის გამოყვანის პირობას კი იძლეოდა, თუმცა არ დაუხახელებია რაოდენობა, არც თბილისელი ხელოსნების, ლოთებისა და მანანალების შესახებ უთქვამს რამე, წაყენებულ პირთა მიერ ნახსენები სიტყვებიც – „ვინაიდან ყველანი მეგობრები ვართ“ და სხვ. – არ დაადასტურა, უარყო აგრეთვე ვახტანგ ორბელიანოვის ნათქვამი, რომ მცხოვრებთათვის განზრახულება უკვე გამოცხადებული იყო და დასძინა: სიტყვები – „თუ დროზე არ ვიმოქმედებთ, უკვე იმდენმა იცის, რომ, ადვილი შესაძლებელია, გამჟღავნდესო“ – არ უთქვამს. საბოლოოდ ყველა თავ-თავის სიტყვაზე დარჩა.

პირზე წაყენებას ხელს აწერს მასწავლებელი **ყიფიანოვი;**

პირზე წაყენებას ხელს აწერს თავადი **ვახტანგ ორბელიანოვი;**

პირზე წაყენებას ხელს აწერს თავადი **იასე ფალავანდოვი.**

გენერალ-მაიორი **ბაიკოვი**

გენერალ-მაიორი **ვოლხოვსკი**

20. ჩვენება 1833 წლის 28 ივლისისა

თქვენს ერთ ჩვენებაში (ნნ) განაცხადეთ, რომ ერთხელ, როდესაც საღამო ჟამს იყავით ელიზბარ ერისთოვთან სხვა თანაგანმზრახველებთან ერთად, იქ იასე ფალავანდოვმა ღრმად ამოიოხრა და დაიწყო ლაპარაკი საქართველოს დამცირებაზე და მის ყოფნაზე თურქეთში.

განმარტეთ, თქვენ თანამონაწილეთაგან ვინ იყვნენ მაშინ

იქ და თუ გახსოვთ, როგორ აღწერდა ფალავანდოვი საქართველოს დამცირებას.

გენერალ-მაიორი ჩეკვინი

ამ შეკითხვაზე მაქვს პატივი ვუპასუხო, რომ იმ საღამოს ელიზბარ ერისთოვთან, როდესაც იასე ფალავანდოვი აღწერდა საქართველოს დამცირებასა და თავის ყოფნას თურქეთში, მაშინ იქ იყვნენ ყოფილი სოვეტნიკი ალექსანდრე ორბელიანოვი, მისი ძმა ვახტანგი, პორუჩიკი გიორგი ერისთოვი, თვით მასპინძლები: ელიზბარი და მისი ძმა დიმიტრი ერისთოვები, ბირთველი თუმანოვი, მასწავლებელი დოდაევი (თუმცა ამაზე კარგად არ მახსოვს), მასწავლებელი ავთანდილოვი და მე. რაც შეეხება იმას, თუ როგორ აღწერდა ფალავანდოვი საქართველოს დამცირებას, თუმცა კარგად არ მახსოვს, მაგრამ, მგონია, ასე იყო. მან ასე დაიწყო: „გარწმუნებთ, ბატონებო! რომ თურქეთში ყოველ ქართველს ისეთი დიდი პატივისცემით იღებენ, რომ მეტი არ შეიძლება. აი, მეც კი ბატონიშვილად მიმიღეს, ბრწყინვალედ უზრუნველმყვეს საარსებო საშუალებით, მომცეს ბინა, მეპატიჟებოდნენ გამოჩენილი პირები, ერთი სიტყვით, ყველანი ერთიმეორეს ასწრებდნენ და ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტად ესიამოვნებინათ ჩემთვის.¹ და ასე მარტო მე კი არ მეპყრობოდნენ, არამედ ასე ეპყრობიან ყველა ქართველს.

შეხვალ, მაგალითად, საჩაიეში, სადაც კარგი საზოგადოებაა შეკრებილი, – ყველა პატივისცემით გითმობს ადგილს, გიმასპინძლებიან ყავით ან ხილით და გეპყრობიან საკმაოდ სასიამოვნო პატივისცემით. აი, ხომ ჰხედავთ თქვენ, იქ რა პატივისცემა გაქვთ? აქ კი? აქ ამას ვერ იტყვი: ხშირად, კონტორის უკანასკნელი მოხელე ან ათისტავი თავადს ისე ეპყრობა, როგორც მსახურს და ხშირად ხელითაც ეხება. არაფერი! ეს ისეთი გრძნობიარე ადამიანისათვის, როგორც მე ვარ, მეტად მტკივნეულია... მე... რამე რომ იყოს... კვლავ მივატოვებ საქართველოს, არაფრით არ შემიძლიან აქ ცხოვრება“.

აი, რა ილაპარაკა ფალავანდოვმა.

იმას ვერ დავიჟინებ, რომ სწორედ ეს სიტყვები იყო ნათქვამი, მაგრამ იმაზე კი პასუხს ვაგებ, რომ სწორედ ეს აზრი იყო გატარებული და ამ თანმიმდევრობით.

21. ჩვენება 1833 წლის 2 აგვისტოსი (I)

პირზე წაყენება კოლეგიის რეგისტრატორის, თავად იასე ფალავანდოვისა თავად ვახტანგ ორბელიანოვთან და მასწავლებელ ყიფიანოვთან.

1833 წლის 2 აგვისტო.

ვახტანგ ორბელიანოვი თავის ჩვენებაში ამტკიცებდა, რომ 1832 წლის ოქტომბერში იასე ფალავანდოვმა თანაგანმზრახველებს პირველმა შესთავაზა გაემართათ ბალი, ამოეწყვიტათ იქ მყოფი ყველა რუსი ჩინოვნიკი, ამასთანავე, თავს დასხმოდნენ ციხეს, ყაზარმებსა და სხვა პუნქტებს.

მასწავლებელმა ყიფიანოვმაც დაადასტურა თავისი ჩვენება, რომ 1832 წლის 19 ოქტომბერს, იასე ფალავანდოვთან გამართულ ვახშამზე, ბალის გამართვის, იქ უფროსობის ამოწყვეტის, ციხეზე, არსენალსა და სხვა პუნქტებზე თავდასხმის იდეა პირველმა იასე ფალავანდოვმა წამოაყენა.

იასე ფალავანდოვმა ორივეს, ვახტანგ ორბელიანოვისა და მასწავლებელ ყიფიანოვის, ჩვენებები უარყო და განაცხადა, რომ მის მიერ გამართულ ზემოხსენებულ ვახშამზე ამ თემების შესახებ არათუ თვითონ არ ულაპარაკია, გაგონებითაც არაფერი გაუგონია.

პირზე წაყენებას ხელს აწერს თავადი იასე ფალავანდოვი (გავიმეორებ, რომ ოქტომბერში არც ბალსა და არც თავდასხმაზე ლაპარაკი არ ყოფილა. თავადი იასე ფალავანდოვი). პირზე წაყენებას ხელს აწერს თავადი ვახტანგ ორბელიანოვი; პირზე წაყენებას ხელს აწერს მასწავლებელი ყიფიანოვი. პირზე წაყენებას ესწრებოდნენ:

გენერალ-მაიორი ბაიკოვი
გენერალ-მაიორი ვოლხოვსკი

22. ჩვენება 1833 წლის 2 აგვისტოსი (II)

ამ ფურცლის მეორე გვერდზე იასე ფალავანდოვის მიერ დანერილზე, რომ, ვითომც, მე მას ვუთხარი, რომ სხვის ჩაგონებით ვწერდი ბარათებს რომელიმე პატიმარს და არა მხოლოდ არ მსურდა მასზე რისამე დანერა, არამედ, რამე ჩვენების მიცემაც კი არ მინდოდა, – მაქვს პატივი ვუპასუხო, რომ ფალავანდოვის ჩვენება სრულებით მართალი არ არის და იგი გამოგონილია მის მიერ მხოლოდ იმ მიზნით, რათა მასზე ჩემს ჩვენებებს მნიშვნელობა დაუკარგოს და არ გაეწიოს ანგარიში.

მასწავლებელი **ყიფიანოვი**

1833 წლის 2 აგვისტო.

23. ჩვენება 1833 წლის 4 აგვისტოსი

საგამომძიებლო კომისიის კითხვაზე მაქვს პატივი ვუპასუხო, რომ მე ვუთხარი ჯერ ვახტანგ ორბელიანოვსა და მერე მასწავლებელ ავთანდილოვს, შემდეგ კი მათთან ერთად, სოვეტნიკ ალექსანდრე ორბელიანოვს, რომ თითქოს მე გავიგონე მამაჩემისაგან პრაპორშჩიკ ფიოდოროვისაგან,¹ რომ მან იცის იმის შესახებ, რომ მთავრობას გაგებული აქვს თავადთა შორის არსებული შეთქმულება. მე ეს განგებ გამოვიგონე იმ მიზნით, რომ ამით მაინც მეიძულებინა შეენწყვიტნათ შეთქმულება და მის ირგვლივ მსჯელობა.

მასწავლებელი **ყიფიანოვი**

4 აგვისტო, 1833 წ.

24. ჩვენება 1833 წლის 9 აგვისტოსი

თარჯიმანი მამაცოვი და მასწავლებელი დოდაევი აჩვენებენ, რომ ელიზბარ ერისთოვის მიერ სოლომონ რაზმაძისთვის გამართული სადილის შემდეგ 1832 წელს, თანაგანმზრახველნი

ნახვედით ბატონიშვილ თეკლას ბაღში და იქ დაევალა რაზმადეს, რათა მას გაენია დახმარება თქვენი შეთქმულებისათვის სპარსეთში და ამავე საქმეზე მოენახულებინა იქ ალექსანდრე ბატონიშვილი. განმარტეთ, როგორ იყო ზემოხსენებული გარემოება, რომელსაც თქვენ დაესწარით.

გენერალ-მაიორი **ჩევიკინი**

ამ შეკითხვაზე მაქვს პატივი ვუპასუხო, აღნიშნული სადილის შემდეგ რაზმადეს დაევალა გაენია შეთქმულების საქმეში დახმარება სპარსეთში, მაგრამ მას ეს დავალება ელიზბარ ერისთოვმა მისცა თუ სოვეტნიკმა ალექსანდრე ორბელიანოვმა, ეს ველარ გავიხსენე, მაგრამ ერთ-ერთი მათგანი კი იყო, არ ვიცი აგრეთვე რაზმადემ აღუთქვა დახმარება, თუ უარი თქვა, რადგან სწორედ ამ დროს მე მომიხდა მათი მიტოვება რაღაც საჭიროების გამო.

მასწავლებელი **ყიფიანოვი**

25. ჩვენება 1833 წლის 1 სექტემბრისა

ზოგიერთი თანაგანმზრახველი უჩვენებს, რომ 1832 წლის ნოემბრის დასაწყისში სოვეტნიკ ალექსანდრე ორბელიანოვთან გამართულ შეხვედრაზე ელიზბარ ერისთოვმა, წარმოადგინა რა აჯანყების წარმატებით მოწყობის საშუალებები, იქვე დასძინა: „ნუთუ ვინმე არ დათანხმდება ამას? გარწმუნებთ, ბატონებო, მონინაალმდეგეს, რომელიც პირველი შემხვედება, გულს ხანჯლით გავუპობ“. განმარტეთ, თქვა თუ არა ეს სიტყვები ელიზბარ ერისთოვმა?

გენერალ-მაიორი **ვოლხოვსკი**

ამ კითხვის პასუხად, მაქვს პატივი, განვაცხადო, რომ ხსენებული სიტყვები ელიზბარ ერისთოვისგან მე არ გამიგონია.

მასწავლებელი **ყიფიანოვი**

26. ჩვენება 1833 წლის 4 სექტემბრისა

ზოგიერთი თანაგანმზრახველი უჩვენებს, რომ თქვენს საზოგადოებაში იყო საბჭო, რომელშიც მხოლოდ მუდმივი წევრები დაიშვებოდნენ. განმარტეთ, სახელდობრ ვინ იყვნენ მისი წევრები?

გენერალ-მაიორი ვოლხოვსკი

მაქვს პატივი, მოგახსენოთ რომ მე არც ვიცი და არც გამიგონია, ჰქონდათ თუ არა თანაგანმზრახველებს მუდმივ წევრთაგან შემდგარი სპეციალური საბჭო. შესაბამისად, არც მის წევრებზე ვიცი რამე, ხოლო ვინ სად და როდის მყავს ნანახი, ამის შესახებ წინა ჩვენებებში მაქვს ნათქვამი, მაგრამ იყო თუ არა რომელიმე მათგანი მუდმივი წევრი, ამაზე ნამდვილად არაფერი ვიცი.

მასწავლებელი ყიფიანოვი

სოლომონ ბაგრატიონ-დავიდოვის საქმე

მთავრობასთან შეიძლება სხვადასხვა თხოვნა გვეკონდეს. ასეთი საქმეებიდან ერთი ჩემთვისაც ცნობილია. – ეს არის ყოფილი თავადის, სოლომონ ბაგრატიონ-დავიდოვის, საქმე. ამ ბედკრულ ბაგრატიონ-დავიდოს იმ წესების საფუძველზე, რომლებიც მისი უმაღლესობის ნებით თბილისში დაარსებულმა საქართველოს თავადაზნაურულ გვარეულობათა დამდგენმა კომისიამ შეიმუშავა, იმიტომ უნდა ჩამოერთვას თავადური ღირსება, რომ მშობლების დაქორწინებამდეა დაბადებული. – სათავადაზნაურო კომისია სხვაგვარად ვერც მოიქცეოდა, თუმცა, როდესაც სოლომონ ბაგრატიონის მშობლები დაქორწინდნენ, მაშინ იგი, მანამდე დაბადებული, ჩვენი ძველი ადათ-წესების თანახმად, ჯვრისწერაზე მექორწილეთა შორის იყო ჩაყენებული. ამან, იმავე ადათ-წესების მიხედვით, მისი გაჩენა კანონიერი გახადა.

მას შემდეგ 50 წელიწადზე მეტი გავიდა.

უკანონოდ შობილ შვილს მშობლები კანონიერად მიიჩნევდნენ, მიანიჭეს მემკვიდრეობითი უფლება და ეს სადავოდ არავის უქცევია. სწორედ მემკვიდრეობით საფუძველზე ფლობს სოლომონ ბაგრატიონი მშობლების მამულს და აქამდე თავადის ტიტულითაც სარგებლობდა. მას ნათესაური კავშირები აქვს უთვალსაჩინოეს თავადურ გვარეულობებთან: აბაშიძეებთან, თარხანოვებთან, ავალოვებთან. არადა, ცნობილია, რომ ჩვენში შეუძლებელი ხდება დანათესავება თავადურ ან აზნაურულ გვარეულობასთან, თუ პირი თვითონ არ ფლობს ამ ღირსებათაგან რომელიმეს. – ახლა მას უნდა ჩამოერთვას ის წოდება, რომელსაც 50 წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში ატარებდა, უნდა

დაკარგოს მამული, რომელსაც აქამდე ფლობდა, უნდა მოაკლდეს ღირსებას, რომელიც მინიჭებული ჰქონდა. ამას გარდა, თავადები, რომლებთანაც მას ნათესაური კავშირები აქვს, იძულებულნი ხდებიან, საკუთარი ნათესავის მიმართ ჩაიდინონ ჩვენში დამკვიდრებული წარმოდგენით უაღრესად სამძიმო და დამამცირებელი საქციელი – ამორიცხონ იგი სანათესავო წრიდან.

არ იქნება რუსული კანონმდებლობის სულისკვეთების საწინააღმდეგო, თუ თავადაზნაურობა შუამდგომლობით მიმართავს ხელისუფლებას, რათა სოლომონ ბაგ.-დავიდოვს, მსგავსად სხვებისა, აღუდგინონ თავადური ღირსება.

[1844-1850 წწ.]

**როგორ უნდა ისწავლებოდეს
თბილისის გიმნაზიაში ქართული ენა
(ც ხ რ ი ლ ი)**

I კლასი. 3 გაკვეთილი.

კითხვა და წერა;

ზეპირი სავარჯიშოები „ყრმათა მეგობრის“¹ კითხვისას, რაც ხელს შეუწყობს გონებრივი შესაძლებლობების განვითარებას; ნაბეჭდი ხუცურის კითხვა.

II კლასი. 2 გაკვეთილი.

იგივე;

წინადადებიდან მეტყველების ნაწილთა გამოკრება და მათი გრამატიკული გარჩევის უნარ-ჩვევათა თანდათანობითი ჩამოყალიბება;

III კლასი. 2 გაკვეთილი.

1. კითხვა და წერა;

2. ნაწყვეტების დაზეპირება;

3. ხუცურის კითხვა;

4. გრამატიკიდან – მოკლე ეტიმოლოგია² და გრამატიკული გარჩევის საფუძვლიანი დაუფლება.

IV კლასი. 2 გაკვეთილი.

1. იგივე, რაც III კლასში;

2. წერთი სავარჯიშოები რუსული ენიდან თარგმნაში;

3. ძირითადი გრამატიკული განსხვავებანი ძველ მწიგნობრულ ენასა და თანამედროვე ხალხურს შორის.

4. ხუცურის კითხვა და გრამატიკული გარჩევა;
5. სავარჯიშოები ძველი ენიდან თანამედროვე ენაზე გადმოსაღებად.

V კლასი. 1 გაკვეთილი.

1. გრამატიკული ცოდნის გამეორება და შევსება ისეთი დეტალური საკითხებით, რომლებიც პირველდანიწყებითი სწავლებისას არ ყოფილა გათვალისწინებული;
2. საღმრთო წიგნებისა და სხვა ძველ თხზულებათა კითხვა-გაგება;
3. წერიტი სავარჯიშოები და თარგმნა ნაწყვეტებისა ძველი რუსული თხზულებებიდან.

VI კლასი. 1 გაკვეთილი.

1. ხელნაწერთა და ზედწარწერილობათა³ კითხვა.
2. პრაქტიკული მეცადინეობის გაგრძელება V კლასში მითითებულ საგნებში.
3. ქართულ თხზულებათა და ქართველ მწერალთა ისტორიული მიმოხილვა.

VII კლასი. 1 გაკვეთილი.

1. გამეორება და გაღრმავება V-VI კლასებში მითითებული საგნებისა;
2. ქართლური კილოს მოკლე მიმოხილვა და მისი ძირითადი გრამატიკული და ლექსიკური თავისებურებები.

[14 მარტი 1854 წ.]

მთავრის მეუღლე ე. ა. ღაღინის შესახებ

1857 წლის გაზაფხულზე სამეგრელოში არეულობა მოხდა, რის გამოც შეიცვალა იქაური მმართველობის პირადი შემადგენლობა, ხოლო მთავრის მეუღლე განვეულ იქნა ვაჟიშვილის სრულწლოვანებამდე.¹

10 წლის განმავლობაში მას ერთი საყვედურიც კი არ წამოსცდენია, რადგან მტკიცედ სწამდა, რომ ოდესმე სიმართლე ხელმწიფემდე მიაღწევდა და იგი კანონიერებას აღასრულებდა.

ეს მომენტიც დადგა. ერთგულქვეშევრდომობის წმინდა ვალი მოითხოვს ორი ფაქტის აღნიშვნას:

1. სამეგრელოში მომხდარი არეულობის მიზეზები მაშინვე, 1857 წელს, იქნა გამოძიებული, თუმცა შედეგები ***აქამდე არსად განხილულა.***

2. მთავრის მეუღლე სამეგრელოს ორი თუ სამი თვით განაგებდა 1853 წელს. ამიტომ გამოძიებას ***არავითარ შემთხვევაში*** არ შეეძლო მისი გამტყუნება, რადგანაც:

მმართველად იგი დაინიშნა 1853 წლის სექტემბერში.² მალევე დაიწყო ომი თურქეთთან. ამიტომ მმართველის უფლება-მოვალეობები უშუალოდ დაუქვემდებარეს ჩვენი ჯარების მეთაურს, რომელიც სამეგრელოს, გურიისა და აფხაზეთის ფარგლებში მოქმედებდა.³ – ომის დროს ომერ-ფაშა მთავრის მეუღლეს წერილებით მიმზიდველ წინადადებებს სთავაზობდა; ამ წერილების ორიგინალებს მთავრის მეუღლე კავკასიის კორპუსის მთავარსარდალს უგზავნიდა.⁴ ამის გამო ომერ-ფაშამ გადანვა ზუგდიდი, მთავრის მეუღლის რეზიდენცია, სახლი, გაანადგურა იქ დარჩენილი ყოველი ქონება, მოაოხრა სამეგრელოს დაბლობი, სადაც თავისი ჯარით დაახლოებით ოთხი თვე დაყო.

ზავის დადების შემდეგ მთავრის მეუღლემ დატოვა სამეგრელო, რათა ღირსი გამხდარიყო, დასწრებოდა ხელმწიფე იმპერატორის წმინდა კორონაციას;⁵ დაბრუნდა თბილისში 1856 წლის დასასრულისთვის და იქ 1857 წლის მაისამდე დარჩა.

ამასობაში, იმავე წლის გაზაფხულზე, სამეგრელოში გლეხთა მღელვარება მოხდა. მიუხედავად იმისა, რომ გლეხები თურქებისგან იყვნენ გაჩანაგებულნი, კერძო პირებმა თუ მესაკუთრეებმა, თვითონაც დაზარალებულებმა, მათგან ჩვეულებისამებრ მოითხოვეს ბეგრისა თუ დარჩენილი გადასახადების გადახდა. იმავდროულად გარემო გაჯერებული იყო ხმებით გლეხთა განთავისუფლების შესახებ. აი, პირდაპირი და მარტივი მიზეზი მათი მღელვარებისა.

მმართველზე, რომელიც მთელი ამ დროის განმავლობაში თავის სამფლობელოში არ იმყოფებოდა, ამბობდნენ – წასვლისას რამდენიმე წლის ბეგრისა და გამოსაღების წინასწარ გადახდევინება ბრძანაო. ასეთ დამახინჯებულ ფაქტზეა დამყარებული ერთი ყველაზე დიდი ცილისწამება მთავრის მეუღლის მიმართ. მან 1853, 1854 და 1855 წლებში გლეხობა **გაათავისუფლა** ყოველგვარი გადასახადისაგან, ხოლო 1856 და მომდევნო წლების გადასხდელების ამოღება მთავრის მეუღლემ კი არა, მეურვეობამ დაიწყო 1859 წელს.

მეორე მძიმე ბრალდება ისაა, თითქოს მთავრის მეუღლემ ეკლესიას მთელი მისი ქონება წაართვა. – ამ მიმართულებით ერთადერთი რამ, რაც მან სამეგრელოში თავისი მმართველობის დროს გააკეთა, ესაა საეკლესიო მამულების სეკულარიზაცია⁶ ეკლესიის სასარგებლოდვე და მის შემოსავალ-გასავალზე კონტროლის დამყარება. შეუძლებელია ამგვარი ღონისძიება გამოზის საგნად იქცეს.

მიუხედავად ყველაფრისა, მთავრის მეუღლემ უდრტივინველად მიიღო და მორჩილად აღასრულა მისთვის გამოცხადებული ნება მონარქისა მხარის დატოვების შესახებ. ამის შემდეგ მისი მთავარი საზრუნავი გახდა, აღეზარდა თავისი ვაჟიშვილი ხელმწიფისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით, რასაც ახალგაზრდა მთავარი ამჟღავნებს კიდევაც.

არც იმის უარყოფა შეიძლება, თუ როგორი განუზომელი იყო მთავრის მეუღლის ნუხილი და გულისტკივილი. თუმცა ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ, მიუხედავად არაერთი განსაცდელისა, მისი რწმენა ხელმწიფური მართლმსაჯულების მიმართ ერთი ნუთითაც არ შეერყეულა. ამჟამად აღარ არსებობს არავითარი მიზეზი, რომელიც ხელს შეუშლის მისი ამ მტკიცე რწმენის გამარჯვებას.

მთავრის მეუღლისათვის ამ ფრიად მნიშვნელოვან მომენტში, შესაძლოა, არც იმის გახსენება იყოს ზედმეტი, რომ მანამდე სამეგრელოს კიდე ერთ მმართველ დედოფალს, მთავრის მეუღლე ნინოს,⁷ მიუხედავად იმისა, რომ აღარ მართავდა სამეგრელოს, სიკვდილამდე ჰქონდა მინიჭებული წოდება „მმართველი დედოფლისა“ და, ამას გარდა, პირადად მისთვის ნაბოძები იყო ტიტული – „უმაღლესობა“.

ამ ორი პატივიდან პირველი ეკატერინე ალექსანდრეს ასულისთვის აღარ არის მიმზიდველი, რამდენადაც ახლა მთელი მისი სასოება, იმედი ხელმწიფის მიმართ და ყველა მისი სურვილი იქითკენაა მიმართული, საკუთარი შვილების ღირსეული ბედი უზრუნველყოს.

ხოლო რა უნდა გაკეთდეს პირადად მთავრის მეუღლის სასარგებლოდ, ამაზე თვითონ მას რაიმე მოსაზრება არა აქვს. ამიტომ ხელმწიფე იმპერატორის მართლმსაჯულებისადმი მისი შეურყეველი რწმენის მიმართ ნებისმიერი ფორმით ყურადღების გამოხატვა იქნება თვითონ ამ რწმენის გამართლება საკუთრივ მის, მისი შვილებისა და ყველას თვალში, ვისთვისაც ცნობილია მთავრის მეუღლის მდგომარეობა.

[28 დეკემბერი. 1866. პეტერბურგი]

თავად ნიკოლოზ დადიანის შესახებ

თმობს რა მთავრის უფლებებს, მისი სურვილია:

შეინარჩუნოს სათანადო სამსახურებრივი მდგომარეობა ხელმწიფე იმპერატორის კარზე.¹

ენოდოს თავადი მინგრელსკი.

შთამომავლობითი ტიტული „უგანათლებულესობა“ მის ძმასაც მიენიჭოს შთამომავლობით.²

სხვა სურვილს იგი არ ამჟღავნებს, თუმცა, ეჭვი არ არის, ნარჩინების მინიჭების ნებისმიერი ფორმა ამ სრულიად განსაკუთრებულ შემთხვევაში გაალრმავებს მისდამი გამოხატულ პატივისცემას.

შესაძლოა, ზედმეტი არ იყოს, აქაც გავიხსენოთ ზოგიერთი გარემოება, დამოუკიდებლად იმისა, თუ რა იყო ზემოთ ნათქვამი თავად ნიკოლოზის დიდი ბებუის, სამეგრელოს მმართველის, ნინოს, შესახებ³ (ერთია მსგავსი პატივის მინიჭება იმ პირისათვის, რომელმაც ტახტს ნებაყოფლობით შესწირა თავისი მაღალი ნოდება და სხვაა, როცა პირს ამგვარი უფლებამოსილება რეალურად არც ჰქონია):

მთავარ ლევანს (თავად ნიკოლოზის ბაბუას) პირდაპირ ებოდა გენერლის ხარისხი.

თვით ლევანის ქვეშევრდომ თავადებს, ნიკოლოზ დადიანსა და ტარიელ დადიანს, რომლებმაც ლევანის მამას, გრიგოლს, ხელმწიფე იმპერატორის ქვეშევრდომობის მიღებაში შეუწყვეს ხელი, ებოდათ: ერთს გენერლობა, მეორეს – წმ. ანას I ხარისხის ორდენი.

ლევანის ძე დავით დადიანს, თავად ნიკოლოზის მამას, ჯერ კიდევ მთავრის მემკვიდრესა და შტაბროტმისტრის ჩინის მქონეს, ებოდა წმ. სტანისლავის II ხარისხის ორდენი ვარსკვლავით, მთავრად დამტკიცების შემდეგ კი – გენერლობა.

[28 დეკემბერი. 1866. პეტერბურგი]

შენიშვნები ბაზათ „ღროჯის“ ენის შესახებ

№26 (სადაც წითელი კარანდაში აჩნია, ისა მაქვს წაკითხული, სხვა არა). –

1. სადაც ითქმის – **ჭქონდათო**, იქ იგულისხმება, რომ ან აღარა აქვთ, – ან არ ვიცით, აქვთ ღა თუ არა. –

2. **გავჭკიცხავთ** – მყოობადია, დაპირებაა; ისინი ამბობენ **ვჭკიცხავთო**.

3. **გამოვაცხადებთ** – ესეც ისეა, – დაპირებაა მომავლისათვის; და ისინი ამბობენ **ვაცხადებთო**.

4. საუკუნო და საუკუნე სხუა და სხუა არის: საუკუნო არის – вечный; საუკუნე – век. ერთი ლექსის¹ მაგიერათ მეორეს თუ ვიხმარებ სხვა მნიშვნელობისას, ენა არა მცოდნია და ეს არის.

5. **ი დ ი დ ო ს**. ვადიდებ, ადიდებ; ადიდე, ადიდოს, – ერთია; ვიდიდებ, იდიდებ; იდიდე, იდიდოს, – სხვა არის. – სადაც თქვენ ამბობთ ი დ ი დ ო ს ო, იქ ქართულად ითქმის, ან **დაილოცოს**, ან – დიდ-იყავნ, დიდებულ-იყავნ, – დიდ-იქმნეს, დიდებულ-იქმნეს; დიდ-იყოს, დიდებულ-იყოს...

6. **მიუშვა**. *Допустил* значить позволил; – *попустил* – не запретил, не отвратил; а *მიუშვა* значит собственно *припустил*. ამას რუსულად იმიტომა ვსწერ, რომ **მიუშვა** ვერ გავიგე, მანამ რუსულად არ ჩაუფიქრდი. – ქართულად ამ შემთხვევაში უნდა ითქვას **არ ინებაო**, – ან – **ინება**, რომ არ მომხდარიყო, არა ქმნილიყო. –

7. თქვენის თვალის წინ. ეს უკანასკნელი ლექსი ან წინუძღვის სიტყვასა, – და მაშინ სიტყვას აბრუნებს ნათესაობითად: წინ, ან წინაშე თვალისა თქვენისა; – ან თან მიჰყვება, – თანდებულებივ ამიტომა ჰქვია, – და მაშინ ითხოვს, რომ სიტყვა მიცემითად იყოს: თქვენს თვალს წინ. – ამას წინათ, ამას იქით, ამას

უკან, ამას გარდა, – და არა ამის წინათ, ამის იქით, ამის უკან, ამის გარდა და სხვ. –

8. რომელიც სტუმრათ **ფრანციაში** მოვიდა? – თუ ფრანციაში **სტუმრად** მოვიდა?

9. **მაშინ** უფრო **ვსწირავთ**, როდესაც წარმოვიდგენთ... **მაშინ** ითქმის ან ნამყოზედ, ან მყოობადზედ; ესე იგი: ან წარსულს დროზედ, ან მომავალზედ; ანმყოზედ, ახლანდელზედ ამ ლექსის ხმარება არ შეიძლება. – ვსწირავ – обедню служу; а приношу, подношу, жертвую – **შევსწირავ**; отвергаю, отчуждаю – **გავსწირავ**. ეს ორი ლექსი არას შემთხვევაში არ იხმარება, თუ არ იმავე წინამარცვლებით. – დაუფიქრდით ხოლმე ღვთის გულისათვის, რა გინდათ ჰსთქვათ და რას ამბობთ. –

10. შესაძლებელი იყო თქვენს დიდებულებასაც შეჰხებოდა ტყვია ხელმწიფეო, რომელიც (ამ **ც**-ს ზემო **ც**-თან გადააქვს აზრი); თქვენ, რომელიცა ხართ... ვინაცა ხართ, ვინცა ვინა ხართ. – ეს აზრი ქართულად ასე გამოითქმის:

„შესაძლებელი იყო თქვენც შეგხებიყოთ (коснуться не всегда – შეხება), – თქვენც მოგხვედრიყოთ ტყვია, – თქვენც განეგმირეთ ტყვიას, – თქვენც დაეკოდეთ ტყვიასა, თქვენც დაჭრილიყავით ტყვიისაგან, – დიდებულო ხელმწიფეო, რომელი (და არა რომელიც)... თქვენ, რომელი ხართ...“

11. დიდსულოვანებით. დიდსულოვანი, დიდგულოვანი; გალავანი, ფალავანი. – აქედამ შესდგება: დიდსულოვნება, დიდგულოვნება, გალავნობა, ფალავნობა და სხვ.

დიდსულოვნებაც მგონია სულგრძელების მაგიერად გიხმარიათ. ფრანცუზული *générosité*, – და რუსული *великодушие* – ქართულად არის **სულგრძელება**. –

დიდსულოვნება მაშინ ითქმის, როდესაც მხნეობას უქებენ კაცსა; – велик он духом (но это вовсе не то, что называем великодушием).

12. **გვემასპინძლება** ერთია, **გვიმასპინძლება** სხვა არის.

გვემასპინძლება – მასპინძლობას გვპირდება, **გვპატიუებს**, გვინვევს.

გვიმასპინძლდება, მასპინძლობას გვიწევს, სტუმრათა ვჰყავართ და გვივლის, პატივსა გვცემს. –

გვეპატიჟება – დამპატიჟეთო, მიმინვიეთო, გამიმასპინძლდითო. –

13. ძალა – сила внешняя, на меня действующая.

ძალი, сила своя, своя мощь, – сила самому присущая. –

ღონე – ღონიერი – сильный.

ძალი – ძლიერი – мощь, мощный; власть, властный.

ძალა მადგია – я принужден, принуждаем.

14. თქვენის იმპერატორების დიდებულების – Вашего Императоров Величества.

В Императорское – იმპერატორებითი.

15. **ოსმალეთი**. ქართულად არის:

Турция – ოსმანლო, ან უფრო ოსმალო.

Турок – ოსმანლი, ან უფრო ოსმალი.

ოსმალეთი – არსად თქმულა, სპარსეთი კი. –

16. **გაუგზავნა, აღრიცხულია**; ასე ითქმის ამბავი ბეჯითი, თვალით ნახული, რასაც მოამბე თვითან დასწრებია; – სხვის ნათქვამს რაკი ამბობთ, თუ თვითან თქვენ ვერ დაემონმებით, ასე უნდა ჰსთქვათ: გაუგზავნია, აღურიცხავს, – ან აღრიცხული თურმე ა.

ამას გარდა ხშირად ვამბობთ: უცხო ქვეყნის საქმის მინისტრი.

მე ასე ვიტყვოდი: სხვა ქვეყნების საქმეთ მინისტრი ან – საგარეო საქმეთ მინისტრი...

საშინაო საქმეთ მინისტრი...

[ივლისი. 1867 წ.]

აზნაურ ნიკიტა სერებრიაკოვის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ

დასაშვებია ვიფიქროთ, რომ აზნაურ ნიკიტა სერებრიაკოვის ჯანმრთელობის მდგომარეობა „გარშემომყოფთათვის საფრთხეს არ წარმოადგენს“ და საერთოდ მისი სულიერი აშლილობა სულაც არ არის ისე მწვავე, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანდა, როცა აქ, თბილისში, გამოსაკვლევად გზავნიდნენ.

ვერ დავეთანხმები აზრს, თითქოს საჭირო იყოს რომელიმე ნაცნობისა თუ ნათესავის ზედამხედველობითა და ექიმის მეთვალყურეობით მისი აქ დატოვება და ამით უსამართლოდ შეზღუდვა მისი ნებისა – საცხოვრებელი ადგილი და გარემო საკუთარი შეხედულებისამებრ აირჩიოს.

შედეგი ყოველგვარი გამოკვლევისა თუ შემონმებისა, რომლებიც სერებრიაკოვს ჩაუტარდა, მოითხოვს ერთადერთ რამეს – გარემოცვაში არ წამოიწყონ საუბარი ისეთ თემებზე, რომლებიც მის მიერ აკვიატებულ იდეებს დაუკავშირდება. – თვით ასეთი საშუალებაც კი, ერთი მხრივ, არ წარმოადგენს კატეგორიულ აუცილებლობას, რამდენადაც სერებრიაკოვისთვის საერთოდ „უცხოა ყოველგვარი აფექტი“, ხოლო მეორე მხრივ, ასეც რომ არ იყოს, ეს შემთხვევა არ მიეკუთვნება ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების სფეროს. ამიტომაც სერებრიაკოვს, როგორც „ფიზიკურად ჯანმრთელ პირს“, უნდა დაუბრუნდეს კუთვნილი უფლება – მოქმედების თავისუფლება.

2 მაისი 1870.

**წესდებულება ტფილისის საზოგადოებისა,
რომელმაც წიგნის ცოდნა უნდა გაახშიროს
ქართველებ შუა, სადაც მოსახლოვან
კავკასიის სანამესტნიკოში**

1. მიზანი საზოგადოებისა

§ 1

საზოგადოებას მიზნათა აქვს წიგნის ცოდნისა და თავდაპირველი სწავლის გავრცელება ქართველებში, სადაცკი კავკასიისა სანამესტნიკოში ისინი მოსახლობენ.

§ 2

საზოგადოება ამ მიზნამდინ მისაწვენელად:

- ა. სადაც შკოლები არის გახსნილი, იმათ ხელს უმართავს;
- ბ. სადაც საჭირო იქნება, ახალი შკოლების გახსნას ეხმარება, ან თვითანა ჰხსნის თავის ხარჯით;
- გ. სახალხოთ წიგნების კითხვასა ჰმართავს და საკითხავებსა ჰხსნის;
- დ. გამოუშვებს¹ სასწავლებელს, სახელმძღვანოს და სხვა წიგნებსა სახალხო საკითხავად, აგრეთვე რამდენსაც შეიძლებს და საჭიროება მოითხოვს, თავისს ამბებს დაჰბეჭდავს, ან სხვა დროებითს გაზეთსა თუ ჟურნალსა, იმ რიგითა და ზომით, როგორც ჯეროვანის წესით მთავრობა დაამტკიცებს;
- ე. შეადგენს თავისს სამწიგნობროს, როგორც თავისთვის, ისე ხალხისთვის საკითხავად; წიგნების საწყობებს, რაც მუქთად თუ ფასით იქნება დასარიგებელი და პედაგოგიისათვის გამოსადეგი ნივთების საწყობებსა;²

ვ. ყოველს ღონისძიებასა ჰხმარობს, რასაცკი შეიძლება, რომ შკოლებს გამოცდილი მასწავლებლები უშოვოს;

ზ. ჰმართავს საპედაგოგიო კურსებსა და მასწავლებლების თავის მოყრასა;

წ. რომელნიც სახალხო შკოლებში უფრო ნიჭიერი შეგირდები იქნებიან, იმათგან სახალხო მასწავლებლებს მოამზადებს, ან იმ მასწავლებლებში, რაც აქამდისინ არის გამართული, ან არა და თვითან თავისი ხარჯით გამართავს ამისათვის ცალკე მასწავლებელსა. ყოველს ამ შემთხვევებში საზოგადოება იმ კანონებს ადგია, რაც ჰმოქმედებს.

§ 3

საზოგადოება თავის მიზანს ამითი მიაწევს, რომ სახალხო შკოლებში დასაწყისს სწავლებას დაადგენს სამშობლო ენაზედ, რომელიც ესმით მოსწავლეებსა, და ჰზრუნავს რუსული ენის სწავლებისათვის თანახმად 22 ნოემბერს 1873 წელს უმაღლესად დამტკიცებულის სახელმწიფო რჩევის აზრისა, წარმოთქმულისა სწავლების ნაწილის დასაწყობად კავკასიაზედ და კავკასიის გადმოღმა.

II. შე ძ ლ ე ბ ა ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს ა

§ 4

საზოგადოების შეძლებას შეადგენენ:

ა. წევრთაგან შესატანი ფულები;

ბ. შემთხვევითი და ნებაყოფლობითი შეწირულობა, ან სხვა შესატანი კერძო პირებისაგან, ან სხვა საზოგადოებათაგან;

გ. შემოსავალი საზოგადოებისაგან გამონაცემი წიგნებისა, სახალხო საკითხავებისა და სპეკტაკლებისა და სხვა ყოველი კანონით ნება დართული საშოვარი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. საზოგადოებას ნება აქვს პირობიანი შესაწირავი მიიღოს ხოლმე, თუ რომ პირობა არ იქნება საწინააღმდეგო რითიმე ან საზოგადოების მიზნისა, ან მოქმედი კანონებისა.

§ 5

საზოგადოება თავის ფულებს ინახავს ან თავის კასაში, ან ბანკებში. რა წესით უნდა შეინახებოდეს ეს ფულები, ითვლებო-
დეს, შემოწმდებოდეს და იხარჯებოდეს, ეს წესი საზოგადოების
საერთო კრებამ უნდა დაადგინოს.

III. შედგენა საზოგადოებისა

§ 6

საზოგადოებას შეადგენენ წევრნი:

ა. შემდგენნი; ბ. საპატიონი; გ. ნამდვილნი, და დ. დამხმარე-
ბელნი.

წევრად მიიღებიან ორივე სქესის პირნი განურჩევლად.

§ 7

შემდგენ წევრად ითვლებიან: ა. პირნი, რომელთაც ამ წეს-
დებულებაზედ ხელი მოაწერეს; ბ. პირნი, რომელთაც, შემდგე-
ნების რიცხვში ვიყოთო, სურვილი გამოაცხადეს ცალკე წერი-
ლებით, მანამდისინ ეს წესდებულება დასამტკიცებლად წარ-
დგენილი იქნებოდა, და გ. იმათი და ამათი მაგიერნი, როგორც
ქვეით ამავე §-ში არის უფრო გარკვევით მოყვანილი.

შემდგენ წევრს შეაქვს – ან ყოველწლივ არა ნაკლებ 20 მა-
ნეთისა, – ან სულ ერთათ – არა ნაკლებ სამასი მანეთისა. შემდ-
გენ წევრთ რიცხვი უცვალებლათა რჩება. როდესაც ამ რიცხვს
გამოაკლდება ვინმე, იმის მაგიერს დანარჩენი შემდგენები ნამ-
დვილ წევრთაგან აღმოარჩევენ. ამ ახალ აღმორჩეულსაც იმ
ზომით შეაქვს ფული, რა ზომითაც იმის წინა მოადგილეს შეჰ-
ქონდა.

§ 8

საპატიო წევრებად ისეთი პირები აღიარებენ, რომელთაც
დიდი რამე სარგებლობა აღმოუჩენიათ მწიგნობრობის გავრ-

ცელებისათვის, თავისი პირადი მოქმედებით, ან ნივთიერებითი შეწირულობით, ასე რომ შემოწირულობის ფასი იყოს არა ნაკლებ ექვსასი მანეთისა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. შეიძლება წოდება საპატიო წევრისა მიეთვისოს აგრეთვე იმ წევრსაც, რომელიც მეორედ იქნება სამიწლით აღრჩეული საზოგადოების პრედსედატლად, ან თავსმჯდომარედ, – ან მესამედ იქნება სამიწლით აღრჩეული საზოგადოების მმართველობის (პრავლენიის) წევრად.

§ 9

ნამდვილ წევრად ითვლებიან პირნი, რომელნიც სურვილს გამოაცხადებენ, რომ საზოგადოების სასარგებლოდ შეჰქონდეთ წელიწადში არა ნაკლებ ექვსი მანათისა, ან არა და ერთათ არა ნაკლებ ასი მანეთისა, თუ საერთო კრება მიიღებს ამ წოდებაში ორი შემდგენის, ან ოთხი ნამდვილი წევრის წინადადებით.

§ 10

რომელიც პირი თავისი უსასყიდლო მოქმედებით ეხმარება საზოგადოების საქმეს, შეიძლება საზოგადოების მმართველობამ მიიღოს წევრად-დამხმარებელად, რომელსაც ფულის შეტანა არ ემართება.

IV. გ ა მ გ ე ბ ლ ო ბ ა ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს ა

§ 11

საზოგადოების საქმეების მთავარ-მმართველობა ეკუთვნის საზოგადოების წევრთა საერთო ყრილობას. ყრილობა ზოგი არის ჩვეული, ზოგი უჩვეველი. ჩვეული ყრილობა მოწოდებული იქნება წელიწადში ერთხელ და იმ დროს, რომელსაც თვითან ყრილობა დანიშნავს. უჩვეველია ყრილობა შეიძლება საზოგადოების თავსმჯდომმა ყოველ დროს მოიხმოს, როდესაც საჭიროება მოითხოვს, მძიმე საქმეების, ან საჩქარო საქმეების განსახილავათა და გადასანყვეტად.

§ 12

საზოგადოებისა და მმართველობის თავსმჯდომარედ აღირჩევა ერთი წერთაგანი სამი წლის ვადით.

§ 13

საერთო ყრილობის საქმე არის:

- ა. გაშინჯვა და დამტკიცება წლიური ანგარიშისა;
 - ბ. გაშინჯვა განზრახულებათა, წინადადებათა და მმართველობის მოხსენებათა;
 - გ. გაშინჯვა და დამტკიცება მომავალი წლისათვის შემოსავალ-გასავლის მოსაზრებული ანგარიშისა;
 - დ. აღრჩევა საზოგადოების ნამდვილი წევრებისა და მმართველობის წევრებისა;
 - ე. შედგენა და დამტკიცება სხვა და სხვა დარიგებისა საზოგადოების საქმეების წარმოებაზედ;
 - ვ. აღრჩევა შემომწმებელი კომისიისა, რომელმაც წლიური ანგარიში და მმართველობის მოქმედება უნდა გაშინჯოს; აგრეთვე სხვა კომისიების შედგენა, როდესაც საჭიროება მოითხოვს, სხვა გაცალკეებული საკითხავების განსახილავად, რაც კი საზოგადოების საქმეებს შეეხება;
 - ზ. გაშინჯვა წინადადებათა, თუ ცვლილება ან დამატება იქნება რამე ამ წესდებულებაში მოსახდენი;
 - და ლ. გაშინჯვა და გადაწყვეტა ყოველი წინადადებისა, რასაც წევრი რომელიმე წარმოსთქვამს საზოგადოების მოქმედების კეთილ-წარსამართავად.
- შ ე ნ ი შ ე ნ ა. ყოველი წინადადება წევრისა შეიტანება მმართველობაში შვიდი დღით მაინც უნინ, მანამდის საერთო ყრილობა შეკრებოდეს.

§ 14

საერთო ყრილობაში საქმეები გადაწყდება ხმების მარტივი უმრავლესობით; თუ ცვლილება მოითხოვება რამე, ან დამატება ამ წესდებულებისა, მაშინ საჭიროა ორი მესამედი მაინც

ყველა ხმებისა, რასაც შეკრებილნი წევრნი შეადგენენ; და ამ რიცხვში უნდა იყოს ნახევარი მაინც ყველა ხმებისა, რაც შემდგენებს ეკუთვნით. რაც ამგვარად ცვლილება ან დამატება დაწესდება, საზოგადოების თავსმჯდომარე წარუდგენს, დადგინებულის წესით, მმართველობასა დასამტკიცებლად. ხმა მოიკრიბება ცხადად, ან ფარულად, როგორც თვითან ყრილობა არჩევს. მაგრამ ფარული მოკრება ხმებისა ვალი არის ყოველს იმ შემთხვევაში, რაც პირ-და-პირ ცალცალკე §§-ში არის მოხსენებული.

§ 15

საერთო ყრილობა შედგენილად მაშინ დაითვლება, როდესაც მოსული არის მეოთხედი რიცხვი მაინც ყველა წევრებისა, ან ორმოც-და-ათი წევრი მაინც. თუ არა და იმავე საქმეების განსახილავად ხელმეორედ მოიწოდება ყრილობა არა უადრეს შვიდის დღისა და მაშინ ეს ახალი ყრილობა კანონიერ შედგენილად დაითვლება, რამდენიც უნდა იყოს ყრილობაში მოსული წევრი.

§ 16

საზოგადოების საქმეების უმახლობელესი გამგეობისათვის და აღსრულებითა მოქმედებათათვის საერთო კრება ირჩევს ექვსს მმართველობის წევრსა და სამს იმათ კანდიდატსა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. საერთო კრებას შეუძლია მმართველობის წევრთა რიცხვი და იმათი კანდიდატებისა მეტიც დაანესოს.

§ 17

საზოგადოების მმართველობა აღირჩევა სამის წლის ვადით და ფარულად, ესე იგი, კენჭის ყრით.

§ 18

მმართველობა თავისს წევრთაგან ერთს ირჩევს თავსმჯდომარის ამხანაგად, რომ როდესაც ის არ იქნება, იმის მაგიერად იყოს ხოლმე.

§ 19

მმართველობის საქმე არის:

ა. თავის წევრთაგან აღრჩევა თავსმჯდომარის ამხანაგისა, სეკრეტრისა და ხაზინადრისა;

ბ. აღრჩევა წევრთა-დამხმარებელთა;

გ. განუწყვეტელი წარმოება წევრთა სიისა;

დ. აღსრულება ყოველის საერთო, ყრილობაში კანონიერად შედგენილი გადაწყვეტილებისა;

ე. დანიშვნა იმ პირებისა, რომელნიც უნდა განაგებდნენ სახალხო წიგნის კითხვასა, წიგნის საკითხავებსა, სამწიგნობროსა და სანყობებსა;

ვ. დანიშვნა შკოლებისათვის მასწავლებლებისა, სადაც საჭიროება მოითხოვს, და დარიგება სასწავლებელი წიგნებისა და სწავლაში სახმარი ნივთებისა;

ზ. წარმოება შემოსავლის და გასავლის წიგნებისა და წლიური ფულის ანგარიშისა;

წ. საზოგადოების შემოსავლის შესამატებლად გამართვა წიგნების კითხვისა, სახალხო სწავლებისა, სამუზიკო საღამოებისა, სპექტაკლებისა, ფულის საკრეფი ყულაბებისა და სხვ.

თ. მოწოდება თავსმჯდომარისაგან საერთო ყრილობათა;

ი. წარდგენა საერთო ყრილობაში, თუ ახალი საქმე იქნება რამე წინათ მოსაზრებული საზოგადოებისათვის სასარგებლო, ან იმის მოქმედების უფრო გასავრცელებელი;

კ. აღრჩევა მონაფეებისა, სახალხო მასწავლებლად მოსამზადებლებისა (§ 2 და 3);

და ლ. ყოველი აღსრულებითი და მმართველობითი გამგებლობა საზოგადოების საქმეებისა.

§ 20

მმართველობა საერთო კრებას წარუდგენს ყოველ-წლივ დაწვრილებითს ანგარიშსა, თუ როგორ იყო საზოგადოება წარსულს წელს შედგენილი და რაში მდგომარეობდა მოქმედება იმისი. რა რომ საერთო ყრილობა ამ ანგარიშს განიხილავს და

მოიწონებს, მაშინ დაიბეჭდება ეს ანგარიში ან ადგილობრივს, ან თვითან საზოგადოების უწყებებში.

§ 21

მმართველობის მეინახობა (სხდომა) კანონიერი იქნება, თუ, თავსმჯდომარეს გარდა, სამი წევრი მაინც მიიღებს მონაწილეობას. თუ არც თავსმჯდომარე იქნება, არც იმისი ამხანაგი, იმათ ადგილს დაიჭერს ერთერთი, თვითან წევრთაგან დანიშნული. მმართველობის სხდომა მოხდება თვეში ერთხელ მაინც. შეიძლება ამ სხდომაში მიწვეულ იქნებოდნენ, რჩევისათვის, საზოგადოების წევრნიცა. მმართველობა თავისს საქმეებსა ჰსწყვეტს ხმების უმეტესობით; და თუ ხმები შუა გაიყო, ის ნახევარი სძლევს, რომელშიაც თავსმჯდომარის ხმა არის.

§ 22

საზოგადოების თავსმჯდომარე: ა). ზედამხედველობს, რომ ეს წესდებულება მტკიცედ და განუდრეკელად აღსრულდებოდეს; ბ). ხელმძღვანელობს ყრილობაში და სხდომაში; და გ). საზოგადოების სახელით შედის მიწერმოწერაში უწყებებთან, სამმართველო ადგილებთან და პირებთან.

§ 23

საზოგადოებას აქვს თავისი ბეჭედი.

§ 24

ყოველს სხვა შემთხვევაში, რაც ამ წესდებულებისაგან წინათ დანახული არ არის, საზოგადოება ხელმძღვანელობს საერთო ხელმწიფობის რჯულდებულებით.

§ 25

თუ საზოგადოების დახურვა მოხდა, რომლისათვისაც აუცილებლად საჭირო არის გადაწყვეტილება საერთო ყრილობის სამი მეოთხედის დათანხმებისა და ამათში ყველა შემდგენლების

ორი მესამედის დათანხმებული მონაწილეობა, მაშინ უნდა მოჰხდეს ლიკვიდაცია, ანუ გასწორება და განმეორება ყოველი ანგარიშისა და უნდა მოჰხდეს იმ წესით, რომელსაც დაადგენს ესევე გადაწყვეტილება.

1878 წელსა 30 იანვარს, ჩვენ ქვემო ხელის მომწერნი შემდგენლები, დავთანხმდით ამ წესდებულების სიკეთეზე და ჩვენ მაგიერად მმართველობის წინაშე შუამდგომლობას, რომ დამტკიცებულ იქმნეს, ამ საქმეზედ მსვლელობასა და ყოველგვარი განცხადების წარდგენას, მივანდობთ აქ მოხსენებულთა პირთა, სახელდობრ: დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკს **დიმიტრი ივანეს ძეს ყიფიანს**, კოლლეჟსკი სოვეტნიკს **ბესარიონ ლევანის ძეს ლოლაბერიძეს** და კნიაზს **ილია გრიგოლის ძეს ჭავჭავაძეს**.

ხელის მომწერნი არიან:

გენერალ-ადიუტანტი კნიაზი **გრიგოლ დიმიტრის ძე ორბელიანი**.

--- **ლევან ივანეს ძე მელიქიშვილი**.

დეისტ. სტ. სოვ. უგანათლებულესი კნიაზი **ერეკლე ალექსანდრეს ძე გრუზინსკი**.

კამერლერი, დეისტ. სტ. სოვ-ი კნიაზი **იაზონ დიმიტრის ძე თუმანიშვილი**.³

5. უგანათლებულესი კნეინა **თამარ დავითის ასული გრუზინსკისა**.

გენერ.-ლეიტ. კნიაზი **გიორგი რომანის ძე ერისთავი**.
ისააკ შიოშისძე თუმანიშვილი.

გენერ. მაიორი **ალექსანდრე დიმიტრის ძე საგინაშვილი**.
დეისტ. სტ. სოვ-ი კნიაზი **იასე ადამის ძე ანდრონიკაშვილი**.

10. --- **ერეკლე კოსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანსკი**.
გენერალ ლეიტენანტის მეუღლე **ეკატერინე თადეოზის ასული სტაროსელსკაია**.

გენერალ მაიორის მეუღლე ელისაბედ გრიგოლის ასუ-
ლი საგინაშვილისა.

კნეინა ბარბარე ბარათაშვილისა.

გენერალ მაიორის ქვრივი. კნეინა ბარბარე ილიას ასუ-
ლი ორბელიანისა.

15. გუბერნსკი სეკრეტარი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე
ონიკაშვილი.

კნიაჟნა ბარბარე ერეკლეს ასული ბაგრატიონ-მუხრან-
სკისა.

კამერ იუნკერი კნიაზი გიორგი დიმიტრის ძე შარვაშიძე.
გენერალ-ლეიტენანტი კოსტანტინე ქაიხოსროს ძე მა-
მაცაშვილი.

— — — მიხეილ გრიგოლის ძე ჯომარჯიძე.

20. ტაინი სოვეტნიკი კნიაზი დიმიტრი დავითის ძე ჯორჯა-
ძე.

მისი დიდებულების სვიტის გენერ.-მაიორი კნიაზი ივა-
ნე გივის ძე ამილახვარი.

დეისტ. სტ. სოფ-კი კნიაზი ნიკოლოზ დიმიტრის ძე ჭავ-
ჭავაძე.

მედიცინის დოკტორი მიხეილ სერგისის ძე შაჰ-პარუნ-
ანცი.

მისი დიდებულების სვიტის გენერ.-მაიორი კნიაზი ნი-
კოლოზ ზურაბის ძე ჭავჭავაძე.

25. კაპიტანი გიორგი ივანეს ძე მუსხელაშვილი.

კნიაზი ნიკოლოზ ვასილის ძე არლუთინსკი-დოლგორუკი.

— — — დავით ზაალის ძე ბარათაშვილი.

— — — დავით გიორგის ძე ერისთავი.

პოდპოლკოვნიკი კნიაზი ბიძინა ოთარის ძე ჩოლაყაშვილი.

30. ლუარსაბ ალექსანდრეს ძე მაღალაშვილი.

ნიკოლოზ იაკინთეს ძე ალექსიშვილი-მესხი.

გენერალ-მაიორი ისრაფილ-ბეგ იედიგარაშვილი.

გვარდიის პოლკოვნიკი კნიაზი გიორგი ივანეს ძე ცი-
ციშვილი.

გენერალ-მაიორის მეუღლე კნენა სოფიო ვასილის ასული ამირაჯიბისა.

35. გენერ.-მაიორი კნიაზი მიხეილ ქაიხოსროს ძე ამირაჯიბი. პოლკოვნიკი კნიაზი კოსტანტინე ივანეს ძე ბაგრატიონ-მუხრანსკი.

ნაფიცი ვექილი კოსტანტინე ნიკოლოზის ძე რეიტერი. გენერ.-მაიორი კნიაზი ვახტანგ ვახტანგის ძე ორბელიანი.

--- ლეიტენანტი კნიაზი ივანე კოსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანსკი.

40. შტაბს კაპიტანი კნიაზი ალექსანდრე ივანეს ძე ჯამბაკურ-ორბელიანი.

კოლლეჟსკი სეკრეტარი ილია ივანეს ძე წინამძღვრიშვილი.

სტატსკი სოვ-ი კნიაზი იასე ნოშრევანის ძე ჭავჭავაძე.

გენერ.-მაიორი კნიაზი მიხეილ ბიძინას ძე ერისთავი.

კნიაზი დავით ივანეს ძე ავალიშვილი.

45. ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე.

სტატსკი სოვ-ი მელიტონ თომას ძე თომინ-ცაგერელი.⁴

კნიაზი ზაქარია გიორგის ძე ერისთავი.

ნიკოლოზ დავითის ძე ზუბალაშვილი.

კნიაზი რაფიელ დავითის ძე ერისთავი.

50. კნიაზი ამირინდო ამილახვარი.

ყოვლად სამღვდელო გაბრიელ ეპისკოპოზი იმერეთისა.

კნიაზი იოსებ შალიკაშვილი.

გვარდიის როტმისტრი კნიაზი დავით ალექსანდრეს ძე სუმბატიშვილი.

კნიაზ ზაქარია გრიგოლის ძე ერისთავი.

55. ლევან გრიგოლის ძე ჯანდიერი.

სტატს. სოვ-კი კნიაზი ივანე პავლეს ძე თუმანიშვილი.

გენერალ-ადიუტანტის მეუღლე კნენა სოფიო იაკობის ასული სვიატოპოლკ მირსკისა.

- ნადვორნი სოვეტნიკი **მიხეილ დიმიტრის ძე ალექსიშვილი-მესხი.**
 გენერ.-მაიორი **ნიკოლოზ გრიგოლის ძე კობიაშვილი.**
60. სტატსკი სოვ-ი **ივანე ანდრეას ძე ზუბალაშვილი.**
 კოლლეჟსკი სეკრეტარი **ივანე ეგნატეს ძე პალტარაცკი.**
 კნიაზი **დიმიტრი გიორგის ძე სიდამონ-ერისთვი.**
 კნიაზი **ალექსანდრე ზაალის ძე ჩოლაყაშვილი.**
დავით ქაიხოსროს ძე ყიფიანი.
65. პოდპოლკ. **ქრისტეფორე იოსების ძე მამაცაშვილი.**
 კნიაზი **გიორგი ვახტანგის ძე ბარათაშვილი.**
 სტატსკი სოვეტნიკი კნიაზი **ერასტი ზაალის ძე ჩოლაყაშვილი.**
 გენერალ-ლეიტენანტი უგანათლებულესი კნიაზი **გრიგოლ ლევანის ძე დადიანი.**
 კნენა **ბარბარე მერაბის ასული ანდრონიკაშვილისა.**
70. **ალექსანდრე ეგნატეს ძე პალტარაცკი.**
 დეისტ. სტ. სოვ-ი **დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანი.**
 კოლლეჟსკი ასესორი **ვახტანგ დიმიტრის ძე თულაშვილი.**
 ტიტულიარნი სოვეტნიკი **ნიკოლოზ ზებედეს ძე ცხვედაძე.**
 პოდპოლკოვნიკი კნიაზი **გიორგი იორამის ძე თარხნიშვილი.**
75. **მიხეილ გიორგის ძე ელიოზიშვილი.**
 მისი დიდებულების სვიტის გენერ.-მაიორი კნიაზი **ნესტორ დიმიტრის ძე წერეთელი.**
 გენერ.-მაიორი, უგანათლებულესი კნიაზი **კოსტანტინე ლევანის ძე დადიანი.**
 კნიაზი **პეტრე გრიგოლის ძე ნაკაშიძე.**
 პორუჩიკი კნიაზი **ასლან ვახტანგის ძე წულუკიძე.**
80. როტმისტრი კნიაზი **მამია დავითის ძე გურიელი.**
 კნიაზი **ვასილი გიორგის ძე მაჩაბელი.**
 მენგრელიის მთავრის ქვრივი უგანათლებულესი კნ. **ეკატერინე ალექსანდრეს ასული დადიანისა.**
 პოლკოვნიკი კნიაზი **დიმიტრი სულხანის ძე ჭავჭავაძე.**

- ფლიგელ-ადიუტანტი უგანათლებულესი კნიაზი ნიკოლოზ დავითის ძე მინგრელსკი.
85. ტიტულიარნი სოვეტ. კნიაზი იაროთე გიორგის ძე სიდა-მონ-ერისთავი.
დავით არჩილის ძე ლორთქიფანიძე.
ნადვორნი სოვეტნიკი ნიკოლოზ ბესარიონის ძე ლოლაბერიძე.
პორუჩიკი კნიაზი მიხეილ წერეთელი.
პრაპორშჩიკი კნიაზი სვიმონ როსტომის ძე წერეთელი.
90. სტატსკი სოვეტნიკი კნიაზი ნიკოლოზ სვიმონის ძე აბაშიძე.
დავით ნიკოლოზის ძე აბდუშელი.
კორნეტი კნიაზი ანემპოდისტე იესეს ძე მაჩაბელი.
ტიტულ. სოვეტ. დავით ნიკოლოზის ძე ბაქრაძე.
კოლლეჟსკი სეკრეტარი ლუკა ნიკოლოზის ძე ასათიანი.
95. პოლკოვნიკი კნიაზი გიორგი ივანეს ძე აბაშიძე.
კნიაზი პავლე ალექსანდრეს ძე თუმანიშვილი.
მაიორი კნიაზი კოსტანტინე დიმიტრის ძე ერისთავი.
კნიაზი დავით გრიგოლის ძე ერისთავი.
გიორგი ბესარიონის ძე ლოლაბერიძე.
100. ლუარსაბ თეიმურაზის ძე ლოლუა.
ალექსანდრე ივანეს ძე ფიფინაშვილი.
კოლლეჟსკი სოვეტნიკი სვიმონ ბესარიონის ძე ლოლაბერიძე.
კნიაზი დიმიტრი პაატას ძე წულუკიძე.
გვარდიის პოლკოვნიკი კნიაზი ალექსანდრე ტარიელის ძე მიქელაძე.
105. გენ.-მაიორი სპირიდონ სვიმონის ძე მაჭავარიანი.
— — — კნიაზი ლევან დავითის ძე გურიელი.
კოლლეჟსკი სოვეტნიკი ბესარიონ ლევანის ძე ლოლაბერიძე.
გუბერნსკის სეკრეტარი კნიაზი ანტონ ნიკოლოზის ძე ლორთქიფანიძე.

ყოვლად სამღვდელო **ალექსანდრე**, ეპისკოპოსი გორი-
სა, ვიკარნი საქართველოსა.

ამათ გარდა შემდგენთ რიცხვში შემოვიდნენ:

110. გენერალ-ადიუტანტი გრაფი **მიხეილ ტარიელის ძე ლორის-მელიქოვი**.
პოლკოვნიკი **დიმიტრი ივანეს ძე მუსხელაშვილი**.
პოლკოვნიკი **ალექსანდრე ივანეს ძე მუსხელაშვილი**.
გვარდიის როტმისტრი კნიაზ **რევაზ შალვას ძე ერისთავი**.
გენერ.-მაიორი კნიაზი **იოსებ კოსტანტინეს ძე ორბელიანი**.
115. დეისტ. სტატ. სოვ. **ვასილ გრიგოლის ძე სარაჯოვი**.
სტატ. სოვ-კი **მიხეილ ზაალის ძე ყიფიანი**.
კოლლეჟსკი სეკრეტარი **გიორგი ყაზარას ძე ათაბეგოვი**.
კოლლეჟსკი სეკრეტარი **ფილიპე ისაკის ძე ცისკაროვი**.
— — — **ტიგრან არტემის ძე ტერ-არუთინიანცი**.
120. კნიაზი **კოსტანტინე ოტიას ძე ყიფიანი**.
პოლკოვნიკი **გიორგი ნიკოლოზის ძე ყაზბეგი**.
სტატსკი სოვეტნიკი **ივანე გიორგის ძე ზუბალაშვილი**.
როტმისტრი კნიაზი **ნიკოლოზ ზაალის ძე ჩოლაყაევი**.
გენერალ-ლეიტენანტი **არზას არტემის ძე ტერლუკასოვი**.
— — — კნიაზი **ზაქარია გულბათის ძე ჭავჭავაძე**.
126. პოლკოვნიკი კნიაზი **გიორგი დავითის ძე ჯორჯაძე**.

25 მარტი. 1875.

**საქმის წარმოების რიგი ქართულთა შორის
წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებაში
შედგენილი ღირებრი ივანეს ძის ყიფიანის მიერ
და მიღებული გამგეობისგან 1880 წ.**

ს ა მ ნ ე რ ლ ო ს ა თ ვ ი ს¹

1, სამწერლოს უნდა ჰქონდეს, სხვათა შორის, ორი დავთრის წიგნი, რომ შემოკლებით ჩაინერებოდეს: ერთში შემომავალი და მეორეში – გამავალი ქალაქები.

შემომავალი ქალაქი რომ ჩაინერება, მაღლა მარცხენა კუთხეზედ № უნდა დაესვას, რომლითაც ჩაინერა და თავს უნდა ეწეროს როდის არის მიღებული.

2, ყოველი შემომავალი ქალაქი უნდა თავსმჯდომარეს მოხსენებოდეს, ან ყოველ დღე ან რა დღესაც ერთხელვე თვითონ დანიშნავს.

რადგან ზოგი ქალაქი სხდომაში იქნება შესატანი და ზოგი არა, ყოველს ქალაქს თავსმჯდომარე ან თავის ხელით დაანერს, ან სეკრეტარს დაანერინებს: „სხდომას მოხსენდეს ამა და ამ რიცხვს“, – ან „ამა და ამ სხდომისათვის მომზდდეს“, – ან „პასუხად მიეწეროს ჩემგან ესა და ეს“, – ან „საქმეს დაერთოს“ და სხ. და სხ.

სადაც თავსმჯდომარე იხსენიება, იქ იმისი ამხანაგიც იგულისხმება, როდესაც თავსმჯდომარე თვითან ვერ დაესწრება.

3, სხდომისაგან განხილულს საგანს სეკრეტარმა მარცხენა გვერდზედ უნდა დაანეროს: „გამგებლობას ან საერთო ყრილობას მოხსენდა ამა და ამ სხდომაში“. რაც სხდომაში შესატანი არ არის, იმას ან ძირს უნდა მიაწეროს, აღსრულებულ იქმნა ამა

და ამ დროსაო, – ან მარცხენა გვერდზე უნდა დააწეროს, თუ თავსმჯდომარეს თვითან არ დაუწერია, – საქმეს დაერთოსო. პირველს შემთხვევაში ქალაქს იმ მინერილობის პირიც უნდა მიჰკერდეს, რომლითაც აღსრულებულ იქმნა; და ამ პირის გვერდზე უნდა ეწეროს: ვის, როდის და რა №-თ გაეგზავნა ეს მინერილობა და ხელი ვინ მოაწერა, თავსმჯდომარემ თუ ამხანაგმა.

რაც ქალაქი სხდომაში არის განხილული, იმას უნდა მიჰკერდეს დადგინების პირი, სეკრეტრის დამონმებული და ამ პირზედაც ისე უნდა ეწეროს, როგორც წინ არის თქმული, ვის, როდის, რა №-ით და ვისი ხელმოწერით გაეგზავნა ამაზე მინერილობა.

4, ყოველი გამავალი ქალაქი მეორე წიგნში იმავე რიგით ჩაიწერება, როგორც პირველ წიგნზედ არის თქმული, – და გამავალი № დაესმის თავის ადგილზედ.

5, ყოველი ქალაქის თავისს დროზედ მოხსენება და ყოველი გარიგების დაუყოვნებელი აღსრულება სეკრეტრის პასუხის გებაზედ არის.

6, ყოველს ხარჯზედ, რაც გამგებლობის დადგინებით, თუ თავსმჯდომარის განკარგულებით მოხდება, საზოგადოების ხაზინადარს ყოველთვის წერილობითი ორდერი უნდა მიეცემოდეს ხოლმე თავსმჯდომარისაგან ხელმოწერილი. ამ ორდერების წერა სეკრეტრის ვალია.

7, სამწერლოს უნდა ჰქონდეს ანბანის რიგით შედგენილი წევრთა სია, რომელშიაც ცალ-ცალკე ნიშნებით უნდა ადვილათ განირჩეოდნენ: 1, შემდგენელნი;² 2, საპატიო წევრნი; 3, ნამდვილი წევრნი; 4, წევრნი დამხმარებელნი. – რაც რომ ამათში ცვლილება მოხდეს, სიაში ყოველივე თავის დროზედ უნდა გამოცხადდებოდეს ხოლმე, მაგალითად: შემდგენლებს ვინ როდის გამოაკლდა და იმის მაგიერად ვინ როდის რა დადგინებით იქმნა ჩაყენებული. ამას გარდა ყოველი წევრის უნდა იყოს: სახელი, მამის სახელი, გვარი, წოდება, ხარისხი და ადრესი.

8, სეკრეტარმა თავ-თავის დროზედ უნდა აცნობოს ხოლმე ნევრებს ვისზედ რამდენი ფული რჩება შემოსატანი. ამას გარდა, მანამდისინ სხვა გარიგება მოხდებოდეს, სეკრეტარს ებარება ყოველი ინვენტარი საზოგადოებისა, ცალკე დავთარში დაწვრილებით ჩაწერილი. ამ დავთარში ცხადათ უნდა სჩანდეს, როდის რა არის, რა რიგად და რა ფასად არის შეძინებული; როდის ვის რა მიეცა, ან გაეგზავნა, დროებით თუ სამუდამოდ და ვისი განკარგულებით. ერთის სიტყვით, როგორც საქმეები, ისე დავთრები და ყოველი ნივთიულობა საზოგადოებისა ისე უნდა ჰქონდეს სეკრეტარს, რომ უცბათ შემონმება არას დროს არ გაჭირდეს.

ს ა ე რ თ ო ყ რ ი ლ ო ბ ი ს ს ხ დ ო მ ა თ ა თ ვ ი ს

9, საერთო ყრილობის დღეს სეკრეტარი, ან იმისი შემწე, ყველაზედ უნინ უნდა შევიდეს ყრილობის ზალაში, რომ ან თვითანა ჰსწეროს შემავალი ნევრების სახელები, ან იმათვე სთხოვოს თავის ხელით ჩაწერნენ ამ დღის სიაში. შემდგენლების სახელებს სიაში ყველას ერთნაირი ისეთი ნიშანი უნდა უჯდეს, რომ ვინიცობაა, თუ საჭირო შეიქმნა, იმათი გამოცალკეება არ გაძნელდეს.

10, როდესაც ორმოცდა ათი ნევრი შეკრება, თავსმჯდომარეს უნდა მოხსენდეს, რომ სხდომა შედგენილად გამოაცხადოს. თუ დანიშნულს საათს ერთს საათზედ მეტი გადასცდა და ორმოცდა ათის რიცხვი არ შესრულდა, მაშინ თავსმჯდომარე თვითონ უნდა შევიდეს და ყრილობა დაჰხუროს.

11, თავსმჯდომარე ყრილობას სიტყვიერად აუხსნის, რა ნესი უნდა იყოს დაცული და საქმეების განხილვის რიგს გამოუცხადებს. რა რომ ყრილობას ერთი საქმე დაწვრილებით მოხსენდება, თავსმჯდომარე იკითხავს, ვის ნებავს ამ საქმეზედ ლაპარაკიო? ვისაც ნებავს, დანიშნავს და რიგ-რიგათ მისცემს ლაპარაკის ნებას. იმის ნებადაურთველათ ყრილობაში ლაპარაკი არავის შეუძლია. მოლაპარაკე ზეზე უნდა იდგეს და თავისს ლაპარაკს თავსმჯდომარეს მიმართავდეს.

12, თუ მოლაპარაკე ჩამოგდებულს საკითხავს გარდასცდა, თავსმჯდომარემ უნდა მოაგონოს; თუ მეორედაც გადასცდა, უნდა გააფრთხილოს და მესამედ კი ხმა უნდა ჩამოართვას, რომ იმ საქმეზედ ლაპარაკი აღარ შეეძლოს. თავსმჯდომარემ უნდა შეაყენოს აგრეთვე ყოველი ლაპარაკი, რომელსაც კანონისა ან წესდებულების წინააღმდეგობას შეამჩნევს რასმე.

13, რა რომ ერთს საქმეზედ ყველანი თავის ლაპარაკს დააბოლავებენ, წარმოთქმულს აზრებს თავსმჯდომარე მოკლედ განიმეორებს, საკითხავს დაადგენს და გადანყვეტას მოითხოვს. ეს გადანყვეტა უნდა ან დაფარულათ მოხდეს, ან ცხადად; პირველს შემთხვევაში კენჭით, მეორეში ზეზე ადგომით, ან ხელის აპყრობით.

14, კენჭი ორის მეტი არავის მიეცემა: ერთი საკუთარი და მეორე მინდობილი. კენჭის დათვლის დროს თუ აღმოჩნდა, რომ ყუთში ერთი ან რამდენიმე კენჭი ზეზე დარჩენილა უჯრებში ჩაუვარდნელი, მაშინ ამ დარჩენილის ლუწი თანასწორად გაიყოფა ორივე უჯრისათვის და კენჭი უმრავლესობას მიემატება.

15, საქმე როგორც გადანყდება, თავსმჯდომარე ხმა მალლა გამოუტყხდებს და იქვე ჩასწერს სიაში, რომელიც წინ უნდა ედვას.

16, ყრილობაში შეიძლება გარეშე პირნიც დაესწრნენ, მაგრამ ლაპარაკის ნება არა აქვთ და თუ თავსმჯდომარემ დაითხოვა, მაშინვე უნდა გავიდნენ.

17, ყოველს საზოგადოების წევრს ნება აქვს თავისი აზრი წარუდგინოს საერთო ყრილობას, – ან იმავე ყრილობაში, – ან ერთის კვირით უწინ თავსმჯდომარეს: პირველს შემთხვევაში შეიძლება ყრილობა განხილვას შეუდგეს, მაგრამ გადანყვეტა იმავე სხდომაში არ შეიძლება; – და მეორე შემთხვევაში, რადგან საქმის მოსახსენებლად მმართველობას დრო ექნება, შეიძლება იმავე სხდომაში განიხილოს და გადასწყვიტოსცა ყრილობამ.

18, რა რომ ყრილობა იმ სხდომისთვის მომზადებულს საქმეებს ასე განიხილავს და დააბოლოვებს და თავსმჯდომარეც უკანასკნელს გადანყვეტილებას გამოაცხადებს და სიაში ჩასწერს,

მაშინ თავსმჯდომარემ სხდომა უნდა დაჰხუროს. სეკრეტარი დაწვრილებითს ჟურნალს შეადგენს სიაში ჩანერილის ძალით; ამ ჟურნალზედ ხელს მოაწერენ თავსმჯდომარე და იქ დამსწრე მმართველობის წევრნი; და რა რომ ამითი დადგინება თავის ძალაში შევა, უნდა აღსრულდეს და მომავალ საერთო ყრილობას მოჰხსენდეს.

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს მ მ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ი ს ს ხ ღ ო მ ა თ ა თ ვ ი ს

19, მმართველობის ხდომა უნდა მოხდებოდეს ან ერთხელვე დაწესებულ დროს (მაგალითად: ყოველ თვის 15-ის მერმეთ პირველ შაბათს საღამოს 7 საათზედ), – ან რა დღესაც თავსმჯდომარე დანიშნავს.

20, სხდომაში შესატანი საქმეები და იმათი მოხსენების რიგი თავსმჯდომარემ უნდა დანიშნოს ხოლმე თუ არ იმისი ნებადართვით სხდომაში საქმე არა შეიტანებარა.

21, ყოველს მმართველობის წევრს ნება აქვს წინა მუხლის ძალით სხდომას თავისი აზრი წარუდგინოს და სხდომას შეუძლია იმ აზრის განხილვას მაშინვე შეუდგეს, – მაგრამ გადაწყვეტა იმავე სხდომაში არ უნდა მოხდეს. თუ ამ გვარი აზრი თავსმჯდომარეს ერთი კვირის წინეთ მიუვიდა, მაშინ მის ნებაზედ არის დამოკიდებული, პირველსავე სხდომას გადასცეს გადასაწყვეტლად და ამ მიზნით სიაში შეატანინოს.

22, რაც სხდომაში შესატანი საქმეები დაინიშნება, სამი დღის წინეთ მაინც უნდა მოუვიდეს სია ყოველ მებინახეს, ე. ი. თავსმჯდომარეს, იმისს ამხანაგს და მმართველობის წევრთა. ამათგან ყველას ნება აქვს, რასაც ცნობას საქმისათვის საჭიროდ დაინახავს, სეკრეტარს მოჰკითხონ სამწერლოში და სეკრეტარს ვალი აქვს ყოველი ამგვარი მოთხოვნილება მაშინვე აღასრულოს.

23, რა საქმეზედაც რომელსამე მებინახეს წინა მუხლში მოხსენებული სია თავისს დროზედ არ მიუვა და ის მებინახე მმართველობის გადაწყვეტილებას არ დაეთანხმება, ეს გადაწყვეტი-

ლება უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახლად დაინიშნოს შემდეგი სხდომისათვის განსახილველად.

24, საქმეები სხდომას იმ რიგით უნდა მოხსენდეს, რა რიგსაც თავსმჯდომარე დაადგენს, მაგრამ ამ რიგის შეშლა თავსმჯდომარეს ყოველთვის შეუძლია.

25, საქმის მოსახსენებელი და ამხსნელი არის სეკრეტარი, მაგრამ თავსმჯდომარეს ნება აქვს, რომ ერთერთს მმართველობის წევრსაც მიანდოს ესა და წევრთაგანაც ყველასა აქვს ნება, რომ თავსმჯდომარის ცნობით თვითან იკისროს საქმის მოხსენება და განმარტება. განმარტება შეეხება როგორც თვით საქმის ისტორიას, ისე სჯულდებულებას, წესდებულებას, საერთო ყრილობის გადაწყვეტილებას, ან თვით მმართველობის დადგინებას, რაც რომ სხდომას თვალწინ უნდა ჰქონდეს, რომ გადაწყვეტილება საფუძვლიანი მოახდინოს.

26, რა რომ საქმის მოხსენება და განმარტება გათავდება, მაშინ ბაასს შეუდგებიან. მანამდისინ ერთი წევრი თავისს ლაპარაკს არ გაათავებს, სხვას ნება არა ვისა აქვს, თავსმჯდომარის გარდა სიტყვა გააშვებინოს.

27, სხდომაში ყოველი თავსმჯდომარის განკარგულება უსაცვილოდ უნდა აღსრულდებოდეს. ვინც ამას გადასცდება, თავსმჯდომმა უნდა გააფთხილოს, რომ თუ კიდეც გადასცდა, სიტყვა ჩამოერთმევა; და თუ მესამედაც გადასცდა, ან ამგვარს წესის დარღვევაზედ სხვაც მიემხრო ვინმე, თავსმჯდომარემ სხდომა მაშინვე უნდა დაჰხშოს მეორე დღემდინ.

28, როდესაც ერთს საქმეზედ ყველანი თავთავისს ლაპარაკს გაათავებენ, თავსმჯდომარე გამოაცხადებს, საქმე საკმაოდ არის ახსნილიო და მაშინ ლაპარაკის გაგრძელება აღარ შეიძლება. თავსმჯდომარე საკითხავს დაადგენს და განხმოვნებას მოითხოვს, ე. ი. ყველას თავთავის აზრს მოჰკითხავს. თუ სხვა და სხვა აზრი წარმოითქვა, რომელსაც უფრო ბევრი ხმა მიიღებს, სამი მაინც, ის იქნება სხდომის დადგინება და ყველანი იმას უნდა ექვემდებარებოდნენ. ვისაც ჰსურს, შეუძლია თავისი ამ სხდომისაგან უკუნქცეული აზრი, – და არა სხვა, – თვითან

დასწეროს და მეორე სხდომას წარუდგინოს საქმეში ჩასაკერებლად. თავსმჯდომარეზედ არის დამოკიდებული ეს აზრი განსახილავად დანიშნოს იმ რიგით, რომელიც 19, 20 და 21 მუხლებში არის მოყვანილი, თუ არა.

29, როგორც საქმე გადასწყდება, თავსმჯდომარე თავის ხელით შემოკლებით ჩასწერს სიაში, სხდომას წაუკითხავს და ხელს მოაწერს. ამ სიის მიხედვით სეკრეტარმა ჟურნალი უნდა შეადგინოს და იმაში დანვლილებით მოიყვანოს საქმის გარემოება, სხდომაში წარმოთქმული განმარტება და აზრები, – და განმიზეზება სიაში მოკლედ ჩანერილის ყოველის დადგინებისა.

30, შემდეგი სხდომა დაიწყება ამ ჟურნალის წაკითხვით და აქ მყოფთ მერნახეთაგან ხელის მონერით ვინც მაშინ სეკრეტარის რედაქციაზედ წუნს იტყვის რასმე, თუ სხვაც ეთანხმა ვინმე გადამწყვეტელთ მერნახეთაგანი, იქვე უნდა გაასწოროს სეკრეტარმა. მაგრამ რადგან შეიძლება ზოგიერთი საქმე საშური იყოს, სხდომას ნება აქვს და თავსმჯდომარეს შეუძლია იქვე სიაში ჩასწეროს: „ეს დადგინება ახლავე აღსრულდესო“.

თუ ჟურნალში გასწორებულ იქმნა რამე, ბოლოს უნდა მოიხსენიოს სეკრეტარმა, ხელის მონერის წინეთ, რა და რა არის გასწორებული.

რა რომ ამგვარს სიას თავსმჯდომარე ხელს მოაწერს, ამით გათავდება სხდომა მმართველობისა.

ფ უ ლ ი ს ა ნ გ ა რ ი შ ი ს ა და შ ე ნ ა ხ ვ ი ს ა თ ვ ი ს

32,³ ფულის საანგარიშოთ ხაზინადარს უნდა ჰქონდეს სამი ზონარგავლებული, გადანომრული და თავსმჯდომარის ხელის მონერით დამტკიცებული წიგნი: 1, საკვიტანციო, 2, შემოსავლისა და 3. გასავლისა.

33, რაც ფული შემოვა, შემომტანს კვიტანცია მიეცემა პირველ წიგნიდამ ამოჭრილი; მერე მეორე წიგნში ჩაინერება იმ კვიტანციის ნომრის ჩვენებით, რომლითაც არის შემოსული. თუ ფული ფორტით არის მოსული, ფორტის უწყებები ცალკე უნდა

ჩაინერებოდეს ხოლმე სამწერლოში და მერე გადაეცემოდეს ხაზინადარს ჯეროვანის ზედწარწერით და თავსმჯდომარის ხელმონერით, ფულის მისაღებად. ეს ფული შემოსავალში ჩაინერება იმ ქალაქსა და იმ უწყების ნომრების ჩვენებით, რომლითაც შემოსულა.

34, ხაზინადარს ხელათ ფული ას მანეთზედ მეტი არას დროს არ უნდა პრჩებოდეს, სხვა სულ ბანკში უნდა შეჰქონდეს, რომელსაც მმართველობა თავისი დადგინებით დაუსახელებს. იქიდან ფულის გამოტანა არ უნდა შეიძლებოდეს თუ არ თავსმჯდომარის ხელმონერილი ჩეკით.

35, არა ფულის დახარჯვა არ შეიძლება, თუ არ თავსმჯდომარის ხელმონერილი წერილობითი ორდერით.

36, ხაზინადარმა მმართველობას ყოველს სხდომაში უნდა წარუდგინოს: გავლილს თვეში ან უკანასკნელსა და ამ ახალის სხდომის შუა ვისგან რამდენი რა ფული არის შემოსული და რა ორდერებით რამდენი არის გასული.

ყოველი მიწერ-მონერა, როგორც ფულის დროზე შემოტანაზედ, ისე გაცემაზედ ან გაგზავნაზედ, სეკრეტრის ვალია.

37, მმართველობა თავისი ხაზინის შემონმებას უნდა მოახდენდეს ხოლმე რაოდენადაც შეიძლებოდეს ხშირად და ყოველთვის მოულოდნელად და რაც აღმოჩნდება, შემონმების აქტში უნდა ჩაინერებოდეს დაწვლილებით და აკტი შემონმებელთაგან ხელმონერილი სეკრეტარს ებარებოდეს.

1880 წ.

ჰომეოპათიური რეპული

1884

№266

მაისი. 20. ჩუმათელეთ. ნინიკა ტაბატაძის ცოლს ელისაბედს აცივებს დღეგამოშვებით. Pulsatilla 10+5+5 მარცვალი.

№267

– ბელეთელ როსტომ გელაშვილის შვილს კოლას, 10 წლისას. სიცხე აქვს, ახველებს, ყელს და თავს იტკივებს. Aconit 5+5+5+5.

268

– ზაქარა ლომსაძეს. ღორის ხორცს უწყენია, 4 დღეა, და მუცლის გლეჯა აქვს. 35 წლის. Nux vomica. 10+5+5.

27 მაისს. მარცხენა ნეკნში გაუჩნდება ხოლმე ტკივილი. პაპიე [...] მივეცი დასაკმავად.

269

28 მაისი. პავლე გოგალაძეს (№265). ციებ-ცხელება შემოუბრუნდა, 5 დღეა, ყოველდღე. – **№270**. იმის ცოლს ასტასიასაც, 40 წლისას, აგრეთვე, აცივებს.

პავლეს Arsenicum 5+5+5. 5+5+5.

ტასიას Pulsatilla 5+5+5. 5+5+5.

271. 28 მაისს. ალექსანდრე ციმაკურიძეს 3 დღეა ასლოკინებს.

- Ignatia. 10+5+5 მარცვალი.
29 – Cocculus 10. Nux vomica 10. ესენი აღარ მოუნდა; იგ-
ნაცამ გადაუგდო.
272. ბათლომე ჩადუნელის შვილს, ეთერს, 5 წლისას, ფეხ-
ზედ ნაპერწკალი დასცემია და ხანდისხან ძალიან იტკი-
ვებს.
Papier [.....]
273. 30 მაისს. კოსტუკას ყურის ტკივილი.¹ Pulsatilla 2 წვ.
274. 31 მაისს. იოკიმე სვიმონიშვ. ცოლს სალომეს, 50 წ. აცი-
ვებს 4 დღეა, ყოველდღე. Pulsatilla. 5+5+5+5.
275. 31 მაისს. ნინო, ლაცაბიძის ქვრივი, როფაქიძის ქალი. ქა-
რები გულმკერდში, თავში, ილღიებში. ღამე უფრო. Сmp.
258. Belladonna 5+5. 5+5.
1 июня. Ignatia. 5+5. 5+5. 5+5. 5+5. 5+5.
276. 5 ივნ. ნიკოლა ქურდევანიძეს, პატარა მუცლისტკივილი.
Bryonia. 10+5 კრ.
— — 5+5+5+5.
277. 5 ივნ. ანდრო ბლუაშვილს. ძალიან აცივებს, 3 დღეა. 60 წ.
Ars. 11 июня. Ipecacuanha 10+5+5.
14 – Nux vomica 10+5+5.
278. მელანა გელაშვილის შვილიშვილს $\frac{1}{2}$ წლისას, ტერეზი-
ას, დღე გამოშვებით. აცივებს. Ignatia 3+3+3. 3+3+3.
279. ნანა, სოსიკა ღონღაძის შვილი, 20 წლის, გაუთხოვარი
ქალი. Сmp. 278, 279. Pulsatilla 5+5+5+5.
Cocculus 10+5+5.
13 ივნ. 27 окт. ещѣ Aconit 5+5+5+5+5+5. — Ещѣ —
280. ანტონ კვინიკაძის ცოლს, 20 წლ. მართას, აცივებს ყო-
ველდღე.
Ignatia. 5+5+5. Arsenicum. 5+5+5. (258 и 258)
282. ბელლითელს თომა გელაშვილს (264) სიცხე და ხველება.
Chamomilla 5+5+5+5. Calcarea 5+5+5+5.
15 ოკტ. Arsenic. 5+5+5+5.

283. 24 ივნ. სარმანისკარის პეტრე ტაბატაძის ცოლს კატოს, 37 л. крапивная лихорадка. Ipecacuanha 10+5+5+5+5.
284. 29 Июня. გიორგი ხაჩიძის შვილი ეფრო. 17 წლისა. აცივებს 3 კვირაა, დღე გამოშვებით. Arsenic. 5+5+5.
285. 4 ივლ. ძალუა ნეონილა. ყელის ტკივილი.
Apis. 5+5+5+5+5+5. A
286. 5 ივლ. თედო გერმანაშვილი, 17 წლის. იოსებ ყიფიანის ბიჭი. ხინისაგან მუცლის ტკივილი. Arsenic. 5+5+5.
287. 8 ივლ. გოგია ბანცაძის 10 თვის ბავშვი, მუცლის გლეჯა, გვემა.
Chamomil. 3+3+3.
288. 12 ივლ. მანძულა ბლიაძეს დღე გამოშვებით აცივებს.
Arsenic. 2 კ., 10+5+5 კრ.
289. 14 ივლ. ზაქარა სუთიაშვილის ბავშვს, ილიკოს, 5 წლისას დღე გამოშვებით აცივებს.
Ipecacuanha 5+5. 5+5.
290. 16 ივლ. ზაზას პატარა სონას (ქვასრა), 6 წლისა, ქუნთორუშა.
Belladon. 3+3+3+3+3. Apis 3+3+3+3+3.
Скарлатина. Умерла. **
291. 17 ივლ. მაიკოს
292. და დარიკო ციმაკურიძეთ, ფერდის ტკივილისა.
Bryonia: I. 5+5. 5+5. II. 5+5. 5+5.
293. 21 ივლ. მაიკო ციმაკ. დისსენტერია.
Merc. corros. 10+5+5.
294. 22. კატო, გარსო სუთიაშვილის, 16 წლის ქალი, ფერდებს იტკივებს, ნაქცეულა შარშან, საწყლეს დასცემია.
Armica. 10 круп.
24. კიდევ. —

* ჭინჭრის ცხელება.

აქ და ქვემოთ: სქოლიოში ჩატანილი თარგმანი ჩვენია. თ. ჯ.

** ქუნთორუშა. გარდაიცვალა.

295. 25 ივლ. გიორგი გოდაბრელიძის პატარას. სიცხე. ფალა-
რათობა.
Bryonia. 3+3+3.
296. 27 – მოლითელი გიორგი ცუცქირიძის შვილი, პეპო, 14
წლისა, წელიწადია ავით არის. Стр. 163. Arsenic. 10+5+5.
5+5+5. [?] чистою водою.*
29. Nux vomica 5+5+5. Sulphur 10+5+5.
He застали уже.**
297. კეკე, გაბრიელ გელაშვილის ქალი, კიკა შუბითიძის ცო-
ლი, 27 წლისა.
Arsenic. 10+5+5. 3 აგვ. Pulsatilla, 2 капли, 5+5+5 круп.
298. 30 ივლისს ჩემს ძმისწულს ეფროს,² მკერდის ქარები, ბე-
ჭის ტკივილი, ოფლი, გულის ძგერა.
Spigelia 5+5. 5+5. 5+5. Sulphur. 5+5. 5+5. 5+5.
299. 2 ავგ. Годаб. Лиза. См. 162.
Aconitum. 5+5+5.
300. ფროსას, სიცხე აქვს და სტკივა ყელი, თავი, წელი.
Bellad. და Aconit. 5.5.5.5.5.5.
301. – Варя Андросова. 10 л. Ногтоеда.***
Hepar 1.1.1.
302. 3 ავგ. მარკოზა პავლაძე. 1 კვირაა აცივებს. 4 წლის შვი-
ლი მოჰკვდომია და იმის ჯავრს აბრალებენ.
Ignatia 10+5+5+5.
303. 7 ავგ. გუდათუბნელი იოსებ გუდაძე. 30 წლისა.
Стр. 163.
Arsenic. 10+5+5+5.
10 ----- 5.5.5.
304. 8 ავგ. Жена Зах. Гигиташвили.
Bryonia 10+5+5.
Nux vomina. 10+5+5.

* სუფთა წყლით.

** ველარ მიეუსწარიტ.

*** გარცმულა, დუდკო, სანერელი.

305. 9 – ნინას. ჭია. Spigelia. 1 წვ. 1. 1+1. 1+1.
Сыпь.* Antimon. 1.1. 1.1.1.1.
306. 10 – პავლე ხაჩიძის ცოლი ტასია. 17 წლისა.
გულის რევა და პირღებინება.
Ipecacuanha 5+5+5+5.
307. 10 – ბელლითელი ივანე გელაშვილი. 40 წლ. დღე გამოშ-
ვებით აცივებს.
Arsenic. 2 капл. 5+5+5.
308. ნუნისელი ნინო თხელიძის ქალი, მანჩხაშვილის ქვრივი,
30 წლისა, აცივებს.
Pulsatilla. 10+5+5+5.
309. 12 Авг. ბულბულისციხელი ექვთიმე ნიქარიშვილის 3 წლის
შვილს მიხას აცივებს 1 კვირაა. Ignatia 3+3+3+3.
310. – Лёке.³ Кровоточ. и боль поясницы.**
Chamomilla 1+1. кап. 1+1. 1+1.
311. 17 – Косте,⁴ геморроид. шишки.***
Chamomilla 1+1. 1+1. 1+1.
312. 18 – გიორგი ხახნელიძე. მჭვალი. Стр. 136. Aconit. 2 кап. +2.
ფეხების სიმსივნე. Sulphur 2+1+1.
313. 19 – ლიზას, დავით მირზაშვილის (მარალოს) ქალს, ქორ-
ფლი.
Veratrum 2 кап. утр. и веч. и примочки.****
314. 1 сент. ანდრო ბლუაშვილი. ყოველ ღამე აცხელებს, მუც-
ლის გლეჯა აქვს. ვოდკას უწყენია.
Nux vomica 10+5+5.
13 – Belladon. 10+5+5.
16 – Phosphorus 10+5+5.
315. 2 – მართა ლომსაძის ქალი, ქოზაშვილის ცოლი, 40 წლი-
სა; მუცლის ბერვა, სიცხეს აძლევს ხოლმე.

* გამონაყარი.

** სისხლდენა და წელის ტკივილი.

*** ჰემოროიდული კვანძები.

**** 2 წვეთი დილას და საღამოს და სველსაფენები.

326. მათე ყიფიანს. ქარები.
Rhus 10. 5+5. 5+5.
327. 1 ოკტ. ილიკო გაგოშიძეს ცოლი, ზაქარია ღვდლის ძმის-
წული, ოლინკა.
См. стр. 144. Belladonna 10+5. 5+5. 5+5. 5+5.
328. Лизе Годабрелидзе и двум маленьким дочерям от горл. боли
и сыпи на теле.*
Merc. cyanatus, по 20 круп.
329. Лизе Цициановой против удушливого кашля.** – 50 кп. Sul-
phur.
330. 16 ოკტ. სოსიკა ბეროზაშვილის 7 წლის შვილს დათიკოს
აცივებს ყოველდღე, 3 თვეა.
Ignatia. 10+5.
23 – Nux vomica. 1 капл. 4 кр. 4+4+4.
1 Нояб. Ipecacuanha 5+4+4+4.
4 ----- 4+4+4.
331. 18 окт. თომა გიგიტაშ. ცხვირიდამ ხშირი სისხლისდენა.
Bryonia. 10 კრ.
332. 19 – გოგია ბანცაძის 1 წლის შვილს ვანიჩკას ახველებს
და გულს ეჭიდება.
Aconit. 3+3+3.
Ipecacuanha 3+3+3. 3+3.
333. 20 – პატარა ანეტა შუბითიძისა, ხმელი ხველა.
Chamomilla – 2 кап. Ipecac. 4+4+4.
334. 26 – აღმასხან სამხარაძე. 25 წლ. აცივებს 1 თვეა.
Ignatia 10+5+5.
335. 30 – პეპენა ლაცაბიძის ქალს, ბლუაშვილის ცოლს, 2
თვეა აცივებს ყოველდღე. Pulsatilla 10+5+5.
6 янв. 85. Arsenic. 5+5+5. 5=5+5.

Лёкино лечение:***

* ლიზა გოდაბრელიძესა და მის ორ პატარა გოგონას ყელის ტკივილი
და ტანზე გამონაყარი.

** ლიზა ციციანოვას მხოთავი ხველის წინააღმდეგ.

*** ლოკას (დიმ. ყიფიანის ქალიშვილი – თ. ჯ.) მკურნალობა.

336. – მაიკო ციმაკურ. თავისტკივილი. Bryonia. 10+5+5+5.
337. –ანეტას ანდროსოვისას. Солитер. Sulphur 10+5+5+5+5+5.
338. იმის შვილს მანიას } ხველება. Hyosciamus. 10+5+5+5+5.
339. და ფროსას }
340. ოკტ. – ნეონილას. ყელისტკივილი. Belladon. 10+5+5+5.
341. დარიკო ციმაკურ. თავისტკივილი. 10+5+5+5+5.
342. 4 ნომ. – ქანა შუბითიძისას, 15 წ. ქვალი, მარჯვ. ძუძ. ძირს.
Aconit. 10+5+5. 5+5+5+5.
7. Chamomilla 8+6+6+6.
8. Bryonia. 5+5+5.
343. 12 – გლახო შუბითიძე, 24 წლ. ყური სტკივა.
Pulsatilla 5+5+5.
344. – ანეტა ანდროსოვა. ხელების ტკივილი. ქარებისაგან.
Chamomilla 2 капл.
345. 19 ნომბ. ეფემია ქიტიაშვილის ქალი, გიორგი გუდაძე, 60 წლის. მარჯვენა ფერდის ტკივილი, იქნება 3 ნელინა-დი. Стр. 201.
Belladonna 10.5.5.5.5.
24 – Nux vomica 10.5.5.
346. 27 – ზაქარა გიგიტაშვი. 70 лет. მარჯვენა ძუძუზედ მჭვალ-ლი.
Aconit. 10+10. 5+5+5.
29 მარცხენა. 10+5+5.
1 დეკ. Nux vomica 10=5+5+5.
2 – Chamomilla 5+5+5+5.
5 Дек. Pulsatilla 5+5+5.
347. 9 დეკ. პეპო ბოჟაძე, 14 წლისა, ნიფელი. დღეში 2-ჯერ აცივებს, შიშისაგან; როცა სიცხე აქვს, ფეხები უცივდება.
Ignatia 8+5+5. 5.5.5.
348. 14 დეკ. სვიმონა ხაჩიძის ცოლს ანას, ახველებს, გულს უხუთავს.
Arsenic. 10. 5+5+5.

349. – დარიკო დალალიშვილის ქალი, ანდრო ღონღაძის ცოლი. 5 წლის გათხოვილი. Стр. 224-225.
Pulsatilla 10.5.5.5.5,
350. 15 დეკ. პავლე თიკანაშვილი, ჩდილს. მარჯვენა გვერდის ტკივილი...
Belladonna 10+5. 5.5.5.5.
17 Apr. 1885. Arsenik. 10.5.5.5.5.
21 – Aconit и Sulphur попеременно.* 5+5. 5+5.
351. 16 – ძალუა მარიამს აცივებს, 2 კვირაა, ყოველდამე, წყენისაგან.
Ignatia 10+5+5.
352. 22 – Мане Андросовой. Глисты.**
Cina. 5+5+5+5.
353. 30 დეკ. მარიამ კიკნაძისა, 43 წლისა. ღომს უწყენია.
Ipecacuanha 10. 5+5.
(279). ნანა, სოსიკა ღონღაძის ქალი. Ст. 277.
Ipecacuanha 10+5+5.
1885 თებერ 18. Arsenic. 5+5. 5+5. 5+5.
– 21. Pulsatilla 5+5+5.

1885

354. 2 იანვ. სარმანისკარელი სვიმონა ტაბატაძე. 85 წლისა. ახველებს.
Стр. 123. Arsenic. 10+8+6+4+2.
4 – Hyosciamus 10+10+10.
355. თებერ. 16. ივანე გიგიტაშვილის ცოლი, სალომე თიკანაშვილი. 6 წელიწადია ქარებით ხრუკვა და გულის წუხილი აწუხებს.
Bryonia.5+5. 5+5. 5+5. 5+5.

* შენაცვლებით.

** მუცლის ქიები.

356. თებ. 18. გიო პავლადის ცოლს, კეკეს, აცივებს და სიცხე აქვს შიშისაგან.
 Ignatia – 5+5. 5+5. 5+5.
 19 – Chamomill. 5+5. 5+5. 5+5. 357. 357. 27. ფ. В Китаи-се. Марья Ковалевская. 14 лет. 2¹/₂ страдает очень частыми припадками падучей; при чем синеет, даже чернеет. Вероятная причина – испуг.*
 Cuprum. 5+5. 5+5. 5. 5. через 4, 5. 6-10 дней по 5 кр.
 28 Мая. Calcareia, также.
358. სვიმონა გურულის პატარა გოგო. ქარებით მუხლების ტკივილი.
 Bryonia 5.5.5.
359. ზაქარა გიგიტაშვილის შვილი. ყელში მუწუკები.
 Chamomilla 5+5+5.
360. 4 მარტ. ლიზა გოდაბრელიძისა. მუცლის ფალარათობა.
 Aconit. 5+5+5.
361. 10 მარტ. მარიამ, სანოს დედა. 6 თვეა აცივებს.
 Natr. muriatic. უფრო მოუხდებოდა, მაგრამ არ არის და Nux vomica 30 კ. 2 დღეს.
362. 11 მარტ. გოგია ბანცაძე. Вертлужья боль.**
 Colocynthis. 5+5+5. 5+5+5.
 13. – 5+5+5. 5+5+5.
 16. Pulsatilla 5+5. 5+5.
 23. Bryonia 5+5. 5+5.
363. 16 მარტ. 1885. ივანე გიგიტაშვილის გერს – პეტრე სუთიაშვილს, 13 წლისას, გულის ტკივილი.
 AAconit. 5+5+5.
 18 – Bryonia 5+5+5.
364. 27 მარტ. გიორგი სუთიაშვილის გათხოვილ ქალს ფეფეს ახველებს.

* ქუთაისში. მარია კოვალევსკაია, 14 წლისა. 2¹/₂ წელიწადია მეტად ხშირი გულყრისგან იტანჯება; ამ დროს ლურჯი ფერი ედება, შავიც კი. სავარაუდო მიზეზი შიშია.

** მენჯის ტკივილი.

- Arsenic. 5+5. 5+5.
365. 28 – ტეზრელს სოსია ჩიტიაშვილს. Катаральная головная боль.*
Aconit. 10. 5+5. 5+5.
366. 31 – გიორგი კიკნაძე, 65 წლისა. ხელფეხის სიმსივნე. გულზედ აწვება. ახინინებს. 2 თვეზე მეტია. – Arsenic. 10. 5+5. 5+5.
367. 7 აპრ. ძალუა კატოს. თიაქარ.
Bryonia 5+5+5.
368. 8 – სოლომონ ხაჩიძე, 40 წლისა. მჭვალი ჰქონდა, გულს უხუთავს, სიცხე აქვს. Aconit. 5+5+5.
369. 11 აპრ. რაჟდენ ბაინდუროვს. დიდხნოვანი კვეთება.
Sulphur 65 კრ. на 30 дней по** 10+5+5+5+5+5+5. 5+5+5+10.
370. 18 – იობა ჯინჭარაძეს. პირის წვა. Belladon. 10.
371. 3 Мая. ბასილა გლუმჩადის ცოლი, ბარბარე. Родильная лихорадка. Стр. 326.
Aconit. и Bellad. попеременно, через час.***
372. 5 – ვასილ კიკნაძის შვილი იოთამ, 4 წლისა. აცივებს.
Arsenicum 3+3+3+3+3+3.
373. 11 მაის. გიგოლა როფაქიძეს. ღვინისაგან გულის წვა.
Aconit и Bryonia 5+5. 5+5. 5+5. 374.
374. 13 – პაატა ლომსაძის ცოლს სალომეს 3 დღეა ცხვირში სისხლი სდის.
Механич. причина.****
Arnica 10+5+5+5.
375. 30 – იოკიმე სვიმონიშვილის 7 წლის ქალს მარიამს ახველებს, – სიცხეს აძლევს და გული სტკივა. AAconit. 5+5+5.

* კატარალური თავის ტკივილი.

** 30 დღის განმავლობაში.

*** მელოგინის ციებ-ცხელება. გვ. 326. ... თითო საათის დროგამოშვებით.

**** მექანიკური მიზეზია.

- 1 Июн. Nux vomica 5+5+5+5.
376. 31 – სვიმონა გურულის ცოლს, ნენეს, 3 წელიწადია თავის ტკივილი ანუხებს. Aconit. 5+5+5. 5. 5. 5.
8 ივლისს. – 5. 5. 5. 5.
21 აგვისტოს – 5. 5. 5.
377. 4 ივნისი. გიგ. როფაქიძის პატარა ქალს ანეტას, 2¹/₂ წლისას. ახველებს, სიცხე აქვს, მუცლის გვრემა.
Nux vomica. 3+3+3. 3. 3.
Arsenicum 3+3+3. – Bryonia 3+3+3.
378. 7 ივლ. ადამა გიგიტის შვილისშვილი, 1 წლისა, ნიკო. გულისყრა.
Судороги, в роде родимчика.* Coffea 3+3+3. 3+3+3. 3. 3. 3. 3.
21 ივლ. Belladon. 3+3. 3+3.
379. – ივანე გიგიტის 1 წლის შვილი დათიკო. ახველებს, სიცხე აქვს.
Chamomil. 3+3+3. 3+3+3.
11. – Ipecacuanha 3+3+3.
380. 8. ბარბარე შუბითიძის შვილისშვილი, 5 კვირისა, მუცლის გვრემა.
Chamomilla 2+2+2+2.
381. 10 ივნ. დარიკო ციმაკურ. ხველება. თავის ტკივ.
Chamomilla 5+5+5. 5+5.
382. – მაიკო ციმაკურიძე. მარცხენა მკერდის ტკივილი.
Belladon. 5+5+5. 5+5.
383. 15 – ლიზა გოდაბრელიძისა. კბილისტკივილი, 10 დღეა.
Aconit. 10+5+5.
6 ივლისს მეორე კბილი...
384. 16 ივნ. მარკოზა პავლაძის ცოლი ელისაბედ. იმის 1 წლის შვილს ივანეს –
მუცლის გლეჯა და პირღებინება. Chamomil. 3+3+3.
Nux vomika 3+3+3.

* კრუნჩხვები, საყმანვილოს ჰგავს.

385. 24 ივნ. გიორგი ჩიტაძის შვილიშვილს იაკობს, 4 წლისას. ცხელეზა. ხარს შეუშინებია. Ignatia 4+3+3.
386. ამ იაკობის დედას, ვასვასის, ამის ჯავრი აცივებს, 4 დღეა.
Pulsatilla 5+5+5.
387. 4 ივლ. ახალდაბელი ნიკო რიკაძის 4 [წლის] ქალს პელოს აცივებს.
Arsenic. 5+3+3.
388. 7 ივლ. ოდანა გომარლის შვილს, 4 წლის იასონს ფეხზედ ხე დასცემია, ეს ორი კვირაა, და უსივს. Arnica. Примочка.* 1 : 4.
389. წიფელს ტატე ბოჟაძეს და იმის შვილებს:
390. დათიკოსა და სონას – აცივებთ.
391. Arsenic. 5+5+5. 3+3+3. 3+3+3.
392. 8 ივლ. ცხრამუხელს ანდრო ღონლაძეს, 30 წლისას, აცხელებს, კვირანახევარია, თავს იტკივებს, პირის სინითლე მოსდის. Aconit. 5+5+5.
9 – Nux vomica 10. 5.
393. სვიმ. გურიელის უფროს ქალს მაროს. Стр. 200.
Pulsatilla 10. 5. 5. 5. 5.
394. 9 ივლ. ფიდო ქურდაძის შვილს, გიგოს, 15 წლისას, აცივებს.
Nux vomina 10+5+5.
15 – Arsenicum 10+5+5.
395. – მაიკო ციმაკურიდ. თავბრუ. Rhus 10+5+5.
Pulsatilla 5+5+5. 5+5+5.
396. 10 – ზაქარა გიგიტაშვი. ბუასილის მუნუკები, წვით.
Arsenicum 10+5. 5+5+5.
397. 12 – ჩემს ძმისწულს ლიზას. ხველევა და ხანდახან სისხლიანი ნაზლა.⁶
Chamomil. 10 კრ.
13 – Aconit. 10 –

* სველსაფენი.

398. 21 ივლ. პეპო გაგნიძეს, ტკოცელს, 5 წლის შვილს უცი-
ვებს დღეგამოშვებით. Pulsatilla 5+5+5+5.
399. 22 – Костюк. Воспал. селез.* Nux. vom. 10+5.
400. 24 – ძალუა ნინა სოლომონოვნას. Bryonia 5+5. 5+5.
401. 26 – ბარბარე შუბითიძის შვილიშვილს, დავითს, 3 თვი-
სას, მუცლის გვრემა აქვს. Chamomilla 3+3+3.
10 – აგვ. კიდევ. Bellad. 3+3+3.
402. ფროსას კბილისტკივილი. China 8 კი.
403. 27 – ბარბალეს კბილისტკივილი. Spigelia 8 –
404. – ივ. სირაძის ცოლს, კეკეს, კბილისტკივ. Belladonna
5+5+5.
405. 29 – გოლათუბნელს ივანე ღამბაშიძეს, აცივებს 5 კვირაა.
Arsenicum 10+5+5+5.
406. 29 Июля. ხაბაზს არსენას, კბილისტკივილი.
Rhus. 2 капли.
407. – გიო გიგიტაშვილის ცოლს, ნატოს, პირღებინება, გუ-
ლის წუხილი.
Bryonia. 10+5.
408. აგვ. 6. მონასტრელის გლაზო გელაშვილის 15 წლის
შვილს სინოს აცივებს ყოველდღე, 1 კვირა იქნება.
Nux vomica 10+5+5.
409. – ილიკო გელაშვილის 5 თვის შვილს სოსიკას აცივებს.
Nux vomica 5+3+3.
410. 8 – გიორგი სამხარაძეს, 30 წლ. აცივებს. Nux vom. 10+5+5.
411. – ბარბარე ღლონტი. კუჭის სისუსტე...
412. 19 – მიტროს მუცლის გვრემა. Nux vom. 10+10.
413. 23 – შუბითიძის პანანა ძუძუმწოვრებს, სიცხე და ფალა-
რაობა.
24 – Chamomilla 3+3+3. – 3+3+3.

[20 მაისი. 1884-24 აგვისტო. 1885.]

* კოსტიუკს (დიმ. ყიფიანის ვაჟიშვილი – თ. ჯ.) ელენთის ანთება.

ჩანაწერი

I

თუ ჩვენ მიერ აღებული ლატარიის ბილეთი მოიგებს, ქვემო-
რე ხელის მომწერებმა, სამივემ, მოგება თანაბრად უნდა გავი-
ნაწილოთ. თუ ვერაფერს მოვიგებთ, ჩვენ მიერ შეტანილი თანხა
დარიცხული პროცენტებითურთ 10 წლის შემდეგ ასევე თანა-
ბრად უნდა გავინაწილოთ, რასაც ხელს ვაწერთ:

ნამდვილი სამოქალაქო მრჩევლის მეუღლე
ეკატერინა კუზმინა (ქალიშვილობაში – **ლოპუხინა**)

პოლკოვნიკის ასული

ნადეჟდა ალექსანდრეს ასული ლოპუხინა

ქართველი აზნაური, მე-10 კლასის ჩინოვნიკი

დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანი

1836 წლის 1 მარტი.

II

ქართველები ახალგაზრდა ადამიანზე, რომლის ქცევა ან
მსჯელობა უცნაურად ეჩვენებათ, ამბობენ – თერგის, ამ გადა-
რეული მდინარის, წყალი აქვს დალეულიო.¹

როცა ძმები იყრებიან, ქართული კანონებით, წილი უფროს-
უმცროსობის რიგით ნაწილდება. მაგალითად, ყოველი გასაყო-
ფი 20 კომლი გლეხობიდან უფროს ძმას ერგება 2 კომლი. აქედან
ერთს თვითონ ირჩევს, მეორეს უმცროსი ძმები საკუთარი არჩე-
ვანით მიაკუთვნებენ. შუათანა ძმებს – თითო კომლი. უმცროს-
საც ერთი კომლი, ოღონდ – უფროსი ძმების მიერ შერჩეული და
მამისეული სახლი. ამის შემდეგ დარჩენილი ქონება მათ შორის
იყოფა თანაბრად.²

პ ა რ უ ნ, სომხურად – ბატონი. ასე ქართველები მიმართა-
ვენ იმ სომხებს, რომლებთანაც ფამილიარული ურთიერთობა
აქვთ.³

ქართველებს ზრდილობის წესი უფლებას არ აძლევს თქვან: „ჩემი ქმარი“, „ჩემი ცოლი“ და ამიტომ წოდებისა და ასაკის შესაბამისად თანამოსაუბრეებს ასე ეუბნებიან: „თქვენი ძმა“, „თქვენი სიძე“, „თქვენი ნათლიმამა“, „თქვენი და“, „თქვენი რძალი“, „თქვენი ნათლიდედა“.⁴

სომხები კურდღლის ხორცს არ ჭამენ, რადგანაც ამ ოთხფეხს გაუპობელი ჩლიქი აქვს.⁵

[1849 წ.]

III

ძველებური ანდაზა იყო: „ყომარბაზო მაშინ გადექ, როცა უკეთ მოგდიოდეს“.¹

შესანიშნავია, როგორ ალაპარაკებს აქ ბენვოლიოს ავტორი. ბენვოლიოს ამ დრამის დასაწყისიდან აქამომდე პატიოსან ყმანვილ-კაცად ვიცნობთ და პატიოსნების ვალი იყო, არცა რას საქმეს დაუშლიდა, რომ მართალი მოეხსენებინა მთავრისათვის, თეიბაღდს პირველად რომეომ შეუტიაო. მაგრამ ეს ბუნებითი წესი დაამტკიცა, რომ კაცი, რაც უნდა გულმართალი და გულწრფელი იყოს, მაინც თავისს მხარეს მიჰკერძავს ყოველს სამოქალაქო უთანხმოებაში.²

1859

IV

გაზი ლურსმნის მოსაგლეჯი იარაღი კი არ გეგონოს, ან ქალების საღეჩაქე. მე და შენ რომ ბაქოს ვიყავით და იქიდან სურახანასაც რომ წავედით, იქაური ცეცხლები ხომ გახსოვს, ჩემო თეიმურაზ, მიწიდან რომ ალათ ამოდის და მილიონები რომ თავყვანსა სცემენ. იმ ორთქლსა, იმ ჰაერს, თუ იმ ალსა, მიწიდან რომ ამოდის, და ცეცხლი თუ მიაკარეს, მაშინვე რომ აენთება ხოლმე და თვითან რო აღარ გაქრება, თუ კაცმა არ გააქრო, იმას ეწოდება ბუნებითი გოგირდ-წყალგვაროსანი გაზი. ევროპაში ამისთანა გაზს ხელოვნებით აკეთებენ და ამ ხელნაქნარის გაზით

ანათებენ ქუჩებსაცა და სახლებსაც. ქალაქშიაცკი ენთო ხოლმე გაზი ფანრებში, თუ გახსოვს, ვარანცოვის დროს, მთავარმმართველის სასახლის წინა, ბიჭები რომ ეხვეოდნენ და კითხულობდნენ: ვა! ეს რა ანთიაო!¹

თუ რუსულისა და ფრანცუზულის ენის მცოდნესთან შეგხვდეს ვისთანმე ლაპარაკი, თეიმურაზ! გეთაყვა, მოელაპარაკე იმათა, შეიძლება თუ არა სასტუმრო დავარქვათ ისეთს სახლსა, სადაც ყოველი კაცი თავის-უფლად შევა, რასაც ინებებს საჭმელსა და სასმელს მოითხოვს; თუნდა ერთს ან რამდენსამე ოთახს სადგომად დაიჭერს, სადაც მოსამსახურენი ბევრნი არიან და სტუმრის ნებას ყოველსავე აღასრულებენ? ამისთანა სახლს ჩვენებურად, — ეჭვი არ არის, სასტუმრო ჰქვია, თუ აქვს ვისმე. მაგრამ ჩვენსა და ევროპიელებში ეს განსხვავებაა, რომ აქ სტუმარს ფულს არაფერში გამოვართმევთ და იქ უფულოდ შეხედვითაც არაფერზედ შეახედებენ. — რუსებში ამას გოსტინნიცას ეძახიან, ანუ ტრაკტირს, ანუ რესტორაციას. ფრანცუზებში რესტორანს, კაფეს. ჩვენში სტუმარს იმიტომ ვსცემთ პატივსა, რომ სტუმარია; იქ იმიტომა სცემენ პატივს, რომ ფულს გამოელიან იმისაგან; მაგრამ სახლის მნიშვნელობა კი ერთი და იგივე არის: სტუმართ მიღება; აქ მუქთად, იქ ფულით.²

ჩვენც გვიახლოვდება ისეთი დრო, რომ ურიგო არ იქნება ვიცოდეთ, ფერმერობა რას ჰნიშნავს. შენ ადგილ-მამულის პატრონი ბძანდები, მე შემოგევაჭრები ესა-და-ეს ადგილი მაქირავე მეთქი და მაქირავებ რამდენისამე წლითა. შენი მეფერმე მე ვარ მაშინა; შენ ჩემგან გაქვს სარგებლობა, მე შენის მიწისაგან; — ვადა რომ შემისრულდება, უნდა პირობა განვაახლოთ.³

რისგან არის, რომ ვანბობ, გენერალი მეთქი და არა ლენერალი? ეს ლექსი* ჩვენ რუსებისაგან მივიღეთ, რუსებმა ფრანცუ-

* აქ და ქვემოთ: ლექსი ნიშნავს სიტყვას.

ზებისაგან, ფრანცუზებმა რომაელებისაგან, ლათინურის ენი-
დამ; მაშ ჩვენც ბარემ იქვე ავაგსოთ თასი, სადაც წყარო გამო-
დის; ლათინურს ენაში **ღ** სულ არ არის, **გ** კი არის. ფრანცუზუ-
ლს ენაზედ ლათინურს **გ** როდესაც **ე** დაჰყვება, ან **ი**, **ჟ**-თ გადაი-
ქცევა და იმიტომ ანბობენ ჟენერალ; იტალიანურს ენაში **ჯ**-თ
გადაიქცევა და ანბობენ ჯენერალ. – რუსულს ენაში მხოლოდ
ორი ლექსია და რაც იმ ლექსებიდამ სიტყვები წარმოსდგება,
ისინი (ног და நாго) სადაც ჩვენებური **ღ** ისმის გამოთქმაში;
სხვას ყოველს შემთხვევაში **გ**-ს ანბობენ. ვინც სწორე რუ-
სულს ლაპარაკობს, თავის დღეში არ იტყვის, სირცხვილია, არ
ვარგა, რომ ჰსთქვას: ღენერალ; ღუბერნატორ; ღრუზინ; ღავ-
არიტი; ღრეშნო. უთუოთ ასე უნდა ჰსთქვას და ასეც ანბობენ,
ხახოლებს გარდა: გენერალ; გუბერნატორ; გრუზინ; გავარიტი;
გრეშნო! მაშ ჩვენ ეს რალა დაგვემართა, საცა არა მგონია **ღ**-ს
წავსჩხირამთ ხოლმე. მართალია ძნელია გადაჩვევა, მაგრამ უს-
აფუძვლო, უკანონო ლაპარაკი ისე ეწყინება ყურსა, როგორც
გაუსაპნავი ურმის თვლის ჭრიალი და საწყენს რომ რასმე ვხმა-
რობდეთ მგონია გაუზღელობა ერქვას ჩვენში, – უდელიკატობა
მაინც.⁴

აი! ჩემო თეიმურაზ! ერთი კარგი თვისება განათლებისა: თა-
ვისს გვაროვნობის მოთხრობასა ჰსწერენ და შთამომავლობა
თავისი, ნათესაობა, მოყვრობა, კარგათ იცინან. – ჩვენ რომ ნა-
თესაობითისა და მოყვრობის დამოკიდებულების პატივისმცე-
მელნი ვართ, რატომ ჩვენცკი ბეჯითად არ ვიცით ჩვენი წარმოე-
ბა და შთამომავლობა. გვაროვნობის ხე ბევრი მინახავს, მაგრამ
სწორეთ ისეა, თუ არა ან ჩვენთ წინაპართაგანი ვინ როგორი
რამ ყოფილა, ვაი შენს მტერს, თუ ვიცოდეთ ვინმე.⁵

ანგლიაში, და ამერიკაში უმეტესად, ისეთი საზოგადო
ჩვეულება არის, რომ გასათხოვარი ქალი სრულიად თავისუ-
ფალია და რაც უნდა მარტო იაროს, თუ არ დიდს პატივისცემას,
სხვას ვერავინ რასა ჰკადრებს. ფრანციაში კი გათხოვებამდინ

ქალი შეკეტილში არის და რა რომ გათხოვდება, მაშინ აიღებს თავსა და თავისუფლების მომშლელი აღარავინა ჰყავს.⁶

აი ერთი ლექსი კიდევა, რომ ჩვენს ენაში უნდა შემოვიპატიოთ და ადგილი უშოვოთ. Romanesque, – Романический... რომანი თუ არ იცი, ჩემო თეიმურაზ, რასა ჰნიშნავს, ამ წიგნს რომ ნაიკითხავ, მაშინ მაინც შეიტყობ. ღარიბის ყმანვილი კაცის რომანი გამოდის – ღარიბის ყმანვილი კაცის ტრფიალების ანბავი. მამ რომანი არის ტრფიალების ანბავი; ამ ანბავში ზოგი ისეთი რამ აღინერება, რომ გამოსადეგი იყოს იმისი ცოდნა, შესამაცნებელი, დამმოძღვრებელი, მაგრამ უმთავრესი საგანიკი ტრფიალება არის, და თუ დამწერმა კარგათ იცის გარჩევა კეთილისა და ბოროტისა, იმ გვართ აღსწერს ამ ტრფიალებას, ამ სიყვარულს, რომ პატიოსნებითი გრძნობა მოგანონოს, გული გაგინმინდოს, გაგიკეთილშობილუროს და სათნოების სიამოვნე გაგრძნობინოს. ვისაც ამ ნაირი ანბავი უყვარს, იმას რომანების მოყვარული ჰქვია და, რაც რამ ისეთი არის, რომ გამოსადეგი იყოს რომანისათვის, მოქმედება ან საქმე, რომ შეიტანებოდეს რომანში, იმასა ჰქვია Romanesque, Романический, ესე იგი სარომანო, სატრფიალო, რომანული.⁷

აი ორი ლექსი კიდევა, ჩვენს ენაში რომ უნდა შემოვიტანოთ, ჩემო უძვირფასესო თეიმურაზ! ბევრნი იტყვიან, რა საჭიროა სხვა ლექსის შემოტანა, როდესაც ჩვენი ქართული ენა ისეთია, რომ არ აკლიარაო. ამის პასუხად ეს ითქმის, რომ ქვეყანაზედ ისეთი სიმდიდრე არა არისრა, რომ გონიერებითი შეძინება ავნებდეს რასმე. მართალია, მდიდარი არის ჩვენი ენა; ან უფრო სიმართლითა ვჰსთქვათ, ისეთ ნაირად არის ძველთაგანვე შემუშავებული, რომ რაც უნდა გაჭირვებაში იყოს კაცი, მაინც მოიხერხებს სიტყვასა. ბევრი განათლებული ენაა, რომ ამას ვერ დაიტრაბახებენ. მაგრამ ვნახოთ ერთი, ტრადიცია და ლეგენდა როგორ გამოითქმის ჩვენებურათ. ჩვენებურათ ერთსაცა და მეორესაც მოთხრობა ჰქვია; მაგრამ როგორი, რა ნაირი მოთხრო-

ბა? საქმე ის არის, მაშინვე მიჰხვდეს კაცი. მოთხრობა განათ-
ლებულს დამნიგნობრებულს ქვეყნებში ოთხნაირად მიაჩნიათ:
1. ისტორია. ეს მოთხრობა დასაჯერებელი არის, რომ ეჭვი არა
შემოიტანება, ამიტომ ისტორია უნდა იმას მოგვითხრობდეს,
რაც მართალი ყოფილა და მომხდარა. ამ მოთხრობას თავისი და-
მამონმებელი საბუთიც უნდა მოსდევდეს თანა. – 2. ტრადიცია.
მოთხრობა მამაპაპათაგან ნათქვამი. რაც მამაჩემს პაპიჩემისა-
გან და მე მამიჩემისაგან ძველებური ანბავი გაგვიგონია, – რაც
შვილითი შვილად ანბავი ან შემეცნება გადასულა რამე, ტრადი-
ცია სწორეთ ამასა ჰქვია. სამი ანუ ოთხი ლექსის მაგიერად რომ
ერთი იხმაროს კაცმა და ეს ერთი გასაგონად საკმაო იყოს, ეს
არის ნამდვილი სიმდიდრე ენისა. 3. ლეგენდა ამისი მსგავსია,
მაგრამ ლეგენდა იმ ანბავსა ჰქვია, რომელშიაც საკვირველი,
საოცარი, ბუნების გარეშეთი, საზღაპრო ძალაც ჰმოქმედებს
რამე, ან ისეთს რასმე ძველს ანბავს მოგვითხრობს, რომ იმისი
დამონმება ისტორიით ყოვლად შეუძლებელი იყოს; 4. რომანი,
ანუ ანბავი, მოთხრობა, ახალი შეთხზული, ახალი შეზავებული,
ისეთი ანბავი, რომ მართალსა ჰგვანდეს და მართალია თუ არა,
ვისაც ჰნებავს დაიჯეროს, და ვისაც არა, არა. ამ გვარი არის
ყოველი რომანი, ყოველი საამბობელი ანბავი, რაც რამ ახლა
ჟურნალებში და გაზეთებში იბეჭდება. – ახლა ხომ იცი, რასაც
ჰნიშნავს ტრადიცია და ლეგენდა? ვიხმარებდეთ ხოლმე ამ ლე-
ქსებს ქართულში თუ არა? მაინც თუ კი პირველსა და მეოთხესა
ვჰხმარობთ, ისტორიასა და რომანს, მესამემა და მეორემ რაღა
დააშავებს? სხვა ჯინშისანი რომ იყვნენ, კიდევ ჰო; თორემ ოთხ-
ნივე ჩვენთვის ერთის ჯინშისანი არიან; არც ერთი არ არის ჩვენი
ქართულის ენის ლექსი.⁸

ჟანტილიომი არის ფრანცუზული ლექსი; ჯენტლმენი ან-
გლიური. ამასაცა და იმასაც ორთავე ერთი მნიშვნელობა
აქვთ: კეთილშობილი კაცი, აზნაური; მაგრამ ეს არის რომ
ფრანცუზულად მართლა კეთილშობილსა ჰქვია და ანგლიუ-
რადკი უფრო ხშირად ისეთს კაცს ეტყვიან, რომელსაც კე-

თილშობილება არ ეკუთვნის. ამ მიზეზით ფრანცუზებს ჯენტლმენი უფრო დასაცინებლად მიაჩნიათ, საკიცხავათ და სადაც ჟანტილიომი ითქმის, იქკი სწორეთ კეთილშობილება იგულისხმება.⁹

[1860]

V

1812 წლის 30 მარტს გარდაცვლილი თავადის, იესე დიასამიძის, გლეხებმა უფროსობას წარუდგინეს სია იმ გლეხებისა, რომლებსაც ბეგარა ემართათ და იქ ნათქვამია:

„იმ გლეხებმა, რომლებსაც მართებთ საკომლო, ბატონს უნდა აძლიონ 1 ლიტრი ერბო და 20 კვერცხი. ბალებიდან უნდა აძლიონ კულუხი – მოსავლის მეხუთედი და ვენახის ერთი რიგი უნდა დაიკრიფოს ბატონის სასარგებლოდ.

ღალა დამუშავებული მიწებიდან ისე, როგორც ეს საქართველოშია დაწესებული: ხორბალი და ქერი, სიმინდი და ფეტვი.

საკომლო ბეგარა ბატონის სასარგებლოდ შემდეგია:

წელიწადში სამი ურემი შუშა კომლზე; ძღვენი ოთხჯერ: საშობაოდ, საახალწლოდ, სააღდგომოდ და როცა რთველი დამთავრდება. ძღვენს შეადგენს: ქათამი, თუნგი ღვინო, 18 პური და 9 კვერცხი.

წელიწადში ერთი კვირა ხვნის სამუშაო საბატონოდ ყველა გუთნის გამოყენებით, რაც კი ჩვენს სოფელში მოიპოვება, ორშაბათიდან შაბათამდე.

ნახნავ-ნათესის მორწყვა, ფარცხვა, მკა და ლენვა.

ბატონის ვენახების მოვლა-დამუშავება: ბარვა, მარგვლა, ვაზის სხვლა, ფურჩქნა, ჭიგოს შედგმა, შემოღობვა, ყურძნის კრეფა, ღვინის დაყენება.

შობის ძღვენი 10 კ. კომლზე.

აღდგომის ძღვენი 10 კ. კომლზე.

ვინც გავერანებულ მიწებს მოჰკიდებს ხელს, მოსავლის ნახევარი ბატონს ეკუთვნის, ნახევარი – მოსავლის მომყვანს“.

ხელს აწერენ ივანე ხუციშვილი და სხვა გლეხები. –
აქ ნახსენები არ არის შინამოსამსახურეობა და ფულადი
საბატონო გამოსაღების აკრეფა.

[1862-1863]

VI

აზ. როსტომ ბარკალაიას მოუნათლე ქალიშვილი ელპიტი
ზუგდიდს. დეკემბერს 1862.

აზ-ს როსტომ დგებუაძეს მოუნათლე ვაჟი.

აზ-ს მიქელ ხვიციას 10 წლის ქალიშვილი გაიანე. იანვარი
1863. ნათლულის დედას ჰქვია (სადა).

მღვდელს ნიკოლოზ ჯიქიას მოუნათლე 2 წლის ქალიშვილი
სალომე. ნათლულის დედის სახელი მარიამ (დუდუხანუმ).

დავიდოვები – დიმიტრ. მიხ.

ანა გრიგოლ.

იულია დიმიტრ.

ჩერნიავესკები – პეტრ. სიმ.

ტაის. ვას.

კებერი ალფრედ ვას.

ბულატოვი ალექსი ნიკ.

გარნოვსკი კარლ იპოლიტ.

სერჟუტოვსკები – მიხ. მარტინ.

ნინა პეტრ.

[1863 წ.]

VII

სიღნაღიდან გენერენ 14 მარტს (1865 წ.): გასულ კვირას ბა-
კურციხეში მომრიგებელ შუამავალთან, თავად ვაჩნაძესთან,
ჩამოვიდა საგლეხო საქმეთა საგუბერნიო საკრებულოს წევრი,
თავადი რამაზ ანდრონიკოვი. მათ შორის საუბარი ჩამოვარდა
ტყეებით სარგებლობის შესახებ. აქვე იყო სხვა მომრიგებელი
შუამავალიც და კიდევ რამდენიმე მემამულე. – თავადი რამა-

ზი მათ უმტკიცებდა, რომ გლეხებისთვის მიცემულია უფლება, ორი წლის განმავლობაში თავისუფლად და უსასყიდლოდ ისარგებლონ ტყეებით ისევე, როგორც აქამდე სარგებლობდნენ. ამას არც ერთი იქ მყოფთაგანი არ ეთანხმებოდა – ეუბნებოდნენ, რომ დებულებაში ეს წესი მკაფიოდაა განსაზღვრული. ის კი მაინც ამტკიცებდა, ახალი წესი მხოლოდ ორი წლის შემდეგ უნდა იქნეს შემოღებული. ისევე აუხსნეს, რომ უადგილოა ყოველგვარი კამათი ისეთი საკითხის გარშემო, რომელიც კანონში ზუსტადაა ჩამოყალიბებული და გამორიცხავს დამატებითი ახსნა-განმარტების საჭიროებას, ხოლო რაც შეეხება სახელდობრ ტყეებით სარგებლობას, იქ წერია: „დებულების გამოქვეყნების დღიდან“. თავადი რამაზი ამაში, როგორც ჩანს, დაარწმუნეს. იგი გავიდა ხალხში, რომელიც სამი სოფლიდან იყო შეკრებილი: ბაკურციხიდან, კოლაგიდან და ჩალაუბნიდან. მან შეკრებილებს აუხსნა სასოფლო მმართველობისა და სასამართლოს მნიშვნელობა და მოსალოდნელი შედეგები. ისიც უთხრა, რომ იგი მათთან ახალი კანონების ახსნა-განმარტების მიზნითაა გამოგზავნილი, რათა შეკრებილებმა გადაჭრილად იცოდნენ: მინა, მინდვრები და ტყეები მემამულეებს ეკუთვნით. ორი წლის განმავლობაში ტყეებით უსასყიდლოდ სარგებლობა ნახსენებიც კი არ ყოფილა. – შეკრებილმა ხალხმა ეს ყველაფერი მოისმინა და მშვიდად დაიშალა.

მეორე დღეს თავადი რამაზი კარდანახში ჩავიდა და თ-დ ილია აბხაზის ოჯახს ეწვია, მთელი კარდანახის მოსახლეობა იქვე შეკრიბა და მათთანაც ის ილაპარაკა, რაც ბაკურციხეში თქვა, თუმცა სიტყვის ბოლოს გლეხებს ასეთი რამ უთხრა: „უფლება გაქვთ თავისუფლად ისარგებლოთ ტყით – ოღონდ ფრთხილად და მოთმინებით; და თუ აქამდე მემამულეები ან უფროსობა ამას გიშლიდათ, ეს იმიტომ ხდებოდა, რომ რთულია ახალი კანონების გაგება. აი, მაგალითად: თბილისში, სადაც თქვენთან დაკავშირებული საქმეების შესახებ სპეციალური საკრებულოა დაარსებული, ერთ დიდ სახლში ვიკრიბებით ცამეტი გამოცდილი და ავტორიტეტული ადამიანი (მაგალითისთვის რამდენიმე პირი დაასახელა), იქ ყოველდღიურად გვიწევს მსჯელობა ამ

ახალ წესებზე, მაგრამ ბევრი რამ ჩვენც კი არ გვესმის და, აბა, აქ ამას ვინ გაიგებს; – თუკი მოთმინებით აღიჭურვებით, ყველაფერს დროთა განმავლობაში გაიგებთ. ახლა მე აქ უფროსობამ გამომგზავნა და, თუ მოთმინებას გამოიჩინებ, ზაფხულში იგივე უფროსობა კიდევ ათ-თხუთმეტ კაცს გამოგზავნის“.

ამის შემდეგ გლეხებმა დაინყეს ყვირილი, რომ მიწებიცა და ტყეებიც მათ ეკუთვნით, ამის შესახებ არზა გაუგზავნეს ხელმწიფეს და, სანამ პირში სული უდგათ, ვერავინ დაუშლით ალაზნისგალმა ტყით თავისუფალ სარგებლობას. – აქ თ-დ რამაზს შეახსენეს, რომ ალაზნისგალმა ტყით სარგებლობის საკითხი მომრიგებელი შუამავლის მიერ უკვე გარჩეულიცაა და გადაწყვეტილიც, ამით გლეხები უკმაყოფილონი დარჩნენ და საჩივარიც გაგზავნეს, ამიტომ საჭიროა, უმაღლესი ხელისუფლების გადაწყვეტილებას დაველოდოთო. – ამაზე თ-დმა რამაზმა განაცხადა: მე თვითონ წევრი ვარ უმაღლესი დანესებულებისა და ამიტომ ეჭვი არ არის, საქმე ისე გადაწყდება, როგორც მე ვამბობო.

ამის შემდეგ თ-დმა რამაზმა შეკრებილი ხალხი გაუშვა. სახლში რომ შებრუნდა, მან მემამულეებს კიცხვა დაუწყო: „ისინი მთელი მასაა, თქვენ კი – ერთი მუჭა, როგორ უნდა დაუშალოთ ტყით თავისუფლად სარგებლობა? ხელი რომ კომბალს მოჰკიდონ, მაშინ რა მოხდება?“

ამაზე უპასუხეს: „ჩვენ, მადლობა ღმერთს, რესპუბლიკა არა ვართ; ჩვენ ძღვევამოსილი და სამართლიანი ხელმწიფე იმპერატორის მმართველობის ქვეშ ვიმყოფებით, მასას არ შეუძლია თვითნებურად იმოქმედოს, ხოლო თუ ძალადობას დავინახავთ, მივმართავთ კანონს და კანონი ჩვენ დაგვიცავს“.

სხვათა შორის, რამაზმა ძლიერ შელახა მომრიგებელი შუამავლებისადმი ხალხის ნდობა, როცა გლეხებს გამოუცხადა – მომრიგებელ შუამავალს ადგილ-მამულთან დაკავშირებულ საკითხებზე არავითარი გადაწყვეტილების მიღება არ შეუძლია, ეს ყველაფერი თბილისში უნდა გადაწყდეს და იქ კი ყველა თქვენ გიჭერთ მხარსო.

14 მარტი. 1865 წ.

VIII

ესა და ამასთან მოსამართლეების ქალაქი მამასახლისმა, მოსამართლეებმა და ქვიშხეთის ხალხმა ერთად მომიტანეს და თან ერთი ძროხა მოაყოლეს ძღვნათა. ძროხისათვის სოფელს მადლობა შევსწირე და უკანვე დაუბრუნე; ამ ქალაქისა და გარდამწყვეტილებისა ეს პასუხი მივეცი სიტყვიერად, რომ ეს დანაშაულიცა და შტრაფიც მიპატიებია ქვიშხეთის საზოგადოებისათვის, მაგრამ ამ პირობითა, რომ რაც ჩემს წილში მოჭრილი ხე არის, სულ ქვიშხეთელებმა გამოიტანონ მომავალს გაზაფხულამდინ, – ნახევრის ბაჟი იმათ გადინადონ და ნახევრისას მე გადავიხდი; და ამას იქით ჩემდაუკითხავათ აღარსადა ჰსჭრან. – რადგან გარეშე პირთაგან დაუკითხავად მოჭრილი ბევრით მეტი ყოფილა, ქვიშხეთელებმა დიდი მადლობა გამომიცხადეს და ამ პირობის შესრულება აღმითქვეს.

29 ივნისი 1866.

ქვიშხეთი.

IX

რადგან ეს მინა, ზომით სულ ორის დღისა, ჩემი ნასყიდის მინის სამზღურებში აღმოჩნდა, – თუმცა ეს ქალაქი შესაწყნარებელი არ არის, ამიტომ, რომ არც ეს მინა ყოფილა როდისმე ჩხეიძისა, არც ჩყკ-ში (1820-ში – თ. ჯ.) დასახელებული მონმეები ქვიშხეთში ცხოვრებულან და არც ქაიხოსრო ყიფიანის ნაწერი არის ეს ქალაქი, მაგრამ უსამაგიეროდ ჩამორთმევა არ ვინდომე და სხვა ორის დღის მინა მივეცი თომასა და იმისს ძმისწულს ტიმოთე კიკაძეებს, ჭანჭარაულის ბოლოზედ, ჩემსა და კნენინა თამარ ერისთავის მიწებს შუა, რაზედაც ქალაქი მივეცი ჩემის ხელით ნაწერი და ჩემის ღერბის ბეჭდით დაბეჭდილი 1866 წელსა აუგვისტოს 8 დღესა.

8 აგვისტო 1866 წ.

X

დომიციაწური შეკითხვა – სულელური, სასაცილო შეკითხვა.

Caldwell. A Comparative Grammar of the Dravidian family of languages (Лонд. 1856).*

ტარხუნა – Драганек, эстрагон, турхун (Artemisia dracunculus).

ეზერო – მთის ვაკობი ჰერცეგოვინაში; რალას ნიშნავს *ენერი?*

ელ-კალანი, ქალ. ორანის პროვინციაში.

იმანენტური – სანიანალმდეგო – **ტრანსცენდენტური**.

კომპოსტოს კვლებს შორის თესავენ კანაფს, რათა ნერვები არ გაექცეთ ხელიდან.

კერემეტი, კემერეტი – ჩუვაშებისა და ჩერემისების ღვთაება.

კიფა (სირიულ.) – ქვა.

ლოიანგი – ადგილი ხენანში, მსოფლიოში ყველაზე დიდი – 26 800 ფუტი.

Пап – ბული, ორთქლი, ოხშივარი.

[თებერვალი-მარტი. 1867].

XI

ამ წესდებებმა ნამდვილად შეიტანა მთელი რიგი ცვლილებებისა ჩვენს ცხოვრებაში; ცვლილებები არა უარყოფითი, არამედ – დადებითი, რაც იმაში მდგომარეობს, რომ **თვითნებობის ბატონობა კანონის ბატონობამ შეცვალა**.

სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა და მისი სრულად გათავისუფლება ადმინისტრაციული და ბრალმდებელი მხარის ზემოქმედებისგან, სასამართლოს ხელმისაწვდომობა და საჯაროობა, მოსამართლეებისა და ადვოკატურის დამოუკიდებლობა, სასამართლო წარმოებაში შეჯიბრებითობის უზრუნველყოფა, სისხლისსამართლებრივ საქმეთა გადაწყვეტაში ნაფიც მსაჯულთა სახით საზოგადოებრივი სინდისის მონაწილეობა.

* კოლდუელი. დრავიდულ ენათა ოჯახის შედარებითი გრამატიკა. ლონდონი. 1856.

დებულების მე-19 მუხლით ფეხქვეშ იყო გათელილი ბატონყმური სისტემით განსაზღვრული წესრიგი, ახალი სასამართლო კი ყველგან და ყველა შემთხვევაში იცავს წესრიგს.

დანაშაულისა თუ უდანაშაულობის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებაში ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის მხრივ უმჯობესი იქნება, **პირველ ხანებში** დავუშვათ (მსჯელობა სახელმწიფო საბჭოში 1862) ზოგიერთი გამონაკლისი, ვიდრე ხალხს საკვებით ჩამოვართვათ **ბუნებრივი** და **სამართლიანი** სასამართლოთი სარგებლობის უფლება.

[1868 წ.]

XII

ვის მივეცი ან გავუგზავნე ჩემი ბროშურა

რუსულ ენაზე 88, ქართულზე – 188.

4 დეკ. ბარ. ნიკოლაის – 1 ეგზ.

25 თებერ. 1869. ფ. დ. ნონეს – 1

26 – კოსტ. მოსკოვში.

2 მარტ. კონსტ. ნიჟარ. – 1

– დათიკოსთვის – 1

17 – საშა თურქისტ. – 1

დარიკო ფურცელაძეს – 1

21 – თ-დ ზაალ ბარათოვს – 1

22 – თ. ალ. რომ. არღუთ.

– სიმ. გ. აქსიონოვისთვის – 1

31 – კეკ. იაკოვლევას – 1

მიხ. ყიფიანს – 1

– ზუბალოვს – 1

თ. დავ. ივ. მუხრანსკის – 1

ბერენშტ. – 1

– სლივიცკი – 1

თ. ივ. გრუზ.-ისათვის – 1

- ა. ს. ჩიქოვანოვს – 1
- კოლიას – 1
- 26** – ივ. ზაქ. ყიფიანს – 1
- 28** – ნინ. იაგ. ქილ. – 1
- 29** – კნენინა სალომ. აბხაზ. – 1
- 31** – თ-დ ვახტ. ორბ. – 1
- 2 აპრ.** – თ. კოტე წერეთ. – 1
- ესტ. ავალოვი – 1
- ქაიხ. ავალოვი – 1
- გიგო – 1
- 8** – თ-დ დავ. მაჩაბ. – 1
- ირაკ. ციციან. – 1
- ხიმშ. – 1
- ალ. პეტ. ვართ. – 1
- 9** – კნენინ. სალომე ანდრ. – 1
- გრ. რჩეულოვს – 1
- 14** – სოლ. კვალიევს კნენინებისთვის:
- ქეთევ. ერ.; თეკლ აბ. და ივლიტა ერისთ.; – ალექსისთვის; ია-
- სე რომ.
- და სხვ. – 12
- ივ. ზაქ. ძეს ზაჩ. და ფიტ. და ჟურ.-სთვის – 1
- ნიკ. ვას. – 1
- 29** – სიმ. გერმოგ. აკინოვს – 3
- 30** – ა. პ. ვართანოვს – 1
- 2 მაისი** – ალექსანდრ. კარლ. კრიტს – 1
- 3** – კნენინა ნინო გიორგ. ამილახვარს – 1
- 4** – თ. ალექსანდრე რომ. არლუთ. – 1
- 5** – თ. ოტია დად. – 1
- კნენინ. ნინო ჩოლოყ.-სათვის – 1
- 13** – თ. მიხ. ნაკაშიძეს – 1
- 14** – თ-დ მამუკა ორბ. – 1
- 21** – ძალუა ფურცელაძეს – 1

23 – კონსტ. ნიჟარაძეს – 10
ანტონ ფურცელაძეს – 1
2 იენისი – ეგზარქოსს – 1
7 – მათე ავ. გამაზოვს – 1
– ნიკ. ივ. ვოდოვს – 1
10 – ლეგენზევიჩს – 1
14 – ვ. ვ. ვასილიევს – 1
25 იენისი.
ოთხშაბათი.
შუადღის 1 საათი – ვლ. პეტრ. ბუტკოვს – 1
10 ივლისი – კონსტ. აბაშ. – 1
ვასილ ყიფ. – 1
31 აგვისტო – გიგო ყიფ. – 2 – 5

[1869]

XIII

არგოზები: ძველს დროებში **არგოზი** ერქვა დიდსა და მძიმედ დასატვირთავს ხომალდსა, სავაჭრო იყო, თუ საომარი; და ეს სახელი იმ ძველებური კლასსიკური გემისაგან დარჩა, **არგო** რომ ეწოდებოდა, ან **არგოს**. აქედამ – **არგო-ნაფი**, **არგო-ნაფითი**.¹

უწინ სისხლის სინითლე იყო თურმე ნიშანი ვაჟკაცობისა. ვიცა ც უფრო წითელი ჰქონდა სისხლი, ის უფრო ვაჟკაცათ მიაჩნდათ.²

„ცოტას განყდა კინალამ ბალიშზე არ დავეცი“ – ცოლის შერთვას გადავრჩიო.³

14 აპრილს 1360 წ. აღდგომის მეორეს დღეს პარიუს შემოადგა ელუარდ III თავის ჯარით, სეტყვა იყო და ბურუსი, – და ისეთი სიცივე დაუდგათ, რომ რამდენნიმე მხედარნი ზედ ცხენებზედ გაშეშდნენ. ამითი დაერქვა იმ დღეს შ ა ვ ი ო რ შ ა ბ ა თ ი.⁴

[1872 წ.]

XIV

ამონაწერი ნუსხიდან:

ჩუმათელეთი

საერთო ფართობი 20 კვადრატული ვერსი, საიდანაც:

სახნავ-სათესი – 14 კვადრატ. ვერსი.

საძოვრები და ვერანი – $5\frac{1}{2}$ კვადრატ. ვერსი.

შენობა-ნაგებობებიანი – $\frac{1}{2}$ კვადრატ. ვერსი.

იტრია

საერთო ფართობი 14 კვადრატული ვერსი, საიდანაც:

ტყიანი – 10 ვერსი.

სახნავ-სათესი, საძოვრები და ვერანი – 3 ვერსი.

შენობა-ნაგებობებიანი და ხეხილის ბაღები – 1 ვერსი.

ფონა

საერთო ფართობი 15 კვადრატული ვერსი, საიდანაც:

ტყიანი – 10 ვერსი.

სახნავ-სათესი – 3 ვერსი.

საძოვრები, ვერანი, შენობა-ნაგებობებიანი – 2 ვერსი.

ნიფა

საერთო ფართობი 14 ვერსი, საიდანაც:

ტყიანი – 10 ვერსი.

სახნავ-სათესი – 3 ვერსი.

საძოვრები, ვერანი – $1\frac{1}{2}$ ვერსი.

შენობა-ნაგებობებიანი – $\frac{1}{2}$ ვერსი.

ამონაწერი ძველი ნუსხიდან:

იტრიისა – 800 დესეტინა.

ნიფისა – 1632 დესეტინა.

ჩუმათელეთისა – 2453 დესეტინა.

ფონისა – 2700 დესეტიანა.
ვარციხეში ტყე – 600 დესეტ.
ტყე სულ – 5176 დეს.

[ივლისი. 1872 წ.]

XV

15 აპრილს ვუპასუხე, რომ აუცილებლად უნდა აიღოს შვე-
ბულება ან გადადგეს და ჩამოვიდეს, რათა თვითონ მოაგვაროს
გადასვლის საკითხი.

8 მაისს დეპუტით ვსთხოვე ტარუტინის პოლკის უფროსს
და ვსთხოვე, ჩემი ძმისწულისთვის მიეცა საჭირო დრო ჩვენში
გადმოყვანის მოსაგვარებლად. თვითონ ანტონს კი ფოსტით
გავუგზავნე წერილი და ვურჩიე, ითხოვოს გადმოყვანა ელიზა-
ვეტპოლის 156-ე ქვეით პოლკში, სადაც იგი იმსახურებს თავის
ნათესავთან, შტაბსკაპიტან ზედგინიძესთან, ერთად.

[მაისი. 1873]

XVI

გვ. 2 – პირველ წელიწადში სმეტით ველოდით – 26 120 მან-ს.¹

გვ. 21 – რამდენი შემოვიდა? – 15 762.

გვ. 5-9 გვ. – 113 სკოლას, სადაც მოსწავლენი იყვნენ 3 623
მონაფე, რამდენი

ფული მოვახმარეთ? 565, – 12 კ.

გვ. 8, 9, 10 19 მან. ნაესაკოვის სკოლისათვის.

80 – მეტეხისა

200 – კავთიხევისა

120 – ახალგორისა

194. 87 კ. – რუისის

157 – რომელია მართალი

ზემო
რიცხვშია
თუ არა?

10 გვ. სექტემბერში რომ გაიგზავნა აგენტები, 20 ოქტომბ-
ერს იყო ამაზედ ლაპარაკი.

11. – საჩივარი – საქმის გადასხვაფერება.

17. – 84 მანეთი სმეტას გარეთ შემოვიდა.
 700 -----
 21. – აგენტების გაგზავნისათვის – 29.73
 გვ. 21. 1880 წ. 1 იანვრამდის შემოვიდა – 15 762
 იქილამ 15 მაისამდის – 15 220. 95
 30 982. 95
 – 3109

 27 873. 95

დაიხარჯა მაშინ – 1525. 5
 მერე – 1584

 3109. 5

1 იანვარს კასსაში იყო² – 14236. 95
 15 მაისს – 13 636. 95

 27 873. 90

[მაისი. 1880]

XVII

კავკასიის სამეფისნაცვლოში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ თბილისის საზოგადოებას ეგზავნება სანწევრო შენატანები:

1879 და 1880 წლებისა:

გრაფ მიხ. ტარ. ლორის-მელიქოვისგან – 40 მან.
 უგანათლებ. თავად ნიკოლ. დავ. მინგრელსკისგან – 40 მან.

1880 და 1881 წლებისა¹

ნამდვ. სამოქ. მრჩ. ალექსანდ. სიმ. ჩიქუანოვისგან – 40.

1880 წლისა:

უგანათლებ. კნენინა მარია ალექსანდ. მინგრელსკაიასგან – 20.
კამერჰერ, თ-დ სამს. დავით. ერისთოვისგან – 20.
თავად სიმ. ქაიხოსრ. აბაშიძე-გორლენკოსგან – 20.
თავადის ასულ ადელაიდა სიმ. აბაშიძე-გორლენკოსგან – 20.
ნამდვ. სამოქ. მრჩ. დიმიტრ. ივ. ყიფიანისგან – 20.

სულ ორას ოცი მან. – 220

12 ივლისი. 1880. სოფ. ქვიშხეთი

XVIII

1880. მარტის 8. – მეორე საქმე. კავთიხევის სკოლაზედ:
რა შეუდგა 200 მანეთის მიცემას?

– 15-ის სხდომა უკანონოა.

– „ჩანგურის“ დაბეჭდვა

(საშური არა ყოფილარა).¹

აპრილის 5. – პირველი საქმე: ყულაბების გაკეთებას
და დარიგებას რა შეუდგა?

————— **26.** – მეორე საქმე: ქუთ. ბანკს რომ შემწეობა
ვთხოვეთ, რა შეუდგა?

მაისის 10. – პირველი საქმის გადანყვეტილება:
15 მარტის სხდომა კანონიერად ცნობილიაო.
§ 21 ირღვევა.

მეხუთე საქმე: გორის სტიპენდიანტებზედ
კითხვას რა შეუდგა?

————— **19.** – სმეტა განხილულ იქმნა, თუ არა?

25.

ივნისის 4. – ტფილისში და ბათუმში სკოლები?
დაირღვა 20 ოკტ-ის პროტოკოლი.

————— **10.** – მეექვსე საქმე: 50 მან. ცხვედაძეს გზის
ხარჯად.

4 სექტ. -----

ანგარიში²

1. დამფუძნებელი წევრი უნდა იყოს 126. ახლა არის 122.
2. მართველობის წევრი არის 12 და არა 13.
3. დ. ი. ავალოვი თავადისშვილი არის.
4. ახლად შედგენილმა თუ პირველად შედგენილმა.
5. ნაესაკოვის შკოლას რომ 19 მანეთის წიგნი გაეგზავნა გასაყიდათ, გაიყიდა?
6. საზოგადოებასთან ვაბეზღებთ მაზრის უფროსებს, სადაც ბრალი ჩვენია.
- 7-8. წინააღმდეგობა 20-ის ოკტობრის პროტოკოლისა.³
9. მოვიკითხეთ თუ არა, რატომ არ ამტკიცებენ (როდის წარვადგინეთ?).
10. რას გვიკეთებს ეს ქარხანა?
11. ე. დ. არის კნ. ლორთქიფანიძისა.
12. შემოუტანლობის მიზეზი?
13. უნდა შემოიტანონ.

[8 მარტი-4 სექტემბერი. 1880]

XIX

- ეს ქალაქი თ. ა. სმირნოვმა ჩამომიტანა.
24 სექტ. ერთად გავემგზავრეთ ტფილისში.
25. ვნახეთ მთავრის მეუღლე ე. ა.¹
– თავადი გრ. დიმ. ორბ.
26. – ლევ. ივ. მელიქოვი.
27. – დიმ. სიმ. სტაროსელსკი.
28. კვირა. გამოვემგზავრეთ.
ჩამოვედით.
შევუდექით საქმეებს.

[28 სექტემბერი. 1880]

XX

მეურვედ დავინიშნე 1859 წ. დასაწყისში.

მაშინ ვიყავი კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს წევრი და წელიწადში ვიღებდი – 5500 მან.

ამას 1859 წლიდან დაემატა სამეურვეო 5% – 1600

ჯამში ვიღებდი 1862 წლამდე წელიწადში – 7100

სამსახურიდან დამითხოვეს 1862 და დავრჩი ხელფასის გარეშე.

დამრჩა მხოლოდ სამეურვეო 5% – 1600

დამემატა კიდევ 15% – 4800

ჯამში 1868 წლამდე ვიღებდი წელიწადში – 6400

ანუ 700 მანეთით ნაკლებს, ვიდრე 1862 წელს.

ეს ცნობა მთხოვა ფედორ არტემ. სმირნოვმა და მივეცი 30 ივნისს 1881 წ. პ. ბურღში.

[30 ივნისი. 1881]

XXI

Il ira, cet ignorant dans l'art de bien dire avec cette locution rude, avec cette phrase qui sent l'étranger, il ira en cette Grece polie, la mère des philosophes et des orateurs, et malgré la resistance du monde, y établira plus d'églises que Platon n'y a gagné de disciples par cette éloquence qu'on a crue divine. Il prêchera Jésus dans Athènes. Il poussera encore plus loin ses conquêtes, il abattra aux pieds du Sauveur la majesté des faisceaux romains en la personne d'un proconsul, et il fera trembler dans leurs turbulances les juges devant lesquels on le cite. Rome même entendra sa voix, et, un jour cette ville maîtresse se trouvera plus honorée d'une lettre du style de Paul, adressée à ses citoyens que de tant de fameuses harangues de son Cicéron – ამ ბოსსვეტის სიტყვას მე ვთარგმნი ორგვარად.

1.

„წარვალს, მჭევრ-მეტყუწლობის ჴელოვნებისა უმეცარი იგი, დრკუდ-მოუბარი და ლექსთა მწნახავი უცხო-ქუჭყენითგან მო-

სულისაებრ, – წარვალს საბერძნეთსა მას განბრწყინებულსა, რომელ არს დედა ფილოსოფოსთა და ორატორთა, და არა მიმხედი ქუჩყინის წინააღმდეგობისა, დააფუძნებს მუნ ეკკლესიათა, უმრავლეს მონაფეთა მათ, რომელნი მოპოვებულ-ჰყავდა პლატონსა ლ-თიურად-წოდებულითა მით მშუწნიერ-მეთქუწობითა მისითა. იქადაგებს იგი იესოზედ ათინასა შ-ა; და უფროსცა უშორეს განაგრძობს ძლევათა თვსთა; – დააგებს ქუწმე ფერხთა მაცხოვარისათა რომაელთ უფლების დიდებულებასა სახედ რომლისამე პროკონსულისად და აათრთოლებს სამსჯავროთა შიგან – მსაჯულთა მათ, რომელთა წინაშე თვთ შემცენებულ იქმნების. მთავად რომიცა ისმენს ხმასა მისსა და მოვალს დღე, ოდეს მფლობელსა ამას ქალაქსა უმეტესად სასიქადულოდ ექმნეს ერთი ოდენ ეპისტოლე ჰავლეს კილოსი, მიმართული მისთა მოქალაქეთა მიმართ, ვიდრეღა განთქმულნი შესხმა-მეტყუწლებანი ციცერონისა თვისისანი.“ –

2.

„წავა ეს უმეცარი ტკბილ-მოუბრობის ჴელოვნებისა, თავისი მეჭახე ლაპარაკითა და იმ თავისი კილოთი, რომლით უცხო ქუწყნიდამ მოსული იცნობება; მივა იმ გაბრწყინებულს საბერძნეთში, დედა რომ არის ფილოსოფოსებისა და ორატორებისა, – და იქ, ქუწყანამაც რომ უწინააღმდეგოს, მაინც იმდენ ეკკლესიას დააფუძნებს, რომ გადააჭარბოს პლატონის მონაფეების რიცხუსაცა, ლ-თიურად წოდებული მჭევრ-მეტყუწლობით რომ ჰყავდა მონაგები. იესოზედ იქადაგებს ათინაში. ბევრით უფრო შორს უწევს კიდევ გამარჯუწბა იმისი. მაცხოვრის ფეხთქუწმე დასცემს რომაელების დიდების ბაირალსა, რომელსამე პროკონსულს რომ გააგდებინებს ჴელიდამ და სასამართლოებში იმ მსაჯულებსაც აათრთოლებს, ვისთანაც თითონ იქნება დასმენილი. მთავად რომი გაიგონებს იმისს ხმასა; და დადგება დღე, რომ ამ ქალაქთბატონმა ერთი ჰავლეს ეპისტოლე, იმის მოქალაქეებთან მიწერილი, უფრო დასაქადებლად მიიმჩნიოს, მანამ იმდენი საჯელ-გათქმული ქადაგება თავისი ციცერონესი“. –

9 ოკტ. 1881. ქვიშხეთი

XXII

22 აპრილს წერილი გავუგზავნე აბგარ არტემის ძე იონისიანს. წერილთან ერთად გავუგზავნე ქვითარი №736 და ვთხოვე, ჩემი სახელითა და ჩემი ხარჯით საუკეთესო ქალაქადზე დაბეჭდილი თითო ეგზემპლარი გადასცეს „ღროების“, „ივერიისა“ და „იმედის“ რედაქციებს, აგრეთვე, საგანგებოდ – თავად დავით გიორგის ძე ერისთავს, გაზეთ „კავკაზის“ რედაქტორს.

ჭილაძის მაღაზიისთვის გადასაცემად (ქვითარი №737) ქუთაისში გავუგზავნე ანტონ ნიკოლოზის ძე ლორთქიფანიძეს. მასვე დავავალე, თითო ეგზემპლარი გადასცეს „შრომისა“ და „ქართული ბიბლიოთეკის“ რედაქციებს.

[22 აპრილი. 1883].

XXIII

აჰა, ჩემო სიცოცხლე შვილო ელენე! შენთვის და შენი ძმებისათვის სხარტულად დანერილი ნიგნი. იკითხეთ, იკვლიეთ და რაც მამის ნაღვანს ნაკლებობა ჰქონდეს, შევსებას ეცადეთ.

მამაშენი დიმ. ყიფიანი.¹

სიყრმითვე დანერგილი მეგობრობის გრძნობით ვუძღვნი ჩვენს სასიქადულო პოეტს თ-დს ვახტანგ ვახტანგის ძეს ორბელიანს.

გულითადი პატივისცემისა და ერთგულების დასამონმებლად ვუძღვნი თ-დს გიორგი რომანიჩს ერისთავს.²

[21 მაისი-6 ივნისი. 1883]

XXIV

ჩემი პროცესები

I. სასამართლო რეფორმამდე.¹

1. კანდინოვი; 2. ბორჯომი.

II. რეფორმის შემდგომ.

გამოქვეყნებულია „იურიდ. ობოზ.“, 1884 წელი, №№148, 150:

1. გადაწყვეტილება უნებართვო ტყისმჭრელთა სასარგებლოდ.

2. დაუსწრებლად გამოტანილი გადაწყვეტილება მოსარჩელის წინააღმდეგ.

3. აღსრულება დაუსწრებლად მიღებული გადაწყვეტილები-სა მის გამოცხადებამდე.

4. მართლმსაჯულებაზე უარის ახალი ფორმა.

5. შესანიშნავი, თუმცა შეუნიშნავ გარემოებებზე დაყრდნო-ბით მიღებული გადაწყვეტილება სინდისის საფუძველზე.

№183

6. თავდებს მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება, ვიდრე – მოვალეს.

7. სასამართლოს მეშვეობით გაკოტრება მეურვისა, რომელიც ობლებს ძარცვისგან იცავდა.

[სექტემბერი-დეკემბერი. 1884]

XXV

ვის მივეცი ან გაუფზავნე ჩემი გრამმატიკა¹

1. ჩემს კოლას.

2. კოტეს – 17 მაისს.

3. ლოკას – 23 ივლისს.

4. კნ. გიორგი რომან. ერისთავს, 6 ივნისს – პასუხი 15 ნოემბერს 1883.²

5. ვახტ. ვახტ. ორბელიანს –

6. ალექსანდრ. ივ. ნათაძეს, ჭალელს. 17 მაისს.

7. იმისს ძმას, ბათუმელს –

8. ჩემს დისწულს ალექსის.

9. კნ. ლევან ივანეს ძე მელიქოვს. 6. ივნ.

10. პლატონ გვერდნითელს } 27 მაისს.

11. ალექსანდრე აბაზაძეს }

12. კოტეს, მათე კერესელიძისათვის. 15 ივნ.
 13. ანტონ ნიკ. ფურცელაძეს. 6 ივლისს.
 14. სოსიკო ყიფიანს – 25 –
 15. ბლალოჩინს სიმონოვს. 17 აგვისტ.
 16. გრიგორი არქიმანდრიტს –
 17. კოტე კალუბანსკის. 8 სექტ.
 18. ნოემბ. მამა დავით ღამბაშიძეს. 6 ნოემბ.
 19. } დეკემბ. კიევს, სტუდენტებს. 2. დეკ.
 20. }
 21. } ს. პ. ბურლს, სტუდენტებს –
 22. }
 23. სანო ყიფიანს, 20 მარტ. 84.
 24. 10 აპრ. 1884. სონა ციციშვილისას.
 25. 17 მარტს. 1885. მათე ყიფიანს.
- 17 მაისი. 1883-17 მარტი. 1885

XXVI

კითხულობენ ასე:

Амирана Дареджанова воспевал Мойсей Хонский,
 Абдула Мессию – *Шафтель*, стиль которого восхваляли, –
 Диларгета – Сергей Тмогвский, язык которого был неумим, –
 А Тариеля – его Руставель, который слезы по нем проливает.

კითხულობენ ასეც:

Амирана Дареджанова воспевал Мойсей Хонский, –
 Абдула-Мессию *Шафтеля*, стиль которого восхваляли, –
 Диларгета Сергей Тмогвский, язык которого был неумим,
 А Тариеля его Руставель, который слезы по нем проливает.

სამოქალაქო გარიგებები

ხელშეკრულება დადებული თეოდორა ნაპოლეონ შივოსთან

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერებმა: კოლეგიის მრჩეველმა **ყიფიანმა** და მექანიკოსმა **შივომ** ერთმანეთს შორის დავდეთ პირობა, რომ შივო: 1. თავის თავზე იღებს, წარდგენილი ნახაზისა და შემადგენელ ნაწილთა შესახებ განმარტებების საფუძველზე შექმნას მდინარეზე ცურვისთვის გამოსაყენებელი მანქანა, რომელიც გამოგონებულია ბ-ნი ყიფიანის მიერ; – 2. იმ დრომდე, ვიდრე ბ-ნი ყიფიანი მთავრობისაგან ზემოაღნიშნული მანქანის მოქმედებაში მოყვანის ნებართვას არ გამოითხოვს, შივო საიდუმლოდ შეინახავს ყველაფერს, რაც ამ მანქანას უკავშირდება და, თუ დღეიდან ვინმე მოცემულ გამოგონებას რაიმე საქმეში გამოიყენებს, იგი ბ-ნი ყიფიანის საკუთრებად უნდა გამოცხადდეს; – 3. საბოლოო მოდელის დამზადებამდე ბ-ნი შივოს შრომა უზრუნველყოფილი იქნება იმით, რომ, გარდა ბ-ნი შივოსი, ბ-ნი ყიფიანს არც თვითონ შეეძლება და ვერც სხვას გადასცემს გემებისთვის განკუთვნილი ამ მანქანის აწყობის უფლებას; – 4. ბ-ნი შივოს შრომის საზღაური სპეციალური კონტრაქტით განისაზღვრება მაშინ, როცა იგი პირველ დასრულებულ მოდელს შესაბამისი ნახაზებითა და შემადგენელ ნაწილთა აღწერილობით გადასცემს ბ-ნი ყიფიანს.

წინამდებარე შეთანხმების დედანი ინახება ბ-ნი ყიფიანთან, დამონბებული ასლი – ბ-ნი შივოსთან.

კოლეგიის მრჩეველი **დიმიტრი ყიფიანი**
Théodore Napoléon Chivot

1848 წლის თოთხმეტი ივნისი.

ხელშეკრულება დადებული ალექსანდრე თერზიბაშოვთან

მე ქვემოთ ხელის მომწერი ვაძლევ ამ წერილს ტფილისის მოქალაქეს ალექსანდრე თერზიბაშოვსა, რომ ამ ალექსანდრემ ჩემს ქვიშხეთის ორეტაჟიანს სახლში¹ ზევით ჭერები და კარებებისა და ფანჯრების ფაიები მელით უნდა გამითეთროს; კარებისა და ფანჯრების ჩარჩოები და პერეპლოტები, ბალკონის სვეტები, სურაიები, ბარიერები, კიბის რეშოტკა და ხელის მოსაკიდებელი და საჩეხის შიგნითი პირი ზეთის ნამლით უნდა გამითეთროს, აგრეთვე ქვეითი ეტაჟის კარებები და ფანჯრები და ბალკონების საჩეხი ზემოდამ მწვანეთ შემიღებოს ზეთითა; რაც ზეთის საქმე არის, იმას ყველას ჯერ გრუნტი უნდა ნაუსვას კარგა ბლომათა და რაც დახეთქილი ან ამოსავსები არის სადმე, ზამაზკით უნდა ამოავსოს. რა რომ ამას კარგათა და პირიანათ შეასრულებს, ოცი თუმანი ფული უნდა მივსცე და ამ ფულის ანგარიშში რასაც ბეჰს მიიღებს აქავე უნდა დაანეროს. ამ საქმეს ამ თვეშივე უნდა შეუდგეს და ამ ზაფხულს უთუოთ გაათავოს.

სოფ. ქვიშხეთი. 14 ივლისი 1863.

ხელს აწერს:

დეისტვ. სტ. სოფ. **დიმიტრი ყიფიანი**

ნამდვილ. მივიღე **ალექსანდრე თერზიბაშოვი**

ხელშეკრულება დადებული სტეფანე ბელიაევთან

1866 წლის 1 სექტემბერს ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერებმა, ქვიშხელმა მემამულემ, ნამდვილმა სამოქალაქო მრჩეველმა **დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანმა** და თბილისის მცხოვრებმა მენისქვილემ **სტეფანე ფილიპეს ძე ბელიაევმა** დავდეთ ეს ხელშეკრულება მასზედ, რომ ბელიაევი ვალდებული იქნება იღებს ყიფიანს მდინარე მტკვარზე, სოფელ ქვიშხეთში, აუშენოს ორთველიანი ნისქვილი და სამი წლის განმავლობაში იჯარით აიღოს იგი შემდეგი პირობებით:

1. ყიფიანი ვალდებულია მშენებლობა უზრუნველყოს: ერთი ტივი ხის მასალით, ნ არშინის სიგრძის ექვსი ცალი მუხის ხით, ბელიაევის მიერ მითითებული ზომის ორი ნავით, თორმეტი ფუთი რკინით, ოცი ფუტი¹ ფოლადით, რვა ფუთი თუჯით, ორი ფუთი ლურსმნით, ორი წყვილი დოლაბით; გადაუხადოს რკინის სამუშაოებისთვის 20 მან., ქვის სამუშაოებისთვის – 12 მან., ხოლო ნისქვილის ასაშენებლად საჭირო ყველა სხვა დანარჩენი სამუშაოსთვის – 240 მან.

2. მშენებლობა უნდა დასრულდეს და ნისქვილი ამუშავდეს არა უგვიანეს მომავალი 1867 წლის მაისის დასასრულისა.

3. ბელიაევი ვალდებულია, საკუთარ თავზე აიღოს ნისქვილის მონყობა აუცილებელი ელემენტებით: მორგევებით, ფრთებით, ძირებით, ბორბლებით, დოლაბქვეშა ხვიმირებითა და, ნისქვილის პატრონის წილი ნაფქვავისთვის – მინდისთვის – განკუთვნილი ცალკე, უფრო დიდი მოცულობის გადატიხრული ხვიმირებით. იგივე ბელიაევი ვალდებულია, უხელმძღვანელოს ნისქვილის მშენებლობისთვის, ნავებისა და ამბარების აგებისთვის დაყენებულ მუშებსა და მშენებლობისთვის საჭირო მასალების შერჩევას.

4. ყოველივე ამის საზღაურად ყიფიანი ვალდებულია, ბელიაევს გადაუხადოს, როგორც ეს პირველ პუნქტშია მითითებული, 240 მან.; აქედან 25 მან. – ბეს სახით ამ ხელშეკრულების გაფორმებისთანავე, დანარჩენი აძლიოს თანდათანობით საჭიროებათა შესაბამისად, ხოლო უკანასკნელი ორმოცდაათი მან. უნდა მისცეს 1867 წლის მაისის დასასრულს, წისქვილის ამუშავების შემდეგ.

5. ბელიაევი ვალდებულია, ამუშავების დღიდან, ე. ი. 1867 წლის მაისის ბოლოდან, 1870 წლის მაისის ბოლომდე წისქვილი აილოს იჯარით იმ პირობით, რომ მას დარჩეს მინდის მხოლოდ ერთი მეთექვსმეტედი და მთელი შემოსავლის ნახევარი აძლიოს წისქვილის მეპატრონეს.

6. გარდა მთელი შემოსავლის ნახევრის მიცემისა, ბელიაევი ვალდებულია: მას, ყიფიანს, საჭიროებისდა მიხედვით ყოველწლიურად დაუფქვას ორას კოდამდე, ანუ რვაას ფუთამდე ხორბალი; გარეშე პირთა საფქვავის დიდი ოდენობით დაგროვების შემთხვევაში საოჯახო საჭიროებისათვის პერიოდულად დაუფქვას რამდენიმე ტომარა ხორბალი; ყველა ზემოთ აღნიშნულ შემთხვევაში არ აილოს მინდი.

7. ყიფიანი ვალდებულია, წისქვილის მახლობლად ბელიაევს საცხოვრებლად დაუდგას ხის სახლი და წელიწადში აძლიოს ხუთი კოდი ხორბალი.

8. ბელიაევი ვალდებულია, მთელი სამი წლის განმავლობაში წისქვილის ხის ნაწილები შეაკეთოს თვითონ და საკუთარი ხარჯით; რაც შეეხება წისქვილის შესაკეთებლად საჭირო რკინას, ფოლადსა თუ თუჯს, მათი შეძენა უნდა მოხდეს საერთო ხარჯით, ანუ ფასის ნახევარი უნდა გადაიხადოს ყიფიანმა, ნახევარი – ბელიაევმა.

9. ხელშეკრულების დარღვევა შეიძლება მხოლოდ რომელიმე მხარის მიერ დასახელებული პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

წამდვილი სამოქალაქო მრჩეველი **დ. ყიფიანი**
თბილისის მცხოვრები **სტიფანე ბელიაევი**
მივიღე ოცდახუთი მან. ვერცხლით – **სტიფანე ბელიაევი**

მორიგება ყიფიანთა შორის

1869 წელსა ენკენისთვის 3 დღესა, ჩვენ ქვემოთ ამა-სა ხელის მომწერელთა აზნაურთ ყიფიანთა დავსდეთ ერთ-მანერთს შორის შემდგომი პირობა ჩვენს საზოგადო მამუ-ლებზედ, რომელნიც მდებარებენ ქუთაისის გუბერნიაში, შორაპნის უბედში. – ჩვენ ყველა ყიფიანებსა გვაქვს მამული სოფლებს მოლითში, ზედუბანში, ჩრდილში, გდვისში და ვახ-ანში; ამ სოფლების მამული, რაც საყიფიანო არის, ჩვენ შორის არის გაყოფილი მხოლოდ სახნავ-სათესი, ვენახები და ცოტა რამე ნაწილი ტყე, რომელიც არის შემოსაზღვრული ძველად მიჯნებით; – დანარჩენი ტყე ამ ზემოხსენებულს სოფლებში არის გაუყოფელი მონაწილეთა შორის და ეს გაუყოფელი ტყე უნდა დარჩეს საზოგადო მფლობელობაში და ყველა მონაწი-ლეების სარგებლობაში, მანამდისინ კანონიერად გავიყოფ-დეთ, ე. ი. ტყის შემოსავალი, რა გვარი ხმარებაც უნდა გამო-ვიდეს, აგრეთვე რაც გაუყოფელს მამულში ამას შემდგომ ან წისქვილი გაკეთდეს, ან დუქანი, ან სხვა რაიმე სარგებლობა აღმოჩნდეს, ეს შემოსავალი უნდა გავიყოთ ერთმანერთში იმ წილობაზედ, როგორც ქვემოთ არის მოხსენებული. თუმცა, როგორც ზემოთა ვსთქვით, წილი ტყისა არის გაყოფილი, რაც უნინ ნაყმევებს ეჭირათ, და – მაშასადამე – უნდა დარჩენილი-ყო საკუთრებად იმათვე, ვისაც ის გლეხ-კაცების ნაჭერი ტყე-ები რგებიან უწინდელის გაყრილობით; მაგრამ რადგანაც ამნაირის ტყის განწილვით საზოგადო სარგებლობას ვნება მიეცემოდა, ამისთვის ასე დავანესეთ, რომ რაც ამ ზემოხსენ-ებულს საყიფიანო მამულებში ტყე აღმოჩნდეს, უნდა შეიქმნას დღეის შემდგომ საზოგადო ყველა ყიფიანების საერთოდ სა-

სარგებლოდ, – იმ განსხვავებით, რომ ამ ზემოხსენებულს ტყის ნილში, რომელსაც ვსახავთ გაყოფილად, მინა უნდა დარჩეს იმ მონაწილეთა, რომელნიც, საერთო მამულების გაყოფის დროს დაამტკიცებენ რომელისამე კანონიერის საბუთით, რომ ეს და ეს ნაჭერი ტყე უწინდელს გაყოფის დროს უთუოთ ნილში რგებიან. როგორათაც იმ მამულებში, რომელსაც ვრაცხავთ ძველათგანივ მონაწილეთა შორის გაყოფილად, აგრეთვე საერთო გაუყოფელს მინაში რაც ტყე არი, ყოველივე ესე, დადებული ამ ჟამად საერთოდ, პირნმინდად არასოდეს არ უნდა გაიჩეხებოდეს, მხოლოდ, ჩვენ, როგორც ტყის კანონია, ისე უნდა ვსჭრიდეთ ხესა, შეშას, ფიჩხს და სხვა მასალას, რომ ჩვენს მამულში ტყე არ განყვეს. ამ ჟამად ზემოხსენებული მამულებიდან სარგებლობენ ტყითა, თავისი საკუთარი საჭიროებისათვის, ჩვენი დროებითი ვალდებული ყმები, რომელთათვისაც მიგვიცია ეს სარგებლობა დებულების ოქმებით (უსტავნი გრამოტებით) და ვიღებთ იმათგან გრამოტებში აღნიშნულს ფულსა; ეს ტყის შემოსავალი დროებითს ვალდებულ გლეხთაგან შეუხებელად უნდა დარჩეს იმ მონაწილეთა, რომელნიც დღევანდლამდინ იღებდნენ ხსენებულის გრამოტებით თავთავის გლეხებისაგან და ამ გლეხთა ისარგებლონ ტყიდგან, ე. ი. გამოიტანონ შეშა, ტყე და მასალა, რაც იმათი ოჯახისათვის საჭირო იყოს; მხოლოდ ვინც ჩვენგანი, რომელთაც ყმები არ უსახლობთ ზემოხსენებულს სოფლებში და ამისათვის მოკლებულნი არიან ტყიდგან სარგებლობასა, იმათ საზოგადო ტყის შემოსავლიდგან უნდა შეისრულონ მხვედრი წილი მონაწილეობისდა გვარად, და შემდგომ რაც დარჩება შემოსავალი, ის უნდა გაიყიოთ ყველა ყიფიანებმა ესრედ. ქ ო ჩ ო ყ ი ფ ი ა ნ ი ს შ ვ ი ლ ე ბ ს ერგებათ: დიმიტრის, დავით ყიფიანის ქალების ესე იგი: განსვენებულის ალათი განგესოვისა და კნეინა ეფემია ნიჟარაძის წილით, მეორმოცედი, $\frac{1}{40}$; ქაიხოსროს შვილებს: დავითს, ალექსანდრეს, მიხეილს და ლუარსაბს, იმავე დავით ყიფიანის ქალების წილით, მეორმოცედი, $\frac{1}{40}$; გიორგის მესაოცედი, $\frac{1}{120}$ და იოსების შვილებს ვასილსა და იოსებს, ორივეს

ერთად მებასოცედი, $\frac{1}{40}$; პ ა ა ტ ა ყ ი ფ ი ა ნ ი ს შ ვ ი ლ ე ბ ს: ზაალს მეოთხმოცდაათედი, $\frac{1}{90}$; დიმიტრის მეოთხმოცდაათედი, $\frac{1}{90}$; და ქოჩოს მეოთხმოცდაათედი, $\frac{1}{90}$; ამას გარდა პაატას შვილებს: ზაალს, ქოჩოს და დიმიტრის აქვსთ ნასყიდი მხოლოდ სოფელს მოლითში ნიკოლოზ ყიფიანის ქალების, ნანასი და მაგდანის, წილობა, რომელიც შეადგენს მეოცდაათედსა, $\frac{1}{30}$; ეს წილი ამ სამთა ძმათა უნდა გაიყონ თანა სწორ სამ წაწილად. ზ ა ა ლ გ ი ო რ გ ი ს ძ ი ს ყ ი ფ ი ა ნ ი ს შ ვ ი ლ ე ბ ს: ივანეს მესამოცედი, $\frac{1}{60}$ და სვიმონს აგრეთვე მესამოცედი, $\frac{1}{60}$; ნ ი კ ო ლ ო ო ზ გ ი ო რ გ ი ს ძ ი ს ყ ი ფ ი ა ნ ი ს ქ ა ლ ე ბ ს, მოლითს გარდა, სხვა ყველა დანარჩენს ზემოხსენებულს სოფლებში, კნ. ნანა ავალიშვილისას – მესამოცედი, $\frac{1}{60}$ და მაგდანს აბაზაძისას აგრეთვე მესამოცედი, $\frac{1}{60}$; გ ი ო რ გ ი პ ა ა ტ ა ს ძ ი ს ყ ი ფ ი ა ნ ი ს შ ვ ი ლ ე ბ ს: ტატოს (იგივე ესტატე) მეოცდაოთხედი, $\frac{1}{24}$; დავითს მეოცდაოთხედი, $\frac{1}{24}$; მიხეილს მეოცდაოთხედი, $\frac{1}{24}$ და იპოლიტეს მეოცდაოთხედი, $\frac{1}{24}$ წილი. გ ლ ა ხ ა ზ ა ა ლ ი ს ძ ი ს ყ ი ფ ი ა ნ ი ს შ ვ ი ლ ე ბ ს: იოსებს მეთვრამეტედი, $\frac{1}{18}$; როსტომს – მეთვრამეტედი, $\frac{1}{18}$ და ზაზას აგრეთვე მეთვრამეტედი წილი, $\frac{1}{18}$; მ ა მ ი ს თ ვ ა ლ დ ა ვ ი თ ი ს ძ ი ს ყ ი ფ ი ა ნ ი ს შ ვ ი ლ ე ბ ს: გიორგის მეოცდაოთხედი, $\frac{1}{24}$; დავითს მეოცდაოთხედი, $\frac{1}{24}$; და ივანეს მეოცდაოთხედი წილი, $\frac{1}{24}$; ქ ა ი ხ ო ს რ ო დ ა ვ ი თ ი ს ძ ი ს ყ ი ფ ი ა ნ ი ს შ ვ ი ლ ე ბ ს: ნიკოლოზს მეორმოცედი, $\frac{1}{40}$; ზაქარიას მეორმოცედი, $\frac{1}{40}$; იორამს მეორმოცედი, $\frac{1}{40}$; ალექსის მეორმოცედი, $\frac{1}{40}$; და ანტონს მეორმოცედი, $\frac{1}{40}$; ს ვ ი მ ო ნ რ ო ს ტ ო მ ი ს ძ ი ს ყ ი ფ ი ა ნ ი ს შ ვ ი ლ ს გიორგის ერგება მეოთხედი, $\frac{1}{4}$, წილი საერთოდგან. ამას გარდა ერთმანერთის თანხმობით დავსდევით ეს პირობაცა, რომ საზოგადო შემოსავლის განწილვასა და მამულის განგებას მივანდობთ ერთს რომელსამე პირსა, რომელსაც შევეკვრით ცალკე პირობით.

ხელს აწერენ:

დიმიტრი, ქოჩო გიორგის ძის ძე ყიფიანი; დავით, ქაიხოსრო ქოჩოს გიორგის ძის ძე, ყიფიანი; გიორგი ქოჩოს ძე ყიფიანი;

ვასილი, იოსებ ქოჩოს გიორგის ძის ძე, ყიფიანი; იოსებ, იოსებ ქოჩოს გიორგის ძის ძე, ყიფიანი; ქოჩო პაატას ძე ყიფიანი; მიხეილ, ზაალ პაატას ძის ძე, ყიფიანი; ტატო დიმიტრი პაატას ძის ძე ყიფიანი; გიორგი, სვიმონ როსტომის ძის ძე, ყიფიანი; იოსებ გლახას ძე ყიფიანი; როსტომ გლახას ძე ყიფიანი; ივანე, ზაალ გიორგის ძის ძე, ყიფიანი; ესტატე გიორგის ძე ყიფიანი; დავით გიორგის ძე ყიფიანი; ივანე მამისთვლის ძე ყიფიანი; ნიკოლოზ ქაიხოსროს ძე ყიფიანი; ზაქარია ქაიხოსროს ძე ყიფიანი.

ამ გარიგების წერილის დაწერას მოწმად დაესწრენ და ხელს აწერენ:

თავადი კოსტანტინე ნიჟარაძე და თავადი დიმიტრი ლევანის ძე აბაშიძე.

ცალკე პირობის წერილი

1869 წელსა ენკენისთვის 3 დღესა, თანხმად ჩვენ მიერ დაწერილის, დღევანდელს დღეს, პირობის წერილისა, დავსდევით ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერელთა აზნაურთ ყიფიანთა შემდგომი პირობა: 1) ჩვენი საზოგადო მამულების განმგეობა და შემოსავლის მოგროვება მიგვინდვია იორამ ქაიხოსროს ძის ყიფიანისათვის; 2) დაწესებისათვის სახელთმძღვანელო დარიგებისა, თუ როგორ უნდა განაგოს ხსენებულმა იორამ ყიფიანმა ზემოხსენებული მამულებისა, შორაპნის უეზდში, საზოგადო საქმე, მიგვინდვია დიმიტრი ივანიჩის (ქოჩოს ძის), იოსებ გლახას ძის და მიხეილ ზაალის ძის ყიფიანებისათვის; 3) იორამ ყიფიანი თავის მხრით ვალდებულია, რომ დაემყაროს იმ საფუძველზედ, რომელსაც დაუწერენ ზემოხსენებულნი დიმიტრი, იოსებ და მიხეილ ყიფიანები; 4) ნაცვლად ჯაფისა და მოცდენისა, რომელიც მოუვა იორამ ყიფიანსა, საზოგადო შემოსავლიდგან უნდა მიეცეს ჩვენგან მეთათედი წილი. ხელს აწერენ იგინივე პირნი, კნ. კოსტანტინე ნიჟარაძეს გარდა.

დარიგება აზნაურს იორამ ქაიხოსროს ძეს ყიფიანს საყიფიანო მთისა და ტყის გამგეობაზედ. 7 სექტემბერს 1869 წელსა.

ჩვენ აზნაურთ ყიფიანთაგან აღმორჩეულნი: დიმიტრი, იოსებ და მიხეილ ყიფიანები გაძლევთ ამ დარიგებასა თქვენ იორამ ყიფიანსა, ერთობ ყიფიანებისაგან ერთის წლის ვადით დადგენილსა ჩვენის საერთო მამულების მომვლელად და დამცველად, რაც საერთოდ გვეკუთვნის შორაპნის უეზდში, სოფლებს: მოლითს, ზედუბანს, ვახანს, ჩრდილს და გდეისს, თანახმად ჩვენის ერთმანერთში საზოგადო მორიგებისა, რომელიც შესდგა ამ ენკენისთვის 3-სა.

1. სოფლის ზედუბნის ტყეში დღეის ამას იქით მომავალის 1870 წლის 1 იანვრამდინ ხის მოჭრისა და ჩეხის ნება აღარავის უნდა მიეცეს ათს საჟენს შეშას გარდა გასატანად და იმდენს შეშას გარდა, რამდენიც საკუთრად ოჯახისათვის დასჭირდებათ იქ მცხოვრებთ ჩვენთ სახლის-კაცთა და გლეხთა, რომელთაც ამისი ნება აქვსთ უსტავნი გრამატებით.

2. სოფლის მოლითის ტყეში შეიძლება მოაჭრევინოთ იმდენი შეშა, ხე, იარალი, მასალა და სხვა, რამდენსაც შესაძლოდ დაინახავთ, მხოლოდ ამ პირობით, რომ პირწმინდათ გაჩეხის ნება და მეტადრე გაჩეხილს მამულში არამც და არამც მოხვნის ნება არავისა ჰქონდეს. ზემოხსენებულს ტყეში უნდა მოაჭრევინოთ ვისაც უნდოდეს, შემდგომ ფასად:

- ნიფლის ხე, 3 საჟენიანი, ბოლო 6 ვერშოკიანი, ერთ აბაზათ.....20 კ.
- მურყნის ლატა, 3-დამ 4 ვერშოკამდინ ერთ შაურათ..5 –
- ნიფლისა, რცხილისა და სხვა ხის ლატა, ამავე სიმსხოსი, სამ კოპეიკად3 –
- მარგილი, სიგძით საჟენიანი, ასი ხუთ შაურათ.....25 –
- შქერი ხუთი კონა შაურად5 –
- ცუდმარგილა ნიფლისა და სხვა ხისა ხუთ შაურათ...25 –

საწნახელი ცაცხვისა, ოცდა ხუთი ჩაფისა,
 შვიდ აბაზად..... 1 მან. 40 –
 საწნახელი ცაცხვისა ხუთის საპალნისა,
 თოთხმეტ აბაზად..... 2 – 80 –
 საწვავი შეშა, ნედლი საჟენი
 თერთმეტი აბაზიდამ ორ მანეთამდინ, იმის
 მიხედვით, გზაზედ ახლოს არის თუ შორსა 2 – 20 –
 ხმელი შეშა საჟენი ორ მანეთად..... 2 –
 ნიჩაბი ორ კოპეიკად 2 –
 ჯონჯოლი ლიტრა სამ კოპეიკად 3 –
 ყოველს ხეს ფასი ემატება: საჟენზედ, სამს გარდა, ორი შაუ-
 რი, და ვერშოკზედ, ექვსს გარდა ერთი შაური.

3. 1-ს მარტიდამ 1 სექტემბრამდის ხის მოჭრა აღკრძალული
 უნდა იყოს. აგრეთვე ხე არ უნდა მოიჭრებოდეს ქედზედ, მთის
 წვერზედ, და წყაროების სათავეების მახლობლად, არამც და
 არამც.

საბალახე უნდა აიღებოდეს:

კამბეჩზედ, ხარზედ და ძროხაზედ,
 თავზედ ორი შაური 10 კ.
 აგრეთვე ღორზედ ორი შაური 10 –
 თხა-ცხვარზედ, თავზედ ერთი კობ. 1 –

ნადირობის უფლება არა ვის უნდა მიეცემოდეს, თუ არა მავნე-
 ბელი ნადირის სახოცად, ესე იგი, დათვისა, მგლისა და მელასი.

ფუტკარზედ და სანწყლისპიროზედ მესამედს უნდა ახდევინ-
 ებდეთ.

ნახშირი, მოსაკიდ გოდორზედ ერთი შაური 5 კ.

4. არას დროს, არც ზამთარს და არც ზაფხულს, არა ვის უნ-
 და მისცემდეთ ნებასა, რომ ნეკერი სჭრან და ხეს ფუტი აძრონ.

5. არა ვის უნდა აძლევდეთ ნებას, რომ ძირში მოსჭრან ხე,
 ესე იგი, მოჭრილი ხის ჯირკი უნდა დარჩებოდეს სიმალლით ერ-
 თი არშინი მანცა.

6. არის ამ ჟამად ასაღები ფული, რომელიც თქვენ იორამ
 ყიფიანმა უნდა მოაგროვოთ:

გიო ცუცქერიძისაგან 14 მანეთი ნახშირისა	14 მან.
დიმიტრი ცუცქერიძისაგან 8 მან. ნახშირისა	8 –
დათანა ცუცქერიძისაგან ათი შაური	50 კ.
გიგო ცერცვაძისაგან ცამეტი შაური	65 –
სვიმონა როფაქიძისაგან 1 საყენი შეშისა	
თერთმეტი აბაზი	2 – 20 –
ივანე მეტრეველისაგან აგრეთვე.....	2 – 20 –
სისო ბლუაშვილისაგან, ოთხი მანეთი	
და ორი აბაზი	4 – 40 –
იაგორა ნეესაძისაგან 10 საყენისა	
ოცდა ორი მანეთი.....	22 – –
ნინიკა მეგრელიშვილისაგან 2 საყენისა,	
ოთხი მანეთი და ორი აბაზი.....	4 – 40 –
სულ.....	58 – 35 –
7. შემოსავლის განყოფის დროს მხედველობაში უნდა იყოს,	
რომ ზოგს ჩვენთ მონაწილეთაგანს აღებული აქვს ფული საზო-	
გადო შემოსავლიდამ და ეს ფული უნდა გამოერიცხოთ ხვედრი	
წილითგან:	
ნიკოლოზ ქაიხოსროს ძეს, ივანე მამისთვალის	
ძეს და გიორგი სვიმონის ძეს ყიფიანებს შვიდი	
თუმანი, ორი მან. და ოთხი აბაზი	72 – 80 –
ივანე მამისთვალის ძეს ამას გარდა კიდევ	
სამი მანეთი	3 – –
ესტატე გიორგის ძეს ყიფიანს ოთხი თუმანი,	
ხუთი მან. და სამი აბაზი	45 – 60 –
ტატო დიმიტრის ძეს ყიფიანს	
ოცდა ორი მანეთი და ათი შაური.....	22 – 50 –
ნიკოლოზ ქაიხოსროს ძეს, ივანე მამისთვალის	
ძეს და გიორგი სვიმონის ძეს კიდევ	
ერთი მანეთი და ექვსი შაური	1 – 30 –
ტეიბუზ დავითის ძეს ყიფიანს	
ექვსი მან. და სამი აბაზი.....	6 – 60 –
გიორგი სვიმონის ძეს, კიდევ	6 – 60 –

ივანე მამისთვალის ძეს, კიდევე	
ოთხი მან. და ორი აბაზი	4 – 40 –
გიორგი მამისთვალის ძეს,	
ექვესი მანეთი და სამი აბაზი	6 – 60 –
სოლომონ ზაალის ძეს ყიფიანს	
ექვესი მანეთი და ექვესი შაური	6 – 30 –
ზაქარია ქაიხოსროს ძეს, ერთი თუმანი	10 – –
ივანე მამისთვალის ძეს კიდევე	
ორი მან. და სამი აბაზი	2 – 60 –
გიორგი სვიმონის ძეს ყიფიანს,	
ფურნისა სამი თუმანი	30 – –
გიორგი სვიმონის ძეს კიდევე ოთხი აბაზი.....	– 80 –
სულ.....	219 – 10 –

8. ყოველს შემოსავალს უნდა ჩასწერდეთ ზონრიანსა და ბექდიანს წიგნში, რომელსაც მიიღებთ ჩვენგან. ამ წიგნის შემომცემების ნება აქვს ყოველს მონაწილეს და ყოველს დროს.

9. ყოველს ექვს თვეზედ, რაც შეგროვდეს შემოსავალი ექვსის თვისა, მაშინვე უნდა წარადგინოთ დიმიტრი ივანიჩს (ქოროს ძეს) ყიფიანთან და კვიტანცია მოსთხოვოთ. თუ დიმიტრი ყიფიანი ქვიშხეთში არ იმყოფებოდეს, უნდა გაუგზავნოთ ფული ფორტით და რაც ამ გაგზავნას ხარჯი მოუხდეს, საზოგადო შემოსავლიდამ დახარჯოთ.

10. შემოსავლის წიგნში ცალ-ცალკე უნდა ჩაინერებოდეს შემოსავალი: მოლითის მამულისა, ზედუბნის მამულისა და სხვა სოფლების მამულებისა.

11. ჩვენს ტყეებში ბევრი შეშის მოჭრა თუ მოინდომა ვინმემ, იმას უნდა შეეკრათ პირობითა და ის პირობა დაამტკიცებინოთ სოფლის უპრავლენიეში და გქონდესთ შენახული ანგარიშის გასანმენდად.

12. არავის უნდა მისცემდეთ ნაბლისა, მუხისა და შურთხელის მოჭრის ნებას არც მოლითის ტყეში, და არც სადმე სხვაგან, სადც იპოვებოდეს, თუ არ საკუთრად ამაზედ დიმიტრი ყიფიანის ნება დართვითა. აგრეთვე თუ წინასწარის მეთერთმეტე

მუხლის ძალით ბევრი შეშა დასჭირდა ვისმეს უმეტეს ასის სა-
ყენისა, ამაზედაც იმისსავე თანხმობას უნდა გამოითხოვდეთ.

13. საერთო შემოსავლიდამ თქვენი გასამრჯელო უნდა აი-
ლოთ ათის თავი.

14. ჩვენ დიმიტრი ივანიჩის ყიფიანისათვის მიგვიწვდია
საზოგადოდ უმთავრესი ზედამხედველობა თქვენს მოქმედება-
ზედ და თქვენგან წარდგენილის ფულის განწილვა მონაწილეთა
შორის.

15. ეს ნამდვილი ჩვენის ხელის მოწერით უნდა ებარებოდეს
დიმიტრი ყიფიანსა და პირი ამისი, იმისაგან დამოწმებული,
თქვენ იორამ ყიფიანს მოგეცემათ.

16. ამ დარიგებას თავისი ძალა ექნება მხოლოდ მომავალის
1870 წლის 1 ენკენისთვემდე.

17. მე, იორამ ყიფიანი ვალდებული ვარ ყოველივე ესე აღ-
ვასრულო შეუცვლელად.

ხელს აწერენ: აზნაური **იორამ ყიფიანი**
დიმიტრი ყიფიანი
ოსებ ყიფიანი
მიხეილ ყიფიანი

[1869 წლის 3-7 სექტემბერი]

ხელშეკრულება დადებული ლეონიდ შევალიანთან

1871 წლის მარტში¹ ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერებმა, ნამდვილმა სამოქალაქო მრჩეველმა დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანმა და ნამდვილმა სტუდენტმა² ლეონიდ იოსების ძე შევალიემ ერთმანეთს შორის დავდეთ შემდეგი შინაარსის პირობა: **პირველი:** მე, ყიფიანი, მოგანდობთ თქვენ, შევალიეს, დაიცვათ სასამართლო პალატაში ჩემი საქმე თავად ნიკოლოზ მინგრელსკისთვის ოცდათორმეტი ათას ორას სამოცდარვა მანეთის გადახდევინებასთან დაკავშირებულ სარჩელზე, რომლითაც აღნიშნული თანხა მეკუთვნის მისი შემოსავლებიდან იმ შრომის საზღაურად, მისივე საკუთრების მეურვეობისას რომ გავწიე;³ **მეორე:** დაცვის საზღაურად მე, ყიფიანი, ვალდებულებას ვიღებ გადაგიხადოთ თქვენ, შევალიეს, პალატის მიერ ჩემთვის მონიჭებული თანხიდან თითოეული მანეთის ათი პროცენტი; ხოლო იმ თანხიდან, რომელზეც უარი მეთქვა – სამოცდაცამეტი და მესამედი კაპიკი თითოეული მანეთიდან, რომელიც მე, ყიფიანს, მომენიჭება სასამართლო პალატის მიერ; **მესამე:** დაცვის საზღაურად მე, ყიფიანი, ვალდებულებას ვიღებ, თქვენ, შევალიეს, გადაგიხადოთ ხუთას შვიდი მანეთი და სამოცდაექვსი კაპიკი წინასწარ და დაუბრუნებლად, ხოლო საქმის მოგების შემთხვევაში ეს თანხა თქვენ ჩაგეთვლება იმ გასამრჯელოში, რომელიც ჩემგან გეკუთვნით; **მეოთხე:** მე, შევალიე, ჩემს თავზე ვიღებ პალატაში ზემოაღნიშნული საქმის ზემოაღნიშნული პირობებით დაცვას, აგრეთვე, ამავე საქმეზე ბ-ნი ყიფიანისთვის აღმასრულებელი ფურცლების გადაცემას;

მეხუთე: წინამდებარე პირობა უნდა აღსრულდეს უდავოდ და დაურღვევლად.

ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი
დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანი
ნამდვილი სტუდენტი
ლეონიდ იოსების ძე შვეალიე

ათას რვაას სამოცდათერთმეტი წლის 14 მარტი.

ბარიგაზა გენერალ მიხეილ ასტაფიევთან

1871 წლის 14 მარტს მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის, დიდი მთავრის, მეფისნაცვლის¹ თანხმობის შემდეგ სახელმწიფო ქონების სამმართველოს უფროსმა, გენერალ-მაიორმა მიხეილ ივანეს ძე ასტაფიევმა, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, ნამდვილმა სამოქალაქო მრჩეველმა დიმიტრი ყიფიანმა საკუთარი სახელითა და ან გარდაცვლილი ძმის, ქაიხოსრო ივანეს ძე ყიფიანის, შვილების: დავითის, ალექსანდრეს, მიხეილისა და ლუარსაბის მინდობილობის საფუძველზე გავაფორმეთ წინამდებარე გარიგების აქტი, რათა გაუქმდეს ჩემი – დიმიტრი ყიფიანისა, და ჩემი ძმის – ქაიხოსრო ყიფიანის მიერ 1854 წლის 24 ივნისს თბილისის სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლოს დიდ პალატაში ბორჯომის მამულის მეათედიდან 1851 წლის შემდეგ ხაზინის მიერ მიღებული შემოსავლების შესახებ შეტანილი სარჩელი. სარჩელის გაუქმება უნდა მოხდეს შემდეგი პირობებით:

1. მე, დიმიტრი ყიფიანი, ჩემი და ჩემი ზემოხსენებული ძმისშვილების სახელით სამუდამოდ ვამბობ უარს ბორჯომის მამულის მეათედთან დაკავშირებულ ჩემი და ჩემი ძმის მიერ მოთხოვნილ უფლებებსა და იმავე მამულიდან ყველა სახის შემოსავალზე. სანაცვლოდ მე და ჩემს ძმისშვილებს საკუთრებაში უნდა გადმოგვეცეს სამი ათას ოთხას ორმოცდაათი დესეტინა ტყის ფართობები ჩუმათელეთში, ფონასა და წიფაში და იმავდროულად – თორმეტი ათასი მანეთი ვერცხლით. თუკი ამ ფართობებიდან ხაზინას დარჩება ის ადგილები, რომლებზეც სახაზინო გლეხები ცხოვრობენ – ეს არის **დაახლოებით ექვსას დესეტინამდე** – და, ამდენად, საჭირო გახდება დამატებითი

ტყის გამოყოფა, მაშინ ეს ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შორაპნის მეტყვევების გეთსიმანიის მომიჯნავე ტყეებიდან უნდა მოხდეს.²

2. ვინაიდან ამ ადგილებში სახლობენ სოფლებში: ჩუმათელეთში, ფონასა და წიფაში მცხოვრები სახაზინო გლეხები, რომლებსაც იქ აქვთ სახნავ-სათესი მიწები, სათიბები, ბოსტნები, ვენახები და კარმიდამოები, მთელი სავარგულები ნადელის სახით გადაეცეთ ზემოაღნიშნული სოფლების მკვიდრ სახაზინო გლეხებს შემდეგ საერთო საფუძველზე: ხსენებული სავარგულებიცა და გლეხთათვის განკუთვნილი სახაზინო ტყეც ისე უნდა იყოს მიზომილი, რომ თითოეული სოფლისთვის³ განკუთვნილი ფართობი მოექცეს ერთ საერთო საზღვარში, აგრეთვე, ყიფიანებისთვისაც ტყიანი ტერიტორიები გამოიყოს იმგვარად, რომ თითოეული ფართობი შეძლებისდაგვარად მოექცეს ერთიან საზღვარში.

3. თუკი მე-2 პუნქტით განსაზღვრული სავარგულები მდებარეობს არა დასახლებულ ტერიტორიაზე, არამედ ტყეებში მდებარე ველობებზე, გლეხთა მიმოსვლის უზრუნველსაყოფად ყიფიანებმა არ უნდა მოშალონ მისასვლელი გზები და აღნიშნულ გლეხებს მისცენ ამ გზებით დაუბრკოლებლად სარგებლობის უფლება.

4. ყველა იმ დავისა თუ სარჩელის დასრულებას, რომლებიც წარმოშობილია ან წარმოიშობა ხსენებული ტყეების დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანისთვის გადაცემამდე, ხაზინა იღებს თავის თავზე. სარჩელებს, რომლებიც ტყეების გადაცემის შემდეგ შევა მართებლობის სისტემაში, მე, ყიფიანი, როგორც მესაკუთრე, ვიღებ საკუთარ თავზე და ასეთ სარჩელთან დაკავშირებული ხარჯებისა თუ პასუხისმგებლობისგან ვათავისუფლებ ხაზინას.

5. რამდენადაც საქმე გარიგებით სრულდება და მის საფუძველზე უნდა მოხდეს გასხვისება ხაზინის კუთვნილი ზემოაღნიშნული ტყეებისა, ყიფიანებმა უნდა გამოითხოვონ უმაღლესი ნებართვა. წინამდებარე აქტი მხარეებისთვის მხოლოდ ასეთი ნებართვის გაცემის შემდეგ გახდება სავალდებულო.

6. მანამდე კი სამმართველო ვალდებულია, გასცეს განკარგულება იმის შესახებ, რომ ზემოაღნიშნულ ტყეებში აიკრძალოს ყოველგვარი წინასწარ გაუთვალისწინებელი ჭრა.

7. ვინაიდან წინამდებარე აქტზე უმაღლესი ნებართვის მიღების შემდეგ ყიფიანებს არსებული წესით უნდა გადაეცეთ ტყიანი ფართობები ზემოხსენებული მოცულობით, მანამდე, ამ გარიგების აქტის I პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ქონების სამმართველომ მიწისმზომელთა მეშვეობით შეძლებისდაგვარად უნდა დაადგინოს ზემოხსენებული ტყის ფართობების საზღვრები. თუკი ამ ტერიტორიაზე არსებული ტყეები ვერ დააკმაყოფილებს გარიგების აქტის I პუნქტით განსაზღვრულ ოდენობას, დაუყოვნებლივ უნდა გაიცეს განკარგულება ყიფიანებისთვის დამატებითი ტყიანი ფართობების გამოყოფის შესახებ.

და 8. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე გარიგების აქტზე არ გაიცემა ნებართვა, სამოქალაქო სამართალწარმოების წესდების 136ნ-ე მუხლის საფუძველზე ამ აქტით განსაზღვრული ყველა შეთანხმება მოდავე მხარეებისთვის ჩაითვლება ძალადაკარგულად.

ხელს აწერენ:

კავკასიის მეფისნაცვლის მთავარსამმართველოსთან არსებული სახელმწიფო ქონების სამმართველოს უფროსი, გენერალ-მაიორი **მიხეილ ასტაფიევი**.

ჩემი სახელითა და ზემოხსენებული ძმისშვილების მინდობილობით, რომლის წარმოდგენის პირობას ვდებ, ხელს ვაწერ მოცემულ წინასწარი გარიგების აქტს. ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი **დიმიტრი ყიფიანი**.

ანდერძი

ათას რვაას ოთხმოცდაექვსი წლის ოცდაორ დეკემბერს მე, ქვემოთ ხელის მომწერი ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი **დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანი**, ხანდაზმულობაში მყოფი, ამ, საკუთარი ხელით დანერილი, შინაურული ანდერძით ვაცხადებ ჩემს ნებას, რომელიც მდგომარეობს შემდეგში:

სიცოცხლეში ყოველი ჩემი კეთილშენაძენი ქონება,¹ რა სახისაც არ უნდა იყოს იგი და სადაც არ უნდა იყოს, ჩემი სიკვდილის შემდეგ ჩემივე ვაჟიშვილის, კონსტანტინეს, მიერ დაუყოვნებლივ უნდა განაწილდეს, ანუ გაიყოს სამ თანაბარ ნაწილად ამ ქონების ღირებულების ანუ ფასის მიხედვით. ამ სამი ნაწილიდან ანდერძით ვუტოვებ: ერთ ნაწილს სამუდამო საკუთრების უფლებით ჩემს უფროს ვაჟიშვილს, ნიკოლოზს, ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ – მის ღვიძლ ქალიშვილებს, არასრულწლოვნებს: ელისაბედს, ბარბარესა და ნინოს; მეორე ნაწილს – ჩემს ზემოხსენებულ ვაჟიშვილს, კონსტანტინეს; ხოლო მესამე ნაწილს – ჩემს ქალიშვილს, კნეინა ელენე ლორთქიფანიძეს; ოღონდ იმ პირობით, რომ გორის მაზრაში, ჩემს ქვიშხეთის მამულში მდებარე ორსართულიანი სახლი თავისი დამხმარე ნაგებობით, წყალსადენით, ხეხილის ბაღითა და ზემოთა ვენახით სამუდამო საკუთრებისა და სარგებლობის უფლებით დარჩება ჩემს მეუღლეს – ნინო იაგორის ასულს. ამასთანავე, ჩემ მიერ ნაანდერძვე ყოველ ქონებასა და ჩემი ცოლის სიკვდილის შემდეგ დარჩენილ სახლ-კარს მიიღებენ: პირველ რიგში, ჩემი ქალიშვილი ელენე იმ მესამედ ნაწილს, რომელსაც თვითონ ისურვებს; შემდეგ – ჩემი ვაჟიშვილი ნიკოლოზი და, დასასრულ,

ჩემი უმცროსი ვაჟიშვილი კონსტანტინე – იმ მესამედ ნაწილს, რომელიც მისი დისა და ძმის არჩევანის შემდეგ დარჩება. ამის აღსრულებისას კონსტანტინემ, რამდენადაც ქონების გაყოფა მასზეა დამოკიდებული, არც რაიმე დაბრკოლება და არც სანაღმდეგო რამ არ უნდა დაუშვას.

ამ შინაურულ ანდერძს, ჩემ მიერ შედგენილსა და ჩემი ხელით დაწერილს, ხელს ვაწერ ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი **დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანი**.

ეს ანდერძი მე წარმომიდგინა ნამდვილმა სამოქალაქო მრჩეველმა **დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანმა**, საღ გონებაზე მყოფმა და მტკიცე მეხსიერების მქონემ. დარწმუნებული ვარ და ვადასტურებ, რომ ეს ანდერძი საკუთარი ხელით შედგენილი და ხელმოწერილია მოანდერძის მიერ. მისივე, ყიფიანის, თხოვნით, როგორც მოწმე, ხელს ვაწერ – გადამდგარი კაპიტანი **თედორე მირონის ძე სალმინი**.

იმავეს ვადასტურებ და ხელს ვაწერ – თბილისის საოლქო სამართლო პალატის ნაფიცი ვეჩილი **დიმიტრი ივანეს ძე ვესევეი**.

იმავეს ვადასტურებ და ხელს ვაწერ – სტავროპოლის ვაჟთა გიმნაზიის მასწავლებელი **კონსტანტინე გრიგოლის ძე ბარდილიშვილი** (წინა სტრიქონზე ჩემივე ხელით ჩამატებულია სიტყვა „**გიმნაზიის**“, რასაც ვადასტურებ – **კონსტანტინე გრიგოლის ძე ბარდილიშვილი**).²

მოანდერძის თხოვნით: ისევე, როგორც ზემოხსენებული ორი პირი, ბატონები სალმინი და ვესევეი, ვადასტურებ – კავკასიის კავალერიის თადარიგის უფროსი საკადრო ექიმი, კოლეგიის მრჩეველი **პავლე იოსების ძე სკლოტოვსკი**.³

[22 დეკემბერი 1886. სტავროპოლი]

დაუმთავრებელი

* * *

როს შეირყევა
ზღვა მწარის წყლისა,
შესაძაგლისა, –
და ზვირთთა რბევა,

მიტევ მოტევა
გრიგალთა სევა
ქარიშხალთ ძლევა –
მიმოაქანვენ
ბედკრულსა ნავსა,
და მისს დანთქმასა
უფსკრულსა ჰფარვენ, –

კიდით მზერს კაცსა,
ვნებათ ნაცადსა,
თვალთნინ ესახვის
გრძნობის სხვა და სხვას
მის შორის შფოთვა
და ვნებათ ბოდვა. –

მუნ ზღვა რა მგამა
სად ტრფობის ბრმამა
უეცრად ვნახე
ქვეყნიერების
მატკობი სახე.

ღელვავი ზვირთთა
მის მკერდის ტვირთთა
ელვა და შუქი,
უებრო, უქი
წყვდიადთა თვალთა
უფსკრულად მთქნავთა, –

სცენები თავადაზნაურობის ცხოვრებიდან

მმოქმენი:

თავადი თეიმურაზ უხვაძე.¹
კნენა სალომე, ცოლი მისი.
კნიაუნა ბაბაღე, ქალი მათი.
თავადი ევგენ გონიერიშვილი.
თავადი ესტატე არამიძე.
არუთინ არტემიჩი ვალაპეტოვი.
აზნაური დავით გომარელი.
სვიმონა } მსახურნი.
თევდორე }

ლომისეული, პირიმზისა, მონაფარდისა, გულმართლისა და სხვ.

აკტი I-ლი

თეატრი წარმოადგენს მაჩრდილობელს ხეებსა,
რომელნიც წინ-უდგანან საბატონოს სახლსა, სოფელში

გამოსვლა 1.

დავით გომარელი და თევდორე

გომარელი. თევდორე! სვიმონას შეჰსძახე ერთი, ხალიჩა გამოიტანოს და აქ დააგოს, ამ ჩრდილშია! ნარდის თამაშობას აპირებენ.

თევდორე. სვიმონა!.. სვიმონა!.. სვიმონა!.. აბა თუ გაიგონოს ეე! ხალიჩა გამოიტანე აქა, ბიჭო! ვინ და ვინ აპირებს თამაშობასა?

გომარელი. აბა, გეტყვი და თუ კაცი ხარ, გამოიცნობ: აქ გაუკეთე იმ ურაზბონიკესსა; აქ იმასა, ვინც ვერ იტყვის, ჯიბეში არა მიძევს რაო.

თევდორე. ვის რა გაუკეთო?

გომარელი. გამოიცან მეთქი, თორემ ეს ეს არი ქუდი მოგიბრუნე.²

თევდორე. ვაი შენ ჩემო თავო, აკი ზმა მითხრა და ვერ გავიგე. – როგორა, როგორაჰ?

გომარელი. გაუკეთე იმ ურაზბონიკესსა და ჯიბეში არა მიძევს რაო.

*(ამ დროს სვიმონას ხალიჩა შემოაქვს და ჰყვინს
სადაც გომარელი ანიშნებს)*

თევდორე. *(სიცილით)* აი! დასწყევლოს ღმერთმა შენი ეშმაკი! ბატონისა და არამიძის სახელები არ გამოიყვანა ეე!

გომარელი. ჩემი ეშმაკი რომ დაჰსწყევლოს და მერე ის წყეული ტყეში მოგეფეთოს სადმე, მაშინ რასა იქ ჩემო თევდორე.

თევდორე. რა მაგ სიტყვის პასუხია და მე რომ ერთხელ ნადირობაში საქმე დამემართა, არ გაგონილა.

სვიმონა. შენ ბევრი სხვა ფათერაკიც დაგმართვია, მაგრამ ყველა ხო არ ითქმის. ასი ჰქმენ და ერთი ჰსთქვიო, არ გაგიგონია? პატარა მოიცადე მაინცა, აგერ ბატონი მობძანდება.

გამოსვლა 2.

*იგინივე, პატივისცემით ჩამოუდგებიან უხვაძესა და
არამიძეს, რომელნიც შემოდიან*

უხვაძე. დავით, ვაჟო, რა იყო ისე მალე რომ გამოვარდი.

გომარელი. მე ამის გამო ვარ დიახ მარდი, რომ თქვენს ნარდის თამაშობას მინდა ვუყურო. მაგრამ ნარდი კი არ სადა ჰსჩანს და როგორ იქნება.

არამიძე. აი! აგერ მოაქვთ.

გომარელი. თუ უკაცრავათ არ გახლდებით კნიაზო, ქული მოსაბრუნებელი დაგრჩათ: მე ნარდზედ არ მომიხსენებია, მონარდეზე მოგახსენეთ.

უხვაძე. ეე! ეგ კი წაგიხდა, ჩემო დავით: მონარდეს მაგიერათ მანარდი მოგივიდა.

გომარელი. ძველებული ქართული გახლავთ.

უხვაძე. ვაი შენს ცხონებას.

არამიძე. ნეტავი შენა, ჩემო დავით, რო ზმის თავი გაქვს.

გომარელი. ოჰ, ოზმის თავი ჩემს მტერს ნუ მისცა.

(უხვაძე და მერე არამიძეც იცინიან)

უხვაძე. მაგას თუ ყური ვუგდეთ, სულ ზმებით გადაგვრევს.

არამიძე. აბაღე!³ დავიწყოთ მაშა.

(ანყოზენ ნარდსა და კამათლებს იღებენ)

უხვაძე. ბძანე.

არამიძე. ბძანე.

უხვაძე. ბძანე კარგია, ხო იცი, რომ ამდენი თავაზა მოდაში აღარ არის.

არამიძე. შენს მზესა ვჰფიცავ, შენზედ უნინ არ გავაგორო.

უხვაძე. *(გააგორებს კამათელს)* ფანჯი.

არამიძე. *(აგრეთვე)* დუ.

უხვაძე. *(გააგორებს ორსავე კამათელს)* ოჰო! დუ შაში.

გომარელი. აი, შენ კი გეთაყვანე მაგ ძუაში, კამათელო.

არამიძე. ესეც კარგი იყო: შაშ იაქე.

გომარელი. შაში აქე. დიად ვაქებ და ვადიდებ, თუ გამოვიდა რამე.

უხვაძე. ჩარ უ სე.

გომარელი. ამის ჩარუსვა ბევრჯელ გაგვიგონია. ერთხელ მაინც ჩააფრანცუცებინეთ.

არამიძე. (დავითს) ერთი წყალი უბძანე, ჩემო დავით.

(გომარელი გავა)

უხვაძე. (ნარდს შეაყენებს) ჰო! მართლა. მაშინ რომ საქმეს აპირებდი, როგორ არის ახლა.

არამიძე. (ღიმილით) საკვირველი საქმე დამემართა. თეიმურაზ, შენ შეძლებული თავადიშვილი ხარ და ამისთანა საქმეებისა არა იცი-რა. ვისაც შეძინება ჰსურს და ესაჭიროება, იმან უნდა იმეცადინოს შეძლებისამებრ. მართალია თუ არა! მე მამაპაპისაგან მაგდენი არა დამრჩენიარა და მინდა რომა, ჩემმა შვილებმაც ასე არა ჰსთქვან. იქნება მეც შევიერთო ცოლი და შვილები მეყოლოს; ვინ იცის. — იანვარში რომ დიდი ტორგი იყო იჯარაზედა, ცოტა რამ ზალოგი ვიშოვნე და შევედი მეც, პალატაშია. იქ სხვანიც ბევრნი იყვნენ, ერთმანეთს უბღვერიდნენ, ზოგნი ჩურჩულობდნენ; ჯერ კი ტორგი არ დაწყებულიყო. ამ დროს აი რა სწარმოებს ხოლმე. ვჰსთქვათ შენ აგილია, დაგილია, გიანგარიშნია და გინდა აილო იჯარა. ვისაც მოცილეს დაინახავ, შეაძლევ რასმე, რომ თავიდამ მოიშორო. რა საკვირველია იმასაც კი იანგარიშებ, იმდენი არ დაგეხარჯოს, რომ ბოლოს ვერ ამოიგო. რა საკვირველია მაშინვე შევატყე, ამლები ვინც იყო და ისე ვეჩვენე, რომ ვითამ შექიშპება მინდა. დამიწყო ლაპარაკი, და ორასი თუმანი შემომადლია, ოლონდ ჩამომეცალეო. იჯარის საქმე რა საკვირველია მეც კარგათა მქონდა გამოანგარიშებულის და ხუთას თუმანზედ ნაკლებს არა ვჰსჯერდებოდი. იმან არა ქნა, მე არა ვჰქენი და ამასობაში ტორგიც გაიმართა. უკან დადგომა აღარ შეიძლებოდა და შევჰყევით. იქამდინ მივიყვან მეთქი, ვჰსთქვი ჩემს გულშია, რომ ათასს თუმანსაც გაზარალებინებ მეთქი და ავსნიეთ ოცდა ათი ათას თუმანამდინ. დაფიქრდა ჩემი მოქიშპე. ხან გაყვითლდებოდა, ხან განითლდებოდა;

ბოლოსა ჰსთქვა, დარჩეს კნიაზსა, მე ველარ მოუმატეფო, და მოიმხიარულა სახე როგორც შეეძლო, ვითამ მე ძალიან ვჰსწუხდე, რომ მე დამრჩა. აი შენ არ მოუკვდე შენს ესტატესა, მე არაოდენი ეჭვი არა მქონდეს დიდს მოგებაზედა. მხოლოდ ამ ექვსს თთვეზედ ზალოგები უნდა გამოვსცვალო და ვინც მიცნობს, ვინ არ მანდობს. ეს საქმე ისე მიმაჩნია, როგორც ერთი კარგი ბეითალმანი.⁴

გომარელი. *(ვეცხლის სურით მოაქვს წყალი და ამ უკანასკნელს სიტყვას რომ ყურს მოჰკრავს, შედგება, შეძრწუნდება და მერე მიუტანს წყალსა).* მიირთვი.

(არამიძე რო წყალსა ჰსვამს, იმ დროს შემოვა სვიმონა)

სვიმონა. *(თეიმურაზს)* ქალბატონმა მოგახსენათ, თუ შეიძლებოდეს პატარა ხანს აქ მობძანდითო.

თეიმურაზ. აი ნარდს გავათავებთქო და...

არამიძე. *(წამოდგება)* რა ბძანებაა. ნარდმა საქმეს რათ უნდა დაუშალოს. *(თეიმურაზიც წამოდგება და გავლენ. დარჩება გომარელი).*

გამოსვლა 3.

გომარელი

გომარელი. რაო! ბეითალმანიო?!.. იქნება ამასაც ბიძი ჩემის ბეითალმანზე ეჭიროს თვალი! იმიტომ მოუხშირე სიარულსა, რომ დაჰსტყუო განა? აი შენ არ მოუკვდე შენს დავით გომარელსა, რომ დავით გომარელმა შენ ის არ დაგანებოს!.. *(შემოვა თევდორე)* თევდორე! ამ კნიაზმა რომ ასე ხშირად დაიწყო აქ სიარული, შენ რასა ჰფიქრობ?

თევდორე. რასა ვჰფიქრობ! არა ფერსა. თავადიშვილი რომ თავადიშვილთან დადიოდეს, მერე ჩვენის ბატონისთანასთან, რა საოცარია.

გომარელი. მე კი მგონია, რომ გულში უძევს რამე და რა ვიცი, ვინ არის მისი ფიქრის მომწვევარი. – (გავა)

თევდორე. რაო, რაო! მწვევარიო!! იქნება ჩვენ მწვევრებზე ეჭიროს თვალიჰ!! აი, თევდორე არ მოგიკვდეს... (გავარდება)

გამოსვლა 4.

შემოვა ლომისეული

ლომისეული. (მიიხედ მოიხედავს) დაგწყევლოთ ჩემა გამჩენმა; სად ჯანდაბას დაკარგულან ეს გოგო ბიჭები. ჭაჭანება ალარა ვისი არი. სულ მე სად ვირბინო, ბებერმა დედაკაცმა. (დაინახავს მონავარდისას) სად მიხვალ შე გულკვდარო შენა. აბა თუ გაიგონოს, ეე! გოგო, შე უვარგისო!

მონავარდისა. რა იყო, რა მოგეჩვენა.

ლომისეული. დარდუბალა მომეჩვენა შენს თავსა და შენს ტანსა. ბატონი სად არი?

მონავარდისა. რა ხანია თავისს ოთახში ბძანდება.

ლომისეული. ქა! მართლა! მაშ მე რაღას დავნანნალებ.

(შევა შინ)

გამოსვლა 5.

მონავარდისა და შემოვა გომარელი

გომარელი. (მონავარდისას რო დაინახავს) აი, შენ კი გეთაყვანე, მაგ ჟუჟუნა თვალებშია. (მიუახლოვდება)

მონავარდისა. ქა, გამეცა იქითა, თვალებიმც დაგიდგება.

გომარელი. ჰო, და! მიდგება, შენ რომ დაგინახავ ხოლმე. (ურჩემეტს)

მონავარდისა. გამეცალე მეთქი (თითონაც ძალიან ურჩემეტს და გავარდება)

გომარელი. (მარტო) ვახ, რა გოგო ხარ! მაგრამ რა ფაიდა!⁵ ეეჰ, დავით გომარელი! ხან და ხან გოგოებთან ხუმრობა კარგია, მაგრამ შენის თავისა და ოჯახისა უნდა იფიქრო. გაჭირვებაში ახლა ხარ, რომ ამისთანა მოცილე გამოგიჩნდა. – ბიძი ჩემის ყმა და მამული ხელში ვერ ჩავიდლო, მაშინ ჩემს ობლებს ძმებსა და დებს რა ეშველება? აქამდისინ როგორც იყო, ხან მასხარაობით, ხან ხუმრობით, თეიმურაზს იქამდინ შევაბრალებ ჩემი თავი, რომ უეჭველია, უარს აღარ მეტყოდა. ახლა ეს კვდაროხერი არამიძე ქაჯივით გამომიტყვრა. აბა რა ვჰქმნა, რა უყო. უნდა გზა დავუბნო როგორმე, თორემ, რალა ბევრი ჩიჩინი უნდა, ხელილადამ გამომაცლის.

(შემოვა სვიმონა)

გომარელი. აქ მო, ჩემო ანდაზის კოლოფო! კაცს რო საქმე უჭირდეს, რა უნდა ქნას?

სვიმონა. უნდა მოიჭიროვოს, რა უნდა ქნას? „ჰკითხე ასსა, ჰქმენ გულისაო“, არ გაგიგონია?

გომარელი. ასში რო ერთსაც ვერ ეტყოდე შენის გულის პასუხსა?

სვიმონა. რა კი ჩემ გულს ვჰკითხამ, პასუხს სხვას რალათ ვეტყვი.

გომარელი. გულმა რომ ისეთი რამ გითხრას, იმის დაჯერება ან ცოდვა იყოს, ან სირცხვილი, ან სხვა ნაირათ ძნელი, მაშინა?

სვიმონა. მაშინა, ავიღებ, დავიღებ და როგორც ჭკუაში დამიჯდება, ისე ვიქ.

გომარელი. შენი თავის იმედი ძალიანა გქონია, გეტყობა.

სვიმონა. ჯერ თავო და თავოო, მერე ცოლო და შვილოო, არ გაგიგონია? შენ ფიქრი გქონდეს, სხვას კი ჰკითხავდე. ამირან გულში მღეროდა, ყმანო, ბანი მითხარითო, ისე დაგემართება.

გომარელი. ეპრუნუნუნის ჭალასა პრასა და ნიახურიო.

სვიმონა. შენ რო გინდა, მე რათ მინდა შენი ენა სომხურიო.

ერთგული ხარ ბატონისა, გძევს მისი სამსახურიო.

კარგი ყმა ხარ, შეიქნები ჩასაცმევ დასახურიო...

გომარ. ერთი კონახურილა გაკლია და სთქვი ბარემ რალა!
სვიმონა. არ ვარგიხარ, გაეცალე, მჟავე ხარ კონახურიო. (გა-
ვა გარეთ)

გომარელი. ამისთანა დარბაისლებს უნდა ვემუსაიფებოდე
ხოლმე, აბა რა ვჰქმნა?

გამოსვლა 6.

იგივე და არამიძე.

არამიძე. სადილის დრო არი, მგონია! აბალე, შენ როგორა
ჰფიქრობ დავით?

გომარელი. მე რო ვჰკითხე მზარეულსა, დილის დრო არ იხ-
სენება. მზათ გახლავსო, მოგახსენებს.

არამიძე. დავით! შენ ჭკვიანი კაცი ხარ. აბალე ერთს საქმესა
გკითხავ და მამა ნუ წაგინყდება ჰსწორე მითხარი.

გომარელი. (ცალკე) აბა, თუ კაცია, თითონ მეტყვის სწო-
რესა, მე რა ვჰკითხო! (იმას) თუ არის სადმე ირემი, თხა რითი
ემჯობინება. რას მიბძანებ, რო მოგახსენო.

არამიძე. აბალე! მინდა ვჰსთხოვო თეიმურაზსა, ეგება...

*(ამ დროს მონავარდისა შემოიხედავს ყურისგდებითა
და ისევ მიიმალება)*

გომარელი. თქვენს მზესა ვჰფიცავ ჰსწორეს მოგახსენებთ.
ლარი.

არამიძე. რაო? ლარი რა არის?

გომარელი. ულაროთ საქმე გაბრუნდდება.

არამიძე. ნეტა გამაგებინა, რას ანბობ. ეგ არაფერი ზმა იყო.

გომარელი. ზმას კი არ მოგახსენებ, ჰსწორეს მოგახსენებ.
გაჭიმულ ლარზედ უფრო ჰსწორე რალა იქნება. ჭკვიანი კაცი
ხარო, წელანა ბძანე და იმიტომ მოგახსენებ: ორნი რომ ერთმა-

ნერთს ერთს საქმეზედ ეცილებოდენ, მეტადრე მამულზედა... მამულზედ არის ლაპარაკი განა?..

არამიძე. (განცვიფრებით) დიალ!..

გომარელი. მაშინ ერთერთმაც არის ან ფეხები უნდა გაჭი- მოს, ან ლარი. – სხვა მეტი ღონე აღარ არი.

არამიძე. როგორ! მოცილე მყავს ვინმე თუ? (ცაღკე) თუ ეს რიგიანად არ შევიტყე, სწორედ წამიხდა საქმე. (მაღლა) ვინც უნდა შემომეცილოს, იმედი მაქვს, რომ თეიმურაზი მე სხვაზედ არ გამცვლის. –

გომარელი (ცაღკე) ეგ იმედიმც გადაგწყვეტია და თან გადაჰყოლილხარ. ეს რა ჭირი გამიჩნდა. (მაღლა) მაგას მართალსა ბძანებ, მაგრამ ღმერთი გადღეგრძელებს, აბა ობლები შეცი- ლება რა ხელს მოგცემს. მე იმედი მქონდა თქვენის სულგრძე- ლებისაგანა, რომ თითონ თქვენც მოიხმარდით შეწვენასა...

არამიძე. ჩემო დავით; მე ასეთის საქმისათვის მიხდა მამუ- ლი, რომ არა თუ ვაზარალებ ვისმე, ბევრსაც ვასარგებლებ.

გომარელი. (ცაღკე) ტყეში ყაზახი შევიდა, ტყე გაყაზახე- ბულ იყო, სწორეთ ისე მემართება. თავისა და ბოლოსი ვეღარა გაგვივიარა. (მაღლა) კნიაზო ესტატე არამიძე! ღმერთი გადღე- გრძელებს, ეგ როგორი სიტყვაა. კაცს მამული ხელიდამ ერთმე- ვოდეს და ეუბნებოდნენ, ბევრსაც ვასარგებლებო.

არამიძე. როგორ ერთმევეოდეს? ვის ერთმევეოდეს?..

გომარელი. (ცაღკე) სიცრუე უნდა ვიხმარო, მეტი ღონე არ არის. (მაღლა) ვისაც თეიმურაზ დაჰპირდა, იმას ერთმევა თუ არა?

არამიძე. როგორ დაჰპირდა. იქნება მართლა აღუთქვა ვისმე.

გომარელი. თქვენს მზესა ვჰფიცავ.

არამიძე. (ცაღკე) Вот тебе паз!

გომარელი. აი თუ შევჰსტოპეთ. ჰე! საქმე გამოსვლაა.

(მოისმის უხვადის ძახილი: ესტატე, ესტატე!)

არამიძე. აქა ვართ, აქა. (ცაღკე) ჯანაბას რომ ვჰყოფილ- ვიყავ, ის მერჩივნა ახლა.

გამოსვლა 7.

იგინივე და უხვაძე

თეიმურაზ. ესტატე! ერთი კარგი სტუმარი მოგვდის და აბა თუ გამოიცნობ.

არამიძე. მომიცია გორის ციხე. აბაღე ვინ არის?

თეიმურაზ. ჩვენი ევგენ გონიერიშვილი.

არამიძე. კაი გონიერი შვილი იქნება, თუ მალე მაინც მოვიდა, თორემ (დაიკრავს მუცელზე) სადილისთვისა ჰსწუხს.

გომარელი. თუ თითონაც გონიერი შვილია, ნეტავი იმის დედასა.

თეიმურაზ. რა! ვერ იცნობ თუ?

გომარელი. ცნობით დიად ვიცნობ, მაგრამ სწორეთ გონიერია თუ არა, მგონია კნიაზმა ესტატემაც ვერ შეატყოს ახლა.

თეიმურაზ. აი, ღმერთის წყალობა შენა გქონდეს და ყოველს შენს კეთილის-მყოფელსა, როგორც კარგი და ჭკვიანი ყმანვილი კაცი ის იყოს.

არამიძე. ოღონდაც, ოღონდაც! ზდილი, ნასწავლი, სწორეთ პოლოჟიტელნი ყმანვილი კაცია.

გომარელი. მაშ მამასავით თითონაც გონიერი ყოფილა.

არამიძე. მამისა კი რა მოგახსენო. სახელი მაგდენად გათქმული არა ჰქონია.

გომარელი. მაშ გონიერის შვილს რათ ეძახიან.

თეიმურაზ. ეგ რა! შენც გომარელს გეძახიან, მაგრამ გომარეთი კი თვალითაც არ გინახავს.

გომარელი. კარგი ნახავსი, ძველი ეკკლესია არისო იქა, გამიგონია.

არამიძე. ახლა კი ვჰხედავ, რომა შენ სწორედ ზმებზედ შეშლილხარ და აღარა გაგეგება რა.

გომარელი. ღმერთმა ადღეგრძელოს გიორგი ერისთავი, გლუხარიჩი. მაშ ასეთს რასმე დასწერს ჩემზედ, რომ შეშლილზედ ნაკლები აღარ იყოს!

გამოსვლა 8.

ივინივე და ევგენ

ევგენ. ბატონს თეიმურაზს ვახლავარ.

თეიმურაზ. ოჰ, ევგენ, ჭეშმარიტად რომ დიდათ მასიამოვნე შენის მოსვლითა; ღმერთმა ხომ იცის, ისე მიყვარხარ და ისეთი პატივისცემა მაქვს შენი, როგორც ჩემის საკუთარის შვილისა და რა იქნება შე უღმერთო, რო ხან და ხან განგვანათლებდე ხოლმე. რისგან არი, რისგან არი... ბიჭო! დავით, დავით, უბძანე ცხენები დააბინავონ, კარგათ მოუარონ. ბიჭებს კარგათ დაუხვდნენ, გესმის, ჩვენებურათა.

ევგენ. *(მადლობის მაგიერ ხელს ჩამოართმევს)* დავითს გაუმარჯოს. დავით! მამა შენი ნუ წაგინყდება გაისარჯე და კნეინას ჩემ მაგიერად მოკითხვა და პატივისცემა მოახსენე. *(არამიძეს)* კნიაზს ესტატეს ვახლავარ. Как вы здравствуете?..⁶

ალექსი დგებუაძისა და ელისაბედ ელიაშას სიყვარულის ამბავი

მოქმედი პირები:

ალექსი – სამენგრელოს თავადი დგებუაძე.

ალათი – და ალექსისა.

დავით – იმერეთის აზნაური ელიავა.

ანნა – ცოლი დავითისა.

ელისაბედ – ასული დავითისა.

ზურაბ – ძმა დავითისა.

მარგარიტისა – გოგო ანნასი.

გრიგოლ – ძიძიშვილი ალექსისა.

სამსონ – ძმა გრიგოლისა.

ნაჩალნიკი ხონის უჩასკისა.*

შჩერბაკოვი – ადიუტანტი ქუთაისის სამხედრო ლუბერნატორისა.

ჭყონდიდელი – ეპისკოპოზი მენგრელიისა.

სტეფანე – ძმის წული ჭყონდიდლისა და მისივე დიაჩოქი.

გაგარინი – ლენერალ ლუბერნატორი ქუთაისისა.

გიგო – სიძე ალექსისა, ესე იგი ალათის ქმარი.

სისო – პერეოჩიკი** ლენერალ ლუბერნატორისა.

[**კონსტანტინე ქავთარაძე** – პერეოჩიკი ჟანდარმერიისა].

ნიკო – იმერეთის თავადი, სეკრეტარი*** ქუთაისის დეპუტატთა სობრანიისა.

* ნაჩალნიკი... უჩასკისა (რუს.) – უბნის უფროსი.

** პერეოჩიკი (რუს.) – თარჯიმანი.

*** სეკრეტარი (რუს.) – მდივანი.

ლაზარე – მეგობარი დავითისა.

სალომე – ცოლი ლაზარესი.

ტიმოთე – შვილი ლაზარესი.

ივანე – ყმა გიგოსი.

თევდორე – დავრდომილი გლახაკი, დავითის სახლში მყოფი.

ლუკა – ფარეში ელისაბედისა.

დიმიტრი – პომოშნიკი ოკრულის ნაჩალნიკისა.*

ვახტა – შინა ყმა ალექსისა.

გიორგი – ნათესავი ალექსისა.

[ალექსი] – მე ნაველ იმერეთშიდ, სანახავად დისა ჩემისა ალათის, დაყვავ ორი დღე და მესამესა დღესა ჩვეულებრივის ვიზიტითა მოვიდა ალათისთან ახალგაზდა ქალი. ფრიადს გამოკითხვაში შევიტყვე, რო იყო მხოლოდ შობილი ასული დავითისა, სახელად ენოდებოდა ელისაბედ, და უშორეს ამისა არა რასა ვიკითხვედი. მე საკმაოდ განვიცადე სახე მისი – ალერსიანი საუბარი და საქებელი ყოფა ქცევა. უჭვრეტდი დაკვირვებულად ყოველსა მოქმედებასა მისსა, დავათვალიერებდი მისგანვე განწყობილებასა ალათისა თანა, თუმცალა პირველის ნახვისთანავე ელისაბედისა, გულსა ჩემსა განენონა სიყვარული მისი. გარნა ჯერ კიდევ არ მომეცა დრო საუბრით დაახლოებისა, მხოლოდ რომელ, ელისაბედი დროთი დრო გულდადებით მხიარულისა თვალებით მიჭვრეტდა მე, და თითქმის ხშირად შეისარჩლებოდენ თვალნი ჩვენნი, მყისვე დამალავდა ჩემდამი მოცქირალს თვალებსა და სირცხვილისაგან ლოყებიც ჩაუნთლდებოდა. ამ სიამოვნებითა, თუ ვსთქვათ ფარულს ტანჯვას ქვეშე, დაყვავით ჩვენ ორი საათი. – მე შევნიშნე, რო მოაღწია ელისაბედის ნასვლის დრომან, დამინყო ტანმან ჟრჟოლა და გულმან კუნვა. – ფიცხლად გამოვარჩიე, რომ მეთხოვნა ალათისათვის, რათა სადილად და თითქმის სალამომდისინ დარჩენილიყო ელისაბედი.

* პომოშნიკი ოკრულის ნაჩალნიკისა (რუს.) – ოლქის უფროსის თანაშემწე.

ალათი: ელისაბედ, მე გთხოვთ რომ თქვენს დაუფასებელს პატივის ცემას დაუმატოთ ესეცა, რო დღეს სადილათ ჩემთან დარჩეთ.

ელისაბედ: დედა გამინყრება.

ალათი: მამა გიპატივებს.

ელისაბედ: შინ არ არის.

– აქ ვიპოვნი მარჯვე დროს და ვეტყვი: ძალიან სასიამოვნო იქმნება ბატონო, რო ცოტა ხანი კიდევ დარჩეთ.

ელისაბედ: *(მიიხედავს ალათისკენ)* შენ ნუ მომიკვტიე, გამინყრებიან.

ალათი: თქვენ გაქვსთ მიზეზი, რომ მე არ გაგიშვით.

– ამ დროს იძახიან: სადილი... მოიტანებენ სადილსა. დავჯდებით ჭამად. ნახევარს საათს უკან შემდგომად სადილისა, ჩვენ მოვისვენეთ განცალკევებულს სახლებში, გარნა მოსვენება ჩემი ამას შინა მდგომარეობდა, რომელ მსურდა თითქმის გაუნყვეტლად ჩემათ მეძახა: ელისაბედ! – სალამო ჟამს, ესე იგი შემდგომად ორი საათისა, ჩვენ ისევ შევიყარენით. დავჯედით მოსაიფობად. მოგვიტანეს ჩაი.

ალათი: *(ნარდს სტოლზე* დადებს)* ალექსი, თქვენ ითამაშე ელისაბედთან.

– დიდის კმაყოფილებით. – ელისაბედ განითლდება, ხმა არ იღებს, მაგრა შესანიშნელია, რო ისიცა თანახმაა. დავჯდებით სტოლზე, დავიჭერთ კამათელს ხელში: აგორე კამათელი, ბატონო.

ელისაბედ: არა, შენი ჭირიმე, თქვენ ინებეთ.

* სტოლზე (რუს.) – მაგიდაზე.

– არა! რიგია ყოველ შემთხვევაში კაცმან უჩვენოს ქალთა მორჩილება, და მეტადრე მე მსურს თქვენ დაგმორჩილდეთ.

ელისაბედ: *(მიიბრუნებს პირს)* ალათი, შენი ჭირიმე, უთხარი შენს ძმას, რო გააგოროს კამათელი. არ ვითამაშებ, შენ ნუ მომიკვტე.

– მაშ უკაცრავად არ ვიყო, გავაგორობ კამათელს და ვითამაშებთ. უკანასკნელ:

ელისაბედ: *(დაიჭერს კამათელს ხელში)* თუ ჩემი ბედია, შაში. სე *(გავაგორობს კამათელს. მოუვა შაში.სე. შეკრავს კარებს)*. კნიაზო, მომიტევეთ, კარები შეკრულია. გზა არა გაქვთ.

– ვანბობ: მართლა შეკრული მაქვს კარი. ამას იქეთ ჩემი გზა აღარ არის. – აიღებენ ნარდს. ელისაბედ მიდის სახლში, მაგრამ ხშირად მოწყენილის თვალებით შამომხედავს. – ჩვენ გავამგზავრებთ. მეოთხედის ვერსზედ გამოვესალმებით და მიდის, გარნა ხშირად უკან იხედება. – მეორე დღეს ალათი ნავიდა ელისაბედის სახლშიდ. ვიახელ მე. მიმიღეს ფრიად საამოდ. ელისაბედ სახლში უფრო თამამად იყო, და განსაკუთრებული პატივი მომიპყრო, მომიტანა რაოდენიმე სხვა და სხვა ხილები და ვსჭამე ამოდ. მთხოვა ნარდის თამაში. დიდის კმაყოფილებით დავეთანხმე. ამ შემთხვევაში ვიპოვნე თავისუფალი დრო, გავბედე და უთხარი: ელისაბედ, ესეთი ცეცხლი მაქვს, რო აღარ ქრების. მიინდა თქმა, რომ აგერ მოვკვდები.

ელისაბედ: *(საბრალოდ ამოიოხრებს)* შენი ცეცხლის ნაბერნკალი მეც მომხვდა მცირე, მაგრა მიძიმედ მწვავს.

– აქედან დაუმტკიცე ჩემს გულს, რო მოუთმენელად უყვარდი ელისაბედს. განვიზრახე ცოლად შერთვა. მსურდა გამომერჩივა პატივ-სადებელი პირები, და მეთხოვნა მშობლებთათვის

ნება შეუღვლისა ელისაბედისა თანა, გარნა განზრახვა ესე ჩემი ჯერ კიდევ არ შესრულებულიყო, მე დავინწყე მსვლელობა ელისაბედის სახლში. გამიცვენეს მშობელთა, და მიმიღებდენ შინაურულად. მე ხშირად ბედნიერ ვიყავი ელისაბედთან ნარდის და ქალაღდის თამაშობითა, და უამეს ყოველთა თავისუფალ საუბართა. — მრავალს ჩემ-მიერ გულითადას გამოკითხვაში გამომიცხადა ელისაბედმან, რომელ: „შენი სიყვარული მაქვს განუზომელი, მსურს რო ვიყვნეთ ჩვენ ერთისა ჰაზრისანი, გარნა მაბრკოლებს მე შიში მშობელთა, რომლებთადმი გამოცხადება მე არ შემიძლიან“. — მე უყურებდი კიდევ უმარჯვეს დროსა, რათა წინეთ განზრახვა ჩემი აღმესრულებინა. — არ ვიცი, ვითარის სახით მშობლებთ შეუნიშნავს, რო მიყვარს ელისაბედი და მსურს თხოვა მათთან, და საზოგადო შეკრებილებაში ანბობს დავით: „დგებუაძე ჩემს ელისაბედსა მთხოვს ცოლად. ნახეთ, რა სულელია, ჩემს მარგარიტისა გოგოსაც არ მივსცემ მეგრელსა“. — მე გავიგონე კიცხვა ესე დავითისა. მაშინ გულის ცეცხლი ჩემი ასკეცად გამიძლიერდა, და ელისაბედს მივსწერე. — „სატრფოვო სულისა ჩემისავე, ელისაბედ! სიყვარული შენი, რომელი პირველი ნახვისთანავე განენონა გულსა ჩემსა მეხად და ისრად, მე თქვენ მოუთმენლობითა ჩემითა ხან-დაუყოვნებლად გამოგიცხადეთ. თქვენ აღმასუბუქებელად ფიცხელისა ამის ჩემის გულის წყლულებისა მიჩვენეთ სრულიადი თანხმობა, და შემდგომ მისსა განზრახვა ჩემი, არა განშორებულ იყო შენგან, საყვარელო კვატუტა! მამასა თქვენსა საზოგადო შეკრებილებაში უკიცხივარ, ვითომც მე ვსთხოვე მას შეუღვლა თქვენთანა, და იგი მარგარიტისა გოგოსაც არ მომცემს. საჯეთ ეგე თქვენ, თუ რაოდენ ძნელ მოსათმენელ-არს ჩემგან. პირველად უიმედობა ჩემგან შენის შეერთებისა, და მეორედ კიცხვა საზოგადოებაში. მე გამოვარჩევ უკანასკნელ ღონეს, რო 12-ს იანვარს რიცხვშიდ, ესე იგი მომავლის შაბათს ღამეს წამოგიყვანოთ თქვენ მიუხედველად ყოველთა გარემოებათა, უკეთუ მხოლოდ არა წინა აღუდგებიან მგრძნობელობასა თქვენსა. გარდათქმული თქვენთვის მსხვერპლად თავის შეწირვისა, შენი ალექსი“. —

მეორესა დღესა მომივიდა პასუხი ჩემის მიწერილობისა. გავხსენ და წავიკითხე – სულელები ტკბილი ჩემო ალექსივო! რაოდენ ზომამდე სიყვარული თქვენი ენთების ცეცხლად გულსა ჩემსა, ეგე ოდენ და უმეტესცა მტანჯავს გაგონება მშობლებთაგან უთანხმოებისა ჩემის შენდამი შეუღვლისათვის; გარნა ღონე იგი, რომელ თქვენ გიპოვნისთ, მე აღარ შეგეცილებით. ვიტყვი, რომელ მე აღარ შემიძლიან, რო მშობელთა ჩემთა განუცხადო წინა-აღმდეგი სურვილისა მათისა, და არცაღა ძალ-მიძს სურვილსა თქვენსა უჩვენო უთანხმოება. მე მივანდობ თავსა თვისსა და ყოველსა ღონესა ჩემსა საკუთარს თქვენს მნებებლობაზედ და როგორც საუმჯობესოდ გამოარჩევთ, იგი იქნების სათნო სულისა ჩემისა. შენი ელისაბედი. – აქ უთხარ მე თოთხმეტთა უკეთესთა ყმანვილთა ჩემი ჰაზრი წინააღმდეგ მშობელთა ნამოყვანისათვის ელისაბედისა, და დანიშნულსა შაბათსა, დილით, წავედით, და ვახშობის ხანზედ, ესე იგი თერთმეტს საათს ღამისას, მივედით ღანირის სოფელში დავითის სახლში. ჩამოვხეთენ მე ცხენიდან და სამნი სხვა შევედით იმ ოთახში, სადაც ელისაბედ იჯდა კრავატზედ.* სტოლზე პრიბორს აწყობდენ.** – ანნა მეორეს ოთახში პირ ჯვარს იწერს. – თითქო ელისაბედმან არ იცის. წამოდგება კრავატიდან. დაიძახებს მაღალის ხმით: ვინა ხართ? – ნუ გეშინიან, მე ვარ, შენი ალექსი.

ელისაბედ: ვისი ალექსი?

– მაშინ ავიყვანე ხელით და გამოველ აივანზე. დავიძახე: ცხენი. კიბესთან მომაცენეს. ელისაბედ მივეცი გრიგოლს, შევჯექ ცხენზე, და ელისაბედ წინ დავიჯდინე. შექმნა ანნამ კივილი და სხვათაცა ქალებთა. გამოვარდნენ გლეხნი ათვრამეტნი ჯოხებით. ჩვენ გავსწიეთ, მაგრამ ეზოში მოგვეცა დაბრკოლება,

* კრავატზედ (რუს.) – სანოლზე.

** სტოლზე პრიბორს აწყობდენ (რუს.) – მაგიდაზე ჯამ-ჭურჭელს აწყობდენ („Прибор столомъ наддгмული თვითოს გვამისთვის თეფში მისის შესახვედრიითურთ“ – ჩუბინაშვილი 1973: 290).

რადგან მეზობელთა დავითისათა შეგვიკრეს ეზოისა კარები, და დაგვიწყეს სროლა ქვებთა და ჯოხებთა, და რაოდენიმე საჩინო გალახულებაც შეგვამთხვიეს. უკანასკნელ მივმართეთ ღობეზედ. ღობე, თუმცაღა იყო იმერულეზ გარდახურული, მაგრამ ცხენმან ჩემმან, დეზ მათრახ მწარედ დაკრულმან, გარდავარდა ღობესზედ ისრე, როგორც ზედ ვიჯედ ელისაბედიანათ. — ეზოში უვნებელად გარდავედით, მაგრამ გზებიც დაგვიჭირეს მდევართა. — მე იმ მხიარულებისათვის, რო ჩემი საყვარელი ელისაბედ ცხენზე ჩემთან მიჯდა, უთხარ მხლეთა, დაეცალათ ტანბაჩები მრავლობით, და ოდეს შექმნეს ხმოვანება ტანბაჩისა, შეშინდენ მდევარნი, ვითომც მათ ესროდნენ და ამ მიზეზითა განიბნენ. — აქ მოგვეცა ჩვენ გზა თვისუფალი, და გამოვიარეთ საზღვარი იმერეთისა, გარნა მაშინაც მოვიდოდით ჩვენ ჩქარა. მე და ელისაბედ კიდე ერთ ცხენზე ვზივართ. გამოვიარეთ ორმოც და ათი ვერსი სამ საათზე, და მოვანიეთ მახლობლად ჩვენის სოფლისა. ეხლა ვკითხე გრიგოლს: როგორა ვქნათ?

გრიგოლ: რაისა?

— ჯვარი უნდა დავიწერო ჩქარა.

გრიგოლ: დიახ, მაგრამ სადა გაქვს განზრახვა?

— თქვენს ეკლესიაზე ხუცესთან მაქვს მოლაპარაკება, რო იგი დამწერს ჯვარს თვინიერ წესიერობისათვის შედგინებისა.

გრიგოლ: მამ ჩემს სახლში წამობძანდით. —

— სამსონმან რო იხუოს?

გრიგოლ: რაო, რას იხუებს, ჩემი ძმა არ არის? ნახევარი ხო ჩემია ოჯახი, მე მიგიღებთ.

— ჩვენ წამოვედით ერთიან აღუწერელის მხიარულებითა და განცხრომით, და მოვედით გრიგოლის სახლში.¹

სამსონ: (გაკვირვებით) რა ანბავია?

— ვეტყვი წვრილად.

სამსონ: ეგ კი ჩემი საქმე არ არის. მე კი გარდაგეცლებით. – იძახის: დიაკონო, ჯორი...

– გამოუყვანებენ. შეჯდება და წავა. ჩვენ გათენებამდის საჭმელს ვჭამთ, და საკმაოდ შევექცევით ღვინოს. და შემდგომ გათენებისა, ორს საათს უკან, წავალთ ეკლესიაზედ. ხუცესი ადრე წირავს. ნაწირეზე მივეცი ხუცესს საკმაო ფულები და დავინერე ელისაბედთან ჯვარი. – ჩამოვედთ ისევ გრიგოლის სახლში. ნასადილევს ჩემნი მხლენი განიბნენ თვისად იმ განზრახვით, რათა მეორე დღეს მოსულიყვნენ გრიგოლის სახლში, და წამეყვანა ჩემს სახლშიდ ელისაბედი. მეცა წაველ ჩემს სახლში, რათა მექმნა მზადება შესახებელად ქორწილისა. – ორს ვერსზედ გრიგოლის სახლისა შემემთხვა კაცი და მიანბო: „შენს სახლში მოვიდა დავით თერთმეტის ცხენოსანის კაცით. იკითხა სადაობა თქვენი, ჩვენ განუცხადეთ უცნობელობა, და წავიდენ, არ ვიცით, სად“. – მე ისრევ დავბრუნდი. უთხარი გრიგოლს: წადი, ანბავი შეიტყვე! – გრიგოლ ცხენებს აკაზმინებს. შეჯდება და მიდის. – მე შევედი ელისაბედთან და მოვისვენე. შემდგომ ხუთის მინუტისა იძახის გრიგოლ: ალექსი. – რა გინდა?

გრიგოლ: დავით მოდის აგერ. ფიცხლავ კარები გარდუგდე.

– დავით და მისი მხლენი ეზოშიდ შემოაჭენებენ ცხენებსა. ყვირის: სად არის ელისაბედი? ტანბაჩას ხელში დაიჭერს.

გრიგოლ: დასწყნარდით, ბატონო, აქ არიან.

– დავით გრიგოლის ლაპარაკს ყურადღებას არ აძლევს. ჩამოხტებიან ცხენებზე. შეუკვრენ კარებსა იმ სახლსა, სადაცა მე ვარ ელისაბედითურთ.

ელისაბედ: არაფელია, მე გაუღებ იმათ კარსა. ან რა უნდათ, მე ხო შენი ვარ ჯვარ დანერილი ცოლი.

– ადგება და კარებს გაუღებს.

დავით: (აიყვანს ელისაბედს) ნუ გეშინია, შვილო. მაცალე, აბა რა უყო იმათა.

– წამოიყვანს და მეორე სახლის აივანზედ დაჯდება.

დავით: (იძახის ხმა მალლად) სად არის მამაძალი დგე-ბუაძე? მოვკლამ.

– მიველ მე: რატომ მკლავ? წამოვარდა. მომადო გულზედ გატენილი ტანბაჩა. დავინიე უკან და ხრმალზე ხელი დავიდე. დაბრუნდა. დაჯდა ელისაბედთან. – ამ დროს მოდის რვა ცხენოსანი კაცი, ესენიც დავითის მხლენი. –

დავით: (იძახის) ნუ ჩამოხტებით ცხენზე. ბიჭო, მოიყვანე ცხენი.

– შეაჯდენს და მიყავს ელისაბედი. მაშინ მე ფიცხლად შევჯე ცხენზე. გრიგოლი ჯერ კიდევ ჩამომხდარი არ არის ცხენზედ. დავდექით ეზოს კარებზედ. დავიძახე: ვინც კაი ბიჭი ხარ და წამოხვალ. – აქ ელისაბედს ვითომც გულს შამოეყრება. ანბობს: მოვკვდი, მოვკვდი. ჩამოიყვანებენ ცხენიდან. კითხვენ, რა დაემართა.

ელისაბედ: თავ-ბრუ მესხმის და გული მითრთის. ცოტა ხან სახლში მომასვენეთ.

– შამოიყვანებენ ელისაბედს სახლში. ანბობს: ცოტა მოვითმინოთ, თორემ ღმერთმანი მამას მოკვლენ. ალექსი ნუ გგონიათ თქვენ, როგორც სხვა ყმანვილები, ყველას დაგჩეხამთ. – აქ დავითს შეუვა გულში შიში. ცხენებს სასტუმროში დააბმენ, თვითონ სახლში დაბინავდებიან. ელისაბედ კი დავითს ყავს. – ამ შემთხვევაში გადის სოფლითი სოფლით ხმა, რო ალექსის

ცოლს ართმევენ. მოდიან ხალხნი გარნა უანგარიშონი, სულ აივსებიან ეზო და გარეთ უბანნი. მონყვეს განკარგულება ჭყონდიდლისა² აღკრძალვასა ზედა ჯვარის დანერისასა, გარნა ესე ვითარი უკვე წინეთ შესრულებულ არს. სამოქალაქო მხრითაც მოვა განკარგულება ჩაბარებისათვის მშობელთადმი ელისაბედისა. შეკრებიან ყოველნი ნათესავნი დავითისნი, გარნა ელისაბედის ნაყვანაზედ მე სრულიად უთანხმო ვარ. მსურს უჩვენო წინააღმდეგობა. — მეორეს დღეს მოვიდა უჩასკის ნაჩაღნიკი იმერეთის ნაწილისა. იძახის: მოურავი დაიბარეთ. მოვა მოურავი. ნაჩაღნიკი შვრება განკარგულებას მონოდებისათვის ადგილობრივის ნაჩაღნიკისა. იმავ საათზედ მოვიდა სასულიეროს მხრით არხიმანდრიტი (შეკრება ამა თანამდებობის პირთა და ფიცხლად ხელის მოკიდება საქმისა შემდგარი უნდა იყვეს ანნას მიერ განგებ ტირილისა და შეინრებულის სახით ვედრებისაგან). ახლა ვფიქრობ: თანამდებობის პირები შეკრბენ, იმერლებიც ასს კაცამდისინ არის, კიდევ ემატებათ, უეჭველად წამართმენ ელისაბედს. დაუძახებ გრიგოლს. ვეუბნები ჩემს განზრახვას: გეტყვი, ესლა უნდა ნავართვა მათ ელისაბედი, თორემ შემდგომ უფრო დამიძიმდება. შეიძლება მათ არ დამანებონ, ჩხუბი გაიშლება, მე ვერიდები ამას მხოლოდ, რო შენი სახლია.

გრიგოლ: როგორც თქვენ გნებავდეს. ნუ ერიდებით ჩემს სახლს. თუ თქვენი სურვილია, ამ მინუტშიდ განქარდეს არარად სახლი ჩემი და თვით მეცა.

— მაშინ დავიძახე: ბიჭო, ცხენები. — გამოიყვანებენ. დაიჭერენ ხელში. დავით და მისი მხლენი კარებს დაკეტენ და სახლს გაიმაგრებენ. — მე ჩემის მხლეებითურთ ნავალ პირის-პირ სახლზედ. — ამ დროს ადგილობრივი თანამდებობის პირები გაგვეცლებიან.

ნაჩაღნიკი: *(მომკიდებს ხელს. წამიყვანს თვისად)* რა გნებავთ, დაწყნარდით. დავითს შეგარიგებთ, რო ელისაბედი შენი ცოლი იყვეს.

– დიდი მონყალეზა იქნეზა, მაგრამ ტყუევილია.

ნაჩალნიკი: როგორც შენ მეტყვი, ისრე ვიზამ.

– მამ ელისაბედ მე მომეცით ეხლა, ჩემთან დავიჭერ. ამალამ აქ ვიყვეთ, ხვალ ჩემს სახლში ნამობრძანდით ერთიან, ქორნილს ვიზამ, გარეუქებთ და გაგიშვებთ.

ნაჩალნიკი: კარგი, კარგი. უბრძანე ამ ხალხთა, რო უკან დაინიონ.

– მიდის დავითთან. მოაქვს მოციქულობა შერიგებისა. დასცლიან იმ სახლსა, სადაც ელისაბედი არის. მე შევალ ელისაბედთან. ვნახამ, რო შეშინებულია.

ელისაბედ: ალექსი, მომკალი.

– რატომ, შენი ჭირიმე?

ელისაბედ: მამა ელის განკარგულებას, რო ჩემი თავი ნაგართვან შენ. ამ საათში ჩუმათ გაგზავნა ზურაბა. რუსის ჯარებს ელის.

– ეხლავ ნაგიყვან.

ელისაბედ: ჩხუბი იქნება.

– აბა როგორ ვქნათ?

ელისაბედ: მოვითმინოთ დალამებამდის. შენ მამას და სხვათა ისევ ის სახე უჩვენე, ვითომც გარიგების მოიმედე ხარ, ბევრს თქვენებსაც ნურავის გაანდობ ამ საიდუმლოს, ეცადე, რო ამელამ მე და შენ მარტოკა დავრჩეთ, და გავიპაროთ. ესენი ყველა აქ დავსტოვოთ. შემდგომ ხო მაინც დაამტკიცებენ, რო ჩემი სურვილი არის.

– მანემდის რო ჯარები მოვიდნენ?

ელისაბედ: არა, ეხლა ნავიდა ზურაბა. ამელამ იქეთ ვერ მივა.

– შემდგომ მცირისა ჟამისა გამოვალ მე იმ მხიარულებითა, ვითომ დავით გამირიგდება. – დალამებამდინ შევექცევით ჩვენ სხვა და სხვა სათამაშოებს. ვახშამს ჭამენ. დავით ელისაბედის სახლში წვება. მე შეუთვლი ნაჩალნიკს: თქვენი პირობა იყო, რო

ელისაბედ ჩემთან იქნებოდა. რატომ აღთქმასა თქვენსა სისრულესა არ აძლევთ?

ნაჩალნიკი: *(მიდის დავითთან)* ადექ, წამოდი, დაუცალე ალექსის სახლი.

დავით: ჩემი ნასვლა არ შეიძლება.

ნაჩალნიკი: მაშ ტყუვილი დამატყუვლებინე ის კაცები? ღმერთმანი, ეხლავ თავს მომჭრიან.

– დავით გავა მეორეს ოთახშიდ, გარნა ელისაბედის გაპარვისათვის მოშიშარი, ყარაულებს ანესებს სახლის აივანზე და ეზოისა კარებზედ. – მე შევედი ელისაბედთან და გამოვარჩიეთ გაპარვა. გრიგოლს უკანით ეზოს ღობე გაურღოვია და ცხენები მზათა ყავს. მე გამოვიყვანე ჩუმათ ელისაბედ, შევჯვადით ცხენებზე და მივეფარეთ. შემდგომად სამისა დღისა მითხრეს: შჩერბაკოვი მოვიდა ბეჟანის სასახლეშიდ, გეძებენ თქვენ. ვიკითხე: რუსები მოყვება? – მითხრეს: არა, იმერლები და ჩვენი საგამზრახოისა ჩლენი,* კინაზი გიგო ფალავა.³ – ვსთქვი: ნავალ, ვნახამ! წამოვიყვანე ელისაბედი და მოვედი ბეჟანის სახლში. – ეუბნებიან შჩერბაკოვს: ალექსი და ელისაბედ მოვიდნენ. მე მივალ შჩერბაკოვთან.

შჩერბაკოვი: *(ხელს გამომართმევს)* თქვენ ხართ ალექსი დგებუაძე?

– დიას!

შჩერბაკოვი: თქვენ წამოიყვანეთ ელისაბედი?

– მე წამოვიყვანე.

შჩერბაკოვი: ძალით თუ ნებით?

– ნებით.

შჩერბაკოვი: მაშ ვნახამ ელისაბედს.

– ინებეთ.

* საგამზრახოისა ჩლენი – [სამეგრელოს უზენაესი] სასამართლოს წევრი.

– შედის ელისაბედთან. მიყვება გიგო ფალავა. თავს დაუკრვენ და დაჯდებიან.

შჩერბაკოვი: ძალით მოგიტაცეს?

ელისაბედ: არა, ჩემის სურვილით გამოვეყვე.

შჩერბაკოვი: მაშ რატომ ჰკიოდი?

ელისაბედ: სრულიად არა.

შჩერბაკოვი: რადგან თქვენის სურვილით წამოსრულხარ, წამობრძანდით ჩემთან ალექსითურთ და შეგარიგებთ მშობლებთა.

ელისაბედ: რა საჭიროა.

შჩერბაკოვი: არ გებრალეება, დედა შენს რო, შენი მოშოვრებული, ლოყები დაპოტილი აქვს?

ელისაბედ: თუ ასრე უყვარვარ, აქ მოვიდეს და მნახოს!

– გამოვა ჩჩერბაკოვი. მომკიდებს ხელს. მეუბნება: რადგან ელისაბედის სურვილი არის, რო თქვენ იყვეთ მისი ქმარი, წამობრძანდით, მე შეგარიგოთ დავითსა. – ვეუბნები: თუმც ელისაბედ ნავა, მეც გეახლებით. შჩერბაკოვი დაბრუნდება ელისაბედთან, ეტყვის: უეჭველად უნდა წაგიყვანოთ.

ელისაბედ: თქვენ არ გექმნებათ ბრძანება, რო მე ძალით გამათრიოთ. თუ გნებავთ ჩვენება ჩამომართვით და წაბრძანდით.

შჩერბაკოვი: ჩვენებას მე არ ჩამოგართმევ.

ელისაბედ: თუ შენ არა, აი ჩემი ჩვენება.

– აძლევს მისის ხელით დაწერილს ქალაღდს, რო ის წამომყვა მე თავისის საკუთარის მნებელობით.

შჩერბაკოვი: ძალით წაგიყვან. *(მიინევს ხელის მოსაკიდებლად)*

ელისაბედ: *(წამოდგება)* იცი, მე კნეინა ვარ, პად-სუღში მიგცემ¹ ხელის შეხებისათვის.

¹ პად-სუღში მიგცემ – სასამართლოს გადაგცემ.

შჩერბაკოვი: ვინავატ,* კნეინა, მომიტევეთ.

ელისაბედ: (გამოვა კარში და დაიძახებს) ცხენი.

– შევჯდებით და მივეფარვით ტყედ. – აქ ელისაბედ დასწერს თხოვნასა, უგზავნის ჭყონდიდელს განცხადებას სურვილსა თვისსა შეუღვლისა ზედა ჩემთანა, ითხოვს საშვალობასა მოსპობისათვის საქმისა. – ჭყონდიდელი ყურადღებას არ მიაქცევს. იბარებს სამსონს, შეუწყრება სიტყვიერად, არ აძლევს ნებას ერთი სიტყვით, რო თქვას განსამართლებლად თავისა თვისისა. ახთის ანაფორას და თანამდებობა ჩამორთმეულს გზავნის იმავე საათში უდაბნოში სასინანულოდ. (გაურჩეველად ყოვლის გარემოებისა დასჯა სამსონისა და დაბრკოლება ჩემი ჭყონდიდელისაგან უნდა იყვეს მიზეზი ადრინდელისა მტერობისათვის მისგან მეგვარეთა ჩემთათანა). ხუცესს წარადგენს ბლალოჩინი, კითხავს მრისხანედ ჭყონდიდელი: ელისაბედ თანახმა იყო ჯვარის დანერაზედ?

ხუცესი: კი, ბატონო.

– ჭყონდიდელი თავის ხელით ანაფორას მოაგლეჯს, წვერებზედ დააფრინდება, შემდგომ იძახის: სტეფანე, წაიყვანე, დილეგში ჩააგდე. – სტეფანე ხუცესს წაიყვანს, დილეგში ჩააჯდენს. სამს დღეს ხუცესი დილეგში არის. – მიდის სტეფანე, ეუბნება: ჭყონდიდელი გიბრძანებს, უკეთუ შენ აჩვენებ, რო ძალით დაგანერინეს ჯვარი და ელისაბედ თანახმა არ იყო, მაშინ დაუხვებლად განგათავისუფლებს შენ.

ხუცესი: როგორც მიბრძანებთ, ისრე ვაჩვენებ, ოღონდ კი განმათავისუფლეთ ამ სატანჯველისაგან.

– სტეფანე ჭყონდიდელს მოახსენებს, ჭყონდიდელი სწერს ჩვენებას, ძალით წარმოტაცებული ელისაბედ მოიყვანეს ეკლეს-

* ვინავატ (რუს.) – უკაცრავად!

სიაზედ, ხუცესს ლეკური და ხანჯლები დააბჯინეს, და ძალით ჯვარი დაანერინეს, ელისაბედმან გვირგვინი გადააგლო ორჯელ, და მსგავსნი ამისნი. ხუცესს მოიყვანებენ, ნაუკითხვენ ამ ჩვენებას და ხელს მოანერინებენ და წარადგენს ჭყონდიდელი კანტორაში დამტკიცებულის ჰაზრის დაძენითა, რო ელისაბედ ძალით მოიტაცეს. კანტორა ქორწინებას არღვევს, ნამესტნიკს სთხოვს⁴ განშორებასა ჩვენსა და განკარგულებასა დასჯისათვის ჩემისა და ჩემთან მონანილეთა. – დაინიშნებიან იქედან გამომეძიებლად ლუბერსკის პროკურორი, და ჟანდარმის შტაბ ოფიცერი,⁵ რომლები უკვე მენგრელიის მმართველობის საშვალობით გვიბარებენ ყარაულ ქვეშ. – გარნა ჩვენ ვიფაროდით. შევიტყვევ, გაგარინი ქუთაისიდან წავიდა სოხუმში, და რადგან ქუთაისში ელისაბედის წაყვანაზე შიშნეულ ვიყავ, განვიზრახე სოხუმშიდ პირის-პირ გაგარინთან წარდგინება და ვინაიდგან გზაში იდუმალ წაყვანა ქალისა სამძიმო იყო, მისგამო ელისაბედს შეუკერე ტანისამოსი კაცისა, დავახურე ქუდი და ვკიდე ხანჯალი და წავიყვანე. – მივედით გაგარინთან. გაგარინი თავისუფლად ჰკითხავს ელისაბედს: ძალით მოგიტაცეს?

ელისაბედ: არა.

გაგარინი: ახლა რისი გეშინია, შენ სთქვი ნამდვილი გარემოება თავისა შენისა. უკეთუ ძალით მოგიტაცეს, ხედავ, ციხეში ორი პოლკი სალდათი მყავს, ალექსის აქ დავიჭირავ და შენ ზღვით გაგგზავნი იმერეთშიდ.

ელისაბედ: თუ ალექსის თქვენ უსამართლოდ აქ დაიჭირავთ, მე თავს მოვიკლავე.

გაგარინი: თუ მართლა თქვენი სურვილით წამოსრულხარ მშობელთაგან, თქვენ განაცხადეთ ესე ქუთაისს გამომეძიებლეთან. მე გარწმუნებთ, რომელ არ განგაშორებენ ალექსის.

– ამ იმედით ჩვენ ისრევ მენგრელიაში წამოვალთ, გარნა ვსცხოვრეფთ მიფარვით. – და ელისაბედმან მისწერა დავითს წიგნი, რომ მიუტეოს შეცოდება მისი, შეიბრალოს, რომ იგი დღე და

ლამ ტყეში სცხოვრებს, და შეითვისოს ვითარცა მხოლოდ-შობილი ასული. – პასუხისაგან ელისაბედის მიწერილობისა, აღმოჩნდა, რომელ დავითს სურს შეგვირიგოს ჩვენ და ყოველი მყობადი შეცოდება მოგვიტეოს, უკეთუ დავეთანხმები მე დარიგებასა მისსა. – შემდგომ ამისა განგრძელდების მიწერ მონწერა ჩვენ შორისა. – უკანასკნელ დავით გამოვა მენგრელიაში. მიბარებს მე ჩუმათ. მივალ და ვნახავ. მეუბნება: აქამდის თუმცალა მსურდა, რო ელისაბედ წამერთმია შენთვის, და შენ ცინბირში დამეკარგე, გარნა ვინაიდგან ან სრულიად დარწმუნებული ვარ, რო ელისაბედს უყვარხარ შენ და სურს მეუღლეობა შენი, ამისთვის მეც მსურს, რო შეგითვისოთ თქვენ ვითარცა შვილი. მხოლოდ რომელ უნდა შემწიოთ თქვენ დაბრკოლებისათვის ადრიდანვე მტერისა ჩემისა, თქვენის სიძის გიგოსი. – მე არ დავერწმუნები ცალიერსა სიტყვასა დავითისასა. იგი დასამტიკიცებელად მისი სიტყვისა, წამყვება ეკლესიაში, და წინაშე სასწაულთ მოქმედის სერგიეთის წმიდის გიორგის ხატისა მაძლევს ფიცს: ამიერიდან გითვისოთ თქვენ, ვითარცა შვილი, არ წაგართვა შენი ელისაბედი და არცალა თქვენი დაბრკოლება ჩემმან გულმან ამიერიდან არ განიზრახსო. – გამოვალთ ეკლესიიდან. დავით მკოცნის მე. მამაშვილურის აღერსით მეუბნება: მითხარ, შვილო, უკეთუ შემწე იყო თქვენთან გიგოს წამოყვანასა ზედა ელისაბედისასა? – ტყუვილს ვერ გეტყვიოთ, მამავ, სრულიად არაფელი იცოდა გიგომ.

დავით: შენ ხომ ჩემში ან იჭვი არა გაქვს? უნდა ვეცადოთ, რო გიგო გავსვაროთ ამ საქმეში. თქვენ გეძებს ფიცხლად მართებლობა, და იყავით მიფარულად. მე კი უნდა ვიცოდე, თქვენ სად იქმნებით, მიწერ მონწერაც უნდა გვექნეს ერთმანეთში, წავალ მე ქუთაისში, ვეცდები, რო საქმე მოვსპო და თქვენ განათავისუფლოთ.

– მეთხოვება მშვიდობით: ელისაბედ თვალეში მიკოცნეო. წამოვალ მე ელისაბედთან მხიარულის გულითა. მოვალ, დაუ-

დახებ: მახარობელი ვარ, დავით გაგვირიგდა! – ელისაბედ გამოვარდება კარში და არ დაიჯერებს. ამოვიღებ ჯიბიდან და ვაძლეე დავითისაგან დანერილს ფიცის ფურცელს.

ელისაბედ: ეხლა კი დავიჯერებ, რო შენი სიმამრი არის.

– მკითხავს ანბავს და ვეტყვი წვრილად. – ელისაბედ მადლობას სწერს მშობლებთა შერიგებისათვის. მადედანაც წიგნი დაუდის და მოსაკითხებიცა. – შემდგომად ორის კვირისა, ელისაბედს მუცელი ასტიკვდება (ორი თვის ორსული იყო). ანბობს: ვაი თუ მამამ სიცრუე იფიცა, და მე მინია იმისმა ფიცმან? – მე არ დავიჯერებ. – ელისაბედს ტკივილი უფრო უმძიმდების. სალამოს გავიხედავთ, მოდის დავით. – ვანბობ: აი, თუ ბედნიერი არა ვარ. ელისაბედს, ავათ მყოფს, ძლიერ ანუგეშებს მამის ნახვა, და უმეტეს ესე, რომელ უეჭველად საქმესაც მოსპობდა. – გავეგებები დავითს. მივიალერსებით მამა შვილურად. შამოვა. ნახავს ელისაბედს, რო ძლიერ ავათ არის. ეუბნება: ნუ გეშინია, შვილო, შენთვის საუმჯობესოა, რო ახლა მოგევნოს შვილი, რადგან ჯერ შენა ხარ ყმანვილი. – დავით გვიანბობს: პროკურორსა ვთხოვე, და გიგო ნაობახტში დაიჭირა. მსურს ცოტა ხანი იყოს დაჭერილი, და შემდგომ მოვსპობ საქმესა, მანამდის თქვენ უნდა მომითმინოთ. – იმ ღამეს დავით ჩვენთან არის, გარნა ელისაბედის ავათ მყოფობა უფრო განძლიერდების. დილით ანბობს დავით: მე წავალ ბატონიშვილებში და ელისაბედს მოუტან ნამლებს. სალამოს მოდის დავით, და მოყვება რუსულად ჩაცმული ჩინოვნიკი: ვკითხავ: ვინ არის ეგ უცნობი კაცი? – მეუბნება დავით, ეგ გახლავს სისო ჩალოფევი, გთხოვთ იცნობდეთ, პერეგოჩიკი ღენერალ ღუბერნატორისა. მე გავიცნობ. მივიღებთ სახლში. მომილოცავს სისო, ანბობს: მიხარია, რო დავით გაგირიგებიათ. – დავით ანბობს: გაურიგდი ღვთის წინაშე. – იმ ღამეს ელისაბედს მოევენება შვილი, და ძლიერ ავათ მყოფი არის. დილით დავით მიდის. გვიბარებს: მე მივალ შინ, წამალს გამოვგზავნი ელისაბედისთვის. თქვენ რო-

გორმე წადით თქვენს სახლში. სთხოვეთ დედოფალს, რო მან მთხოვოს მე პატივი თქვენი.⁶ მე იმას მივამადლებ, და მოვსპობ საქმეს. – დავით წავა. მე ელისაბედს დავანვენ ტახტ-რავანზე და წამოვიყვან ჩემს სახლში. სისო ჩვენ მოგვყვება. ვკითხვავ: სანამდის შენი გზა?

სისო: თქვენთან.

– რაზედ?

სისო: საქმე მაქვს თქვენთან.

– მოვალთ ჩვენს სახლშიდ. ელისაბედ კიდევ ავათ არის. – სალამოს მოდის დავითის მსახური. ვკითხამ: რაზე მოსულხართ? ანბობს: გამომგზავნეს ელისაბედის მშვიდობის ანბის საკითხავად. – ჩვენ შევიტყობთ, რო დავით და ანნა ორმოცის ცხენოსნის კაცითა მენგრელიის საზღვარზედ არის გაჩერებული, ანბობს: დგებუაძე დაიჭირა სისომ, და ჩემი ელისაბედი ტახტ-რავანდით მოყავენ. – ელისაბედ გაფიცბდება. ტირილს დაიწყებს დაუნდობლობისათვის მშობელთაგან. – მე მივალ, ვკითხამ სისოს: მართლა თქვენი განზრახვა არის ჩემი შეპყრობა?

სისო: არა. ძალით არც ელისაბედს წავიყვან, და ნებით კი ორივე უნდა წამოხვიდეთ გაგარინთან ქუთაისში.

– უკაცრავად! ჩემს შეპყრობას ნუ იფიქრებ და, როდესაც ელისაბედ მორჩება, დიად წავალთ.

– მეორეს დღეს გავიხედეთ, მოდის ანნა. ვეტყვი ელისაბედს: დედა შენი მოდის.

ელისაბედ: რა პირით მოდის ჩემი დამტანჯველი?

– გავეგებები ანნას. ცხენზე ჩამოვიყვან. დამკოცნის. შევალთ სახლში.

ელისაბედ: (ნამოჯდება და ანბობს) დედა, რა პირით მოხვედლი ჩემთან შე უბედურო? აი შენი ქალობა, ერთი შვილი მოგცა ღმერთმან და იმასაც კლავ. სიკვდილიც არ მაცალე, ყარაული დამაყენე. გინდა ალექსის მომაშორვო, არ გრცხვენთან?

ანნა: (დაინყებს ტირილს) ჩემი ელისაბედ მოუჯადვენ, რას ანბობს, არ იცის. არა, შვილო, ნუ გეშინიან, დავით სულის წმინდის გამობაში არ შევა.

ელისაბედ: მე ვიცი შენი განზრახვა, მაგრამ ღმერთი არ შეგისრულებს.

– ანნა თერთმეტი დღე ჩემს სახლშია. სისოც აქ არის. – მე ღამით სახლში არ ვწვები თავ დასხმის შიშისათვის. ყოველ ღამ გავიყრებით. ელისაბედ და მეც ვსტირით საბრალოდ, რო ყოველნი მოყურადენი ჩვენნი დაიღვრებიან ცრემლით.

ელისაბედ: (დამიჭერს ხელს) დედა, ამას უნდა მომაშორვოთ მე? ღმერთი როგორ წარგიმართებს თქვენ.

ანნა: თქვენს განმაშოვრებელს ღმერთი მოგიკლავსთ.

– ელისაბედ დასწერს თხოვნას გაგარინთან, სთხოვს დროებას წასვლასა ზედა ქუთაისსა ავით მყოფობისათვის მისისა, აძლევს სისოს. – სისო გაგზავნის მისის მოხსენებითა ქუთაისში, გარნა არ ვიცით, თუ რას მოახსენებს. – სისოს პასუხი მოუვა ქუთაისიდან, მაგრამ ჩვენ არ გაგვიმხელს. – სისო, თერთმეტი დღის სახლში ნამყოფი, გამინაურებულია, ხუმრობით შეეჭიდება გრიგოლს, და ამ შეჭიდებაშიდ ჯიბიდან სისოს წიგნი დაუვარდება. გრიგოლ აიღებს, წაიკითხავს: „ღენერალ ღუბერნატორმან ბრძანა თქვენგან შეპყრობილი თავადი ალექსი დგებუაძე წარმოადგინეთ ფიცხელს ყარაულს ქვეშე ქუთაისს, ხოლო ელისაბედი ჩააბარე მშობელთა. პოლკოვნიკი ილინი“. – რა ეს შევიტყვე, ძალიან სანყენად დამრჩა, მაგრამ მაშინაც არა რა ვსთქვი, ვითომც არა ვიცი რა. ანნა იმავე საღამოს წავიდა სახლში. – მეორე დღეს ისრევ მოვიდა ანნა და დავითიც მოყვა. –

დავითს ვაყვედრე დაუნდობლობა და ფიცის გატეხა, გარნა იმან განიმეორა პირველი ფიცი, რო ჩემის დაბრკოლების განზრახვა არა აქვს. – სამს დღეს კიდევ არიან, და არას ანბობენ. ვკითხე სისოს: თუ სტუმარი ხარ, საკმაო დროა, რაც ჩემ სახლში ხარ, თუ მონდობილება რამე საქმე გაქვს, ხელ-ყავ აღსასრულებლად.

სისო: აუცილებლად უნდა წაგიყვანო ქუთაისში, და ელისაბედ მშობელთა უნდა ჩავაბარო!

– როგორც თქვენ გენებოსთ, ერთ საათამდის დავაბოლავებ მე ჩემს განზრახვას.

– შევჯდები ცხენზე და მივდივარ. დავით და ანნა შეშინდებიან. სისო ხრმალს დაიკიდებს, ანბობს: დღეს უნდა მოვკვდე მე ხელმწიფე იმპერატორის სამსახურში. – ნახევარს ვერსზედ ჩემის სახლისა მეძახის ბიჭი: ელისაბედ გიბარებს. – დავბრუნდები, შევალ სახლში, ვნახავ სტირის. მე ცრემლი წყაროსებრ თვალთაგან ჩამომდინდება.

ელისაბედ: გულ ფიცხელობით ნუ დავიღუპავთ თავს. სჯობს სხვებრ გამოვარჩიოთ.

– აბა როგორ, მითხარი.

ელისაბედ: ჩვენ გავეპაროთ ამათა.

– როგორ შეიძლება. ჯერ რო, შენ ავათა ხარ, და მშობელნიც აღარ გცილდებიან.

ელისაბედ: ჩემი ავით მყოფობა მაშინ უფრო საღმობიერი იქმნება, როდესაც მე შენ აღარ გიჭვრეტდე, ხოლო დედ მამის გაპარვასა მე მოვახერხებ. თქვენ გინდა თქმა, რო სისოს დაეთანხმოთ ქუთაისში წასვლისათვის. ვქნათ მზადება, ვითომ ქუთაისში მივდივართ, და ვახშობის ხანზედ გავიპაროთ.

– გამოვალ კარშიდ. ვეუბნები სისოს: მომეც სიტყვა პატიოსანი, რო არ მიღალატო.

სისო: მე მიგიყვან გაგარინთან. განუცხადებ ყოველს შენს სიმართლეს. ჩვენებას ჩამოგართმევენ და გამოგიშობენ. დავიფიცავ ხატით, რო არ დაგიჭირონ.

– მე ვითომც მომცთუნებელის იმედით თანახმა ვარ და ვემზადები ქუთაისში. გრიგოლ თავს დაგვიკრავს. სახლში მიდის, ანბობს: დილას გიახლებით ქუთაისში წასასვლელად. – შეჯდება ცხენზე და წავა, დაბრუნდება ჩუმათ და ტყეში გაჩერდება, ცხენებს დაამზადებს. ამ დროს დალამდება და დავსხდებით ვახშმათ. ელისაბედ წევს კრავატზედ, გრიგოლ უკანა აივანის პოლზედ* გაჩერებული არის. ელისაბედს ვითომდა მუცელი სტკივა და ხშირად კარში დადის. ჩვენ მხიარულს შექცევაში ვართ. ადგება სისო (ჭიქა ხელში უჭირავს): ალექსი, ღმერთმან გადღეგრძელოს, ეს შენი დედ მამა ღმერთმან ნუ მოგიშალოს.⁷ ქუთაისში კიდე ასრე ერთად შეკრებილს შენი სადღეგრძელო გვისვამს. – ეგრეთვე დავით და ანნა ჩემს სადღეგრძელოს სმენ. მე მადლობას გარდაუხთი. – ელისაბედ ადგება კრავატიდან, და გავა უკანა აივანზედ. კიბეზედ გრიგოლ დახვთება, აიყვანს ხელით და ჩაიყვანს ძირს, შეჯდებიან ცხენებზე და წავლენ. დავითს ხილს მოართმენ. დაიჭერს მსხალს ხელში, იძახის: ელისაბედ! – ხმას არ იღებ ელისაბედ. – მსხალს არ მიირთმევ? ელისაბედ კრავატში აღარა წევს. ეუბნებიან: კარში გიახლათ.

დავით: ქარია, გაცივდება.

– მართლა გაცივდება. შამოვიყვან.

– ავდგები. გავალ კარში. ბიჭი ცხენს დამახვედრებს, შევჯდები და მივეწევი ელისაბედს. – გრიგოლს უკან დავაბრუნებ, ვეტყვი: ანბავი შეიტყვე. – გრიგოლ მივა ჩემს სახლშიდ. ცხენს ტყეში დააბამს, ფიქრობს: არ დამინახონ. გარნა ეზოში არავინ დადის. შეხედავს, სახლის კარები დაკეტილია, შევა აივანზე,

* პოლზედ (რუს.) – იატაკზე.

იხედება აკოშკაში,^{*} ხედავს, რო სისო დადის, ოხვრით ანბობს: – დავიღუპე, გამაუბედურებენ. ნეტაი ღენერალ ლუბერნატორისთვის არ მომეხსენებია, რო დგებუაძე შეპყრობილი მყავს მეთქი. ეხლა რათი უნდა გავიმართლო თავი, შენი ბრაღია დავით, ცოლიანათ ჩაუჯედი ამ კაცს სახლში ეს თუთხმეტი დღე, დაუნყე სხვა და სხვა მუქარა, შეშინდენ და გაიპარენ, თორე მე უეჭველად მოვატყუვილებდი იმათა.

დავით: შე დალოცვილო, დაეგდე აქ ჩალვადრის ტომარავით, ვერა მოახერხე რა, შენ მაშინვე უნდა დაგეჭირა დგებუაძე.

სისო: გიჟია ე კაცი. ლომივით კაცს მე შევეტაკებოდი თუ? ჯარი არა მყავდა ახლოს, რუსები არსად იყო, თორემ გახსნილი ფურცელი მქონდა, თუ უნდ მრთელს როტას მოვიყვანდი, ვაგზავნე კანვერტები და პასუხი არა მომივიდა რა.

– ანა ეყიჭინება დავითს და გურულს: რატომ ერთი ტანბაჩა არა კარით დგებუაძეს, რო ამოდენს ხანს ჩვენთან იყო? – გრიგოლ ამ ანბავს მოგვიტანს. დავით, ანნა და სისო დილას ნავლენ ქუთაისში. მე ელისაბედს დედოფალთან ნავიყვან იმ თხოვნით, რათა წარადგინოს გაგარინთან. მე დავიმალება. ელისაბედ დედოფალთან მივა, ცრემლით ევედრება შეენიოს რამე, დედოფალი ნუგეშს აძლევს, და მიწერილობითა ისტუმრებს გაგარინთან. – ელისაბედ და მე ისევ შევიყრებით ქუთაისში მგზავრი. – ღმერთო ჩემო! ყოველს ჩემს თავზე გარდასავალს გრძნობდა მაშინ გული ჩემი, თვალთა ჩემთა ერთი მიწუტიც არა სცალოდა, რო მარად ცრემლი წყაროსებრ არ სდენოდეს, გული ჩემი იწოდა ფერად ფერადის ცეცხლითა. – ელისაბედიც გაუნყვეტლად სტიროდა. ჩვენ მრთელი ღამე ამ გვარს მწუხარებაში და ტირილში გავატარეთ. მეორე დღეს მე მივყვე იმერეთის საზღვრამდის და, როდესაც ისინი მდინარეში უნდა გასრულ-იყვნენ ნავით, ღმერთო, რა განუზომელს მწუხარე-

^{*} აკოშკაში (რუს.) – ფანჯარაში.

ბაში ვიყავი, რო არა უწყოდი ვინა ვიყავ და სადა. – ელისაბედ საცოდავი მტირალი მეალერსებოდა მე, მკოცნიდა თვალებში, და მუნით ჩამომდინარეს ცრემლებს მინმენდა მე ცხვირსახოცითა თვისითა. – თუმცალა მე მანუგეშებდა, გარნა თვით მტერთაგანაც შესანყალბელი იყო. გამომეთხოვა ელისაბედ, მკლავზედ ქარვა მარგარიტ-გარეული შემაბა, მოიჭრა თმა თავისა თვისისა, და მომცა ნიშნად მოუთმენელისა ხსოვნისა, მითხრა: მშვიდობით ჩემო საყვარელო. მალე ვნახამთ ერთმანეთს. – ჩაჯდენ ნავში და, როგორც უყურებდი, ისრე გაილაგენ მდინარეში. მე იქ გაჩერება ვერ გავსძელ, ფიცხლად შევჯე ცხენზე და განვედ ველად (რვა თვე შესრულდა, რაც ელისაბედ ჩემთან იყო). – ელისაბედ ქუთაისში მიიყვანეს. დავით იქ არის. წარადგინეს გაგარინთან. ელისაბედს თხოვნა გაკეთებული ხელში უჭირავს და სტირის.

გაგარინი: საჭირო არ არის შენი არძებო!

– მოკიდებს ხელს, მისცემს დავითს, ეუბნება: წაიყვანე. დავით ჩაიჯდენს დროშკაში ელისაბედსა და მოიყვანს პოლიც მისტიერის სახლში. – გრიგოლი ქუთაისშია, გარნა დაჭერი-სათვის შიშნული იმალება და, ოდესაც ცნობს, რო გაგარინმა დავითს ჩააბარა ელისაბედი, ფიქრობს: რა ვქნა? თუ ალექსის შეუთვალო, შეიძლება იმას შეუდგეს უეცარი სიკვდილი, თუ არა, ჯერ არ იცის ელისაბედ რა მდგომარეობაშია. – მაშინ მოდის ბიჭი, ეუბნება: ელისაბედმან შამოგითვალა, ნუ გეშინიან, ჩემს ანბავს შეიტყობ, ჩემი ყუთი და სხვა ბარგი რაც გაქვს, გამომიგზავნეო. გრიგოლ გაუგზავნის ყოველსავე, და მისწერს: ხელმწიფა ელისაბედ, ვიცი მოგაგონდებათ, თუ რა მდგომარეობაში დასტოვეთ თქვენი ალექსი. მე ვგზავნი კაცს, მიბრძანეთ, რა ნუგეში მივსცე? – ელისაბედ მე მწერს კარანდაშით მცირეს ბარათს: მე დრო არა მაქვს შენთნ წიგნის მოწერისა, ეცადე თავი კარგად დაიცვა, ჩემგან შენი განირვა არასოდეს არ შეიძლება. – ელისაბედ პოლიც მაისტერის სახლშია, გარნა ყოველნი

მნახველნი შენიშვნენ, რომ უყვარვარ ფრიად და მარად მტირალია. – ეუბნებიან დავითს: დაარწმუნე შენი გული, რო ელისაბედისაგან დგებუადის მოშორება არ შეიძლება და უმჯობესია გარიგების ქალაღდი შეიტანოთ. დავით ამ გვარის ნათესავების დარიგებას ყურს არ უგდებს, ფიქრობს: აქ ხშირად დადიან მნახველები, მეგრელებსაც უყურებს, სიყვარული უფრო გაუცხელდების, სჯობს მყუდროს ადგილზე ნავიყვანო. – ნაიყვანს ლაზარეს სახლშიდ. გაგზავნის საჩქაროდ კაცს, და მოვა ანნა. ელისაბედს კოცნის. მოულოცავს: ეშმაკის ხელიდამ გამოსულხარო. დავით ჩაუფურჩუნებს: ნუ აწყენინებ ჯერ ელისაბედსა. – სამი დღე ელისაბედ კიდე არ დაუბარებია გამომეძიებელთა. სწუხს და ტირის გაუნყვეტლად. დავით და ანნა დაუნყებენ ტკბილსა ალერსსა, და კითხვენ ელისაბედს: როგორ გაქვს განძრახვა გამომეძიებელთა ჩვენებისა?

ელისაბედ: ჩემი განძრახვა კიდე საკითხავია? მე ალექსის, თვინიერ სიკვდილისა, ვერა მომამორვებს რა.

დავით: განა მე არ ვიცი შენი განძრახვა, მაგრამ როგორმე გიგო უნდა დავაბრკოლოთ. *(მიიშვერს ხელს მღვთის მშობლის ხატზედ)* თუმცალა შენ იტყვი, ძალით მომიტაცეს, მაშინვე პროკურორს დავითანხმებ, გარიგების ქალაღდს შევიტან და ამ ერთს კვირაშიდ ალექსის აქ გიჩვენებ.

ელისაბედ: მამავ, მე თუმცალა საქმეში გამოუცდელი ვარ, მაგრამ ვიცი, რომელ, უკეთუ მე ვიტყვი ძალით ნარტაცებასა, მაშინ ალექსი ჩემის ხელით იქმნება დაკარგული, დაარწმუნე თქვენი გული, რო უკეთუ მე ალექსის მალე ვერ ვნახამ, და თქვენ იმის სიბრალულს ვერ შეგატყობთ, რიონში თავს დავიხრჩობ.

– დავით დაფიქრდება ელისაბედის ლაპარაკზედ, შეუჩინს ბევრს ნათესავებს კაცთა თუ ქალთა, გარნა ელისაბედის ჰაზრის გამოცვლას ვერ შესძლებენ. – დავით და ანნა სახლში არ არიან. მოდიან ელისაბედის მნახველები. შამოდის კოსტანტინე ქავთარაძე, თავს დაუკრავს, ჰკითხავს: როგორ მშვიდობით

ბრძანდებით? – ელისაბედ მაღლობას სწირავს (წინათვე იცნობდა, რო ის იყო ჟანდარმის პერეოდჩიკი), ეტყვის: კოსტანტინე, არ გებრალეები რო ამოდენა ხანია უკითხავად ვარ და ვკვდებიო?

კოსტანტინე: (განკვირვებით) მამაშენმა განაცხადა, რო შენ ავათ ხარ და მისთვის დააგვიანეს დაბარება შენი.

ელისაბედ: მე დიად ავათა ვარ, და არც მოვრჩები. ღმერთმან ნუ ყოს ჩემი სიცოცხლე, თუ ალექსის მომაშორონ, მაგრამ თქვენ კი ამას გთხოვთ, რო ჩემი კარგათ ყოფნა ჟანდარმს განუცხადო, და დამიბარონ საკითხავად.

– კოსტანტინე დაუკრავს თავს, გადის ჩქარა. – შამოდიან დავით და ანნა. – სალომე გაიხმობს დავითს, ეუბნება: ჟანდარმის პერეოჩიკი მოვიდა, ელისბედმან სთხოვა ჟანდარმთან საშვალობა დაბარებისათვის მისისა. – დავით ჩქარა გავა. – ანნა მართავს მუზიკას და ეუბნება ელისაბედს: ნუ მოსწყინდები, გეთავყვანე, ყოველთვის მონყენილს ნუ გიყურებს ჩემი თვალები. –

ელისაბედ: (საბრალოდ ცრემლს გადმოყრის) რა სამხიარულოთ საქმე მაქვს? იცოდე, ჩემი სიცოცხლე არ იქმნება. თქვენი სიტყვა და მოქმედება რალაც ცეცხლად მედება გულშიდ.

– შამოვა დავით, შემოყვება ნიკო, თავს დაუკრავს ელისაბედს. აღანთებენ სანთელს და დაჯდებიან.

დავით: კნიაზ ნიკო, ჩემი ელისაბედ სწუხს, მიუმხვდარობით ჩემს სიტყვებს არ მიჯერა, მეც მანუხებს და თავის თავსაც ინუხებს.

ნიკო: რასაკვირველია გზაში დარიგებული ეყოლებოდათ მეგრელებთა.

– დავით ადგება, ნიკოს ხელს მოკიდებს, იტყვის: ჯერ ღმერთი და მერმე ეს მომიცია თავდებათ, თუ შენ ჩვენი

დარიგებისამებრ აჩვენებ გამომეძიებლებთან, ალექსისთვის გარიგების ქალაქი შევიტანო. – ნიკოც, თანახმად დავითისა, უფიცავს ელისაბედს, და აძლევს დარიგებასა, თუ როგორ აჩვენოს.

ელისაბედ: (ტირილით) ცოტა მომითმინეთ. (ესენი გავლენ და დივანზედ წამონოლილი მდაბლის ხმით ანბობს) ღმერთო! შენ იცი, რა უღონო ვარ, და როგორ ძალით მართმევენ ჩემს საყვარელს. მაფიქრებინე ისრეთი, რო სიკვდილით ან სიცოცხლით გადავრჩე ამათ. (ფიქრობს) მოდი დაემორჩილდე ამათა, როგორც დამარიგებენ, ისრე ვიტყვი, მე საქმეს რას დავდევე, შეიძლება ვიპოვნო მარჯვე დრო და გავეპარო დედ მამასა, ჩემს ალექსისთან მივალ, და მერმე საქმე როგორც უნდათ, ისრე დახლართონ. მე ხო იმასთან მოვკვდები!

– გამოვა ელისაბედ მხიარულად.

დავით: სიცოცხლეო ელისაბედ, შენმან ფიქრმან ხო არ განინალმდეგებინა ჩვენთვის? –

ელისაბედ: როგორც თქვენ და ეს ჩემი თავდები დამარიგებს, ისრე ვაჩვენებ გამომეძიებლებთან.

ანნა: მე არ კი ვთქვი, რო ჩემი ჭკუიანი ელისაბედ მეგრელები-საგან გაბრიყვებულა მეთქი.

– ნიკო დარიგებებს გარდასცემს ელისაბედს, ეუბნება: თუ რამ ტყუვილი გითხრა, ღმერთის წინაშე პასუხის მგებელი ვიყო.

ელისაბედ: (ხელს გამოართმევს) ნიკო, ჩემი თავდები ხარ?

ნიკო: დიალ, დარწმუნდი.

ელისაბედ: აბა ღმერთმან გკითხოს, თუ ტყუვილს მეუბნებოდე.

ნიკო: (თავს დაუკრავს) კიდევ ვნახამ ჩემს მოვალეს ელისაბედს.

– დავით მაშინვე წავა, პროკურორს მოახსენებს, რო ელისაბედ დავითანხმე, და მეორე დღეს დილით 9 საათზე შამოვა კვარტალი ნადზირატელი.* ეტყვის დავითს: გამომეძიებლნი გიბარებენ შენ და ელისაბედს.

დავით: გაიხლებით.

– და ნაიყვანს ელისაბედს. (რვა დღის უკითხავია ელისაბედ) მივლენ გამომეძიებლებთან, ჩამოართმევენ ელისაბედს ჩვენებს. – ელისაბედ ანბობს: ძალით მომიტაცეს და მზგავსთა ამისთა.⁸ – პრედესუსტვენნიკმან ჟანდარმან** ქართული არ იცის, და პროკურორი ხშირად გაუსწორებს ელისაბედს სიტყვასა, რო ესრედ აჩვენეო, გარნა ელისაბედ მაინც არეულ დარეულად აჩვენებს დაუმტკიცებელის სიტყვითა ძალით წარტაცებასა, და ხშირად მშობელთა შორის სხვა და სხვა ხმაზედ შეხვედბა პირ წაყენება, და უკანასკნელ გამოაცხადებს, რო, თვინიერ ჩემისა, არ უნდა მას ქმარი, რომლის სიმტკიცედ დავითმან კიდეც მომცა მე ფიცი წინაშე სერგიეთის მთავარ ანგელოზის ხატისა. – გრიგოლ კიდევ ქუთაისშია. დღისით იმალება სხვა და სხვა ქუჩაში. ღამე ჩაიცვამს ჩინოვნიკის ტანისამოსსა, მიდის პატივცემულ ქალებთან, აბრალებს ჩემს თავს, სთხოვს, რო ჩემი გაგზავნილი წიგნები გარდასცენ ელისაბედს, და პასუხი უბოძონ მას. ესევეითართა საშვალობითა, ნუგეშად სულისა ჩემისა, მე ხშირად დამიდის ელისაბედის წიგნი გრიგოლისაგან. თვით გრიგოლიც მოვა ჩემთან, სადაცა მე ვარ ველად, მიანბობს ქუთათურს ანბავს, თუ როგორ შეინროებულად ყავსთ მშობლებთა ელისაბედი. – ვიტირებთ ორნივე ხანგრძლივ და ისევ წავა ქუთაისში. – დავით შენიშნავს, რო წიგნი დააქეთ ელისაბედთან მნახველებს ქალებთა. ელისაბედს ფრიად დაკრძალავს, მნახველებს არა ვის უშვებს. – იჩივლებს პროკურორთან, რო გრიგოლი

* ნადზირატელი (რუს.) – ზედამხედველი.

** პრედესუსტვენნიკმან ჟანდარმან (რუს.) – მოსამსახურე ჟანდარმმა.

ქუთაისშია, და სურს რო მოიტაცოს ელისაბედ. – პროკურორი განკარგულებას შერევა მოძიებისათვის, გარნა გრიგოლს ვერსად აღმოაჩენენ. – და რადგან გრიგოლს ღონე მოესპობა ელისაბედთან წიგნის გაგზავნისა, ანბობს: რაც უნდა დამემართოს, მივალ გამოძიებლებთან. – მოიმარჯვებს იმ დროს, როდესაც ელისაბედიც დაბარებულია, და მივა მაშინ. ელისაბედ გრიგოლს შეხედავს, დაინყებს ტირილსა. პროკურორი გრიგოლს ჩვენებას ჩამოართმევს, და გამოუცხადებს, რო ქუთაისიდან არ განვიდეს. – გრიგოლს ეს უფრო სასიამოვნოდ დაურჩება, რო ქუთაისში იქმნება, და მოახერხებს ელისაბედთან ჩემის წიგნის გაგზავნასა. – გრიგოლ ქუთაისში ცხადად დადის, ესმის, რო ელისაბედ ფრიად შენუხებულად ჰყავს დავითს. ელისაბედ ინატრის ჩემს წიგნსა, მაგრამ საშვალობა არაფელი აქვს გრიგოლს, რო გაუგზავნოს ელისაბედს წიგნი. და შენუხებულის სახითა დადის ბურვარში. ნახავს, ჩრდილში ჯდის დავრდომილი თევდორე, დაუძახებს და მივა გრიგოლი. თევდორე ამოიღებს და მისცემს ელისაბედის წიგნს, რომელშიდაც სწერია: მე პირობა მაქვს მშობლებთაგან, რო შეირიგონ ალექსი. თქვენ სთხოვეთ რაოდენთამე პატივ ცემულთა პირთა საშვალობა ჩემთა მშობლებთადმი გარიგებისათვის, და უკეთუ მშობელნი ჩემნი არ იქმნებიან თანახმა, მაშინ მე სხვა ღონეთი განვირინებ თავს ამათ ხელთაგან. – გრიგოლი ერთ თუმანს აჩუქებს თევდორეს, და ელისაბედს გაუგზავნის წიგნს, გარნა დავით თევდორესაც შენიშნავს, რო ელისაბედთან წიგნი დააქვს, გალახავს და გააგდება. – გრიგოლი ელისაბედის მოწერილს წიგნს მე გამომიგზავნის. მე შევეცდები, რო მოსაშველენი გავგზავნოთ ქუთაისში. – გრიგოლთან მოდის ღამე ლაზარე და ეუბნება: შენ, გრიგოლ, ვიცი ბერს ცოდვილობ აქ და ვერა მოახერხე რა. მომეც ათი თუმანი ფული, რო ყოველი შენი სიტყვა და შენი წიგნი გარდავსცე მე ელისაბედს, და საჭირო შემთხვევაში თვით სალაპარაკოთაც გიჩვენო. – გრიგოლ ლაზარეს აკოცებს ხელეზზე, ეტყვის: შენ ხარ მამა ჩემიო. – აძლევს ათს თუმანს ფულს, და წიგნს ელისაბედთან. ლაზარე დაუნიშნავს მისის ბაღისა თხრილს, რომ

შემდგომ ზარის დაკვრისა, ღამით იქ დახვდეს, და მოუტანს პასუხსა ელისაბედისასა. – ღაზარე გრიგოლის გაგზავნილს ნიგნს აძლევს ანნას. ანნა პასუხსა სწერს, რო გაუგზავნო მე ფულები, ტანისამოსი დარჩენილი ჩემს სახლში და რამოდენიმე ნივთები. – ღაზარე გრიგოლს მისცემს ამ ნიგნს ელისაბედის გამოგზავნილად, გარნა ჩემს სახელზე დაბეჭდილს გაუხსნელად მე მიგზავნის. მე ვნახამ, რომ ელისაბედის ნაწერი არ არის და შეუთვლი გრიგოლსა. – გრიგოლი მივა ღაზარესთან, ეუბნება: შენ უღმერთო, რათ მომატყუვლე, რო ის ნიგნი ელისაბედის ნაწერი არ არის? – ღაზარე უფიცავს. გრიგოლ არ ერწმუნება, და მოშორდებიან ერთი ერთსა. – მეორეს დღეს წირვაზედ მოდიან დავით და ანნა. გრიგოლ ფიქრობს: წავალ ახლა, რაც არ უნდა დამემართოს და ვნახამ ელისაბედს. – ჩქარა მივა ბინაზედ, ლეკურს დაიკიდებს, ტანბაჩას წინ გაირჭობს, და ფიცხლად შეაღებს ღაზარეს ეზოის კარებსა. – ელისაბედ აკოშკიდან დაინახავს გრიგოლს, ჩამოირბენს კიბეზე, მოეხვევა და კოცნის. აქ ტიმოთე იძახის: მომიტანეთ მუნდირი, და იცვამს. გრიგოლ: გთხოვთ რო მადედან არ ჩამოხვიდეთ, თორემ დღეს გული ჩემი ფიცხელია და უეჭველად ცუდს გიზამო. – ტიმოთე შეშინდება, გზავნის დავითთან ეკლესიაში კაცს: გრიგოლი მოვიდა და ელისაბედი მიყავსო. ელისაბედ კითხავს გრიგოლს ტირილით: ალექსი რას შრევა?

გრიგოლ: რაქნას, ველად დადის დღე და ღამ მდინარის პირზე მხეცისაებრ, სტირის მუდამ, და რაც შენ მოგშორდა, შემდგომ არავისი სახლი არ უნახავს მას.

ელისაბედ: რა ქენით მოსაშვალეებისა?

გრიგოლ: მოვლენ.

ელისაბედ: თუ დაეთანხმოს ჩემი მშობლებნი, თორე გამაპარეთ. უთხარი ალექსის, რომ ფულები მზათ იქონიოს, და სტანბოლში უნდა წავიდეთ. აქეთ ხომ არ დაგვაყენებენ. ღაზარეს ჩემთვის ალექსის და არც შენი ნიგნი სრულიად არ მოუტანია. მე კი შევნიშნე, რო დედასთან დაქონდა იმას თქვენი ნიგნები,

და ესეცა, რომელ უნდოდათ შენ ღამით მოეტყუილებინეთ აქ და მოეკალით იმ მიზეზით, ვითომც მამის მოსაკლავად მოსრულ-იყო, მაგრამ ამის გარდამცემი შენთან ვერა ვინ ვიშოვნე და ან მოუბთხილდი შენი ჭირიმიე.

გრიგოლ: ალექსის წიგნს არ გაუგზავნი?

ელისაბედ: ქალაღდსა და სანერელს ვინ მომცემს?

– გრიგოლ მისცემს მას პატარა ქალაღდს და კარანდაშს, მომწერს მე წიგნსა. – მეორეს დღეს თორმეტნი პატივ ცემულნი თავადნი იმერეთისანი მივლენ ქუთაისში, დაჯდებიან დეპუტატ სობრანიასში,* დაიბარებენ დავითსა, და სთხოვენ გარიგებასა ჩემთანა. – დავით, შემდგომ მრავალთა მიზეზებთ მეტყველებათა, დაეთანხმება, ალუთქვამს, რო საღამოს მოვა მათთან, გარიგების ქალაღდს დასწერს და მათის თან დასწრებით შეიტანს კომისიაში. – გავლენ ყველანი. ისრევ შეიკრიბებიან საღამოს, გაგზავნიან კაცს დავითთან. მოდის და მოახსენებენ: დავითს ელისაბედი ნაუყვანია და მაშინვე წასრულა ღანირს. – გრიგოლი ამ გაგონებაზედ შეწუხებული მოვა ჩემთან და მიაწვდის ესრედ. მაშინ მე მომედების ცეცხლად ეს გაგონება, და ვეტყვი გრიგოლს: მე ამდენის ხნის ელისაბედის მოშორების მოთმენა არ შემძლიან. ან მოვიკლავ მე თვით თავს, და ან წავალ ღანირს და იქ მოაკვლევინებენ ჩემს თავს.

გრიგოლ: მოითმინე. ეგ ხო იცი, ელისაბედისაგან შენი განირვა არ შეიძლება. იმას აქვს საკმაო ფულები, მოისყიდის ვისამე მსახურსა, და შეგვატყობინებს თავისსა ანბავს.

– ჩვენ ორი დღე კიდევ დავდივართ მდინარეს პირზედ, და მესამესა დღესა, შუა დღის ხანზედ, მოდის ჩქარა მეგობარი ჩემი. დამიწყო გულმან თრთოლა, ვსთქვი: რაღაც ანბავი იცის იმან. – ამოიღო და მომცა პატარა დაწერილი წიგნი. დავხედე,

* დეპუტატ სობრანია (რუს.) – დეპუტატთა საკრებულო.

ვცან ელისაბედის ნაწერი. თვალები ცრემლით ამევსო, რაღაც თავბრუ დამესხა და ხელი გამიჩერდა. გრიგოლმან გამომართო წიგნი და წაიკითხა ხმა მალღათ: ნათელო ორთავ თვალებთა, ჩემო ალექსი. მინდოდა რამე დამეწერა და მით მცირედ გულის ცეცხლი ჩემი დამენელებია, მაგრამ ყოველი სხეული დამიმძიმდა, თავბრუ დამესხა, მოვკვდი უბედურად შობილი. წერის დრო აღარა მაქვს, ჩემმაში ვსწერ ამასაც. მიკვირს ალექსი, რისი იმედი გაქვს? მე ჩემის მოძღვრის საშვალობით ვსთხოვე ჩემთა მშობელთა უკანასკნელი მათი ჰაზრი. დამიმტკიცეს, რომელ არ შეიძლება ჩემი თავი მოგცენ შენ. თუ გინდათ, რო მე ცოცხალი ვიყო, გამაპარე ან მომიტაცე და განვიდეთ საზღვარი, თორემ დავინვი ღმერთმანი. ჩემს ცოდვას რას უზამ, მე რომ ამათ ხელში დამტოვო? სამშაბათს ვახშობის ხანზე მოდით უკან სამზარეულოსთან. მოვკვდი ალექსი შენის მოგონებით. დღე და დამ დატანჯული შენი ელისაბედი. – ვკითხე მეგობარს: ვინ მოგიტანა ეს წიგნი? მითხრა: დავითის მსახურმან. – აბა მაჩვენე. – წამობრძანდით. ვნახეთ ის ბიჭი, ვკითხე ანბავი, და მიანბო: ელისაბედისთანას მწუხარეს ადამიანს კაცი ვერ ნახამსო, მშობლებთ ყარაულის ქვეშ ყავანო. – ვაჩუქე ორი თუმანი, და ელისაბედს მივსწერე: ვაიმე, სულო ელისაბედ. შენი ნაწერი მომივიდა, კიდევ სული მიდგია, სინათლევ მაქვს თვალებში. წავიკითხე. რაღა იმედი უნდა მქონდეს მე შენს მოშოვრებულს? მე მოვალ დანიშნულს დროზედ, და შენც დამხვდი დანიშნული დროისათვის. – წავედი. გრიგოლი თან მახლავს და სამნიცა სხვა. – და რა მივანიეთ მახლობლად დანიშნულსა ადგილსა, დაგვხვდენ ყარაულები. შემოგვძახეს: ვინ ხართ? და ოთხიოდე თოფები გვესროლეს, გარნა ჩვენ უვნებლად წამოვედით. – ელისაბედმან გაიგო ესე ვითარი, და მეორესვე დღესა მომწერა წიგნი: ცოცხალი ხარ თუ არა? ან მოვიკლავ თავს და ან სამშაბათს დილით მოდით უკანით. მე თითონ გამოვალ ღელეზედ. – ეს წიგნი მომივიდა ძალიან გვიან, და დანიშნულს დროზედ ვეღარ მივედი. – ელისაბედ დილით გამოიპარება, ღელეს გამოვა, ნახევარს ვერსამდინ გამოიარს, გარნა ჩვენ ვერ გვნახავს. დაიწყებს ტირილს.

ამ დროს იძახიან: ელისაბედ! – შეიქმნება ხმოვანება. ელისაბედ დაბრუნდება უკან, მოდის მტირალი და დასოლებული. – შეეგებებიან დავით და ანნა: მოვკლავ ამ ვაზფასა და შამოკრავს ლოყაზედ ხელსა. – ელისაბედს გულს შამოეყრება და დაეცემა. მოიტანებენ წყალს და გარდაასხმენ. ისრევ მოსულიერდება. დავით გაფიცებულად შეაგდებს ოთახში ელისაბედს და დაუგდავს კარებს. – გაგზავნის კულაშს და სხვაგან ნათესავეებში კაცს, დაიბარებს თავადს და აზნაურთ, აქვს სახლში ყარაულობა, ვითომც მე მოუხთები. ეს საოცარი ანბავი მყისვე მომივიდა მე. მაშინ ყოვლის თვისის მგრძნობელობისაგან გამოველ, და ვსტყვი: მოვიკლავ თავს, რო ელისაბედ ჩემთვის იტანჯება.

გრიგოლ: მოითმინე. შევჯდეთ ცხენებზე, გავიაროთ ცოტა და მე გამოვარჩევ, როგორა ვქნათ.

– გავივლით ერთ ვერსამდინ. მაშინ ანბობს გრიგოლი: ახლა ელისაბედ ძალიან შეწუხებული იქმნება, ჯერ რომ მშობელთა ესრედ დატუსაღებული ყავთ, მეორედ, რო ჩვენი ანბავი არა იცის რა. რადგან ჩვენ მისგან დანიშნულს დროზედ ვერ მივედით, შეიძლება იფიქროს, რო ალექსის თავის შეეშინდა და გარდავარდა საზღვარზედ და ამით უფრო შეწუხდება. ჩვენ ცხადად მივიდეთ დღისით დავითის სახლში, წიგნი დავსწეროთ, რო ელისაბედს ნუ აწუხებს, თორემ ავაოხრებთ. ეს წიგნი შეუგზავნოთ ელისაბედს, თავი უჩვენოთ და წამოვიდეთ. ელისაბედსაც გულში იმედი ექმნება. – ჩვენ მაშინვე წიგნი დავსწერეთ, და მეორეს დღეს ოთხის ცხენოსნის კაცითა მივედით დავითის სახლში იმ დროსა, როდესაც იყვნენ ისინი წირვიდან ახალ-მოსრულნი და ცხენები შეკაზმული ხელთ ეჭირათ. შევედით ეზოშიდ. შევხედე, დავით აივანზედ ჯდის და თუთხმეტამდის მიქელაძე თუ სხვანი არიან. დაუქნიე იმათ ხელი. გამოგზავნეს ერთი იარაღიანი ყმარწვილი. მოვიდა, თავი დამიკრა. უთხარი: მე ვარ ალექსი. დავითს ეს წიგნი მიართვი, მოახსენე, მე მოსახთომათ არ მოვსულვარ, ნუ გაფიცხდება თუ შეიძლებოდეს, ერთი დამელაპარაკოს, და,

თუ არა, უკან წავალთ. (მაშინ განკარგულება იყო, რო ალექსი სადაც ნახონ, ან დაიჭირონ და ან მოკლანო) დავითთან მივა ის ყმარწვილი, ეტყვის: ალექსი დგებუაძე არის. – ვინ ხართ? ვაი მაგას ნუ გაუშობთ. – წამოვლენ ყმარწვილები თოფებით. ჩვენ დავბრუნდებით. დავით იძახის: ესროლეთ თოფები. – გვესვრიან, მარა დაუცილდებათ. გამოგვზღვევენ ნახევარ ვერსამდინ და უკან დაბრუნდებიან. – დავით იჩივლებს, ვითომც მე მიუხდით მათ და თოფები ვესროლე სასიკვდილად. ნაჩაღნიკს დაამონმეზინეს. – განაახლებენ განკარგულებას დაჭერვისათვის ჩემისა. წამოვა დიმიტრი, დაესხმის სახლშიდ, დაიჭირავს გრიგოლს და გაგზავნის ქუთაისში. სხვათაც ჩემთანა მონაწილეთა დაესხმის თავზე, გარნა ისინი წინეთ ამისა მიფარულ არიან. – მე გავალ საზღვარზედ და წავალ აფხაზეთშიდ, მინამ ეს ფიცხელი განკარგულება დაძველდებოდეს. იქ ჩემნი ნათესავნი აფხაზნი შეიყრებიან და მეტყვიან: რადგან შენ, ესრედ გაჭირვებულმან კაცმან, ჩვენთან მოხვედი, ჩვენი სირცხვილია, რო თქვენ არ გიშველოთ, ჩვენ მოვინოვთ ჩვენთ მეგობრებთ ჩერგებებთა, გაგვიძეხი შენ, წამოვალთ, და იმ ელიავას სახლეულებითურთ წამოვიყვანთ. ცოლი თქვენ დაგრჩებათ და სხვა მუნ ჩვენი ნაშოვარი ერთი წილი შენ მიიღე, და ორს ნაწილს ჩვენ გავიყოფთ. ნახვალ ჩერგეზეთში და იცხოვრებთო. – მე ვეუბნები: ჩემი სიძე გიგო და ძიძი შვილი გრიგოლ ქუთაისში დაჭერილი არიან, და მე თუ ესრეთს სამაგალითო წინა აღმდეგობას მოვახდენ იმერეთში, მაშინ ისინი დაიკარგებიან და მე გრიგოლის მოშორებული ცხოვრება არა მსურს. შეიძლება სხვებრ მოვახერხო ელისაბედის გამოპარება, და თუ არა, მერმე თქვენ იცით! – აფხაზები: ძიძი შვილის დაკარგვა და გაზრდილის ცოცხლად ყოფნა ჩვენშიდაც ძალიან სირცხვილია. ნახვედი შენ, ეცადე, როგორც საუმჯობესოდ დაინახო, და თუ საჭიროდ ვიქმნეთ, გვაცნობეო. – მე, შემდგომად ორის თვისა, ისრევ წამოველ მენგრელიაში. გავიღებ საკმაოს ფულებსა, და ვიშოვნი იმერელს კაცს, რო ჩემი მენგრელიაში ყოფნა აცნობოს ელისაბედს და ჩემი წიგნი მიუტანოს, გარნა მასაც გაუგებენ ამგვარსა, და ალუკრძალავენ

მსვლელობასა და ვითის სახლში. – დავრჩები უღონო. ვსწუხვარ, ვფიქრობ, როგორ მოვიგვარო საქმე. მაშინ მოვა ჩემთან ივანე, მეუბნება: კნიაზ, შენ ბევრს ცთილობ, ფულებს ხარჯავ. გნებავსთ მომეცით ოცი თუმანი და მე აღვისრულო თქვენი სანადელი. – ხელებს დაუჭერ: როგორ, ძმაო, ოცი თუმანი არა, ორმოციც ნაილე.

ივანე: არა, კნიაზ, ოცი თუმანია ჩემი სიტყვა.

– აბა რას მოახერხებ? მითხარი.

ივანე: მე მყავს ნათლული ბიჭი ლუკაია, ფარეში დავითისა, რომელიც ემსახურება ელისაბედს. თქვენ დასწერეთ წიგნი, მე მივსცემ ლუკას და იგი მთარმევს ელისაბედს.

– მივსწერე ელისაბედს წიგნი, რო ლუკას პირით და მისის წიგნით შამომითვალოს დრო გამოპარვისა მისისა. – მესამე დღეს მოვიდა ივანე: მომილოცავს, კნიაზო, რო თქვენი სანადელი ამელამ აღსრულდება. – ვეუბნები: აბა მთანბე.

ივანე: დაღამებულზედ თქვენ ერთის ცხენოსნის კაცით მობრძანდით მდინარის პირზედ, პირის პირ ლანირისა, მე იქ დაგხვდები, გაგიძღობი, ელისაბედს ლუკა გარდმოიყვანს, და წამოიყვანე. ბევრს კაცს ნუ იახლებ, თორემ გზაში შეგნიშნავენ და დავითს გააგებინებენ.

– ელისაბედს წიგნი არ მოუწერია ჩემთვის?

ივანე: არა.

– რატომ?

გრიგოლ: ანჯაფარიძეს წარუდგენია ელისაბედისაგან შენდამი მიწერილი წიგნები,⁹ მშობელთა გაუგია და შეანუხეს ძლიერ – იქმნება კიდევ არ მოხთესო ჩემი გაპარებაო, და მშობლები დამტანჯვენო.

– ივანე წავა. მეუბნება: ფულები მზათ იქონიე. – მე საღამოს ვიახლებ ერთს ცხენოსანს კაცს, და წავალ. ივანე დამხვდება

დანიშნულს ადგილზედ. – შამოვიჯენ უკან ცხენზე და მდინარეზედ გავალთ. მივალთ მახლობლად დავითის ეზოსა.

ივანე: თქვენ მომითმინეთ! მე წავალ, ლუკას ვნახამ.

– წავა და მომიყვანს ლუკას. ვხედამ, რო ერთი პატარა ბიჭია. ვეტყვი: ბიჭო შენ შეგიძლიან, რო ელისაბედ მაშოვინინო?

ლუკა: უეჭველია, ბატონო.

– რა სახით?

ლუკა: თქვენ ცხენიდან ჩამობრძანდით, და მახლობლად ეზოსა მოითმინეთ. მე იქავე მოგიყვან ელისაბედს და წაიყვანეთ.

– არა, ცხენიდან ჩემი ჩამოხტომა როგორ შეიძლება? არ მილაღატო შე მამაძაღლო.

ლუკა: გნებავთ ხატზედ დაგიფიცებთ. დალატი როგორ შეიძლება? ოღონდ აღთქმული ფულები კი უნდა მიბოძო და თქვენ ცხენზე ბრძანდებოდეთ.

– აი ოცი თუმანი, ოღონდ შემისრულე და მე ვიცი შენი პატივის ცემა.

ლუკა: მე წავალ ახლა, ელისაბედს სახლიდან გამოვიყვან, თქვენ ეზოსი ჭიშკარზე დამხვდით და წაიყვანეთ.

– მაშ წადი, შეიტყვე, თუ დროა.

– წავა. მოდის ლუკა და მეუბნება: დავით და ანნა უქეიფოდ არიან, ზურაბა არ არის, მსახურნი ბევრნი არა ვინ არიან, და ამ მინუტში უნდა მოვიყვანო ელისაბედი. – გამიძღობა, და დამაყენებს ჭიშკარზედ და თითონ წავა. – ივანე, ბიჭო, რაღაც ჩემი ცხენი ფეთობს. ის ბიჭი ეშმაკია, არ გვიღალატოს, ჩაიხედე კარგად ეზოში. ჩაიხედამს, ანბობს: ფიქრი არ არის, ბატონო. – ჩემი ცხენი საძაგლად ფშტვენს და ცანცარებს. ვეტყვი მხლეს: რაღაც იგრძნო ჩემმან ცხენმა. ხედავ, რას შვრება? მხლე მეუბნება: სასიხარულოა, ვიშოვნით ელისაბედს. – ამ დროს გავიხედავ

ეზოში. მოდის ქალი, უკან ლუკა მოყვება. საშინლად ავჩქარდი. უცქირე დაკვირვებულად, მაგრა სიარული ელისაბედისა ვერ ვინიშნე. ამ დროს ქალი შუა ეზოში გაჩერდა. ლუკა წამოვიდა, ივანეს რალაც ჩაუფურჩუნა, დამიქნიეს ხელი, დავკარი მათრახი ცხენს, უკან გახთა. განუმეორე დეზი და მათრახი და წამოვედი. მითხრა ლუკამ: ხედავ, ელისაბედ სად არის გაჩერებული? – ვხედავ. – შენ ჭიშკარზედ შემოდი და მე იქამდი მოგიყვანო. – დაბრუნდება ლუკა და წამოიყვანს. მე მივესწრაფები ეზოში, მაგრამ ცხენი მიჩერდება ხშირად. (ეს ქალურებ მორთული თურმე ყაზახი ყოფილა. ტანბაჩა ხელთ ეპყრა ჩემდა სასროლად) მივანჩე ჭიშკარში, არ მინდოდა შიგნით შევსრულ ვიყავ, მაგრამ ძლიერ ავჩქარდი. რა შევედი ჭიშკარშიდ, მაშინ უეცრად მარჯვენით გახთა ჩემი ცხენი თითქმის ორ საჟენზედ. – მაშინ გამოვარდა თორმეტამდის თოფები. კვამლშიდ გავეხვიე. ვიფიქრე: მომკლეს. გავანძრიე ტანი, არა მიჭირს რა. მაშინ მარცხენა ხელი ჩამომეკიდა და სადავე ცხენისა გამივარდა. მარჯვენა ხელი მოვკიდე. ისიც გარდმომიბრუნდა. გაუყარე მკლავი სადავეს, და გამოვიარე ორი საჟენი. ხის ძირებიდან გამოვარდა თოფები. მაშინ გახთა ჩემი ცხენი ძლიერ, და ფიცხლად გამოჭენებულმან გარდავიარე ერთ ვერსამდისინ. ერთს ქცევაზედ ყოვლის ხის ძირიდან თოფები ვარდებოდა, და რა მივანჩე დიდს ლელესთან, უგზურად დავკარ ცხენს დეზი, და შიგ ჩახტა. იქ დიდი ხე ყოფილიყო ჩადებული, და იმას წამოებორძიკა და ორივე დავეციოთ. ფიცხლად წამოვდექი. ახლა დავისინჯე სხეული ჩემი. ვნახე, რო ორი ტყვია მარცხენა მკლავზე მომხტომია, და ექვს ვერშოკზედ* სულ ძვალი და რბილი დაუმტვრევია, ერთი ტყვია მარჯვენა ხელზედ საშვალ პირველის და მეორის თითისა, ორი ტყვია მარჯვენით მკერდზედ, ჩოხა და ახალუხი გაუხვრეტია, ერთი ტყვია წინ ხანჯალზედ და ერთი მარჯვენას ხელზედ, სახელოშიდ, რო ხელები არცერთი სახმარად არა მაქვს და ცხენზედ შეჯდომა ვერ მოვახერხე. მარცხენა მკლავი კალთაში გამოვიხვიე, მარ-

* ვერშოკი (რუს.) – გოჯი.

ჯვენა მკლავი ცხენის სადავეს გაუყარე და ხელი კბილით დავიჭირე. ცხენი ლობის კბოდეზედ მივაყენე და შევჯვდი. გავიარე ცოტა. მნახა ჩემმა მხლემ. (როგორც თოფის ხმა შეიქმნა, მაშინვე მოეტაცნა ცხენს ჩემი მხლე, და იმ დრომდის არ მინახამს) მკითხა: სული გიდგია, ბატონო? – უთხარ: არაფელი მიჭირს, ცოტა დაჭრილი ვარ. აბა ნავიდეთ. – ჩვენ შვიდ ვერსამდის ფრიად ჩქარა გამოვიარეთ. შევედით გლეხისას. დავიძახეთ, გამოვიდნენ, ცეცხლი დაანთეს. (ის გლეხი ადრევე ჩემი მეგობარი იყო) მნახეს, რო ცხენიანად კისერს დაბლა სულ სისხლში გასვრილი ვარ. ორთა თუ სამთ გულს შამოეყარა. მოვიდა დედა კაცი და მითხრა: ნუ გეშინიან, ამით არა გიჭირს. – ვეცადეთ, მაგრამ სისხლი ვერ შევაკავეთ. შევახვევინე. ტყულად, სისხლი მაინც გაუწყვეტელად მდის. ნყალი დავლიე, საჭმელი ვითხოვე და დედა კაცმან მაჭამა როგორც ჩჩვილს ისრე, რადგან ხელები არც ერთი სახმარად არ მქონდა. – უთხარი მხლეს: ცხენი მომიყვანე და ნავიდეთ. – მითხრა: გზაში რო შესწახედეთ, ბატონო? – არა, ნუ გეშინიან. – ხელები მუცელზე მივიკარი, შევჯვდით ცხენებზე და გამოვიარეთ თორმეტი ვერსი, მაგრამ სისხლი გაუწყვეტელად მომდის. ზამთრის სიცივისაგან ყოვლი სხეული გამიყინა, და კიდეც ძლიერ დავსუსტდი, ცივი ოფლი გარდმომდინდა. ჩაველ იმ ჩემის ნათესავის სახლში, სადაცა ჩემნი მხლენი დავსტოვე. ცეცხლი გავითბე. ჩემის ჭრილობის მნახველთ კაცთა და ქალთა შექმნეს ტირილი. მე ვსთქვი: სჯობს ტირილს, რითიმე სისხლი შევაკაოთ. – გამიჭრეს სახელოები, ეცადენ ბევრი, მაგრამ ვერა ღონით სისხლის დენა ვერ შეაკავეს. მე თან და თან უფრო დავსუსტდი. (ჯერ არ გათენებულა) უთხარ მხლეთა: უნდა ნავიდეთ ჩვენის სოფლისკენ და აქიმი მოვიძიოთ. – იმათ ცხენი მოიყვანეს, შევჯვდით და ნამოვედით, გარნა ჭრილობამ დამიწყო ტკივილი ძლიერ და ძვალნი მკლავთა ჩემთანი რიხინებდენ, და მოსაქარვებელად მძიმისა მტკივნეულებისა ჩავიდე პირში ტყვია და ვკვნიტე. – მზის ამოსვლის ხანზედ მოვედი კონიას სოფელში, გრიგოლის ყმის სახლში, რადგან აქიმი მახლობლად სცხოვრებდა, და სახლიცა გრიგოლისი ახლოს

იყო. დავიბარე აქიმი. მოვიდა, ნახა ჭრილობაები, სთქვა: ჰობ! სამძიმე დაჭრილია ეს ყმანვილი, მაგრამ მოვარჩენო. – სისხლის დენა მაშინვე შეაკავა. რალაც წამლები დამადვა და შემიხვია. (ტყვიები და არც დამტროვილი ძვლები მაშინ არ იყვენ გამოტანილი) სამს დღეს ვიყავ ისრე, რო ბევრის სისხლის დენისაგან დასუსტებულს წამოჯდომა არ ძალ-მედვა, და ხელები დამისივდენ ისრე, რო თითო კაცს წამონწევა არ ეძლო. მეოთხეს დღეს დედა კაცმან კივილით შამოირბინა და სთქვა: რუსები მოდის ბევრიო. – მე უეცრად წამოვარდი, დავიძახე: ვახტა, ჩემი ცხენი. – მყისვე შეკაზმული გამომიყვანა კარზედ. უთხარ: ეს ხელი გულზე დამაკარი; და მარცხენა ხელი გულზე მივიკარი, და მარჯვენა ყაბალახით დავიკიდე, მოვატანინე კალათი, შევდექი ზედ და შევჯექ ცხენზედ. უთხარი ვახტას: წამოილე ჩემი იარაღი და გამიძეხი იმ აღმართ დაღმართით. (ვახტა ქვეითად არის, და სხვა არა ვინ მახლდა, რადგან ბევრთა კაცთა ყოფნა საშიშო იყო გამხელისათვის) ვახტამ ცხენის სადავე ხელში დაიჭირა და გავიარეთ თითქმის მესამედი ვერსი. დაიძახა დიმიტრიმ: ვერ ნახვალ ალექსი. – მე უკანით მოხედვა არ შემიძლიან და დაუძახე: მობრძანდი. – წავედით ძალიან ჩქარა აღმართში. შემემთხვა გიორგი, მიამა ძანიალ, და შევძახე: ახლა უნდა გიორგი ბიჭობა, შემენწიე.

გიორგი: რა ანბავია?

– დიმიტრი მომდეეს დასაჭერად.

გიორგი: ოხ, ღმერთო! რა უნდა მოვახერხო, რო შენ ასრე უღლონოდ ხარ, მაგრამ ნუ გეშინიან, გავსწიოთ, მეც შენთან მოვკვდები.

– მე უთხარ: ვიაროთ ჩქარა და სადმე მოსახლისას შემინახე, თორე არ შემიძლიან ცხენზე ჯდომა. (ექვს ვერსზედ აღმართ დაღმართში გავიარეთ) ვახტა დაღალდა ქვეითად. გიორგიმ მოიხედა უკან და სთქვა: ძალიან დაგვიახლოვდენ რუსები. – მაშინ ჩემი ცხენის სადავე გამოვართვი ვახტას, მკლავი გაუყარე

და სახელო კბილით დავიჭირე, უთხარ გიორგის: ახლა ბევრი არ მტკივა და გავსწიოთ, ვახტას გამოართვი ჩემი იარაღი. – მაშინ დიმიტრიმ დაიძახა (მეორედ): ვერ წამიხვალთ, დამრჩით. – დაუძახე: გულს თუ გერჩის, დაგვიახლოვდი. – ვიარეთ რაოდენიმე, მაგრამ ერთობ დაგვიახლოვდენ მღევარნი.

ვახტა: ხედავთ? ძალიან ახლო მოგვსდევენ. მე ქვეითათა ვარ, თქვენც ვერ მიდისართ ჩქარა, უეჭველად მოგვეწვევიან და დაგვირჩენენ, მაგრამ მე დავბრუნდები, მაგ ბრუციანის შვილს ტანბაჩას ვკრავ და მოვკლავ, რუსები იმას დაუწყებენ თრევას და იმოდენს ხანს თქვენც წახვალთ.

– არა, შენ სხვა გზით გაიქეც. ჩვენ წავალთ, ვერ მოგვეწვევიან, რადგან მე ახლა უკეთ ვარ.

– ვახტა მოგვეშორდა. ჩვენ გაფიცებულის ცხენის ჭენებით წავედით და მივემწყვდით ერთ ჩამოქცეულს გზას. გიორგი ქვეითად გავიდა და ცალიერი ცხენი გაახთუნა. მე ცხენიდან ჩამოსვლა არ შემეძლო და, როგორც ზე ვიჯედ, ისრე გახთა ცხენი, გარნა დაუბრკოლებლად, და ოდესაც იმ ცუდ გზამდის მოანია დიმიტრიმ, ჰკრა ცხენს დეზი და ცხენიანად შიდ ხრამში ჩავარდა. მაშინ დაუძახე: ეგ ხომ სამართლიანია შენზედ. – დიმიტრი გამჯავრდა. რუსები ჩაეშველენ, და ამოათრიეს. მაგრამ ცხენი ერთობ გალახული იყო და უნაგირი დამტროვილი. – გამოიცვალა ყაზახის რუსის ცხენი, გვსდია მდინარის ოჩხომურის განსვლადმდე და შემდგომ დაბრუნდა. (თვრამეტი ვერსი შედგება ოჩხომურის მდინარედმდე იმ ადგილიდან, სადაც მე ავით მყოფი ვინევი) – რა გავედით ოჩხომურს, მდინარეს, გიორგიმ ცხენიდან ჩამომიყვანა. ისიც იყო, გულიც დამისუსტდა. ნყალი მაპკურა, და კიდევაც დავლიე. ნახევარს საათს უკან ისრევი წავედით და ვახშმობის დროზედ მივედით მახლობლად აფხაზეთის საზღვრისა, ესე იგი ენგურის პირად. მე იქ ჩემის მეგობრის გლეხისას დავრჩი, გიორგი უკან დაბრუნდა, რათა არ შეამჩნიონ ჩემი წინა მძღვარობა. – დიმიტრი მაშინვე გზავნის საჩქაროდ მი-

წერილობას აფხაზეთის გზების შეკვერისათვის, დაბრუნდება ისრე იმ ადგილში, სადაც მე ავით მყოფი ვინეე, ოცამდისინ ყმებს გაროზგავს, დაიჭირავს გიორგის, ჩემს ექიმს, და წარადგენს ლენერალთან, მაგრამ ლენერალი მათ ყოველთა განათავისუფლებს. – აფხაზეთის გზა თუმცა შეკრული იყო, მაგრამ მე მაინც გამიყვანეს მეგობართა ჩემთა დაუბრკოლებლად, მიმიყვანეს ჩემს ნათესავეებში. ნათესავეებთა მიმიღეს, მომგვარეს ექიმი და დამაყენეს მოსარჩენად. – მე ავად მყოფი კიდეე აფხაზეთში ვწევარ. დაიბარებენ დავითს ქუთაისში (ლენერლ ლუბერნატორი და ყიფიანი გამოუცხადებენ...) ქუთაისიდან დაბრუნებული დავით თავის სახლში მოწყენილად შამოვა, ანნას გაიყვანს მეორე ოთახში, და ეფუჩუნება დიდ-ხანს, შემდეგ ელისაბედთან დაჯდება, ეტყვის გურულს: ჩემი ტანბაჩა დასცალე! – გურული ტანბაჩას დასცლის და სტოლზე დადებს. –

დავით: ელისაბედ, მომეცი მაგ ტანბაჩა.

– ელისაბედ აძლევს. დავით გასტენის და როგორც ელისაბედი ხედავს, ისრე ორს ტყვიას ჩადებს ტანბაჩაში და ეტყვის: ხედავ? ორი ტყვია ჩავდე შიდ.

ელისაბედ: კი ბატონო.

დავით: მაშ ჩვენ ხვალ უნდა წავიდეთ ქუთაისში. საქმე ეხლა დაბოლოვდება. უკეთუ შენ აჩვენებ, რო დგებუაძე არა მსურს ქმრად, და უკეთუ მე შენ გამწირავ და განაცხადებ, რო დგებუაძე გინდა, მაშინ ამ ორის ტყვიით ჯერ შენ მოგკლავ, და შემდეგ მეც თავს მოვიკლავ. დგებუაძე მაინც არ მორჩება, ისეთი მძიმე დაჭრილია, და რომ მორჩეს, მაშინაც ის იქნება გლახაკი, რადგან არ უარგა მას ხელები და არც ფეხები.

ელისაბედ: მამა, საკმაო იყო რაც აქამდის შეგანუხეთ. დაარწმუნეთ თქვენი გული, რო ამიერიდან არ შეიძლება, რო წინა-აღმდეგ შენის სურვილისა ვაჩვენო რაიმე და როგორც თქვენ დამარიგებთ, მე ისრე ვიტყვი.

– დავითს უხარიან, ანნას შამოიხმობს, ორნივე აძლევენ დარიგებას და ეფერებიან ფრიად. – ელისაბედ (ანბობს ჩუმათ): ღმერთო შენის მოწყალების არა ვღირს ვარ, რომ მე მომეცი ისეთი დრო, რო ალექსის გამოხსნა შემიძლიან. (ფიქრით) ჩემთა მშობელთა იცოდენ, რო მე მიყვარდა, მათ იგი გაიმეტეს მოსაკვლავად, და ახლა მე თუ შემიძლია, რო ალექსი ვნახო, თუ გინდ მკვდარი იყოს, მაშინაც როგორ შეიძლება მე დედ მამა დავზოგო, რაც უნდა დამემართოს. – მეორეს დილით წავლენ ქუთაისში. – (იქ როგორც აჩვენა...) – შემდგომად ოთხის თვისა, მე, ჭრილობისგან გამორჩენილი, გამოველ მენგრელიაში, და ვაცნობე ელისაბედს, რომელმანც შემომითვალა იმედი ხანდაუყოვნებლად ჩვენის შეერთებისა, გარნა არ ვიცოდი, რა საგანზე მოხებოდა ესე. – უკანასკნელ დავითს შეუტყვია საიდუმლო ელისაბედისა (როგორც ვიცი) გამომეძიებელის პროკურორისაგან, და განუზრახავს წაყვანა საზღვარშიდ და მითხოვება სხვა ქმრისადმი წინა აღმდეგ მმართველობის ნება რთულობისაო. – მყისვე მომწერა ელისაბედმან ჰანბავი ესე და დაიბარა წამომყვანად მისა სამნი ცხენოსანნი კაცი ოცდა რვა მაისს, ოთხშაბათ ღამეს, ვახშობის ხანზედ. (ელისაბედს მაშინ თავისუფლება ჰქონდა სახლში, რადგან დავითს ვეგულვებოდი მე აფხაზეთში და იქაც მძიმე ავათ მყოფი) – მე დანიშნულის დროისათვის გაგზავნე სამნი კეთილ საიმედო პირნი დავითის სახლში, და თვით მე მოვიცადე რჩევისაებრ ელისაბედისა მდინარის ცხენი წყლის პირზედ (ესე იგი მენგრელიის საზღვარშიდ). – ელისაბედს აცნობეს ჩემ მიერ გაგზავნილ კაცებთა მოსვლა მათი, და ელისაბედმან ჩუმათ გამოიპარა მშობელთაგან იმ დროს, როდესაც ვახშამი გამოიტანეს, და მოვიდა ჩემგან გაგზავნილ კაცებთან. შეაჯდინეს ცხენზე და წამოვიდენ ჩქარა. ოცს მინუტს უკან შეიტყვეს მშობელთა ელისაბედის გამოპარვა, შექმნეს ხმოვანება, სდიეს საკმაოდ, გარნა ესენი ფიცხლად წამოსრული მოვიდენ ჩემთან... შემდგომ წამოვედით სახლში, დავდექით უშიშრად იმ განძრახვითა, რათა შემდგომ ელისაბედის წამოსვლისა, მოისპობოდა საქმე. – დაჭერილნი ამ საგანზე გიგო და გრიგოლ გა-

ნათავისუფლეს. – ჩვენს სახლში დავყავით ტკბილს ცხოვრებაში მხოლოდ ერთი თვე. – შევიტყვეთ, რო კიდე გვიბარებს პროკურორი. ჩვენ, ადრევე შეშინებულნი, კვალად მივეცით საშიშროებაშიდ და მივეფარეთ. –

[1858-1859 წწ.]

უახლესი ესკიზი. მომრიგებელი მოსამართლე კომპასით ხელში

ამ დღეებში მომრიგებელ მოსამართლესთან ვარჩევდით საქმეს. სტატიის მიზანს რომ არ გავსცდეთ, ანუ ცხადად წარმოვაჩინოთ ამიერკავკასიის მხარეში სასამართლოს მოხელეთა მოქმედებები, აუცილებლად მიმაჩნია, ჩვენი ჟურნალის მკითხველს მოცემულ საქმესთან დაკავშირებითაც გავუზიარო საკუთარი შეთაბეჭდილებები და, ამას გარდა, მივყვე ჩემ მიერ ადრევე არჩეულ წესს – არ დავასახელო პირთა ვინაობა.¹

საერთო ადგილ-მამულს იყოფდნენ: ერთი მხრივ, *ბიძა* და, მეორე მხრივ, მისი ოთხი *ძმისწული*.² სიმოკლისთვის ქვემოთაც მოდავე მხარეებს ასე მოვიხსენიებ: *ბიძა* და *ძმისწულები*.

გაყოფა მხარეთა შუამავლების მიერ 1867 წელს მოხდა³ და 1873 წლამდე ორივე მხარე თავ-თავის ხვედრ მამულს ფლობდა. მაგრამ ძმისწულებმა დაარღვიეს არსებული ვითარება: მათ შორის ყველაზე უმცროსმა დაშალა ღობე,⁴ რომელიც ბიძის ვენახსა და უფროსი ძმის ბაღს ერთმანეთისგან ყოფდა. მან ეს ღობე ისე გადაიტანა, რომ მიიტაცა ბიძის ვენახის ნაწილი და დაუკეტა ჩრდილო-აღმოსავლეთით გასასვლელი, რომელიც ძველი დროიდანვე არსებობდა. ბიძამ საჩივრით მომრიგებელ მოსამართლეს მიმართა.⁵ მანაც ორი წლის შემდეგ, 1875-ში, დაათვალიერა ადგილი და მიიღო მამულის ადრინდელ საზღვრებში აღდგენის გადაწყვეტილება.

ხუთი წლის შემდეგ შედგა სამედიატორო სასამართლო, რომელიც თავისი მონაწილეობით ღირსჰყო საოლქო სასამართლოს ერთმა თვალსაჩინო წევრმა. სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, თუმცა საოლქო სასამართლოს თვალსაჩინო წევრმა

იგი გააპროტესტა. მეორე მხარემ სამედიცინო სასამართლოს გადანყვეტილება საკასაციო წესით საოლქო სასამართლოში გაასაჩივრა. საოლქო სასამართლომ, მიუხედავად ხსენებული თვალსაჩინო წევრის პროტესტისა, აგრეთვე, მიუხედავად პროკურატურის ერთი ყოფილი ჩინოვნიკის, ახალმოსხმული მანტიით თავმოძნონე ნაფიცი მსაჯულის საწინააღმდეგო – უნდა ითქვას, ურცხვი – არგუმენტაციისა, სამედიცინო სასამართლოს გადანყვეტილება ძალაში დატოვა. მაგრამ მეორე მხარემ ეს უკანასკნელი გადანყვეტილება გაასაჩივრა პალატაში, პალატამ კი, თავის მხრივ, გააუქმა საოლქო სასამართლოს გადანყვეტილება.

ამის შემდეგ ბიძამ პალატის გადანყვეტილება საკასაციო სენატში გაასაჩივრა.

სარჩელი შედგენილი იყო ისეთი სიმწყობრითა და დამაჯერებლობით, რომელსაც ვერ დაარღვევდნენ ვერც სასამართლოს ხსენებული თვალსაჩინო წევრი, ვერც პროკურორის ყოფილი თანაშემწე და, მით უმეტეს, ვერც ოთხთაგან უფროსი ძმა, რომელიც ასევე ცნობილი პირია სამომრიგებლო სამართალწარმოების სფეროში.⁶

მოსალოდნელიც იყო, რომ მეორე მხარე გულმოდგინედ შეეცდებოდა, საქმეს ამ გზიდან გადაეხვია – ბიძისთვის დაეწყო ხვეწნა-ლაქუცი და დაეთანხმებინათ იგი, უკვე მესამედ აერჩიათ შუამავლები და დავის გადანყვეტა მათთვის მიენდოთ.

ბიძა ამასაც დათანხმდა და ახლობელ პირს მიანიჭა უფლებამოსილება, სამედიცინო სასამართლოს შედგენაში მისი სახელით მიეღო მონაწილეობა.

1882 წლის აგვისტოს ბოლოს სამედიცინო სასამართლომ, რიგით უკვე მესამემ, გადანყვეტილება მიიღო. ამის შემდეგ განვითარებულ მოვლენებს ნათელი რომ მოეფინოს, აქვე ვიტყვი, რომ სამედიცინო სასამართლო შედგენილ იქნა ერთპიროვნულად და ჩანანერსა და გადანყვეტილებასაც ერთსა და იმავე დღეს მოეწერა ხელი. მამულის სადავო ნაწილს ისეთი

ტერიტორიაც მიაკუთვნეს, რომლებიც სასამართლოს გადანყვეტილებით უკვე იყო ბიძის მფლობელობაში.

სასამართლო ჩანაწერის სხვა ნიუანსები გზადაგზა თავისთავად გამოჩნდება.

ბიძამ, რომელსაც შეატყობინეს სასამართლოს გადანყვეტილება, თუმცა ასლი ჯერ არ ჰქონდა მიღებული, ერთ-თვიანი ვადის გასვლამდე მხოლოდ ამის გაგება ისურვა: კარგავდა თუ არა ვენახის იმ ნაწილს, რომელიც 1875 წელს მომრიგებელმა მოსამართლემ დაუბრუნა და ხომ არ უკეტავდნენ აღმოსავლეთით სოფლის გზაზე გასასვლელს?

უპასუხეს – **დიახ!** თუმცა, როცა გადანყვეტილების ასლი მიიღო, იქ ისეთი ვერაფერი აღმოაჩინა, ამ პასუხს რომ დაადასტურებდა. მართალია, გადანყვეტილებაში აღმოჩნდა რამდენიმე ისეთი გარემოება, რომელთაგან, მონდომება რომ ყოფილიყო, ქვა ქვაზე არ დარჩებოდა, მაგრამ თვითონ ეს გარემოებები იყო ისეთი, რომ, როგორც ჩანს, არ შეესაბამებოდა ბიძის ინტერესებს. ამიტომაც მან გადანყვეტილება არ გაასაჩივრა.

რასაკვირველია, სასამართლოს გადანყვეტილება არც მეორე მხარეს გაუსაჩივრებია და 1882 წლის 28 სექტემბერს იგი ძალაში შევიდა.

ახლა უპრიანი იქნება, ზემოხსენებული გარემოებების შესახებაც ვთქვათ:

1. რაც ძმების შეძენილი იყო, გაყოფას არ დაქვემდებარებია და მათვე დარჩათ, ხოლო, რაც ბიძის მიერ იყო შეძენილი, დაქვემდებარა გაყოფას და რიგ შემთხვევებში ძმებმავე გაიყვეს.

2. გაყოფა მოხდა იმისა, რაც შეძენილი იყო, საგვარეულო კი საერთო მფლობელობაში დარჩა.

3. თავიდან გამოეყო ბიძა. ამის შემდეგ გაყოფა მოხდა ძმებს შორის და მათ საკუთრებას საზღვრებად არარსებული სამიჯნე ნიშნები დაედო. მაგალითად, ნათქვამია, რომ რომელიღაც ნაკვეთი ესაზღვრება ბიძისას, თუმცა ბიძას იქ არავითარი ნაკვეთი არ მოეპოვება.

4. ბიძას ერგო მიწის ნაკვეთი, რომლის სამხრეთი მიჯნა წერტილიდან წერტილამდე მთის ქედის ხაზია. ძმების ნაკვეთთა ჩრდილოეთის მიჯნების განსაზღვრისას კი იმავე ხაზის შესახებ ნათქვამია: „N მთის მწვერვალთან **N ხეობის დაქანებამდე** და შემდეგ – სწორი ხაზით N ყორღანამდე“.

5. თუმცა გადანყვევტილების კულმინაციური ნაწილი, რომელზეც, როგორც ჩანს, ამ გადანყვევტილების რედაქტორთა ერუდიციის კონცენტრირება მოხდა, შემდეგია: ბიძისა და უფროსი ძმის, იურისტის, ნაკვეთების აღმოსავლეთის საზღვრად ერთი და იგივე სამიჯნე ნიშნებია მითითებული.

ბიძამ გადანყვევტილებასთან დაკავშირებული თავისი სააღსრულებო ფურცელი მომრიგებელ მოსამართლეს 1882 წლის ოქტომბრის დასაწყისში წარუდგინა. მოსამართლემ გასცა ახალი სააღსრულებო ფურცელი, რომელიც მაშინვე სასამართლოს ბოქაულს გადაეცა.

ბოქაულის **კეთილი ნების** გაღვივება ბიძამ, როგორც ჩანს, ვერ შეძლო⁷ და ამიტომაც, მიუხედავად პირადი თხოვნისა თუ კითხვა-მოკითხვისა, მისი წყალობით თავისი საკუთრება 1884 წლის მარტამდე ვერ დაიმტკიცა. მარტის დასაწყისში ბიძა იძულებული შეიქნა მოსამართლისათვის ბოქაულის ფუნქციის სხვა პირისთვის გადაბარება ეთხოვა. მოსამართლემ ბოქაულის ფუნქცია მდივნის ერთ-ერთ თანაშემწეს დააკისრა.

მას შემდეგ, რაც შეატყობინა ყვლას, ვისაც ეს საქმე ეხებოდა, მდივნის თანაშემწე მამულს ეწვია, მოუსმინა უმცროს ძმას – უფროსი ძმის რწმუნებით აღჭურვილს, ბიძას, გამოჰკითხა ამვლელიც, ჩამვლელიც და, ჩათვალა რა, საქმე გამორკვეულიაო, ბიძას დაუმტკიცა მამული იმ საზღვრებში, რომლებიც გადანყვევტილებაში იყო მითითებული. და რადგანაც სამიჯნე ხაზი გადანყვევტილებაში ერთდროულად უფროსი ძმისაც იყო და – ბიძისაც, უმცროსმა ძმამ, უფროსი ძმის რწმუნებულმა, მდივნის თანაშემწეს ჰკითხა – მიჯნას ჩვენ როგორ დაგვიდებთ, როცა მიწას დავიმტკიცებთო?

– ისე, როგორც იმ დროს ნატურაში იქნება, – უპასუხა მან.⁸

მდივნის თანაშემწემ 11 მარტს დაუმტკიცა ბიძას მისი ხვედრი ნაწილი კარმიდამოსი და მითითებულ სამიჯნე ხაზზე მას ღობის ჩადგმის ნებაც დართო.

ბიძის საკუთრების დამტკიცების შემდეგ უფროსი ძმის, იურისტის, ვენახის ნაწილი ბიძის საზღვრებში მოექცა, ხოლო გასასვლელი სოფლის გზისკენ ღია დარჩა.

უფროსი ძმის რწმუნებულმა უკმაყოფილება გამოთქვა და ოქმში ჩაიწერა, რომ იგი ამ საქმეს ორკვირიან ვადაში გაასაჩივრებდა.

12 მარტს ბიძამ მითითებულ ხაზზე ღობე ჩადგა.

16 მარტს იმ ღობისა კვალიც აღარსად ჩანდა – 15-16 მარტის ღამეს უფროსი ძმის რწმუნებულმა ღობე დაშალა, ხოლო მასალა თავისთან გადაზიდა.

17 მარტს ბიძამ საქმე მომრიგებელ მოსამართლესთან გაასაჩივრა. იგი ითხოვდა სასამართლოს მიერ 11 მარტს მინიჭებული უფლების აღდგენას.

აი, ამ საქმეს ვარჩევდით 31 მარტს.

საქმის გასარჩევად გამოცხადდნენ მსცოვანი ბიძა, ბრგე და ჯან-ლონით სავსე ჯეელი-ღობეთმმუსვრელი – უფროსი ძმის რწმუნებული, მესამე პირად კი – სასამართლოს ზემოთ ხსენებული ყოფილი თვალსაჩინო წევრი, რომელიც ამჟამად მსახურობს პროკურორის იმ ყოფილი თანაშემწის თანაშემწედ, მეორე სამედიატორო სასამართლოს გადანყვეტილების წინააღმდეგ *a faire mourir de rire** მოსაზრებებს რომ გამოთქვამდა.

ამ უკანასკნელმა, ჭეშმარიტებისთვის მედგრად მებრძოლმა, წარმატებით მოახერხა ბიძა სხვისი, კერძოდ, უფროსი ძმის, ბალის ნაწილის მიმტაცებლად წარმოეჩინა. მოსარჩელე კი აცხადებდა, რომ არ აპირებს საკუთრებაზე ხელის აღებას, რომ მიწის ეს ნაწილი მას სასამართლოს მიერ აქვს მიკუთვნებული. იგი ითხოვდა იმ უფლების აღდგენას, რომელიც მინიჭების შემდეგ ხუთ დღეში ხელყვეს, ამბობდა – სასამართლოს ბოქაულის

* მეტისმეტად სასაცილო (მასხრად ასაგებბი).

თვითნებურ მოქმედებას არავითარ გამართლება არ ექნება, რადგანაც გადაწყვეტილება საამისოდ განკუთვნილ ვადაში არ გასაჩივრებულაო.

– ჩემს მარნმუნებელს, – ამბობს ეს მეორე რწმუნებული, – გასაჩივრების საფუძველი არა ჰქონია. სასამართლოს ბოქაუ-ლი თავის აქტში არაფერს ამბობს საკუთრების უფლების დარღვევის შესახებ. უფლება დარღვეულია იმით, რომ ბიძამ ლობე უფროსი ძმის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებულ მიწაზე ჩადგა, უფროსმა ძმამ კი უმცროსს ამ ლობის დაშლა დაავალა.

მომრიგებელი მოსამართლე ამკარად რწმუნებულთა მხარეს იხრებოდა და მან გადაწყვიტა, სადავო მონაკვეთი ადგილზევე ენახა.

– რამდენადაც დავა იმაზეა, თუ სად არის ჩრდილოეთი და სად – აღმოსავლეთი, საკითხის გადასაწყვეტად კომპასი იქნება საჭირო, – განაცხადა ბიძამ.

– კომპასი მაქვს და წამოვიღებ.

ჩავიდა იგი სადავო ადგილის სანახავად და ყოველმხრივ შეეცადა, გვერდი აეველო საკითხისთვის: ხაზი, რომელზეც ლობე იდგა, ბოქაულის მიერ იყო დადგენილი, თუ – ბიძის მიერ თვითნებურად შერჩეული. მომრიგებელი მოსამართლე წალმა-უკულმა ატრიალებდა გეოგრაფიულ გარემოებებს და საქმის რწმუნებულთა სასარგებლოდ გადაწყვეტის სურვილიც ამკარად ეტყობოდა. კომპასი კი სრული სიცხადით მისი ლოგიკის წინააღმდეგ მოქმედებდა. მწვავე დავა-კამათისა და კინკლაობის შემდეგ მომრიგებელმა მოსამართლემ თქვა, რომ იგი გადაწყვეტილებას 2 აპრილს გამოაცხადებდა.

სანამ ამ გადაწყვეტილებაზე გადავიდოდეთ, ერთი ფრიად საგულისხმო ფაქტი უნდა ვახსენოთ:

მეორე რწმუნებული თავის განმარტებებში დაჟინებით იმაზე ამახვილებდა ყურადღებას, რომ არასწორად გავლებული ხაზი, საიდანაც ლობე იქნა აღებული, ბიძის კუთვნილ მიწას **ეს-აზღვრება** და ეს მტკიცდება გადაწყვეტილების მე-14 პუნქტით, რომლითაც დასტურდება, რომ ეს ადგილი მარნმუნებლის მი-

ნის საზღვარია და რომ მარწმუნებელს საკუთრება უფრო ადრე დაუმტკიცდა, ვიდრე – ბიძას.

– ეს როგორ? – იკითხა ბიძამ.

– ბიძას მინა დაუმტკიცდა 11 მარტს, მარწმუნებელს კი – 13 თებერვალს.

აღმოჩნდა, რომ საკუთრების დამადასტურებელი ფურცელი მართლაც 13 თებერვალსაა გაცემული, ოღონდ ჯერ კიდევ 1883 წელს.

გესმის, მკითხველო, რა იმალება ამ ხრიკში?

პირველმა რწმუნებულმა 1884 წლის 11 მარტს არაფერი იცოდა ამ აქტის არსებობის შესახებ და ამიტომ ბოქაულს ეკითხებოდა – მიჯნას როგორ დაგვიდებთ, როცა მინას დავიმტკიცებთო?

პაექრობის დაწყებამდე ეს არ იცოდა არც მეორე რწმუნებულმა. მან ვერ მოასწრო ის-ის იყო მიწოდებული ფურცლის წაკითხვა და ამიტომ აზრადაც არა ჰქონია, რომ მარწმუნებელს საკუთრების უფლება არა ერთი თვის – როგორც, უნდა ვიფიქროთ, მას ეგონა – არამედ ერთი წლის წინ დაუმტკიცდა.

წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში კრინტი არ დაძრულა! მიზანიც ცხადზე უცხადესია, თუმცა როგორ მოხდა, რომ ამის შესახებ აქამდე არავინ არაფერი იცოდა?

საქმე მარტივადაა: მესამე ძმას გამგზავრება მოუწია, მართალია, არცთუ შორს,⁹ მაგრამ მან საკუთრების უფლების რეალიზება – თავისი წილი მინის სასწრაფოდ გაფორმება – გადაწყვიტა. და, აი, 1883 წლის თებერვალში გამოცხადდა იგი მამულში სასამართლოს ბოქაულთან ერთად, რომელმაც, თავის მხრივ, შეატყობინა ვისაც ჯერ არს, რომ ამ მესამე ძმას მის წილ მინას უფორმებდა.

ცნობილია, ზოგადად როგორი კალიგრაფიითაც იწერება ამგვარი უწყებანი. ვერავინ მასში ვერ ამოიკითხა და მოწმეთაგან არც ერთს არავისგან სმენია, რომ ეს მესამე ძმა წარმოადგენდა როგორც საკუთარ თავს, ისე – უფროს ძმასაც.

მხოლოდ ახლავს გამოიკვება, რომ ოთხიდან ორს ძმათა შორის ერთმანეთში გაყოფილი თავ-თავიანთი წილი საკუთრებისა ერთი წლის წინ აქვთ დამტკიცებული, ხოლო ბიძას, რომელიც სამედიცინო სასამართლოს მეშვეობით მათ უფრო ადრე გამოეყო, საკუთარი წილი მხოლოდ 1884 წლის 11 მარტს დაუმტკიცდა და ისიც, ასე უხეიროდ.

მომრიგებელმა მოსამართლემ 2 აპრილს გამოაცხადა...¹⁰

[1884]

მთავარი პოლიტიკური თემა

ამ დღეებში ერთ ოჯახში მომინია ყოფნა. ჩაის სუფრაზე შემთხვევით სიტყვა ჩამოვარდა მთავარ პოლიტიკურ თემაზე – ნაციონალურ საკითხში ამიერკავკასიის ქვეშევრდომი ხალხებისადმი რუსეთის დამოკიდებულებაზე. საუბარში მონაწილე ხუთი-ექვსი წევრი სუფრისა სხვადასხვა ეროვნებას მიეკუთვნებოდა, იყვნენ ინტელიგენტები, საზოგადოებაში უაღრესად დაფასებული პირები და, რაც მთავარია – მათ ერთმანეთთან უგულწრფელესი მეგობრობა აკავშირებდა. ამიტომაც არაფერი იყო დაფარული, მრწამსის გამომხატველი სიტყვები სულის იდუმალი სიღრმეებიდან მოედინებოდა. ყოველივე ამის გამო მომეჩვენა, რომ ეს საუბარი, რომელიც ყველასთვის გასაგებ ერთადერთ – რუსულ – ენაზე მიმდინარეობდა, საინტერესო იქნება რუსული პუბლიკისათვის.

მსჯელობა წამოიწყო რუსმა, გენერალური შტაბის ძველმა ოფიცერმა, გიორგის ჯვრის კავალერმა, უაღრესად სიმპათიურმა და გულღია ადამიანმა, რომელიც თავის პროფესიასთან დაკავშირებულ მეცნიერულ საკითხებს იკვლევს და ჩვენი იმპერიის განაპირა მხარეებს ღრმა ცივილიზაციურ მნიშვნელობას ანიჭებს:

– დიახ, ბატონებო! ჩემთვის სასიამოვნოა თქვენ შორის ყოფნა. შეიძლება ითქვას, მზე და მთვარე თქვენზე ამომდის! რატომაა, რომ ვერ ხერხდება ასეთი ერთსულოვნების დამყარება იმ ერებს შორის, რომლებსაც ჩვენ წარმოვადგენთ? ეს არის ჩემთვის გამოცანა!

საერთო ღუმელი.

– მე თვითონ ავხსნი: ჩვენ ყველანი ინტელიგენტები ვართ, ისეთ საკითხებს ვუტრიალებთ, რომლებითაც ყველა განათლე-

ბული ადამიანის გონებაა მოცული. ჩვენს დროში ნებისმიერი განათლებული ადამიანი ფიქრობს არა მხოლოდ პირადულ, ეკონომიკურ, საზოგადოებრივ თემებზე, არამედ – სახელმწიფოებრივზეც, პოლიტიკურზეც. პირადული და საზოგადოებრივი, მათი მომყოლი ეკონომიკური, საკითხებისადმი შეიძლება ჩვენ ერთნაირი დამოკიდებულება გვქონდეს, მიზნებიც – ერთი და იგივე, ჩვენი სინდისის კოსმოპოლიტური საწყისებიდან გამომდინარე ლტოლვანი და გულის წადილიც – ერთი და იგივე. მაგრამ, ვინაიდან ჩვენ სხვადასხვა ერის შვილები ვართ, ჩვენი პოლიტიკური რელიგიაც, კაცმა რომ თქვას, სხვადასხვა უნდა იყოს, თუმცა, გულწრფელად ვამბობ, არა ერთ და ორ თემასთან დაკავშირებით მე ეს არ შემიმჩნევია. ბევრი თქვენგანი, თვითონ მომისმენია, გამოხატავს, მაგალითად, თანაგრძნობასა და სიხარულს წმინდა წყლის სახელმწიფოებრივი, პოლიტიკური წარმატებების გამო, ვთქვათ, რუსული იარაღის გამარჯვების გამო არა მხოლოდ ჩვენი მხარის სიახლოვეს, არამედ შორს, იმპერიის სხვა განაპირა მხარეებშიც. არადა, აუცილებლად და უხვად უნდა იყოს ისეთი გარემოებები, რომლებშიც ჩვენი – რუსული სახელმწიფოებრივი – ინტერესი ძირეულად ეწინააღმდეგება ქვეშევრდომ მცირე ერთა ინტერესებს. გემახსოვრებათ ადგილობრივი პრესის ერთი ცნობილი გამონათქვამი – დიდი თევზი პატარა თევზს ყლაპავსო. ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ეს ბუნების წესია. თქვენ ან უნდა თქვათ, რომ ეს ასე არ არის, ან – დაუპირისპირდეთ მას და ეს დაპირისპირება *profession de foi*-დ აქციოთ. ან კიდევ: განიროთ საკუთარი თავი და საკუთარი ერი; ერი, რომელსაც არ შეგიძლიათ არ ემსახუროთ მთელი თქვენი სულითა და მთელი თქვენი სხეულით; არ შეგიძლიათ, მის სამსხვერპლოზე არ დადოთ თავი, რასაც, ჩემდათავად, არ გისურვებდით. ან კიდევ: ბოლოს და ბოლოს, ჩაახშოთ თქვენშივე წმინდა წყლის პოლიტიკური აზრები და ლტოლვანი და, ასე და ამგვარად, განიძარცვოთ იმ უზენაესი მისწრაფებებისაგან,

* პროფესიული მრწამსი (მსოფლხედველობა, კრედო).

რომლებიც თანამედროვე ეპოქაში განათლებულ ადამიანებს სხვებისგან გამოარჩევს.

– არა! თუ ჩვენს თანაგრძნობას ინვევდა ან გვიხაროდა რუსული იარაღის გამარჯვება არა მარტო ჩვენს სიახლოვეს, არამედ იმპერიის შორეულ განაპირა მხარეებშიც, ზოგადად – რუსული სახელმწიფოებრიობის წარმატებები, ამით არც ჩვენი პოლიტიკური profession de foi-სთვის გვიღალატია, არც მთელი სულითა და მთელი სხეულით საკუთარი ერის მსახურების გზიდან გადაგვიხვევია. ვერ დაგეთანხმებით, რომ რუსული სახელმწიფოებრიობის ინტერესები ენინააღმდეგება ინტერესებს ქართველი ერისას, რომლის შვილიც მე ვარ. ჩვენს სახელმწიფოსთან დაკავშირებული პოლიტიკური თემები მე ისევე მაინტერესებს, როგორც – ნებისმიერ რუსს. ამიტომაც არ მიწევს, ჩემშივე ჩავახშო საკუთარი პოლიტიკური აზრები და ლტოლვანი. ჩვენ არასოდეს არ მივისწრაფოდით და, არც საფუძველი არსებობს, უახლოეს მომავალში გეზი ავილოთ პოლიტიკური ავტონომიისაკენ. სეპარატიზმი, ეს უდავოა, ჩვენთვის უცხო იყო. შესაძლებელია, ეს უცნაურიც იყოს იმათთვის, ვინც ჩვენს მხარეში არსებულ ვითარებას არ იცნობს. თქვენთვის კი, თუ ხსენებულ ვითარებას ჩაუკვირდებით, ყველაფერი ცხადზე ცხადი გახდება. ზოგადად სეპარატიზმსა და სწრაფვას პოლიტიკური ავტონომიისაკენ, როგორც ყველაფერს ამქვეყნად, მხოლოდ შესაძლებელი პირობები ქმნის. ცეცხლთან თამაში არ შეიძლება. უკიდურესად გონებაშეზღუდულებად ჩაგვთვლის ყველა, ვისაც ესმის ისეთი მარტივი გარემოებები, რომლებიც ხსენებულ შეხედულებათა სისწორეს პირდაპირ და ერთბაშად დაადასტურებს.

გეოგრაფიულად ჩვენს ხალხს გარშემო სამი სახელმწიფო აკრავს: თურქეთი, სპარსეთი და რუსეთი. ამათგან პირველი ორისადმი, შეუძლებელია, რაიმე სიმპათიას ვგრძნობდეთ – ისინი ჩვენი ისტორიული მტრები არიან! მათი მეზობლობა ჩვენ თხუთმეტსაუკუნოვან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლად გვიზის. სისხლი, რომელიც მათთან ომებში დავღვარეთ, მთელ

მუსლიმურ სამყაროს ჩაძირავდა. მათგან ტრაგიზმით აღბეჭდილი ჩვენი ჩაგვრა-დამონებისა და ტანჯვა-წამების სრულად წარმოდგენა ნებისმიერ ურჯუკ და ზნედაცემულ აზიელ ბარბაროსსაც კი კონველსიურ მდგომარეობაში ჩააგდებდა. ხომ შეუძლებელია, ჩვენ ჩვენი ბედი მათ დავუკავშიროთ, ხომ წარმოუდგენელია, ხსნა მათში ვეძებოთ, ხოლო იმ შემთხვევაში...¹

[1887 წ.]

შენიშვნები და კომენტარები

ტიქსტისათვის

ტომში შესულია დიმიტრი ყიფიანის მიერ საჯაროდ წარმოთქმული სიტყვები, სხვადასხვა ხასიათის ნაწერები, რომლებიც, ცალკე აღებული, თემატურად ვერ თავსდება ავტომეულის სხვა განყოფილებებში, ჩანაწერები, სამოქალაქო გარიგებები (ხელშეკრულებები, ანდერძი) და დაუმთავრებელი თხზულებები.

განყოფილებაში „საჯარო სიტყვები“ დიმ. ყიფიანის მიერ 1871 წ. 9 აპრილს თბილისის სასამართლოში წარმოთქმული სიტყვაც გვაქვს შეტანილი. იგი ეხება არა საზოგადო, არამედ პირად საკითხს, თუმცა, ეს სიტყვა სხვა მასალაში რომ არ გაბნეულიყო, აღნიშნულ განყოფილებაში შევიტანეთ *გამონაკლისის სახით*.

განყოფილებაში „სხვადასხვა“ ვერ მოხვდა „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ წესდება, შედგენილი დიმ. ყიფიანის მიერ 1842 წელს. ტექსტი წესდებისა სრულად არის ჩართული ავტორის „მემუარებში“ (ყიფიანი 2020: 266-269).

რომ არ დაკარგულიყო, განყოფილებაში „ჩანაწერები“ შეტანილი გვაქვს დიმ. ყიფიანის თარგმანებზე მის მიერვე დართული (სქოლიოებში ჩატანილი) ის კომენტარები თუ განმარტებები, რომლებსაც, ჩვენი აზრით, შეიძლება დამოუკიდებელი მნიშვნელობა მიენიჭოს.

განყოფილებაში „დაუმთავრებელი“ შეტანილი ტექსტებიდან ერთ-ერთი – „სცენები თავადაზნაურობის ცხოვრებიდან“ – გამორიცხული არ არის, ავტორს დამთავრებული ჰქონოდა (იხ. გვ. 418)., თუმცა იბეჭდება ის, რაც ხელთა გვაქვს. რაც შეეხება კიდევ ერთ ტექსტს – „მთავარი პოლიტიკური თემა“ – დარწმუნე-

ბით შეიძლება ითქვას, რომ იგი ავტორს დასრულებული ჰქონდა, თუმცა ჩვენამდე ბოლონაკლულად არის მოღწეული (იხ. გვ. 442).

ტექსტები განყოფილებებში დალაგებულია თემატურ-ქრონოლოგიური პრინციპით.

პასპორტში ვუთითებთ მონაცემებს ტექსტის ხელნაწერის, პუბლიკაციის, სათაურის, თარიღისა და დაწერის ადგილის, ავტორისეული ხელმოწერის შესახებ. როცა ეს მონაცემები ტექსტში არ არის (ვთქვათ, ტექსტი დაუსათაურებელია ან დაუთარილებელია და სხვ.), ასეთ შემთხვევაში შესაბამისი მითითება პასპორტში გამოტოვებულია და აუცილებელ განმარტებებს ვიძლევიტ შენიშვნებსა და კომენტარებში.

დიმ. ყიფიანის ნაწერები ხშირად არ იბეჭდებოდა, ამიტომ **„ნაბეჭდში“** მითითებული გვაქვს არა მხოლოდ პირველნაბეჭდი და ავტორის სიცოცხლეში გამოცემული ტექსტები, არამედ – ჩვენთვის ცნობილი პუბლიკაციებიდან უკლებლივ ყველა. როცა მითითებული არ არის **„ნაბეჭდი“**, ეს იმას ნიშნავს, რომ **ტექსტი ხელნაწერის საფუძველზე პირველად წინამდებარე გამოცემაში იბეჭდება.**

ტექსტების ერთი ნაწილი დათარიღებულია ავტორის მიერ. ასეთის არარსებობის შემთხვევაში კვლევით დადგინდეს თარიღს ვუთითებთ კვადრატულ ფრჩხილებში. დაწერის თარიღი კვადრატულ ფრჩხილებშია მაშინაც, როცა საკითხის შესახებ არ მოგვეპოვება რაიმე ხელმოსაჭიდი მონაცემი და მას (ტექსტს) ვათარიღებთ პირველნაბეჭდის მიხედვით. სათანადო მონაცემები – ტექსტი პირველნაბეჭდის მიხედვით თარიღდება თუ თარიღი კვლევით დგინდება – შენიშვნებსა და კომენტარებშია მოცემული. თუ ავტორს თარიღთან ერთად ტექსტის დაწერის ადგილიც აქვს მითითებული, მოგვყავს ორივე მონაცემი.

დიმ. ყიფიანი 1860-იანი წწ. ბოლომდე იყენებდა ძველ, ე. წ. ფუნქციადაკარგულ, ასოებს (ჭ, ძ, ჯ, ჴ, შ; აგრეთვე – უ). იგი მიიჩნევდა, რომ ეს ასოები ქართულ ენას მოქნილობასა და მუსიკალობას სძენდა, თუმცა საბოლოოდ დაემორჩილა ილია

ჭავჭავაძის (ზოგადად თერგდალეულთა) მიერ განხორციელებულ ცნობილ რეფორმას და 1860-1870 წწ. მიჯნიდან ამ ასოებს უკვე იშვიათად ხმარობდა. წინა (I-V) ტომებში, გარდა დასაბუთებული გამონაკლისებისა (იხ.: ყიფიანი 2017: 220; ყიფიანი 2019: 422), ძველი ასოები ამოღებული გვაქვს და სიტყვები ახალი სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვითაა მოცემული. ზოგადად იგივე ვითარებაა ამ ტომშიც, თუმცა ვუშვებთ გამონაკლისს, კერძოდ, ძველი ასოები დავტოვეთ ბოსიუეს ქადაგების დიმ. ყიფიანისეულ თარგმანში. ეს თარგმანი თავისებური *ექპერიმენტი*ა, რომელშიც მთარგმნელს სურს წარმოაჩინოს, თუ როგორ „უღერს“ ერთი და იგივე ტექსტი, როცა იგი ითარგმნება: ა) ძველი (ე. წ. მნიგნობრული) და ბ) ცოცხალ მეტყველებასთან მიახლოებული სალიტერატურო ენით, ამასთანავე, მთარგმნელს ძველი ასოების გამოყენებით, როგორც ჩანს, სურს XVII ს. ავტორის ტექსტის (ქადაგების) არქაიზაცია.

დიმ. ყიფიანის ნაწერებში ხშირად გვხვდება პარალელური ფორმები. მაგალითად: ჯინში/ჯიში, გარდანყვეტილება/გადანყვეტილება, ერთმანეთი/ერთმანერთი, ერთად/ერთათ სხვ.; ასეთ შემთხვევებში (და ზოგადადაც) უარს ვამბობთ ენობრივი უნიფიკაციის პრინციპზე და დიმ. ყიფიანის მართლწერასა და პუნქტუაციას ვტოვებთ უცვლელად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამკარაა ლაფსუს კალამი ან კორექტურული ხარვეზი. უნიფიკაციაზე უარის თქმა იმ გარემოებითაც არის განპირობებული, რომ დიმ. ყიფიანი მნიშვნელოვანი ფიგურა იყო ახალი ქართული სალიტერატურო ენის ფორმირების საქმეში და, ვფიქრობთ, სასურველია, ამ სასიცოცხლო მნიშვნელობის პროცესში მისი მონაწილეობის კვალი არ წაიშალოს.

შენიშვნებსა და კომენტარებში არ ვიძლევიტ მონაცემებს ტექსტში ნახსენებ პირთა შესახებ (გარდა ცალკეული აუცილებლობისა, როცა ესა თუ ის პირი ნახსენებია: ან მხოლოდ სახელით, ან მხოლოდ გვარით, ან ინიციალით/ინიციალებით, ან კიდევ, როცა კონტექსტი მოითხოვს აუცილებელ განმარ-

ტებას). მონაცემები პირთა შესახებ გაგვაქვს პირთა ანბანურ-ანოტირებულ საძიებელში. ამით თავი ავარიდეთ ხშირ გამოორებებს, მნიშვნელოვნად განიტვირთა სამეცნიერო აპარატი და, ვფიქრობთ, მკითხველისთვისაც გაცილებით უფრო მოსახერხებელი უნდა იყოს, პირთა შესახებ მონაცემები აქა-იქ კი არ ეძებოს, არამედ ნახოს ანბანურ რიგზე დალაგებულ პირთა ანოტირებულ საძიებელში.

გეოგრაფიული სახელები საძიებელში არ შეგვაქვს ორ შემთხვევაში: ა) წიგნებისა თუ პერიოდიკის გამოცემის ადგილი (თბილისი, ტფილისი, Тифлис, Санкт-Петербург და სხვ.); ბ) როცა ესა თუ ის გეოგრაფიული სახელი პერიოდული გამოცემის სახელწოდებადაა გამოყენებული („ივერია“, „Кавказ“ და სხვ.).

ს ა ჯ ა რ ო ს ი ტ ყ ვ ე პ ი

1. სიტყვა თქმული 1848 წლის 22 აპრილს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის ყრილობაზე (გვ. 13-15)

ხელნაწერი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. დიმ. ყიფიანის არქივი. საქმე №137. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 2.

ნაბეჭდი: Акт Грузинского дворянства 24-го апреля 1848 года. // Акты, собранные Кавказской археографической комиссиено. Т. X. Тифлис: Типография Главного Управления Наместника Кавказского. 1885, გვ. 26.

ხელნაწერს თავზე დიმ. ყიფიანის ხელითვე აწერია: „Говорено 22 апреля 1848, в губернском собрании Грузинского дворянства“ [„წარმოთქმულია 1848 წლის 22 აპრილს ქართველი თავადაზნაურობის საგუბერნიო ყრილობაზე“]. ხსენებულ ყრილობაზე ქართლ-კახეთის თავადაზნაურობამ თავის წინამძღოლად („მარშლად“) სამწლიანი ვადით კიდევ ერთხელ აირჩია **დიმიტრი**

თამაზის (თომას) ძე ორბელიანი (უცვლელი „მარშალი“ იყო 1839-1855 წწ.). არჩევნებზე მთავარმმართველობის საბჭოს იმდროინდელმა საქმეთა მმართველმა დიმ. ყიფიანმა წარმოთქვა სიტყვა, რომელიც ყრილობამ 24 აპრილის თარიღით იმპერატორ ნიკოლოზ I-ს გაუგზავნა (მიმართვა თავადაზნაურობის სახელითაა გაგზავნილი და მასში სიტყვის ავტორის, დიმ. ყიფიანის, სახელი, ცხადია, არ არის ნახსენები). „აქტებში“ გამოქვეყნებული პირველნაბეჭდის მიხედვით, ნიკოლოზ I-ს მიმართვაზე საკუთარი ხელით წაუწერია: „Душевно благодарить за благородные чувства“ („გამოეცხადოთ გულწრფელი მადლიერება კეთილშობილური გრძნობებისათვის“) (აქტები 1885: 26). საინტერესოა, რომ დიმ. ყიფიანის ამ სიტყვასთან დაკავშირებით ჩრდილოეთ კავკასიაში ბრძოლის ქარცეცხლში მყოფი მეფისნაცვალი მიხეილ ვორონცოვი თემირხანშურიდან (ამჟამად დაღესტნის ქ. ბუინაქსკი) თბილისში სწერს ვასილ ბებუთოვს: „იმედი მაქვს, ყიფიანს ეტყვი, რა სიამოვნებით წავიკითხე მისი მშვენიერი სიტყვა და როგორი მადლობელი ვარ მისი“ (ჯორჯაძე 1989: 510).

¹ (გვ. 13) **„ბატონებო! არჩევნები დასრულდა ... საქმე ასეა“** – კურსივით აღნიშნული ეს მონაკვეთი არის ხელნაწერში, თუმცა არ არის „აქტების“ პუბლიკაციაში.

² (გვ. 14) **„სისხლი წმინდა და უმანკო, როგორც ეს ყრილობის პირველ დღეს ბრძანა ჩვენმა ღრმად პატივცემულმა თანაწევრმა, ინფანტერიის გენერალმა, ბატონმა ერისთოვმა“** – სიტყვის ეს მონაკვეთი „აქტების“ პუბლიკაციაში გამოტოვებულია, თუმცა არის ხელნაწერში. **ერისთოვი:** იგულისხმება გენერალ-ლეიტენანტი და ინფანტერიის გენერალი, რუსეთის იმპერიის უმაღლესი ჯილდოს, ანდრია პირველწოდებულის ორდენის, კავალერი **გიორგი იასეს ძე ერისთავი**.

³ (გვ. 15) **„არეულობა, რომელიც აგრერიგად აშფოთებს ევროპის დასავლეთს“** – დიმ. ყიფიანს აქ მხედველობაში აქვს 1848 წლის რევოლუციები, რომლებმაც თითქმის მთელი დასავლეთი ევროპა მოიცვა და მონარქიებს დამხობით ემუქრებო-

და. ამ მოვლენებთან დაკავშირებით რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა 1848 წლის 14 მარტს გამოსცა სპეციალური მანიფესტი. დიმ. ყიფიანის სიტყვა ქართველი თავადაზნაურობის სახელით იმპერატორს სწორედ 14 მარტის მანიფესტის საპასუხოდ გაეგზავნა (აქტები 1885: 26). თვითონ მანიფესტში კი ნათქვამია:

„ღვთის ნებით დამკვიდრებული მრავალწლიანი მშვიდობის შემდეგ ევროპის დასავლეთი მოულოდნელმა შოფთმა და არეულობამ მოიცვა. იქმნება კანონიერ ხელისუფლებათა დამხობისა და საზოგადოებრივი წყობილების მოშლის საფრთხე. – საფრანგეთში წარმოშობილი ამბოხება და ანარქია მალე მოსაზღვრე გერმანიას გადაედო. საყოველთაო და ზღვარს გადასული თავხედობა, რომელიც მთავრობათა დათმობების გამო სულ უფრო და უფრო იზრდება, ბოლოს და ბოლოს, თავისი გამანადგურებელი ძალით ჩვენს მოკავშირეს, ავსტრიის იმპერიის პრუსიის სამეფოს, მიადგა. ზღვარი გადალახულია: სიშლეგით შეპყრობილი კადნიერი ძალა ჩვენს ღვთით ბოძებულ რუსეთს ემუქრება. – მაგრამ ეს ვერ მოხდება! – მსგავსად ჩვენი მართლმადიდებელი წინაპრებისა, დახმარებისათვის ყოვლადძლიერ ღმერთს რომ მიმართავდნენ, მზად ვართ, მედგრად დავხვდეთ მტერს, სადაც არ უნდა გამოჩნდეს იგი, თავდაუზოგავად, წმინდა რუსეთთან ურღვევი ერთობის შეგნებით, დავიცვათ სახელი რუსისა და ჩვენი საზღვრების ხელშეუხებლობა. – დადასტურებულად ვიცით: ყოველი რუსი, ყოველი ჩვენი ერთგულქვეშევრდომი, სიხარულით გამოეხმაურება მოწოდებას თავისი ხელმწიფისას, რომ ძველებური ჩვენი შეძახილი: „რწმენის, ხელმწიფისა და მამულისათვის!“ ახლაც წინ გაგვიძღვება გამარჯვებისკენ, და მაშინ მონიწებული მაღლიერებით, როგორც ამჟამად – სასოებითა და წმინდა იმედით, ყველანი ერთად შევძახებთ: „ჩვენთან არს ღმერთი! სცანიტ წარმართთა და იძლიენიტ, რამეთუ ჩვენთან არს ღმერთი!“ (შილდერი 1903: 629).

⁴ (გვ. 15) „2. წარუდგინოს მის იმპერატორობით უდიდებულესობას ჩვენი საერთო სურვილი ... ხელმძღვანელობას წარუდგენს დადგენილი წესით“ – სიტყვის ეს ბოლო მონაკვეთი არ არის ხელნაწერში, თუმცა არის „აქტების“ პუბლიკაციაში.

2. სიტყვა თქმული 1848 წლის 26 აპრილს თბილისის ბოტანიკურ ბაღში გამართულ ნადიმზე (გვ. 16-17)

ხელნაწერი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. დიმი. ყიფიანის არქივი. საქმე №138. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 2 [დიმი. ყიფიანის ხელით აწერია (რუსულ ენაზე): „წარმოთქმულია ბოტანიკურ ბაღში 1848 წლის 26 აპრილს“].

1848 წელს მიხეილ ვორონცოვის ინიციატივით გადაწყდა კავკასიის სასწავლო ოლქის დაარსება. ამასთან დაკავშირებით თბილისის ბოტანიკურ ბაღში გაიმართა კავკასიის მმართველ პირთა ნადიმი, რომელსაც უძღვებოდა დიმი. ყიფიანი. წინამდებარე სიტყვა ამ ნადიმზეა წარმოთქმული.

საერთოდ დიმი. ყიფიანის პროგრამის (იხ. ყიფიანი 2016: 18-20) ძირითადი პრინციპი და მისი, როგორც ქართველი მოღვაწის, მთავარი მიზანი იყო განათლების გავრცელების გზით საერთო-ეროვნული თვითშეგნების გამთლიანება, აღორძინება და კულტურულ-ინტელექტუალური დაწინაურება. ამ საქმის სისტემურ საფუძველზე დაყენებას არსებითად ხელს უშლიდა ის გარემოება, რომ საქართველოში არსებული სასკოლო დაწესებულებები ფორმალურად ხან ყაზანის უნივერსიტეტზე იყო მიწერილი, ხანაც – ხარკოვის სასწავლო ოლქზე (თავზიშვილი 1974: 227). კავკასიის სასწავლო ოლქის დაარსებით კი შესანიშნავი პირობები იქმნებოდა საიმისოდ, რომ განათლების საქმის კოორდინაციასთან (მათ შორის, ახალი სასწავლებლების დაარსებასთან) დაკავშირებული საკითხები

აქვე, ადგილზევე გადაწყვეტილიყო, მით უმეტეს, 1848 წელს შემუშავებული სპეციალური დებულების თანახმად, სასწავლო ოლქი ფაქტობრივად და უშუალოდ არა რუსეთის განათლების სამინისტროს, არამედ კავკასიის მეფისნაცვალს უნდა დაქვემდებარებოდა (მოგვიანებით ასეც მოხდა – იხ. მაკიევსკი-ზუბოკი 1906: 639). საგანგებოდ უნდა ითქვას, რომ სასწავლო ოლქის დებულება უზრუნველყოფდა ქართული ენის სავალდებულო სწავლებას როგორც გიმნაზიებში, ისე სამაზრო თუ სხვა ტიპის სასწავლებლებში (თავზიშვილი 1974: 285). დიმ. ყიფიანის განსაკუთრებული ყურადღება სასწავლო ოლქის დაარსებისადმი, პირველ რიგში, სწორედ ზემოხსენებული გარემოებებით იყო განპირობებული (კავკასიის სასწავლო ოლქის შესახებ იხ.: თავზიშვილი 1974: 280-300; დოკუმენტური მასალა – აქტები 1885: 125-126; სასწავლო ოლქის გახსნაზე მ. ვორონცოვის სიტყვა იხ.: ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №1948; ჯოლოგუა 2002: 188-190; ვ. სემიონოვის სიტყვა – ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №1949). დიმ. ყიფიანის წინამდებარე სიტყვას იმონებენ ა. ჯორჯაძე და სიმ. ხუნდაძე და გამოთქვამენ არსებითი მნიშვნელობის მოსაზრებებს სიტყვის ავტორის პოლიტიკური მსოფლმხედველობისა და აზროვნების თავისებურებებზე (ჯორჯაძე 1989: 513-514; ხუნდაძე 1936: 30-31).

¹ (გვ. 16) **„სიტყვა წარმომეტქვა ქართველ თავადაზნაურთა ყრილობაზე“** – დიმ. ყიფიანს მხედველობაში აქვს 1848 წლის 22 აპრილს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის ყრილობაზე წარმომტქმული სიტყვა (იხ. აქვე, გვ. 13-15).

² (გვ. 16) **„...ვასილ ნიკოლოზის ძე, პეტერბურგს მიემგზავრება“** – იგულისხმება **ვასილ სემიონოვი**, კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი 1848-1852 წწ. (მ. ვორონცოვის მიერ კავკასიის სასწავლო ოლქთან დაკავშირებული საორგანიზაციო საქმიეების ხელმძღვანელობა ვ. სემიონოვს ჰქონდა დავალებული – იხ. აქტები 1885: 125-126).

**3. სიტყვა თქმული 1864 წლის 16 თებერვალს
თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის
წინამძღოლის არჩევნებზე**
(გვ. 18-19)

ხელნაწერი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. დიმ. ყიფიანის არქივი. საქმე №276. ავტოგრაფი. შავი. ქართულ და რუსულ ენებზე. ფ. 2 [იქვეა: ა) კოტე ყიფიანის მიერ გადაწერილი პირი; ბ) ტექსტის ქართული ნაწილის დიმ. ყიფიანისეული რუსული თარგმანი].

ნაბეჭდი:

შ. ჩხეტია. საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში. თბილისი: საქართველოს სსრ შსს საარქივო სამმართველო. 1950, გვ. 312-313.

Грузия в период буржуазных реформ (1862-1872). Под редакцией Ш. К. Чхетия. Т. I. Ч. II. Тбилиси: Архивное управление МВД Грузинской ССР. 1960, гв. 695-696.

ტექსტი სიტყვისა დიმ. ყიფიანს სრულად აქვს შეტანილი თავის „მემუარებში“ (ყიფიანი 1930: 99-101; ყიფიანი 2020: 258-260), რომელიც რუსულ ჟურნალ „რუსკაია სტარინაში“ გამოქვეყნებულად დაიწერა. შესაბამისად, დიმ. ყიფიანს წინამდებარე ტექსტის ქართული ნაწილის რუსულ ენაზე თარგმნა დასჭირდა, შემდეგ კი, როცა ნ. ტატიშვილ-ყიფიანი „მემუარებს“ ქართულად თარგმნიდა (ყიფიანი 2020: 404-405), მას არა ხელნაწერი, არამედ სიტყვის „რუსკაია სტარინაში“ დაბეჭდილი ტექსტი გამოუყენებია. ასე რომ, მივიღეთ ასეთი სურათი: ქართული ნაწილი სიტყვისა ჯერ ავტორმა თარგმნა ქართულიდან რუსულად, შემდეგ ნ. ტატიშვილ-ყიფიანმა – რუსულიდან ქართულად. ჩვენ წინამდებარე პუბლიკაციაში **სიტყვის ქართული ნაწილი გადმოგვაქვს უშუალოდ დიმ. ყიფიანის ავტოგრაფული ხელნაწერიდან, ხოლო რუსული ნაწილი – ნ. ტატიშვილ-ყიფიანის თარგმანიდან.**

თვითონ ფაქტი, **აზნაურ** ყიფიანის არჩევა ქართლ-კახეთის თავადაზნაურობის წინამძღოლად, მნიშვნელოვანი მოვლენაა XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიაში და მკაფიოდ მეტყველებს იმ სიღრმისეულ ტრანსფორმაციებზე, რომლებიც 1860-იანი წლების ქართული არისტოკრატის თვითშეგნებაში მიმდინარეობდა. ამ ტრანსფორმაციების საფუძვლიანი ანალიზი მოცემულია ბარონ ალ. ნიკოლაის მიერ რუსეთის იმპერიის უმაღლესი ხელისუფლების დავალებით შედგენილ კონფიდენციალურ მოხსენებაში, რომელშიც მოხსენების ავტორი უპასუხებს ძირითად კითხვებს: ა) რამდენად კანონიერი იყო ქართლ-კახეთის თავადაზნაურობის წინამძღოლად („მარშლად“) დიმი. ყიფიანის არჩევა; ბ) ქართველი არისტოკრატის მცირერიცხოვანი, თუმცა სახელმძღვანელო და გავლენიანი ჯგუფის (გრ. ორბელიანი, ივ. მუხრანბატონი და სხვ.) მწვავე პროტესტი „მარშლად“ აზნაურის არჩევის გამო თავადურ წრეებში ხომ არ გამოიწვევდა ხელისუფლების ინტერესთა დამაზიანებელ რყევებს; გ) იყო თუ არა პოლიტიკური თვალსაზრისით სახიფათო „მარშლად“ არჩევა ისეთი პირისა, რომელიც, ჯერ ერთი, ორიოდ წლის წინ კავკასიის მეფისნაცვლისადმი დაუმორჩილებლობის გამო სახელმწიფო სამსახურიდან დემონსტრაციულად იქნა დათხოვნილი და, რაც მთავარია, გავრცელებული ხმების მიხედვით, ფარული მიმდევარი იყო საქართველოს ავტონომიის იდეისა [ალ. ნიკოლაის მოხსენება დედნის (რუსულ) ენაზე იხ. ჩხეტია 1950: 01-012; ქართული თარგმანი შენიშვნებითა და კომენტარებით – სამკვილიშვილო მოკავშირე... 2007: 215-229; თარგმანის ვრცელი მონაკვეთები – ყიფიანი 2020: 455-461].

ყრილობაზევე, მეორე დღეს, 17 თებერვალს, სიტყვით გამოვიდა თავადი გრიგოლ ნიკოლოზის ძე ციციშვილი და ეს მისი „მაღალ შტილზე“ განყოფილი (ა. ჯორჯაძის თქმით, „დასურათებული“ – ჯორჯაძე 1989: 457) ვრცელი სახოტბო სიტყვა საინტერესოა იმით, რომ, ჯერ ერთი, გადმოსცემს თავადაზნაურობის უმრავლესობის მოტივაციას, თუ რატომ აირჩიეს მათ თავიანთ

წინამძღოლად დიმ. ყიფიანი და, ამასთანავე, თვალსაჩინო ნიმუშია იმდროინდელი ქართველი არისტოკრატიის ერთი ნაწილის წერისა და აზროვნების სტილისა (ვიმონუმებთ ფრაგმენტს):

„წრფელის გულით, დიდის მოთმინებით და დიდის ცდით ვეცადენით, ვეძიეთ, ვარჩიეთ და, რაოდენსაცა ვართ ცნობას მოსრულნი, გპოვეთ შენ ჩუენის გამორჩევით. უ[ფალო] დიმიტრი ყიფიანო! ვ[ითარცა] ახლისა დროისა გამოცდილი, ეგრეთვე მცნობი ძუელისაცა დროისა და აღმოგირჩიეთ შენ წინამძღომელად კეთილშობილთა ქართლოსისა, უფლოსისა, კახოსისა, კუხოსისა და ჯავახოსისა საუფლისწულოთა ზედა ივერიასა შ[ინ]ა, ვ[ითარცა] ღირსი კაცი წინამძღომლობისა სასარგებლოისა გზისადმი, ერთგულებისა შ[ინ]ა მისის იმპერატორებითის უდიდებულებისა ხელმწიფეს აღექსანდრეს ნიკოლოზის ძისა. – უ[ფალო] დიმიტრი ყიფიანო! აჰა, წინაშე თუალთა შენთა ჰსდგანან რაოდენნიმე წევრნი კეთილშობილთაგანნი, მოკლებულნი პირველისა ღირსებისა და განათლებისა, და შტონიცა ამათნი, ძენი და ასულნი ცუფლილებისა გამო დროისა ამიერიდგანცა უმეტესად დაშთებთან: თანდითან ღონე მოკლებულნი, გონება განუნათლებელნი და არიან განუფურჩუნელად, ხ[ოლო] არა ერთი ჩუენგანი აქა მდგომარეთაგანი არა ვიჭვნეულებთ, რომელ ვიყვნეთ შემცდარნი შენს აღმორჩევაზედ ახლისა დროისათვის. იმედი არის და გუაქუს, რომელ განამართლებ ჩუენის საზოგადოების ფიქრს და აზრს, მიაპყრობ ყურს პირველ ძუელად შენიშნულს ნაყოფიერს ხეებს, დაუსხავ განსაფურჩვენელს გრილს წყალს, შეუგრილებ დროსაგან შემჭკნარსა ფესვს, უხარებ შტოებს და ახლად ნორჩს ჩჩვილთ ყრმათ აღმოუმიდინარებ ახალს წყაროს და მისცემ განსხუავენას ძველის დროისაგან და მათის ყუავილოვნებით, ნაყოფთა სარგებლობით ისარგებლებ შენცა და იხარებ უკუნისამდე და იქმნები დაჯილდოებულ შემოქმედისაგან სოფლისა მრავალ ჟამიერ“ (სრულად გრ. ციციშვილის სიტყვა იხ.: სახალხო გაზეთი

1912²; ჩხეტია 1950: 313-315; ჩხეტია 1960: 596-598;
ხელნაწერი – ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №277. ფ. 2).

ქართლ-კახეთის თავადაზნაურობის წინამძღოლად დიმ. ყიფიანის არჩევის წინაპირობების, უშუალოდ კენჭისყრისა და კენჭისყრის შედეგებთან დაკავშირებული რეზონანსის შესახებ, გარდა მისივე „მემუარებისა“ (ყიფიანი 2020: 255-260) და ალ. ნიკოლაის ზემოხსენებული მოხსენებისა, იხ. აგრეთვე: ყიფიანი 1894: 89-95 (იგივე ტექსტი შენიშვნებითა და კომენტარებით – საშვილიშვილო მოკავშირე... 2007: 20-24); ფურცელაძე 1912 (იგივე ტექსტი შენიშვნებითა და კომენტარებით – საშვილიშვილო მოკავშირე... 2007: 79-82); ჯორჯაძე 1989: 453-462; ხუნდაძე 1936: 88-95; უთურაშვილი 1989: 92-97; ჯოლოგუა 1997: 163-168.

¹ (გვ. 18) **„ერთხელვე (1862) წარმომითქვამს თქვენთან, რომ ვისაც საზოგადოება თავისს წევრთაგანს დაჰსაქმებს რასმე ... უარს არა ვინ უნდა იტყოდეს“** – დიმ. ყიფიანს აქ მხედველობაში აქვს ის გარემოება, რომ 1862 წელს ქართლ-კახეთის თავადაზნაურობამ მას საგლეხო რეფორმის (ბატონყმობის გაუქმების) პროექტის შედგენა დაავალა (დიმ. ყიფიანის პროექტი საგლეხო რეფორმისა იხ.: ჩხეტია 1950: 182-269; ყიფიანი 2018: 133-192).

² (გვ. 19) **„თქვენ მოიხსენით და წარსულის უფსკრულში გადაისროლეთ ჩვენს თავზე მძიმედ დაკიდებული ცრუ შეხედულებანი“** – ცრუ შეხედულებანი: ავტორი აქ იმას გულისხმობს, რომ 1864 წლამდე ქართლ-კახეთის თავადაზნაურობის წინამძღოლის პოსტი მხოლოდ უმაღლესი არისტოკრატიული გვარეულობების წარმომადგენლებს ეკავათ: გარსევან ჭავჭავაძეს (1803-1811), კონსტანტინე ივანეს ძე მუხრანბატონს (1812-1839), დიმიტრი თამაზის (თომას) ძე ორბელიანს (1839-1855), ივანე თამაზის (თომას) ძე ორბელიანს (1855-1856), ალექ-

ქსანდრე დავითის ძე ორბელიანს (1856-1864). ამის თაობაზე ალ. ნიკოლაი თავის ზემოხსენებულ კონფიდენციალურ მოხსენებაში წერს:

„სულიერ მოთხოვნილებათა გაფართოებასთან ერთად [ქართველმა] თავადობამ იმისი საჭიროებაც იგრძნო, რომ მათ თანამოაზრეები უნდა ეძებნათ არა გვაროვნულ ნუსხებში, არამედ ნიჭიერთა და განათლებულთა შორის. მხოლოდ თავადაზნაურობის წინამძღოლის თანამედრობა რჩებოდა აქამდე მაინცადამაინც უმაღლეს წოდებას. ეს უცილობლად ასეც უნდა მომხდარიყო, რამდენადაც თავადურ გვარეულობებში გამჯდარი იყო ჩვევა საზოგადოების სხვა ფენებზე მორალური ბატონობისა ... ზემოაღნიშნული ჩვევა ნასაზრდოებია საერთოდ თავადური წრეების განსაკუთრებული მოწინებით საკუთარ გვარეულობათა უძველესი ისტორიისადმი. უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერით გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის პოსტს უცვლელად ინარჩუნებდნენ ორბელიანები. ბაგრატიონ-მუხრანსკების, ერისთავების, ანდრონიკაშვილების მცდელობები, გამოეგლიჯათ დანიშნურებული გვარეულობისთვის ქართველი თავადაზნაურობის ბაირალი, უშედეგოდ მთავრდებოდა; ორბელიანები არ თმობდნენ ამ პატივს, ამასთანავე, მფარველს პოულობდნენ ადგილობრივ უმაღლეს სახელისუფლებო წრეებში...“ (ყიფიანი 2020: 457-458).

4. სიტყვა თქმული 1864 წლის 26 მაისს საგლეხო რეფორმის შემმუშავებელი კომიტეტის სხდომაზე (გვ. 20-27)

ნაბეჭდი:

შ. ჩხეტია. საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში. თბილისი: საქართველოს სსრ შსს საარქივო სამმართველო. 1950, გვ. 316-321.

Гугушвили П. В. Сельское хозяйство и аграрные отношения. Т. 2 (Отмена крепостного права). Тбилиси: Издательство ТГУ. 1950, გვ. 210-214

Грузия в период буржуазных реформ (1862-1872). Под редакцией Ш. К. Чхетия. Ч. II. Тбилиси: Архивное управление МВД Грузинской ССР. 1960, გვ. 757-761.

1862-1863 წწ. დიმ. ყიფიანი ქართლ-კახეთის თავადაზნაურობის თხოვნით მუშაობდა საგლეხო რეფორმის (ბატონყმობის გაუქმების) პროექტზე, რომელიც 1863 წ. აპრილში დაასრულა (ტექსტი პროექტისა იხ. ყიფიანი 2018: 133-192). პროექტის განხილვა კარგა ხანს გაგრძელდა როგორც თავადაზნაურობის ადგილობრივ (სამაზრო) კომიტეტებში, ისე თბილისში დაარსებულ ამიერკავკასიის ცენტრალურ კომიტეტში (საკითხის შესახებ იხ. ჩხეტია 1950: 3-4). წინამდებარე სიტყვა დიმ. ყიფიანისა ამიერკავკასიის ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთ სხდომაზეა წარმოთქმული. **ტექსტს ვბეჭდავთ შ. ჩხეტიას პუბლიკაციის მიხედვით** (ჩხეტია 1950: 316-321). **თარგმანი ჩვენია.**

¹ (გვ. 20) **„...ყმაგლეხები ხიზნების მდგომარეობაში იქნენ გადაყვანილნი“** – ხიზნობის რაობისა და სოციალურ სისტემაში მისი ადგილის შესახებ დიმ. ყიფიანის შეხედულებებზე იხ.: ყიფიანი 2017: 106-113; ყიფიანი 2018: 166-168.

² (გვ. 20) **„ხიზნების მდგომარეობას კომიტეტი...“** – კომიტეტი: 1860-იან წწ. საგლეხო რეფორმის შესამუშავებლად, როგორც ზემოთ ითქვა, შექმნილი იყო ამიერკავკასიის სამაზრო და ცენტრალური (თბილისი) კომიტეტები. დიმ. ყიფიანი წევრი იყო ცენტრალური კომიტეტისა (ჩხეტია 1950: 3; ყიფიანი 2018: 422-423).

³ (გვ. 22) **„ვინაიდან ადგილ-მამულის გადასახადის სამი სახიდან...“** – „სამი სახიდან“: იგულისხმება ღალა, კულუხი და ბეგარა (ჩხეტია 1950: 212; ყიფიანი 2018: 154).

⁴ (გვ. 24) „სამყოფი გასამრჯელო იქნებოდა კომლზე არა 60, არამედ წელიწადში 20 ან 24 მანეთი“ – დიმ. ყიფიანის იდეამ, გლენტა გათავისუფლების სანაცვლოდ ქართლ-კახეთის თავადაზნაურობას იმპერატორისგან ფულადი ანაზღაურება მიეღო, შედეგი გამოიღო – ალექსანდრე II-ის განკარგულებით 1864 წლის 13 ოქტომბერს გამოიცა „მთავარი დებულება“, რომლის მიხედვითაც, აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურობას გლენტა განთავისუფლების საკომპენსაციოდ თითო სულ მამაკაც გლენტაზე 25 მანეთი ებოძა, რამაც სულ 1 840 000 მანეთი შეადგინა (საკითხის შესახებ იხ. თელია 1989: 14).

**5. სიტყვა თქმული 1865 წლის 16 აპრილს
დიდი მთავრის, ნიკოლოზ ალექსანდრეს ძის,
გარდაცვალების გამო**
(გვ. 28)

ხელნაწერი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. დიმ. ყიფიანის არქივი. საქმე №280. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1.

ტექსტი უთარიღოა, ხელმოწერელია. თავზე დიმ. ყიფიანის ხელით აწერია: „Великому князю словесно“ [„დიდ მთავარს სიტყვიერად“]. თარიღდება დიმ. ყიფიანის მიერ მიხეილ თუმანიშვილისთვის 1865 წ. 22 მაისს გაგზავნილი ბარათის მიხედვით: „მაქვს პატივი, გაახლოთ ასლი კავკასიის მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს უფროსის წერილისა, რომელიც ეხება თავადაზნაურობის 16 აპრილის ყოვლადუქვეშევრდომილეს ადრესზე მისი უმაღლესობის კეთილმონყალე პასუხს“ (ხეც. მის. თუმანიშვილის არქ., საქ. №292). მაშასადამე, ქართველი თავადაზნაურობის წარმომადგენლებს იმპერატორის სახელზე შედგენილი სამძიმრის ადრესი მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძისთვის 16 აპრილს გადაუციათ და, შესაბამისად, დიმ. ყიფიანის სიტყვაც **1865 წლის 16 აპრილით უნდა დათარიღდეს.**

1865 წლის 12 აპრილს საფრანგეთში (ნიცა) გარდაიცვალა იმპერატორ ალექსანდრე II-ის უფროსი ვაჟი, ტახტის მემკვიდრე, დიდი მთავარი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე. ამასთან დაკავშირებით ქართველი თავადაზნაურობის სახელით წარმომადგენელთა ჯგუფმა სამძიმარი გამოუცხადა კავკასიის მეფისნაცვალს (განსვენებულის ბიძას), მიხეილ ნიკოლოზის ძეს, და გადასცა მას სამძიმრის ადრესი ალექსანდრე მეორისთვის გადასაცემად. დიმ. ყიფიანის წინამდებარე სიტყვა ამ შეხვედრაზეა წარმოთქმული.

იქვეა (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №280) ალექსანდრე მეორისთვის გაგზავნილი ადრესის შავი, დაწერილი დიმ. ყიფიანის ხელით (რუსულ ენაზე. უთარილო. ხელმოწერელი):

„თქვენო იმპერატორობითო უმაღლესობავ,

ქართველი თავადაზნაურობა თქვენი იმპერატორობითი უმაღლესობის ყოველ ქვეშევრდომთან ერთად ვგლოვობთ იმ უბედურების გამო, რომელიც რუსეთსა და თქვენს მამობრივ გულს დაატყდა. უმძიმესი ხვედრი გვერგო, მთელი ქართველი ხალხის სახელით გამოვუცხადოთ თქვენს იმპერატორობით უმაღლესობას: ყველანი უკლებლივ ვგლოვობთ ხელმწიფე ცესარევიჩის, დიდი მთავრის, ნიკოლოზ ალექსანდრეს ძის, ასე ნაადრევ გარდაცვალებას. თქვენი და თქვენი ქვეშევრდომების ნუგეშისცემას მოველით მისგან, ვისმა შეუცნობელმა, არსთაგამრიგე ნებამ ასეთი უმძიმესი განსაცდელი მოგვივლინა“.

¹ (გვ. 28) „თქვენო იმპერატორობითო უმაღლესობავ“ – მიხეილ ნიკოლოზის ძე იყო დიდი მთავარი, ძე იმპერატორ ნიკოლოზ I-ისა და ძმა იმპერატორ ალექსანდრე II-ისა. ეტიკეტი საიმპერატორო ოჯახის წევრებისადმი მიმართვის ასეთ ფორმას ითვალისწინებდა: *იმპერატორობითი უმაღლესობა* (Высоочество: „სიმაღლე, უმაღლესობა (ტიტლო [ტიტული] ხელმწიფეთ შვილთა“ – ჩუბინაშვილი 1971: 192).

**6. სიტყვა თქმული 1867 წლის 26 მარტს
მიხეილ ვორონცოვის ძეგლის გახსნისადმი
მიძღვნილ ნადიმზე
(გვ. 29-31)**

ხელნაწერი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. დიმ. ყიფიანის არქივი. საქმე №281. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 2 (იქვეა კოტე ყიფიანის მიერ გადაწერილი პირი).

ნაბეჭდი:

„Кавказ“. 2 апреля. 1867, №27 (რუსულ ენაზე).

„დროება“, 7 აპრილი, 1867, №14 (ქართულ ენაზე).

დიმ. ყიფიანის სიტყვა ჩართულია: ა) ქართულ ენაზე: გაზეთ „დროების“ ხელმოუწერელ პუბლიკაციაში „25 და 26 მარტი ტფილისში“ (დროება 1867^ა); ბ) რუსულ ენაზე: ნ. დუნკელ-ველინგის მიერ გაზეთ „კავკაზში“ გამოქვეყნებულ წერილში „26 марта в Тифлисе“ (დუნკელ-ველინგი 1867^ბ). ორივეგან აღწერილია კავკასიის ყოფილი მეფისნაცვლის (1844-1854), მიხეილ ვორონცოვის, ძეგლის გახსნასა და კურთხევასთან დაკავშირებული ორდღიანი ზეიმი თბილისში. ძეგლი გაიხსნა 1867 წლის 25 მარტს, მეორე დღეს კი მუშთაიდის ბაღში გაიმართა ამ ფაქტისადმი მიძღვნილი ნადიმი. დიმ. ყიფიანის წინამდებარე სიტყვა ამ ნადიმზეა წარმოთქმული (წინასწარი ინფორმაცია ძეგლის გახსნისას დაგეგმილი ცერემონიალის შესახებ იხ. დროება 1867^ბ; საგაზეთო ანგარიში ძეგლის გახსნისა და კურთხევის შესახებ – დროება 1867^ბ).

სიტყვა დაწერილი და წარმოთქმულია რუსულ ენაზე. **თარგმანი, რომელიც „დროებიდან“ გადმოგვაქვს, გაზეთის რედაქციას უნდა ეკუთვნოდეს.**

რაც შეეხება მიხ. ვორონცოვის ძეგლს, მისი ავტორი იყო პეტერბურგელი არქიტექტორი ნ. პიმენოვი (მისი სიკვდილის შემდეგ ძეგლზე მუშაობა დაასრულა ვ. კრეიტანმა), იგი იდგა ალგეთის ქვის კვარცხლბეკზე (არქიტექტორი ო. სიმონსონი)

ვორონცოვის (ამჟამად ზაარბრიუკენის) მოედანზე და იყო პირველი ძეგლი თბილისში (მიხ. ვორონცოვის ძეგლის შესახებ იხ. აგრეთვე: დროება“ 1866; ვორონცოვი 1867; დუნკელ-ველინგი 1867^ა; დუნკელ-ველინგი 1867^ბ; ბერიძე 1977: 209; გერსამია 1984: ფოტო და ანოტაცია №101). 1929 წელს საქართველოს მთავრობამ მოედნის რეკონსტრუქციის საბაზით ძეგლი აიღო.

¹ (გვ. 30) „...გუშინ ბარონმა ალექსანდრე პავლეს ძემ წარმო-სთქვა“ – იგულისხმება ბარონი *ალექსანდრე პავლეს ძე ნიკოლაი*, რომლის სიტყვაც ჩართულია „დროების“ იმავე პუბლიკაციაში, რომელშიც დიმი. ყიფიანის სიტყვაა გამოქვეყნებული (დროება 1867^ა). იმავე პუბლიკაციაშია ჩართული მუშთაიდეში გამართულ ნადიმზე გრიგოლ ორბელიანისა და ირაკლი (ერეკლე) გრუზინსკის მიერ წარმოთქმული სიტყვები.

7. სიტყვა თქმული 1867 წლის 5 მაისს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის ყრილობაზე (გვ. 32-33)

ნაბეჭდი:

„Кавказ“, 8 июня, 1867, №44.

„დროება“, 16 ივნისი, 1867, №24.

სიტყვა ჩართულია: ა) *რუსულ ენაზე*: გაზეთ „კავკაზის“ პუბლიკაციაში „О дворянских выборах в Тифлисской губерний“ (კავკაზ 1867); ბ) *ქართული თარგმანი*: გაზეთ „დროების“ პუბლიკაციაში „კეთილშობილთ კენჭის-ყრაზედ ტფილისის გუბერნიაში“ (დროება 1867^დ, დართული აქვს შენიშვნა: „გაზეთიდგან Кавказ“ – დროება 1867^ა).

დიმი. ყიფიანის წინამდებარე სიტყვა წარმოთქმულია თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის ყრილობაზე, რომელიც თბილისში მიმდინარეობდა 1867 წლის 4-6 მაისს [6 მაისის სხდომა-

ზე დიმ. ყიფიანი ქართლ-კახეთის თავადაზნაურობამ მეორედ აიწრია თავის წინამძღოლად („მარშლად“).

¹ (გვ. 32) **„ოცდა ცხრა ნოემბერს მე მეღირსა ხელმწიფე იმპერატორის წინაშე წარდგომა“** – 1866 წლის ბოლოსა და 1867-ის დასაწყისში დიმ. ყიფიანი სამეგრელოს მთავრის მემკვიდრის, ნიკოლოზ დადიანის, საქმეებზე პეტერბურგში იმყოფებოდა. 1867 წლის 4 იანვარს სრულწლოვანებას მიღწეულმა ნიკოლოზ დადიანმა ნებაყოფლობით აიღო ხელი მთავრის უფლებებზე, რასაც სამთავროს გაუქმება მოჰყვა (საკითხის შესახებ იხ. აქვე, გვ. 374).

² (გვ. 32) **„ასე კარგად მოქმედებდა გლეხების განთავისუფლებაში“** – ა) იგულისხმება საგლეხო რეფორმა (ბატონყმობის გაუქმება), რომელიც, რუსეთისგან განსხვავებით, საქართველოში ვნებათაღელვის გარეშე ჩატარდა; ბ) ამ ფრაზის შემდეგ როგორც რუსულ, ისე ქართულ პუბლიკაციებში ჩართულია სიტყვები: „Троєкратное громкое ура!“ (კავკაზ 1867); „სამჯერ ურა დასძახეს“ (დროება 1867^გ).

³ (გვ. 32) **„ბრწყინვალე მხიარულებით მიეგებეთ ჩემს შვებასა“** – შვება: დედანშია „радость“ (სიხარული) (კავკაზ 1867).

⁴ (გვ. 32) **„ჩემს გულზედ თქვენ ჰხედავთ ჩვენთვის მეტად ძვირფასს ნიშნებს ხელმწიფისაგან ნაწყალობებთა ჯილდოთა“** – საგლეხო რეფორმის ჩატარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის ალექსანდრე მეორისგან დიმ. ყიფიანს 1864 წ. ნოემბერში წმ. ანას I ხარისხის, ხოლო 1866 წ. ნოემბერში წმ. ვლადიმირის II ხარისხის ორდენები ებოძა (იხ. დიმ. ყიფიანის ნამსახურობის სია – ყიფიანი 29).

⁵ (გვ. 33) **„სამეუფო ნამესტნიკი კავკასიისა“** – იგულისხმება დიდი მთავარი *მიხეილ ნიკოლოზის ძე*, რომელიც კავკასიას მართავდა 1862-1881 წწ.

⁶ (გვ. 33) **„იმარხავს ურთიერთობის თანა შეკრულობას“** – შეკრულობა: დედანშია „*სოლიდარობა*“ (солидарность – კავკაზ 1867).

⁷ (გვ. 33) „...თქვენც ინებებთ იმის გამართლებას დაწესებულების ფორმითა“ – ამ ფრაზას პუბლიკაციაში დართული აქვს სქოლიო: „ამ დაწესებულებას პროტოკოლის სახით ხელი მოაწერეს ყრილობაში დამსწრე აზნაურობამ“ (დროება 1867^ა). აზნაურობა: აქ მთლიანად თავადაზნაურობა იგულისხმება, ხოლო რაც შეეხება სიტყვას „დაწესებულება“, იგი „დადგენილებას“ ნიშნავს (დედანი: Постановление – კავკაზ 1867).

8. სიტყვა თქმული 1871 წლის 9 აპრილს თბილისის საოლქო სასამართლოში ნიკოლოზ დადიან-მინ- გრელსკის სარჩელთან დაკავშირებით.*

(გვ. 34-57)

ნაბეჭდი: Авалов А. Заседание Тифлисского окружного суда 9 апреля 1871 года по делу князя Николая Мингрельского с ДСС Димитрием Кипиани о 112 967 р. 14 к. Тифлис: Типография Меликова и К^о. 1871, 27 გვ. [ა. ავალოვი. ტფილისის საოლქო სასამართლოს 1871 წლის 9 აპრილის სხდომა თავად ნიკოლოზ მინგრელსკისა და ნამდვილი სამოქალაქო მრჩევლის, დიმიტრი ყიფიანის, საქმეზე 112 967 მან. 14 კაპ. შესახებ. ტფილისი: მელიქოვისა და ამხანაგობის სტამბა. 1871, 27 გვ.].

დიმ. ყიფიანის ეს სიტყვა ჩართულია ა. ავალოვის (ავალიშვილის) ზემოთ მითითებულ ბროშურაში (ავალოვი 1871: 5-24). ამის შემდეგ იმავე ბროშურაში ნათქვამია, რომ კ. რეიტერმა მოპასუხის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების გასაცნობად დრო და პროცესის გადადება ითხოვა, თუმცა მას ამაზე უარი

* დიმ. ყიფიანის ეს სიტყვა არ ეხება საზოგადოებრივ საკითხს და იგი, სხვა ტიპის მასალაში რომ არ გაბნეულიყო, ამ განყოფილებაში, როგორც ეს ზემოთ გვაქვს აღნიშნული (იხ. ტექსტისათვის, გვ. 293), გამონაკლისის სახით შეგვაქვს.

ეთქვა და დავა გაგრძელდა. საბოლოოდ სასამართლომ არ დააკმაყოფილა ნ. დადიან-მინგრელსკის სარჩელი და მასვე დიმ. ყიფიანის სასარგებლოდ პროცესთან დაკავშირებული ხარჯის ანაზღაურება დააკისრა. დამსწრე საზოგადოება სასამართლოს გადანყვეტილებას მოწონების გამომხატველი შეძახილებით („ბრავო, ბრავო!“) შეხვდა (ავალოვი 1871: 27). საინტერესოა თვითონ ბროშურის ავტორის, ა. ავალოვის, შეფასება: მიუღებელი თანხები ნ. დადიან-მინგრელსკიმ დიმ. ყიფიანთან კი არა, რომელმაც თავისი სიმართლე ეჭვმიუტანლად დაამტკიცა, არამედ საკუთარ დედასთან, ანუ მთავარ მეურვესთან, უნდა ექვბოსო (ავალოვი 1871: 26).

ბროშურიდან „გამოკრებილი“ ტექსტი, მათ შორის, დიმ. ყიფიანის სიტყვის მოკლე შინაარსი, გამოაქვეყნა „დროებამ“ (დროება 1871; სასამართლო პროცესის შესახებ დოკუმენტური მასალა იხ. ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ №№461-489).

საკითხის მოკლე ისტორია ასეთია:

წლების განმავლობაში (13.IV, 1859-4.I, 1867) დიმ. ყიფიანი იყო სამეგრელოს მთავრის არასრულწლოვანი მემკვიდრის, ნიკოლოზ დადიანის, მამულებისა და ქონების *მეურვე* („ოპეკუნი“), შემდეგ (I.1867-VIII.1868) – ნ. დადიანის (უკვე დადიან-მინგრელსკის) მამულებისა და ქონების *მმართველი* და, აგრეთვე, *ვექილიც* (ყიფიანი 2020: 12, 15, 23, 27, 31; მთავარი მეურვე იყო დედა მემკვიდრისა – ეკატერინე დადიანი). მოგვიანებით ნ. დადიან-მინგრელსკიმ იმ საბაბით, თავ-თავის დროზე ანგარიშები არ ჰქონდა წარმოდგენილი და, ამასთანავე, საბოლოო, 1868 წლის, ანგარიშში მომეტებული ხარჯები ჰქონდა ნაჩვენებო, ყოფილ მეურვეს სასამართლოში უჩივლა – იგი დიმ. ყიფიანს დაახლოებით 113 000 მანეთს ედავებოდა. 1871 წლის 9 აპრილის პროცესი თბილისის საოლქო სასამართლოში დიმ. ყიფიანმა, რომელიც თვითონ იცავდა თავს, დავა მოიგო, თუმცა ნ. დადიან-მინგრელსკიმ საქმე საკასაციო წესით სასამართლო პალატაში გადაიტანა, იქ საქმე მოიგო და საბოლოოდ დიმ. ყიფიანს ნ. დადიან-მინ-

გრელსკის სასარგებლოდ 50 000 მანეთის გადახდა დაეკისრა (ციფიანი 2020: 216; სხვაგან სხვა რიცხვებია მითითებული: 50 000-ზე მეტი, 56 000 – ციფიანი 2020: 316). დიმ. ციფიანი ამ ვალს წლების განმავლობაში იხდიდა, თუმცა 1886 წელს ნ. დადიან-მინგრელსკიმ აღიარა მოვალის უდანაშაულობა და საქმე მორიგებით დაასრულა (ციფიანი 2020: 399; დიმ. ციფიანსა და ნ. დადიან-მინგრელსკის დავის შესახებ იხ. აგრეთვე: ციფიანი 2020: 11-33, 216). „მინგრელსკიმ სავესებით გამოისყიდა თავისი დანაშაული“, – დასძენს ამ საკითხზე მსჯელობის შემდეგ არჩილ ჯორჯაძე (ჯორჯაძე 1989: 552; ზოგადად სამეურვეო საქმეებთან დაკავშირებით სამეგრელოს სამთავრო ოჯახისა და დიმ. ციფიანის ურთიერთობის შესახებ იხ.: ჯორჯაძე 1989: 443-453; ხუნდაძე 1936: 84-88; უთურაშვილი 1989: 54-81; ბოროზდინი 1934: 159-160, 290-292, 311-328).

დიმ. ციფიანის მიერ თბილისის საოლქო სასამართლოში წარმოთქმული სიტყვის შესახებ ანტონ ფურცელაძე იხსენებს: „ერთ დროს ჩემთან მსახურობდა ნიკოლოზ დავითის ძე გეხტმანი, ბაქოს საოლქო სასამართლოს წევრი, ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის აღზრდილი, თავის დროზე პეტერბურგის სასამართლო უწყების თანამშრომელი, რომელსაც მოსმენილი ჰქონდა საუკეთესო ნაფიც ვეჟილთა სიტყვები. და აი, ამან მოუსმინა ციფიანის სიტყვას – თავისი თავის დასაცავად წარმოთქმულს თ-დ მინგრელსკისთან დაკავშირებულ სასამართლო პროცესზე. ამის შემდეგ გეხტმანი აღფრთოვანებით მესაუბრებოდა ხოლმე ციფიანზე და აყენებდა მას ყველა იმ ვეჟილზე მაღლა, ვისთვისაც ოდესმე მოუსმენია, თვით სპასოვიჩის ჩათვლითაც კი“ (ფურცელაძე 2007: 77-78).

დასასრულ, დიმ. ციფიანის სიტყვაში მრავალგზის ნახსენები **ანგარიშები** იხ.: ვრცლად 1859-1866 წლებისა – ხეც. დიმ. ციფიანის არქ., საქ. №428; 1867 წლიდან 1868 წლის 1 აგვისტომდე – იქვე, საქ. №453; მოკლედ 1859-1867 წლებისა – იქვე, საქ. №707.

¹ (გვ. 34) **„მოსარჩელისგან“** – იგულისხმება ნიკოლოზ დადიან-მინგრელსკი.

² (გვ. 35) **„...იმ წესებით, რომლებიც ჩემმა წინამორბედებმა შეიმუშავეს“** – მეურვის თანამდებობაზე დიმ. ყიფიანის *წინამორბედები* იყვნენ ძმა და სიძე ეკატერინე დადიანისა: *დავით ჭავჭავაძე* და ბარონი *ალექსანდრე ნიკოლაი* (ეკატერინეს უმცროსი დის, სოფიო ალექსანდრეს ას. ჭავჭავაძის, მეუღლე). სამეგრელოს დედოფალი უკმაყოფილო დარჩა მეურვეთა საქმიანობით, დაითხოვა ისინი და მეურვეობა დიმ. ყიფიანს სთხოვა. ამის შესახებ დიმ. ყიფიანი თავის „მემუარებში“ წერს: „ორი აპეკუნის 1858 წლის ანგარიშებიდან მთავრინამ დაინახა, რომ მამულის ადმინისტრაციის ხარჯებს მხოლოდ 227 მან. გადარჩა. მან ამის მიზეზი არ იცოდა, მაგრამ თვით ფაქტის გამო ისე განრისხდა, რომ აპეკუნობიდან გაანთავისუფლა ძმა და სიძე თავისი“ (ყიფიანი 1930: 56; ყიფიანი 2020: 204; მეურვედ დიმ. ყიფიანის დანიშვნასთან დაკავშირებული გარემოებების შესახებ იხ. ყიფიანი 2020: 12-13, 84-85, 204-207).

³ (გვ. 36) **„სახლთუხუცესმაც მომწეროს“** – იგულისხმება *დავით (დათა) სალიკის ძე ჩიქოვანი (ჩიქოანი)* – საკუთრივ ეკატერინე დადიანის სახლთუხუცესი, სამთავრო ოჯახის სახლთუხუცესი კი *დავით ოტიას ძე ჩიქოვანი (ჩიქოანი)* იყო.

⁴ (გვ. 36) **„ფოთიდან ძეგლი წამოიღოთ და განსვენებული მთავრის საფლავზე დადგათ“** – აქ ნახსენები *ძეგლი* მარტვილის მონასტერში, დავით დადიანის საფლავზე, დგას. მის შესახებ ი. მეუნარგია წერს: „საფლავს ადევს მარმარილოს ფიქალი, რომელს ზემოთ მშვენივრად გალესილ მრგვალ სვეტზე არის აყვანილი მარმარილოსვე ბალდახინი. ბალდახინის შუა ადგილზე არის ჩამოშვებული საუკუნო ლამპა...“ (მეუნარგია 1957: 176-177).

⁵ (გვ. 37) **„მეურვეობასა და ადგილობრივ ადმინისტრაციას შორის წარმოშობილ დავას ... პროტესტს ადგილობრივი ხელისუფლების, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის მმართველობისა და თვით მთავარმმართველობის წინააღმდეგ“** – სამთავრო

უფლებებთან დაკავშირებით დიმ. ყიფიანს მწვავე და განუწყვეტელი კონფლიქტი ჰქონდა სხვადასხვა წლებში სამეგრელოს მმართველებთან: ქუთაისის ვიცე-გუბერნატორ *მიხეილ კოლიუბაკინთან* და მის ძმასთან, ქუთაისის სამხედრო გუბერნატორ *ნიკოლოზ კოლიუბაკინთან*, აგრეთვე, თვით მეფისნაცვალ ალ. ბარიატინსკისთან, რამაც საბოლოოდ დიმ. ყიფიანს სახელმწიფო სამსახური დააკარგვინა (იხ. აქვე, კომენტ. 7). კონფლიქტის ძირითად არსს ა. ჯორჯაძე ასე ხსნის:

„დიმიტრი ყიფიანის აზრით, სამეგრელოს საკითხის გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ ორნაირად. ან ხელუხლებელი რჩება სამეგრელოს სამთავროს უფლებანი და მთავარიც სრულწლოვანობის მიღწევის დროს დაიმკვიდრებს მემკვიდრეობით ტახტს, ან კიდევ მთავრის უფლებები მოსპობილი იქნება და მისი ქონება სახელმწიფო ქონებად გახდება... სამეგრელოში მისვლისთანავე დ. ყიფიანი რწმუნდება, რომ იქ მოხელეთა წრეში თითქოს უკვე გადაუწყვეტიათ, რომ სამთავრო უკვე აღარ არსებობს და რომ ადმინისტრაცია მხოლოდ იმას უნდა ადევნებდეს თვალყურს, რათა მთავრის ქონება დაცული იყოს მხოლოდ როგორც კერძო მემამულის ქონება... ამ ორ სხვა და სხვა აზრიდან დაიბადა დიდი უთანხმოება „მზრუნველობასა“ [მეურვეობასა] და სამეგრელოს მმართველობის შუა. კონფლიქტი აუცილებელი იყო. თუ სამთავრო არსებობს, მისი წესი და უფლებანიც უნდა პატივდებულ იქმნენ. ხოლო თუ ამ პატივდებას მას აკლებენ, სამთავროც გაუქმებული ყოფილა. გაუქმებული კი იყო კანონიერად? არა. მაშ თუ კანონიერად ჯერ უარყოფილი არა არის, იმისი უარყოფელნი თვითნებობას სჩადიან და უკანონობას აწესებენ. ეს აზრი გამოირკვა დიმ. ყიფიანისათვის და იგი მხურვალედ, როგორადაც ეგ მის მთლიან და გაბედულ პიროვნებას შეეფერებოდა, კანონიერების დარაჯად დადგა“ (ჯორჯაძე 1989: 446-447).

ხსენებულ კონფლიქტთან დაკავშირებული დოკუმენტური მასალა (მიმონერა) გამოქვეყნდება მომდევნო ტომებში.

⁶ (გვ. 39) „მიიღოთ ისინი თავად ნიჟარაძისაგან“ – იგულისხმება თავადი კონსტანტინე ნიჟარაძე, რომელიც სამეგრელოს სამთავროს საქმეთა მმართველი იყო (1860-იანი წწ.).

⁷ (გვ. 47) „ადგილობრივ ხელისუფლებას პროცესი მოვუგე და ამის გამო სამსახური დავკარგე“ – მას შემდეგ, რაც სამეგრელოს სამთავრო სახლის უფლებებთან დაკავშირებით კავკასიის ხელისუფლებამ დიმიტრი ციფიანთან საერთო ენა ვერ გამოიხატა (იხ. აქვე, კომენტ. 5), საქმე პეტერბურგში, „კავკასიის კომიტეტში“, გადავიდა. დიმიტრი ციფიანი ჩავიდა პეტერბურგში. გარდა „კავკასიის კომიტეტის“ ხელმძღვანელობისა, იგი შეხვდა უშუალოდ იმპერატორ ალექსანდრე II-ს (ქლსმ. №14781-ბ) და თავისი სიმართლე დაამტკიცა. ამის შესახებ დიმიტრი ციფიანი თავის „მემუარებში“ წერს:

„1861 წ. აპრილის თვეში გამოვიდა უმაღლესად დამტკიცებული აზრი კავკასიის კომიტეტისა, რომლითაც სამეგრელოს მთავრის ყოველი დარღვეული ქონებრივი უფლება აღდგენილი იყო, ხოლო მოქმედება ადგილობრივ ხელისუფალთა, რომელთაც ბარიათინსკი ეხმარებოდა, სრულებით უარყოფილი. – თ-დმა ბარიათინსკიმ უდიდესი პატივი მცა მით, რომ ასეთი გადაწყვეტილება ჩემს გავლენას მიაწერა და საზღვარგარეთიდან ტფილისში ასეთი ბრძანება გამოგზავნა: ამის შემდეგ ციფიანი ჩემი საბჭოს წევრად ველარ დარჩება. მოახსენეთ თ-დ გრიგოლ დიმიტრის ძეს [ორბელიანს], მის მაგიერად დანიშნოს სტარიცკი. – ასე დამთავრდა 1862 წ. ჩემი სამსახური მთავრობაში“ (ციფიანი 2020: 209).

დიმიტრი ციფიანი ალ. ბარიათინსკის ბრძანებით მეფისნაცვლის საბჭოს წევრობიდან (საერთოდ სახელმწიფო სამსახურიდან) დათხოვნილ იქნა 1862 წ. 21 ივნისს (საკითხის შესახებ, აგრეთვე, წყაროები და ლიტერატურა იხ. ციფიანი 2018: 424-425).

⁸ (გვ. 49) „პარიზში ჩემ ყოფნასთან დაკავშირებით...“ – ეკატერინე დადიანის მიწვევით დიმიტრი ციფიანი პარიზში 1866 წლის

იანვრიდან იმავე წლის 19 მაისამდე იმყოფებოდა (საკითხის შესახებ იხ. ყიფიანი 2020: 318).

⁹ (გვ. 49) „...du Prince Régnant-ს უწოდებდნენ“ – *Prince Régnant* (ფრანგ.): მთავარი/სამთავროს მმართველი (XIX ს. ქართულ წყაროებსა და ლიტერატურაში მდებდრობითი სქესის გამოსახატავად გამოიყენებოდა ფორმა – *მთავრინა*).

¹⁰ (გვ. 54) „**მთავრობის რეგალია იყო**“ – რეგალია: „...მონოპოლიური უფლება რაიმე შემოსავალზე (ქეგლ 1960: 385).

¹¹ (გვ. 55) „**ხომ არის უკან ჩაბარებული მამული 70 000 მანეთზე მეტი წლიური შემოსავლით?**“ – უფრო ადრინდელ ტექსტში („სამეგრელოს მთავრის სახლი და დიმიტრი ყიფიანი“) საბუთებზე დაყრდნობით დიმიტრი ყიფიანი თავისი მეურვეობის პერიოდში სამეგრელოს სამთავრო ოჯახის შემოსავლებს ასე ანგარიშობს:

1859... 1861... 16 000 –

1861... 1867... 26 000 –

1867-დამ ბატონყმობის დებულების აღსრულებამდის
76 000 –

და იმ დღიდან უნდა შემოუვიდეს არა ნაკლებ
200 000 მ. (ყიფიანი 2020: 26).

¹² (გვ. 56) „**ერთ-ერთ – სავალო გადახდევინების – ვალდებულებას საკუთარ თავზე ვერ ავიღებ**“ – აქ საუბარია იმის შესახებ, თუ ვის უნდა უზრუნველყო თამასუქებით გაცემული ვალების ამოღება: დიმიტრი ყიფიანს თუ ნ. დადიან-მინგრელსკის. ამის თაობაზე წინა კომენტარში მითითებულ ტექსტში („სამეგრელოს მთავრის სახლი და დიმიტრი ყიფიანი“) დიმიტრი ყიფიანი წერს: „ფულის თამასუქები კნიაზს მინგრელსკისთან მაქვს მეთქი გაგზავნილი ჩემის სახელის ზედწარწერით, რომლითაც ჩემი ამ ფულების აღების უფლება იმაზედ გადადის, ვისს ხელშიაც თამასუქები იქნება მეთქი“ (ყიფიანი 2020: 27-28).

¹³ (გვ. 56) „**რაც შეეხება... სემიონოვის თამასუქს**“ – პეტერბურგში, „კავკასიის კომიტეტში“, შესული სარჩელი (იხ. აქვე,

კომენტ. 7) იურისტ *ვასილ სემიონოვის* მიერ იყო შედგენილი (ციფიანი 2020: 208-209).

¹⁴ (გვ. 57) **„გადავეცი ნომრიანი ქალაღდითა და დაუბრუნებლად“** – დაუბრუნებლად: დედანში – „*ნეს ошоота*“ [ვ. სემიონოვთან დაკავშირებული თამასუქების (ხელწერილების) შესახებ მათი გაცემა-დაბრუნების ჩათვლით იხ. ხეც. დიმ. ციფიანის არქ., საქ. №№759, 1487].

9. სიტყვა თქმული 1870 წლის 6 მაისს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის ყრილობაზე (გვ. 58-59)

ხელნაწერი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. დიმ. ციფიანის არქივი. საქმე №284. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 2 (იქვეა კოტე ციფიანის მიერ გადაწერილი პირი).

თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის 1870 წლის 6 მაისის ყრილობაზე, მას შემდეგ, რაც დიმ. ციფიანმა წინამძღოლის („მარშლის“) პოსტზე კენჭისყრა არ ისურვა, დასახელდა ორი კანდიდატურა: **რევაზ ივანეს ძე ანდრონიკაშვილი** და, რამდენიმე პირის მიერ კენჭისყრაზე უარის თქმის შემდეგ – **დავით ლ. ერისთავი**. გაიმარჯვა **რევაზ ანდრონიკაშვილმა** (118 მომხრე, 30 – წინააღმდეგი), დავით ერისთავს მხარი დაუჭირა 104 დელეგატმა, წინააღმდეგი იყო 48 (ხეც. დიმ. ციფიანის არქ., საქ. №284, ფ. 2). დავით ლ. ერისთავი უნდა იყოს **დავით ლუარსაბის ძე ერისთავი**, ახალგორელი თავადი (ძირითადად სოფ. ოძისში ცხოვრობდა), სახელმწიფო მრჩეველი (Статский советник), თავის დროზე ცნობილი დეკლამატორისა და ილია ჭავჭავაძესთან დაახლოებული პირის, ნიკოლოზ (კოლა) ერისთავის, მამა (დ. ლ. ერისთავის შესახებ იხ. ცერცვაძე 2019: 78).

რაც შეეხება დიმ. ციფიანის მიერ წინამძღოლად მესამე ვადით არჩევაზე უარის თქმას, ვახტანგ თულაშვილი ამას ასე ხსნის:

„ხშირად ასმენდნენ დ. ყიფიანს, რომ, რადგანაც ხელმწიფე იმპერატორი უნდა მოზრდნდეს საქართველოში, ამიტომ საჭირო არის თავად-აზნაურობის წინამძღოლი საქართველოს განთქმულ გვარისა იყოსო, იქნება ხელმწიფემ მონყალება რამ მოიღოს ჩვენთვისაო. ამიტომაც, როდესაც 1870 წ. მაისში დაიწყო თავად-აზნაურთა კრება მარშლების ამოსარჩევად, დ. ყიფიანს, თუმცა უმეტესი ნაწილი კრებისა სთხოვდა, კიდევ დარჩით მარშლადაო, მაგრამ მან უარი სთქვა და ვერაფრით ველარ შევარციეთ იმისი გადანყვეტილება. – დიმიტრი ყიფიანი ამ საქმეში თავს ასე იმართლებდა: ყველანი დარწმუნებულნი არიან, რომ ხელმწიფე იმპერატორი მონყალებას რასმე უბოძებს საქართველოსაო, და თუ ვინიცობაა, ეს იმედი არ გამართლდა, საზოგადოება მე დამაბრალებს, შენ რომ არა ყოფილიყავი მარშლად, იქნება ასე არ დაგვმართნოდაო. ან, ვინ იცის, იქნება მართლა ჩემი მარშლობა შეიქმნას მიზეზი იმისი, თუ ვინიცობაა, ხელმწიფემ არავითარის მონყალების მოცემა არ ისურვა და გამოვალ დამნაშავე საზოგადოების წინაშეო“ (თულაშვილი 1895: 47; თულაშვილი 2007: 47).

¹ (გვ. 58) **„არა უგვიანეს აგვისტოს დასასრულისა მოგვინიჭება ხელმწიფე იმპერატორის ხილვის ბედნიერება“** – მაშინ ალექსანდრე II-ის სტუმრობა გადაიდო და იმპერატორი საქართველოში მოგვიანებით, 1871 წლის სექტემბერში, ჩამოვიდა: საქართველოს სამხედრო გზით თბილისში შემოვიდა 20 სექტემბერს (დარიალიდან თბილისამდე მგზავრობისა და თბილისში ცერემონიალური დახვედრის აღწერა იხ. კავკაზ 1871^ა); 25 სექტემბერს იმპერატორი ამაღლასთან ერთად ბორჯომში გაემგზავრა (კავკაზ 1871^ბ), 28 სექტემბერს კი ფოთის ნავსადგურიდან დატოვა საქართველო (კავკაზ 1871^ა). ხეც-ში, დიმ. ყიფიანის არქივში (საქ. №36) დაცული საბუთის მიხედვით, დიმ. ყიფიანს 1871 წლის 22 სექტემბერს მუშთაიდში ალექსანდრე II-ის პატივსაცემად გამართულ მეჯლისზე იწვევენ.

ალექსანდრე II-ის ამ სტუმრობასთან არის დაკავშირებული მნიშვნელოვანი მოვლენა ქართული ლიტერატურის (ზოგადად – საზოგადოებრივი ცხოვრებისა და აზრის) ისტორიაში. რევაზ ანდრონიკაშვილის ხელით ქართველი თავადაზნაურობის ერთ-მა ნაწილმა იმპერატორს წარუდგინა ადრესი თბილისში კადეტთა კორპუსის (ნაცვლად უნივერსიტეტისა) დაარსების შესახებ. ამას მოჰყვა ი. ჭავჭავაძის „გამოცანები“, „კიდევ გამოცანები“ და მეორე ტალღა ე. წ. „მამებისა“ და „შვილების“ დაპირისპირებისა (საკითხის შესახებ იხ. ჭავჭავაძე 1987: 417-420; ჯოლოგუა 2013: 330-333).

**10. სიტყვა თქმული 1876 წლის 4 მარტს
„დროების“ 10 წლისთავისადმი მიძღვნილ ნადიმზე**
(გვ. 60-61)

ნაბეჭდი: „დროება“, 1876, 7 მარტი, №24.

ხელმოწერა: დიმიტრი ყიფიანი.

თარიღი: 4 მარტი 1876.

სიტყვა ჩართულია „დროების“ პუბლიკაციაში – „დროების“ დღესასწაული ათის წლისა“. გაზეთის 10 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო ნადიმზე, რომელიც თბილისში 1876 წლის 4 მარტს გაიმართა, დიმ. ყიფიანის ეს სიტყვა („წიგნი დ. ი. ყიფიანისა“) იღია ჭავჭავაძემ წაიკითხა (დროება 1876).

ტექსტი სიტყვისა სათაურით „დროების“ 10 წლისთავის გამო“ თავის დროზე ჩვენ შევიტანეთ დიმ. ყიფიანის კრებულში „რა ხალხია ქართველები?“ (ყიფიანი 1995: 69-71), საიდანაც შემდეგ იმავე სათაურით სხვა გამოცემებშიც გადაიბეჭდა (ქართული მწერლობა 2003: 271-272; ყიფიანი 2010: 57-58; ყიფიანი 2014: 836-838).

¹ (გვ. 60) „**დღევანდელს ნადიმობაში პირადს მონაწილეობას ვერ მივიღებ ... ვითამ თქვენში მეთქვას**“ – დიმ. ყიფიანს „დროე-

ბის“ 10 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმში უშუალო მონაწილეობა არ მიუღია. სავარაუდოდ იგი ამ დროს ქვიშხეთში, საკუთარ მამულში, იმყოფებოდა.

**11. სიტყვა თქმული 1877 წლის 30 ნოემბერს
რუსეთ-ოსმალეთის ომიდან მეფისნაცვალ მიხეილ
ნიკოლოზის ძის დაბრუნებისას
(გვ. 62)**

ნაბეჭდი: „დროება“, 1877, 1 დეკემბერი, №206.

მიხეილ ნიკოლოზის ძისთვის ნათქვამი ეს სიტყვა დიმ. ყიფიანისა ჩართულია „დროების“ პუბლიკაციაში – „დღიური („დღეს, 30 ნოემბერს...“). პუბლიკაციაში აღწერილია ყარსის ალების შემდეგ კავკასიის მეფისნაცვლისა და ჯარების სარდლის, მიხეილ ნიკოლოზის ძის, დაბრუნება თბილისში. დიმ. ყიფიანმა მეფისნაცვალს მიმართა, როგორც თბილისის ქალაქისთავმა (ქალაქისთავად აირჩიეს 1875 წლის დეკემბერში და ამ თანამდებობაზე დაყო 1879 წლის იანვრამდე).

**12. სიტყვა თქმული 1878 წლის 2 მაისს თბილისში
ირანის შაჰის ვიზიტის გამო
(გვ. 63)**

ხელნაწერი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. დიმ. ყიფიანის არქივი. საქმე №285. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1.

ნაბეჭდი: „დროება“, 5 მაისი, 1878, №86.

თარიღი: 2 მაისი [18]78.

სიტყვა ჩართულია „დროების“ პუბლიკაციაში – „სპარსეთის შაჰი თფილისში“ (დროება 1878), რომელშიც აღწერილია

სანქტ-პეტერბურგში მიმავალი ირანის შაჰის, ნასერ ალ-დინ ყაჯარის („დროების“ პუბლიკაციაში – ნესრ-ედდინი), ვიზიტი თბილისში 2 მაისის ნაშუადღევადან 4 მაისის დილამდე. იქვე ვკითხულობთ: „ამბობენ, შაჰი ძალიან კმაყოფილი დარჩაო, რომ თფილისში კარგათ მიმიღესო. ბევრი „ლომისა და მზის“ ორდენები დაარიგა იმან ჩვენში“. ლომისა და მზის I ხარისხის ორდენი დიმ. ყიფიანს ნასერ ალ-დინისგან უფრო ადრე, 1857 წელს, ჰქონდა ნაბოძები [შაჰის სიგელი (ფირმანი) სპარსულ და რუსულ ენებზე იხ. ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №19].

დიმ. ყიფიანმა ირანის შაჰს მიმართა როგორც თბილისის ქალაქისთავმა [საპატიო სტუმრის დახვედრისას რუსული ტრადიციით გათვალისწინებული „პური და მარილიც“ („Хлеб-соль“) ნასერ ალ-დინს თბილისის შემოსასვლელში დიმ. ყიფიანმა მიართვა (კავკაზ 1878^ა)].

ნასერ ალ-დინის თბილისში (მანამდე – ერევანში) ვიზიტის ვრცელი აღწერა იხ. „Кавказ“, 1878, №№99-102. ტექსტი დახვედრის წინასწარ შემუშავებული ცერემონიალისა იხ.: ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №285 (სტამბურად ნაბეჭდი); კავკაზ 1878^ბ.

სიტყვის თარგმანი ეკუთვნის „დროების“ რედაქციას.

13. სიტყვა თქმული 1878 წლის 20 ნოემბერს აჭარა-ქობულეთის შემოერთებისადმი მიძღვნილ ნადიმზე (გვ. 64-65)

ხელნაწერი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. დიმ. ყიფიანის არქივი. საქმე №286. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. ფ. 2.

ნაბეჭდი: „დროება“, 23 ნოემბერი, 1878, №239.

სიტყვა ჩართულია სერგეი მესხის წერილში – „სადილი ახლად-შემოერთებულ ქართველებისათვის“ (მესხი 1878; მესხი 1964: 74-80). ტექსტი სიტყვისა სათაურით „დღე სანატრელი“ თავის დროზე ჩვენ შევიტანეთ დიმ. ყიფიანის კრე-

ბულში „რა ხალხია ქართველები?“ (ციფიანი 1995: 72-74), საიდანაც შემდეგ იმავე სათაურით გადაიბეჭდა „ქართული მწერლობის“ მე-20 ტომში (ქართული მწერლობა 2003: 272-273).

სადღესასწაულო ნადიმი, რომელზეც წინამდებარე სიტყვა წარმოითქვა, 1878 წლის 20 ნოემბერს თბილისში დი. ციფიანის ინიციატივით ჩატარდა („რამდენთამე ქართველსა და მათ შორის ყველაზე პირველად უფ. დ. ი. ციფიანს მოუვიდათ თავში ჩინებული ჰაზრი, რომ მოიპატიჟონ დეპუტაციით ჩამოსული ოსმალოს საქართველოს ქართველები და, სხვით თუ არაფრით, ერთად, ძმურად პურის-ჭამით, საზოგადო სუფრაზე ამთავით მაინც დაუმტკიცონ მათ თავის თანაგრძნობა და სიყვარული“ – მესხი 1878; მესხი 1964: 74). ნადიმს ესწრებოდნენ საპატიო სტუმრები: შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი, ჰუსეინ-ბეგ აბაშიძე, ჰასან-ბეგ ბეჟან-ოღლი, ართვინელი დეპუტატები და სხვ.; გარდა დი. ციფიანისა, ნადიმზე სიტყვები წარმოთქვეს გრ. ორბელიანმა, ალ. ზუბალაშვილმა და ა. წერეთელმა, ხოლო სტუმრების მხრიდან სამადლობელი სიტყვა „წმინდა ქართულის ენით“ წარმოთქვა ჰუსეინ-ბეგ ბეჟან-ოღლი.

რამდენიმე წლის შემდეგ, „ბათუმის მაზრის მაჰმადიანი ქართველები“ (მათ შორის, ბეგები და სანჯაყები) „დროების“ რედაქტორს, ივ. მაჩაბელს, მიმართავენ 1885 წლის 8 ივლისით დათარიღებული წერილით, რომლითაც ითხოვენ, აჭარელი დიდგვაროვნები ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობაში ჩარიცხონ (ამ დროისთვის მათ არ ჰქონდათ მინიჭებული საგუბერნიო ყრილობებში მონაწილეობის უფლება – ციფიანი 2020: 38):

„ჩვენ, გამაჰმადიანებული ქართველი კეთილშობილი ბათუმის მაზრისა, ვმადლობთ უზენაესს განგებას, რომელმაც ორასის წლის შემდეგ ისევ შეგვყარა საქართველოს სახელოვან კეთილშობილებთან, ჩვენს ღვიძლს ძმებთან. გულწრფელად ვადვი-

არებთ, რომ გულით, სულით, მთლად ჩვენი არსებით ვეკუთვნით აღნიშნულს წოდებას ქირშიც, ლხინშიც, ავშიც და კარგშიც. – ამ ზნეობრივს კავშირთან საჭიროა ფორმალური, ოფიციალური კავშირიც: ჩვენ გვსურს, რომ ჩვენც მიწერილნი ვიყვნეთ ქუთათურის გუბერნიის თავად-აზნაურობასთან. – სრული იმედი გვაქვს, რომ დიმიტრი ივანეს-ძე ყიფიანი იშუამდგომლებს სადაც ჯერ არს, რომ ჩვენც მიგვანეროს ქუთაისის გუბერნიის კეთილშობილთა წოდებას, რათა მათთან ერთად შეძლების და გვარად ჩვენც ვემსახუროთ იმ წმინდა დანიშნულებას და მოვალეობას, რომელიც ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად დაუნიშნა საზოგადოდ მთელი იმპერიის თავად-აზნაურობას უმაღლესის რესკრიპტით“ (დროება 1885^ა).

იმავე 1885 წლის 14 აგვისტოს დღი. ყიფიანი ქვიშხეთიდან ჰუსეინ-ბეგ აბაშიძეს სწერს:

„რაც მამა-პაპეული შთამომავლობითი ჩვენ შორის კავშირი დროთა მომდინარეობამ შეასუსტა, მაგრამ დარღვევით ვერ დაარღვია, დიდად საგიობელი იქნება ჩვენთვის წინაპართა და ერთობ გვარტომობისა ჩვენისა წინაშე, რომ შესაძლებელი მეცადინეობა დავიზაროთ და ამ ძველის კავშირის განახლებას და განმტკიცებას არ დავადგეთ. – ამ გზაზედ ჩემს ძმურს ერთგულებას და მეგობრულს გულს-მოდგინებას მით უფრო მხურვალედ აღვითქვამთ თქვენც და ყოველთავე თქვენთან ხელის-მომწერთაც, რომ რაოდენათაც მე თქვენი ცნობა მაქვს და საზოგადოდ თქვენი ღირსების ამბავი მსმენია, თქვენი ჩვენთან შემოერთება ჩვენთვის იქნება სასიქადულო. იმედი მაქვს, რომ ამ მოკლე დროში პირადაც მოვილაპარაკებთ ამ საქმეზედ“ (დროება 1885^ა).

¹ (გვ. 65) **„როგორც კნიაზმა გრიგოლ დიმიტრის ძემ წარმო-სთქვა“** – იგულისხმება გრიგოლ ორბელიანი. მის მიერ ნადიმზე წარმოთქმული სიტყვა იხ. მესხი 1878; მესხი 1964: 75.

**14. სიტყვა თქმული 1882 წლის 2 ოქტომბერს
პავლე ეგზარქოსის თბილისში
ჩამოსვლასთან დაკავშირებით
(გვ. 66-68)**

ხელნაწერი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. დიმ. ყიფიანის არქივი. საქმე №288. კოტე ყიფიანის ხელით ნაწერი. რუსულ ენაზე. ფ. 2 (იქვეა უცნობი ხელით ნაწერი პირი. ფ. 2).

ნაბეჭდი: შ. ჩხეტია. მასალები დიმიტრი ყიფიანის მკვლევლობაზე. „საისტორიო მოამბე“, [ტ.] 3. 1947. გვ. 399-400 [პუბლიკაცია დედნის (რუსულ) ენაზე].

დიმ. ყიფიანის ეს სიტყვა თავის დროზე ჩვენ ვთარგმნეთ და შევიტანეთ დიმ. ყიფიანის კრებულში „რა ხალხია ქართველები?“ (ყიფიანი 1995: 77-81), საიდანაც შემდეგ სხვა გამოცემებშიც გადაიბეჭდა (ქართული მწერლობა 2003: 275-276; ყიფიანი 2010: 61-63).

სიტყვა, როგორც ზემოთაა აღნიშნული, გადაწერილია კ. ყიფიანის მიერ. ხელნაწერის პირველი გვერდის აშიაზე არის მინაწერი: „Слово Д. И. Кипиани, сказанное экзарху Павлу при приезде его в Тифлис“ („სიტყვა დ. ი. ყიფიანისა, თქმული პავლე ეგზარქოსისათვის ტფილისში მისი ჩამოსვლისას“). ტექსტს თარიღად უზის 1884 წლის 22 ნოემბერი. შ. ჩხეტიას თავის პუბლიკაციაში კ. ყიფიანის ხელით ნაწერი ტექსტი აქვს გადმოტანილი და თარიღიც – უცვლელად დატოვებული (ჩხეტია 1947: 339). ჩვენც ზემოთ მითითებულ პუბლიკაციებში (ყიფიანი 1995: 77-81; ქართული მწერლობა 2003: 275-276) ეს თარიღი – 1884 წლის 22 ნოემბერი – გვაქვს გამეორებული, რაც, როგორც ირკვევა, ვერ იქნება სწორი. საქმე ისაა, რომ საქართველოს ეგზარქოსად ახალდანიშნული პავლე თბილისში 1882 წლის 2 ოქტომბერს ჩამოვიდა (კავკაზ 1882). ასე რომ, **დიმ. ყიფიანის წინამდებარე სიტყვა 1882 წლის 2 ოქტომბრით უნდა დათარიღდეს** (ვრცლად პავლე ეგზარქოსის საქართველოში

ჩამოსვლისა და სამწყსოსთან პირველი შეხვედრების შესახებ იხ. კალისტოვი 1882; ახალი ეგზარქოსის საქართველოში ჩამოსვლის შესახებ იხ. აგრეთვე: ჭავჭავაძე 1882: 133-142; ჭავჭავაძე 2005: 16-25).

წინამდებარე სიტყვის დიმი. ყიფიანისთვის სრულად მიკუთვნებას შემდეგი ფაქტი ართულებს: იგივე სიტყვა 1887 წლის 22 ნოემბერს, ამჯერად უკვე ახალი ეგზარქოსის, პალადის, წინაშე ივ. მუხრანბატონმა წარმოთქვა და თარგმანი სიტყვისა სრულად დაიბეჭდა „ივერიაში“ (ბაგრატიონ-მუხრანსკი 1887; თარგმანი „ივერიის“ რედაქციისა უნდა იყოს). სიტყვის პირველი ნაწილი („ყოვლადმონყალე ხელმწიფე იმპერატორის ნებით ... გამრუდებულსაც გაასწორებს“) მართლაც ივ. მუხრანბატონს უნდა ეკუთვნოდეს, რადგან იგი პასუხია ეგზარქოს პალადის მიერ 18 ნოემბერს, თბილისში პირველად ჩამოსვლისას, წარმოთქმული სიტყვებისა: „მე მოვედი დაუსრულებელი დავასრულო და ნაკლებული გავასწორო“ (ივერია 1887¹). ამის შემდეგ, უნდა ვიფიქროთ, ივ. მუხრანბატონს დიმი. ყიფიანის მიერ პავლე ეგზარქოსისთვის ადრე ნათქვამი სიტყვის ტექსტი უცვლელად აქვს გამეორებული. ასეა თუ ისე, წინამდებარე გამოცემაში, საკითხის საბოლოო გამორკვევამდე, **ჩვენ ვიმეორებთ შ. ჩხეტიას მიერ გამოქვეყნებულ ტექსტს**, რომელიც, თავის მხრივ, როგორც ეს ზემოთ გვაქვს აღნიშნული, ხეც-ში დაცული ხელნაწერის პუბლიკაციაა.

მოგვიანებით, 1886 წლის 27 მაისს, პავლე ეგზარქოსის მიერ ქართველი ერის დანყევლისა და ამის საპასუხოდ ეგზარქოსისთვის გაგზავნილი დიმი. ყიფიანის წერილის, აგრეთვე, შემდგომი მოვლენების შესახებ იხ.: ჩხეტია 1947: 433-446; საშვილიშვილო მოკავშირე... 1997: 10-21.

¹ (გვ. 66) „**თქვენო უსამღვდელოესობავ! ... გამრუდებულსაც გაასწორებს**“ – კურსივით აკრეფილი ეს ნაწილი სიტყვისა, ვფიქრობთ, ივ. მუხრანბატონს უნდა ეკუთვნოდეს (იხ. ზემოთ).

**15. სიტყვა თქმული 1885 წლის 30 მაისს
ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლად
არჩევის გამო
(გვ. 69-70)**

ნაბეჭდი:

„დროება“, 31 მაისი, 1885, №113.

შ. ჩხეტია. მასალები დიმიტრი ყიფიანის მკვლევლობაზე.

„საისტორიო მოამბე“, [ტ.] 3. 1947. გვ. 404-405.

სიტყვა ჩართულია გაზეთ „დროების“ პუბლიკაციაში „ქუთაისის გუბერნიის კეთილ-შობილთა წინამძღოლი ქუთაისში (წერილი ქუთაისიდან)“ (დროება 1885^ა). იქვეა დაბეჭდილი აკაკი წერეთლის სიტყვა, რომლითაც მან დიმ. ყიფიანს მიმართა: „იმერეთი დღეს გულ-წრფელად დღესასწაულობს თქვენს არჩევას. ... აქ ჩვენ ვხედავთ საიმედო ნიშნებს მომავლისას: დღეს ჩვენი იმერთა ერი სიყვარულით ეგებება უკეთეს მამულის შვილთაგანს, მიუხედავად ადგილისა და გვარ-ტომობისა, საიდანაც უნდა იყოს, რომელი კუთხიდანაც მთელი საქართველოსა. ... აი ეს არის ის პირველი, ახალი ნაბიჯი, რომელსაც მივჰყევართ წარმატებისაკენ და რომელიც აორკეცებს და ამართლებს დღევანდელს ჩვენს სიხარულს...“ (დროება 1885^ა; წერეთელი 1961^ა: 608; იხ. აგრეთვე: წერეთელი 1950: 484). ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლად დიმ. ყიფიანის არჩევას ილია ჭავჭავაძეც სიხარულით მიესალმა (იხ. ი. ჭავჭავაძის წერილი დიმ. ყიფიანისადმი: ჭავჭავაძე 1961: 105-106; ჭავჭავაძე 2012: 111-112; დიმ. ყიფიანის პასუხი იხ. ჩხეტია 1947: 407; ჭავჭავაძე 2012: 415).

დიმ. ყიფიანი იმერეთის (ქუთაისის გუბერნიის) თავადაზნაურობის წინამძღოლად („მარშლად“) დაუსწრებლად და ერთხმად აირჩიეს 1885 წლის 24 მაისს (დროება 1885^ბ). ინიციატორი იყო ა. წერეთელი (წერეთელი 1958: 121-122), რომელსაც მხურვალედ დაუჭირეს მხარი გიორგი ლოლობერიძემ (წერეთელი 1958: 122-123), კირილე ლორთქიფანიძემ და ალმასხან ნიჟარაძემ (დროე-

ბა 1885^ა). დიმ. ყიფიანი წინამძღოლად არჩევის შემდეგ ჩავიდა ქუთაისში და წინამდებარე სიტყვა სპეციალურად შეკრებილი საზოგადოების წინაშე წარმოთქვა.

¹ (გვ. 69) „...როგორც თავადმა აღმასხანმა ბძანა“ – იგულისხმება 1885 წ. ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის მოვალეობის შემსრულებელი და ქუთაისის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლი **აღმასხან ნიჟარაძე**, რომელმაც თვითონ უარი განაცხადა კენჭისყრაზე და მხარი დიმ. ყიფიანის კანდიდატურას დაუჭირა (დროება 1885^ა; დროება 1885^ბ; დროება 1885^გ; უფრო ვრცლად საკითხისა და ზოგადად დიმ. ყიფიანისადმი ა. ნიჟარაძის დამოკიდებულების შესახებ იხ. ყიფიანი 2020: 347-349).

² (გვ. 70) „როდესაც დამტკიცებას ველირსები“ – იმპერატორმა ალექსანდრე III-მ ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლად („მარშლად“) დიმ. ყიფიანი *1885 წლის ივლისში* დამტკიცა (ყიფიანი 2020: 38). იმავე ალექსანდრე III-მ კავკასიის მთავარმართებელ ალ. დონდუკოვ-კორსაკოვის მოხსენების საფუძველზე *1886 წლის 4 აგვისტოს* დიმ. ყიფიანი დაითხოვა „მარშლობიდან“ და მას ქ. სტავროპოლ-კავკაზსკში გადასახლება მიუსაჯა (ჩხეტია 1947: 437; საშვილიშვილო მოკავშირე... 1997: 16; თვითონ მოხსენება ალ. დონდუკოვ-კორსაკოვისა იხ. ჩხეტია 1947: 434-437; საშვილიშვილო მოკავშირე... 1997: 12-16).

16. სიტყვა თქმული 1885 წლის 5 ოქტომბერს ქუთაისში მიხეილ ნიკოლოზის ძის პატივსაცემად გამართულ ვახშამზე

(გვ. 71)

ხელნაწერი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. დიმ. ყიფიანის არქივი. საქმე №289. უცნობი ხელით ნაწერი. რუსულ ენაზე. ფ. 2.

სათაური: Слова, сказанные великому князю Михаилу Николаевичу Кутаисским городским головою Л. Н. Асатиани и Кутаисским губернским предводителем дворянства Д. И. Кипиани на ужине, данном городом в честь Е[го] И[мператорского] В[еличества] 5-го октября 1885 года и ответы великого князя [სიტყვები თქმული დიდი მთავრის, მიხეილ ნიკოლოზის ძისადმი, ქუთაისის ქალაქისთავის, ლ. ნ. ასათიანისა და ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის, დ. ი. ყიფიანის მიერ 1885 წლის 5 ოქტომბერს მისი იმპერატორობითი უმაღლესობის პატივსაცემად ქალაქის მიერ გამართულ ვახშამზე და დიდი მთავრის პასუხები].

ხელნაწერი *უთარილო და ხელმოუნერელია*.

1885 წლის აგვისტოში საქართველოს (კერძოდ, თავის ბორჯომის მამულს) ეწვია კავკასიის ყოფილი მეფისნაცვალი (1862-1881) და იმჟამად რუსეთის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე, დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე. იმავე წლის 5 ოქტომბერს ქუთაისის საზოგადოებამ დიდ მთავარს გაუმართა ვახშამი, რომელზეც ქუთაისის ქალაქისთავმა ლუკა ასათიანმა და იმერეთის თავადაზნაურობის წინამძღოლმა დიმიტრი ყიფიანმა საპატიო სტუმარს სიტყვებით მიმართეს. სიტყვებში გამომჟღავნდა უკმაყოფილება კავკასიის ახალი ხელისუფლებისა და, კერძოდ, მთავარმართებელ ალ. დონდუკოვ-კორსაკოვის დისკრიმინაციული პოლიტიკის გამო. ძირითადი მიზეზები უკმაყოფილებისა უფრო მკაფიოდ გამოიკვეთა რამდენიმე დღის შემდეგ, 11 ოქტომბერს, როცა ბორჯომში მიხეილ ნიკოლოზის ძე და დიმიტრი ყიფიანი პირისპირ შეხვდნენ ერთმანეთს: სასკოლო-საგანმანათლებლო სფეროში ქართველებისა და ქართული ენის დევნა და სახელმწიფო სამსახურში ადგილობრივთა მიმართ დისკრიმინაციული დამოკიდებულება (ყიფიანი 2020: 35-37, 40-41). ქუთაისის ინციდენტმა, მით უმეტეს, უკმაყოფილების იმპერატორის ყურამდე მიტანის სურვილმა კავკასიის ხელისუფლება (მთავარმართებელი ალ. დონდუკოვ-კორსაკოვი, ქუთაისის გუბერნიის სამხე-

დრო გუბერნატორი ა. სმეკალოვი, სასწავლო ოლქის მზრუნველი კ. იანოვსკი და სხვ.) უკიდურესად გააღიზიანა. ცოტა ხანში გაღიზიანება დიმი. ყიფიანსა და კავკასიის ხელისუფლებას შორის ღია და მწვავე დაპირისპირებაში გადაიზარდა, საქმეში უმაღლესი ხელისუფლება (რუსეთის წმ. სინოდის ობერპროკურორი კ. პობედონოსცევი, შინაგან საქმეთა მინისტრი დიმი. ტოლსტოი, იმპერატორი ალექსანდრე III) ჩაერთო და ეს ყველაფერი საბოლოოდ დიმი. ყიფიანის სტავროპოლში გადასახლებით დასრულდა (საკითხის შესახებ თვითონ დიმი. ყიფიანის ნაწერები იხ. ყიფიანი 2020: 34-76; დოკუმენტური მასალა იხ.: ჩხეცია 1947: 411-446; ჯორჯაძე 1909; ჯორჯაძე 2011: 66-71; საშვილიშვილო მოკავშირე... 1997: 10-21).

რაც შეეხება ლუკა ასათიანს, 5 ოქტომბრის ვახშამზე წარმოთქმული სიტყვის გამო უსიამოვნებები არც მას დაჰკლებია, თუმცა შემდგომი მოვლენების გამო ხელისუფლებამ მისთვის სერიოზულად ვერ მოიცალა. ამის შესახებ დავით კლდიაშვილი წერს:

„[ლუკა ასათიანს] დაავალეს სიტყვის თქმა და მისგან ვიცი ეს ამბავი. თავის სიტყვაში ასათიანმა თამამად აღნიშნა ქვეყნის შეწუხება, ადგილობრივ მცხოვრებთა მოთხოვნილებათა მიმართ უყურადღებობა და არსებული უპატივცემლობა ხალხისადმი. თამამად ნათქვამმა სიტყვამ ერთი აურ-ზაური გამოიწვია. საჩქაროდ მოითხოვეს ნათქვამი სიტყვის ტექსტი ტფილისში და ასათიანი ძლივს გადაარჩინეს, ქალაქის თაობიდან რომ არ გადაეყენებინათ. იმ დღიდან ამომიჩემაო, იტყოდა ასათიანი, ამომიჩემა დონდუკოვმა და დამიპირა კავკასიიდან გადასახლებაო; ხშირად საზეიმო წვეულებაზედ დაცინვით ამბობდა ხოლმე დონდუკოვ-კორსაკოვი, რატომ ქუთაისის ქალაქისთავს არ ჰპატიჟობთ სიტყვის წარმოსათქმელადო. ცუდი რალაც მომელოდაო, ამბობდა ასათიანი, მაგრამ ამ დროს მოხდა სემინარიის რექტორის ჩუდეცკის მოკვლა ლალიაშვილისაგან, ეგზარხოს პავლესაგან ქართველი ხალხის დაწყევლა ამბიონიდან, რამაც გამოიწვია დიმიტრი

ყოფიანისაგან ეგზარხოსისადმი მიმართული წერილი. ატყდა ამ წერილზე დიდი ალიაქოთი. დონდუკოვმა ასათიანს თავი დაანება და თავისი გამძღავრებული რისხვა ყოფიანზე გადაიტანა“ (კლდიაშვილი 1947: 650).

დასასრულ, დიმ. ყოფიანის სიტყვაზე დიდი მთავრის პასუხი:

„გიპასუხებთ, რომ მე, ისევე, როგორც ოლგა თეოდორეს ასული, სავსებით დარწმუნებულნი ვართ იმერეთის თავადაზნაურობის გულწრფელობასა და კეთილშობილურ გრძნობებში და იმაშიც, რომ იგი, იმერეთის თავადაზნაურობა, მომავალშიც იმგვარსავე ერთგულებასა და გულმოდგინებას გამოიჩენს ხელმწიფე იმპერატორის სამსახურში, როგორსაც აქამდე იჩენდა. – პირადად მე ბედნიერი ვარ, რომ ვიმყოფები თქვენ შორის და ვგრძნობ ასეთ გულთბილ დამოკიდებულებას. – იდღეგრძელოს იმერეთის სახელოვანმა თავადაზნაურობამ“ (ხეც. დიმ. ყოფიანის არქ., №289, ფ. 2).

¹ (გვ. 71) „...იმ გრძნობების მიმართ, რომელიც ახლახან ქალაქისთავმა გამოხატა“ – ქალაქისთავი: იგულისხმება ლუკა ასათიანი, რომელიც ქუთაისის ქალაქისთავი იყო 1879-1895 წლებში. ლ. ასათიანმა დიდ მთავარს ასეთი სიტყვით მიმართა:

„თქვენო იმპერატორობითო უმაღლესობაჲ! – თუ წარსულ დროში ცენტრალური დაწესებულებებიდან შორს ყოფნა პრობლემებს გვიქმნიდა, თქვენი უმაღლესობის 18-წლიანი მმართველობა იყო რუსეთთან, ჩვენს საერთო მამულთან, თანამიმდევრული შეკავშირებისა და გაერთიანების პერიოდი. – ჩვენი წარმოდგენით, სულ სხვა გზით მივყავართ თქვენს შემდგომ შექმნილ ვითარებას, რაც ამძიმებს ჩვენს მდგომარეობას. მიუხედავად ამისა, არ არსებობს ძალა, რომელიც შეარყევს ჩვენს ქვეშევრდომულ გრძნობებსა და განუზომელ ერთგულებას ხელმწიფისა და ტახტის მიმართ. და ჩვენ უმორჩილესად ვთხოვთ თქვენს უმაღლესობას, მიიტანოთ ჩვენი ეს

გრძნობები მის იმპერატორობით დიდებულებამდე. — ამასთანავე, თქვენო უმაღლესობავ, ნება მიბოძეთ, პირველ რიგში უღრმესი მადლობა მოგახსენოთ იმისათვის, რომ, მიუხედავად უმნიშვნელოვანესი საქმეებით გადატვირთულობისა, დაგვდეთ პატივი და მიიღეთ ქალაქ ქუთაისის მონვევა; მეორე მხრივ, გისურვებთ თქვენ და ვუსურვებთ თქვენს უავგუსტოს ოჯახს დღეგრძელობასა და წარმატებას ყველა საქმეში“ (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., №289, ფ. 1).

მიხეილ ნიკოლოზის ძის პასუხი:

„მადლობას მოგახსენებთ იმ სიამოვნებისთვის, თქვენი მონვევით რომ მომანიჭეთ. თქვენ ჩინებულად მოგეხსენებათ ჩემი კეთილგანწყობა თქვენდამი და მთელი კავკასიისადმი, რომელიც ყოველთვის მიყვარდა და ამ სიყვარულს მივიტან სამარის კარამდე. ქალაქისთვის მიერ გამოთქმული გრძნობების შესახებ მოგახსენებ იმპერატორს და დავამატებ, რომ ეს გრძნობები ადასტურებს იმერელთა ერთგულებას“ (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., №289, ფ. 1).

² (გვ. 71) **„იღღეგრძელონ მისმა უმაღლესობამ, ოლგა თეოდორეს ასულმა“** — დიდი მთავრის მეუღლე ოლგა თეოდორეს ასული ქუთაისში გამართულ ვახშამს ავადმყოფობის გამო არ დასწრებია და ამის გამო მიხეილ ნიკოლოზის ძემ მოიბოდიშა (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., №289, ფ. 1).

17. სიტყვა თქმული 1885 წლის 20 ოქტომბერს სენაკის სააზნაურო სკოლაში (გვ. 72-73)

ხელნაწერი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. დიმ. ყიფიანის არქივი. საქმე №290. ავტოგრაფი. ორი ვარიანტი: შავი და გადათეთრებული. ქართულ ენაზე. ფ. 3.

ნაბეჭდი:

სიტყვა თქმული 20-ს ოქტომბერს 1885 წელს სენაკის სააზნაურო სკოლაში დიმიტრი ივანეს ძის ყიფიანის მიერ. გაზ. „ივერია“, 11 ნოემბერი, 1887, №236.

შ. ჩხეთია. მასალები დიმიტრი ყიფიანის მკვლევლობაზე. „საისტორიო მოამბე“. [ტ.] 3. 1947. გვ. 410 (პუბლიკატორს გადაღებული აქვს ხეც-ში დაცული ხელნაწერი).

სიტყვა თქმული 1885 წლის 20 ოქტომბერს სენაკის სააზნაურო სკოლის გახსნაზე. [პუბლიკაცია თ. ჯოლოგუასი]. ჟ. „NAEK.ge“. 2017, №14, გვ. 32-33.

სათაური: დიმიტრი ყიფიანის სიტყვა, თქმული 20 ოქტომბერს 1885 წ. სენაკის სააზნაურო სკოლაში.

სიტყვა სათაურით „ღვთიური სინათლე სწავლისა“ თავის დროზე ჩვენ შევიტანეთ დიმ. ყიფიანის კრებულში „რა ხალხია ქართველები?“ (ყიფიანი 1995: 74-77), საიდანაც შემდეგ იმავე სათაურით გადაიბეჭდა გამოცემებში: ქართული მწერლობა 2003: 273-274; ყიფიანი 2010: 59-60; ყიფიანი 2014: 835.

ხელნაწერი ტექსტი სიტყვისა **უთარილოა, ხელმოუწერელია**. წინამდებარე გამოცემაში იბეჭდება ხეც-ში დაცული ავტოგრაფული, გადათეთრებული ვარიანტი.

„ივერიის“ პუბლიკაციას დართული აქვს სქოლიო: „ეს სიტყვა, რომელიც დღემდის დაბეჭდილი არა ყოფილა, გამოგვიგზავნეს სენაკის სკოლიდან; ნამდვილი ხელთ-ნაწერი განსვენებულისა შენახულია ამ სკოლის საქმეებში“ (ივერია 1887^ა).

უფრო ადრე, 1885 წელს, *ინფორმაცია* სენაკის სკოლის ახალი შენობის კურთხევისა და დიმ. ყიფიანის მიერ სიტყვის წარმოთქმის შესახებ გამოქვეყნდა ჟურნალ „ივერიაში“ (ივერია 1885: 77-79), საიდანაც გადაიბეჭდა ჟურნალ „მწყემსში“ (მწყემსი 1885: 7).

სენაკის (ძველი სენაკის) სააზნაურო (სათავადაზნაურო) სკოლა, როგორც ქუთაისის ქართული სკოლის განყოფილება (ფილიალი), „ქმნ-კვ საზოგადოებამ“ 1884 წ. ოქტომბერში გა-

ხსნა, მომდევნო წლის ოქტომბერში კი ახალაგებულ შენობაში გადავიდა. დიმ. ყიფიანის წინამდებარე სიტყვა წარმოითქვა ზეიმზე, რომელიც სკოლის ახალი შენობის კურთხევასთან დაკავშირებით გაიმართა (სკოლის კურთხევაზე ა. წერეთლის სიტყვა იხ. წერეთელი 1885: 107-109; წერეთელი 1960: 274-275; სენაკის სკოლის შესახებ იხ. ხუნდაძე 1960: 27).

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ სენაკის სკოლის ახალი შენობის კურთხევის თარიღად „ივერიაში“ 1885 წლის **27 სექტემბერია** მითითებული (ივერია 1885: 77) და ეს თარიღი უცვლელადაა გადასული „მწყემსში“, რაც საფუძველს იძლევა, ტექსტის ხელნაწერისა და გაზეთ „ივერიის“ 1887 წლის პუბლიკაციის (ივერია 1887) **დათარიღება, 20 ოქტომბერი, სადავოდ მივიჩნით.**

¹ (გვ. 73) **„ვთხოვთ მის ყოვლად-სამღვდელო მეუფებას“** – იგულისხმება ეპისკოპოსის ხარისხში აყვანილი (1875) სამეგრელოს საეპისკოპოსო ქორეპისკოპოსი (1875-1885) და იმერეთის ეპისკოპოსი (1896-1900) **ბესარიონი (დადიანი)**. ბესარიონი გარდაიცვალა 1900 წ. 3 აგვისტოს. დაკრძალეს ქუთაისის საკათედრო (სობოროს) ტაძარში (ნეკროლოგი, აგრეთვე, ინფორმაცია დაკრძალვის სამგლოვიარო ცერემონიალის შესახებ იხ. მწყემსი 1900: 1-3).

18. სიტყვა თქმული 1886 წლის 14 იანვარს ქუთაისში, ნინოობის დღესასწაულზე (გვ. 74)

ნაბეჭდი: „ივერია“, 21 იანვარი, 1886, №15.

სიტყვა ჩართულია „ივერიის“ პუბლიკაციაში – „დაბა და სოფელი („ქუთაისიდან გვწერენ: 14 იანვარს წმინდა ნინობას...“). იქვეა 1886 წლის 14 იანვარს ნინობაზე ქუთაისში გამართულ იმავე სადღესასწაულო ნადიმზე აკაკი წერეთლის მიერ წარმოთქმული სიტყვა (წერეთელი 1886).

**1832 წლის შეთქმულების
საგამომძიებლო კომისიისთვის მიცემული ჩვენებები**
(გვ. 77-123)

გავრცელებულ თვალსაზრისს 1832 წლის შეთქმულების არასერიოზულობის, მცირე მასშტაბის, არაორგანიზებულობისა და, ამდენად, უპერსპექტივობის შესახებ მოვლენისადმი ნიკოლოზ I-ის ნებით განსაზღვრული ოფიციალური მიდგომა უდევს საფუძვლად. ძირითადი დოკუმენტური მასალის, შეთქმულთა მიერ საგამომძიებლო კომისიისთვის მიცემული ჩვენებების, *შეჯერება* (და არა ცალკეულ ჩვენებებზე უშუალო და პირდაპირი დაყრდნობა) სრულიად განსხვავებულ სურათს იძლევა, კერძოდ, 1832 წლის შეთქმულება კარგად იყო ორგანიზებული, გამოირჩეოდა ეთნიკური მრავალფეროვნებით, მოიცავდა ყველა სოციალურ ფენას, ჰქონდა ფართო (კავკასიური) მიზანდასახულობა, გეგმა აჯანყებისა სკრუპულოზურად იყო დამუშავებული, არსებობდა საერთაშორისო კავშირები და სხვ. (ვრცლად საკითხის შესახებ, აგრეთვე, წყაროები და ლიტერატურა იხ. ჯოლოგუა 2017: 55-72).

რაც შეეხება შეთქმულებაში დიმი. ყიფიანის ადგილსა და როლს, ბოლო დრომდე უკრიტიკოდ იყო მიღებული შეხედულება შეთქმულებაში მისი ზერელე მონაწილეობის შესახებ: „ყიფიანი (დიმიტრი), ავთანდილოვი და მწერალი მამაცოვი ცოტა არ იყოს დაფრთხნენ, რაკი შეთქმულნი ასეთ მძიმე საქმეს კისრულობდენ, საქმე საშინელის სისხლის ღვრით უნდა დაწყებულიყო. ესენი წინააღუდგნენ შეთქმულთ და მერმე მთლად ჩამოშორდნენ“ (აბაშიძე 1905: 35); „დიმიტრი ყიფიანი სრულიად უდანაშაულოდ იყო გარეული იმ შეთქმულთა სიაში, რომელთაც თავისუფლების მოპოება იარაღით ხელში უნდოდათ“ (ჯორჯაძე 1989: 405); „შეთქმულთა ჯგუფში ჩამოყალიბდა მიმდინარეობა, რომელიც ლიტერატურულ ოპოზიციონურ ბრძოლის

გზას დაადგა. ამ მიმდინარეობის ზოგიერთი წევრები აშკარად უარყოფდნენ შეიარაღებულ აჯანყებას. დ. ყიფიანიც ამ მიმდინარეობას ეკუთვნოდა“ (ხუნდაძე 1936: 61) და სხვ.; კვლევის იგივე მეთოდი (შეთქმულთა ჩვენებების შეჯერება და არა დიმ. ყიფიანის ჩვენებებზე პირდაპირი, სხვათაგან გამოცალკევებულად დაყრდნობა) დიამეტრულად ცვლის სურათს – სინამდვილეში დიმ. ყიფიანი მნიშვნელოვანი ფიგურა იყო შეთქმულთა წრეში და 1831 წლიდან იგი მონაწილეობდა ყველა (ან: თითქმის ყველა) გადანყვეტილების მიღებაში აჯანყების გეგმის („პირველი ლამის განკარგულების“) შემუშავების ჩათვლით (საკითხის შესახებ იხ. ყიფიანი 2020: 485-486; უფრო ვრცლად: ჯოლოგუა 2002: 58-73).

როგორც დიმ. ყიფიანის, ისე სხვა შეთქმულთა ჩვენებების გაცნობისა და ანალიზისას აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული შემდეგი არსებითი მნიშვნელობის გარემოებები: იასე ფალავანდიშვილმა კავკასიის კორპუსის შტაბის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს, გენერალ ვლ. ვოლხოვსკის, შეთქმულების შესახებ 1832 წლის 9 დეკემბერს, ნაშუადღევს, განუცხადა (აქტები 1881: 391-392; გოზალიშვილი 1935: 9; დასმენის ტექსტი იასეს მოგვიანებით, 11 დეკემბერს, დაანერინეს – გოზალიშვილი 1935: 130-138; ჯოლოგუა 2013: 230). ამბავი იმდენად დაუჯერებელი იყო, რომ იგი არ დაუპატიმრებიათ. 10 დეკემბრის დილას ი. ფალავანდიშვილის მონათხრობი მის მიერ დასახელებულ ერთ-ერთ შეთქმულთან, ანტონ აბხაზთან, გადაამოწმეს (გოზალიშვილი 1935: 9). რასაკვირველია, შეთქმულთათვის მაშინვე ცხადი გახდებოდა, რომ აჯანყების იდეა ჩავარდა და, თუ რამდენიმე წლის წინ დეკაბრისტთა – რუსეთის თვალსაჩინო არისტოკრატიული ოჯახების შვილთა – მიმართ ნიკოლოზ I-ის მიერ გამოჩენილ სისასტიკესაც (ჩამოხრჩობა, კატორღაში გაგზავნა, რიგით ჯარისკაცებად გამწესება...) გავითვალისწინებთ, შეთქმულნი ქართული არისტოკრატიული და ინტელექტუალური ელიტის განადგურების, შესაბამისად, ეროვნული პერსპექტივის მოსპობის საფრთხესაც დაინახავდ-

ნენ. დაპატიმრების პირველ ტალღამდე (10-11 დეკემბრის ღამე) დარჩენილი იყო მთელი დღე და ამ დროში შეთქმულების ძირითადმა ბირთვმა არა მარტო მტკიცებულებათა განადგურება მოასწრო (მხოლოდ რამდენიმე წერილობითი მტკიცებულება გადარჩა შემთხვევით), არამედ, როგორც ჩანს, თავდაცვის ტაქტიკა და სტრატეგიაც შეიმუშავა: „დანაშაულის“ აღიარება, „გულწრფელი“ მონანიება, უკვე გამომჟღავნებულ მონანიება დასახელება, „ფარული საზოგადოების“ სულისკვეთების, მიზნებისა და მასშტაბის დაკნინება, მტკიცება იმისა, რომ ცენტრალური ხელისუფლებისა და პოლიტიკურ სისტემის წინააღმდეგნი კი არ იყვნენ, არამედ – ადგილობრივი მმართველობისა და სხვ. [გ. გოზალიშვილის თქმით, „საფიქრებელია, რომ მთავარ შეთქმულთ უკვე მოასწრეს მოლაპარაკება, რაც აშკარად ეტყობა მათ პირველ ჩვენებებს...“ (გოზალიშვილი 1935: 9); ვრცლად საკითხის შესახებ იხ. გოზალიშვილი 1935: 9-14]. ისიც უნდა ითქვას, რომ შეთქმულები საპატიმროშიც ახერხებდნენ კონტაქტსა და ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლას (საკნიდან საკანში გადაძახილი, მიმონერა, რომელსაც საპირფარეოში, სპეციალურ სამალავში ტოვებდნენ, გადალაპარაკებები დერეფნებსა და სასეირნოდ გამოყვანისას და სხვ.).

ზემოხსენებული წინასწარი შეთანხმების არსებობაზე უნდა მეტყველებდეს ისიც, რომ შემდგომში არც გათავისუფლებულ და არც დასჯილ და გადასახლებებიდან დაბრუნებულ შეთქმულებს კომისიისთვის მიცემულ ჩვენებათა გამო ერთმანეთის მიმართ პრეტენზიები არ ჰქონიათ (ცხადია, აქ არ იგულისხმება ი. ფალავანდიშვილი. რაც შეეხება კონკრეტულად დიმ. ყიფიანს, მან მეგობრული ურთიერთობა შეინარჩუნა გიორგი დავითის ძე ერისთავთან, ვახტანგ და ალექსანდრე ორბელიანებთან, ელიზბარ ერისთავთან და სხვ.).

დასასრულ, არსებითი მნიშვნელობის საკითხი იმის შესახებ, თუ რატომ გამოიჩინა ნიკოლოზ I-მა „გულმონყალება“ და რატომ აღმოჩნდა შეთქმულთა მიმართ გამოტანილი განაჩენი არცთუ მკაცრი [რუსეთის გუბერნიებში 35-მდე შეთქმული გა-

დაასახლეს სამოქალაქო ან სამხედრო სამსახურის უფლებით, საქართველოში დატოვებული „დამნაშავეების“ უმრავლესობას კი პოლიციური მეთვალყურეობა აკმარეს (გოზალიშვილი 1976: 427-437):

ა) ხელისუფლებისთვის არ იყო სასურველი (არც შინ, მით უმეტეს – არც საზღვარგარეთ), გამჟღავნებულის არსებულ სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური რეჟიმით საყოველთაო უკმაყოფილება „ნებაყოფლობით შეერთებულ“ ქვეყანაში.

ბ) რუსეთს გაჩაღებული ჰქონდა სისხლისმღვრელი ომი ჩრდილოეთ კავკასიაში და, ცხადია, არ სურდა სერიოზული კონფლიქტი ამ ომის პლაცდარმად ქცეულ საქართველოში.

გ) ევროპის საზოგადოებრივი აზრი ჯერ კიდევ არ იყო ჩანყნარებული რუსეთის მიერ პოლონეთის 1830-1831 წწ. აჯანყების ჩახშობისა და აჯანყებულ პატრიოტთა ხოცვა-ჟლეტის გამო.

დ) რუსეთის მონარქიას განზრახული ჰქონდა, საქართველოში (საერთოდ კავკასიაში) თავისი პოლიტიკის დასაყრდენად ქართველი თავადაზნაურობა გადაექცია და მისთვის, ცხადია, უფრო ადვილი და მოსახერხებელი იქნებოდა, ურთიერთობა ჰქონოდა არა **დასჯილ**, არამედ **შენყალბულ** ფენასთან (უფრო ვრცლად საკითხის შესახებ იხ. ჯოლოგუა 2017: 68-69).

1. ჩვენება 1832 წლის 13 დეკემბრისა. სიმ. ხუნდაძემ სათაურით „ჩემი მონაწილეობა 1832 წლის შეთქმულებაში“ დაურთო დიმ. ყიფიანის „მემუარების“ 1930 წლის გამოცემას (ყიფიანი 1930: 137-147). ეს არის პირველნაბეჭდი, საიდანაც ტექსტი უცვლელად გადავიდა „მემუარების“ შემდგომ გამოცემებში (იხ. ყიფიანი 2020: 402). დედნის (რუსულ) ენაზე გამოაქვეყნა ფ. დანელიამ (დანელია 1993-1994: 425-433).

გ. გოზალიშვილის მიხედვით, პირველი ჩვენებების ჩამორთმევისას „კომისიამ მთავარ ბრალდებულებს წარუდგინა კითხვები, რომლებიც შეიცავდნენ ი. ფალავანდიშვილის დაბეზღებიდან ამოკრებილ ფაქტებს. ბრალდებული ვალდებული იყო დაენერა ამ ფაქტის ირგვლივ განმარტება“ (გოზალიშვილი 1935:

140). დიმ. ყიფიანის წინამდებარე ჩვენება პასუხია გ. გოზალიშვილის მიერ ნახსენები კითხვებისა (ი. ფალავანდიშვილის ჩვენება იხ. გოზალიშვილი 1935: 130-138; ჯოლოგუა 2013¹: 221-232). **თარგმანი სიმ. ხუნდაძისა.**

¹ (გვ. 77) **„წარსული, 1831 წლის ნოემბერში ... ხანდახან ვგრძნობ მეტისმეტ მონყენილობას“** – ჩვენების ამ მონაკვეთის მიხედვით, დიმ. ყიფიანმა 1831 წლის ნოემბერში ჯერ არაფერი იცის შეთქმულების შესახებ, რაც არ ჩანს სწორი. მოცემული ცნობის სხვა წყაროებთან (შეთქმულთა ჩვენებებთან) შეჯერება განსხვავებულ სურათს იძლევა:

ა) ს. დოდაშვილისა და ი. მამაცაშვილის ჩვენებების თანახმად, მათთან ერთად „ფარული საზოგადოების“ წევრები დიმ. ყიფიანსაც ავალებენ აჯანყების ღამეს გასაფრცვლებელი პროკლამაციის შედგენას (გოზალიშვილი 1970: 126, 210, 219). ეს პროკლამაცია კი (მოღწეულია ტექსტის შავი, შედგენილი ს. დოდაშვილის მიერ – გოზალიშვილი 1935: 95-96; დოდაშვილი 1961: 228-229; დოდაშვილი 1989: 242), მაქს. ბერძნიშვილის დასაბუთებული აზრით, „დაწერილია 1831 წ. პოლონეთის აჯანყების ხანებში და, რასაკვირველია, არა უგვიანეს 1831 წ. 24 სექტემბრისა, როცა ქალაქ ვარშავის ალბა თბილისში დიდი ამბით იდღესასწაულეს“ (დოდაშვილი 1961: 382; დოდაშვილი 1989: 408).

ბ) ი. ფალავანდიშვილის დასმენის ტექსტის მიხედვით, 1831 წლის აგვისტოში დიმ. ყიფიანი შეთქმულების ორგანიზატორთა (ალ. ორბელიანი, ე. ერისთავი...) წრეშია (გოზალიშვილი 1935: 131-132).

გ) გ. დ. ძე ერისთავის ჩვენებით, დიმ. ყიფიანისთვის შეთქმულების ამბავი ვარშავის დაცემამდე (ე. ი. 1831 წ. 8 სექტემბრამდე) გაუმჟღავნებიათ (გოზალიშვილი 1935: 243-244).

დ) ი. მამაცაშვილის ჩვენებით, იგი 1831 წ. „გაზაფხულზე თუ ზაფხულში“ ალ. ორბელიანის ბაღში სხვა შეთქმულთა შორის დიმ. ყიფიანსაც შეხვედრია (გოზალიშვილი 1970: 128).

დამონმებულ ჩვენებათა მიხედვით, არა უგვიანეს 1831 წლის შუა ხანისა დიმი. ყიფიანი არა მარტო ნევრია „ფარული საზოგადოებისა“, არამედ შეთქმულების ორგანიზატორთა წრეში ტრიალებს.

² (გვ. 77) **„ვახტანგი თავისი ძმით ალექსანდრეთი“** – იგულისხმებიან ვახტანგ და ალექსანდრე *ორბელიანები*.

³ (გვ. 77) **„კიდევ გიორგი ერისთავი ... ვინ არის ის?“** – სინამდვილეში 1831 წლის *ნოემბერში*, როცა თითქოს ეს დიალოგი შედგა, გ. დ. ერისთავს დიმი. ყიფიანი არა მარტო იცნობდა, არამედ მასთან (და სხვა შეთქმულებთანაც) ახლო ურთიერთობა ჰქონდა (იხ. აქვე, კომენტ. 1).

⁴ (გვ. 78) **„ამ შემთხვევამ მე გამაცნო ზემოხსენებული გიორგი ერისთავი, რომელიც სთარგმნიდა ლექსებს ამ კომედიიდან“** – ჩვენების პირველ და შემდგომ პუბლიკაციებში სიტყვის „სთარგმნიდა“ შემდეგ გამოტოვებულია ფრაზა: „...после нашего знакомства“ („...ჩვენი გაცნობის შემდეგ“) (დანელია 1993-1994: 426).

რაც შეეხება დიმი. ყიფიანის მიერ მათე გამაზოვის ვოდევილის („მე-19 საუკუნის ქართველები, ანუ მარჯვე ნიშნობა“) თარგმნას, ამის შესახებ ს. გერსამია წერს: „მან [დიმი. ყიფიანმა] 1831 წელს რუსულიდან ქართულად **თარგმნა** (კურსივი ჩვენია – თ. ჯ.) გომოზოვის პიესა საქართველოს ცხოვრებიდან“ (გერსამია 2011: 127; იხ. აგრეთვე: გერსამია 1950: 28), თუმცა წინამდებარე ჩვენებაში (სხვა წყაროს კი ჩვენ არ ვიცნობთ) ასე მკაფიოდ არ ჩანს – **თარგმნა** თუ არა ან, თუ დაიწყო, დაასრულა თუ არა თარგმნა დიმი. ყიფიანმა მ. გამაზოვის ვოდევილისა და ეს საკითხი ჯერჯერობით ვარაუდების სფეროში რჩება [ხსენებული ვოდევილი 1830-იანი წწ. დასაწყისში დედნის (რუსულ) ენაზე დაიდგა თბილისში, გენერალ რომან ბაგრატიონის სალონში (ბალახაშვილი 1940: 94; ბალახაშვილი 1966: 155; გერსამია 1950: 21; გაჩეჩილაძე 1988: 39), სადაც წარმოდგენები, ჩვეულებრივ, რუსულ ენაზე იმართებოდა ხოლმე (ურუშაძე 1982: 23; მათე გამაზოვისა და მის შემოქმედებაში ქართული თემატიკის შესახებ იხ. ბოგომოლოვი 1984: 22-36).

საერთოდ 1832 წლის შეთქმულების ხელმძღვანელებმა „რუსეთის ანექსიის შედეგად დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენა პოლიტიკური პროგრამის დონემდე აიყვანეს... [მათ] მოქმედების წინასწარგანზრახული პროგრამა ჰქონდათ“ (კაციტაძე 1997) და ქართული კულტურის აღორძინება ამ გეგმის ორგანული ნაწილი იყო (საგამომძიებლო კომისიის მასალების მიხედვით, საიდუმლო შეხვედრებზე შეთქმულები, გარდა წმინდა წყლის პოლიტიკური საკითხებისა, მსჯელობდნენ ახალგაზრდობის მიერ დროის შესაფერისი განათლების მიღებასა და ამ მიზნით „უნივერსიტეტის, სამხედრო კორპუსებისა და სხვა სასწავლებლების“ დაარსების საჭიროებაზე, განათლების გასავრცელებლად გაზეთის ან ჟურნალის გამოცემაზე, ლიტერატურული საზოგადოების ჩამოყალიბებაზე, პატრიოტული სულისკვეთების მხატვრული ნაწარმოებების (ორიგინალურის, ნათარგმნის) შექმნა-გავრცელებაზე, თეატრალური ტრადიციის აღორძინებაზე, ბიბლიოთეკის დაარსებასა და სხვ. (საკითხის შესახებ, აგრეთვე, წყაროები და ლიტერატურა იხ. ჯოლოგუა 2017: 57). ამ მხრივ შემთხვევითი არ არის შეთქმულების პირველი მკვლევრის, კ. აბაშიძის, თვალსაზრისი: „ეს იყო შეთქმულება საზოგადოების განათლებულის წრისა“ (აბაშიძე 1905: 14; აბაშიძე 1998: 394). დიდად საყურადღებო გვგონია აგრეთვე მიხ. პოლიევქტოვის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, შეთქმულნი საზოგადოების „მორალურ განახლებას“ მიიჩნევდნენ „როგორც მოსამზადებელ საფეხურს პოლიტიკური განთავისუფლებისათვის“ (პოლიევქტოვი 1927: 111; შეთქმულთა 1825-1832 წწ. კონსპირაციულ მუშაობას დ. შველიძის შეხედულებით არა „შეთქმულება“, არამედ ფართო სპექტრისა და მასშტაბის „შეთქმულებრივი მოძრაობა“ უნდა ეწოდოს – შველიძე 2014: 3-41).

დიმ. ყიფიანის მიერ მ. გამაზოვის პიესით დაინტერესება, ისევე, როგორც ამავე ჩვენებაში ნახსენები ფაქტი – ვ. ორბელიანის მიერ პ. კარატიგინის პიესის „ნაცნობი უცნობები“ თარგმნა და შემდეგ მცდელობა ამ პიესის დადგმისა, ვფიქრობთ, შეთქმუ-

ლების კულტურულ-საგანმანათლებლო მიმართულების კონტექსტში უნდა იქნეს განხილული.

⁵ (გვ. 78) **„კომედია-ვოდევილი „Знакомые незнакомцы“, ქართულ ენაზე გადმოთარგმნილი ვახტანგ ორბელიანის მიერ“** – პიესის *„Знакомые незнакомцы“* („ნაცნობი უცნობები“) ავტორია რუსი დრამატურგი და მსახიობი პეტრე კარატიგინი. პიესა დაწერილია 1830 წელს, ხოლო 1832 წელს იგი რუსულ ენაზე თბილისში, რომან ბაგრატიონის სალონში, იყო წარმოდგენილი (იხ. აქვე, გვ. 341). როგორც დიმ. ყიფიანის სხვა, 1833 წლის 27 იანვრის, ჩვენებით ირკვევა, სპექტაკლში დიმ. ყიფიანსა და ვახტანგ ორბელიანსაც უნდა ეთამაშათ (იხ. აქვე, გვ. 95).

⁶ (გვ. 78) **„საუბარი გვექნება მეორე გიორგიზეც“** – იგულისხმება **გიორგი რევაზის (რომანის, რომანოზის) ძე ერისთავი** (1812-1891), შეთქმულების აქტიური წევრი. მიესაჯა სამხედრო სამსახურში გამწესება ქ. არხანგელსკში, საქართველოში დაბრუნების უფლების აღკვეთით, თუმცა „1840 წ. კაპიტნის ჩინით გადმოიყვანეს სამშობლოში, ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში“ (ბერძნიშვილი 1980: 231). სხვა გიორგი ერისთავებისგან რომ განესხვავებინათ, გ. რ. ერისთავს „ატამანს“ ეძახდნენ (1850-იან წწ. კავკასიის ხაზის კაზაკთა ჯარის ატამანი იყო და მართავდა თერგისა და ყუბანის მხარეს). შეთქმულებაში მონაწილეობდნენ მისი ძმებიც: ბიძინა და შალვა ერისთავები (გოზალიშვილი 1935: 137, 174, 353; გოზალიშვილი 1970: 384, 420, 604; გოზალიშვილი 1976: 428).

⁷ (გვ. 79) **„გადმომცა „Северная пчела“-ს ფურცლები“** – *„Северная пчела“* („ჩრდილოეთის ფუტკარი“): საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო გაზეთი, რომელიც 1825-1864 წწ. გამოდიოდა სანქტ-პეტერბურგში. გაიარა გზა ლიბერალურიდან კონსერვატორულ მსოფლმხედველობამდე.

⁸ (გვ. 79) **„...განსაკუთრებით ჭავჭავაძე“** – იგულისხმება **ალექსანდრე ჭავჭავაძე** (შეთქმულებაში ალ. ჭავჭავაძის ადგილისა და როლის შესახებ იხ. ჯოლოგუა 2013: 194-202).

⁹ (გვ. 79-80) **„დავუნყე ხეენა, გაემყლავნებია ჩემთვის საიდუმლო ... მშვიდობით!“** – დიმ. ყიფიანისა და გ. დ. ერისთავის ამ დიალოგის ნამდვილობა, მინიმუმ, საეჭვოა. გ. დ. ერისთავისა და ზ. ავთანდილოვის ჩვენებებით, მათ დიმ. ყიფიანს შეთქმულების ამბავი 1831 წელს (თვე და რიცხვი არ არის მითითებული) მისსავე სახლში გაუმჟღავნეს (გოზალიშვილი 1935: 243-244; გოზალიშვილი 1970: 203; გოზალიშვილი 1976^ა: 76).

¹⁰ (გვ. 80) **„...სადაც ახლა პრიბილის სახლი შენდება“** – ექიმი ივ. პრიბილი ნავთლულში, საკუთარ სახლში, ცხოვრობდა (Кавказский календарь 1846: 239).

¹¹ (გვ. 80) **„პოლონელების დამარცხებამ დაშალა მათი განზრახვები, რომელთაც სავსებით მაინც არ ეშვებინ“** – *პოლონელების დამარცხება*: იგულისხმება პოლონეთის 1830-1831 წწ. აჯანყება, რომელიც რუსეთის ჯარების მიერ იქნა ჩახშობილი (ვარშავა, აჯანყებულ პოლონელთა უკანასკნელი დასაყრდენი, 1831 წ. 8 სექტემბერს დაეცა). თბილისში ეს ამბავი ზეიმით აღნიშნეს იმავე წლის 24 სექტემბერს. ალ. ორბელიანის ერთ-ერთი ჩვენებით, როცა თბილისში პოლონეთზე გამარჯვების ნიშნად „ზარბაზნები დაცალეს“, ი. ფალავანდიშვილთან სადილად მყოფმა ოთხმა ქართველმა თავადიშვილმა „იტირეს და ისე წავიდნენ“ (გოზალიშვილი 1935: 212). ბედის ირონიით, პოლონელთა აჯანყების ჩახშობაში (ზოგიერთს – ვარშავაზე მიტანილ შტურმშიც) მონაწილეობა აქვთ მიღებული როგორც 1832 წლის შეთქმულებაში ჩაბმულ ქართველ სამხედროებს (დიმ. ორბელიანი, ზ. ჩოლოყაშვილი, გ. რ. ერისთავი... – გოზალიშვილი 1970: 230, 241, 260), ისე – შეთქმულების საგამომძიებლო კომისიის თავმჯდომარეს, კ. ჩევიკინსა (ზროკჰაუზი-ეფრონი 1903: 454; ბერძინიშვილი 1983: 215) და კომისიის წევრს, ვლ. ვოლხოვსკის (აქტები 1881: XI). საგანგებოდ უნდა ითქვას, რომ 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობდნენ როგორც რუსეთის სახელმწიფო სამსახურში მყოფი პოლონელები (ძმები პეტრე და მათე ზავილეისკები), ისე ვარშავის ალების შემდეგ დასჯილი და საქართველოში გამწესებული პოლონელები (განზრახული იყო

საქართველოში მყოფი დაახლოებით 500 პოლონელის ჩართვა აჯანყებაში. საკითხის შესახებ იხ. გოზალიშვილი 1935: 45-47, 58-61; ნიკოლაიშვილი 1967: 65-81).

¹² (გვ. 80) **„...გრაფი სიმონიჩი“ – ივანე (ყან ეტიენ) სიმონიჩი**, წარმოშობით დალმაციელი, რომელიც კაპიტნის ჩინით მსახურობდა ნაპოლეონის არმიაში, თუმცა ტყვედ ჩავარდა და რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღო (ერთხანს მსახურობდა საქართველოში), გენერალი და დიპლომატი, ქართველების სიძე (ცოლად ჰყავდა ანა ოთარის ას. ამილახვარი), რუსეთის ელჩი ირანში 1832-1838 წწ. (მასთან მდივნად მუშაობდა შეთქმული ს. რაზმაძე. ირანში მიმავალი ივ. სიმონიჩი თბილისში ს. რაზმაძესთან ერთად 1832 წლის მარტის დამლევს ჩამოვიდა და აქ იმავე წლის 13 აგვისტომდე დარჩა – გოზალიშვილი 1970: 274). გრაფ სიმონიჩს ქართველთა შეთქმულებასთან არავითარი კავშირი არ ჰქონია (ივ. სიმონიჩის შესახებ იხ. ბერძნიშვილი 1983: 175-176).

¹³ (გვ. 81) **„ტფილისში გარდაიცვალა ვილაც თავადი ჩოლოყაშვილი და ის წაასვენეს კახეთში“ – თავადი ჩოლოყაშვილი**: იგულისხმება კაპიტანი **გრიგოლ ჩოლოყაშვილი**, რომელსაც გ. დ. ერისთავი „ბიძას“ უწოდებს (გოზალიშვილი 1935: 247). გრ. ჩოლოყაშვილი თბილისში გარდაიცვალა 1832 წ. ზაფხულში, დაკრძალეს ახმეტაში (გოზალიშვილი 1935: 261).

¹⁴ (გვ. 81) **„აქტი დაწერილი იყო ვილაც კახელი ბერის მიერ, რომელსაც ის გადაეცა ერისთავისთვის“ – აქტი**: იგულისხმება კახეთის შუამთის მონასტერში მოღვაწე ბერის, **ფილადელფოს კიკნაძის**, მიერ შედგენილი წესდება შეთქმულებისა – **„აკტი გონიური“** (ტექსტი იხ.: გოზალიშვილი 1935: 111-116; კიკნაძე 1996: 36-42; ტექსტის რაობის შესახებ, აგრეთვე, ნყაროები და ლიტერატურა იხ. ხომერიკი 1999: 99-117). ბერ ფილადელფოსის მიერ იყო შედგენილი აგრეთვე შეთქმულთა მიმოწერისთვის განკუთვნილი საიდუმლო ანბანი (გოზალიშვილი 1935: 33-36).

¹⁵ (გვ. 81) **„...ამაზე მე და ავთანდილოვი არ დავთანხმდით“ – ფიცის დადებას დიმ. ყიფიანი სხვა, 1833 წლის 9 მაისის, ჩვენე-**

ბაშიც უარყოფს (იხ. აქვე, გვ. 108, გ. დ. ერისთავი კი კომისიას უჩვენებს: „აკტი პირველად ნაუკითხე **ყიფიანოვსა** და **ავთანდილოვს**, **ყიფიანოვის** სახლში, მათ გაიმეორეს ფიცი“ (გოზალიშვილი 1935: 409; იხ. აგრეთვე: გოზალიშვილი 1970: 380).

¹⁶ (გვ. 81) „**აქ ელიზბარმა გამაცნო მე თავის ძმას**“ – იგულისხმება „ფარული საზოგადოების“ აქტიური წევრი **დიმიტრი შანშეს ძე ერისთავი**. შეთქმულებაში მონაწილეობდა ელიზბარის კიდევ ერთი ძმა – იასე ერისთავი, აგრეთვე, და და სიძე: მელანია ერისთავ-მელნიკოვა და ანდრია მელნიკოვი.

¹⁷ (გვ. 81) „**სთხოვეს რაზმადეს წაეკითხა მის მიერ რუსულიდან ქართულად გადმოთარგმნილი: მიცკევიჩის „ფარისი“** – ს. რაზმადის ეს თარგმანი გამოძიებამ გრ. ორბელიანის მიერ ჩამორთმეულ ქალაქებში იპოვა. თვითონ თარგმანი ს. ხუციშვილის კომენტარითურთ იხ. რაზმადე 1990: 35-41, 61.

¹⁸ (გვ. 81) „**როგორ გაბედე შენ დაგებეჭდა შენს ჟურნალში...**“ – იგულისხმება ს. დოდაშვილის ორკვირეული ჟურნალი „**სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი**“, ეროვნული მიზანდასახულობის პირველი ქართული პერიოდული გამოცემა (ქართულ ენაზე გამოცემული წინა ორი გაზეთი ოფიციალური იყო). ჟურნალის ინიციატორები რედაქტორთან ერთად ე. ერისთავი და ალ. ორბელიანი იყვნენ. გამოცემა მიზნად ისახავდა ლიტერატურული და სამეცნიერო პუბლიკაციების მეშვეობით აჯანყებისთვის საზოგადოებრივი აზრისა და განწყობების მომზადებას და, ამდენად, არსებითად შეთქმულთა პერიოდულ გამოცემად უნდა ჩაითვალოს. ჟურნალის სულ ხუთი ნომერი გამოვიდა (I, 1832-III, 1832) და ხელისმომწერთა სიმცირის გამო დაიხურა (ჟურნალის „სალიტერატურონი ნაწილნი...“ შესახებ იხ.: გუგუშვილი 1941: 79-97; გოცაძე 1954: 171-211; რატიანი 1973: 96-124; ტაბიძე 2012: 239-278; ჯოლოგუა 2013^ბ: 53-81; ჟურნალში გამოქვეყნებული ტექსტები იხ.: გოცაძე 1952: 260-315; ბიბლიოგრაფია – ხუციშვილი... 1940).

¹⁹ (გვ. 81) „**ბატონი სენატორის ბიძაჩემის ლექსები**“ – ა) სენატორი: იგულისხმება გენერალ-ლეიტენანტი **გიორგი იასეს ძე**

ერისთავი. სხვა გიორგი ერისთავებისგან რომ განესხვავებინათ, „სენატორს“ ეძახდნენ [1830 წ. მიანიჭეს სენატორის სტატუსი საქართველოში ცხოვრების უფლებით, ხოლო 1840-იან წწ. თბილისში ხელმძღვანელობდა სენატის კომისიას, რომელსაც თავადურ და აზნაურულ უფლებებთან დაკავშირებული საქმეები უნდა განეხილა. ჰქონდა სხვა მეტსახელებიც: „დიდი კნიაზი“, „ტავრიჩესკი“ (1827 წ. მცირე რაზმით ქ. თავრიზი აიღო), „ჰერი-ჰა“ (ბერძნიშვილი 1980: 226-227)]; ბ) *ბიძაჩემი*: ელიზბარ ერისთავი ძმისშვილი იყო გიორგი იასეს ძე ერისთავისა; გ) *ლექსები*: იგულისხმება ჟურნალში „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“ (1832, №3, გვ. 58-64) გამოქვეყნებული *ლექსი* (და არა *ლექსები*) გ. ი. ერისთავისა – „მოწოდება ივერთა მამულის დაცვისათვის დროსა სპარსთა შემოსვლისასა საქართველოს სამძღუართაშინა“. ლექსში განდიდებულია საქართველოს წარსული („მტერთა რისხვით დაცემა, ორგულთ შეიწრებანი, / სიმხნე და ვაჟკაცობა, აქვენდათ ვითა მცნებანი...“ და ა. შ.), თუმცა იქვე რუსეთის იმპერატორის აპოლოგიაც არის მოცემული („მე თქვენ გთხოვთ ჩემნო ძმანო, მსახურეთ იმპერატორს, / აჩრდილი არის ღთისა, ან უსმინეთ სენატორს“ და ა. შ.).

²⁰ (გვ. 81) **„სანკოვსკიმ განიხილა“** – იგულისხმება გაზეთ „Тифлисские ведомости“-ს (1828-1832) გაერთიანებული რედაქციის რედაქტორი **პავლე სანკოვსკი**. გარდა რუსული დედნისა („Тифлисские ведомости“), გამოიცემოდა მისი ქართული დუბლიკატი (თარგმანი) – გაზეთი „ტფილისის უწყებანი“ (რედაქტორი ს. დოდაშვილი). ჟურნალი „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“, რომელშიც გ. ი. ერისთავის ზემოხსენებული ლექსი დაიბეჭდა (იხ. წინა კომენტარი), ფორმალურად „ტფილისის უწყებანის“ ლიტერატურულ დამატებას წარმოადგენდა. ამიტომ, როგორც დიმ. ყიფიანის ჩვენების ამ მონაკვეთიდან ჩანს, პ. სანკოვსკის პასუხისმგებლობა, გარდა გაზეთებისა, ჟურნალზეც ვრცელდებოდა.

²¹ (გვ. 81) **„ან კიდევ: პოემა ამ ახალგაზრდა პოეტისა (უჩვენა გიორგი ერისთავ I-ზე)“** – *პოემა*: იგულისხმება გიორგი დავი-

თის ძე ერისთავის „ოსური მოთხრობა“ („მოთხრობა“ აქ **ამბავს** უნდა ნიშნავდეს), რომელიც გაგრძელებებით ქვეყნდებოდა ს. დოდაშვილის ჟურნალში „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“ (1832, №№2-4). მიუხედავად იმისა, რომ მე-4 ნომერში ტექსტს დართული აქვს: „დასრულება შემდგომს ნომერში“, პოემის ბექდვა შეწყდა და მე-5 ნომერში აღარ გაგრძელებულა. „ოსურ მოთხრობაში“ ასახულია 1659 წლის კახეთის ცნობილი აჯანყება (ამ ფონზე იშლება ოსი ქალ-ვაჟის, ზარესა და ყანიმათის, ტრაგიკული სასიყვარულო ისტორია). პოემა პატრიოტული სულისკვეთებისაა და ამ მხრივ უნისონშია შეთქმულთა მიზნებსა და განწყობებთან. უნდა ვიფიქროთ, პოემის ბექდვის შეწყვეტა საცენზურო ჩარევამ განაპირობა. მოგვიანებით გ. დ. ერისთავმა „ოსური მოთხრობა“ გადაამუშავა და სხვა სათაურით („ზარე და ყანიმათ“) გამოაქვეყნა ჟურნალ „ცისკარში“ (1853, №4, გვ. 6-26; ერისთავი 1966: 89-100).

²² (გვ. 82) **„კაცი გაუგზავნეს მოსაპატიჟებლად „экспедиция суда и расправы“-ს თარჯიმანს...“** – *Экспедиция суда и расправы (სისხლის სამართლის ექსპედიცია)*, უწყება, რომელიც აწარმოებდა სისხლის სამართლის საქმეებს და, რომელსაც, ამას გარდა, ექვემდებარებოდა სასამართლო დანესებულებები (იყო აგრეთვე აღმასრულებელი, სამოქალაქო საქმეთა და ხაზინის საქმეთა ექსპედიციები).

²³ (გვ. 82) **„...რომელმა მათგანმა გამოიჩინეს თავი მე-12-ე წელს!“** – იგულისხმება კახეთის 1812 წლის აჯანყება.

²⁴ (გვ. 82) **„ელიზბარსა და დიმიტრის აქვთ მიწერ-მოწერა ერთი მეოთხედი ფურცელი დანახაზიანი და შენიშვნებიანი ქალაღდის საშვალებით ... ვერავინ გაიგებს მის ნამდვილ შინაარსს, საიდუმლო ფურცლის უმისოდ“** – ამ „დანახაზიანი და შენიშვნებიანი ქალაღდის“ შესახებ ერთ-ერთ ჩვენებაში თვითონ ელიზბარ ერისთავი ამბობს: „1830 წელს, პეტერბურგიდან გამომგზავრების წინა დღეს, რადგან **დიმიტრი ბატონიშვილს** ვიცნობდი, ამიტომ მომცა მან საფოსტო ქალაღდის ნახევარი, რომელიც ალაგ-ალაგ ამოჭრილი იყო და მითხრა ამ ქალაღდის

საშუალებით შემეტყობინებინა მისთვის, რაც საქართველოში მოხდებოდა“ (გოზალიშვილი 1935: 34). ამას გარდა, შეთქმულები ფილადელფოს კიკნაძის მიერ შედგენილი საიდუმლო ანბანითაც სარგებლობდნენ [გოზალიშვილი 1935: 33-36; იქვეა გამოქვეყნებული (გვ. 101-104) ჩვენამდე მოღწეული რამდენიმე ნიმუში, დანერილი ხსენებული საიდუმლო ანბანით].

²⁵ (გვ. 82-83) **„საჭირო იქნება ვსთხოვოთ დახმარება ყაზი-მულას და ეგვიპტის ფაშას“** – შეთქმულების ორგანიზატორებს ჰქონდათ საერთაშორისო კავშირები (საფრანგეთი, ინგლისი, ირანი, ოსმალეთი...), მათ შორის, რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლი ჩრდილოკავკასიელი ხალხების მაშინდელ მეთაურ **ყაზი-მოლასთან**, აგრეთვე, ეგვიპტის ფაშა **მუჰამად ალისთან**, რომელიც ამ დროს ოსმალეთთან ომში იყო ჩაბმული, კონსტანტინოპოლს იყო მიმდგარი და, რომ არა რუსეთის იმპერიის ენერგიული ჩარევა, გამარჯვების რეალური პერსპექტივა ჰქონდა. შეთქმულთა ჩვენებებში ეგვიპტის ფაშასთან დაკავშირებული საინტერესო ცნობებია დაცული (გოზალიშვილი 1935: 136, 325, 457; გოზალიშვილი 1970: 454, 559; გოზალიშვილი 1976^ა: 43, 340, 373 და შმდ.), აქ კი მხოლოდ ერთ ფაქტს დავიმომწმობთ: სპარსეთში გადახვენილი ალექსანდრე ბატონიშვილი 1832 წელს კისრულობს ეგვიპტის ფაშას შუამავლობას ყაზი-მოლასთან, ხოლო ალექსანდრეს მიერ ყაზი-მოლასთან საიდუმლო დავალებით გაგზავნილი სამი პირიდან ერთ-ერთი, ბალა მაჰმადა, უკან მობრუნებული – სპეციალურად თბილისში ჩამოდის და შეთქმულების ერთ-ერთ ხელმძღვანელს, ალ. ორბელიანს, ხვდება, აქედან კი ალექსანდრე ბატონიშვილთან ალ. ორბელიანის წერილი მიაქვს (გოზალიშვილი 1935: 55-56, 216, 217; გოზალიშვილი 1970: 109-110; იხ. აგრეთვე: გოზალიშვილი 1935: 216) და სხვ.; აქვე საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ეჭვს არ იწვევს საფრანგეთის საკონსულოს მდივნის, ვიქტორ ლეტელიეს, არსებითი ხასიათის ჩართულობა შეთქმულებაში და სხვ. (შეთქმულების ხელმძღვანელთა საერთაშორისო კავშირებისა თუ კავშირის დამყარების მცდელობების შესახებ იხ.:

გოზალიშვილი 1935: 45-47, 77; სურგულაძე 1968: 253-254, 257-258; შველიძე 2014: 42-58; ჯოლოგუა 2017: 64-68).

²⁶ (გვ. 83) **„საჭიროა გაიგზავნოს ვინმე ბატონიშვილთან ... ნავსულიყავ პეტერბურგში და აღარ დავბრუნებულებიყავ“** – ის, რომ დიმ. ყიფიანს თითქოს პეტერბურგში სურდა დარჩენა, უდავოდ გამოძიებისთვის თვალის ასახვევად არის ნათქვამი, ხოლო რაც შეეხება პეტერბურგში მის გამგზავრებას, რეალური ვითარება ასეთი იყო: დიმ. ყიფიანს კეთილშობილთა სასწავლებლის მონაფეები უნდა წაეყვანა პეტერბურგსა და მოსკოვში (ეს იყო საბაბი) და იქ უნდა შეხვედროდა პირებს, რომლებიც 1832 წლის შეთქმულების სათავეებთან იდგნენ და არსებითად განსაზღვრავდნენ კიდევაც შეთქმულების პოლიტიკურ ხასიათს, მიმართულებებსა და მიზანდასახულობას (შეთქმულების მმართველ ვერტიკალზე იხ. ჯოლოგუა 2013²⁶: 13-14). კერძოდ, დიმ. ყიფიანი პეტერბურგში უნდა შეხვედროდა დიმიტრი ბატონიშვილს, ხოლო მოსკოვში – ოქროპირ ბატონიშვილს (გოზალიშვილი 1935: 61, 313; გოზალიშვილი 1970: 186, 187, 203; გოზალიშვილი 1976²⁷: 49). ეს გარემოება კიდევ ერთი არგუმენტი იმ მოსაზრების სასარგებლოდ, რომ დიმ. ყიფიანი შეთქმულების შემთხვევითი ან უმნიშვნელო მონაწილე კი არ იყო, როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურაშია გავრცელებული (იხ. აქვე, გვ. 336-337), არამედ – აქტიური წევრი „ფარული საზოგადოებისა“ (შეთქმულები დიმიტრი და ოქროპირ ბატონიშვილებთან შესახვედრად, ცხადია, ისეთ წევრს გაგზავნიდნენ, რომელიც შეთქმულებასთან დაკავშირებულ ყველა საქმეში საფუძვლიანად იყო ჩახედული).

²⁷ (გვ. 83) **„ის ხარი მუხრანსკი უნდა როგორმე მოვიშოროთ“** – იგულისხმება ქართლ-კახეთის თავადაზნაურობის წინამძღოლი (1812-1839) **კონსტანტინე ივანეს ძე მუხრანბატონი (მუხრანსკი, ბაგრატიონ-მუხრანსკი)**. შეთქმულები მიიჩნევდნენ, რომ იმთავითვე რუსული ორიენტაციით ცნობილი და ხელისუფლების მიერ დიდად დაფასებული კ. მუხრანბატონი ხელს შეუშლიდა აჯანყებას და ამიტომაც მის ლიკვიდაციას

აპირებდნენ (გოზალიშვილი 1970: 458; გოზალიშვილი 1976: 309 და შმდ.). „მას, მუხრანსკის, სიკვდილს უპირებდნენ მთავრობის ერთგულებასა ზედა“, – უჩვენებს საგამომძიებლო კომისიას ალ. ორბელიანი (გოზალიშვილი 1976: 158), დიმ. ერისთავი კი თავის ჩვენებაში აცხადებს: „მე ვუთხარი [ალ. ორბელიანს], მოვნამლოთ იგი, მოვკლათ ან დავამწყვდიოთ სადმე მეთქი, მაგრამ მას დიდი შრომა არ დასჭირვებია დავეთანხმებინე, რათა იგი ცოცხალი დაგვეტოვებინა“ (გოზალიშვილი 1970: 288). საბოლოოდ კი შეთანხმდნენ, რომ გამარჯვების შემთხვევაში კონსტანტინე მუხრანბატონისათვის იუსტიციის მინისტრის პოსტი შეეთავაზებინათ (გოზალიშვილი 1935: 92, 167). ამას გარდა, ალექსანდრე ბატონიშვილის საქართველოში ჩამოსვლამდე „უნდა შემდგარიყო პარლამენტი, რომელსაც სამხედრო და საერო საქმეები უნდა განეგო“ და ამ პარლამენტში კ. მუხრანბატონიც უნდა შეეყვანათ (გოზალიშვილი 1970: 158). შეთქმულების მასალების მიხედვით, თვითონ კ. მუხრანბატონს „ფარული საზოგადოების“ არსებობა, ვფიქრობთ, არ უნდა სცოდნოდა.

²⁸ (გვ. 83) **„აი კიდევ მაგალითად ჭილაშვილი“** – იგულისხმება **იაგორ (გიორგი) გაბრიელის (გლახას) ძე ჭილაშვილი** (რუსულ წყაროებსა და ლიტერატურაში – *Егор Гаврилович Чилияев*), საქართველოს უმაღლესი მთავრობის პროკურორი, თბილისის სამხედრო გუბერნატორის კანცელარიის მმართველი (1820-1830-იანი წწ.), ნევრი რუსეთის ისტორიაში ცნობილი მისტიკოსის, ალექსანდრე ლაბზინის (1766-1825), მასონური ლოჟისა – „მომაკვდავი სფინქსი“, სადაც ექვს წელიწადში გაიარა გზა „მონაფიდან“ „მეთვალყურემდე“ [ბერძნიშვილი 1983: 258; ლაბზინის ლოჟის წევრები იყვნენ აგრეთვე იაგორის ძმები: ბორის (ბაბანა) და კონსტანტინე ჭილაშვილები (ჩილაევები)].

ი. ჭილაშვილს ცოლად ჰყავდა *პრასკოვია პეტრეს ას. პოპოვა* (ალ. ლაბზინის ნათესავი), რომელმაც „ისწავლა ქართული ლაპარაკი და წერა-კითხვა იმდენად, რომ მულსაც ქართულად სწერს წერილს“ (ბერძნიშვილი 1983: 257). ი. ჭილაშვილისა და პ.

პოპოვას ქალიშვილი ნინო იყო მეუღლე დიმი. ყიფიანისა [ჯვარი დაინერეს 1845 წ. 22 იანვარს დუშეთში, სადაც (მილახვრიანთ-კარში) ი. ჭილაშვილს ჰქონდა მამული და სასახლე]. დიმი. ყიფიანი თავის „მემუარებში“ რამდენჯერმე ახსენებს ი. ჭილაშვილს: „იაგორ გაბრიელის ძე ჭილაშვილი, პირველი ქართველთაგანი, რომელმაც მიიღო რუსულ-ევროპიული სწავლა-განათლება... სტატსკი სოვეტნიკი იაგორ ჭილაშვილი, რომლის ჩარევა ამ საქმეში (შეთქმულებაში – თ. ჯ.) იქნება ბევრსაც უნდოდა, მაგრამ ამოდ... [ალექსანდრე] ჭავჭავაძე და ჭილიაევი მაშინ იყვნენ იშვიათი პირნი თავისი მაღალპატიოსნებითა და რაინდული კეთილშობილებით“ და დასძენს: „იაგ. გაბ. ჭილიაევი იყო მამა ჩემი ცოლისა და მე ცოტათი არ ვამაყოფ ამ ნათესაობით“ (ყიფიანი 2020: 295, 307).

შეთქმულების მასალებში ი. ჭილაშვილზე მწირი და ურთიერთსანინაღმდეგო ცნობებია დაცული და ამ მასალაზე დაყრდნობით ძნელია გარკვევა – საერთოდ იცოდა თუ არა მან „ფარული საზოგადოების“ არსებობა. დარწმუნებით კი იმის თქმა შეუძლება, რომ გამარჯვების შემთხვევაში შეთქმულნი ი. ჭილაშვილს მაღალ თანამდებობას უმზადებდნენ, კერძოდ, აპირებდნენ მის დანიშვნას შინაგან საქმეთა და განათლების მინისტრად (გოზალიშვილი 1935: 92, 167).

ასეა თუ ისე, შეთქმულთა საქმეებში ი. ჭილაშვილის სახელის გარეგან საბედისწერო როლი შეასრულა მის ცხოვრებაში – 1833 წელს იგი ჩამოაქვეითეს, შემდეგ კი გადაიყვანეს ლენქორანში, სადაც გარდაიცვალა 1838 წელს, 48 წლისა, იქვეა დაკრძალული (ბერძნიშვილი 1983: 258).

²⁹ (გვ. 84) **„აი მეორე ჩემი ძმა“** – იგულისხმება **დიმიტრი ვახტანგის ძე ორბელიანი** [შეთქმულებაში ჩართულნი იყვნენ არა მარტო ძმები ალექსანდრე, დიმიტრი და ვახტანგ ორბელიანები, არამედ მათი დედა *თეკლე (თეკლა) ბატონიშვილი* და მეუღლე ალ. ორბელიანისა – *ეკატერინე (კატინა) ბარათაშვილ-ორბელიანი* (საკითხის შესახებ, აგრეთვე, წყაროები და ლიტერატურა იხ.: ჯოლოგუა 2013: 157-165)].

³⁰ (გვ. 84) **„შეარიგეთ ის თქვენს ბიძას, თავადს სენატორს გიორგის“** – იგულისხმება **გიორგი იასეს ძე ერისთავი** (გ. ი. ერისთავზე იხ. აქვე, კომენტ. 19).

³¹ (გვ. 84) **„როგორც წყალი პაპანაქებაში“** – ეს ფრაზა [დედანში: „...как воды в знойное время“ (დანელია 1993-1994: 429)] სიმ. ხუნდაძისა და შემდგომ გამოცემებში გამორჩენილია.

³² (გვ. 85) **„თავად-აზნაურობა მალე შეიკრიბება კენჭის საყრელად“** – შეთქმულების ორგანიზატორები ფიქრობდნენ, რომ აჯანყების დაწყებისთვის საუკეთესო დრო იყო ქართლ-კახეთის თავადაზნაურობის წინამძღოლის („მარშლის“) არჩევნები (იმართებოდა სამ წელიწადში ერთხელ), როცა აღმოსავლეთ საქართველოს არისტოკრატიული ელიტა თბილისში იკრიბებოდა: „თავდაპირველად აჯანყების დაწყება 20 ნოემბერს იყო განზრახული, რაც თავად-აზნაურთა ტფილისში არჩევნებისთვის თავის მოყრასთან იყო შეფარდებული“ (გოზალიშვილი 1935: 87). არჩევნების შემდეგ, სალამოს, ნადიმზე, ლუარსაბ ორბელიანის სახლში, რუსი და ქართველი სამხედრო თუ სამოქალაქო ხელისუფალნი უნდა მოეწვიათ, ყველანი დაეპატიმრებინათ, შემდეგ კი სპეციალურ ნიშანზე (შუშხუნების გასროლაზე) აჯანყებაც უნდა დაწყებულიყო (გოზალიშვილი 1935: 138; გოზალიშვილი 1970: 157 და შმდ.).

ზამთრის პირობებში აჯანყების დაწყება იმითაც იყო ხელსაყრელი, რომ: ა) რუსების სამხედრო ძალა ძირითადად ჩრდილოეთ კავკასიაში იყო გადასროლილი და დიდთოვლობის გამო კავკასიონის უკან გადმოლახვას ვერ შეძლებდა; ბ) ზამთრის პირობებში რუსეთის ჯარის კასპიის ზღვით გადმოსროლაც უკიდურესად გართულდებოდა (გოზალიშვილი 1935: 88).

³³ (გვ. 85) **„მამაც. – კარგი, მაგრამ როგორ აპირებთ ასე სახელდახელოდ ყველაფრის გაკეთებას? არავითარი საამისო საშუალება ჩვენ არა გვაქვს და კიდევ ასი წელი არ გვექნება“** – იოსებ მამაცაშვილის ეს სიტყვები (დედანში: „Хорошо, да как вы хотите так вспылчиво всё сделать. У нас никаких средств нет и не будет во сто лет“ – დანელია 1993-1994: 430) სიმ. ხუნდაძისა და

შემდგომ გამოცემებში გამორჩენილია. სხვათა შორის, ი. მამაცაშვილი აჯანყების უპერსპექტივობის შესახებ საკუთარ ჩვენებაშიც იმავს ამბობს (გოზალიშვილი 1970: 128).

³⁴ (გვ. 85) **„ქართულ მილიციას...“** – *მილიცია* (ლათ. militia – მხედრობა): მთავრობის მიერ საგანგებო ვითარებაში ფორმირებული არარეგულარული (მათ შორის, მოხალისეებისგან შემდგარი) სახალხო ლაშქარი (მილიციელი – სახალხო მოლაშქრე). მოცემულ შემთხვევაში *მილიცია* ჩრდილოეთ კავკასიაში რუსეთის სასარგებლოდ მებრძოლ ქართულ ლაშქარს ნიშნავს.

³⁵ (გვ. 86) **„ამის მიზეზი ... ყველა ოცნების კოშკები დაიმსხვრენ“** – სინამდვილეში აჯანყების გადადებას სულ სხვა მიზეზი ჰქონდა. როგორც ზემოთ ითქვა (კომენტ. 32), აჯანყების დაწყება შეთქმულებს თავადაზნაურობის ყრილობისთვის უნდა დაემთხვიათ. ყრილობა რამდენჯერმე გადაიდო და, შესაბამისად, რამდენჯერმე გადაიდო აჯანყების დღეც, საბოლოო თარიღად კი 20 დეკემბერი დადგინდა. ამასობაში ალექსანდრე ბატონიშვილთან გაგზავნილი შიკრიკი ჩავარდა ბორჩალოში და იქ მამინვე ხმა გავრცელდა მოსალოდნელი არეულობების შესახებ. ამ ხმამ თბილისში სწრაფად ჩამოაღწია და შეთქმულთა საქმიანობაში დეზორგანიზაცია შეიტანა. ი. ფალავანდიშვილმა გადაწყვიტა, აჯანყების საქმე განწირულიყო და, თავი რომ გადაერჩინა, გასცა შეთქმულება (უფრო ვრცლად საკითხის შესახებ წყაროების მითითებით იხ. ჯოლოგუა 2013^ა: 14-17). აქვე უნდა ითქვას, რომ გავრცელებული მოსაზრება შეთქმულების გაცემაში იასეს ძმის, ნიკოლოზ ფალავანდიშვილის, ამა თუ იმ ფორმით მონაწილეობის შესახებ დოკუმენტურად არ დასტურდება (იხ. ჯოლოგუა 2013^ა: 200-202). ამას გარდა, ცნობა, თითქოს *„ვერ მოიმხრეს ვერც [ალექსანდრე] ჭავჭავაძე და ვერც ლუარსაბ ორბელიანი“*, არ შეესაბამება სინამდვილეს – ერთიცა და მეორეც *„ფარული საზოგადოების“* ჩავარდნამდე ერთგულნი დარჩნენ შეთქმულების იდეისა [შეთქმულებაში ალ. ჭავჭავაძის ადგილისა და როლის შესახებ იხ. ჯოლოგუა 2013^ა: 194-200; რაც შეეხება ლუარსაბ ორბელიანს, საგამომძიებლო კომისიამ

იგი მიაკუთვნა „დამნაშავეთა“ III კატეგორიას, „ვინც შეეთქმულემაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა და აჯანყების მოხდენას ეთანხმებოდა“ (გოზალიშვილი 1935: 37), თუმცა საბოლოოდ, 1834 წლის ივნისში, ნიკოლოზ I-ის შეწყალების საფუძველზე ლ. ორბელიანი გაათავისუფლეს სასჯელისგან (გოზალიშვილი 1935: 499; გოზალიშვილი 1976: 435)].

³⁶ (გვ. 86-87) **„ფალავანდიშვილმა... დაიწყო აღწერა მისი დამცირების; შემდეგ... თავისი ოსმალეთში ყოფნის შესახებ“** – თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ი. ფალავანდიშვილს რუსეთში გამგზავრება და იქ სამხედრო სასწავლებელში შესვლა სურდა, თუმცა მამა (იოსები) და უფროსი ძმა (ნიკოლოზი) მას ამის უფლებას არ აძლევდნენ, რის გამოც იასე თავს დამცირებულად გრძნობდა და ამის შესახებ იგი თავის ერთ-ერთ ჩვენებაშიც წერს (გოზალიშვილი 1970: 421-422). 1826 წელს ი. ფალავანდიშვილი ოსმალეთში (ახალციხე) გაიქცა, იქ ჯაშუშობა დასწამეს, სიკვდილით დასჯას შემთხვევით გადაურჩა (იმ დროს ახალციხეში გზად მყოფმა ვახტანგ იმერეთის ბატონიშვილმა გამოიხსნა), ამის შემდეგ საქართველოში კი ჩამოაღწია, მაგრამ ეს ავანტიურა მას ერთი წლის პატიმრობად დაუჯდა. 1828 წელს ი. ფალავანდიშვილმა კიდევ ერთხელ სცადა ოსმალეთში გაქცევა, თუმცა – უშედეგოდ (უფრო ვრცლად ორივე *გაქცევის* შესახებ იხ.: აქტები 1974: 638-643; ბერძნიშვილი 1983: 192-193; ჯოლოგუა 2013: 8-9).

³⁷ (გვ. 87) **„დაპატიჟება ვახშმათ მისი ძმის, სამოქალაქო გუბერნატორის სახლში“** – *მისი ძმა*: იგულისხმება ნიკოლოზ ფალავანდიშვილი, რომელიც იმ დროს თბილისის სამოქალაქო გუბერნატორია (1832 წ. ამ თანამდებობაზე პეტრე ზავილეისკი შეცვალა). იასეს ჰყავდა კიდევ ერთი ძმა – მიხეილ ფალავანდიშვილი, რომელიც სასულიერო უწყების თარჯიმნად მსახურობდა (ი. ფალავანდიშვილის ოჯახურ გარემოსა და გვაროვნულ ჩამომავლობაზე იხ. ბერძნიშვილი 1983: 190-191; ჯოლოგუა 2013: 6-8).

³⁸ (გვ. 87) **„ლაპარაკობენ ევროპის თანამედროვე პოლიტიკურ ამბებზე: საფრანგეთის რევოლუციაზე, განსაკუთრებით ბელგიელებზე...“** – 1810-1830-იან წწ. ევროპას (საბერძენეთი, სერბეთი, იტალია, ბელგია...) განმათავისუფლებელი ბრძოლების ტალღამ გადაუარა. თავისუფლად შეიძლება, 1832 წლის შეთქმულება ამ მოვლენათა კონტექსტში იქნეს განხილული (ცხადია, იდეური და არა ორგანიზაციული კავშირების თვალსაზრისით). ამის შესახებ მიხ. პოლიევქტოვი წერდა: „თავისი გარეგანი ფორმების მიხედვითაც კი 1832 წლის შეთქმულება... გვაგონებს იმ ნაციონალურ-განმათავისუფლებელ მოძრაობებს, რომლებითაც ასე მდიდარია ამავე ეპოქის ევროპიული ქვეყნების ისტორია“ (პოლიევქტოვი 1927: 111). კ. კაციტაძის შეხედულებით კი, ქართველმა შეთქმულებმა „მრავალსაუკუნებრივი იძულებითი „შესვენების“ შემდეგ საქართველო ჩართეს გლობალური ხასიათის ისტორიულ პროცესში“ (კაციტაძე 1997). სხვაგვარად რომ ვთქვათ, შეთქმულების ინიციატორებმა და ორგანიზატორებმა საქართველო თანადროული ევროპული პროცესების „ველში“ შეიყვანეს და ხანგრძლივი იზოლაციის შემდეგ ქვეყანა საერთო-ევროპულ პოლიტიკურ კონტექსტში მოაქციეს.

³⁹ (გვ. 89) **„მოიძებნება ჩემებიდან რამდენიმე ერთგული ადამიანი და არიან კიდევაც ასეთები“** – ეს სიტყვები [დედანში: „У меня найдутся несколько человек верных и есть“ (დანელია 1993-1994: 432)], სიმ. ხუნდაძისა და შემდგომ პუბლიკაციებში გამორჩენილია.

⁴⁰ (გვ. 89) **„ანუ „ფელიქსი“ ისევ?“** – ეს სამი სიტყვა [დედანში: „...или „Феликс“ оиять?“ – დანელია 1993-1994: 432] სიმ. ხუნდაძისა და შემდგომ გამოცემებში გამორჩენილია. ჩვენ სიტყვა „ფელიქსის“ რაობა ვერ გამოვარკვიეთ.

⁴¹ (გვ. 89-90) **„გულწრფელად ვინანიებ რა ჩემს დანაშაულს, ვანდობ თავს სულგრძელ მთავრობის ნება-სურვილს ... შეეფერება ჭეშმარიტ ერთგულ ქვეშევრდომს, რომელმაც გამოცდილებით ისწავლა, რომ ასეთი დარჩეს სამუდამოთ“** – ამგვარი

„გულწრფელი მონანიება“ გვხვდება შეთქმულთა აბსოლუტური უმრავლესობის, მათ შორის, შეთქმულების ხელმძღვანელთა, ჩვენებებში: „ვთვლი ჩემს თავს დამნაშავედა და სასტიკი სასჯელის ღირსად, მაგრამ იმედი მაქვს ყოვლად მოწყალე მონარქისა, რომ ის მიჰხედავს ადამიანს, რომელიც სულითა და გულით ინანიებს თავის დანაშაულს. არა, სიტყვები არ მყოფნის ჩემი მონანიების გამოსათქმელად“ (ე. ერისთავი – გოზალიშვილი 1935: 187); „მე ყოველთვის ვიყავი და არც შემიძლია არ ვიყო სულითა და გულით ერთგული ქვეშევრდომი დიდი ხელმწიფის **ნიკოლოზ პავლეს ძისა** – არ მიფიქრია და არც არა მიგრძენია მის წმინდანების საწინააღმდეგო“ (ს. დოდაშვილი – გოზალიშვილი 1935: 182); „ყოვლად მოწყალეს ხელმწიფე იმპერატორის წინ მომაქვს ჩემი თავი დანაშაულად... მაგრამ ვიცი, და ცოდვათა მიმტევებელია, და დავემხობი მის წინაშე, და ვიქნები მისი ფეხთა მტვერი, უკეთუ რაიცა ენების მის იმპერატორობითის დიდებულებას, იგი გადამახდევინოს მე უბედურსა, რომლისაც ვიქნები ღირსი“ (ალ. ორბელიანი – გოზალიშვილი 1935: 230-231) და სხვ. და სხვ.; ამგვარი, თავისი სულისკვეთებით არსებითად ერთგვაროვანი, მონანიებანი ნაწილი უნდა იყოს შეთქმულთა შეთანხმებული ტაქტიკისა (ახ. აქვე, გვ. 338).

2. ჩვენება 1833 წლის 2 იანვრისა. დედნის (რუსულ) ენაზე გამოაქვეყნა ფ. დანელიამ (დანელია 1993-1994: 433-435). **თარგმანი ჩვენია.**

¹ (გვ. 91) „არ იყო განმარტებული სიტყვა **სექტა**, რომელიც სხვადასხვა ადგილას რამდენჯერმე იყო ნახსენები“ – „აკტი გონიურის“ ჩვენს ხელთ არსებულ, ერთმანეთისაგან მცირედენ განსხვავებულ, ვერსიებში (გოზალიშვილი 1927; გოზალიშვილი 1935: 111-116; კიკნაძე 1996: 36-42) სიტყვა **სექტა** არ არის ნახსენები. უნდა ვიფიქროთ, დიმ. ყიფიანს მხედველობაში აქვს: ან ტექსტის სხვა, ჩვენთვის უცნობი, ვარიანტი, ან კიდევ – რომელიღაც სხვა ტექსტი, რომელიც მისთვისა და ზ. ავთან-

დილოვისთვის „აკტი გონიურთან“ ერთად მიუტანია გ. დ. ერისთავს („აკტი გონიურის“ სხვა, განსხვავებული, ვარიანტების არსებობის ალბათობაზე თავის დროზე გ. გოზალიშვილიც მიუთითებდა – გოზალიშვილი 1927: 1-2). **სექტას** ფილადელფოს კიკნაძე ახსენებს თავის ერთ-ერთ ჩვენებაში, როცა, ცდილობს რა პასუხისმგებლობისგან თავის არიდებას, „აკტი გონიურის“ დაწერის მოტივაციის შესახებ კომისიას განუმარტავს: „მომითხრობდა მე რუსეთს ყოფაში¹ **ციციანოვი ევსტათი** ესრეთ: **იყო რუსეთში დაფარული სექტი, იპოეს ქალაღდი, რომელშიაც იყო რამდენიმე პუნკტი, ბოროტნი განზრახულებანი სარწმუნოებაზე, სახელმწიფოზე და საზოგადოებაზე. ამისთვის მრავალნი სასტიკად დასაჯეს, და მრავალნი დაშინენო.** მოგონებისათვის ამის აკტისა მამსახურა მე იმან აზრმან, ვუტეო, ვინაითგან ყოფილა რაიმე ბოროტი დაფარული საზოგადოება, შევთხო მცა წინააღმდეგი და შევსთხე კეთილად, დამტკიცება სამისა ნივთისა, სიყვარულისა ღვთისა, მორჩილება ხემწიფისა, და სიყვარული ურთიერთისა“ (გოზალიშვილი 1935: 282).

² (გვ. 91) **„უარი ვუთხარით – არ გვსურდა ფიცის საზეიმოდ წარმოთქმით რაიმე სახის საიდუმლო ორგანიზაციის წევრები გავმხდარიყავით“** – სინამდვილეში დიმ. ყიფიანმა და ზ. ავთანდილოვმა ფიცი წარმოთქვეს (იხ. აქვე, გვ. 346).

³ (გვ. 91) **„გიორგი ერისთოვმა მაჩვენა წერილი, რომელიც, მისი თქმით, კიკნაძისგან მიიღო“** – ეს წერილი საგამომძიებლო კომისიას ხელთ ჰქონდა (თვითონ ტექსტები ამ და გ. დ. ერისთავის მიერ ფილადელფოს კიკნაძისთვის საიდუმლო ანბანით მიწერილი ბარათებისა იხ. გოზალიშვილი 1935: 101-104).

⁴ (გვ. 92) **„...იმ ფიცისა, სამსახურში მიღებისას რომ მქონდა დადებულ“** – მასწავლებლად მიღებამდე პირს ხელწერილს აწერიებდნენ (როგორც ჩანს, ფიცსაც ადებინებდნენ), რომ არ ყოფილა, არ არის და მომავალშიც არ იქნება მასონური თუ სხვა

* 1821-1828 წწ. ფილადელფოს კიკნაძე რუსეთში (ნიჟნი-ნოვგოროდი, მოსკოვი) იმყოფებოდა (ბერძნიშვილი 1983: 65).

ტიპის საიდუმლო ორგანიზაციის წევრი. ასეთი ხელწერილი ს. დოდაშვილისა, როცა მას თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში მასწავლებლად იღებდნენ (1827 წ.), გამოქვეყნებული აქვს გ. გოზალიშვილს (გოზალიშვილი 1935: 110).

⁵ (გვ. 92) **„გამომევილინა განზრახულება შფოთის მთესველი გუნდისა, რომლის საქმეებშიც თითქმის ჩათრეული ვიყავი“** – არგუმენტს, თითქოს „ფარულ საზოგადოებაში“ იმიტომ იყვნენ, რომ ყველაფერი უშუალოდ გაეგოთ და მერე ხელისუფლებისთვის ეცნობებინათ, არაერთი შეთქმულის ჩვენებებში ვხვდებით [ი. ფალავანდიშვილი, ზ. ჩოლოყაშვილი, ს. რაზმაძე და სხვ. (გოზალიშვილი 1935: 146, 258; გოზალიშვილი 1970: 224, 307, 310...)], თუმცა კომისია ამგვარ გატრაფარეტებულ „აღიარებებს“ სერიოზულად არ ეკიდებოდა.

⁶ (გვ. 92) **„ჩემთვის ბედნიერ დღემდე, გასული წლის 11 დეკემბრამდე, არ მომეცა საშუალება...“** – დიმ. ყიფიანი 1832 წლის 11 დეკემბერს, გამთენიისას, დააპატიმრეს (იგი ე. ერისთავთან, ალ. ორბელიანთან, ს. დოდაშვილთან, ი. ფალავანდიშვილსა და სხვა ხელმძღვანელ პირებთან ერთად დაპატიმრების პირველ ტალღაში მოჰყვა – გოზალიშვილი 1935: 11). მთავარმართებელ გრ. როზენის განკარგულებით იმავე დღეს შეიქმნა შეთქმულების საგამომძიებლო კომისია (გოზალიშვილი 1935: 130).

3. ჩვენება 1833 წლის 27 იანვრისა. დედნის (რუსულ) ენაზე გამოაქვეყნა ფ. დანელიამ (დანელია 1993-1994: 435-436). **თარგმანი ჩვენია.**

¹ (გვ. 93) **„ვიმეორებ ადრე მიცემულ ჩვენებაში...“** – აქ და ქვემოთ: იგულისხმება დიმ. ყიფიანის მიერ 1832 წლის 13 დეკემბერს მიცემული ჩვენება (იხ. აქვე, გვ. 77-90).

² (გვ. 93) **„ნაგვიკითხა „ფარისი“ ქართულ ენაზე“** – ს. რაზმაძის მიერ თარგმნილი „ფარისის“ შესახებ იხ. აქვე, გვ. 346.

³ (გვ. 93) **„შესანიშნავი სტატიები გაქვთ გამოქვეყნებული თქვენს ლიტერატურულ ჟურნალში“** – ა) *სტატიები*: იმ დროს

სტატიას უწოდებდნენ პრესაში გამოქვეყნებულ ნებისმიერ პუბლიკაციას (საკუთრივ სტატია, ლექსი, მოთხრობა და სხვ.); 2) *ლიტერატურული ყურნალი*: იგულისხმება ყურნალი „სალიტერატურონი ნაწილი ტფილისის უწყებათანი“ (იხ. აქვე, გვ. 346-347).

⁴ (გვ. 93) **„მონოღება ბიძაჩემისა, ბ-ნი სენატორისა ან თუნდაც ამ ახალგაზრდა პოეტის ოსური პოემა“** – ბ-ნი სენატორის მონოღებისა და გ. დ. ერისთავის ოსური პოემის შესახებ იხ. აქვე, გვ. 347-348.

⁵ (გვ. 93) **„ყველა სტატიას ხომ სანკოვსკი განიხილავდა“** – სანკოვსკისა და მისი უფლების შესახებ – განეხილა ყველა სტატია, იხ. აქვე, გვ. 347.

⁶ (გვ. 94) **„მის წინაშე მდგარმა თავადებმა, ბიძინამ და შალვამ ... გავათავისუფლებთ მას მტაცებლებისგან“** – ა) ბახტრონის ბრძოლის ხელმძღვანელებიდან გ. დ. ერისთავის პოემის პერსონაჟი, გარდა ბიძინა ჩოლოყაშვილისა და შალვა ქსნის ერისთავისა, ელიზბარ ქსნის ერისთავიცაა (ერისთავი 1832^ბ: 67; ერისთავი 1966: 91); ბ) პოემაში სპარსეთის შაჰისა და თავადებულ ქართველთა კითხვა-პასუხი ასეა გადმოცემული: „თქვენ ხართ იგინი, სად სიგიჟით და თავხედობით / ჰგონებდით სამნი, რომ სპარსეთსა სრულ დაამხოვდით?“ ... „მაშა თუ ვითარ გვიწოდებენ მხნეთა ივერთა, თუ ვერ განვდევნით ჩვენის სამზღვრით მამულის მტერთა“ (ერისთავი 1832^ბ: 93; ერისთავი 1966: 92).

⁷ (გვ. 95) **„ვახტანგ ორბელიანის მიერ ქართულად თარგმნილ კომედიასი „ნაცნობი უცნობები“ მე მამას ვთამაშობდი, ის კი – ჩემს ქალიშვილს“** – პ. კარატიგინის პიესა „ნაცნობი უცნობები“, მიუხედავად რეპეტიციების ჩატარებისა, სცენაზე არ დადგმოლა (იხ. აქვე, გვ. 78), მიზეზი ამისა კი უსახსრობა იყო (გოზალიშვილი 1935: 153); ბ) *ქალიშვილის* როლს დ. ჯორჯაძე იმიტომ ასრულებდა, რომ იმ დროს სცენაზე თამაში ქალისთვის საძრახისად ითვლებოდა.

4. ჩვენება 1833 წლის 7 თებერვლისა. გადმოღებულია გ. გოზალიშვილის წიგნიდან (გოზალიშვილი 1970: 249-252). კომისიის კითხვები და მათზე დიმ. ყიფიანის პასუხი დედნის (რუსულ) ენაზე გამოაქვეყნა ფ. დანელიამ (დანელია 1993-1994: 438-441). კითხვები გ. გოზალიშვილის პუბლიკაციაში გამოტოვებულია, თუმცა პუბლიკატორს ეს კითხვები სხვა ტომში მოჰყავს („თვითეულ ბრალდებულს წარედგინა ასეთი კითხვარი“ – გოზალიშვილი 1935: 342-344) და ჩვენც იქიდან გვაქვს ალებული. დიმ. ყიფიანის ჩვენება „მიღებულია კომისიაში 1833 წლის 7 თებერვალს“ (გოზალიშვილი 1970: 249), კითხვები კი კომისიის მიერ შედგენილია იმავე წლის 5 თებერვალს (დანელია 1993-1994: 436). **თარგმანი გ. გოზალიშვილისა.**

¹ (გვ. 97) „**ოცდა ორი წლისა ვარ**“ – მეტრიკის მიხედვით, დიმ. ყიფიანი 1811 წლის 14 აპრილს არის დაბადებული (დანელია 1993-1994: 424-425), თუმცა თბილისის სამრევლო სასწავლებელში მიღებისას, გარკვეულ გარემოებათა გამო, საბუთებში 1814 წლის 14 აპრილი ჩანერეს და სიცოცხლის ბოლომდე დიმ. ყიფიანს დაბადების წლად ეს უკანასკნელი თარიღი შერჩა (საკითხის შესახებ იხ. ყიფიანი 2016: 9; უფრო ვრცლად: ჯოლოგუა 2002: 30-33).

² (გვ. 97) „**მყავს დედა და სამი უფროსი ძმა ... კიდევ მზრდიდნენ**“ – დიმ. ყიფიანის მშობლების, და-ძმებისა და დედობილ-მამობილის შესახებ იხ. ყიფიანი 2020: 411-412).

³ (გვ. 100) „**ამ დავალებას მე მიპირებდნენ. ერთხელ კიდევაც გადამიკრეს სიტყვა**“ – ხსენებული დავალების შესახებ იხ. აქვე, გვ. 350.

5. ჩვენება 1833 წლის 27 თებერვლისა. პირველნაბეჭდი: გოზალიშვილი 1970: 367-368. **თარგმანი გ. გოზალიშვილისა.**

6. ჩვენება 1833 წლის 15 აპრილისა. პირველნაბეჭდი: გოზალიშვილი 1970: 558 (კომისიის შეკითხვა – იქვე, გვ. 557); დედ-

ნის (რუსულ) ენაზე გამოქვეყნებული აქვს ფ. დანელიას (დანელია 1993-1994: 441-442). **თარგმანი გ. გოზალიშვილისა.**

¹ (გვ. 103) **„გენერალ-მაიორი ბაიკოვი“** – ეს შეკითხვა კომისიამ რამდენიმე შეთქმულს დაუსვა, თუმცა სხვა შემთხვევაში შეკითხვას ხელს პოლკოვნიკი *ტრიტილევჩი* აწერს (გოზალიშვილი 1935: 557), დიმ. ყიფიანის შემთხვევაში კი – გენერალ-მაიორი *ბაიკოვი* (დანელია 1993-1994: 441).

² (გვ. 103) **„იასე ფალავანდოვთან 1832 წლის 19 ოქტომბრამდე არავითარი ნაცნობობა არა მქონია ... ამ საქმის მაშინ მე თვითონ არა ვიცოდი რა“** – დიმ. ყიფიანი აქ საგამომძიებლო კომისიის შეცდომაში შეყვანას ცდილობს: შეთქმულთა ჩვენებების მიხედვით, არა უგვიანეს 1831 წლის შუა ხანისა, დიმ. ყიფიანი აქტიურად არის ჩართული შეთქმულებაში (იხ. აქვე, გვ. 340-341).

7. ჩვენება 1833 წლის [20] აპრილისა. პირველნაბეჭდი: გოზალიშვილი 1970: 572; კითხვა, რომლითაც კომისიამ რამდენიმე შეთქმულს, მათ შორის, დიმ. ყიფიანს მიმართა, 1833 წ. 20 აპრილშია შედგენილი (გოზალიშვილი 1970: 570-571), თუმცა პასუხებიდან არ ჩანს, ჩვენებები იმავე დღეს დაინერა, თუ – მომდევნო დღეებში. **თარგმანი გ. გოზალიშვილისა.**

8. ჩვენება 1833 წლის 23 აპრილისა. პირველნაბეჭდი: გოზალიშვილი 1970: 583-484. **თარგმანი გ. გოზალიშვილისა.**

¹ (გვ. 105) **„დედა ჩემმა დამიძახა“** – იგულისხმება დიმ. ყიფიანის დედობილი *მარიამ ივანეს ას. ყიფიანი*.

9. ჩვენება 1833 წლის 25 აპრილისა. პირველნაბეჭდი: გოზალიშვილი 1970: 623 (კომისიის შეკითხვა – იქვე, გვ. 613-614). **თარგმანი გ. გოზალიშვილისა.**

¹ (გვ. 105) „პირველი ღამის განკარგულება“ – იგულისხმება აჯანყების პირველი ღამის გეგმა, რომელიც 1832 წ. 11 დეკემბერს თავის დასმენის ტექსტში კომისიას ი. ფალავანდიშვილმა ჩამოუწერა (გოზალიშვილი 1935: 137-138; ჯოლოგუა 2013: 230-232).

10. ჩვენება 1833 წლის 9 მაისისა. პირველნაბეჭდი: გოზალიშვილი 1976^ა: 46-49. **თარგმანი გ. გოზალიშვილისა.**

¹ (გვ. 110) „ბაიკოვი I“ – გარდა 1832 წლის შეთქმულების საგამომძიებლო კომისიის პირველი თავმჯდომარის – ივანე ბაიკოვისა, 1820-იან წწ. კავკასიაში მსახურობდა ამ გვარის კიდევ ერთი გენერალი – სერგეი ბაიკოვი.

11. ჩვენება 1833 წლის 16 მაისისა. პირველნაბეჭდი: გოზალიშვილი 1976^ა: 73-74. **თარგმანი გ. გოზალიშვილისა.**

12. ჩვენება 1833 წლის 23 მაისისა. პირველნაბეჭდი: გოზალიშვილი 1976^ა: 86. დედნის (რუსულ) ენაზე გამოქვეყნებულია ფ. დანელიას მიერ (დანელია 1993-1994: 442). **თარგმანი გ. გოზალიშვილისა.**

¹ (გვ. 111) „გასული წლის ოქტომბერში იყავით ჩაიზე“ – დედანში მითითებულია, თუ სად გაიმართა ეს შეხვედრა: **იასე ფალავანდოვთან** (У Евсея Палавандова – დანელია 1993-1994: 442).

13. ჩვენება 1833 წლის 19 ივნისისა. პირველნაბეჭდი: გოზალიშვილი 1976^ა: 160. **თარგმანი გ. გოზალიშვილისა.**

14. ჩვენება 1833 წლის 4 ივლისისა. პირველნაბეჭდი: გოზალიშვილი 1935: 484; გოზალიშვილი 1976^ა: 289 (ტექსტი არა-არსებითი ხასიათის ენობრივ-სტილისტური განსხვავებებით გ. გოზალიშვილის მიერ ორჯერ არის სხვადასხვა ტომში გამო-

ქვეყნებული. გადმოგვაქვს ბოლო, 1976 წლის, პუბლიკაცია).
თარგმანი გ. გოზალიშვილისა.

15. ჩვენება 1833 წლის ივლისისა (I). პირველნაბეჭდი: გოზალიშვილი 1976^ა: 308. ტექსტს თარიღი არ უზის, თუმცა შეთქმულთა ჩვენებების ქრონოლოგიით იგი 1833 წ. ივლისში (კერძოდ, 12-17 ივლისს შორის) უნდა იყოს დაწერილი (გოზალიშვილი 1976^ა: 302-310). **თარგმანი გ. გოზალიშვილისა.**

¹ (გვ. 113) **„ვითომც მე ვანარმოებდი მიმონერას თავად დიმიტრი ერისთოვთან“** – დიმი. ყიფიანის ეს ჩვენება პასუხია დიმი. ერისთავის ჩვენებისა: „მიმონერა მასწავლებელ ყიფიანოვთან, როგორც მახსოვს, დავეიწყე ივნისის თვის დამდეგს ამნაირად: რადგანაც ბატონი ყიფიანოვი საჭიროების გამო ჩემი ოთახისკენ გამოვივლიდა ხოლმე, ერთხელ დავუყვირე, რომ ნახოს საპირფარეოში ფანჯრის დაბლა კუთხეში, სადაც დავდე ბარათი, რომლითაც ვაცნობებდი, რომ მომავალში, როდესაც კედელზე (–) ნიშანს ნახავდა, მოეძებნა დასახელებულ კუთხეში ბარათი და როდესაც მას აიღებდა (+) ნიშანი გაეკეთებინა კედელზე. აქედან მე დავასკვნიდი, რომ ბარათი მან მიიღო. ამგვარად მე მივწერე მას რამდენადაც მახსოვს, და მისგანაც ხუთჯერ მივიღე, რომლებიც დავხიე“ [გოზალიშვილი 1976^ა: 306; იქვეა (გვ. 307-308) ამ მიმონერის შინაარსი].

16. ჩვენება 1833 წლის ივლისისა (II). პირველნაბეჭდი: გოზალიშვილი 1976^ა: 320. ტექსტი უთარიღოა, თუმცა, ისევე, როგორც წინა ჩვენება, იგი 12-17 ივლისს შორის უნდა იყოს დაწერილი. **თარგმანი გ. გოზალიშვილისა.**

17. ჩვენება 1833 წლის 17 ივლისისა. პირველნაბეჭდი: გოზალიშვილი 1976^ა: 323-325. **თარგმანი გ. გოზალიშვილისა.**

18. ჩვენება 1833 წლის 21 ივლისისა. პირველნაბეჭდი: გოზალიშვილი 1976^ა: 332. დედნის (რუსულ) ენაზე გამოქვეყნე-

ბულია ფ. დანელიას მიერ (დანელია 1993-1994: 442). გ. გოზალიშვილის პუბლიკაციაში თარიღი გამორჩენილია, ფ. დანელიას პუბლიკაციაში კი იგი მითითებულია – *1833 წ. 21 ივლისი. თარგმანი გ. გოზალიშვილისა.*

19. ჩვენება 1833 წლის 26 ივლისისა. დედნის (რუსულ) ენაზე გამოაქვეყნა ფ. დანელიამ (დანელია 1993-1994: 443). **თარგმანი ჩვენია.**

20. ჩვენება 1833 წლის 28 ივლისისა. პირველნაბეჭდი: გოზალიშვილი 1976⁶: 341-342. **თარგმანი გ. გოზალიშვილისა.**

¹ (გვ. 119) „...ყველანი ერთიმეორეს ასწრებდნენ და ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტად ესიამოვნებინათ ჩემთვის“ – სინამდვილეში, როგორც ზემოთ გვაქვს ნათქვამი (გვ. 355), ოსმალეთში (ახალციხეში) ი. ფალავანდიშვილი დააპატიმრეს და შემთხვევით გადაურჩა სიკვდილს.

21. ჩვენება 1833 წლის 2 აგვისტოსი (I). დედნის (რუსულ) ენაზე გამოაქვეყნა ფ. დანელიამ (დანელია 1993-1994: 444-445). **თარგმანი ჩვენია.**

22. ჩვენება 1833 წლის 2 აგვისტოსი (II). პირველნაბეჭდი: გოზალიშვილი 1976⁶: 357. **თარგმანი გ. გოზალიშვილისა.**

ეს არის დიმ. ყიფიანის პასუხი ი. ფალავანდიშვილის ჩვენებაზე:

„1-ლი. მე გავიგონე აბხაზოვისაგან, რომ ალექსანდრე ორბელიანოვი, როდესაც გიორგი და ბიძინა ერისთოვებს საჭმელს უგზავნიდა, მასში სდებდა ბარათებს. მან, ორბელიანოვმა, სახლშიც გაგზავნა ბარათი, როგორც მითხრა აბხაზოვმა.

2-ე. ამ სამი თუ ოთხი თვის წინათ, ერთხელ, სეირნობის დროს, საპირფარეოსო სარკმლის თავზე, კედელზე შევნიშნე შავი ნახშირით დაწერილი სტრიქონი, სადაც მე მაგინებდნენ და კედელზე ეწერა, რომ მე გავეცი.

3-ე. ეზოში ვიპოვე ჭუჭყიანი ქალაღდი, რომელშიაც აგრეთვე ჩემი გინება ეწერა, მაგრამ მე იგი დავხიე.

4-ე. ყიფიანოვმა თვითონ მითხრა, რომ სხვისი ჩაგონებით დასწერა ბარათი, მას თვითონ არ უნდოდა ჩემზე არა თუ დაეწერა, არამედ რისამე ჩვენებაც კი.

ამის მეტი სხვა ცნობა არა მაქვს რა მიმონერის შესახებ“ (გოზალიშვილი 1976: 357).

23. ჩვენება 1833 წლის 4 აგვისტოსი. პირველნაბეჭდი: გოზალიშვილი 1976: 368. დედნის (რუსულ) ენაზე გამოქვეყნებულია ფ. დანელიას მიერ (დანელია 1993-1994: 445-446). **თარგმანი გ. გოზალიშვილისა.**

¹ (გვ. 121) „...**მამაჩემისაგან პრაპორშჩიკ ფიოდოროვისაგან**“ – *ფიოდოროვი*: დიმ. ყიფიანის მამობილი **ნიკიფორე ფიოდოროვი**, პრაპორშჩიკი (უზნის ზედამხედველად მსახურობდა თბილისში 1830-იან წწ.), მეუღლე დიმ. ყიფიანის ნათესავის, მარიამ ყიფიანისა. ნიკოლოზ ყიფიანის ცნობით, დიმიტრიმ „ფედოროვის ქვრივი დედად აიჩინა და ეკლესიაში დაიფიცეს სახარებაზედ და ცხოველ-მყოფელ ჯვარზედ დედა-შვილობა, როგორც იყო ჩვენში უწინ ჩვეულება. დადგა ფედოროვის სახლში“ (ყიფიანი 1894: 73; საშვილიშვილი მოკავშირე... 2007: 8; ნიკ. ყიფიანი მარიამ ყიფიანს შეცდომით ჩაგნაძის გვარით მოიხსენიებს). თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის მონაფეთა 1830 წ. თებერვლის სიაში, მშობლების გრაფაში, მითითებულია, რომ ამ დროს აზნაური ნ. ფიოდოროვი გარდაცვლილია (დანელია 1993-1994: 420), რაც შეცდომაა [ამ სიაში შეყვანილი არიან მამით ობოლი მონაფეები, რომლებიც ხაზინისგან დახმარებას იღებდნენ. სიის შემდგენელს, როგორც ჩანს, დიმიტრის ნამდვილი მამა ივანე (ქოჩო) ყიფიანი (1814 წელს გარდაცვლილი – ყიფიანი 2020: 412) და მამობილი ნ. ფიოდოროვი ერთმანეთში აერია]. 1835 წ. 15 სექტემბერს დიმ. ყიფიანის დედა ბარბარე ფურცელაძე ვოლოგდაში გადასახლებულ შვილს სწერს: „მამამ

(იგულისხმება ნ. ფიოდოროვი – თ. ჯ.) თითქმის სული მაიბრუნა და არლანოსაც ხშირად უკრავს“ (ჯორჯაძე 1989: 108), 1836 წ. 15 სექტემბერს კი ვოლოგდის გუბერნატორი, გენერალი დიმ. ბოლოგოვსკი რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრს სწერს: ყიფიანი უსათუოდ საქართველოში უნდა იქნეს გადაყვანილი, რადგან მან წარმოადგინა „მშობლების წერილი, რომელშიც ისინი ევედრებიან სამშობლოში დაბრუნებას, როგორც ერთადერთ ნუგეშსა და დასაყრდენს სიბერეში“ (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., №125, ფ. 1).

24. ჩვენება 1833 წლის 9 აგვისტოსი. პირველნაბეჭდი: გოზალიშვილი 1976: 380. დედნის (რუსულ) ენაზე გამოქვეყნებულია ფ. დანელიას მიერ (დანელია 1993-1994: 446). თარიღი მითითებულია ფ. დანელიას პუბლიკაციაში. **თარგმანი გ. გოზალიშვილისა.**

25. ჩვენება 1833 წლის 1 სექტემბრისა. დედნის (რუსულ) ენაზე გამოქვეყნებულია ფ. დანელიას მიერ (დანელია 1993-1994: 446). **თარგმანი ჩვენია.**

26. ჩვენება 1833 წლის 4 სექტემბრისა. დედნის (რუსულ) ენაზე გამოქვეყნებულია ფ. დანელიას მიერ (დანელია 1993-1994: 447). **თარგმანი ჩვენია.**

სოლომონ ბაგრატიონ-დავიდოვის საქმე (გვ. 124-125)

ხელნაწერი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. დიმ. ყიფიანის არქივი. საქმე №360. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 2.

ტექსტი უსათაუროა, უთარიღოა, ხელმოუწერელია. **დასათაურება ჩვენია.**

შ. გოზალიშვილს ტექსტის **საგარაუდო** თარიღად 1860-იანი წლები აქვს მითითებული (გოზალიშვილი 1951: 96), რაც, ვფიქრობთ, დაზუსტებას საჭიროებს. საქმე ის არის, რომ ტექსტში ნახსენები **საქართველოს თავადაზნაურულ გვარეულობათა დამდგენი კომისია** შეიქმნა 1844 წელს (ყიფიანი 2020: 173) და ეს პროცესი დასრულდა 1850 წელს [„...დასრულდა იგი 1850 წელს და დასრულდა ისე, როგორც ადგილობრივი თავადაზნაურობის ინტერესთა პატივისცემასა და ხელისუფლების ღირსებას ეკადრებოდა. ასე დაგვირგვინდა ეს საქმე საქართველოში: ქართლსა და კახეთში, იმერეთსა და გურიაში“ (ყიფიანი 2016: 135); აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თვითონ დიმ. ყიფიანს აზნაურის წოდება ოფიციალურად და საბოლოოდ 1850 წლის 6 დეკემბერს დაუმტკიცდა (უთურაშვილი 1989: 10; დოკუმენტური მასალა საკითხის ისტორიისთვის იხ. დანელია 1993-1994: 419, 463-469)]. ასე რომ, ჩვენი აზრით, წინამდებარე ტექსტი **დანერილი უნდა იყოს 1844-1850 წლებს შორის**, როცა სპეციალური კომისია თბილისში ქართლ-კახეთის თავადთა და აზნაურთა წოდებრივი ღირსების მინიჭებასთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავდა.

სოლომონ ბაგრატიონ-დავითაშვილის (ბაგრატიონ-დავიდოვის) ვინაობის შესახებ ჩვენ სარწმუნო ცნობები ვერ მოვიპოვეთ, თუმცა არც იმ ვერსიის გამორიცხვა შეიძლება, რომ ეს ის **სოლომონ შანშეს ძე ბაგრატიონ-დავითაშვილია**, რომელიც 1803 წ. თეიმურაზ ბატონიშვილთან ერთად სპარსეთში გაიქცა და რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიურად იყო ჩართული (იხ. ბერძნიშვილი 1980: 173).

**როგორ უნდა ისწავლებოდეს
თბილისის გიმნაზიაში ქართული ენა (ც ხ რ ი ლ ი)**
(გვ. 126-127)

ხელნაწერი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. დიმ. ყიფიანის არქივი. საქმე №252. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. ფ. 2.

ნაბეჭდი: თ. ჯოლოგუა. დიმიტრი ყიფიანი (1830-1860 წლები). თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2002, გვ. 192-194.

სათაური: ქართული ენა.

ტექსტი უთარილოა, ხელმოუნერელია. **დასათაურება ჩვენია.** საქმეში დევს ცხრილის ორი ვარიანტი: შავი და გადათეთრებული. ვაქვეყნებთ გადათეთრებულს. ცხრილი დართული აქვს დიმ. ყიფიანის 1854 წლის 14 მარტის მიმართვას (ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე) კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის, ბარონ ალექსანდრე ნიკოლაისადმი. ამ მონაცემზე დაყრდნობით ტექსტს **1854 წლის 14 მარტით ვათარიღებთ.** ალ. ნიკოლაისადმი დიმ. ყიფიანის მიმართვაში კი ნათქვამია:

„შევასრულე თქვენი დავალება და დაწვრილებით შევისწავლე თბილისის გიმნაზიისთვის განკუთვნილი და კლასების მიხედვით განაწილებული ქართული ენის გაკვეთილების ცხრილი, რომელიც ჩემს სახელზე გუშინდელი თარიღითაა გამოგზავნილი. გავითვალისწინე რა ამ საგნის სწავლებისათვის საჭირო სახელმძღვანელოების ნაკლებობა, სასარგებლოდ მივიჩნიე, ცხრილში შემეტანა ზოგიერთი ცვლილება და ეს ცვლილებები ცალკე თანდართულ ფურცელზეა ასახული“ (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №252, ფ. 1).

1850-იან წლებში დიმ. ყიფიანი კავკასიის სასწავლო ოლქთან არსებული „სახელმძღვანელოების შემდგენელი კომიტეტის“ წევრი და ქართული ენის განყოფილების თავმჯდომარე იყო (განყოფილების ფუნქციის შესახებ იხ. ყიფიანი 2019: 462). იმავდროულად (1852-1864 წწ.) ქართველი თავადაზნაურობის მიერ იგი ზედიზედ ოთხჯერ იყო არჩეული თბილისის გიმნაზიის საპატიო მზრუნველად (ყიფიანი 2020: 234-235; უფრო ვრცლად საკითხის შესახებ იხ. ჯოლოგუა 2002: 201-203). თბილისის გიმნაზიისთვის ქართული ენის გაკვეთილების ცხრილის შედგენა

დომ. ყიფიანის ზემოხსენებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში მოხდებოდა [თბილისის გიმნაზიებში (ზოგადად სასწავლო დაწესებულებებში) ქართული ენისა და სიტყვიერების სწავლებასთან დაკავშირებით დომ. ყიფიანის შეხედულებები იხ. ყიფიანი 2019: 187-191, 200-242].

რაც შეეხება საკუთრივ ცხრილს, ჩვენ განსაკუთრებით საყურადღებო გვგონია მასში შეტანა საგნებისა: „ძირითადი გრამატიკული განსხვავებანი ძველ მნიგნობრულ ენასა და თანამედროვე ხალხურს შორის“ და „სავარჯიშოები ძველი ენიდან თანამედროვე ენაზე გადმოსაღებად“, რაც, ვფიქრობთ, ქართული ენის დემოკრატიზაციის მეშვეობით ახალი ქართული სალიტერატურო ენის ფორმირების კონტექსტში უნდა იქნეს განხილული [ამგვარი ტენდენცია მკაფიოდ ჩანს თვითონ დომ. ყიფიანის 1840-1850-იანი წწ. ნაწერებში: საისტორიო თხზულებებში (ყიფიანი 2017: 204-205, 209), რეცენზიებსა (ყიფიანი 2019: 198, 207, 222) თუ თარგმანებში (შექსპირი, ჟანლისი, ფეიე...)]. საკითხის შესახებ უფრო ვრცლად იხ. ჯოლოგუა 2002: 131-133].

¹ (გვ. 126) **„ზეპირი სავარჯიშოები „ყრმათა მეგობრის“ კითხვისას“** – „ყრმათა მეგობარი“ („Друг детей“), რუსი პედაგოგის, პავლე მაქსიმოვიჩის, მიერ შედგენილი და პირველდანიეებითი სწავლებისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელო, რომელიც ქართულ ენაზე ივანე კერესელიძემ გადმოაკეთა [ქართულ ენაზე პირველად გამოიცა 1852 წელს (კერესელიძე 1852)]. დომ. ყიფიანის რეცენზიის შემდეგ (ყიფიანი 2019: 198-199), „ყრმათა მეგობარი“, საფუძვლიანად გადამუშავებული და სათაურშეცვლილი, რამდენჯერმე ხელახლა დაიბეჭდა (კერესელიძე 1853 და შმდ.).

² (გვ. 126) **„გრამატიკიდან – მოკლე ეტიმოლოგია“** – ეტიმოლოგიას აქ და სხვაგან (მაგალითად, თავის „ახალ ქართულ გრამატიკაში“) დომ. ყიფიანი **მორფოლოგიის** („მართლ-სიტყვაობის“, „სწორე-სიტყვაობის“, „ლექსთ[სიტყვათა]-წარმოების“) მნიშვნელობით ხმარობს (ყიფიანი 2019: 268).

³(გვ. 127) „ზედნარწერილობათა კითხვა“ – ზედნარწერილობა (დედანი: Надпись) აქ ეპიგრაფიკას უნდა ნიშნავდეს: „Надпись, ზედ ნარწერილობა [საფლავის ქვათა, მედალთა და მისთანათა...“ (ჩუბინაშვილი 1971: 563)].

მთავრის მეუღლე ე. ა. დადიანის შესახებ

(გვ. 128-130)

ხელნაწერი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. დიმ. ყიფიანის არქივი. საქმე №441. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 2.

სათაური: О княгине Е. А. Дадияни.

ტექსტი დართული აქვს დიმ. ყიფიანის მოკლე მიმართვას რუსეთის იმპერიის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარისა (1864-1872) და კავკასიის საქმეთა კომიტეტის (1865-1872) ხელმძღვანელის, პავლე პავლეს ძე გაგარინისადმი (დიმ. ყიფიანი ადრესატს უგზავნის „ორ შენიშვნას“ ეკატერინე და ნიკოლოზ დადიანების შესახებ). მიმართვა ავტორის მიერვე დათარიღებულია 1866 წლის 28 დეკემბრით. ამ მონაცემზე დაყრდნობით, წინამდებარე ტექსტს **1866 წლის 28 დეკემბრით ვათარიღებთ**. ტექსტი ხელმოუწერელია [ავტოგრაფული ხელმოწერა (Д. Кипиани) ახლავს პ. გაგარინისადმი მიმართვას].

1867 წლის 4 იანვარს სამეგრელოს მთავრის მემკვიდრე ნიკოლოზ დადიანი სრულწლოვანი ხდებოდა. გადანყვეტილი იყო, იმავე დღეს მას იმპერატორ ალექსანდრე მეორისთვის მიემართა მოხსენებით სამთავრო ტახტზე ნებაყოფლობით ხელის აღებისა და სამეგრელოს სამთავროს რუსეთის უშუალო და პირდაპირ გამგებლობაში გადაცემის შესახებ (ტექსტი მოხსენებისა იხ. ყიფიანი 2017: 262-263). დიმ. ყიფიანი, როგორც მთავრის მემკვიდრის ადგილ-მამულისა და ქონების მეურვე, ამ საქმისთვის სპეციალურად იყო დაბარებული პეტერბურგში, სადაც იგი 1866 წლის ბოლოსა და 1867-ის დასაწყისში იმყოფ

ფებოდა (ყიფიანი 2020: 14-15). მაშასადამე, წინამდებარე ტექსტიც **პეტერბურგში იქნება დაწერილი.**

სამთავროს გაუქმების შემდეგ, სხვა საკითხთა შორის, ნიკოლოზ დადიანის, როგორც მთავრის ყოფილი მემკვიდრისა და ეკატერინე დადიანის, როგორც ყოფილი დედოფლის, სტატუსებიც უნდა გარკვეულიყო. პ. გაგარინისადმი გაგზავნილი დიპ. ყიფიანის ესა და მომდევნო („თავად ნიკოლოზ დადიანის შესახებ“) ტექსტები ამ საკითხთანაა დაკავშირებული. სამთავროს გაუქმების შემდეგ ეკატერინე დადიანს შეუწარმოებოდა ტიტული *უგანათლებულესობისა* (Светлости), აგრეთვე, „მეორე ძითა (ანდრია დადიანი – თ. ჯ.) და ასულითურთ (სალომე დადიან-მიურატი – თ. ჯ.)“ ებოძა „პენსია მათ სიცოცხლეში“ (დროება 1867³).

¹ (გვ. 128) **„სამეგრელოში არეულობა მოხდა ... მთავრის მეუღლე განვეულ იქნა ვაჟიშვილის სრულწლოვანებამდე“** – ა) *არეულობა*: იგულისხმება სამეგრელოს გლეხთა აჯანყება უტუ მიქავას საერთო ხელმძღვანელობით; ბ) *განვეულ იქნა*: სამეგრელოს მთავრის მცირეწლოვანი მემკვიდრის სათანადოდ აღზრდის საბაბით ეკატერინე დადიანი შვილებითურთ პეტერბურგში „გაინვიეს“ 1857 წელს (გაემგზავრა იმავე წლის 25 ოქტომბერს; საკითხის შესახებ იხ. ყიფიანი 2020: 355, 360-361).

² (გვ. 128) **„მმართველად იგი დაინიშნა 1853 წლის სექტემბერში“** – სამეგრელოს მმართველად ეკატერინე დადიანის „დანიშვნის“ აუცილებლობა წარმოშვა, ერთი მხრივ, მთავარ დავით დადიანის გარდაცვალებამ (1853 წ. 30 აგვისტო), ხოლო, მეორე მხრივ, ტახტის მემკვიდრის, ნიკოლოზ დადიანის (დაბ. 1847 წ. 4 იანვარი) არასრულწლოვანებამ (საკითხის შესახებ იხ.: ბოროზდინი 1934: 7-11; ყიფიანი 2020: 358-359).

³ (გვ. 128) **„ჯარების მეთაურს, რომელიც სამეგრელოს, გურიისა და აფხაზეთის ფარგლებში მოქმედებდა“** – *ჯარების მეთაური*: იგულისხმება გენერალ-ლეიტენანტი *ივანე მუხრანბატონი*.

⁴ (გვ. 128) **„...კორპუსის მთავარსარდალს უგზავნიდა“** – იგულისხმება კავკასიის მეფისნაცვალის და კავკასიის ცალკე კორპუსის მთავარსარდალის (1854-1856) *ნიკოლოზ მურავიოვი*. ტე-

ქსტში ნახსენები ომერ-ფაშას „*მიმზიდველი წინადადებები*“ და მათზე ეკატერინე დადიანის პასუხი იხ. ბოროზდინი 1934: 25-33.

⁵ (გვ. 129) **„დასწრებოდა ხელმწიფე იმპერატორის წმინდა კორონაციას“** – იგულისხმება ალექსანდრე II-ის კორონაცია მოსკოვში 1856 წლის 26 აგვისტოს (ძვ. სტ.). კორონაციაზე მიწვეული ეკატერინე დადიანი მაშინ რუსეთში (მოსკოვი, პეტერბურგი) 1857 წლის გაზაფხულამდე დარჩა (ბოროზდინი 1934: 68-71).

⁶ (გვ. 129) **„საეკლესიო ქონების სეკულარიზაცია...“** – ეკატერინე დადიანმა, როგორც სამეგრელოს მმართველმა (რეგენტმა), გააგრძელა დავით დადიანის მიერ დაწყებული საქმე და საეკლესიო მამულების („საჭყონდიდლოს“) მართვაზე კონტროლი დაამყარა. საეკლესიო ქონების სეკულარიზაციაში ავტორი ამ გარემოებას გულისხმობს. უნდა ითქვას, რომ ეკატერინე დადიანმა სცადა, ბოლომდე მიეყვანა დავით დადიანის მიერ წამოწყებული სხვა საქმეც – სუჯუნის წმ. გიორგის სასწაულმოქმედი ხატის მარტივლში გადმოტანა, თუმცა მისი ეს მცდელობა კრახით (ლოკალური მასშტაბის ამბოხებით) დასრულდა (ბოროზდინი 1934: 80-81).

⁷ (გვ. 130) **„სამეგრელოს კიდევ ერთ მმართველს, მთავრის მეუღლე ნინოს...“** – იგულისხმება *ნინო გიორგი XII-ის ას. ბაგრატიონი*, მეუღლე ოდიშის მთავრის (1788-1804), გრიგოლ კაციას ძე დადიანისა [გრიგოლ დადიანი 1804 წელს გარდაიცვალა და, ვინაიდან მისი მემკვიდრე ლევან დადიანი არასრულწლოვანი იყო, ოდიშის სამთავროს 1804-1811 წწ. რეგენტის სტატუსით დედოფალი ნინო მართავდა].

თავად ნიკოლოზ დადიანის შესახებ

(გვ. 131)

ხელნაწერი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. დიშ. ყიფიანის არქივი. საქმე №441. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1.

სათაური: О князе Николае Дадиани.

დიმ. ყიფიანის მოცემული ტექსტის ადრესატის (პ. პ. გაგარინი), მოტივაციის, აგრეთვე, დანერის თარიღისა (1866 წ. 28 დეკემბერი) და ადგილის (პეტერბურგი) შესახებ იხ. წინა ტექსტზე („მთავრის მეუღლე ე. ა. დადიანის შესახებ“) დართული შენიშვნა (გვ. 371-372).

სამეგრელოს სამთავრო ტახტზე ნებაყოფლობით უარის თქმის სანაცვლოდ ნიკოლოზ დადიანს შეუნარჩუნდა წოდება უგანათლებულებობისა (Светлейший князь), მიენიჭა თავად მინგრელსკის (Мингрельский) ტიტული, ებოძა მილიონი მანეთი და მაიორატის წესითა და კერძო საკუთრების უფლებით დაუმტკიცდა ის მამულები, რომლებსაც მანამდე ფლობდა („ზღვის კიდეებისა და რუსის მმართველობისაგან გაკეთებულს პორტებს გარდა“ – დროება 1867³).

¹ (გვ. 131) „სამსახურებრივი მდგომარეობა ხელმწიფე იმპერატორის კარზე“ – ნიკოლოზ დადიანი ამ დროს იყო ალექსანდრე II-ის ფლიგელ-ადიუტანტი და იმპერატორის პირად „კონვოიში“ იყო ჩარიცხული.

² (გვ. 131) „...მის ძმასაც მიენიჭოს შთამომავლობით“ – „მის ძმასაც“: იგულისხმება ანდრია დადიანი, რომელსაც სამეგრელოს სამთავროს გაუქმების შემდეგ მიენიჭა უგანათლებულებს თავად მინგრელსკის (Светлейший князь Дадиан-Мингрельский) ტიტული და დაენიშნა სამუდამო პენსია (დროება 1867³).

³ (გვ. 131) „...სამეგრელოს მმართველის, ნინოს, შესახებ“ – სამეგრელოს მმართველ ნინო გიორგი XII-ის ას. დადიანზე დიმ. ყიფიანი პ. პ. გაგარინს ცნობებს წინა ტექსტში („მთავრის მეუღლე ე. ა. დადიანის შესახებ“) ანვდის (იხ. აქვე, გვ. 130).

შენიშვნები გაზეთ „დროების“ ენის შესახებ

(გვ. 132-134)

ხელნაწერი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. დიმ. ყიფიანის არქივი. საქმე №108. ავტოგრაფი. შავი. ქართულ ენაზე. ფ. 2.

ხელნაწერი **უთარილოა, ხელმოუნერელი. №26**, რომელსაც ავტორი ტექსტის დასაწყისში ახსენებს, არის გაზეთ „დროების“ 1867 წლის 30 ივნისის/12 ივლისის (26-ე) ნომერი. უნდა ვიფიქროთ, დიმ. ყიფიანი ენობრივი განხილვისთვის გაზეთის ახალ ნომერს აიღებდა და არა – ძველს და, ამდენად, არსებობს საფუძველი, ტექსტი **1867 წლის ივლისით დათარიღდეს. დასათაურება ჩვენია.**

ენობრივი ფორმები, რომლებიც დიმ. ყიფიანის შენიშვნებისა თუ კრიტიკის საგანი გამხდარა, მას აღებული აქვს პოლიტიკური ხასიათის ახალი ამბების ბლოკიდან (გვ. 3), ძირითადად – წერილიდან „ფრანცია. პოლშელ ემიგრანტების ადრესი იმპერატორის ნაპოლეონისადმი“ (დროება 1867^ბ).

ცნობილია „დროების“ ენის მიმართ უფრო გვიანდელი კრიტიკული შენიშვნები, რომლებიც გაზეთის არშიებზე მინერული აქვს გრიგოლ ორბელიანს (ბოცვაძე 1976: 139-140).

აზნაურ ნიკიტა სერებრიაკოვის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (გვ. 135)

ხელნაწერი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. დიმ. ყიფიანის არქივი. საქმე №282. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1.

სათაური: Мнение губернского предводителя дворянства Д. Кипиани [გუბერნიის წინამძღოლ დ. ყიფიანის აზრი].

თარიღი: 2 მაისი 1870.

ხელმოწერა: Д. Кипиани.

ბრჭყალებში ჩასმული ფრაზები, უნდა ვიფიქროთ, ციტატებია სამედიცინო დასკვნიდან. **დასათაურება ჩვენია.**

სერებრიაკოვები (იგივე ოქრომჭედლიშვილები – გვარის შეცვლის მიზეზი იხ. გოზალიშვილი 1976^ბ: 13) სიღნაღიდან იყვნენ. ამ გვარმა (ლაზარე სერებრიაკოვის ოჯახმა) ქართულ

კულტურას მისცა ორი შესანიშნავი მოღვაწე: ივანე (1833-1868) და ილია (1838-1898) სერებრიაკოვები (ოქრომჭედლიშვილები). რა ნათესაური კავშირი ჰქონდა მათთან ნიკიტა სერებრიაკოვს, ჩვენ ეს ვერ გამოვარკვეთ. ის კი უნდა აღინიშნოს, რომ ლაზარე სერებრიაკოვი და, შესაბამისად, მისი შვილებიც წარმომავლობით სიღნაღის მაზრის **სახაზინო გლეხები** იყვნენ (თოდუა 1963: 15; გოზალიშვილი 1976^ბ: 16; ივ. სერებრიაკოვის „მოკლე ბიოგრაფიაში“ ნათქვამია, რომ ლაზარე „სიღნაღის მოქალაქე“ იყო – დროება 1869), ნიკიტა სერებრიაკოვი კი წინამდებარე ტექსტში **აზნაურადაა** (дворянин) მოხსენიებული.

ნ ე ს დ ე ბ უ ლ ე ბ ა
ტფილისის საზოგადოებისა, რომელმაც წიგნის ცოდნა
უნდა გაახშიროს ქართველებ შუა, სადაც მოსახლობენ
კავკასიის სანამესტნიკოში
(გვ. 136-149)

ხელნაწერი: საქართველოს ეროვნული არქივი. ფონდი 481, აღწერილობა 1. საქმე 1. ფურცელი 9-14.

ნაბეჭდი:

Устав Тифлисского общества распространения грамотности среди грузинского населения наместничества Кавказского. წესდებულება ტფილისის საზოგადოებისა, რომელმაც წიგნის ცოდნა უნდა გაახშიროს ქართველებ შუა, სადაც მოსახლობენ კავკასიის სანამესტნიკოში. Тифлис: Типография С. Г. Меликова. 1879, 41 გვ. [პარალელური ტექსტები რუსულ და ქართულ ენებზე]. დართული აქვს 126 დამფუძნებელი წევრის სია.

წესდებულება თფილისის საზოგადოებისა, რომელმაც წიგნის ცოდნა უნდა გაახშიროს ქართველებ შუა, სადაც მოსახლობენ კავკასიის სანამესტნიკოში. „დროება“, 17 მაისი, 1879, №101; 18 მაისი, 1879, №102; 20 მაისი, 1879, №104; 25 მაისი, 1879, №107; 27 მაისი, 1879 №109 (ქართულ ენაზე).

ფ. დანელია. „მსგავსი კაცები ერთობ იშვიათად იბადებიან“. დიმიტრი ყიფიანი საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის მასალების მიხედვით. „საისტორიო მოამბე“. [ტ.] 65-66. 1993-1994, გვ. 411-415 (რუსულ ენაზე).

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. თანამედროვეთა მოგონებები. შემდგენელი ლ. ნანიტაშვილი. წინასიტყვაობა, რედაქცია, ბიბლიოგრაფია და შენიშვნები, სახელთა საძიებელი ს. ხუციშვილისა. თბილისი: რჩეული. 2004, გვ. 131-147 (ქართულ ენაზე).

სათაური: „პროექტი – წეს-დებულება ტფილისის საზოგადოებისა, რომელმაც წერა-კითხვა უნდა გაავრცელოს ქართველებს შორის კავკასიის სანამესტნიკოში“, შედგენილი დ. ყიფიანის, ბ. ლოლობერიძისა და ი. ჭავჭავაძის მიერ.

თარიღი: 1879 წ. 25 მარტი.

ხელმოწერა: დიმიტრი ყიფიანი.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წესდების შედგენაში სხვადასხვა დროს არაერთი პირი მონაწილეობდა. 1877 წელს ტექსტზე მუშაობა დაუწყიათ დიმ. ყიფიანს, ი. გოგებაშვილს, ვ. თულაშვილსა და ნ. ცხვედაძეს (თულაშვილი 1895: 48-50; გოგებაშვილი 1990: 254-255; საშვილიშვილო მოკავშირე... 2007: 49-51, 96-97). მოგვიანებით ამ საქმეში ჩაერთვნენ ბ. ლოლობერიძე და ი. ჭავჭავაძე – დასამტკიცებლად წარსადგენ პროექტში დიმ. ყიფიანთან ერთად სწორედ ეს უკანასკნელნი არიან შემდგენლებად დასახელებულნი (დანელია 1993-1994: 411). ასე რომ, **„ქმნ-კვ საზოგადოების“ წესდების ბოლო, ხელისუფლების მიერ დამტკიცებული, ვარიანტის შემდგენლებად დიმ. ყიფიანი, ი. ჭავჭავაძე და ბ. ლოლობერიძე უნდა მივიჩნიოთ** [აქვე კიდევ ერთხელ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს წვლილი ი. გოგებაშვილისა, ვ. თულაშვილისა და ნ. ცხვედაძისა, რომლებსაც „საზოგადოების“ შექმნის იდეის წარმოშობიდან მის ოფიციალურ დაარსებამდე (წესდების შემუ-

შავების ჩათვლით) და შემდეგაც, „საზოგადოების“ პრაქტიკულ საქმეებში, საგანგებო მნიშვნელობის დამსახურება მიუძღვით]. თითოეული მათგანი წესდების **თანაავტორად** უნდა ჩაითვალოს. რაც შეეხება თვითონ საგანმანათლებლო საზოგადოების შექმნის იდეას, იგი თავდაპირველი სახით თვალსაჩინო მოღვაწის, იოსებ მამაცაშვილის, წრეში წარმოიშვა (ბოცვაძე 1976: 221-223; პაპავა 1979: 189-190; ხუციშვილი 1980: 11-12).

წესდება დიმ. ყიფიანმა დაინტერესებულ პირებს პირველად გრ. ორბელიანის სახლში 1878 წლის 30 იანვარს წარუდგინა (თულაშვილი 1895: 50), დასამტკიცებლად კი იგი ხელისუფლებას 1878 წლის 20 ივნისს გადაეცა (ბოცვაძე 1976: 233-234; გოდერიძე 1978: 14), თუმცა შემდეგ საჭირო გახდა ცვლილებების შეტანა და საბოლოოდ წესდება 1879 წლის 31 მარტს დამტკიცდა [*წამდვილზედ აწერია: ვამტკიცებ ხელმწიფე დიდი მთავრის კავკასიის ნამესტნიკის სხვაგან მყოფობისგამო თანაშემწე მისი გენერალ ადიუტანტი კნიაზი სვიატოპოლკ მირსკი. 31 მარტსა 1879 წ. ქ. თფილისი*] (წესდებულება 1879: 3)]. ტექსტის ბოლო (დამტკიცებული) ვერსიის დასათარიღებლად საჭირო ცნობას იძლევა საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული ხელნაწერი „პ რ ო ე ქ ტ ი – წეს-დებულება ტფილისის საზოგადოებისა, რომელმაც წერა-კითხვა უნდა გაავრცელოს ქართველებს შორის კავკასიის სანამესტნიკოში“, შედგენილი დიმ. ყიფიანის, ბ. ლოლობერიძისა და ი. ჭავჭავაძის მიერ (სეა. ფონდი 481. აღწ. 1. საქ. 1. ფ. 9-14; დანელია 1993-1994: 411-415). ხელნაწერი 1879 წლის 25 მარტითაა დათარიღებული და მას ხელს აწერენ დიმ. ყიფიანი და ი. ჭავჭავაძე (ბ. ლოლობერიძე ვერ მოესწრო წესდების ხელისუფლებისთვის დასამტკიცებლად წარდგენას – იგი 1879 წ. 6 მარტს გარდაიცვალა ქუთაისში). ასე რომ, **წესდების საბოლოო ტექსტი 1879 წლის 25 მარტით უნდა დათარიღდეს** (დასამტკიცებლადაც სწორედ ამ დღეს გადაეცა ხელისუფლებას – თულაშვილი 1895: 52; გოდერიძე 1978: 14).

დასასრულ, დამფუძნებელ ყრილობამდე „საზოგადოებას“ ორი ხელის მომწერი გამოაკლდა: იოსებ ორბელიანი (გარდ.

1879 წ. იანვრის პირველი რიცხვებში) და ბესარიონ ლოლობერიძე (გარდ. 1879 წ. 6 მარტს). ვინაიდან დამფუძნებელ წევრთა რაოდენობა (126 პირი) „მუდამ შეუცვლელი“ უნდა ყოფილიყო, ყრილობამ ისინი *ალექსანდრე ცაგარლითა და დავით სარაჯიშვილით* ჩაანაცვლა (დროება 1879^ა).

წინამდებარე გამოცემაში ტექსტი გადმოღებული გვაქვს ზემოთ მითითებული ბროშურიდან (წესდებულება 1879; ხელნაწერი იხ. სეა. ფონდი 481. აღწ. 1. საქ. 1. ფ. 17-27. ტექსტის ნამდვილობას ადასტურებს და ხელს აწერს დიმ. ყიფიანი: Верно: Д.С.С. Дим. Кипиани). უნდა ითქვას, რომ ამ სახით „ქმნ-კვ საზოგადოების“ წესდებამ 28 წელიწადს იარსება – 1907 წელს მასში შეტანილ იქნა მნიშვნელოვანი ცვლილებები და იმავე წლის 21 მარტს იგი ხელახლა იქნა დამტკიცებული თბილისის გუბერნიის საზოგადოებათა საქმეების მმართველობის მიერ (გოდერიძე 1980: 229; ტექსტი ახლადდამტკიცებული წესდებისა იხ. გოდერიძე 1980: 263-267).

„ქმნ-კვ საზოგადოების“ დამფუძნებელი ყრილობა გაიმართა თბილისში 1879 წლის 15 მაისს. ყრილობამ „საზოგადოების“ თავმჯდომარეობა თავდაპირველად შესთავაზა გრ. ორბელიანს, თუმცა მან უარი თქვა, მიზეზად შერყეული ჯანმრთელობა და ასეთ საქმეებში გამოუცდელობა დაასახელა და, თავის მხრივ, თავმჯდომარეობის კანდიდატად დიმ. ყიფიანის კანდიდატურა წამოაყენა („...თავმჯდომარეობა ისევ იმასა ვთხოვოთ, ვინც თავიდანვე ამ საქმეს ადგია“, – და ხელი მიიშვირა დიმიტრი ყიფიანზედ“ – გოდერიძე 1978: 17). ყრილობაზე „საზოგადოების“ თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს დიმ. ყიფიანი, გამგეობის წევრები კი კენჭისყრის შედეგების მიხედვით, გახდნენ: ილია ჭავჭავაძე (თავმჯდომარის ამხანაგი, ანუ მოადგილე), ალ. სარაჯიშვილი (მდივანი), რაფ. ერისთავი (ხაზინადარი), ნ. ცხვედაძე, ი. გოგებაშვილი და ივ. მაჩაბელი (დროება 1879^ა; ოქმი დამფუძნებელი ყრილობისა იხ. გოდერიძე 1978: 14-18).

„საზოგადოების“ დამფუძნებელ წევრთა შემადგენლობა (ქართველი არისტოკრატიის, ინტელიგენციის, სახელისუფლებო-ადმინისტრაციული, სასულიერო და სამხედრო წრეების, აგრეთვე, სომხური ბურჟუაზიისა და ინტელიგენციის წარმომადგენლები) და გეოგრაფიული განფენილობა (თბილისი, ქუთაისი, გორი, ზუგდიდი, ოზურგეთი, თელავი, თიანეთი, დუშეთი, ახალსენაკი, ახალციხე, ონი, პეტერბურგი, ხარკოვი, ვლადიკავკაზი და სხვ. – იხ. გოდერიძე 1978: 15) მიუთითებს, რომ ქვეყნის მართლაც სახალხო კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობას ჩაეყარა საფუძველი. და, მართლაც, დაარსების დღიდან მოკიდებული დახურვამდე (1927 წ.), თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ აარსებდა ქართულ სკოლებს საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ (ვლადიკავკაზი, მოზდოკი, ბაქო...), ბიბლიოთეკებსა და სამკითხველოებს, ეხმარებოდა ქართულ თეატრს, გამოსცემდა წიგნებსა და სასკოლო სახელმძღვანელოებს, ზრუნავდა ქართული მწერლობისა და მეცნიერების განვითარებაზე, ხელს უწყობდა ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების შეკრებასა და პუბლიკაციას, ქართული მუსიკისა და მხატვრობის განვითარებას, აგროვებდა ძველ ქართულ ხელნაწერებსა და ნაბეჭდ წიგნებს, იცავდა მატერიალური კულტურის ძეგლებს, სტიპენდიებს უნიშნავდა რუსეთსა და ევროპაში მოსწავლე ქართველ ახალგაზრდობას და ა. შ.

„ქმნ-კგ საზოგადოების“ შესახებ იხ. ხუნდაძე 1960; ბოცვაძე 1976: 218-244; გოდერიძე 1978: 5-106; გოდერიძე 1980: 227-319; გოდერიძე 2005: 166-284, 489-519; პაპავა 1979: 189-199; ხუციშვილი 1980; ჩხიტუნიძე 1980; ნანიტაშვილი... 2004; ჯაგოდნიშვილი 2004: 384-393; წერა-კითხვის საზოგადოება 2019; „საზოგადოების“ დაარსებასა და მუშაობაში საკუთრივ დი. ყიფიანის მონაწილეობის შესახებ იხ.: გოგებაშვილი 1990: 254-257; თულაშვილი 1895: 49-52; უთურაშვილი 1989: 117-121; ჯორჯაძე 1989: 532-539.

¹ (გვ. 136) **„გამოუშვებს...“** – „დროების“ პუბლიკაციაში: *გამოსცემს* (დროება 1879^ბ).

² (გვ. 136) **„პედაგოგისათვის გამოსადეგი ნივთების საწყობებსა“** – „დროების“ პუბლიკაციაში: *პედაგოგისათვის გამოსადეგი ნივთები და წიგნები* (დროება 1879^ბ).

³ (გვ. 144) **„იაზონ დიმიტრის ძე თუმანიშვილი“** – ი. თუმანიშვილი (თუმანოვი) თბილისში მცხოვრები სომეხი საზოგადოების თვალსაჩინო წევრი იყო. მისი და ამ წრის კიდევ რამდენიმე წარმომადგენლის „ქმნ-კვ საზოგადოების“ დაფუძნებაში მონაწილეობის შესახებ ვ. თულაშვილი წერს:

„30 იანვარს, 1878 წ., თ. გრ. დიმ. ორბელიანის სახლში შევიყარე ნით, სადაც მოწვეულნი იყვნენ მის მიერ ყველანი, რომელთაც მონაწილეობა უნდა მიეღოთ ამ საზოგადოებაში, როგორც წევრთ. დ. ყიფიანმა წაიკითხა წესდება, რომელიც ყველამ მოიწონა. კრებაზედ ერთი ეპიზოდი მოჰხდა, რომლის მოხსენება არ იქნება მეტი, რადგანაც მით ცხადადა სჩანს დიმიტრი ყიფიანის აზრი სომეხთა შესახებ. – წესდების პროექტის წაკითხვის შემდეგ დიდს ხანს იყო ბაასი იმის გამო, თუ რა სახელი გვეწოდებინა საზოგადოებისათვის. თ-დი გრიგოლ ორბელიანი იმ აზრისა იყო, რომ ის სახელი გვეწოდებინა, რომელსაც ამჟამად ვუწოდებთ. ამაზე დიმ. ყიფიანმა უპასუხა, რომ ეგ სახელი ვერ გამოვა რიგიანიო, რადგანაც სომეხთ, ამ ჩვენთა მოძმეთა და მეზობელთა, წილი აღარ დაეღებათ იმათში, რომელთა შორისაც უნდა ვრცელდებოდეს წერა-კითხვა, და ეს, ჩემის აზრით, არ არის სასურველიო. თ. გრ. ორბელიანმა სთქვა, რომ ეგ დასამალავი არ არის, ყველამ გავიგეთ, შევიტყუეთ და დავრწმუნდით, რომ სომეხნი, თუმცა ჩვენი მეზობელნი არიან, მაინც იმათგან მტრობის მეტს არას უნდა მოველოდეთო, რადგანაც ამ ბოლოს დროს აშკარად გამოიჩინეს და დაამტკიცეს ასეთი თვისი განზრახვაო. თ-დ გიორგი რომანოზის ძემ ერისთავმა (ატამანმა) დიმ. ყიფიანის მხარე დაიჭირა და თ-დ გრ. ორბელიანს უპასუხა, რომ ჩვენ მაგას არ უნდა გამოვუდგეთო; ჩვენ, როგორც აქამდე ვყოფილვართ სომეხთათვის ერთგულნი მეზობელნი და ამხანაგნი ლხინსა და ჭირში, ისევ ისე

უნდა დავრჩეთ, ხოლო სომხებს, როგორცა სურდეთ, ისე მოიქცნენო. — შემდგომ ამისა, კრებამ ისურვა, რომ სომხებსაც შეეძლოთ მონაწილეობის მიღება საზოგადოებაში. ამის გამო საზოგადოების დამფუძნებელ წევრთა შორის ირიცხებიან: გრ[აფი] მ. ტ. ლორის-მელიქოვი, თ-დნი: ის. შიოშის ძე თუმანიშვილი, იასონ თუმანიშვილი, ალ. სტ. ანანოვი, ს. შაჰ-პარონიანიცი“ და სხვ.“ (თულაშვილი 1895: 50-51).

⁴ (გვ. 146) „მელიტონ თომას ძე თომინ-ცაგარელი“ — უნდა იყოს: **ფომინ-ცაგარელი**. მელიტონ ფომინ-ცაგარელი იყო ძმა დეკანოზის — დიმიტრი თომას ძე ფომინ-ცაგარლისა (დიმ. ცაგარელზე იხ. ცინცაძე 1994: 186-187).

**საქმის წარმოების რიგი ქართველთა შორის
წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებაში
შედგენილი დიმიტრი ივანეს ძის ყიფიანის მიერ და
მიღებული გამგეობისგან 1880 წ.
(გვ. 150-157)**

ხელნაწერი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. დიმ. ყიფიანის არქივი. საქმე №310. ავტოგრაფი. შავი. ხელმოუწერელი. უთარილო. ქართულ ენაზე. ფ. 5.

ნაბეჭდი: საქმის წარმოების რიგი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებაში შედგენილი დიმიტრი ივანეს ძის ყიფიანის მიერ და მიღებული გამგეობისგან 1880 წ. [თბილისი:] სტამბა გ. ჩარკვიანისა. [1894], გვ. 1-11.

სათაური: საქმეთ-წარმოება ქართველთა შორის წერა-კითხვის განმავრცელებელს საზოგადოებაში.

თარიღი: 1880 წ.

* **ალ. სტ. ანანოვი** არც დამფუძნებელ, არც შემდეგ შემატებული წევრთა სიაში არ ჩანს.

** უნდა იყოს: **მის. შაჰ-პარონიანიცი**.

თ. ჯ.

თ. ჯ.

გადმოღებულა 1894 წ. გამოცემული ზემოთ მითითებული ბროშურიდან, რომლის ნაწილი (გვ. 1-11) უჭირავს წინამდებარე ტექსტს, ხოლო დანარჩენი ნაწილი (გვ. 11-15) – „**დამატებას**“: **„საქმის წარმოების რიგი წერა-კითხვის გამავრცელებლის საზოგადოების მდივნისათვის შედგენილი და მიღებული გამგეობისაგან 1894 წ.“** (შედგენილია დიმ. ყიფიანის გარდაცვალების შემდეგ).

¹ (გვ. 150) **„სამწერლოსათვის“** – სამწერლო აქ და ქვემოთ **კანცელარიას** ნიშნავს (Канцелярия: სამწერლო – ჩუბინაშვილი 1971: 426; **სამწერლო**: ... канцелярия – ჩუბინაშვილი 1984: 1098); ტექსტში არაერთხელ ნახსენები **„სეკრეტარი“** (რუს.) ნიშნავს **მდივანს**; ამხანაგი – **მოადგილეს**; მეინახე – **სხდომის მონაწილეს**.

² (გვ. 151) **„შემდგენელნი...“** – იგულისხმებიან დამფუძნებელი წევრები. რაც შეეხება საპატიო, ნამდვილ და დამხმარე („დამხმარებელ“) წევრებს, მათი არჩევის წესების, აგრეთვე, უფლება-მოვალეობების შესახებ იხ. აქვე, გვ. 138-139.

³ (გვ. 156) მუხლების ნუმერაციაში 30-ს მოსდევს 32.

ჰომეოპათიური რვეული

(გვ. 158-171)

ხელნაწერი: ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი. №14761-ბ. ავტოგრაფი. ქართულ (შიგადაშიგ – რუსულ) ენაზე. ფ. 12.

ტექსტი თავნაკლულია, დაუსათაურებელია, ხელმოუწერელია. **დასათაურება ჩვენია.**

1881 წელს პეტერბურგში დაარსდა „ჰომეოპათიის მიმდევართა სანქტ-პეტერბურგის საზოგადოება“ (Санкт-Петербургское общество последователей гомеопатии), რომლის ერთ-ერთი ინი-

ციატორი და წესდების ავტორი იყო გრაფ ალექსანდრე ადლერ-ბერგის მეუღლე ეკატერინე ადლერბერგი (ნიკ. დადიანის სიდედრ-სიმამრი). დიმ. ყიფიანი, რომელიც პირადად იცნობდა ე. ადლერბერგს (ყიფიანი 2020: 123, 223-225), წევრი იყო ამ „საზოგადოებისა“ (ჰომეოპათიის მიმდევართა საზოგადოება 1883: 15; წევრთა სტამბურად გამოცემული სიის ეგზემპლარი იხ. ქლსმ. №14761-ბ). სხვათა შორის, 1864 წლიდან დიმ. ყიფიანი წევრი იყო აგრეთვე „კავკასიის სამედიცინო საზოგადოებისა“ (დოკუმენტური მასალა იხ. ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №№295-298, ფ. 9).

ნინო ტატიშვილ-ყიფიანი თავის ერთ-ერთ მოგონებაში იხსენებს:

„[დიმ. ყიფიანს] საერთოდ გლახებთან ძალიან კარგი განწყობილება ჰქონდა. ისინიც ღრმა პატივისცემით ეპყრობოდნენ. „დიდო ბატონო“ – ასე იხსენიებდნენ მოკრძალებით. იმათ ერთმანეთში კეთილ-განწყობილებას ის გარემოება კიდევ უფრო ხელს უწყობდა, რომ ჰომეოპათიით სწამლობდა. გარშემო სოფლებიდანაც კი დიდის ნდობით მოდიოდნენ მასთან სწამლობლად. ყველას გვარი ჩანერილი ჰქონდა, ვისაც სწამლობდა. დანვრილებით იყო აღნიშნული, რა სენით იყო ავად, როდის დაუნყო ნამლობა და რა წამლით. – მახსოვს, ერთხელ რა ალტაცებული იყო მისგან მორჩენილი ერთი დაჭრილი გლახის თაობაზე. ცუდით დაჭრილისათვის ჰომეოპათიურ წამლით ღრმად შეჭრილი ფეხი შეეხვია და აი, იმის მორჩენას მეტის-მეტი სიამოვნებით მიაბობდა:

– ორი დღე იყო გასული, რაც ჭრილობა შევუხვია. აივანზე დავდიოდი. გავიხედე და თვალი მოვკარ, რომ ჯოხზე დაბჯენილი ვილაც კაცი კოშკის აღმართზე მოიკაკევა. ეჭვი შემეპარა, ჩემი პაციენტი ხომ არ არის-მეთქი და მაშინვე დურბინდით გავხედე. წარმოიდგინე ჩემი გაოცება და ამასთან წყენაც, როდესაც სწორეთ ის ჩემი პაციენტი დავინახე! მაშინვე კაცი ვაფრინე და სასტიკად გავუწყერო, რომ ასე უდროვოთ, ჭრილობა მოურჩენელი გარეთ გამოსულიყო...

პატარა ხანს უკან ის კაცი ჩემს წინ იდგა და სრულებით შეხორცე-
ბულ ჭრილობას ჩემის თვალით მაშინჯებდა“ (ყიფიანი 1911; საშვ-
ილიშვილო მოკავშირე... 2007: 102).

დიმ. ყიფიანის „ჰომეოპათიური რვეული“, როგორც ზემოთ
ითქვა, თავნაკლულია. რვეულის პირველი ნაწილი კოტე ყიფი-
ანს გადაუცია ქაშვეთის ეკლესიის დიაკონ ნიკოლოზ ოქრომ-
ჭედლიშვილისთვის, რომელსაც ჰომეოპათიის შესახებ წიგნი
აქვს გამოცემული (ოქრომჭედლიშვილი 1913). ეს ნაწილი,
რომლის ხელნაწერსაც ჩვენ ვერ მივაკვლიეთ, მოიცავს პერი-
ოდს 1882 წლის ნოემბრიდან 1884 წლის 20 მაისამდე (სულ 270
პაციენტი – ოქრომჭედლიშვილი 1913: 4). მკურნალობის დიმ.
ყიფიანისეული მეთოდების შესახებ წიგნში ვკითხულობთ:
„ღვთივ განსვენებული, სასიქადულო მამულის შვილი, ტკბილ
სამშობლოსათვის მონამებრივი ტანჯვით მომკვდარი დიმი-
ტრი ყიფიანი თურმე პირველად ექ. განემანის გომეოპათიას
მისდევდა და შემდეგ ელექტროგომეოპათიას მიჰყვა გრაფი
მატციეისას, რა კი მისი უებრობა და უპირატესობანი სჭარ-
ბობდნენ პირველს“ (ოქრომჭედლიშვილი 1913: 3). ამის შემდეგ
ნ. ოქრომჭედლიშვილი დიმ. ყიფიანის რვეულიდან რამდენიმე
ფრაგმენტს იმონმებს:

„4 თებერვალს უნამლია მიტროს 10 წლის ბიჭისათვის. 31 იან-
ვარს, მთვარის 4-5 ბნედა მოსვლოდა ორშაბათს, დღეს პარასკე-
ვია. 4 მარტი, კრიზისმა მშვიდობიანად გადაიარაო“, ე. ი. ვადაზე
სულ აღარ მოუვიდა ბნედაო. „6 თებერვალს უნამლია სოლო გიგ-
იტაშვილისათვის მეორედ. გულს ჰხუთავს, ახველებს და თავი
სტკივაო. მოკვდა 14-ში. კარში გასულიყო 9-ში, შინ შემოსვლისას
დავარდნილიყო და გვერდი ადგილზე ძლიერ დაეკრა და ბნედა
მოსვლოდა, რაზედაც სიკვდილამდე ჩემთვის არ გაუგებინებია-
თო“. – „26 თებერვალს, პატარა ბაბუცა, ზაზა ყიფიანის ქალისთ-
ვის, ხურმას უწყენია, გულს ეჭიდება, სიცხე აქვს. ჩქარა მორჩა“. –

„16 მარტს, ფოფოდია ტასია, 60 წლისა, 6 თვე ძლიერ ავად არის, მგონი გაციების ქარებია, ავდარში დასველების გამო, სრულიად ვერ იძვრის“. 24 მარტს უწერია, „მორჩაო“. – „17 მარტს, მიქელა სირაძის ქალს, 20 წლისას, კბილი სტკივა. ყბა აქვს გასივებული, 3 დღეა. ნამლის მიცემის შემდეგ დედაკაცებს დალაქისთვის ყბა გაეჭრევიანებინათ, ანთება მოსვლოდა და თან გაეტანა“. – „27 მარტს, სილო გუგბერიძის ქალი, ღონღაძის ცოლი, 60 წლისა, ზერე-ქვერედ არის. 1 აპრილს გამოირკვა, დღე-გამოშვებითი ციებ-ცხელება. ჩქარა მორჩა“. – 28 მარტს მელანა გომარელი, თამარ ციციქალი, 12 წლისა, სახადის ნიშნები აქვს. 9 აპრილს მარტო ხველავა ჰქონდა. სრულად მორჩა“. – „19 ივნისს ნუნისელი დათიკა მანჩხაშვილის ცოლს, ტასიას, 28 წლ. შიშისაგან აცივებს 2 კვირა. 30-ში მორჩა“. – „ნინას, იოსებ მესხის ცოლს, ტაბასტა დაემართა. მორჩა ადვილად“. – „გიგო კიკნაძის 5 წლის ბაღლს, ვანოს, გველმა უკბინა ხელზედ. მორჩა“. – „ბათლომე კიკნაძის ქალი მატაგია, 11 წლისა, სოკოს უწყენია 2 მაისს აქათ. მორჩა 7-ში“ (ოქრომჭედლიშვილი 1913: 3-4).

დიმ. ყიფიანის, როგორც ჰომეოპათის, შესახებ იხ. შენგე-ლია... 1968 (ამ წერილში ნათქვამია, რომ დიმ. ყიფიანი ავადმყოფებს *„თვითვე აძლევენა ნამალს“*).

¹ (გვ. 159) *„კოსტუკას ყურის ტკივილი“* – კოსტუკა: შვილი დიმ. ყიფიანისა, *კონსტანტინე (კოტე) ყიფიანი*.

² (გვ. 161) *„ჩემს ძმისწულს ეფროს...“* – ეფრო: მსახიობი და საზოგადო მოღვაწე *ეფროსინე (ეფრო) ქაიხოსრო ყიფიანის ას. კლდიაშვილი* (სტავროპოლში გადასახლებული დიმ. ყიფიანის 1887 წ. 17 სექტემბრის წერილი ეფრო კლდიაშვილისადმი იხ. ყიფიანი 1995: 113-114).

³ (გვ. 162) *„Лёке“* [ლოკას] – იგულისხმება დიმ. ყიფიანის ქალიშვილი *ელენე (ლოკა) ლორთქიფანიძე*.

⁴ (გვ. 162) *„Косте“* [კოსტას] – იგულისხმება *კონსტანტინე (კოტე) დიმიტრის ძე ყიფიანი*.

⁵ (გვ. 163) „...ვასიკოს უცივეებს ყოველ საღამოს, 2 კვირაა“ – დანიშნულება არ არის ჩანერილი.

⁶ (გვ. 170) „ხანდახან სისხლიანი ნაზლა“ – ნაზლა იგივეა, რაც ნახველი (ჩუბინაშვილი 1984: 947).

ჩანანერები (გვ. 175-199)

I. (გვ. 175) **ხელნაწერი**: ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №121. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. ფ. 1.

პირობის ხელნერილი შედგენილია ვოლოგდაში, დიმ. ყიფიანის პირველი გადასახლების პერიოდში. ხელნერილში ნახსენები *ეკატერინა კუზმინა* ვოლოგდის გუბერნატორის (1834-1836), სტეფანე კუზმინის, მეუღლე იყო.

II. (გვ. 175-176) კომენტარებად დართული აქვს გიორგი ერისთავის „გაყრის“ დიმ. ყიფიანისეულ რუსულ თარგმანს (ერისთავი 1850; ერისთავი 1979: 259-261).

„გაყრა“, როგორც ცნობილია, პირველად თბილისის გიმნაზიის დარბაზში 1850 წლის 2 (14) იანვარს დაიდგა. მანამდე, **ნინა წელს**, დიმ. ყიფიანმა პიესა მიხ. ვორონცოვის დავალებით (წერეთელი 1961^ბ: 455) რუსულ ენაზე თარგმნა, ხოლო 1850 წელს „გაყრა“ რუსულ ენაზევე მთარგმნელის მიუთითებლად დაიბეჭდა (ცენზურის ნებართვა გაცემულია 1850 წ. 24 მარტს – ერისთავი 1850). ასე რომ, ის განმარტება-კომენტარები, რომლებიც აქ გადმოგვაქვს **1849 წლით უნდა დათარიღდეს**.

¹ (გვ. 175) **ქართველები ახალგაზრდა ადამიანზე ... წყალი აქვს დაღეულიო** – კომენტარი ანდრეაფარის ფრაზისა: „თერგდაღეული ჩემი ძამია...“ (ერისთავი 1850: 2; ერისთავი 1966: 190).

² (გვ. 175) **როცა ძმები იყრებიან ... იყოფა თანაბრად** – კომენტარი ბარამის ფრაზისა: „საუფროსოთ იქნება არ ამიყვანოს დიდმა ბატონმა...“ (ერისთავი 1850: 6; ერისთავი 1966: 192).

³ (გვ. 175) **„ბ ა რ უ ნ ... ფამილიარული ურთიერთობა აქვთ“** – განმარტება მიკირტუმ გასპარიჩის კითხვაზე ბარამის პასუხისა: „გახლავარ, პარუნ...“ (ერისთავი 1850: 8; ერისთავი 1966: 194).

⁴ (გვ. 176) **„ქართველებს ზრდილობის წესი უფლებას არ აძლევს თქვან: „ჩემი ქმარი“ ... „თქვენი ნათლიდედა“** – კომენტარი მაკრინეს მიერ რამაზისთვის ნათქვამისა: „თქვენი ძმა, როგორც მოგეხსენებათ, დაუდევნელი არის“ [ო. ურიდიას გამოცემაში არის „ჩემი ქმარი“, პიესის დედანში (ერისთავი 1966: 201), აგრეთვე, „გაყრის“ სხვა გამოცემებში (ერისთავი 1950: 155; ერისთავი 1995: 311 და სხვ.) – „თქვენი ძმა“; დიმ. ყიფიანის თარგმანში – „Бау пар“ (ერისთავი 1850: 18; ერისთავი 1979: 91)].

⁵ (გვ. 176) **„სომხები კურდღლის ხორცს არ ჭამენ ... გაუპობელი ჩლიქი აქვს“** – კომენტარი პავლეს მიერ კომისიონერის მისამართით ნათქვამი რეპლიკისა: „შენ ხომ კურდღლის ხორცი არ გეჭმება, იმისთვის გეჯავრება ძაღლები განა?“ (ერისთავი 1850: 41; ერისთავი 1966: 214). ძველი აღთქმით („ლევიტელთაჲ“), კურდღელი, რადგან ჩლიქი გაპობილი არ აქვს, უწმინდურია და არ იჭმევა („ყურდგელი, რამეთუ აღმოიცოხნის და ჭლაკი მისი არა განპებულ არს, არანმინდა არს ესე თქუენდა“ – წიგნი... 1990: 45).

III. (გვ. 176) კომენტარებად დართული აქვს უ. შექსპირის პიესის „რომეო და ჯულიეტას“ დიმ. ყიფიანისეულ ქართულ თარგმანს („ცისკარი“, 1859, №5, გვ. 5-81; №6, გვ. 121-201).

დიმ. ყიფიანმა „რომეო და ჯულიეტა“ ორჯერ თარგმნა: 1841 წელს რუსული ენიდან (შექსპირის პირველი თარგმანი ქართულ ენაზე), ხოლო 1859 წელს – ფრანგულიდან. ამის შემდეგ დიმ. ყიფიანი საფუძვლიანად დაეუფლა ინგლისურ ენას და შექსპირის სხვა პიესებს [„ორი ვერონელი აზნაური“, „ვენეციელი ვაჭარი“, დაუსრულებელი თარგმანი კიდევ ერთი პიესისა „აურზაური არაფრის გამო“ (დიმ. ყიფიანთან – „ტყუილ-უბრალოდ ვაი-ვაგლახი“)] უკვე უშუალოდ ინგლისურიდან თარგმნიდა

(საკითხის შესახებ იხ. ყიფიანი 2016: 33; ვრცლად – ჯოლოგუა 2002: 160-165).

¹ (გვ. 176) „**ძველებური ანდაზა იყო...**“ – კომენტარი რომეოს მიერ მერკუციოსთვის ნათქვამისა: „მეკი პაპიჩემის სიტყვას მოვიგონებ: „რომ თამაშობდე, როდესაც ძალიან მოგდიოდეს, მაშინ უნდა დაანებო თავიო“ (შექსპირი 1859^ა: 35).

² (გვ. 176) „**შესანიშნავია, როგორ ალაპარაკებს აქ ბენვოლიოს ავტორი ... ყოველს სამოქალაქო უთანხმოებაში**“ – კომენტარი ბენვოლიოს მიერ ვერონის პრინც ესკალუსისთვის (დიმ. ყიფიანთან – ესკალოსი, ვერონის მფლობელი მთავარი) ნათქვამისა: „ამ დროს მივარდა რომეო: „შედექით, ღვთის გულისათვის, შედექით, ძმებოო!“ თავისის სიმარდით ორივე ხმლები ძირს დააშვებინა და შუა შეუვარდა გასამველებლად...“ (შექსპირი 1859^ა: 129-130).

IV. (გვ. 176-181) კომენტარებად დართული აქვს ოქტავ ფეიეს (მთარგმნელთან – ოქტავ ფელიეტი) ნაწარმოების „ლარიბის ყმაწვილი-კაცის რომანი“ დიმ. ყიფიანისეულ თარგმანს („ცისკარი“, 1860, №2, გვ. 1-102; №3, გვ. 103-192; №4, გვ. 193-250; №5, გვ. 251-321). ო. ფეიეს რომანი („Le Roman d'un jeune homme pauvre“) პირველად გამოიცა პარიზში 1858 წელს. დიმ. ყიფიანმა იგი თარგმნა ფრანგული ენიდან (თარგმანის შესახებ იხ. თურნავა 1979: 94-96). მთარგმნელმა ტექსტი გამოაქვეყნა **ბაქარ ქართლელის** ფსევდონიმით. იმავე წელს თარგმანი დიმ. ყიფიანმა იმავე ფსევდონიმით წიგნადაც გამოსცა (ფელიეტი [ფეიე] 1860^ა).

რომანის ავტორის გვარი ქართულ და რუსულ ლიტერატურაში გვხვდება სხვადასხვა ფორმით: ფეიე, ფელიე, ფელიეტი, ფულიე, ფიოლა, ფურიკი; Феише, Феие...; ფრანგული დანერელობაა – Feuillet.

კომენტარებში ნახსენები **თეიმურაზი** არ არის რეალური პირი – დიმ. ყიფიანის ფსევდონიმი და მისი ნაწარმოებების პერსო-

ნაჟია. ამ ლიტერატურულ ხერხს (მიმართვას თეიმურაზისადმი ან თეიმურაზ ვაკელისადმი) დიმი. ყიფიანი სხვა ტექსტებშიც იყენებს (ყიფიანი 2016: 139-142, 148, 168, 183, 411-415, 424, 460; ყიფიანი 2017: 138, 343; დიმი. ყიფიანის ფსევდონიმების შესახებ იხ. ყიფიანი 2017: 350). ვინაიდან სხვა მონაცემი არ მოგვეპოვება, ტექსტს **პირველნაბეჭდის მიხედვით ვათარილებთ 1860 წლით.**

¹ (გვ. 176) **„გაზი ლურსმნის მოსაგლეჯი იარაღი კი არ გეგონოს ... ბიჭები რომ ეხვეოდნენ და კითხულობდნენ: ვა! ეს რა ანთიაო!“** – კომენტარი რომანის ერთ-ერთი პერსონაჟის, სასახლის მცველის ცოლის, სიტყვებისა: „არაფერი, უფალო მაქსიმე, არაფერი, გაზს ვამზადებდი“ (ფელიეტი [ფეიე] 1860^ბ: 55-56).

² (გვ. 177) **„თუ რუსულისა და ფრანცუზულის ენის მცოდნესთან ... აქ მუქთად, იქ ფულით“** – განმარტება მთავარი პერსონაჟისა და მთხრობლის (რომანი პირველ პირობა დაწერილი), მაქსიმეს, ნათქვამისა: „აქ ორი სამი სასტუმრო არის, სადაც მიცნობენ და ხშირად მომსვლია, რომ დაუფიქრებლად შევსულვარ, როდესაც სიმდიდრეში ვიყავ, თუმცა ქისა კი თან არა მქონია“ (ფელიეტი [ფეიე] 1860^ბ: 57-58).

³ (გვ. 177) **„ჩვენც გვიახლოვდება ისეთი დრო ... უნდა პირობა განვაახლოთ“** – კომენტარი მთავარი პერსონაჟის, მაქსიმეს, ნათქვამისა: „საქმემ მოიტანა, რომ მეორეს დღესვე ერთის ფერმის პირობა უნდა განმეახლებინა“ (ფელიეტი [ფეიე] 1860^ბ: 113).

⁴ (გვ. 177-178) **„რისგან არის, რომ ვანბობ, გენერალი მეთქი და არა ღენერალი? ... უდელიკატობა მაინც“** – კომენტარი მაქსიმეს ნათქვამისა: „ისინილა დამხვდნენ, ვინც ყოველ დღე აქ არიან ხოლმე: მღვდელი, ხაზინადარი და დოკტორი დე მარეტი; ამათ გარდა გენერალი სენ-კასტი და იმისი ცოლი...“ (ფელიეტი [ფეიე] 1860^გ: 131-132).

⁵ (გვ. 178) **„აი! ჩემო თეიმურაზ! ... ჩვენთ წინაპართაგანი ვინ როგორი რა ყოფილა, ვაი შენს მტერს თუ ვიცოდეთ ვინმე“** – კომენტარი მაქსიმეს ფრაზისა: „ერთხელ ჩვენის გვაროვნობის

მოთხრობას რომ ვჰკითხულობდი, ამ საოცარის სახელის ხსენებაც იყო...” (ფელიეტი [ფეიე] 1860⁶: 137).

⁶ (გვ. 178-179) **„ანგლიაში, და ამერიკაში უმეტესად, ... თავისუფლების მომშლელი აღარაინა ჰყავს“** – კომენტარი მაქსიმეს ნათქვამისა: „ფრანცუზები კი მაშინ ვაძლევთ ნებასა და სრულს თავისუფლებას ქალსა, როდესაც შეცთომას საშველი აღარა აქვს“ (ფელიეტი [ფეიე] 1860⁶: 158-159).

⁷ (გვ. 179) **„აი ერთი ლექსი კიდევა ... სარომანო, სატრფიალო, რომანული“** – განმარტება მაქსიმეს ფრაზისა: „სხვა და სხვა რომანულს ფიქრებს მომანერდნენ ხოლმე...” (ფელიეტი [ფეიე] 1860⁶: 195-196).

⁸ (გვ. 179-180) **„აი ორი ლექსი კიდევა, ჩვენს ენაში რომ უნდა შემოვიტანოთ ... არც ერთი არ არის ჩვენი ქართულის ენის ლექსი“** – კომენტარი მაქსიმეს ნათქვამისა: „ამ ქალაღდებს რომ ვარჩევდი, ზოგან ტრადიცია ამოვიკითხე, ზოგან ლეგენდა“ (ფელიეტი [ფეიე] 1860⁶: 260-262).

⁹ (გვ. 180-181) **„ჟანტილიოში არის ფრანცუზული ლექსი ... სადაც ჟანტილიოში ითქმის, იქკი სწორეთ კეთილშობილება იგულისხმება“** – კომენტარი რომანის პერსონაჟის, მადმუაზელ პორპოეს, ფრაზისა: „ჯენტლმენი, თუ თქვენი ნებაც იქნება და არა ჟანტილიოში“ (ფელიეტი [ფეიე] 1860⁶: 294).

V. (გვ. 181-182) **ხელნაწერი**: ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №336. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. უთარილო. ხელმოუწერელი. ფ. 2.

ეს არის ერთ-ერთი ჩანაწერი იმ ჩანაწერთა შორის (იხ. ყიფიანი 2018: 428-429), რომლებიც დიმ. ყიფიანს საგლეხო რეფორმის (ბატონყმობის გაუქმების) პროექტზე მუშაობისას, ანუ 1862-1863 წწ., გაუკეთებია – არა უგვიანეს 1863 წლის აპრილისა, როცა ავტორმა პროექტზე მუშაობა დაასრულა (ტექსტი პროექტისა იხ. ყიფიანი 2018: 133-192). ამ მონაცემებზე დაყრდნობით წინამდებარე ჩანაწერს **1862-1863 წლებით ვათარილებთ**.

VI. (გვ. 182) **ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №75. ავტოგრაფი. ქართულ და რუსულ ენებზე. უთარილო. ხელმოუწერელი. ფ. 2. თარიღი – **1863 წელი** – მითითებულია ტექსტშივე. ტექსტის კურსივით აკრეფილი ნაწილი რუსულ ენაზეა. ტექსტის პირველ, ქართულ, მონაკვეთში აღნიშნულ პირებს დიმ. ყიფიანი სამეგრელოში მონათლავდა (ამ დროს, 1860-იან წწ., იგი სამეგრელოს სამთავრო ოჯახის ადგილ-მამულისა და ქონების მეურვე იყო და ხშირად უხდებოდა იქ ყოფნა).

VII. (გვ. 182-184) **ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №353. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. ხელმოუწერელი. ფ. 2.

1864 წლის საგლეხო რეფორმის (ბატონყმობის გაუქმების) გამოცხადების შემდეგ საჭირო გახდა მემამულეთა და გლეხთა უფლებრივი ურთიერთმიმართების პრაქტიკულ ცხოვრებაში განხორციელება. ამ საქმეში სხვა დანესებულებებთან ერთად თბილისში დაარსებული საგლეხო საქმეთა საგუბერნიო საკრებულოც მონაწილეობდა. რამაზ ანდრონიკაშვილის, როგორც ხსენებული საკრებულოს წევრის, კახეთში ჩასვლა ამ პროცესის ერთ-ერთი ეპიზოდია.

VIII. (გვ. 185) **ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №603. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. ფ. 1. **ხელმოწერა:** დ. ყიფიანი. ტექსტში ნახსენები „შტრაფი“ (რუს. штраф) ნიშნავს **ჯარიმას**.

ეს არის ქვიშხეთში, ტაშისკარსა და მონასტერში მცხოვრები გლეხების წერილობით თხოვნაზე დიმ. ყიფიანის მინაწერი. გლეხები ადრესატს პატიებას სთხოვენ იმის გამო, რომ მის კუთვნილ ტყეში პატრონის ნებართვის გარეშე მოჭრეს ხეები. აქვე სრულად მოგვყავს გლეხების თხოვნა (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №603. ფ. 1):

„მისს მაღალ აღმატებულებას, სტატსკი სოვეტნიკს
და კავალერს **დიმიტრი ივანიჩს ყიფიანს**
სოფლების ქვიშხეთის, ტაშკრის და მონასტრის
საზოგადო გლეხთაგან

უმდაბლესი თხოვნა

თქვენო მაღალ აღმატებულებავე, ნამდვილად ცნობილ ვართ, რომელ წარსულს წელს გვიბძანეთ პირდაპირ არმოჭრა ტივის ხისა. რადგანაც თქვენი მაღალ აღმატებულება ბრძანდებოდა რუსეთს, ჩვენც ვიყავით მომლოდინე თქვენი და დაგაგვიანდათ დიდხანს. ამაზედ მივიქეციით დაყენებულს ლესტინიჩთან (ტყის მცველი – თ. ჯ.) და ვსთხოვეთ ბარათი ხის მოჭრისა. მან არ დაგვცა ნება ვიდრე თქვენს მობრძანებამდინ, – მარამ სხვა და სხვა სოფლების ხალხნი შევიდნენ თქვენს მთაში, დაიწყეს მუშაობა და მოჭრეს უმრავლესი ტივის ხე. ეს არ ვიცით, ვის ნება დართვით შევიდნენ, და ჩვენ ამისა დამნახველთ ჩვენც შევედით და მოვჭერით ტივის ხე, რადგანაც ვრჩებოდით უმუშაოთ, რომლითაც უნდა მიგვეცა კმაყოფილება ჩვენ ჩვენის მოვალისთვის და სახელმწიფო გარდასახადისთვის. – თქვენო მაღალ აღმატებულებავე, ცხადად ჩანს ჩვენი სიმტყუნე; ამისთვის დავარდებით მტირალნი და შეწუხებულნი წინაშე ფერხთა თქვენთა და გთხოვთ შეწყალებითის შებრალებასა, რათა მოგვიტევეთ დანაშაულნი ჩვენი, რადგანაც თქვენ ბრძანდებით მდაბალთა ხალხთა მწყალობელი და მფარველი ყოვლის შეწუხებულის და შევინროებულის პირთა, ეგრეთვე მომატებულად გვაქენან ჩვენ იმედნი, რადგანაც ვართ ჩვენ თქვენის მაღალ აღმატებულების ერთგულნი მოსამსახურენი და რომლისაც ვიქნებით მარად ჟამ მავედრებელნი თქვენის და თქვენის სახლის წინაშე.

ქვიშხეთის, ტაშკრის და მონასტრის საზოგადო გლეხნი
ჩყავ [1866] წელსა. იენისის კ [20] დღესა“.

IX. (გვ. 185) **ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №515. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი** მითითებულია ტექსტშივე – **1866 წლის 8 აგვისტო**. **ხელმოწერა:** დიმიტრი ყიფიანი.

ეს არის მინაწერი 1820 წლის 30 მაისის ნასყიდობის (დიმ. ყიფიანის მტკიცებით – ნაყალბევ) წიგნზე, რომლის მიხედ-

ვითაც, ტეზერში მცხოვრებ აზნაურ ზურაბ ჩხეიძეს ბეკამში მცხოვრებ ბერუა და სოსია კიკაძეებისთვის მიუყიდა „სამკვიდრო მინა შოლის პირზე ორის დღისა“. ნასყიდობის წიგნის ბოლოში დასახელებულნი არიან **მონშეები** და **დამწერი** – ქაიხოსრო ყიფიანი: „არიან ამისი მონამენი ქვიშხეთში მცხოვრებელნი აზნაური დავით ყიფიანი და იმისი ძმა ნიკოლოზ ყიფიანი, კიდევ ქვიშხეთში მცხოვრებელი ნინია ინასარიძე და მე აზნაურს ქაიხოსრო ყიფიანს დამიწერია ამ ორთავეს მხრით თხოვნითა და მონამეცა ვარ ამისი“ (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №515. ფ. 1).

X. (გვ. 185-186) **ხელნაწერი**: ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №80. ავტოგრაფი. უთარილო. ხელმოუწერელი. ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. ფ. 2.

ჩანაწერები მოსდევს დიმ. ყიფიანის 1867 წლის თებერვალ-მარტის დღიურს (ყიფიანი 2020: 119-122). ავტორი ამ დროს პეტერბურგიდან სამშობლოში მოემგზავრებოდა, როგორც ჩანს, გზაში წიგნებს კითხულობდა და წაკითხული წიგნებიდან სხვადასხვა ტიპის ინფორმაციას ინერდა. შესაბამისად, ეს ჩანაწერები **1867 წლის თებერვალ-მარტით უნდა დათარიღდეს**.

XI. (გვ. 186-187) **ხელნაწერი**: ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №323. ავტოგრაფი. უთარილო. ხელმოუწერელი. რუსულ ენაზე. ფ. 1.

სასამართლო რეფორმა, რომელიც წინამდებარე ჩანაწერის თემაა, ალექსანდრე II-მ 1864 წელს დაამტკიცა, პრაქტიკულად 1866 წელს დაიწყო, ხოლო საქართველოში (ზოგადად ამიერკავკასიის მხარეში) 1868 წლიდან დაიწერა. ამ უკანასკნელ მონაცემზე დაყრდნობით ტექსტს გარკვეული ალბათობით **1868 წლით ვათარიღებთ** (რეფორმის ხასიათსა და ძირითად შედეგებზე დიმ. ყიფიანის შეხედულებები იხ. ყიფიანი 2018: 247-277).

XII. (გვ. 187-189) **ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №116. ავტოგრაფი. უთარილო. ხელმოუწერელი. რუსულ ენაზე. ფ. 2. **სათაური:** Расход моей бришюры.

ტექსტს დიმ. ყიფიანის ხელით თავზე აწერია: „Расход моей бришюры“ [„ვის მივეცი ან გავუგზავნე ჩემი ბროშურა“]. **ბროშურა:** 1868 წლის ბოლოს დიმ. ყიფიანმა გამოსცა ბროშურა „Мингрельский княжеский дом и Димитрий Кипиани“ (ყიფიანი 1868; ცენზურის ნებართვა გაცემულია 1868 წ. 26 ნოემბერს), ხოლო მომდევნო, 1869 წელს – მისი ქართული თარგმანი „სამეგრელოს მთავრის სახლი და დიმიტრი ყიფიანი“ (ყიფიანი 1869; ყიფიანი 2020: 11-33). წინამდებარე ჩანაწერი 1868 წლის გამოცემას ეხება, თუმცა არც ის არის გამორიცხული, ზოგ შემთხვევაში იგულისხმებოდეს ქართული გამოცემაც, რომელიც 1869 წ. გაზაფხულზე დაიბეჭდა (ცენზურის ნებართვა 1869 წ. 15 მარტსაა გაცემული – ყიფიანი 1869: 2). ამიტომაც უნდა იყოს ზოგიერთი პირი (კ. ნიჭარაძე, ალ. არღუთინსკი, ალ. ვართანოვი...) ნახსენები ორ-ორჯერ. ვინაიდან ბროშურები 1869 წელსაა დარიგებული (ბარონ ნიკოლაის გამოკლებით, ვისთვისაც დიმ. ყიფიანს თავისი ბროშურა 1868 წ. 4 დეკემბერს გაუგზავნია), ტექსტს **1869 წლით ვათარილებთ.**

ჩანაწერში ნახსენები პირები, რომელთა სახელებიც შემოკლებულადაა ნახსენები ან განმარტებას მოითხოვს, არიან (ცნობები მათ შესახებ იხ. აქვე, პირთა საძიებელი):

კოსტ. – შვილი დიმ. ყიფიანისა, კოტე ყიფიანი, რომელიც ამ დროს მოსკოვშია სასწავლებლად წასული; თ. **ალ. რომ. არღუთ.** – თავადი ალექსანდრე რომანის ძე არღუთინსკი-დოლგორუკოვი; **მის. ყიფიანი** – ძნელია თქმა, აქ რომელი იგულისხმება: *მიხეილ (მიხაკო) ზაალის ძე ყიფიანი*, თუ *მიხეილ (მიშო) ქაიხოსროს ძე ყიფიანი*; **ბერენშტ.** – გუსტავ ბერენშტამი; თ. **ივ. გრუზ.** – თავადი ივანე (იოანე) გრუზინსკი; **კოლია** – შვილი დიმ. ყიფიანისა, ნიკოლოზ ყიფიანი (ამ დროს პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტია, თუმცა სტუდენტურ მღელვარებებში მონაწილეობისთვის მალე გარიცხავენ და ადმინისტრაციული

ნესით დააბრუნებენ საქართველოში); **ნინ. იაგ. ჭილ.** – მეუღლე დიმ. ყიფიანისა, ნინო იაგორის (გიორგის) ას. ჭილაშვილ-ყიფიანი; **სალომე აბხაზ.** – სალომე აბხაზი; **ხიმშ.** – დიმიტრი (?) ხიმშიაშვილი; **ალ. პეტ. ვართ.** – ალექსანდრე პეტრეს ძე ვართანოვი; **ქეთევ. ერ.** – ქეთევან ერისთავი (?); **თეკლ. აბ.** – თეკლა აბაშიძე; **ეგზარქოსი** – ევსევი ეგზარქოსი (ილინსკი).

ვერ გამოვარკვეეთ ვინაობა შემდეგი პირებისა: **დათიკო, გიგო, ალექსი; იასე რომ.; ივ. ზაქ. ძე ზარ.** და **ფიტ.** და **ჟურ;** **ნიკ. ვას.** – მითითებულია გვარი, რომლის ნაკითხვა ვერ შეეძელით.

XIII. (გვ. 189) კომენტარებად დართული აქვს უ. შექსპირის პიესის „ვენეციელი ვაჭარი“ დიმ. ყიფიანისეულ თარგმანს („მნათობი“, 1872, №3, გვ. 1-54; №4-5, გვ. 1-64). დაცულია თარგმანის მონაკვეთის (IV და V მოქმედებები) ავტოგრაფული ხელნაწერი, დათარიღებული 1872 წ. 15 იანვრით (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №111. შავი. ფ. 13).

¹ (გვ. 189) **„არგოზები: ძველს დროებში არგოზი ერქვა ... აქედამ – არგო-ნავი, არგო-ნავით“** – კომენტარი სალარინოს [ვ. ჭელიძის თარგმანში – სალერიო (შექსპირი 1985: 234)] მიერ ანტონიოსთვის ნათქვამისა: „თქვენი დიდრონი და მძიმედ დამარაგებული არგოზები დიდებით მოსცურვენ საპატიო და დიდ-ქეთხუდა მოქალაქეებივითა“ (შექსპირი 1872: 3).

² (გვ. 189) **„უნინ სისხლის სინითლე იყო თურმე ნიშანი ვაჟკაცობისა ... ის უფრო ვაჟკაცათ მიაჩნდათ“** – კომენტარი მაროკოს პრინცის (დიმ. ყიფიანთან – პრინცი მოროკელი) ნათქვამისა: „ერთი ძალიან მშვენიერი მომგვარეთ ვინმე, ჩრდილოეთის მხარეზედ დაბადებული... ვნახოთ სისხლი ვისი უფრო ნითელია, იმისი თუ ჩემი“ (შექსპირი 1872: 24).

³ (გვ. 189) **„ცოტას განყდა კინალამ ბალიშზე არ დავეცი“ – ცოლის შერთვას გადავრჩიო“** – კომენტარი ლანჩელოტის (დიმ. ყიფიანის თარგმანში – ლანსლო) ნათქვამისა: „სამჯერ რო წყალში დახრჩობას გადავრჩი და ერთხელ ცოტას განყდა, კინალამ ბალიშზე არ დავეცი...“ (შექსპირი 1872: 34).

⁴ (გვ. 189) „14 აპრილს 1360 წ. აღდგომის მეორეს დღეს ... ამითი დაერქვა იმ დღეს შ ა ვ ი ო რ შ ა ბ ა თ ი“ – კომენტარი ლანჩელოტის (დიმ. ყიფიანის თარგმანში – ლანსლო) რეპლიკისა: „მაშ ტყუილათ არა მდენია ცხვირიდამ სისხლი წასულს შავ-ორშავათსა“ (შექსპირი 1872: 39-40).

XIV. (გვ. 190-191) **ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №583. უცნობი (სავარაუდოდ, კოტე ყიფიანის) ხელით ნაწერი. რუსულ ენაზე. უთარილო. ხელმოუწერელი. ფ. 4; კურსივით აღნიშნული ბოლო ორი სტრიქონი დიმ. ყიფიანის ავტოგრაფული მინაწერია. **სათაური:** „Дело о приёме Чумателетской, Итрийской, Понской и Ципской лесных дач“ [„საქმე ჩუმათელეთის, იტრიის, ფონისა და წიფის ტყიანი მიწების მიღების შესახებ“]. ჩანაწერი დართული აქვს საბუთს, რომელიც დასახელებული სოფლის გლეხობასა და დიმ. ყიფიანს შორის მიწით სარგებლობასთან დაკავშირებულ ურთიერთვალდებულებებს ეხება. საბუთი დათარიღებულია 1872 წლის 2 ივლისით. უნდა ვიფიქროთ, წინამდებარე ჩანაწერიც იმავე დღეებისა იქნება. ამ მონაცემზე დაყრდნობით ტექსტს გარკვეული ალბათობით **1872 წლის ივლისით ვათარიღებთ.**

პირველ ფურცელს თავზე დიმ. ყიფიანის ხელით აწერია: „К делу о Борджомском процессе. *ბორჯომის პროცესის* შესახებ იხ. აქვე, „გარიგება გენერალ მიხეილ ასტაფიევთან“ (გვ. 218-220, 413-414).

XV. (გვ. 191) **ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №1938. ავტოგრაფი. უთარილო. ხელმოუწერელი. რუსულ ენაზე. ფ. 1.

ეს არის მინაწერი ანტონ ყიფიანის მიერ 1873 წ. 20 თებერვალს გამოგზავნილ წერილზე, რომლის მიხედვითაც, მას ტყულის გუბერნიის ქ. ბელევიში განლაგებული დივიზიის უფროსის ბრძანებით ორთვე-ნახევარს აძლევენ სხვა ნაწილში გადასასვლელად. დაცულია ანტონ ყიფიანის კიდევ ერთი, ქ. ბელევიდან

1873 წლის 19 მარტს გამოგზავნილი, წერილი, რომლითაც იგი დიმ. ყიფიანს პოლკის უფროსთან უთანხმოების გამო სხვაგან გადასვლაში დახმარებას სთხოვს (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №1681. ფ. 2).

წინამდებარე მინაწერს ტექსტშივე მითითებულ მონაცემზე („მ მაისს დეპეშით ვთხოვე...“) დაყრდნობით **1873 წლის მაისით ვათარილებთ.**

ანტონ ყიფიანი არის დიმ. ყიფიანის ძმისწული (გიორგი ყიფიანის ძე). ნატალია ყიფიანის „მოგონების“ მიხედვით, ანტონმა „დაამთავრა უმაღლესი სამხედრო სასწავლებელი და ცხოვრობდა და მსახურობდა რუსეთში“ (საშვილიშვილო მოკავშირე... 2007: 173). ნიკოლოზ ყიფიანი ა. ყიფიანს უწოდებს „გარუსებულს და რუსეთში დარჩენილს“ (საშვილიშვილო მოკავშირე... 2007: 5).

XVI. (გვ. 191-192) **ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №312. ავტოგრაფი. უთარილო. ხელმოწერილი. ქართულ ენაზე. ფ. 1.

ჩანაწერი ეხება „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ შემოსავალ-გასავალს. საქმეშია (ფ. 5) იონა მეუნარგიას მიერ შედგენილი მონაცემები „საზოგადოების“ შემოსავალ-გასავალის შესახებ, რომელსაც მოსდევს დიმ. ყიფიანის წინამდებარე ჩანაწერი.

„ქმნ-კვ საზოგადოების“ მმართველობამ, სანამ ახალ სკოლებს გახსნიდა, 1879 წ. 20 ოქტომბრის სხდომაზე უკვე არსებული სკოლების დახმარება გადაწყვიტა (გოდერიძე 1978: 24). „საზოგადოების“ 1880 წლის 15 მაისით დათარიღებულ ერთი წლის (15.V, 1879-15.V, 1880) ანგარიშში (გოდერიძე 1978: 37-44) ნახსენებია დახმარების განევა ნაესაკოვოს (19 მან. წიგნები), მეტეხის (80 მან.), კავთისხევის (200 მან.), ახალგორის (120 მან.) სკოლებისთვის (დასახელებულია სხვა სოფლებიც: რუისი, კონდოლი, ფშაველი, ვანი, ეწერი, კორცხელი, ახუთი, ეკი, ბახვი, ძიმითი, ნიგოითი, სადმელი და სხვ. – გოდერიძე 1978: 41).

როგორც ჩანს, დიმ. ყიფიანს მონაცემები სწორედ ამ ანგარიშიდან აქვს აღებული. უნდა ვიფიქროთ, წინამდებარე ტექსტი ანგარიშის წარდგენისა და განხილვის დღეებში დაინერებოდა და, შესაბამისად, შესაძლებელია, იგი **1880 წლის მაისით დათარიღდეს**.

¹ (გვ. 191) **„პირველ წელიწადში სმეტით ველოდით – 26 120 მან-ს.“** – „სმეტა“: (რუს. Смета) – **ხარჯთაღრიცხვა**. ეს თანხა შემდეგი წყაროებიდან უნდა შემოსულიყო: დამფუძნებელი წევრების სანევრო გადასახადი – 2520 მან.; ნამდვილ წევრთა სანევრო გადასახადი – 600 მან.; სხვადასხვა შემოსავალი – 1000 მან.; ქუთაისის საადგილმამულო ბანკისგან – 11 000 მან.; თბილისის საადგილმამულო ბანკისგან – 11 000 მან.; სულ – 26 120 მან. (გოდერიძე 1978: 38). **სხვადასხვა შემოსავალი**: იგულისხმება „ქმნ-კვ საზოგადოების“ სასარგებლოდ ჩატარებული ღონისძიებებიდან (სპექტაკლები, კონცერტები, ბალები და სხვ.) შემოსული ფული (გოდერიძე 1978: 21).

² (გვ. 192) **„1 იანვარს კასსაში იყო“** – „კასა“: (რუს. Касса) – **სალარო**.

XVII. (გვ. 192-193) **ხელნაწერი**: ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №301. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **ხელმოწერა**: Дим. Кипиани. საბუთის ბოლოში მინაწერია: „1880 წლის 5 სექტემბერი. მივიღე **ორას ოცი** მან. (220) წერა-კითხვის საზოგადოების ხაზინადრისთვის გადასაცემად. საზოგადოების მდივანი **ი. მეუნარგია**“.

1880 წელს დიმ. ყიფიანი ნ. დადიან-მინგრელსკის მაიორატთან დაკავშირებულ საქმეებზე პეტერბურგში იმყოფებოდა (საკითხის შესახებ იხ. ყიფიანი 2020: 387-388). წინამდებარე ჩანაწერში „ქმნ-კვ საზოგადოების“ პეტერბურგში მცხოვრები წევრები არიან ჩამოთვლილი.

1882 წლის იანვრიდან ივნისის შუა რიცხვებამდე დიმ. ყიფიანი იმავე საქმეზე კიდევ ერთხელ იმყოფებოდა პეტერ-

ბურგში და დასახელებული პირების ერთი ნაწილისთვის (მიხ. ლორის-მელიქოვი და მისი ოჯახის წევრები, ალ. ჩიქოვანოვი) კვლავ გამოურთმევია „საზოგადოების“ საწევრო შესატანი (ამ ჯერზე – 1881-1882 წლებისა. იხ. დღიური 1882 წლისა, ყიფიანი 2020: 133). იმავე 1882 წლის 24 ივნისს უკვე სამშობლოში მყოფი დიმ. ყიფიანი „ქმნ-კვ საზოგადოების“ გამგეობას სწერს (სავარაუდოდ, ქვიშხეთიდან) – პეტერბურგიდან „მე მომყვა თან წევრთაგან შემოტანილი“ ფულიო (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №309. ფ. 1).

¹ (გვ. 192) „1880 და 1881 წლებისა“ – ალ. ჩიქოვანოვს (ჩეკუანოვს) 1881 წლის საწევრო წინასწარ გადაუხდია. ამაზე მეტყველებს სხვა საბუთიც, რომლის მიხედვითაც, 1882 წელს მიხ. ლორის-მელიქოვი და მისი ოჯახის წევრები 1881-1882 წწ. საწევროს იხდიან, ალ. ჩიქოვანოვი კი – მხოლოდ 1882 წლისას (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №309. ფ. 1).

XVIII. (გვ. 193-194) **ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №311. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. უთარილო. ხელმოწერელი. ფ. 1.

ჩანაწერი ეხება „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ საქმიანობას. ტექსტის **დასათარილებლად** ვიყენებთ მასშივე მოცემულ ქრონოლოგიურად პირველ და ბოლო თარიღებს: **1880 წლის 8 მარტსა და იმავე წლის 4 სექტემბერს.**

¹ (გვ. 193) „ჩანგურის“ დაბეჭდვა (საშური არა ყოფილარა)“ – „ჩანგური“: „ქმნ-კვ საზოგადოებას“ ივანე მაჩაბლის ინიციატივით გადაწყვეტილი ჰქონდა, გამოეცა ლექსთა კრებული „ჩონგური“. ამის შესახებ 1880 წლის 15 მარტის სხდომის ოქმში ვკითხულობთ: „მაჩაბელის აზრი „ჩონგურის“ გამოცემაზე მმართველობამ მიიღო და დაადგინა: მიენდოს რ. ერისთოვს, გ. წერეთელს, ი. მაჩაბელს და ი. ლომაუროვს წარმოუდგინონ

მმართველთა იმ ლექსების სია, რომლების მოთავსებაც „ჩონგურში“ სასარგებლოთ დაინახავენ. შემდეგ ლექსების სათაურების წარმოდგენისა და მათი შინა-არსების განხილვის საზოგადოება შეუდგება „ჩონგურის“ დაბეჭდვას“ (სეა. ფონდი 481. აღნ. I. საქ. 2. ფ. 81). რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ეს კრებული არ გამოცემულა.

² (გვ. 194) „ანგარიში“ – იგულისხმება „ქმნ-კგ საზოგადოების“ მიერ 1879 წ. 15 მაისიდან 1880 წ. 15 მაისამდე განეული შრომის ანგარიში (ტექსტი ანგარიშისა იხ. გოდერიძე 1980: 37-44).

³ (გვ. 194) „...20-ის ოქტობრის პროტოკოლისა“ – იგულისხმება **1879 წლის** 20 ოქტომბრის სხდომის პროტოკოლი (ოქმი) (გოდერიძე 1978: 23-26).

XIX. (გვ. 194) **ხელნაწერი**: ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №492. ავტოგრაფი. უთარილო. ხელმოუწერელი. რუსულ ენაზე. ფ. 2. ტექსტის **დასათარილებლად** ვიყენებთ მასშივე მოცემულ ბოლო თარიღობრივ მონაცემს – **1880 წლის 28 სექტემბერს**.

ეს არის მინაწერი ნ. დადიან-მინგრელსკის მაიორატის საქმესთან დაკავშირებით შექმნილი დროებითი სახელმწიფო კომისიის მიერ დიმ. ყიფიანისთვის პეტერბურგიდან გამოგზავნილ წერილზე, რომლითაც ადრესატს სამეგრელოში მივლინებით გამგზავრებას სთხოვენ. წერილი დათარიღებულია 1880 წ. 8 აგვისტოთი და მას ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე, რუსეთის სახელმწიფო ქონების მინისტრი ანდრია ლივენნი (კომისიასა და მის მდივანთან, თედორე სმირნოვთან დიმ. ყიფიანის ურთიერთობის შესახებ იხ. ყიფიანი 2020: 123-134, 215-234, 387-400). პეტერბურგიდან გამოგზავნილ წერილზე არის დიმ. ყიფიანის კიდევ ერთი მინაწერი: „მივიღე 24 სექტ. ქვიშხეთში“. ასე რომ, დიმ. ყიფიანი და თ. სმირნოვი **თბილისში ქვიშხეთიდან გამგზავრებულან**.

¹ (გვ. 194) „ვნახეთ მთავრის მეუღლე ე. ა.“ – იგულისხმება **ეკატერინე დადიანი**.

XX. (გვ. 194-195) **ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №40. ავტოგრაფი. უთარილო. ხელმოუწერელი. რუსულ და ქართულ ენებზე. ფ. 1. თარიღდება ტექსტისავე მონაცემით: „**მივეცი 30 ივნისს 1881 წ. პ. ბურღში**“. კურსივით აკრეფილი ბოლო წინადადება („ეს ცნობა მთხოვა...“) ქართულ ენაზეა, დანარჩენი ტექსტი – რუსულ ენაზე.

დიმ. ყიფიანი სამეგრელოს სამთავრო ოჯახის საკუთრების მეურვედ დაინიშნა 1859 წ. აპრილში (ყიფიანი 2020: 13), კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს წევრი კი იგი იყო (1857-1862 წწ.; საბჭოს წევრობიდან დათხოვნილ იქნა 1862 წ. 21 ივნისს – ყიფიანი 2018: 424). იმ დროს, როცა წინამდებარე ტექსტი დაინერა, დიმ. ყიფიანი ნ. დადიან-მინგრელსკის მაიორატთან დაკავშირებით პეტერბურგში შექმნილი დროებითი სახელმწიფო კომისიის წევრი იყო (ყიფიანი 2020: 388). საკითხთან (სახელფასო შემოსავალთან) დაკავშირებით იხ. აგრეთვე, აქვე, გვ. 47-48.

XXI. (გვ. 195-196) **ხელნაწერი:** ქლსმ. №17462-ბ. ავტოგრაფი. ფრანგულ და ქართულ ენებზე. ფ. 2. **ნაბეჭდი:** მეუნარგია 1940: 340-141; მეუნარგია 1954: 189-190; მთვარელიძე 2018: 47-49. **თარიღი:** 9 ოქტომბერი 1881. ქვიშხეთი. **ხელმოწერა:** დიმ. ყიფიანი.

ერთ ჩვენს ადრინდელ ნაშრომში ბოსიუეს ეს ტექსტი ლათინური ენიდან თარგმნილად მოვიხსენიეთ (ჯოლოგუა 2002: 178) და, სამწუხაროდ, ეს შეცდომა წინამდებარე გამოცემის IV ტომში გავიმეორეთ (ყიფიანი 2020: 492). სინამდვილეში ბოსიუეს ქადაგება დიმ. ყიფიანს **ფრანგული** ენიდან აქვს თარგმნილი.

რაც შეეხება თარგმანის ისტორიას, დიმ. ყიფიანმა XVII ს. ფრანგი მწერლისა და სასულიერო მოღვაწის, **ჟაკ ბენინ ბოსიუეს** (ყიფიანთან – *ბოსსვეტი*; მეუნარგიასთან – *ბოსსიუეტი*; ფრანგულად – *Bossuet*), წინამდებარე ქადაგება იონა მეუნარგიას თხოვნით თარგმნა. ამის შესახებ ი. მეუნარგია წერს:

„ძველი და ახალი ენის ერთმანეთთან შედარება, – ბოდიშს ვიხდის წინდანინ, თავისთავზე ლაპარაკისათვის, – ყოველთვის შეადგენდა ჩემს ჭეშმარიტ სიამოვნებას. ამ რვა-ცხრა წლის წინათ, როდესაც ამ საგანზე მქონდა სჯა განსვენებულ დიმიტრი ყიფიანთან, მე ვსთხოვე იმას გადაეთარგმნა ჩემთვის ერთი ნაწყვეტი ბოსსიუეტის ქადაგებისა პავლე მოციქულზე. მე მქონდა სახეში არა ის, თუ როგორ გადმოვიდოდა ეს ტექსტი ძველ ან ახალ ქართულ ენაზე, არამედ ის, შეიძლებოდა თუ არა ქართულ ენაზე ბოსსიუეტის მაღალი და გამტაცი სიტყვა ასევე მაღალფარდოვნად და სწრაფად გადათარგმნილიყო. ჩვენი ლაპარაკის შემდეგ ორი კვირა რომ გავიდა, მე მომივიდა ყიფიანისაგან ეს თარგმანი...“ (მეუნარგია 1954: 189).

XXII. (გვ. 197) **ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №103. ავტოგრაფი. უთარილო. ხელმოუწერელი. რუსულ ენაზე. ფ. 3.

1882 წელს დიმ. ყიფიანმა სანქტ-პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში დაბეჭდა თავისი „ახალი ქართული გრამმატიკა“ (ყიფიანი 1882^ა; ყიფიანი 2019: 258-418). ამ საქმესთან დაკავშირებით მას მიმონერა ჰქონდა სტამბის თანამშრომლებთან (ყიფიანი 2019: 489-490). წინამდებარე ტექსტი დიმ. ყიფიანის მინაწერია სტამბის წარმომადგენლის 1883 წ. 11 აპრილის წერილზე, რომლითაც „გრამმატიკის“ ავტორს ატყობინებენ, რომ წიგნის ეგზემპლარები რკინიგზის სადგურ მიხაილოვოს [ხაშური] მისამართით უკვე გამოგზავნილია საქართველოში (275 ეგზ. თბილისში, 275 ეგზ. ქუთაისში – ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №103. ფ. 1).

ჩანაწერის დასათარილებლად – **1883 წ. 22 აპრილი** – ვიყენებთ ტექსტშივე მითითებულ მონაცემს: „22 აპრილს წერილი გავუგზავნე...“

სხვა, 1883 წ. 25 იანვრის, წერილით დიმ. ყიფიანი სტამბას სთხოვს „გრამმატიკის“ თითო ეგზემპლარი ავტორის სახელით საჩუქრად გადასცენ პეტერბურგში მცხოვრებ ქართველებს:

დავით ჩუბინოვს, ნიკოლოზ დადიანს, ვასილ მაჩაბელს, ივანე ნაკაშიძეს, აგრეთვე, მიხეილ საბინინს (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №102. ფ. 1).

XXIII. (გვ. 197) **ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №104. ავტოგრაფი. უთარილო. ხელმოუწერელი. ქართულ ენაზე. ფ. 1.

ეს არის მიძღვნილი წარწერები დიმ. ყიფიანის „ახალი ქართული გრამმატიკის“ (იხ. წინა ჩანაწერის კომენტარი) ეგზემპლარებზე, რომლებიც ავტორს თავისი ქალიშვილის – ელენე ლორთქიფანიძის, აგრეთვე, ვახტანგ ორბელიანისა და გიორგი რევაზის (რომანის, რომანოზის) ძე ერისთავისთვის უჩუქებია. ტექსტის დასათარიღებლად – **21 მაისი-6 ივნისი. 1883 წ.** – ვიყენებთ: ა) ელენე ლორთქიფანიძის ეგზემპლარის მიძღვნილი წარწერას („21 მაისი 1883“. იხ. აქვე, კომენტ. 1); და ბ) დიმ. ყიფიანის ჩანაწერს „ვის მივეცი ან გაუფუგზავნე ჩემი გრამმატიკა“, რომლის მიხედვითაც თავისი „გრამმატიკა“ ავტორს გ. რ. ერისთავისთვის 1883 წ. 6 ივნისს გაუგზავნია (იხ. აქვე, გვ. 198).

¹ (გვ. 197) **„აჰა, ჩემო სიცოცხლე შვილო ელენე! ... მამაშენი დიმ. ყიფიანი“** – „ახალი ქართული გრამმატიკის“ ერთ-ერთ ეგზემპლარზე, რომელიც ელენე ლორთქიფანიძის ნაქონია და ამჟამად შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაშია დაცული, არის დიმ. ყიფიანის ავტოგრაფული მიძღვნილი წარწერა: „აჰა, ჩემო სიცოცხლე შვილო ელენე, შენთვის და შენი ძმებისათვის დაწერილი წიგნი! იკითხეთ, იკვლიეთ და რაც მამის ნაღვანს ნაკლებობა ჰქონდეს, შევსებას ეცადეთ. შენით ბედნიერი მამაშენი. 21 მაისი 1883“ (მოგვანოდა ბიბლიოთეკის გამგემ, ხათუნა კვახაძემ, რომელსაც მადლობას მოვახსენებთ). აქვე უნდა ითქვას, რომ მიძღვნილი წარწერა 1883 წ. 21 მაისით კი არის დათარიღებული, მაგრამ თვითონ წიგნი დიმ. ყიფიანს ქალიშვილისთვის იმავე წლის 23 ივლისს გაუგზავნია (იხ. აქვე, გვ. 198).

² (გვ. 197) **„უძღვნი თ-დს გიორგი რომანიჩს ერისთავს“** – გა-
მოქვეყნებულია გ. რ. ერისთავის სამადლობელი წერილი დიმ.
ყიფიანისადმი:

„გრამატიკა შენგან შეთხზული ჩემგან დაუფინყარო ძველო
გულითადო მეგობარო დიმიტრი ივანიჩ მოვიდა. ავადმყოფობის
გამო და სხვა და სხვა შემთხვევამ დამაგდო, აქამდის ვერ გიძლ-
ვენ მადლობა დაუფინყრობისთვის. ბევრჯელ კეთილად და ერთგუ-
ლად შრომა გაგინევია და გიზრუნავს ქვეყნის კეთილ-მდგომარე-
ობისთვის. ამგვარი მოქმედება დასაფინყარი არ არის არავისგან,
მეტადრე მათთვის, ვისაც ესმის თავის მოვალეობა ღვთის, ხელმ-
წიფის, ხალხის და სახლობის წინაშე. ამისთვის ჩვენს ათონელთ
წმ. მამებს უჩვენებიათ გონების გასანათლებლად – რომელიც
ასწავებს მოვალეობასა – მომენტი, როდესაც მაცხოვარი ჩადის
იორდანეში და ყ-დ წ-ა სული გადმოაფენს ნათელს. გადმოუთარგ-
მნიათ ნათლის ღებათ, ესე იგი ნათელის მიღება, რომელსაც აქვს
დიდი მნიშვნელობა კაცობრიობის გონების განათლებაში და ზნე-
ობით ამაღლებაში.

მსურველი გულით და სულით დაუფინყარო მეგობარო დიმი-
ტრი ივანიჩ ყოვლის კეთილისა ღმერთსა ვსთხოვ კიდევ მშვიდო-
ბით გვენახოს ერთმანეთი.

მარად ერთგული
გიორგი ერისთავი

12 ნოემბერს. 1883 წელს.

ქ. თბილისი (სახალხო გაზეთი 1912^ბ; დედანი იხ. ქლსმ. №15107-ხ).

პუბლიკაციას წინ უძღვის სარედაქციო შენიშვნა: „დიმიტრი
ყიფიანის შვილის-შვილმა გადმოგვცა ქვემოთ მოყვანილი წერ-
ილი გიორგი ერისთავისა. წერილს ზევიდან დიმიტრი ყიფიანის
ხელით აწერია: „ქნ. გიორგი რომანიჩისაგან. 15 ნოემბ. 1883“
(სახალხო გაზეთი 1912^ბ). „შვილის-შვილი“: იგულისხმება **ელის-
აბედ (ვეტა) ნიკოლოზ ყიფიანის ას. სულხანიშვილი** [ორი სხვა

შვილიშვილი დიმ. ყიფიანისა: ბარბარე (ვარა) და ნინო (ნუცა) ნიკოლოზის ას. ყიფიანები 1912 წელს საქართველოში არ იმყოფებოდნენ].

XXIV. (გვ. 197-198) **ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №89. ავტოგრაფი. უთარილო. ხელმოუწერელი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **სათაური:** Мои процессы.

ჩანაწერში ნახსენები **კანდინოვის** საქმის გამო დავა გორისა და თბილისის სასამართლოებში მიმდინარეობდა 1858-1869 წწ. (ივანე სტეფანეს ძე კანდინოვი დიმ. ყიფიანს 1850 წლის მარტში 3 წლით აღებულ ვალს არ უბრუნებდა. დოკუმენტური მასალა საქმის გარშემო იხ. ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №№640-652. ფ. 26). **ბორჯომის** საქმის შესახებ იხ. აქვე, გვ. 218-220, 413. ჟურნალ „**იურიდიჩესკოე ობოზრენიეში**“ (1884, №№148, 150, 183) გამოქვეყნებული სტატიები დიმ. ყიფიანისა იხ. ყიფიანი 2018: 247-300. ამათ გარდა, დიმ. ყიფიანს იმავე ჟურნალში გამოქვეყნებული აქვს სტატია „წერილი ალექსანდრე ფრენკელს“ (13.XII, 1884, №194), რომელიც, მსგავსად სხვებისა, სასამართლო დავას ეხება, თუმცა ჩანაწერში არ არის ნახსენები. შესაბამისად, უნდა ვიფიქროთ, წინამდებარე ტექსტი დაინერგოდა ავტორის მიერ დასახელებულთაგან ქრონოლოგიურად ბოლო (27 სექტემბერი, 1884, №183) და დაუსახელებლ (13 დეკემბერი, 1884, №194) სტატიებს შორის დროის მონაკვეთში. ამ მონაცემებზე დაყრდნობით, ტექსტს **1884 წლის სექტემბერ-დეკემბრით ვათარილებთ.**

¹ (გვ. 197) „**სასამართლო რეფორმამდე**“ – ავტორს მხედველობაში აქვს ამიერკავკასიის მხარის სასამართლო რეფორმა, რომელიც ჩვენში 1868 წლიდან დაიწყო და, თავის მხრივ, შემადგენელი ნაწილი იყო ალექსანდრე II-ის მიერ 1864 წელს დამტკიცებული, პრაქტიკულად 1866 წლიდან დაწყებული და რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში იმპერიის მასშტაბით მიმდინარე ძირეული სასამართლო რეფორმებისა.

XXV. (გვ. 198-199) **ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №105. ავტოგრაფი. უთარილო. ხელმოუწერელი. ქართულ ენაზე. ფ. 1. **ვათარღებთ თვითონ ტექსტის მონაცემებით – პირველი (1883 წ. 17 მაისი) და ბოლო (1885 წ. 17 მარტი) თარიღებით.**

ტექსტში გვარების გარეშე ნახსენები პირები არიან: **კოლა** – ვაჟიშვილი დიმ. ყიფიანისა, ნიკოლოზ (კოლა) ყიფიანი; **კოტე** – ვაჟიშვილი დიმ. ყიფიანისა, კონსტანტინე (კოტე) ყიფიანი; **ლოკა** – ქალიშვილი დიმ. ყიფიანისა, ელენე (ლოკა) ლორთქიფანიძე; **„იმის ძმას, ბათუმელს“** – მოსე ნათაძე; **„ჩემს დისწულს ალექსის“** – დიმ. ყიფიანს ოთხი და ჰყავდა: თინათინ მუსხელიშვილი, ანასტასია კვალიაშვილი, მარიამ მაღალაშვილი და მართა მესხი. ამათგან მარიამ მაღალაშვილსა და მართა მესხს შვილები არ ჰყოლიათ [იხ. კოტე ყიფიანის მიერ შედგენილი „აზნაურთ ყიფიანების ჩამომავლობის შტო“. საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის მუზეუმი – ხელოვნების სასახლე. კოტე ყიფიანის არქ., №1469 (1)]. დარწმუნებით ვერ ვამბობთ, დიმ. ყიფიანის რომელი დის შვილი შეიძლება ყოფილიყო **ალექსი**: თინათინ მუსხელიშვილისა, თუ ანასტასია კვალიაშვილისა.

¹ (გვ. 198) **„ვის მივეცი ან გავუგზავნე ჩემი გრამმატიკა“** – **გრამმატიკა:** იგულისხმება დიმ. ყიფიანის **„ახალი ქართული გრამმატიკა“** (იხ. აქვე, გვ. 403).

² (გვ. 198) **„პასუხი 15 ნოემბერს 1883“** – **პასუხი:** იგულისხმება გიორგი რევაზის (რომანის, რომანოზის) ძე ერისთავის 1883 წ. 12 ნოემბრის წერილი დიმ. ყიფიანისადმი. **15 ნოემბერი** წერილის მიღების თარიღია (იხ. აქვე, გვ. 405).

XXVI. (გვ. 199) **ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №113. რუსულ ენაზე. ავტოგრაფი. უთარილო. ხელმოუწერელი. ფ. 1.

ტექსტის სავარაუდო თარიღად შ. გოზალიშვილმა **1880-იანი წლები** მიიჩნია (გოზალიშვილი 1951: 22), თუმცა ჩვენ ამ თარგმანის თარიღთან დაკავშირებით ვერც შ. გოზალიშვილის შეხე-

დულების დამადასტურებელი, ვერც სხვა ხელმოსაჭიდი მონაცემი ვერ მოვიპოვეთ. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ საკუთარ სახელთა დანერილობა (Руставель, Шафтель, Тмогвский...), შესაძლოა, **1840-იან წლებზე** მიუთითებდეს, როცა ძველი ქართული ლიტერატურის უცხოურ ენებზე თარგმნის ტრადიცია ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული. ყოველ შემთხვევაში, 1854 წელს დანერილ ერთ თავის თხზულებაში „რამდენიმე მოსაზრება საქართველოს ისტორიის მასალებზე“ დიმ. ყიფიანი სწორ ფორმებს იყენებს: Руставели, Шавтели, Тмогвели (ყიფიანი 1854^ა; 1854^ბ; ყიფიანი 1854^ა: 27, 32).

ს ა მ ო ქ ა ლ ა ქ ო ბ ა რ ი ბ ე ბ ე ბ ი

ხელშეკრულება დადებული თეოდორე ნაპოლეონ შივოსთან (გვ. 203)

ხელნაწერი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. დიმ. ყიფიანის არქივი. საქმე №593. რუსულ და ფრანგულ ენებზე (პარალელური ტექსტები). ფ. 2.

თარიღი: 1848 წ. 14 ივნისი.

ხელმოწერა: Димитрий Кипиани. Théodore Napoléon Chivot.

ხელშეკრულება დამოწმებულია თბილისის საჯარო ნოტარიუსის (Публичный нотариус), კოლეგიის მდივან მ. სარაჯიშვილის (Коллежский секретарь М. Сараджев) მიერ.

1850 წლის 22 იანვარს დიმ. ყიფიანი თავისი მეუღლის, ნინო ქილაშვილ-ყიფიანის, ბიძას, გენერალ ბორის გაბრიელის ძე ქილაშვილს, სწერს:

„...რაც შეეხება ჩემს მანქანას, ამის შესახებაც აუცილებლად უნდა მოგწეროთ, რადგანაც იგი ჩემი ფიქრებისგან განუშორებ-

ლია; – დღეს მას გადაიტანენ ხმელეთზე და ამ დღეებში პირველი გამოცდაც ჩატარდება. რასაც ღმერთი ამ გამოცდით მიბოძებს, ყველაფრის შესახებ მომავალ შაბათს მოგწერთ. – ამჟამად ჩემი გამოგონების გარშემო თბილისის მოსახლეობის ყველა ფენაში მსჯელობენ. ბევრი ამბობს, რომ ეს დიდად თავსამტვრევი ნა-მონყებაა; სხვები ამბობენ, მისი განხორციელება შეუძლებელიაო; დანარჩენები – სისულელეაო. ზოგიერთნი, მათ შორის, მეტად თუ ნაკლებად საპატიო პირები, საკმაოდ თავაზიანად გამოთქვამენ ეჭვებს, თითქოს მათი აზრები რამეში მაინტერესებდეს. მაგრამ მადლობა ღმერთს, მე არ ვარ ის ადამიანი, რომელსაც დავთრებს ასე ადვილად აურევენ. მაქვს საკუთარი გონება, რომელიც მიკარნახებს, და საქმეში ჩახედული ადამიანებიც ამას მეუბნებიან, რომ არაფერი შეუძლებელი აქ არ არის. და რაც არ უნდა ილაპარაკონ, ღმერთი დამეხმარება იმ იდეის განხორციელებაში, რომელიც თავადვე ჩამაგონა. და მაინც, მოუთმენლად ველოდები პირველი გამოცდის შედეგს, რომელზეც ბევრი რამაა დამოკიდებული“ (ქლსმ. №25343).

სხვა მასალა დიმ. ყიფიანის ამ გამოგონების შესახებ ვერ მოვიპოვეთ.

ხელშეკრულება დადებული ალექსანდრე თერზიბაშოვთან (გვ. 204)

ხელნაწერი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. დიმ. ყიფიანის არქივი. საქმე №594. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. ფ. 1.

თარიღი: 14 ივლისი 1863 წ. სოფ. ქვიშხეთი.

ხელმოწერა: დიმიტრი ყიფიანი. ალექსანდრე თერზიბაშოვი.

ხელნაწერ ტექსტს მოსდევს დიმ. ყიფიანის გვიანდელი მიწერილი:

„11 ოკტომბერს ვიანგარიშეთ და მიცემულს გარდა ჩემზედ მისაცემი დარჩა 53 რ. რომელიც უნდა მისცეს ფომა ფომიჩმა ქეთხუდოვმა, რადგან იმ 210 მანათის ანგარიშში ჩაუგდე ეს 53 რ. რომელიც ჩემგან მიღებულად დავანერე იმის თამასუქზედ.

დ. ყ.“

ხელშეკრულებას საბუთში მოსდევს (ფ. 2-7) სახლის ხარჯთაღრიცხვა, შედგენილი დიმ. ყიფიანის მიერ, და გეგმა (ნახაზები სათანადო განმარტებებით).

ქვიშხეთში იმ სახლის მშენებლობა, რომელშიც სიცოცხლის ბოლომდე ოჯახით ცხოვრობდა (ამჟამად სახლ-მუზეუმი), დიმ. ყიფიანმა 1862 წლის ივნისში დაინყო (იხ. მისი წერილები მეულ-ლისადმი ქვიშხეთიდან თბილისში – ქლსმ. №№14835, 14836 და შმდ.). წინამდებარე ხელშეკრულებით ახალაშენებული სახლის შეღებვაა გათვალისწინებული.

¹ (გვ. 204) „**ორეტაყიანს სახლში**“ – **ორეტაყიანი**: ორსართულიანი [Этаж (რუს.) – სართული]. ტექსტში გამოყენებული სხვა რუსული სიტყვები ნიშნავს: **მელი** (Мед) – ცარცი; **პერეპლოტი** (Переplot) – იგივეა, რაც **ფანჯრის ჩარჩო** (აქ: ტიხრები მინების ჩასასმელად); **რეშოტკა** (Решетка) – გისოსი; **ზამაზკა** (Замазка) – საგოზავი.

ფაია ნიშნავს თალის საყრდენს (კარ-სარკმელთა შორის – ქეგლ 1962: 6), **სურაია** – მოაჯირს (ჩუბინაშვილი 1984: 1201); **საჩეხი** არის „სახურავის წინგამოშვერილი ნაწილი, საჩრდილობლად ზემოდან ჩამოფარებული ფიცრული, გადმოხურული ღია დერეფანი და მისთ.“ (ქეგლ 1960: 896), **ბეჰ** იგივეა, რაც **ბე**.

ხელშეკრულება დადებული სტეფანე ბელიაევთან

(გვ. 205-206)

ხელნაწერი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. დიმ. ყიფიანის არქივი. საქმე №596. უცნობი ხელით ნაწერი. რუსულ ენაზე.

ფ. 2 (იქვეა დიმ. ყიფიანის ხელით ნაწერი შავი). მხარეთა ხელ-
მონერები დედანზე ავტოგრაფულია.

თარიღი: 1 სექტემბერი 1866 წ.

ხელმწიფი: Действительный статский советник **Д. Кипиани**.
Тифлисский житель **Степан Беляев**.

¹ (გვ. 205) „ფუტი“ – სიგრძის საზომი ერთეული ძვ. რუსეთში
(უდრის 30,48 სანტიმეტრს).

მორიგება ყიფიანთა შორის

(გვ. 207-215)

ნაბეჭდი: მორიგება ყიფიანთა შორის. [ტფილისი: 1869]. 11 გვ.

თარიღი: 1869 წლის 3-7 სექტემბერი.

ხელმწიფი: ტექსტის I ნაწილზე: დიმიტრი, ქოჩო გიორგის
ძის ძე ყიფიანი და სხვ.

ტექსტის II ნაწილზე: დიმიტრი ყიფიანი და სხვ.

ხელშეკრულება დადებული ლეონიდ შევალიესთან

(გვ. 216-217)

ხელნაწერი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. დიმ. ყიფიანის არქივი. საქმე №484. პირი. რუსულ ენაზე. ფ. 1.

თარიღი: 14 მარტი, 1871 წ.

ხელმწიფი: Действительный статский советник **Димитрий Иванович Кипиани**.

Действительный студент **Леонид Иосифович Шевалье**.

დიმ. ყიფიანს ნიკოლოზ დადიან-მინგრელსკისთან წლების განმავლობაში ჰქონდა სასამართლო დავები. აქვე (გვ. 34-57, 312-314) იბეჭდება დიმ. ყიფიანის სიტყვა წარმოთქმული

თბილისის საოლქო სასამართლოს სხდომაზე, რომელიც სამეგრელოს ყოფილი მთავრის სარჩელის საფუძველზე გაიმართა. რაც შეეხება ლ. შევალიესთან 1871 წ. 14 მარტს დადებულ წინამდებარე ხელშეკრულებას (მინდობილობას), იგი ეხება დიმ. ყიფიანის მიერ ნ. დადიან-მინგრელსკის წინააღმდეგ თბილისის სასამართლო პალატაში წარდგენილ სარჩელს, რომელიც საბოლოოდ წარუმატებლად დასრულდა – სასამართლო პალატამ დიმ. ყიფიანის სარჩელი არ დააკმაყოფილა და მას ნ. დადიან-მინგრელსკის სასარგებლოდ 50 000 მანეთის გადახდა დააკისრა (ყიფიანი 2020: 216, 316, 437).

¹ (გვ. 216) „1871 წლის მარტში“ – რიცხვი მითითებული არ არის.

² (გვ. 216) „ნამდვილმა სტუდენტმა...“ – დედანში: *Действительный студент*. XIX ს. რუსეთში ასე იწოდებოდა პირი, რომელსაც მიღებული ჰქონდა საუნივერსიტეტო ან უმაღლესი სასულიერო განათლება და ფლობდა დაბალი დონის აკადემიურ ხარისხს (უფრო მაღალი დონე იყო კანდიდატის ხარისხი).

³ (გვ. 216) დიმ. ყიფიანი მცირეწლოვანი ნიკოლოზ დადიანის (სრულწლოვანების შემდეგ – დადიან-მინგრელსკის) საკუთრების მეურვე იყო 1859 წ. აპრილიდან 1866 წ. იანვრამდე (საკითხის შესახებ, აგრეთვე, წყაროები და ლიტერატურა იხ.: აქვე, გვ. 312-315).

გარიგება გენერალ მიხეილ ასტაფიევთან (გვ. 218-220)

ხელნაწერი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. დიმ. ყიფიანის არქივი. საქმე №572. უცნობი ხელით ნაწერი. პირი. რუსულ ენაზე. ფ. 5.

სათაური: Мировой акт.

თარიღი: 14 მარტი 1871.

ხელმოწერა: Действительный статский советник **Димитрий Кипиани**
Генерал-майор **Михаил Астафьев**

გარიგებას წინ უძღვის ტექსტი, რომელიც დაწერილია უცნობი ხელით და დათარიღებულია დიმ. ყიფიანის მიერ:

„დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანი ბორჯომის მამულის მეათედ ნაწილზე უფლების დათმობისა და აქედან გამომდინარე შედეგების სანაცვლოდ სურამის უღელტეხილზე მიიღებს სახაზინო ტყის ფართობებს 3436 დესეტინის ოდენობით იმ პირობით, რომ უფლებას უტოვებს ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ სახაზინო გლეხებს, ისევე ისე ისარგებლონ იმ სათიბებითა და სახნავ-სათესი მიწებით, რომლებითაც აქამდე უსარგებლიათ და იმაზედაც თანახმაა, იმავე გლეხებზე გასცეს ხე-ტყე იმ წესით, რა წესითაც ისინი სახაზინო ტყეებით აქამდე სარგებლობდნენ. ამას გარდა, ყიფიანი მისთვის მწვავე საქმეების გამო *ითხოვს თორმეტი ათას მანეთს*.

23 თებერვალი 1871“.

ბორჯომის მამულთან დაკავშირებით დიმ. ყიფიანს სასამართლო დავა 1840-იანი წლებიდან ჰქონდა ჯერ ავალიშვილებთან, შემდეგ – მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძის ბორჯომის მამულების მმართველობასთან (დოკუმენტური მასალა, მათ შორის, გენერალ მიხ. ასტაფიევთან დიმ. ყიფიანის მიმონერა იხ. ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №№516-584, 676-689). წინამდებარე გარიგებაში ამ ხანგრძლივი სასამართლო პროცესების ბოლო პერიოდია ასახული (საკითხის შესახებ იხ. უთურაშვილი 1989: 81-83). ბორჯომის მამულის სანაცვლოდ დიმ. ყიფიანის მიერ ჩუმათელეთში, იტრიაში, ფონასა და წიფაში მიღებული ტერიტორიის შესახებ იხ. აქვე, გვ. 190-191.

¹ (გვ. 218) „*მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის, დიდი მთავრის, მეფისნაცვლის...*“ – იგულისხმება კავკასიის მეფისნაცვალის (1862-1881) *მიხეილ ნიკოლოზის ძე*.

² (გვ. 219) „გეთსიმანიის მომიჯნავე ტყეებიდან უნდა მოხდეს“ – საბუთის სქოლიოში დიმ. ყიფიანის ხელით ჩატანილია, როგორც ჩანს, გვიანდელი განმარტება: „გეთსიმანიის ტყეების შესახებ განვაცხადე, რომ იქ არაფერს ავიღებ“.

³ (გვ. 219) „თითოეული სოფლისთვის“ – ამ სიტყვების გასწვრივ დიმ. ყიფიანის, როგორც ჩანს, გვიანდელი მინაწერია: „თუმცა არა ყველასთვის“.

ანდერძი (გვ. 221-222)

საბუთი დაცულია გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში (№19885-ხ. მანქანაზე ნაბეჭდი ასლი. რუსულ ენაზე. 3 გვერდი). ანდერძის ტექსტს იქვე მოსდევს ცნობა იმის შესახებ, რომ ეს ასლი ქუთაისის საოლქო სასამართლოს მიერ გაცემულია მონადერძის ქვრივის, ნინო ყიფიანისა და ქალიშვილის, ელენე ლორთქიფანიძის, მიერ 1888 წლის 18/19 მარტს წარდგენილი თხოვნის საფუძველზე და მას ხელს აწერენ ქუთაისის საოლქო სასამართლოს წევრი ა. პიპინოვი და მდივნის თანაშემწე ა. წულუკიძე.

გიორგი ტატიშვილის ცნობით, დიმ. ყიფიანს „მამული ჰქონდა დუშეთის მაზრაშიც, მილახვრიანთკარში, ცოლის მამული და დიდი სასახლე (უძახდნენ „ზამოკს“). მამული შეიცავდა ათას გექტარამდე“ (ტატიშვილი 2007: 180). დიმ. ყიფიანის გარდაცვალების შემდეგ ოჯახური შეთანხმების საფუძველზე ქვიშხეთის მამული ერგო კოტე ყიფიანს, დუშეთის მაზრის (მილახვრიანთკარის) მამული – ნიკოლოზ ყიფიანს, ხოლო სარმანიშვილისკარი (იგივე ჭაჭარაქი) კოტე და ნიკ. ყიფიანებმა თანაბრად გაინაწილეს (ხეც. ნინო და ბარბარე ყიფიანების არქ., №719. ფ. 1).

იმავე გ. ტატიშვილის თქმით, „დიმიტრის უფროს შვილს, ნიკოს, ჰყავდა ცოლად გურიის ერისთავის (მიხეილ ერისთავი – თ.

ჯ.) ქალი – ტასო, რომელთანაც ნიკოს ჰყავდა სამი ქალი. შემდეგ ტასო გაშორდა ნიკოს და გაჰყვა ყაზახის ოფიცერს ლაზარევს, რომელთანაც გაუჩნდა შვილები და რადგან ნიკოსთან კანონიერი გაყრილობა არა ჰქონდა ტასოს, ნათლავდა თავის შვილებს ყიფიანის გვარზე. ასე რომ, ერთ ვაჟიშვილს დიმიტრიც კი დაარქვა. დიმიტრიმ, ეს რომ გაიგო, მაშინვე კანონიერად თავისი მოძრავ-უძრავი ქონება გაჰყო სამ ნაწილად. ერთი წილი მიანიჭა კოტეს, ერთი წილი ქალს – ელენეს და მესამედი ნიკოს სამ ქალს, იმ პირობით, რომ ნიკოს თავის სიცოცხლეში მხოლოდ შემოსავლით უნდა ესარგებლა. ასე რომ, ლაზარევთან შექმნილი შვილები მხოლოდ გვართ დარჩნენ ყიფიანად და მამულიდან კი დარჩნენ ხახამშრალნი“ (ტატიშვილი 2007: 185-186).

¹ (გვ. 221) **„ჩემი კეთილშენადენი ქონება“** – *კეთილშენადენი ქონება* ნიშნავს საკუთარი შრომით შექმნილს, არამემკვიდრეობითს (ქეგლ 1955: 1133).

² (გვ. 222) **„კონსტანტინე გრიგოლის ძე ბარძილიშვილი“** – ასეა საბუთში! დიმ. ყიფიანის მკვლევობასთან დაკავშირებით ეს პირი (დიმ. ყიფიანის მეზობლად ცხოვრობდა სტავროპოლში) ქართულ პრესაში რამდენჯერმეა ნახსენები და ყველგან – **ბარძიმაშვილის** გვართ (ივერია 1887^ა; ივერია 1889^ა). კონსტანტინე გრიგოლის ძე ბარძიმაშვილი, ისევე, როგორც ანდერძზე ხელმომწერი კიდევ ორი პირი (თ. სალმინი, პ. სკლოტოვსკი) მოწმეებად იყვნენ მიწვეულნი დიმ. ყიფიანის ერთ-ერთი მკვლელის, გრიგოლ სტრეპეტოვის, სასამართლო პროცესზე, რომელიც სტავროპოლში 1889 წელს გაიმართა (სასამართლო სხდომების ანგარიში იხ. ივერია 1889^ბ; საშვილიშვილო მოკავშირე... 1997: 146-175).

³ (გვ. 222) **„კოლეგიის მრჩეველი პავლე იოსების ძე სკლოტოვსკი“** – დიმ. ყიფიანის მკვლევობიდან რამდენიმე დღის შემდეგ (კერძოდ, 1887 წ. 27 ოქტომბერს) პ. სკლოტოვსკი წერდა:

„მქონდა ბედნიერება, მესაუბრა განსვენებულთან 24 ოქტომ-

ბრის დილას, როცა იგი ჯერ კიდევ აღსავსე იყო უკეთესი მომავლის იმედებით. ჩვენ პირველივე შეხვედრებიდან შეგვიყვარდა ერთმანეთი და როდესაც თებერვალში დიმიტრი ივანეს ძე მიმივდგახდა ავად, სამკურნალოდ მე მიმინვია. – მისმა ავადმყოფობამ, გამონეულმა ზნეობრივი შერყევით, ისე დაგვაახლოვა ერთმანეთს, რომ დიმიტრი ივანეს ძეს არაერთხელ უთქვამს ჩემთვის: „მე თქვენგან დაფარული არაფერი მაქვსო“, და მეც სავსებით გულგახსნილი ვიყავი მასთან. ასეთმა დაახლოებამ შემადღებინა, ჩაწვდომოდი განსვენებულის გრძნობებსა და ჭეშმარიტ ზრახვებს და მე მეძლევა საუკეთესო საშუალება, ღირსეული პატივი მივაგო ამ იშვიათ ადამიანს – კერძოდ, ადგილობრივი გაზეთის მეშვეობით საჯაროდ განვაცხადო: მთელი ჩემი 47 წლის ცხოვრების განმავლობაში არ შევხვედრივარ მოხუცს, რომელსაც დ. ი. ყიფიანივით ჰყვარებოდა ადამიანები და სიმართლე მათში, ასე ურყევად ყოფილიყო დარწმუნებული სამართლიანობის საბოლოო გამარჯვებაში, ასე დაუფარავად და მედგრად დაეცვა სიმართლე ყველგან და ყოველთვის, ასე ვაჟკაცურად გადაეტანა უბედურებანი, რომელსაც თანამედროვე ცხოვრება მოუვლენს ხოლმე სიმართლისათვის მებრძოლთ. – განისვენე მშვიდად, მართალო კაცო, ადამიანთა მდაბალი ეგოიზმისა და უსულგულობის მსხვერპლო! დაე, შენი – მონამის – საფლავი იყოს სიმართლის ლამპარი შთამომავლობისათვის და მანვე განუღვიძოს ადამიანების სიყვარული გულგაქვავებულ თანამედროვეთ“ (საშვილიშვილო მოკავშირე... 1997: 73-74).

და უ მ თ ა ვ რ ე ბ ე ლ ნ ი

(„როს შეირყევა ზღვა მწარის წყლისა...“)

(გვ. 225)

ხელნაწერი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. დიმ. ყიფიანის არქივი. საქმე №114. ავტოგრაფი. შავი. ბოლონაკლული. ქართულ ენაზე. ფ. 1.

ტექსტი უთარილოა, ხელმოუწერელია. შ. გოზალიშვილის აზრით, ლექსი **სავარაუდოდ** 1870-იან წლებშია დაწერილი (გოზალიშვილი 1951: 15), რაც, ვფიქრობთ, არ უნდა იყოს სწორი. საქმე ის არის, რომ დიმ. ყიფიანი წინამდებარე ტექსტში იყენებს ძველ, ე. წ. ფუნქციადაკარგულ, ასოებს („ზღუა“, „ზვრთთა“, „ესახვს“, „ქუჭყინიერების“, „ლეღვაჲ“, „ტვრთთა“, „წყუღიადთა“). ამ ასოებს კი ავტორი **სისტემური** სახით 1870-იანი წლებიდან უკვე აღარ ხმარობდა [გარდა სხვადასხვა გარემოებით განპირობებული ცალკეული გამონაკლისებისა – ვთქვათ, ბოსიუეს ქადაგების თარგმანში (იხ. აქვე, გვ. 195-196), რომელშიც მთარგმნელს, როგორც ზემოთ ითქვა (გვ. 295) XVII ს. ავტორის თხრობის არქაიზაციის სურვილი უნდა ჰქონოდა]. ასე რომ, ჩვენი აზრით, დიმ. ყიფიანის წინამდებარე ლექსი **1870-იან წლებამდე** უნდა იყოს დაწერილი.

სცენები თავადაზნაურობის ცხოვრებიდან (გვ. 226-236)

ხელნაწერი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. დიმ. ყიფიანის არქივი. საქმე №94. ავტოგრაფი. შავი. ქართულ ენაზე. ბოლონაკლული. ფ. 11.

ტექსტი უსათაუროა, უთარილოა, ხელმოუწერელია, ავტორის მიერვეა ნასწორები. **დასათაურება ჩვენია**. შ. გოზალიშვილის აზრით, პიესა **სავარაუდოდ** 1880-იან წლებშია დაწერილი (გოზალიშვილი 1951: 22), რაც არ ჩანს სწორი: ა) ავტორი **სისტემური** (და არა – გამონაკლისის) სახით იყენებს ე. წ. ფუნქციადაკარგულ ასოებს (ჴ, ჲ, ჳ, ჴ, ჵ, ჶ), რაც დიმ. ყიფიანის ბოლო ოცნლეულის ნაწერებისთვის არ არის დამახასიათებელი (იხ. წინა ტექსტის განმარტება); ბ) პიესაში ნახსენებია გიორგი ერისთავის დრამატული პოემა „შეშლილი“, რომელიც დაინერა 1839 წელს (1840-იან წწ. ამ ნაწარმოების არაერთი ხელნაწე-

რი არსებობდა და იგი საზოგადოებრივ წრეებში ფართოდ იყო გავრცელებული – ერისთავი 1966: 470); გ) პერსონაჟ დავით გომარელის ერთ-ერთი რეპლიკის მიხედვით, იმ დროს, როცა მოქმედება ხდება, „შეშლილის“ ავტორი ცოცხალია („ღმერთმა ადღეგრძელოს გიორგი ერისთავი, გლუხარიჩი...“). გ. ერისთავი კი გარდაიცვალა 1864 წელს და ამ მონაცემებზე დაყრდნობით, წინამდებარე პიესა **1839-1864 წლებს შორის** უნდა იყოს დანერგილი.

პიესა რვეულადაა აკინძული. ბოლო გვერდი მთლიანად (კიდიდან კიდემდე) შევსებულია, რაც გვაფიქრებინებს, რომ ტექსტი შემდეგ გვერდებზე გრძელდებოდა, თუმცა ეს გაგრძელება დაკარგულია.

ტექსტში გამოყენებული რუსული სიტყვები ნიშნავს: **ურაზ-ბონიკესსა** (გვ. 225) – სიტყვისგან: Разныйник ყაჩალი; **„გეთაყვანე მაგ душаში, კამათელო“** (გვ. 226) – სიტყვების თამაშია: *გეთაყვანე სულში* (Душа – სული); **ტორგი** (გვ. 229) – Торг ვაჭრობა; აქ: საჯარო ვაჭრობა; **ზალოგი** (გვ. 229) – Залог გირაო, წინდი, ბე; **Вот те раз!** (გვ. 234) – რასა ბრძანებ? (უყურე შენ?); **პოლოჟიტელნი** (გვ. 235) – Положительный დადებითი; **Как вы здравствуете?** (გვ. 236) – როგორ ბრძანდებით? (ხომ ჯანმრთელად ბრძანდებით?)

¹ (გვ. 226) „უხვაძე“ – აქ და ქვემოთ დედანში: უხუაძე.

² (გვ. 227) „ქული მოგიბრუნე“ – *ქულის მობრუნება* (გადმობრუნება) ფიგურალური გამოთქმაა: „ვისსამე... შერცხვენა, აუგიანობა, განბილება, მასხარად აგდება, გაკილვა, უპატიოდ გახდომა, კბილქვეშ მოტანა“ (სახოკია 1955: 24).

³ (გვ. 228) „აბალე!“ – „იგივეა, რაც აბა“ (ქეგლ 1950: 53).

⁴ (გვ. 230) „ერთი კარგი ბეითალმანი“ – *ბეითალმანი* (ბაითალმანი): **ბეითალმალი**: ოხრად, უპატრონოდ დარჩენილი მამული, ნამკვდრევი (ჩუბინაშვილი 1984: 103-104); **ბეითალმანი**: უმემკვიდროთ ამონყვეტილი კაცის დარჩენილი ქონება (გრიშაშვილი 1997: 49).

⁵ (გვ. 232) „**მაგრამ რა ფაიდა!**“ – ფაიდა: „სარგებლიანობა, სარფა, ხეირი“ (ქეგლ 1962: 6).

⁶ (გვ. 236) „**კნიაზს ესტატეს ვახლავარ. Как вы здравствуете?..**“ – ტექსტი აქ წყდება.

**ალექსი დგებუაძისა და ელისაბედ ელიავას
სიყვარულის ამბავი**
(გვ. 237-278)

ხელნაწერი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. დიმ. ყიფიანის არქ., საქმე №184. შავი. უცნობი ხელით ნაწერი. ქართულ ენაზე. ფ. 22.

პიესაში მოთხრობილი ამბავი ნამდვილია და პერსონაჟებიც (ყოველ შემთხვევაში, მთავარი პერსონაჟები მაინც, რომლებზეც დოკუმენტური მასალა მოგვეპოვება) რეალური პირები არიან. რაც შეეხება ხელნაწერს, იგი **უსათაუროა, უთარილოა, ხელმოუნერელია**. ტექსტში აღწერილი კონფლიქტი სამეგრელოს სოფ. სალხინოს მკვიდრ ალექსი დგებუაძის მიერ იმერეთის სოფ. ღანრიდან ელისაბედ ელიავას წაყვანით დაიწყო და ეს მოხდა 1857 წლის 12 იანვარს (იხ. ტექსტის მონაცემი „12-ს იანვარს რიცხვშიდ...“, გვ. 241). ამ თარიღის სისწორეს ადასტურებს: ა) ელისაბედ ელიავას 1858 წ. 19 თებერვლის მიმართვა ალ. ბარიატინსკისადმი, რომელშიც ნათქვამია – ალექსი დგებუაძის მიერ ოჯახიდან ჩემი წაყვანა „1857 წლის 12-13 იანვრის ღამეს“ მოხდაო (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №187. ფ. 1); ბ) პროკურორ ლევან ქორქაშვილის 1857 წ. 1 მაისის წერილი დიმ. ყიფიანისადმი: „გაიგონებდით უთუოთ, რომ გავლილს იანვრის თვეში სამეგრელოს თავადმან დგებუაძემ მოსტაცა გაუთხოვარი ქალი დათა ელიავას“ (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №1671. ფ. 1). გამოძიება შეწყდა 1858 წ. ივლისში (იხ. მეფისნაცვლის კანცელარიის 1858 წ. 19 ივლისის მიმართვა დიმ. ყიფიანისად-

მი საქმის შეწყვეტის შესახებ – ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №190, ფ. 4), იმავე წლის 19 აგვისტოს გამოძიება ისევ განახლდა (იხ. მეფისნაცვალ ალ. ბარიატინსკის მიმართვა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორ გ. რ. ერისთავისადმი – ხეც. დიმ. ყიფიანის არქ. საქ. №191, ფ. 1), თუმცა მალევე საქმე საბოლოოდ დაიხურა. გამორიცხული არ არის, პიესის წერა ავტორს საქმის შეწყვეტიდან ახლო ხანებში დაენყო. ამ მონაცემებზე დაყრდნობით, ტექსტი შეიძლება **დაახლოებით 1858-1859 წლებით დათარიღდეს. დასათაურება ჩვენია.** ხელნაწერში გამოყენებულია ძველი, ე. წ. ფუნქციონალური, ასოები, რაც ზოგადად დამახასიათებელია ავტორის 1850-იანი წწ. ნაწერებისთვის.

ხეც-ში, დიმ. ყიფიანის არქივში, დაცულია დოკუმენტური მასალა – საქმესთან დაკავშირებული მიმოწერა (ყველა – 1857-1858 წლებისა). ზოგიერთ დოკუმენტს ქვემოთ დავიმონებთ, მანამდე კი შემოკლებულად მოგვყავს დიმ. ყიფიანის 1858 წ. 14 იანვრის წერილი კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის დირექტორ ვასილ ანტონის ძე ინსარკისადმი:

„გასული 1857 წლის დასაწყისში მეგრელმა თავადმა ალექსი დგებუაძემ იმერელ აზნაურს, დათა ელიავას, ქალიშვილი მოსტაცა და მასზე ჯვარი დაიწერა ... რომანის გმირის წინააღმდეგ კანონის მთელი სიმკაცრით შეიარაღდნენ: ერთი მხრივ, პატარძლის მშობლები; მეორე მხრივ, მათი მხარდამჭერი სასულიერო მმართველობა; მესამე მხრივ, ორივე ზემოჩამოთვლილი მხარის ქომბაგად დამდგარი საპოლიციო ხელმძღვანელობა. – ცოლ-ქმარი რვათვიანი თაფლობის შემდეგ დააფეთეს. ახალგაზრდა კაცი სამურზაყანოში გაიჭრა და იქაურ ტყეებს მისცა თავი. ახალგაზრდა დამა მშობლებს დაუბრუნეს. აქაოდა ძალდატანებით მოხდა და, ამდენად, უკანონოაო, სამეგრელოს ეპისკოპოსმა ჯვრისწერა როგორც de jure, ისე de facto ადგილზევე გააუქმა. ალექსი დგებუაძის დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო. საქმე გუბერნიის პროკურორსა და საგუბერნიო

ჟანდარმერიის შტაბოფიცერს მიჰყავთ. 17 პირი, რომლებიც მოტაცებასთან ასე თუ ისე არიან დაკავშირებულნი, დაჰყავთ დაკითხვებზე, გამოკითხვებზე, პირში უყენებენ ერთმანეთს, გზავნიან საპატიმროებში, ნადირობენ განშორებული ქმრისადმი ქალის მიერ გაგზავნილ ფარულ წერილებზე, ადამიანის კვალს, როგორც გარეული ტახისას, დასდევენ მძებრები, აწეწილია მრავალრიცხოვან გვარეულობათა ოჯახები ... საქმეში არსებული უთვალავი როგორც pro, ისე contra მტკიცებულებიდან უმრავლესობა მიუთითებს, რომ ჯვრისწერა მოხდა პატარძლის ნებით. ... შევეცდები, რაც შეიძლება მოკლედ მოგიხაზოთ მოვლენათა მოსალოდნელი განვითარება. – ჯერ წარმოიდგინეთ, რომ დგებუაძე დაიჭირეს. მას წინ ასეთი გზა უძევს: ციხე, გამოძიება, სასამართლო და ციმბირი. – ამის მერე ადათი თავად დგებუაძეთა მრავალრიცხოვან გვარეულობას წამოშლის და თანამოგვარის დალუპვაში მონაწილეთა წინააღმდეგ სისხლიანი შურისძიებისთვის აამხედრებს. მივიღებთ ერთობ მენამულ სურათს. ... მამას ახალი საქმროს მოძებნა არ გაუჭირდება, რადგანაც სხვა მემკვიდრე დათა ელიავას არა ჰყავს. – გავარდნილი და კლდე-ღრეს მოდებული დგებუაძე, რომელსაც ამ დროს ბედნიერების ყოველი იმედი უკვე დაკარგული აქვს და მძიმე დანაშაულისთვისაც იდევნება... ახალ დანაშაულებს ჩაიდენს – ხანჯალს თავისი მეტოქის, ყოფილი სიმამრის, ყოფილი ცოლისა და თვით სამეგრელოს ეპისკოპოსის სისხლით მორწყავს და მხოლოდ ამის შემდეგ დანებდება სიკვდილს. ეპისკოპოსი საფრთხით გამოწვეულ შიშს არც მალავს და, აი, კიდევ უფრო სასტიკი და გაცილებით უფრო მენამული სურათიც იკვეთება: სისხლიანი შურისძიებანი აზნაურ ელიავებს, ბედკრული ქალის მეორე ქმრის ნათესავებსა და აზნაურ გაბუნებს შორის – ეპისკოპოსი თოფანე გაბუნების საგვარეულოდანაა. – როგორც არ უნდა განვითარდეს მოვლენები, სავსებით ცხადია: სისხლის მდინარეების

* ერთობ მენამულ სურათს – ე. ი. სისხლიან სურათს (დედანში: багровая картина).

შეჩერება უკიდურესად გაძნელებდა ... დამეთანხმებით: რუსული ხელისუფლების, მისი დიდსულოვნებისა და მრავლისმომთმენლობის მსახურმა ვნებათა აფეთქებას კი არ უნდა შეუწყოს ხელი, ბოროტმოქმედნი და მჩაგვრელნი კი არ უნდა გაამრავლოს, არამედ დაამშვიდოს ზნეობრივი გარემო, ბოროტმოქმედნი ადამიანებად აქციოს. – ორი ახალგაზრდისთვის უცაბედი გახელების შედეგად დამხობილი ბედნიერების აღდგენა, ორი მრავალრიცხოვანი გვარეულობისთვის მშვიდობიანი თანაარსებობის უზრუნველყოფა, მღვდელმთავრის ხელშეუხებლობის სათანადო პატივითა და ღირსებით დაცვა, იმავე მღვდელმთავრის გულისწყრომის ღმობიერებად და გულმონყალებად გარდაქმნა, ყოველივე ამის ალექსანდრე ივანეს ძის (მეფისნაცვალ ალ. ბარიატინსკის – თ. ჯ.) სახელით მიღწევა – აი, მიზანი, საითკენაც, ვასილ ანტონის ძე, მე თქვენ მიმყავხართ. და აი, თხოვნა, რომლითაც ყოვლად კონფიდენციალურად მოგმართავთ: საკითხის გადაჭრა არც გენერალ-გუბერნატორისა და არც გუბერნატორის უფლებამოსილებებში არ შედის, სისხლისსამართლებრივი წესით დაწყებული გამოძიების შეწყვეტა ვერც კერძო მორიგებით მოხდება და ვერც – საგუბერნიო ძალაუფლებით. აუცილებელია მეფისნაცვლის ნებართვა. – ასე და ამგვარად: მოტაცება ქალწულისა და მასზე ჯვრისწერა პატარძლის მშობლების ნების საწინააღმდეგოდ, ჩვენს შორის საიდუმლოდ რომ დარჩეს, არ არის იმ სიმძიმის დანაშაული, აუცილებლად სისხლიან ანგარიშსწორებებში რომ უნდა გადაიზარდოს. მიიღეთ ჩემი დახმარება, რათა ბოროტება ძირშივე აღმოფხვრათ, დაამყარეთ ზავი და მშვიდობა იმ პირთა შორის, რომლებსაც დაკარგული აქვთ განსჯის უნარი და ერთმანეთის წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლოდ არიან ამხედრებულნი. – ჩემი დახმარება კი იმაში მდგომარეობს, რომ შემიძლია ელიავასა და დგებუაძის შერიგება: ელიავამ თანხმობა უკვე გამომიცხადა, დგებუაძის პოზიცია კი ჩემში ისედაც არავითარ ეჭვს არ იწვევს. – საამისოდ აუცილებელია: ან, როგორც [მეფისნაცვლის] საბჭოს აქ მყოფ წევრს, ოფიციალურად გადმომეცეს უფლებამოსილება, თუ ამას საჭიროდ

ჩავთვლი, შევაჩერო სისხლისსამართლებრივი წესით დაწყებული გამოძიება და აქ მე დამჭირდება კარტ-ბლანში, ან კიდევე გენერალ-გუბერნატორს მიმართოთ წინადადებით, სპეციალურ განკარგულებამდე ჩემი მიმართვის საფუძველზე შეაჩეროს გამოძიება. თუკი ელიავასა და დგებუაძეს შევარიგებ და ამით მათ შორის ჩამოვარდნილი შუღლი და მტრობა საბოლოოდ აღმოიფხვრება, უნდა შემეძლოს შუამდგომლობის აღძვრა გამოძიების სავსებით შეწყვეტის შესახებ. – მიკიბ-მოკიბვის გარეშე მოგახსენებთ შემდეგ გარემოებებს: 1. თუკი გადახვენილი დგებუაძე ჩემს ხმას შეისმენს და გამოცხადდება, რისი იმედიც მაქვს, მე უფლებამოსილება უნდა მქონდეს, ამ ხნის განმავლობაში დავიცვა მისი ხელშეუხებლობა და თვითონაც დაცული ვიყო ადამიანის გაცემით გამოწვეული საყვედურებისა და უკმაყოფილები-სგან; 2. ელიავამ საქმე, ცხადია, იმდენად იმიტომ კი არ აღძრა, თავისი ერთადერთი ქალიშვილის ბედნიერება გაანადგუროს, არამედ უფრო იმიტომ, რომ მკაცრად აგებინოს პასუხი მოტაცების თანამონაწილეს, თავის ნათესავს – გიგო ელიავას. იმავდროულად მისთვის ეს იქნება გიგო ელიავაზე შურისძიებაც საგვარეულო საქმეებთან დაკავშირებული ადრინდელი შუღლისა და შეურაცხყოფისათვის. რაც შეეხება საკუთარ ქალიშვილს, ელიავა ფიქრობდა, რომ მისთვის სულერთი იყო, ვის გაჰყვებოდა ცოლად, თუმცა ახლა უკვე ცხადად ხედავს, რომ შეცდომა აქვს დაშვებული. – გიგო ელიავა დგებუაძეს მართლაც ეხმარებოდა ქალწულის მოტაცებაში. ამის გამო შეიძლება მისი ადმინისტრაციული წესით დაპატიმრება და ერთი ან ორი თვით ქუთაისის ჰაუბტვახტში გაგზავნა. 3. ელიავას თავს დატეხილმა ვარამმა მის მიმართ თანაგრძნობით განაწყო სამღველოება და თავადაზნაურობის ზოგიერთი წევრი. ამიტომ მათ დგებუაძის წინააღმდეგ მკაცრი ზომები მოითხოვეს და ეს მართლაც ასე მოხდა. – იგივე წევრები თავადაზნაურობისა ამჟამად ორივე ოჯახისთვის მშვიდობას ითხოვენ. ასე და ამგვარად, დგებუაძის დაუსჯელობით უკმაყოფილო რჩება სამღველოება, რომლის დასაშოშმინებლად შეიძლება ახალგაზრდა დგებუაძე, მსგავ-

სად თავისი ხელის შემწყობისა, 2 ან 3 თვით ჩაჯდეს ჰაუბტვახტში, ოლონდ მხოლოდ მას შემდეგ, რაც სიმამრთან საბოლოოდ დაამყარებს მშვიდობას. – და, დასასრულ: 4. უკვე ვთქვი, რომ ელიავა თანხმობას აცხადებს შერიგებაზე, მაგრამ მისგან გადათქმა და სიტყვის უკან წაღებაც არის მოსალოდნელი. ამიტომ აუცილებელია, რომ იგი გარკვეული დროით თბილისში ან რომელიმე სხვა ქალაქში იქნეს გაგზავნილი. – იფიქრეთ ყოველივე ამაზე, ვასილ ანტონის ძევ, და თუ შინაგანი ხმა გიკარნახებთ, რომ მოსალოდნელი კატასტროფის თავიდან ასაცილებლად ნამდვილად კეთილი და სასარგებლო საქმისკენ გიხმობთ, გამომყევით მიზნისკენ რაც შეიძლება სწრაფად და გადაუდებლად და იმასაც გთხოვთ, გვერდზე გადადოთ საქმის ფორმალური მხარეები“ (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №734. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 4).

ამის შემდეგ მოვლენები დიმ. ყიფიანის გეგმის მიხედვით წარიმართა: 1858 წ. 24 იანვარს მეფისნაცვალი ალ. ბარიატინსკი დიმ. ყიფიანს სწერს – მოვლენები დრამატულად რომ არ განვითარდეს, საქმეში ჩართვის უფლება გეძლევათ და, თუ საჭიროდ ჩათვლით, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორთან შეთანხმებით შეგიძლიათ ძიება შეაჩერებინოთ კიდევაცო (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №183). იმავე წლის 8 თებერვალს უკვე ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი გიორგი რ. ერისთავი წერილობით ატყობინებს დიმ. ყიფიანს – შეგიძლიათ შერიგების საქმეს შეუდგეთ და თქვენი შეხედულებისამებრ საგანგებო განკარგულებამდე ძიების შეჩერების უფლებაც გენიჭებათო (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №186). დიმ. ყიფიანიც საქმეს შეუდგა. იგი თავის დღიურში 1858 წ. 15 თებერვალს წერს: „გენერალ-გუბერნატორის თანდასწრებით მივიღე ერთმანეთის მიმართ მტრულად განწყობილ მხარეთა შესარიგებლად საჭირო ჩვენებები და მეორე დღეს თბილისისკენ გამოვემგზავრე“ (ყიფიანი 2020: 118), ხოლო იმავე წ. 28 თებერვალს დიმ. ყიფიანი ალ. ბარიატინსკის წარუდგენს წერილობით პატაკს – თქვენი იანვრის მოწერილო-

ბის საფუძველზე „დაუყოვნებლივ შევეუდექი პოდპორუჩიკ დავით ელიავას შერიგების საქმეს თავის სიძესთან, თავად ალექსი დგებუაძესთან... დგებუაძეს არ შეეძლო გამოცხადებულიყო ავადმყოფობის გამო, თუმცა მისი დასწრება არც იყო აუცილებელი, რადგანაც მისი სურვილი სიმამრთან მშვიდობიანი მორიგებისა და ჯვარდანიერილ და კანონიერ ცოლთან თანაცხოვრებისა ეჭვს არ იწვევდა. – მაქვს პატივი... აქვე წარმოგიდგინოთ ქუთაისის საგუბერნიო პროკურორის (ლევან ქორქაშვილის – თ. ჯ.) 14 თებერვლის პატაკი და ამონარიდები საგამომძიებლო საქმიდან, რომლებითაც ეჭვმიუტანლად დასტურდება თავადის ასულ დგებუაძის სურვილი, დაუბრუნდეს თავის მეუღლეს“ (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №188. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1).

მიუხედავად ამისა, დავით ელიავა მაინც განაგრძობდა ჩივილსა და ალექსი დგებუაძის დასჯას მოითხოვდა. ამაზე მეტყველებს გიორგი რ. ერისთავის [1858 წ.] 22 ივლისის წერილი დიმ. ყიფიანისადმი: „ელიავასა და დგებუაძეს საქმეზედ ბევრი ვეცადე, მაგრამ ელიავას ცოლთან ვერა გავანყურა. ასეთი დედაკაცი ყოფილა, რომ ჩვენში იტყვიან, ორსულს წელს მოსწყვეტავსო... ამ მდგომარეობაში იყო საქმე, რომ ქალი თავის ქმართან გაიქცა. თუმცა დიდხანს არ სჯეროდათ მშობლებს, რომ თავის ნებით გაქცეულიყო, მაგრამ ახლა კი მგონია სჯერათ. მაინც კი არ ეშვებიან საქმეს და არზები შემოაქვსთ... დიდის გულის მოდგინებით მსურს, რომ ეს საქმე დაბოლოვდეს, როგორც შენი სურვილიც არის. ამ ორს დღეზედ მივდივარ ბორჯომს, იქ მოვახსენებ კნიაზს (ალ. ბარიატინსკის – თ. ჯ.) და ვეცდები, რომ დაბოლოვდეს ეს საქმე რიგიანათ“ (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №1317. ქართულ ენაზე. ფ. 1).

საქმე მართლაც რიგიანად დამთავრდა – ქორწინება ცნობილ იქნა კანონიერად, წყვილი შეუდგა მშვიდობიან ოჯახურ ცხოვრებას და, ერთ-ერთი წყაროს მიხედვით, საბუთის შედგენისას მათ ექვსი ვაჟიშვილი ჰყავთ: მიხეილი, ივანე, დავითი, ნიკოლოზი, ქსანთე და კაპიტონი (ინტერნ. 1). იმავე საბუთში

მითითებულია, რომ იმ დროს დედა ალექსი დგებუაძისა, ნინო დგებუაძე, ქვრივია; ელისაბედი 26 წლისაა, ხოლო ალექსი – 35 წლისა. მათი უფროსი შვილი, მიხეილი, 12 წლისაა. შესაბამისად, გათხოვებისას ელისაბედი დაახლოებით 13 წლისა იქნებოდა, ალექსი – დაახლოებით 22 წლისა.

უნდა აღინიშნოს, რომ ქლსმ-ში [№2240-ხ (დედანი, შავი, ფ. 70); №2278-ხ (უცნობი ხელით გადაწერილი)] დაცულია დოკუმენტური მოთხრობა **„თავადი ალექსი დგებუაძე და კნენა ელისაბედ დგებუაძისა. ნამდვილი შემთხვევა მენგრელიაში. – მოთხრობა გრიგოლ ანჯაფარიძისა 15 მაისს 1871 წელსა. ს. კინს“**. ავტორი ამ მოთხრობისა (გრიგოლ ნიკოლოზის ძე ანჯაფარიძე – ვეპილი, მსახიობ ვერიკო ანჯაფარიძის ბაბუა) ის პირია, რომელიც დიმ. ყიფიანის პიესაში პერსონაჟადაა (გრიგოლი, ალექსი დგებუაძის ძიძიშვილი) წარმოდგენილი.

გრიგოლ ანჯაფარიძის ტექსტში (იგი ძირითადად ემთხვევა დიმ. ყიფიანის მიერ მოთხრობილ ისტორიას) დასრულებულია ის ამბავი, რომელიც დიმ. ყიფიანის პიესაში დაუსრულებელია, აგრეთვე, დამატებით მოცემულია ზოგიერთი საყურადღებო ცნობა; კერძოდ: დავით ელიავას მეუღლე, ანა, გურული აზნაურია, გვარად – თაყაიშვილი (ქლსმ, №2240, ფ. 69v), დავითი გარდაიცვალა 1859 წლის დეკემბერში (ქლსმ, №2240, ფ. 69r), ხოლო ანა – დავითის გარდაცვალებიდან ოთხი თვის შემდეგ (ქლსმ, №2240, ფ. 69v). დავით ელიავამ სიკვდილის წინ თავისი კეთილშენაძენი ქონება უანდერძა მეუღლეს – ანას, ადგილ-მამული კი დააგირავა ცოლისძმის, ქაიხოსრო თაყაიშვილის, სახელზე (ქაიხოსროსვე დარჩა ანასთვის ნაანდერძევი ქონება). დავით და ანა ელიაევის გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრეობასთან დაკავშირებით აღიძრა საქმე (დგებუაძეების ვეპილი იყო ავტორი მოთხრობისა – გრიგოლ ანჯაფარიძე). საქმე 1862 წელს დასრულდა მორიგებით: „ნახევარი ნაანდერძევისა მიიღო თაყაიშვილმან, ხოლო ნახევარი მემკვიდრემ. და ესრეთ ალექსი და ელისაბედ, გამაძლარი ბედნიერებითა და სავსე ყოველის კე-

თილითა, სცხოვრებენ ხან იმერეთში და ხან მენგრელიაში“ (ქლსმ, №2240, ფ. 69-70).

როგორც ტექსტის ფინალური ნაწილიდან ირკვევა, გრიგოლ ანჯაფარიძეს მოთხრობა პრესაში (უნდა ვიფიქროთ, გაზეთ „დროებაში“) გამოსაქვეყნებლად დაუწერია: „ვათავებ ამ ანბავს ჩემო გულითადნო მეგობარნო სტეფან (უნდა იგულისხმებოდეს „დროების“ გამომცემელი სტეფანე მელიქიშვილი – თ. ჯ.) და დავით (? – თ. ჯ.) და თუმც მართლა თქვენი მიუცილებელი სურვილია, რომ დააბეჭდინოთ ეს მოთხრობა, მაშინ მე თქვენგან ორს პირობას მოვითხოვ – პირველი, რომ ქართული ლექსთ ნწყობილობა და მართლ წერა იკისროთ თვითონ თქვენ ანუ თქვენმა სასიქადულო ქართულის საბეჭდავის რედაქტორმა (ამ დროს „დროების“ რედაქტორია სერგეი მესხი – თ. ჯ.), და მეორე, რომ პირველის გამოსვლისთანავე რამდენიმე ეკუმპლიარი გარდმომცეთ მე უფასოდ“ (ქლსმ, №2240, ფ. 69-70). გრიგოლ ანჯაფარიძის მოთხრობა არ დაბეჭდილა.

¹ (გვ. 243) **„მოვედით გრიგოლის სახლში“** – ალ. ბარიატინსკისადმი ელისაბედ ელიავას 1858 წ. 19 თებერვლის მიმართვა (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №187) აზუსტებს პიესაში აღწერილ ისტორიასთან დაკავშირებულ ზოგიერთ გეოგრაფიულ თუ პერსონალურ მონაცემს. კერძოდ: ალექსი დგებუაძის ძიძიშვილი **გრიგოლი**, რომლის სახლშიც ალექსიმ თავდაპირველად ელისაბედი მიიყვანა, არის სოფელ **კინიის** მკვიდრი **გრიგოლ ანჯაფარიძე** [დედანი – **ანჯაფარია**], მისი ძმა **სამსონი** მღვდელია. სასულიერო პირებიდან კონფლიქტში, გარდა ჭყონდიდელისა (იხ. მომდევნო კომენტარი), **ტარასი არქიმანდრიტიც** იყო ჩართული, პიესის პერსონაჟი „**ნაჩალნიკი ხონის უჩასკისა**“ თავადი **წულუკიძეა**, ალექსი დგებუაძის მომხრენი და ამ საქმის მონაწილენი (соучастники), გარდა **გიგო ელიავასი**, იყვნენ გიგოს ძმები: **ბესო** და **ალექსი ელიავები** და მათი მამა **მერაბ ელიავა**, აგრეთვე **გიორგი ჩაჩიბაია** (სავარაუდოდ – ალექსი დგებუაძის მეგობარი), „**ლუბერსკის პროკურორი**“ **ლევან ქორქაშვილია**,

„ჟანდარმის შტაბ ოფიცერი“ კი – მაიორი **ლაბინსკი**. აქ ნახსენები *წულუკიძე* არის **ნიკოლოზ სიმონის ძე წულუკიძე**, ქუთაისის მაზრის ხონის უბნის უფროსი (1856-1858), მოგვიანებით (1876-1879) – ქუთაისის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლი (კეზევაძე 2009: 12; ნიკ. წულუკიძის ნამსახურობის სია იხ. კეზევაძე 2009: 57-62).

² (გვ. 246) **„მოაწყვეს განკარგულება ჭყონდიდლისა“** – *ჭყონდიდელი*: იგულისხმება სამეგრელოს ეპისკოპოსი (ჭყონდიდელი) **თეოფანე (გაბუნია)** (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №187. ფ. 2).

³ (გვ. 248) **„...კნიაზი გიგო ფალავა“** – *გრიგოლ (გიგო) ფალავა* თვალსაჩინო წევრი იყო სამეგრელოს საზოგადოებისა: საჭილას მდივანბეგი, სამეგრელოს სამთავროს უზენაესი სასამართლოს წევრი (მეუნარგია 1957: 152, 160-161). იგი მონაწილეობდა დასავლეთ საქართველოს (ქუთაისის გუბერნიის) საზოგადოებრივ საქმეებში, მათ შორის, ქუთაისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის სხდომებში. სერგეი მესხი ასე ახასიათებს გიგო ფალავას: „გამოჩენილია თავის ლურჯი სათვალეებით, რომელიც გარეთ და ოთახში, ჩრდილში და მზეში, ყოველთვის შუბლზე ადევს და არა თვალებზე. – აკაკიმ ერთს ვილაცხაზე, რომელსაც ამნაირივე ჩვევა ჰქონდა, თავის კვიმატის ენით სთქვა, როცა ჰკითხეს: – რატომ მუდამ შუბლზე ადევს ამ კაცს ეს სათვალეები? – იმიტომ, რომ თვალებით კი არ არის ბრმა, გონებით არისო. – საშინელი ცხარე კაცია ეს გიგო ფალავა; ამბობენ, ერთ დროს ამისთანა მარჯვე და მხნე კაცი მთელს სამეგრელოში არ მოიძებნებოდაო. ახლა კი სულ ცხარობს, სულ ჯავრობს ეს დალოცვილი. მაგრამ, რადგან შეუბრალებელ სიბერეს კბილები წაურთმევია იმისთვის, ამის გამო კაცს ვერ გაუგია: რაზედ ან ვიზედ ჯავრობს“ (მესხი 1876; მესხი 1963: 221-222).

⁴ (გვ. 251) **„ნამესტინკის სთხოვს“** – *ნამესტინკი*: იგულისხმება ალ. ბარიატინსკი.

⁵ (გვ. 251) **„ლუბერსკის პროკურორი, და ჟანდარმის შტაბ ოფიცერი“** – *ლუბერსკის პროკურორი*: ქუთაისის საგუბერნიო

პროკურორი **ლევან ქორქაშვილი**; *ჟანდარმის შტაბ ოფიცერი*: მაიორი **ლაბენსკი (ლაბინსკი)** (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №187. ფ. 3). დაცულია ლევან ქორქაშვილის 1857 წ. 1 მაისის წერილი დიმ. ყიფიანისადმი, რომელშიც იგი ადრესატს სწერს, რომ ელიავა-დგებუაძის საქმის გამოძიება დაევალა და სამსახურებრივ მოვალეობას ვერ გაექცევა, თუმცა მიაჩნია, რომ ალექსი დგებუაძეს უსამართლოდ დევნიან და ამის გამო მწვავე კონფლიქტი აქვს ქუთაისის ვიცე-გუბერნატორსა და სამეგრელოს მმართველთან, ნიკოლოზ კოლიუბაკინთან (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №1671. ფ. 2).

⁶ (გვ. 254) **„სთხოვეთ დედოფალს, რო მან მთხოვოს მე პატივი თქვენი“** – დედოფალი: იგულისხმება **ეკატერინე დადიანი**. 1857 წლის 25 ოქტომბერს, ეკატერინე დადიანმა დატოვა სამეგრელო და იმპერატორ ალექსანდრე II-ის „მინვევით“ შვილებითურთ პეტერბურგში გაემგზავრა (ბოროზდინი 1934: 164; ყიფიანი 2020: 360-361). ასე რომ, სამეგრელოს დედოფლისა და ელისაბედ ელიავას შეხვედრა 1857 წლის 25 ოქტომბრამდე მოხდებოდა.

⁷ (გვ. 257) **„შენი დედ მამა ლმერთმან ნუ მოგიშალოს“** – დედ-მამა: ალექსი დგებუაძის დედ-მამა იყვნენ **ნინო და კონსტანტინე დგებუაძეები** (კონსტანტინე ავთანდილის ძეა, პრაპორშჩიკია) (ინტერნ. 1).

⁸ (გვ. 263) **„ძალით მომიტაცეს და მზგავსთა ამისთა“** – დაცულია ელისაბედ ელიავას მიერ სხვადასხვა დროს გაგზავნილი ურთიერთგამომრიცხავი წერილები მეფისნაცვალ ალ. ბარიატინსკისა და დიმ. ყიფიანისადმი. პირველ შემთხვევაში წერილის ავტორი ადრესატებს მოახსენებს, რომ ალექსი ელიავამ სასტიკი ძალდატანებით მოიტაცა და მოძალადისგან დაცვას ითხოვს (უნდა ვიფიქროთ: ეს წერილები ელისაბედს იძულებით დაწერიწეს, ან „ავტორის“ ზურგს უკან, ოღონდ მისი სახელით დაწერეს და გაგზავნეს). მეორე შემთხვევაში კი ელისაბედ ელიავა იმავე ადრესატებს უმტკიცებს, რომ ალექსი დგებუაძე უყვარს, ცოლად საკუთარი ნებით გაჰყვა და ითხოვს – მშობელ-

თა ძალადობისგან დამიცავითო. პირველ წერილში ელისაბედ ელიავა დამ. ყიფიანს სწერს (ვიმონებთ სრულად):

„თქუენო აღმატებულებაჲ
უმონყალესო ხელმწიფეჲ
დიმიტრი ივანიჩი!

მე სრულიად დარწმუნებული ვარ, რომელ თქუენ; – ვითარცა კეთილმან, სულ გრძელმან და მსურველმან მშვიდობისა და კეთილ დღეობისა ყოველთა; – მიიღეთ მონაწილეობა საქმესა შინა ჩემსა და განმიცხადეთ რა შევრიგებოდი დგებუაძეს მხოლოდ მისთვის, რომელ თქუენ იცნობდით მამასა ჩემსა და გსურდათ უდრტვიწველად და განსვენებულად ცხოვრება მისი და ოჯახობისა მისისა. გარდა ამისა სხვა მიზეზი – როგორც ვფიქრობ – არ გაიძულებდათ თქუენ, მით უმეტეს რომელ თქუენ არ იცნობდით სრულებით დგებუაძესა და არას ოდეს თქუენ არ გინახავს იგი; გარნა მე განგიცხადეთ უთანხმოება და ეხლაც მოგახსენებთ მიზეზთა თუ რაისათვის არ შემეძლო აღსრულება ბრძანებისა თქუენისა: პირველად მისთვის რომელ მე არა მაქვს სრულიად სიყვარული დგებუაძისა, რომელსა ზედაც დაფუძნებულ არს კავშირი ცოლ ქმრობისა; – მეორეზედ მისთვის რომელ იგი არს ფრიად ცუდი ხასიათისა და ყოფა ქცევისა; მესამედ რომელ იგი არს ფრიადი ღარიბის მდგომარეობის და არ ძალუძს რჩენა ჩემი რიგისამებრ; და მეოთხედ – მე არ ძალმიძს გამოთქმა თუ ვითარი შეინროებული ვიყავი მისგან დროსა პირველისა წარტაცებისა. – მან არა იკმაჟა ეს და შემდგომ გადმოყვანისა ჩემისა იწყო უმეტესად ცდა სიკვდილისათვის მშობლებთა ჩემთა და იწყო დაცემა არა ერთ გზის ოჯახსა ზედა მათსა. – უმწვავესნი მიზეზი ყოვლისა ბოროტ მოქმედებისანი დგებუაძისა იყვნენ და არიან ერთმოგვარენი მამისა ჩემისანი: გიგო, ბესო და ალექსი ელიავები და მამა მათი მერაბ ელიავა, რომელნიცა თვისის კაცებით ყოველთვის წინ უძლოდნენ მას. იგინი არიან მიზეზნი პირველის ჩემის წარტაცებისა, ქონებათა

მამისა ჩემისათა და შემდგომთაცა დაცემათა დგებუადის მიერ
ოჯახსა ზედა მამისა ჩემისასა. —

მე ძრიელ ვსწუხვარ რომელ შევიქენი წინა აღმდეგი ბრძანები-
სა თქუენის აღმატებულებისა; — მე მზავარ ერთისა ბრძანებითა
თქუენითა შევსწირო სრულიად თავიცა ჩემი, გარნა შეერთება
დგებუაძესთანა არა ძალ მიძს, ამისათვის რომელ მხოლოდ ერ-
თი გაფიქრება ამაზედ მიმიყვანს გამოუთქმელსა შიშსა და ძრ-
ნოლასა შინა. მე თანა ხმა ვარ — ვითარცა არის თქუენი სურვი-
ლი — მიუტევო მას ყოველივე მისი წასრული ჩუენზედ ბარბარო-
სული ბოროტ მოქმედება, გარნა ვითხოვ მე დამიხსნათ არა თუ
შეერთებასა მასთანა, არამედ დანახვაცა მისი.

თქუენო აღმატებულებაჲ! მე ვშთები სრულსა იმედსა ქუეშე,
რომელ თქუენ მიიღებთ სახეში დაჩაგრულსა და შეინროებულ-
სა მდგომარეობასა ჩემსა, და არა იძულებულს მყოფთ ანუ
არ გამინყრებით მისთვის, რომელ ვერ აღვასრულე ბრძანება
თქუენი ზემო აღნიშნულს მიზეზებისა გამო, თქუენ ვითარ-
ცა სულ გრძელი და კეთილ გონიერი — ვინაიდგან მიაქციეთ
ყურად ღება მდგომარეობასა წინა აღმდეგთა პირთა და მიიღეთ
მონაწილეობა მათშიდ, იფიქრეთ ჩემთვისაცა. — იმედი მაქვს,
რომ ჩემს დაჩაგრულს მდგომარეობასაც მიაქცევთ ყურადღე-
ბასა, მოიღებთ მამობრივთა მზრუნველობასა და მომცემთ
შემწეობასა რათა საქმე ესე იქმნას სიჩქარით გამოკვლეულ,
რათა არ დარჩეს დაუსჯელად დამნაშავენი პირნი და მე არ
ვიქმნე მით დაჩაგრულ. — რათა მე და მშობლები ჩემი ვიქმნეთ
დაფარულ შეინროებისაგან და ნიადაგ შიშ ქუეშ მყოფობისაგან
მოლოდებისა გამო სიკვდილისა ჩვენისა და აოხრებისა ოჯახ-
ისა ჩვენისა დგებუაძესა, ელიავებთა და მათთა კაცთა მიერ; —
თქვენი აღმატებულება უნდა ბრძანდებოდეს სრულიად დარ-
წმუნებულ, რომელ თქუენ ვითარცა უმთავრესსა პირსა და
ვითარცა კეთილსა კაცსა ვერას ოდეს ვერ მოგახსენებდით უარ-
ის ყოფასა უკეთუ შესაძლო ყოფილიყო და უკეთუ მე არ ვპოებ-
დე თავსა ჩემსა ფრიად დაჩაგრულად, ანუ უმჯობესად ვთქუათ,
არ მოველოდე (უკეთუ შემესრულებია თქვენი ბრძანება) უფრო

უარესსა დაჩაგრვასა და შეინროებულსა მდგომარეობასა სი-
ცოცხლესა შინა ჩემსა.

ჭეშმარიტებითის და უღრმესითა პატივის ცემითა

თქუენის აღმატებულებისადმი
დავშთები უმორჩილესად მოსამსახურე

ელისაბედ ელიავას ასული

ჩყნჭ [1858] წელსა

თებერვლის ით [19] დღესა

ქ. ქუთაისი“ (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №1312. დედანი.
ქართულ ენაზე. ფ. 3.)

იქვეა ანალოგიური შინაარსისა და სულისკვეთების ჩვენ
მიერ ზემოთ ნახსენები (გვ. 429) წერილი ელისაბედ ელიავასი
ალ. ბარიატინსკისადმი, გაგზავნილი ქუთაისიდან თბილისში და
დათარიღებული 1858 წ. 19 თებერვლით. ელისაბედი აღწერს,
თუ როგორ დაეცა შეიარაღებული ხალხით ალექსი დგებუაძე
შინ არმყოფი პოდპორუჩიკის, დავით ელიავას, ოჯახს, როგორ
ააგლიჯეს ელისაბედი დედას მკერდიდან, როგორ გაძარცვეს
სახლი და წაიღეს 2500 მან. და 1000 მანეთის ნივთები, როგორი
აუტანელი მოპყრობითა და სიცოცხლის მოსპობის მუქარით
დასწერეს ჯვარი, მოძალადის სიმხეცის გამო როგორ არის
მიცემული შიშსა და სასონარკვეთას და სხვ. და სხვ. (ხეც. დიმ.
ყიფიანის არქ., საქ. №187. რუსულ ენაზე. ფ. 5).

მეორე, უფრო გვიანდელ, წერილში ელისაბედ ელიავა სწერს
დიმ. ყიფიანს (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №189. ქართულ
ენაზე. ფ. 2; მოგვყავს სრულად):

„მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი
სამენგრელოს მცხოვრების კნიაზის
ალექსი დგებუაძის მეუღლის
ელისაბედ ელიავას ასულისგან

ჩყნჭ [1858] წელსა ივნისის კბ [22] დღესა.

მის აღმატებულებას ჩვენს უმაღლესის რჩევისა კავკასიის მხარისა უფალს დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკს და კავალერს **დიმიტრი ივანეს ძეს ყიფიანს**

გასრულს ჩყნზ [1857] წელსა დაუტევე სახლი მამისა ჩემი-სა და უნებურად მშობელთა ჩემთა გავყევე ცოლად სამენგრე-ლოს კნიაზს ალექსი კოსტანტინეს ძეს დგებუაძეს. არა საჭიროდ ვრაცხ აღვსწერო თითოეული საგანი ამის გარემოებისა, ვინაიდგან საკმაოდ უწყის თქუენმა აღმატებულებამ განხილვისაებრ საქმეთა და რომელთამე დანახულ გარემოებათაგანი. მე მხოლოდ საჭიროდ ვბოებ მოგახსენოთ, რომელ საიდუმლო გულისა ჩემისა შესახებელად დგებუაძისადმი შეერთებისა, და იძულებითი შეგონება მშობელთაგან ჩემთა დაფარვასა ზედა უწინდელისა სურვილისასა მე განვაცხადე წინაშე თქუენსა, ვითხოვ, რათამცა დროდმდე საქმის დაბოლოვებისა და დგებუაძისადმი ჩემის შეერთებისა საიდუმლო ესე ყოველი იყო დაცულ. რომლისა თვისცა განუცხადე თვით ხელითა ჩემითა დაწერილის ქალადითა ჟანდარმის შტაბ ოფიცერს მაიორს ლაბინსკის და უკანასკნელ სიტყვიერათ მისს ბრწყინვალეებას ღენერალ ლუბერნატორს ერისთავს, ველოდებოდი რა გარდაწყვეტილებასა ამ საგანზედ თანახმად სურვილისა ჩემისა და შეერთებასა დგებუაძისა გარნა ვიდრემდის საქმე მიიღებდა დაბოლოებას და მოვიდოდა გარდაწყვეტილება, მანემდისინ სცნეს რა მშობელთა ჩემთა საიდუმლო ჩემი, იწყეს ჩემზედ შევიწროება გამოუთქმელი, რომელ ფერად ფერადთა ტანჯვასა ჩემსა არ მიეცა დასასრული. ესრეთს სასტიკს მშობელთაგან ტანჯვასა ვერლა მტვირთველმან გავიპარე მალულად სამენგრელოსა შინა ოცდა რვასა რიცხვსა მაისის თვისას და მოვედი სახლსა ქმრისა ჩემისასა, რომელშიდცა ანცა ვსცხოვრებ. გარნა უბედურებითა ჩემითა მშობელნი ჩემნი კიდევ არ დასცხრენ საჩივრისაგან, და განაცხადეს ვითომც ხელ მეორედ მოვეტაცო მე დგებუაძეს, მაშინ ოდესაც სრულიად არ მინახავს მე იგი ჯერეთ, რომელიც იმყოფება არა უწყებულს ჩემ-

დამო ადგილზედ მოსარჩენად ქრილობისა თვისისა, რომელიც შიამთხვია მამამან ჩემმან ამა მდგომარეს ნელს თებერვლის თვეშიდ, რომელიცა თვითვე იცის თქუენმა აღმატებულებამ. მე ამ საგანზედ პირისპირ ქალაღლითა ვსთხოვე მენგრელიაში მგზავრად სოხუმიდამ გამორებულს ქუთაისის ღენერალ ლუბერნატორს კნიაზს ერისთავს საშვალობად და თავისა ჩემისა ხელთაგან მშობელთასა და საშვალობა წინაშე მართებლობისა განთავისუფლებისათვის ჩემისა და ქმრისა ჩემისა უსამართლოდ შედგენილის საქმეთა პასუხის გებისაგან. თქუენო აღმატებულებავ, მე თუმცა ამასთანავე ვსთხოვე არძითა ჩემითა მისს ბრწყინვალებას ნამესტნიკს კავკასიის მხარისას კნიაზს ბარათინცკის, და საქართველო იმერეთის სინოდალნიის კანტორას, გარნა ყოველ შემთხვევაში აუცილებლად საჭიროდ ვრაცხ მოვანეწინო გარემოება ესე თქუენის აღმატებულებისადმი და გთხოვოთ საშვალობა წინაშე მართებლობისა, რათამცა ქმნან განკარგულება განთავისუფლებისათვის ჩემისა ხელთაგან მშობელთათა, ეგრეთვე შეერთებისათვის დგებუადისა თანა და შერაცხვისათვის უწინდელის ჩემის სურვილით აღსრულებულის ქორწინებისა კანონიერად, რომლისა გამოვშთები სრულსა იმედსა ქვეშე აღმატებულესობა თქუენი მიაქცევს ჩემზედ იმ სამაგალითო ყურად ღებასა, რომლითაც მოისპებოდეს საქმე ამ საგანზედ და იდიდებოდეს სახელი თქუენი ვითარმე შეწუხებულისაგან თანასწორ ზომად მხარეთამან ჩვენთა.

კნეინა **დგებუადისა ელისაბედ ელიავას ასული**

თხოვნა ესე კნეინა ალექსი დგებუადისა ელისაბედ ელიავას ასულის მიერ ნამდვილ მის მიერ სურვილით შეთხუზულ და მის მიერვე ხელმონერილ რომელსაცა დავესწარით ხელის მოწერასა სალიპარტიანოს ადგილობითნი მოურავნი თავადნი

პოდპორუჩიკი **მანუჩარ მამუკას ძე დგებუადე ხახუ ავთადილის ძე დგებუადე**.

იქვეა (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №190. რუსულ ენაზე. ფ. 4) სენაკის ოლქის სოფ. სალხინოს მკვიდრის,* თავად ალექსი დგებუაძის მეუღლის, ელისაბედ ელიავას მეორე მიმართვა ალ. ბარიატინსკისადმი, დათარიღებული 1858 წლის 24 ივნისით. ელისაბედი მეფისნაცვალს უმტკიცებს, რომ ალექსი დგებუაძეს ნებაყოფლობითა და სიყვარულის ნიადაგზე გაჰყვა ცოლად, ჯვრისწერა კანონიერად ჩატარდა და სხვ.; ამასთანავე, იმასაც აუწყებს, რომ, მიუხედავად დიმ. ყიფიანის ძალისხმევით მიღწეული შერიგებისა, მშობლები არ წყვეტენ ჩვილს, ავინროებენ, მოკვლით ემუქრებიან და სხვ.; დასასრულ, ელისაბედ ელიავა ალ. ბარიატინსკის ემუდარება, დაიხსნას საკუთარ მშობელთა დევნისა და შევიწროებისაგან (დავით ელიავას ბრძანებით მძიმედ დაჭრილი ალექსი დგებუაძე ამ დროს აფხაზეთში ნათესავებთან არის გახიზნული. ელისაბედი მეფისნაცვალს ამასაც ატყობინებს, თუმცა ამბობს – ღმერთის წყალობით გადარჩენილი ჩემი ქმარი ამჟამად ჭრილობებს იშუშებს, ოღონდ სად იმყოფება, არ ვიციო). *ამავე მიმართვაში არის ერთი მნიშვნელოვანი ცნობა, რომელიც არ არის ასახული პიესაში და ეს ცნობა სულ სხვა რაკურსით ხსნის დავით ელიავას ქცევის მოტივაციას: თუ პიესაში დავით ელიავა ალექსი დგებუაძეს სასიძოდ იმიტომ იწუნებს, რომ იგი სხვა კუთხის (სამეგრელოს) შვილია, ელისაბედის ამ მიმართვაში სხვა მიზეზია დასახელებული – მამაჩემს ჩემი სხვაზე გათხოვება სურდა, თუმცა მე ამის წინააღმდეგი ვიყავიო.*

⁹ (გვ. 270) „ანჯაფარიძეს წარუდგენია ელისაბედისაგან შენდამი მიწერილი წიგნები“ – ანჯაფარიძე უნდა იყოს ძმა გრიგოლისა, სოფ. კინიის მკვიდრი, მღვდელი *სამსონ ანჯაფარიძე* (იხ. აქვე, კომენტ. 1).

* სალხინო ამჟამად მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელია.

**უახლესი ესკიზი. მომრიგებელი მოსამართლე
კომპასით ხელში
(გვ. 279-286)**

ხელნაწერი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. დიმ. ყიფიანის არქ., საქმე №88. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ბოლონაკლული. ფ. 4.

სათაური: Новейший эскиз. Мировой судья с компасом в руках.

ხელნაწერი *უთარილოა, ხელმოუნერელია*. ავტორი ჟურნალ „იურიდიჩესკოე ობოზრენიეში“ გამოსაქვეყნებლად 1884 წლის გაზაფხულზე მომხდარ ამბებს აღწერს. ტექსტი გაგრძელება უნდა ყოფილიყო 1884 წ. 18 მარტით დათარიღებული და იმავე ჟურნალში 1884 წლის იანვარ-სექტემბერში ნანილ-ნანილ გამოქვეყნებული თხზულებისა „ესკიზები სტატიისთვის „შენიშვნები ამიერკავკასიაში სასამართლო რეფორმის შესახებ“ (ყიფიანი 2018: 278-300). ამის მიხედვით წინამდებარე ტექსტს **1884 წლით ვათარილებთ**.

ძმები ქაიხოსრო და დიმიტრი ყიფიანები ქვიშხეთსა და მიმდებარე ტერიტორიებზე საერთო მამულებს ფლობდნენ. 1866 წ. ქაიხოსრო გარდაიცვალა [„საყვარელი ძმა დავმარხე, რომელსაც მამობრივი ღვანლი ჰქონდა ჩემზედაც და ჩემს ოჯახზედაც“, – სწერს დიმი. ყიფიანი 1866 წ. 19 ოქტომბერს ეკატერინე დადიანს (ზსიამ. ლ. ა. №1865)]. ამის შემდეგ დიმი. ყიფიანი და მისი ძმისწულები (იხ. ქვემოთ) გაიყარნენ. მომდევნო წლებში ძმისწულებს გაყოფილ მამულებთან დაკავშირებით ბიძასთან სასამართლო დავები ჰქონდათ (დოკუმენტური მასალა იხ. ხეც. დიმი. ყიფიანის არქ., საქ. №№626, 633, 635, 636). წინამდებარე ტექსტი ერთ-ერთ ასეთ დავას ეხება.

¹ (გვ. 279) „მოცემულ საქმესთან დაკავშირებითაც გავუზიარო საკუთარი შთაბეჭდილებები ... მივყვე ჩემ მიერ ადრევე არ-

ჩეულ წესს – არ დავასახელო პირთა ვინაობა“ – ამ დროისთვის ჟურნალ „იურიდიჩესკოე ობოზრენიეში“ დასაბუთებლად დიმ. ყიფიანს, როგორც ზემოთ ითქვა, უკვე დაწერილი ჰქონდა 1848 წ. 18 მარტით დათარიღებული სტატია „ესკიზები სტატიისთვის „შენიშვნები ამიერკავკასიაში სასამართლო რეფორმის შესახებ“, რომელშიც გადმოცემულია ავტორის *შთაბეჭდილებები* და მსჯელობანი საკუთრივ მასთან დაკავშირებული სასამართლო დავების შესახებ და იქ ესეც არის ნათქვამი: „თავს უფლებას ვაძლევ, არც პირთა ნამდვილი ვინაობა მივუთითო და არც – დაწესებულებათა ნამდვილი სახელწოდებანი“ (ყიფიანი 2018: 278).

² (გვ. 279) **„საერთო ადგილ-მამულს იყოფდნენ: ერთი მხრივ, ბიძა და, მეორე მხრივ, მისი ოთხი ძმისწული“** – ბიძა თვითონ დიმ. ყიფიანია, *ძმისწულები* კი (მოგვეყავს უფროს-უმცროსობის რიგით): *დავით* (დაბ. 1835), *ალექსანდრე* (დაბ. 1845), *მიხეილ* (დაბ. 1846) და *ლუარსაბ* (დაბ. 1852) ქაიხოსროს ძე ყიფიანები.

³ (გვ. 279) **„გაყოფა მხარეთა შუამავლების მიერ 1867 წელს მოხდა“** – დიმ. ყიფიანსა და მის ძმისწულებს შორის მამულების *გაყოფა*, როგორც ზემოთ ითქვა, ქაიხოსროს გარდაცვალების (1866 წ.) შემდეგ მოხდა. ძმა ნინო ტატიშვილ-ყიფიანისა, გიორგი ტატიშვილი, რომელიც ბავშვობიდანვე იყო დაახლოებული დიმ. ყიფიანის ოჯახთან („თითქმის ერთად ვცხოვრობდით...“ – ტატიშვილი 2007: 177) თავის მოგონებაში ბიძა-ძმისწულების ურთიერთობის შესახებ წერს:

„დიმიტრის სამსახურში ყოფნის დროს ოჯახს ქვიშხეთში განაგებდა მისი უფროსი ძმა – ქაიხოსრო. რადგან მამაბაპური მამული ცოტა ჰქონდათ, ქაიხოსრო გასასყიდს მამულებს ბევრს შოულობდა. ჩავიდოდა თბილისს დიმიტრისთან და მამულის შესაძენად ართმევდა ფულს. ქაიხოსროს, იმის მაგივრად, რომ ნასყიდობის სიგელში დიმიტრიც მოეხსენებინა, ანდა სულაც დიმიტრის სახელზე დაემტკიცებინა, ამტკიცებდა თავის სახელზე ... [გაყრის შემდეგ] ბევრნაირად მიიღო დიმიტრიმ შეურაცხყოფა ძმისწულებისაგან.

იქამდე მივიდა საქმე, რომ დასჭირდათ ჩარევა გარეშე ხალხისა, რომლებმაც ამოურჩიეს მედიატორები ისევ თავიანთ ახლობლებს შორის, რომელთაც დანვრილებით იცოდნენ მათი საქმე... დიმიტრიმ განაცხადა: მე ვყიდულობდი მამულებს ჩემი ძმის ქაიხოსროს საშუალებით მთელი ჩვენი ძმობისათვის და ეს მამულები უნდა იყვეს განაწილებული თანაბრად ყველა ჩემს ძმაზეო. ქაიხოსროს შვილები კი მოითხოვდნენ, რომ ის მამული, რომელიც შექმნილია ჩვენი მამის საშუალებით, უნდა გაიყოს ორადო, ე. ი. ქაიხოსროს შვილებს ერთი წილი და დიმიტრის – მეორე წილი. მედიატორებმა, გარდა იმ მამულისა, რომელიც თვით დიმიტრის შეუქმნია, დანარჩენი მამულიდან პატარ-პატარა ნაწილი მიანიჭეს სხვა ორ ძმას დიმიტრისას და დანარჩენი გაუყვეს შუაზე დიმიტრის და ქაიხოსროს მემკვიდრეებს ... ამის შემდეგ დიდხანს ქაიხოსროს შვილები თავის საამაყო ბიძას ველარ ერვენებოდნენ. ვიცი კი, რომ მიხეილი ციმბირში რომ გაგზავნეს, მაშინ დიდის ბოდიშით გამოეთხოვა დიმიტრის და ლუარსაბი კი აღდგომა დღეს, რა დროსაც მეც იქ ვიყავი, ვასილ სუმბათაშვილმა (სიძემ ნიკოლოზ ბარათაშვილისა) რომ მიულოცა დიმიტრის ქრისტეს აღდგომის დღე მთელი ქვიშხეთის ინტელიგენციით, სთხოვეს დიმიტრის, ეპატიებინა ლუარსაბისათვის, რომელიც დიდად სწუხს და ნანობს თქვენს წყენინებასაო და სთხოვეს, მიეცა ნება, მოეყვანათ მასთან. დიმიტრიმ იმ საათში შეინყნარა მათი თხოვნა. მაშინვე გაგზავნეს ლუარსაბის მოსაყვანად ორი ყმაწვილი, რომლებმაც ლუარსაბი შემოიყვანეს დიმიტრისთან. ლუარსაბი ჩოქის თავზე დაეცა და უთხრა თავის ბიძას: ბიძაჩემო, შემინყალე და შემიბრალე მე – უგუნური; შემინდე და მაპატიე შენს წინაშე შეცოდებანი ჩემნიო. – დიმიტრიმ მაშინვე ფეხზე წამოაყენა, აკოცა და უთხრა: შენდობილიყვე ჩემგანაც და ხვთისგანაცო; იმედი მაქვს, კვლავ არავის წინაშე უსამართლობას არ ჩაიდენო“ (ტატიშვილი 2007: 183-185).

⁴ (გვ. 279) „**მათ შორის ყველაზე უმცროსმა დაშალა ღობე**“ – ყველაზე უმცროსი: იგულისხმება **ლუარსაბ ყიფიანი**, რომე-

ლიც, ჩვენს ხელთ არსებული მწირი მასალის მიხედვით, ზოგადად მძიმე ხასიათისა ჩანს. „დროების“ ერთ-ერთ პუბლიკაციაში ვკითხულობთ: „ერთი ყ[იფიანი]ია, ლ[უარსაბ], რომელიც ძველებურ დროში რომ ყოფილიყო, ბევრ მამულის მტერ თათარსა და ლეკს თავს ზარს დასცემდა თავის ვაჟკაცური შეხედულებით და მამაცობით. მაგრამ ეხლა ისეც დაჩაგრულ, განიორწყლებულ გლეხ-კაცებს სულთა-მხუთავსავით აშინებს და აფთხობს. ხაშურსა თუ სურამს ღამეში ორი თუმანი არა ჰყოფნის; სკოლის ხსენება ჭირსავით ეჯავრება. ამან რომ მოინდომოს, ქვიშხეთში კი არა, ღორნაკალზე გააკეთებინებს ქვიშხეთელებს კარგ სკოლას“ (ფანქრათ 1882). საპასუხო წერილში ლუარსაბ ყიფიანი წერს: „ავტორს რომ მოეკითხნა გლეხებისათვის, ესენი უფრო მართლადა და დაწვრილებით აუხსნიდნენ ჩემს მეცადინეობას სკოლის დაარსების შესახებ; ბევრჯელ შემადგენია ყრილობა სოფლისა, ძრიელ გარკვევით ამიხსნია, გამიადვილებია, სუყველას ჩვენის მხრით შემწეობით, სკოლის გახსნა... გლეხების საზოგადო საქმესა და ინტერესს რომ სურამისა და ხაშურის დუქნებში მოიკითხავს მწერალი, ხეირიანი არა გამოვა-რა იმისი კალმიდანა... ავტორს ის ჭეშმარიტება დავინწყებია, რომ მწერალს მოეკითხება, საზოგადო ინტერესისა და სარგებლობის გარდა, კერძობითი პირის პატივისცემა, და არა თავხედურად ხსენება ყოველი კაცისა, ვიზედაც რა ჭორი სმენია ან რა უგვანო ფიქრი მოსვლია თავში...“ (ყიფიანი 1882^ბ). 1888 წელს სურამში ლუარსაბ ყიფიანს ჩხუბში ადგილობრივი მცხოვრები სარდიონ მაჭავარიანი შემოაკვდა (ივერია 1888; ყიფიანი 1888).

1893 წ. ოქტომბერში ლუარსაბ ყიფიანის ოჯახში, მისი ქალიშვილის ქორწილში, სტუმრად იმყოფებოდა ილია ჭავჭავაძე [იხ. ალ. ყიფშიძის (ფრონელის) წერილი ზაქარია ყიფშიძისადმი (ყიფშიძე 1940: 185; უფრო ვრცლად: ყიფიანი 1940: 138-139, 143-144)].

⁵ (გვ. 279) **„მომრიგებელ მოსამართლეს მიმართა“** – *მომრიგებელი მოსამართლე*: იგულისხმება მომრიგებელი მოსამართ-

ლე ნ. კაფაფოვი, რომელიც სურამის სამომრიგებლო უბნის მმართველი იყო 1870-1880-იან წწ. და უსამართლობით, პატივმოყვარეობითა და ძალაუფლების წყურვილით გამოირჩეოდა (ჭიანა 1881). ნ. კაფაფოვის თვითნებობა დიმ. ყიფიანის სხვა ტექსტშიც არის აღწერილი (ყიფიანი 2018: 304, 305, 461).

⁶ (გვ. 280) **„უფროსი ძმა... ცნობილი პირია სამომრიგებლო სამართალწარმოების სფეროში“** – *უფროსი ძმა*: იგულისხმება **დავით ყიფიანი**, რომელსაც პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებული. 1860-1870-იან წწ. იგი იყო რაჭის, ქუთაისის, თბილისის მაზრების მომრიგებელი მოსამართლე, 1877-1892 წწ. კი თბილისში ნოტარიუსად მსახურობდა. დავით ყიფიანი იყო თერგდალეულთა თაობის თვალსაჩინო წევრი, ი. ჭავჭავაძის უახლოესი თანამოაზრე და თანამდგომი, მნიშვნელოვანი ფიგურა 1860-იანი წწ. ჟურნალისტურ, პედაგოგიურ, საგამომცემლო და სხვ. პროცესებში (ქართული სალიტერატურო ენისა და თბილისის სათავადაზნაურო ბანკის საკრედიტო პოლიტიკის შესახებ პოლემიკა დიმიტრი და დავით ყიფიანებს შორის, აგრეთვე, ლიტერატურა იხ.: ყიფიანი 2017: 153-157, 164, 323-324, 357-360). უნდა ითქვას, რომ დავით ყიფიანმა სიცოცხლის ბოლოს (გარდაიცვალა ქვიშხეთში 1892 წ. 15 ოქტომბერს) თავისი ადგილ-მამული ვალების გამო დაკარგა: „ავადმყოფობას განსვენებულისას ამ ბოლოს დროს ისიც დაერთო, რომ სიღარიბე ეწვია, მისი უშველელი მამული მოტყუებით ჩაიგდეს ხელში მოვალეებმა, და ამან სულ ერთიანად მოუღო ბოლო“ – ვკითხულობთ მის ნეკროლოგში (ივერია 1892).

⁷ (გვ. 282) **„ბოქაულის კეთილი ნების გაღვივება ბიძამ, როგორც ჩანს, ვერ შეძლო“** – სასამართლოს ბოქაულების (პრისტავების) *კეთილ ნება*სა და საქმიანობაზე დიმ. ყიფიანი სხვა, უფრო ადრინდელ, ტექსტში („შენიშვნები ამიერკავკასიის მხარისთვის განკუთვნილ სასამართლო წესდებათა გამოყენების შესახებ“) წერს: „სააღსრულებო ფურცელი გადაეცემა სასამართლოს ბოქაულს, მაგრამ ამ ბოქაულს ასეთი ფურცლები უამრავი

დაუგროვდა. ისინი მან უნდა დაახარისხოს იმ მიმართულებების მიხედვით, რა მიმართულებებითაც მოუწევს გამგზავრება ფურცლების დასარიგებლად. შეიძლება ჩემი საცხოვრებელი ან საცხოვრებელი ჩემი მოპასუხისა არც დღეს, არც ხვალ და არც ათობით დღის განმავლობაში ბოქაულის მარშრუტში ვერ მოხვდეს. კიდევ არაერთი მეტად თუ ნაკლებად რეზონული მიზეზი გამოჩნდება ხოლმე, რომლებიც გააჭიანურებს სააღსრულებო მოქმედებებს. შესაბამისად, ბევრი რამ არის დამოკიდებული ბოქაულის **კეთილ ნებაზე**, თუ როდის მოისურვებს იგი, ჩემს საქმეს ხელი მოჰკიდოს – ახლავე, თუ გაურკვეველ მომავალში“ (ყიფიანი 2018: 255).

⁸ (გვ. 282) **„ისე, როგორც იმ დროს ნატურაში იქნება, – უბა-სუხა მან“** – ნატურა: ტერიტორია, რომელიც სინამდვილეში არსებობს, მაგრამ რუკაზე (შესაბამის ნახაზზე) არ არის მონიშნული.

⁹ (გვ. 285) **„მესამე ძმას გამგზავრება მოუწია, მართალია, არცთუ შორს“** – ა) *მესამე ძმა*: იგულისხმება **მიხეილ (მიმო) ყიფიანი**, რომელსაც პეტერბურგის ტექნოლოგიური ინსტიტუტი ჰქონდა დამთავარებული (1875) და თვალსაჩინო ფიგურა იყო საქართველოს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში; ბ) *არცთუ შორს*: 1883 წლის თებერვალში, როცა მიხ. ყიფიანს თავისი წილი მამულისა გაუფორმებია, იგი გორის საოსტატო (სამასწავლებლო) სემინარიაში მასწავლებლობდა, თუმცა მანამდე და მას მერე იგი არათუ ქვიშხეთიდან, საქართველოდანაც შორს იმყოფებოდა – ხალხოსნურ მოძრაობაში მონაწილეობის გამო (ერთ-ერთი მეტაური იყო საქართველოში ხალხოსნური მოძრაობისა), მიხ. ყიფიანი ჯერ ორენბურგში (1876-1881), შემდეგ კი უსტ-კამენოგორსკსა და სემიპალატინსკში (1883-1887) იყო „გაციმბირებული“ (მიხ. ყიფიანის შესახებ, აგრეთვე, ლიტერატურა მასზე იხ.: საშვილიშვილო მოკავშირე... 1997: 245-246).

¹⁰ (გვ. 286) **„მომრიგებელმა მოსამართლემ 2 აპრილს გამოაცხადა...“** – ტექსტი აქ წყდება.

მთავარი პოლიტიკური თემა
(გვ. 287-290)

დიმ. ყიფიანის ეს **ავტოგრაფული ხელნაწერი** (ფ. 2) აღმოჩნდა კავკასიის საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარის (1891-1906), მიხეილ პავლეს ძე გაკელის, საარქივო მასალაში, რომელიც ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმშია დაცული (2140-ბ).

ტექსტი უსათაუროა, ხელმოწერელია, უთარილოა, ბოლონაკლულადაა მოღწეული. უკანასკნელი გვერდი ბოლომდეა ნაწერი, უკანასკნელი წინადადება ფურცლის მარჯვენა კიდეშია მისული და დაუმთავრებელია (წყდება სიტყვით: в случае). რაც შეეხება თარიღს, 1887 წ. 2 თებერვალს დიმ. ყიფიანი სტავროპოლიდან ქვიშხეთში მიუღწევს, ნინო ჭილაშვილ-ყიფიანს, სწერს: „ცოტა არ იყოს, გავზარმაცდი: ორი დღეა, ერთი პატარა სტატიის დაწერა მინდა და ვერაფრით ვერ დავიწყე. მაგრამ ეს, რასაკვირველია, დიდხანს ვერ გაგრძელდება“ (ყიფიანი 1995: 88). ვფიქრობთ, დიმ. ყიფიანს აქ სწორედ წინამდებარე სტატია აქვს მხედველობაში და, თუ ეს ასეა, იგი ავტორს **1887 წლის თებერვალში ან ახლო ხანებში უნდა ჰქონდეს დაწერილი.**

დასათაურება ჩვენია.

ტექსტი მოგვანოდა მარინე ყიფიანმა, რომელსაც მადლობას მოვახსენებთ.

¹ (გვ. 290) „**ხომ წარმოუდგენელია, ხსნა მათში ვეძებოთ, ხოლო იმ შემთხვევაში...**“ – ტექსტის მოღწეული ნაწილი აქ წყდება.

დამონებიანი:

აბაშიძე 1905: აბაშიძე კ. პოლიტიკური რომანტიზმი. „მოამბე“, 1905, №1 (განყ. II).

აბაშიძე 1998: აბაშიძე კ. პოლიტიკური რომანტიზმი. გ. აბაშიძის პუბლიკაცია მისივე შესავალი წერილით „კიტა აბაშიძის „პოლიტიკური რომანტიზმი“. „ლიტერატურული ძიებანი“. XIX. 1998.

ავალოვი 1871: Авалов А. Заседание Тифлисского окружного суда 9 апреля 1871 года по делу князя Николая Мингрельского с ДСС Димитрием Кипиани о 112 967 р. 14 к. Тифлис: Типография Меликова и К⁰. 1871.

აქტები 1874: Акты, собранные Кавказской археографической комиссиєю. Т. VI. Ч. I. Тифлис: Типография Главного Управления Наместника Кавказского. 1874.

აქტები 1881: Акты, собранные Кавказской археографической комиссиєю. Т. VIII. Тифлис: Типография Главного Управления Наместника Кавказского. 1881.

აქტები 1885: Акты, собранные Кавказской археографической комиссиєю. Т. X. Тифлис: Типография Главного Управления Наместника Кавказского. 1885.

ბაგრატიონ-მუხრანსკი 1887: ბაგრატიონ-მუხრანსკი ივ. თქვენო მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობავ! „ივერია“, 26.XI, 1887, №247.

ბალახაშვილი 1940: ბალახაშვილი ი. ლიტერატურული წრეები და სალონები საქართველოში (XIX საუკუნის I ნახევარი), თბილისი: საბლიტგამი. 1940.

ბალახაშვილი 1966: ბალახაშვილი ი. გრიბოედოვი და ნინო ქავჭავაძე, თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1966.

ბერიძე 1977: ბერიძე თ. ძველი თბილისის გარეუბნების ისტორია. თბილისი: მეცნიერება. 1977.

ბერძნიშვილი 1980: ბერძნიშვილი მაქს. მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის. I. თბილისი: მეცნიერება. 1980.

ბერძნიშვილი 1983: ბერძნიშვილი მაქს. მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის. II. თბილისი: მეცნიერება. 1983.

ბოგომოლოვი 1984: Богомолов И. С. Грузия в жизни и творчестве Матвея Гамазова. // Богомолов И. С. Тропую дружбы. Тбилиси: Мерани. 1984.

ბოროზდინი 1934: ბოროზდინი კ. სამეგრელო და სვანეთი. 1854-1861. მოგონებანი. თარგმნილი თ. სახოკიას მიერ. თბილისი: სახელმწიფო გამომცემლობა. 1934.

ბოცვაძე 1976: ბოცვაძე ი. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსების ისტორიისათვის. // ი. ბოცვაძე. პრესა და მწერლობა. თბილისი: განათლება. 1976.

ბროკჰაუზი-ეფრონი 1903: Брокгауза и Ефрона энциклопедический словарь. Кн. 75. Т. XXXVIII. С.-Петербург: Типография Акц. Общ. Брокгауз-Ефрон. 1903.

გაჩეჩილაძე 1988: გაჩეჩილაძე ა. ქართული თეატრის აღდგენის სათავეებთან. // ა. გაჩეჩილაძე. ლიტერატურული ძიებანი. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1988.

გერსამია 1950: გერსამია ს. გიორგი ერისთავის თეატრი. თბილისი: სახელგამი. 1950.

გერსამია 1984: გერსამია თ. ძველი თბილისი. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1984.

გერსამია 2011: გერსამია ს. დიმიტრი ყიფიანი და ქართული თეატრი. // საშვილიშვილო მოკავშირე – დიმიტრი ყიფიანი (მასალები XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის). შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა, რუსული ტექსტები თარგმნა, წინასიტყვა, ბიბლიოგრაფიული შენიშვნები, კომენტარები და საძიებლები დაურთო თ. ჯოლოგუამ. III. თბილისი: ნეკერი. 2011.

გოგებაშვილი 1990: გოგებაშვილი ი. როგორ დაარსდა „წერა-კითხვის საზოგადოება“. // ი. გოგებაშვილი. რჩეული თხზულებანი (ხუთ ტომად). ტ. III. თბილისი: განათლება. 1990.

გოდერიძე 1978: გოდერიძე ლ. მასალები ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ისტორიისათვის (1879-1900). „საისტორიო მოამბე“. [ტ.] 37-38. 1978.

გოდერიძე 1980: გოდერიძე ლ. მასალები ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ისტორიისათვის (1901-1920). „საისტორიო მოამბე“. [ტ.] 41-42. 1980.

გოდერიძე 2005: გოდერიძე ლ. კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობა საქართველოში მე-19 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში (ქართული თვითმოქმედი საზოგადოებები). თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2005.

გოზალიშვილი 1927: გოზალიშვილი გ. 1832 წლის შეთქმულების მასალებიდან. „საქართველოს არქივი“ (ნგნ. II. ტფილისი: 1927).

გოზალიშვილი 1935: გოზალიშვილი გ. 1832 წლის შეთქმულება. ტ. I. ტფილისი: სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1935.

გოზალიშვილი 1951: დიმიტრი ყიფიანის არქივი. შეადგინა და დასაბეჭდად მოამზადა შ. გოზალიშვილმა, შ. ჩხეტიას რედაქციით. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. 1951.

გოზალიშვილი 1970: გოზალიშვილი გ. 1832 წლის შეთქმულება. ტ. II. თბილისი: მერანი. 1970.

გოზალიშვილი 1976^ა: გოზალიშვილი გ. 1832 წლის შეთქმულება. ტ. III. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1976.

გოზალიშვილი 1976^ბ: გოზალიშვილი შ. ილია ოქრომჭედლიშვილი (ცხოვრება და მოღვაწეობა). თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1976.

გოცაძე 1952: გოცაძე მ. პირველი ქართული ჟურნალი. „საისტორიო მოამბე“. [ტ.] 6. 1952.

გოცაძე 1954: გოცაძე მ. ქართული ჟურნალისტიკის ისტორია. I. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1954.

გრიშაშვილი 1997: გრიშაშვილი ი. ქალაქური ლექსიკონი (საარქივო მასალა). გამოსაცემად მოამზადა რ. კუსრაშვილმა. თბილისი: სამშობლო. 1997.

გუგუშვილი 1941: გუგუშვილი პ. ქართული ჟურნალისტიკა (საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის). ტ. I. თბილისი: სახელგამი. 1941.

გუგუშვილი 1950: Гугушвили П. В. Сельское хозяйство и аграрные отношения. Т. 2 (Отмена крепостного права). Тбилиси: Издательство ТГУ. 1950.

დანელია 1993-1994: დანელია ფ. „მსგავსი კაცები ერთობ იშვიათად იბადებიან“. დიმიტრი ყიფიანი საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის მასალების მიხედვით. „საისტორიო მოამბე“. [ტ.] 65-66. 1993-1994.

დოდაშვილი 1961: დოდაშვილი ს. თხზულებანი. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. 1961.

დოდაშვილი 1989: დოდაშვილი ს. თხზულებანი. შემდგენელი და წინასიტყვაობის ავტორი თ. კუკავა. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1989.

დროება 1866: ვარანცოვის ძეგლი. „დროება“, 11.XI.1866, №37.

დროება 1867^ა: 25 და 26 მარტი ტფილისში. „დროება“, 7.IV, 1867, №14.

დროება 1867^ბ: ვარანცოვის ძეგლის კურთხევა. „დროება“, 24.III, 1867, №12.

დროება 1867^გ: კნიაზი ვარანცოვის ძეგლის კურთხევა. „დროება“, 31.III.1867, №13.

დროება 1867^დ: კეთილშობილთ კენჭის-ყრაზედ ტფილისის გუბერნიაში. „დროება“, 16.VI, 1867, №24.

დროება 1867^ე: კეთილშობილთ კენჭის-ყრაზედ ტფილისის გუბერნიაში. „დროება“, 23.VI, 1867, №25.

დროება 1867^ა: უქაზები მმართველის სენატისადმი. „დროება“, 27.I, 1867, №4.

დროება 1867^ბ: ფრანცია. პოლშელ ემიგრანტების ადრესი იმპერატორის ნაპოლეონისადმი. „დროება“, 30.VI/12.VII, 1867, №26.

დროება 1869: ი. ლ. სერებრიაკოვი (მოკლე ბიოგრაფია). „დროება“, 3(15).IV, 1869, №14.

დროება 1871: უფ. დიმიტრი ყიფიანის და თ. მინგრელსკის საქმე. „დროება“, 24.IV. 1871, №16.

დროება 1876: „დროების“ დღესასწაული ათის წლისა. „დროება“, 7.III, 1876, №24.

დროება 1878: სპარსეთის შაჰი თფილისში. „დროება“, 5.V, 1878, №86.

დროება 1879^ა: „საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ კრება. „დროება“, 17.V, 1879, №101.

დროება 1879^ბ: წესდებულება თფილისის საზოგადოებისა, რომელმაც წიგნის ცოდნა უნდა გაახშიროს ქართველებ შუა, სადაც მოსახლობენ კავკასიის სანამესტნიკოში. „დროება“, 17.V, 1879, №101.

დროება 1885^ა: ქუთაისის გუბერნიის კეთილ-შობილთა წინამძღოლი ქუთაისში (წერილი ქუთაისიდან). „დროება“, 31.V, 1885, №113.

დროება 1885^ბ: ქუთათური მემატიანე. ქუთაისი, მაისის 23-ს. ქუთაისი, მაისის 24-ს. „დროება“, 28.V, 1885, №110.

დროება 1885^გ: „ქუთაისიდან გვაცნობებენ...“. „დროება“, 25.V, 1885, №108.

დროება 1885^დ: ბათუმელების წერილის გამო. „დროება“. 17.VII, №152.

დროება 1885^ე: „დროებაში“ დაწერილი წერილის გამო... „დროება“, 20.VIII, №178.

დუნკელ-ველინგი 1867^ა: Дункель-Веллинг Н. Открытие памятника князю Михаилу Семеновичу Воронцову. „Кавказ“. 30.III, 1867, №26.

დუნკელ-ველინგი 1867^ბ: Дункель-Веллинг Н. 26 марта в Тифлисе. „Кавказ“. 2.IV, 1867, №27.

ვორონცოვი 1867: Открытие памятника в Тифлисе светлейшему князю Михаилу Семеновичу Воронцову 25-го марта 1867 года. Тифлис: 1867.

ერისთავი 1832^ა: ერისთავი გ. ოსური მოთხრობა. ყ. „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“. 1832. №3.

ერისთავი 1832^ბ: ერისთავი გ. ოსური მოთხრობა. ყ. „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“. 1832. №4.

ერისთავი 1850: Раздел. Комедия в трёх актах. Сочинение князя Георгия Эристова. [Перевод Дим. Кипиани]. Тифлис: Типография Канцелярии Наместника Кавказского. 1850.

ერისთავი 1950: ერისთავი გ. პიესები. შ. რადიანის რედაქციითა და შესავალი წერილით. თბილისი: სახელგამი. 1950.

ერისთავი 1966: ერისთავი გ. თხზულებანი. ტექსტი დაადგინა, გ. ერისთავის ბიოგრაფიული მონაცემები, ენობრივი მიმოხილვა, ვარიანტები, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ო. ურიდიამ. თბილისი: ლიტერატურა და ხელოვნება. 1966.

ერისთავი 1979: Эристави Г. Раздел. Перевод Д. Кипиани. // Грузинская литература XIX века (Хрестоматия). Часть первая. Хрестоматию составили: Евгенидзе Ю.Ф. Каландаришвили Г.Н. Карбелашвили М. Д. Кекелидзе П. Л. Кикачеишвили Т. А. Кубаниешвили С.И. Минашвили В. А. Радиани Ш. Д. Хуцишвили С. Г. Редактор Хуцишвили С. Г. Тбилиси: Издательство Тбилисского университета. 1979.

ერისთავი 1995: ერისთავი გ. გაყრა. // ქართული მწერლობა (ოცდაათ ტომად). შემდგენელნი: ა. ბაქრაძე, რ. თვარაძე. ტ. 10. თბილისი: ნაკადული. 1995.

თავზიშვილი 1974: თავზიშვილი გ. სახალხო განათლება და პედაგოგიკური იდეები მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში. // გ. თავზიშვილი. რჩეული ნაწერები. ტ. I. ი. ბოცვაძის რედაქციით. თბილისი: განათლება. 1974.

თელია 1989: თელია ა. ქართული სათავადაზნაურო ბანკი და ილია ჭავჭავაძე. თბილისი: განათლება. 1989.

თოდუა 1963: თოდუა გრ. ივანე ოქრომჭედლიშვილი. თბილისი: საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გამომცემლობა. 1963.

თულაშვილი 1895: თულაშვილი ვ. შენიშვნა (ბ-ნ ნ. დ. ყიფიანის წერილის გამო: „დიმიტრი ყიფიანის ცხოვრება“). „მომამბე“, 1895, №5, განყ. II.

თულაშვილი 2007: თულაშვილი ვ. შენიშვნა (ბ-ნ ნ. დ. ყიფიანის წერილის გამო: „დიმიტრი ყიფიანის ცხოვრება“). // საშვილიშვილო მოკავშირე – დიმიტრი ყიფიანი... II. თბილისი: ლომისი. 2007.

თურნავა 1979: თურნავა ს. ფრანგული ლიტერატურის ქართული თარგმანები. // კრზ. „ევროპული ლიტერატურის ქართული თარგმანები XIX საუკუნის მეორე ნახევარში“ (თბილისი: მეცნიერება. 1979).

ივერია 1885: სამეგრელოს სათავად-აზნაურო სკოლის კურთხევა. „ივერია“, 1885, №10.

ივერია 1887^ა: ახალი ამბავი („გუშინ თითქმის თორმეტი საათი შუა დღისა ჰსრულდებოდა...“). „ივერია“, 19.XI, 1887, №242.

ივერია 1887^ბ: სიტყვა თქმული 20-ს ოქტომბერს 1885 წელს სენაკის სააზნაურო სკოლაში დიმიტრი ივანეს ძის ყიფიანის მიერ. გაზ. „ივერია“, 11.XI, 1887, №236.

ივერია 1887^გ: წერილი სტავროპოლიდამ. „ივერია“, 7.XI, 1887, №233.

ივერია 1888: დ. სურამი („ამ რამდენიმე დღის წინად...“). „ივერია“, 21.VIII, 1888, №176.

ივერია 1889^ა: სტავროპოლის ოლქის სასამართლო (დიმიტრი ივანეს ძის ყიფიანის მოკვლის საქმე). „ივერია“, 5.VIII, 1889, №165; 29.VIII, 1889, №183.

ივერია 1889^ბ: სტავროპოლის ოლქის სასამართლო (დიმიტრი ივანეს ძის ყიფიანის მოკვლის საქმე). „ივერია“, 5-29.VIII, 1889, №165, 167, 171-173, 175, 178, 181, 183.

ივერია 1892: ნეკროლოგი. დავით ქაიხოსროს ძე ყიფიანი. „ივერია“, 4.XI, 1892, №233.

კავკაზ 1867: О дворянских выборах в Тифлисской губерний. „Кавказ“, 8.VI, 1867, №44.

კავკაზ 1871^ა: Тифлис, 24-го сентября. „Кавказ“, 24.XI, 1871, №112.

კავკაზ 1871^ბ: Тифлис, 26-го сентября. „Кавказ“, 26.XI, 1871, №113.

კავკაზ 1871^გ: Тифлис, 29-го сентября. „Кавказ“, 29.XI, 1871, №114.

კავკაზ 1878^ა: Местные известия („Вчера, 2-го мая...“). „Кавказ“, 3.V, 1878, №99.

კავკაზ 1878^ბ: Местные известия. Церемониал. „Кавказ“, 2.V, 1878, №98.

კავკაზ 1882: Хроника („В субноту, 2 октября, прибыл в Тифлис его высокопреосвященство экзарх Грузии Павел...“). „Кавказ“, 3.X, 1882, №260.

კალისტოვი 1882: Каллистов Н. Приезд на Кавказ высокопреосвященного экзарха Грузии Павла и первые шаги служения его в Грузии. „Кавказ“, 7-9.X, 1882, №№264-266.

კაციტაძე 1997: კაციტაძე კ. ესეი ქართულ პოლიტიკურ რომანტიზმზე. „ლიტერატურული საქართველო“. 15-22.VIII, 1997, №33.

კეზევაძე 2009: ქუთაისის გუბერნიისა და მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლები (დოკუმენტების კრებული). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა მ. კეზევაძემ. ქუთაისი: საგამომცემლო ცენტრი. 2009.

კერესელიძე 1852: ყრმათა მეგობარი. პირველად დაწყებისა თჳს წარკითხვისა. გადმოთარგმნილი რუსულითგან ქართულსა ენასა ზედა ივ. კერესელიძისა მიერ (პირველად გამოცემული). ტფილისი: 1852.

კერესელიძე 1853: საკითხავი წიგნი ახალ-მოსწავლეთა ყრმათათჳს. რუსულიდან ქართულად გადმოთარგმნილი ივ. კერესელიძის მიერ. ტფილისი: კავკასიის ნამესტნიკის კანცელარიის სტამბა. 1853.

კიკნაძე 1996: კიკნაძე ფილადელოფოს. სიყვარული მამული-სა. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი წერილი, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო თ. კუკავამ. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1996.

კლდიაშვილი 1947: კლდიაშვილი დ. ჩემი ცხოვრების გზაზე. // დ. კლდიაშვილი. მოთხრობები და პიესები. თბილისი: სახელგამი. 1947.

მაკიევსკი-ზუბოკი 1906: Макиевский-Зубок Н.Г. Кавказ и кавказские наместники. „Вестник Европы“. 1906, т. 1, кн. 2.

მესხი 1876: მეკენჭე [მესხი, სერგეი]. ქუთაისის საზოგადო კრება (ხელით ნაწერი პორტრეტები). „დროება“, 26.V, 1876, №51.

მესხი 1878: ს. მ. (მესხი, სერგეი). სადილი ახლად-შემოერთებულ ქართველებისათვის. „დროება“, 23.XI, 1878, №239.

მესხი 1963: მესხი ს. ხელით ნაწერი პორტრეტები. // ს. მესხი. თხზულებანი. შედგენილი ი. ბოცვაძის მიერ, მისივე შენიშვნებითა და კომენტარებით. ტ. II. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1963.

მესხი 1964: მესხი ს. სადილი ახლად-შემოერთებულ ქართველებისათვის. // ს. მესხი. თხზულებანი (სამ ტომად). შედგენილი ი. ბოცვაძის მიერ, მისივე შენიშვნებითა და კომენტარებით. ტ. III. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1964.

მეუნარგია 1940: მეუნარგია ი. ცხოვრება და ღვანლი გრ. ორბელიანისა (დაუბეჭდავი თავები). „ლიტერატურის მატია-ნე“. ნგნ. 1-2. 1940.

მეუნარგია 1954: მეუნარგია ი. ცხოვრება და ღვანლი გრიგოლ ორბელიანისა. // ი. მეუნარგია. ქართველი მწერლები. სოლ. ცაიშვილის რედაქციით, წინასიტყვიტა და შენიშვნებით. I. თბილისი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა. 1954.

მეუნარგია 1957: მეუნარგია ი. დავით დადიანი და მისი დრო. // ი. მეუნარგია. ქართველი მწერლები. II. შედგენილი ს. ცაიშვილის მიერ, მისივე რედაქციით, წინასიტყვიტა და შენიშვნებით. თბილი-

სი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა. 1957.

მთვარელიძე 2018: მთვარელიძე მ. დიმიტრი ყიფიანი – ლიტერატორი. თბილისი: უნივერსალი. 2018.

მწყემსი 1885: დ. ძველი სენაკი. 27-ს ოქტომბერს... „მწყემსი“, 30.XI, 1885, №23.

მწყემსი 1900: ყოვლად სამღვდელო ბესარიონი, ეპისკოპოსი იმერეთისა. ყოვლად სამღვდელო ბესარიონის გვამის გასვენება მღვდელ-მთავრის სასახლიდამ საკათედრო ტაძარში. „მწყემსი“, 15.VIII, 1900, №15.

ნანიტაშვილი... 2004: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. თანამედროვეთა მოგონებები. შემდგენელი ლ. ნანიტაშვილი. წინასიტყვაობა, რედაქცია, ბიბლიოგრაფია და შენიშვნები, სახელთა საძიებელი ს. ხუციშვილისა. თბილისი: რჩეული. 2004.

ნიკოლაიშვილი 1967: ნიკოლაიშვილი ნ. 1830-1831 წლების პოლონეთის აჯანყება და საქართველოს მოწინავე საზოგადოება. „მაცნე“, 1967, №2.

ოქრომჭედლიშვილი 1913: ოქრომჭედლიშვილი ნ. ახალი მკურნალობა. Modern medicine (პირველი რვეული). ტფილისი: 1913.

პაპავა 1979: პაპავა ნ. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება (დაარსების 100 წლისთავის გამო). მაცნე (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია). 1979, №2.

პოლიევქტოვი 1927: პოლიევქტოვი მ. საარქივო მასალები 1832 წლის შეთქმულების ისტორიისათვის საქართველოში. // საქართველოს არქივი. წგნ. 2. ტფილისი: ცენტრარქივი. 1927.

რაზმაძე 1990: რაზმაძე ს. ლექსები. ს. ხუციშვილის რედაქციით და შენიშვნებით. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1990.

რატიანი 1973: რატიანი შ. ჟურნალი „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“. // „ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხები“ (III. 1973).

საშვილიშვილო მოკავშირე... 1997: საშვილიშვილო მოკავშირე – დიმიტრი ყიფიანი (მასალები XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის). შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა, რუსული ტექსტები თარგმნა, წინასიტყვა, ბიბლიოგრაფიული შენიშვნები, კომენტარები და საძიებლები დაურთო თ. ჯოლოგუამ. I. თბილისი: ლომისი. 1997.

საშვილიშვილო მოკავშირე... 2007: საშვილიშვილო მოკავშირე – დიმიტრი ყიფიანი (მასალები XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის). შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა, რუსული ტექსტები თარგმნა, წინასიტყვა, ბიბლიოგრაფიული შენიშვნები, კომენტარები და საძიებლები დაურთო თ. ჯოლოგუამ. II. თბილისი: ზეკარი. 2007.

სახალხო გაზეთი 1912^ა: დიმიტრი ყიფიანის მიწერ-მოწერა. „სახალხო გაზეთი“. 17.XI, 1912, №752.

სახალხო გაზეთი 1912^ბ: გიორგი ერისთავის წერილი. „სახალხო გაზეთი“, 20.VI, 1912, №629.

სახოკია 1955: სახოკია თ. ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი. ტ. III. თბილისი: სახელგამი. 1955.

სურგულაძე 1968: სურგულაძე ა. ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპოქა. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1968.

ტაბიძე 2012: ტაბიძე ნ. ქართული ჟურნალისტიკის ისტორია. ტ. I. თბილისი: უნივერსალი. 2012.

ტატიშვილი 2007: ტატიშვილი გ. მოგონებანი. // საშვილიშვილო მოკავშირე – დიმიტრი ყიფიანი. შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა, რუსული ტექსტები თარგმნა, წინასიტყვა, ბიბლიოგრაფიული შენიშვნები, კომენტარები და საძიებლები დაურთო თ. ჯოლოგუამ. II. თბილისი: ზეკარი. 2007.

უთურაშვილი 1989: უთურაშვილი ი. დიმიტრი ყიფიანი. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1989.

ურუშაძე 1982: ურუშაძე ნ. ქართული თეატრის ამბავი. თბილისი: ნაკადული. 1982.

ფანქრათ 1882: ფანქრათ. ქართლის პანარამა. „დროება“, 26.I, 1882, №18.

ფელიეტი [ფეიე] 1860: რომანი ერთის ღარიბის ყმანვილი-კაცისა. თხზულება ო კ ტ ა ვ ფ ე ლ ი ე ტ ი ს ა. ფრანციზულითგან ნათარგმნი ბ ა ქ ა რ ქ ა რ თ ლ ე ლ ი ს ა გ ა ნ. ტფილისი: დაბეჭდილი კერესელიძის ტიპოგრაფიაში. 1860.

ფელიეტი [ფეიე] 1860: რომანი ღარიბის ყმანვილი-კაცისა. თხზულება ო კ ტ ა ვ ფ ე ლ ი ე ტ ი ს ა. [თარგმანი] ბაქარ ქართლელისა. „ცისკარი“, 1860, №2 (თებერვალი).

ფელიეტი [ფეიე] 1860: ღარიბის ყმანვილი კაცის რომანი. „ცისკარი“, 1860, №3 (მარტი).

ფელიეტი [ფეიე] 1860: ღარიბის ყმანვილი კაცის რომანი. „ცისკარი“, 1860, №4 (აპრილი).

ფელიეტი [ფეიე] 1860: ღარიბის ყმანვილი კაცის რომანი. „ცისკარი“, 1860, №5 (მაისი).

ფურცელაძე 1912: Пурцеладзе А. Наши общественные дела и участие в них Вахтанга Тулаева. „Закавказская речь“, 16.XI, 1912, №132

ფურცელაძე 2007: ფურცელაძე ა. ჩვენი საზოგადოებრივი საქმეები და მათში ვახტანგ თულაშვილის მონაწილეობა. // საშვილიშვილო მოკავშირე – დიმიტრი ყიფიანი (მასალები XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის). შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა, რუსული ტექსტები თარგმნა, წინასიტყვა, ბიბლიოგრაფიული შენიშვნები, კომენტარები და საძიებლები დაურთო თ. ჯოლოგუამ. II. თბილისი: ზეკარი. 2007.

ქართული მწერლობა 2003: ქართული მწერლობა (ოცდაათ ტომად). შემდგენელი: ა. ბაქრაძე, რ. თვარაძე. ტ. XX (ტომის შემდგენელი: ა. ბაქრაძე, თ. ჯოლოგუა). ტომის რედაქტორი თ. ჯოლოგუა, მისივე შენიშვნებითა და ბოლოსიტყვით. თბილისი: ნაკადული. 2003.

ქეგლ 1950: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით. ტ. I. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. 1950.

ქეგლ 1955: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით. ტ. IV. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. 1955.

ქეგლ 1960: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით. ტ. VI. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. 1960.

ქეგლ 1962: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით. ტ. VII. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. 1962.

ყიფიანი 1854^ა: Кипиани Д. Несколько мыслей о материалах для истории Грузии. „Кавказ“, 15.V, 1854, №37.

ყიფიანი 1854^ბ: Кипиани Д. Несколько мыслей о материалах для истории Грузии. „Кавказ“, 22.V, 1854, №39.

ყიფიანი 1854^გ: Кипиани Д. Несколько мыслей о материалах для истории Грузии. Тифлис: Типография Канцелярий Наместника Кавказского. 1854.

ყიფიანი 1868: [Кипиани Д. И.] Мингрельский княжеский дом и Димитрий Кипиани. Тифлис: Типография Меликова и К⁰. 1868.

ყიფიანი 1869: სამეგრელოს მთავრის სახლი და დიმიტრი ყიფიანი. [ტფილისი]: კერესელიძის სტამბა. 1869.

ყიფიანი 1882^ა: ყიფიანი დიმ. ახალი ქართული გრამმატიკა. სხარტულად დაწერილი მამისაგან შვილებისათვის. სანკტ-პეტერბურლი: სამეცნიერო აკადემიის სტამბა. 1882.

ყიფიანი 1882^ბ: ყიფიანი ლ. წერილი რედაქტორთან. „დროება“, 2.III, 1882, №44.

ყიფიანი 1888: ყიფიანი მიხ. წერილი რედაქციის მიმართ. „ივერია“, 1.IX, 1888, №182.

ყიფიანი 1894: ყიფიანი ნიკ. დიმიტრი ყიფიანის ცხოვრება. „მოამბე“, 1894, №4. [განყ.] X.

ყიფიანი 1911: ყიფიანი ნ. დიმიტრი ყიფიანი კერძო ცხოვრებაში. გაზ. „თემი“, 11.IV, 1911, №14.

ყიფიანი 1930: ყიფიანი დიმ. მემუარები. სიმ. ხუნდაძის რედაქციით, შენიშვნებით და წინასიტყვაობით. ტფილისი: 1930.

ყოფიანი 1940: ყიფიანი ნ. ილია ჭავჭავაძის ცხოვრებიდან. „ლიტერატურის მატრიანე“. წგნ. 1-2. 1940.

ყოფიანი 1995: ყიფიანი დიმ. რა ხალხია ქართველები? შეადგინა, რუსული ტექსტები თარგმნა, შენიშვნები და ბოლოსიტყვა დაურთო თ. ჯოლოგუამ. გ. აღხაზიშვილისა და რ. ჩხეიძის რედაქციით. თბილისი: ლომისი. 1995.

ყოფიანი 2010: ყიფიანი დიმ. წერილები. წინასიტყვაობა რ. ამალლობელისა. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2010.

ყოფიანი 2014: დიმიტრი ყიფიანი – 200. პროექტის ავტორი და კრებულის შემდგენელი ბ. კობაძე. თბილისი: სვეტი. 2014.

ყოფიანი 2016: ყიფიანი დიმ. თხზულებანი (ათ ტომად). ტ. I (პოეზია. პროზა. თარგმანები). შეადგინა, რუსული ტექსტები თარგმნა, შენიშვნები, კომენტარები და საძიებლები დაურთო თ. ჯოლოგუამ. თბილისი: არტანუჯი. 2016.

ყოფიანი 2017: ყიფიანი დიმ. თხზულებანი (ათ ტომად). ტ. II (პუბლიცისტიკა. ლიტერატურული წერილები. საისტორიო თხზულებები). შეადგინა, რუსული ტექსტები თარგმნა, შენიშვნები, კომენტარები და საძიებლები დაურთო თ. ჯოლოგუამ. თბილისი: ეროვნული ბიბლიოთეკის გამომცემლობა. 2017.

ყოფიანი 2018: ყიფიანი დიმ. თხზულებანი (ათ ტომად). ტ. III (ბატონყმობა. საბანკო-საკრედიტო საქმე. იურიდიული თხზულებები). შეადგინა, რუსული ტექსტები თარგმნა, შენიშვნები, კომენტარები და საძიებლები დაურთო თ. ჯოლოგუამ. თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. 2018.

ყოფიანი 2019: ყიფიანი დიმ. თხზულებანი (ათ ტომად). ტ. IV (ადმინისტრაციულ-მმართველობითი საქმე. რეცენზიები. „ახალი ქართული გრამმატიკა“). შეადგინა, რუსული ტექსტები თარგმნა, შენიშვნები, კომენტარები და საძიებლები დაურთო თ. ჯოლოგუამ. თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. 2019.

ყოფიანი 2020: ყიფიანი დიმ. თხზულებანი (ათ ტომად). ტ. V (ავტობიოგრაფიული ნაწერები, დღიურები, მემუარები). შეად-

გინა, რუსული ტექსტები თარგმნა, შენიშვნები, კომენტარები და საძიებლები დაურთო თ. ჯოლოგუამ. თბილისი: საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა. 2020.

ყიფშიძე 1940: ამონაწერები ზაქარია ყიფშიძის კერძო წერილებიდან. „ლიტერატურის მატრიანე“. წგნ. 1-2. 1940.

შენგელია... 1968: შენგელია მ. გიგიტაშვილი მ. დიმიტრი ყიფიანი და მედიცინა. გაზ. „სახალხო ჯანმრთელობა“, 11.VI, 1968, №38.

შექსპირი 1859: რომეო და ჯულიეტა, დრამა, ხუთ მოქმედებად განყოფილი, თხზულება შექსპირისა. ანგლიურიდამფრანცუზულს ენაზედ ახლად გადმოღებული, ბენჟამენ ლაროშისაგან, და პარიუში დაბეჭდილი 1856 წელსა. ფრანცუზულიდამ ქართულს ენაზედ ხელახლად გადმოღებული 1859 წელსა, დ ი მ ყ ი ფ ი ა ნ ი ს ა გ ა ნ. „ცისკარი“, 1859, №5 (მაისი).

შექსპირი 1859: რომეო და ჯულიეტა, დრამა, ხუთ მოქმედებად განყოფილი, თხზულება შექსპირისა... „ცისკარი“, 1859, №6 (ივნისი).

შექსპირი 1872: ვენეციელი ვაჭარი, შექსპირის დრამა, ნამდვილიდამ გადმოთარგმნილი დ ი მ ი ტ რ ი ყ ი ფ ი ა ნ ი ს ა გ ა ნ. ნამდვილი არის რაუტლიჯის (Routledge) შემონმებული და ჰ. სტანტონის (H. Staunton) დაბეჭდილი, ლონდონს, 1857. „მნათობი“, 1872, №3 (მარტი).

შექსპირი 1985: შექსპირი უ. ვენეციელი ვაჭარი (თარგმანი ვ. ქელიძისა). // უ. შექსპირი. თხზულებათა სრული კრებული (ხუთ ტომად). ნ. ყიასაშვილის საერთო რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით. 2. თბილისი: ხელოვნება. 1985.

შველიძე 2014: შველიძე დ. 1832 წლის შეთქმულებრივი მოძრაობის ისტორიიდან. თბილისი: უნივერსალი. 2014.

შილდერი 1903: Шильдер Н. К. Император Николай Первый. Его жизнь и царствование. Т. II. С.-Петербург: Издание А. С. Суворина. 1903.

ჩუბინაშვილი 1971: ჩუბინაშვილი ნ. რუსულ-ქართული ლექსიკონი. აღ. ლლონტის რედაქციითა და წინასიტყვაობით. I. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1971.

ჩუბინაშვილი 1973: ჩუბინაშვილი ნ. რუსულ-ქართული ლექსიკონი. აღ. ლლონტის რედაქციითა და წინასიტყვაობით. II. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1973.

ჩუბინაშვილი 1984: ჩუბინაშვილი დ. ქართულ-რუსული ლექსიკონი. სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო ა. შანიძემ. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1984.

ჩხეტია 1947: ჩხეტია შ. მასალები დიმიტრი ყიფიანის მკვლელობაზე. „საისტორიო მოამბე“. [ტ.] 3. 1947.

ჩხეტია 1950: ჩხეტია შ. საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში. თბილისი: საქართველოს სსრ შსს საარქივო სამმართველო. 1950.

ჩხეტია 1960: Грузия в период буржуазных реформ (1862-1872). Под редакцией Ш. К. Чхетия. Т. I. Ч. II. Тбилиси: Архивное управление МВД Грузинской ССР. 1960.

ჩხიტუნძე 1980: ჩხიტუნძე თ. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საბიბლიოთეკო და სამომცემლო მოღვაწეობა. თბილისი: მეცნიერება. 1980.

ცერცვაძე 2019: ცერცვაძე მ. XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს საზოგადოებრივი გარემო ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლური მემკვიდრეობის მიხედვით. თბილისი: მერიდიანი. 2019.

ცინცაძე 1994: ცინცაძე კ. ქვაშვეთის წმიდის გიორგის ეკლესია ტფილისში. გამოსაცემად მოამზადა, ბოლოსიტყვა და საძიებელი დაურთო მ. ქავთარია. თბილისი: კანდელი. 1994.

წერა-კითხვის საზოგადოება 2019: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება – 100 ამბავი. შემდგენელი თ. ჯოლოგუა. ბ. კუდავას საერთო რედაქტორობით. თბილისი: არტანუჯი. 2019.

წერეთელი 1885: სიტყვა თქმული აკაკისაგან სამეგრელოს სათავად-აზნაურო სკოლის სახლის კურთხევის დროს. „ივერია“, 1885, №11.

წერეთელი 1886: აკაკის სიტყვა [თქმული 1886 წლის 14 იანვარს ქუთაისში, ნინოების დღესასწაულზე]. *ჩართულია პუ-*

ბლიკაციაში: დაბა და სოფელი („ქუთაისიდან გვწერენ: 14 იანვარს წმინდა ნინობას...“). „ივერია“, 21.1, 1886, №15.

წერეთელი 1950: წერეთელი ა. თხზულებათა სრული კრებული (თხუთმეტ ტომად). გ. აბზიანიძის საერთო რედაქტორობით. ტ. II. თბილისი: საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა. 1950.

წერეთელი 1958: წერეთელი ა. ჩემი თავგადასავალი. // ა. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული (თხუთმეტ ტომად). გ. აბზიანიძის საერთო რედაქტორობით. ტ. VII. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1958.

წერეთელი 1960: სიტყვა თქმული აკაკისაგან სამეგრელოს სათავადაზნაურო სკოლის სახლის კურთხევის დროს. // ა. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული (თხუთმეტ ტომად). გ. აბზიანიძის საერთო რედაქტორობით. ტ. XII. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1960.

წერეთელი 1961^ა: წერეთელი ა. სიტყვა დიმიტრი ყიფიანს. // ა. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული (თხუთმეტ ტომად). გ. აბზიანიძის საერთო რედაქტორობით. ტ. XIV. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1961.

წერეთელი 1961^ბ: წერეთელი ა. ქართული თეატრის დაარსება საქართველოში. // ა. წერეთელი. თხზულებათა სრული კრებული (თხუთმეტ ტომად). ტ. XIV (ტომის რედაქტორი გ. აბზიანიძე). თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1961.

წესდებულება 1879: Устав Тифлисского общества распространения грамотности среди грузинского населения наместничества Кавказского. წესდებულება ტფილისის საზოგადოებისა, რომელმაც წიგნის ცოდნა უნდა გაახშიროს ქართველებ შუა, სადაც მოსახლობენ კავკასიის სანამესტნიკოში. Тифлис: Типография С. Г. Меликова. 1879.

წიგნნი... 1990: წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი. ნაკვ. 2 (ლევიტელთა რიცხუთაჲ მეორისა სჯულისაჲ). ყველა რსებული ხელნაწერის მიხედვით გამოსაცემად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ბ. გიგინეიშვილმა, ნ. გოგუაძემ და ც. ქურციკიძემ. თბილისი: მეცნიერება. 1990.

ჭავჭავაძე 1882: [ჭავჭავაძე, ილია]. შინაური მიმოხილვა. „ივერია“, 1882, №10.

ჭავჭავაძე 1961: ჭავჭავაძე ი. თხზულებათა სრული კრებული (ათ ტომად). პ. ინგოროყვას რედაქტორობით. ტ. X. თბილისი: საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა. 1961.

ჭავჭავაძე 1987: ჭავჭავაძე ი. თხზულებათა სრული კრებული (ოც ტომად). ტ. I (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ვარიანტები და შენიშვნები დაურთო რ. კუსრაშვილმა). თბილისი: მეცნიერება, საბჭოთა საქართველო. 1987.

ჭავჭავაძე 2005: ჭავჭავაძე ი. შინაური მიმოხილვა. // ი. ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული (ოც ტომად). ტ. VII (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ვარიანტები და შენიშვნები დაურთო ლ. გვარამაძემ). თბილისი: ილიას ფონდი. 2005.

ჭავჭავაძე 2012: ჭავჭავაძე ი. თხზულებათა სრული კრებული (ოც ტომად). ტ. XVII (ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, კომენტარები, შენიშვნები და საძიებლები დაურთეს ნ. კოტინოვიძე, მ. კვატაიაძე და ჯ. გაბოძემ). თბილისი: ილიას ფონდი. 2012.

ჭიანა 1881: ჭიანა. სურამი, 15 დეკემბერს. „დროება“, 18.XII, 1881, №266.

ხომერიკი 1999: ხომერიკი მ. 1832 წლის შეთქმულების მონაწილე ბერი ფილადელფოს კიკნაძე. თბილისი: მემატიანე. 1999.

ხუნდაძე 1936: ხუნდაძე ს. დიმიტრი ყიფიანი. ტფილისი: სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1936.

ხუნდაძე 1960: ხუნდაძე ტ. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება (ნარკვევი საარქივო მასალის მიხედვით. 1879-1927). თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1960.

ხუციშვილი... 1940: ხუციშვილი ს. ტატიშვილი ნ. „სალიტერატურონი ნაწილი ტფილისის უწყებათანი“ (ლიტერატურულ-ანოტირებული ბიბლიოგრაფია წინასიტყვაობით, საძიებლებითა და შენიშვნებით). „ბიბლიოგრაფიის მოამბე“. [ტ.] 1. 1940.

ხუციშვილი 1980: ხუციშვილი ს. მანათობელი (ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების 100 წელი). თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1980.

ჯაგოდნიშვილი 2004: ჯაგოდნიშვილი თ. ქართული ფოლკლორისტიკის ისტორია. წგნ. I (XIX საუკუნე). თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2004.

ჯოლოგუა 1997: ჯოლოგუა თ. ელიზბარ ერისთავის ბარათი დიმიტრი ყიფიანისადმი. // კრბ. „ელიზბარ ერისთავი“ (შემდგენელ-რედაქტორი რ. ჩხეიძე. თბილისი: ლომისი. 1997).

ჯოლოგუა 2002: ჯოლოგუა თ. დიმიტრი ყიფიანი (1830-1860 წლები). თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2002.

ჯოლოგუა 2011: ჯოლოგუა თ. მიხეილ ვორონცოვის „კავკასიური პოლიტიკის“ შესახებ. // „აკაკი წერეთელი – 170“ (საიუბილეო კრებული). თბილისი: შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი. 2011.

ჯოლოგუა 2013^ა: ჯოლოგუა თ. პეჩორის თავადი – მოგონება იასე ფალავანდიშვილზე. თბილისი: არტანუჯი. 2013.

ჯოლოგუა 2013^ბ: ჯოლოგუა თ. ქართული ჟურნალისტიკის ისტორია (XIX საუკუნე). თბილისი; არტანუჯი. 2013.

ჯოლოგუა 2017: ჯოლოგუა თ. 1832 წლის შეთქმულების რაობისთვის. „ლიტერატურული ძიებანი“. XXXVIII. 2017.

ჯორჯაძე 1909: ჯორჯაძე ა. წარსულის გაკვეთილი. „დროება“, 25.XI, 1909, №262.

ჯორჯაძე 1989: ჯორჯაძე ა. დიმიტრი ყიფიანი (ცხოვრების, აზროვნების და მოღვაწეობის მათიანე). // ა. ჯორჯაძე. წერილები. შემდგენელი ა. ბაქრაძე. თბილისი: მერანი. 1989.

ჯორჯაძე 2011: ჯორჯაძე ა. წარსულის გაკვეთილი. // საშვილიშვილო მოკავშირე – დიმიტრი ყიფიანი. შეადგინა, რუსული ტექსტები თარგმნა, გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვა, ბიბლიოგრაფიული შენიშვნები, კომენტარები და საძიებლები დაურთო თ. ჯოლოგუამ. III. თბილისი: ნეკერი. 2011.

პომეოპათიის მიმდევართა საზოგადოება 1883: Список членов С.-Петербургского общества последователей гомеопатии. С-Петербург: 1883.

ინტერნ. 1: <http://www.geogen.ge/ge/treasurege/15/4307/> (29.09.2021)

შემოკლებანი

- ავტ.** – ავტორი.
აზ. – აზნაური.
არქ. – არქივი.
აქტები – Акты, собранные Кавказской археографической комиссией (АКАК).
აღწ. – აღწერილობა.
ბ-ნი – ბატონი.
ბარ. – ბარონი.
ბბ. – ბატონები/ბატონებო (მოხსენიების ან მიმართვის ფორმა).
გაზ. – გაზეთი.
გარდ. – გარდაცვალება (გარდაცვალების თარიღი).
გრ. – გრაფი.
დაბ. – დაბადების თარიღი.
დეისტ. სტ. სოვ. – Действительный статский советник (ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი).
ეგზ. – ეგზემპლარი.
ზსიამ. ლ. ა. – ზუგდიდის დადიანების სასახლეთა სახელმწიფო ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი. ლიტერატურული არქივი.
თ. (თ-დი) – თავადი.
ინტერნ. – ინტერნეტი.
იხ. – იხილე.
კ. (კაპ., კოპ.) – კაპიკი, კოპეიკი.
კავკ. – კავკასია.
კნ. – კნიაზი (თავადი); კნენა/კნიაჟნა (თავადის ქალი/თავადის ასული); კნიაგინია (თავადის/მთავრის მეუღლე).

კომენტ. – კომენტარი.
კრბ. – კრებული.
ლათ. – ლათინური/ლათინურ ენაზე.
მ. (მან.) – მანეთი.
ნან. – ნანილი.
ნაკვ. – ნაკვეთი.
ნამდვ. სამოქ. მრჩ. – ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი.
პერს. – პერსონაჟი.
პროპ. – პროპორშიკი.
ჟ. – ჟურნალი.
რვ. – რვეული.
რუს. – რუსული/რუსულ ენაზე.
საქ. – საქმე.
სახ. – სახელმწიფო.
სეა – საქართველოს ეროვნული არქივი.
სოვ. (სოვ-ი, სოვ-კი, სოვეტ.) – Советник (მრჩეველი).
სოფ. – სოფელი.
სსრ – საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.
სტატს. სოვ. – სამოქალაქო მრჩეველი (Статский советник).
ტიტულ. სოვ. – Титулярный советник (ტიტულარული მრჩეველი).
ტფ. – ტფილისი.
უგანათლებ. – უგანათლებულები (ტიტული).
უფ. – უფალი/უფალო (მიმართვის ფორმა).
ფ. – ფურცელი.
ფონ. – ფონდი.
ფრანგ. – ფრანგულად.
ფსევდ. – ფსევდონიმი.
ქ. (ქალ.) – ქალაქი.
ქეგლ – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი.
ქლსმ – გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი.
ქმნ-კვ საზოგადოება – ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება.

ყ-დ ნ-ა – ყოვლად წმინდა.
შმდ. – შემდგომ.
შსს – შინაგან საქმეთა სამინისტრო.
ძვ. – ძველი.
ძვ. სტ. – ძველი სტილი.
ძვ. ნ. – ძველი ნელთალრიცხვა.
წვ. – წვეთი.
წგნ. – წიგნი.
წმ. – წმინდა.
ხ. – ხელნაწერი.
ხეც – კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

ДСС (Д.С.С.) – Действительный статский советник (ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი).

Кн. – Книга (წიგნი).

Круп. – Крупинка (მარცვალი).

МВД – Министерство внутренних дел (შინაგან საქმეთა სამინისტრო).

Р. – Рубль (მანეთი).

См. – Смотри (იხილე).

ССР – Советская Социалистическая Республика (საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა).

Стр. – Страница (გვერდი).

ТГУ – Тбилисский государственный университет (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი).

Ч. – Часть (ნაწილი/ნაკვეთი).

ერისთავი დავით გიორგის ძე (1847-1890) – მწერალი, ჟურნალისტი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, გიორგი ერისთავის (1813-1864) შვილი; თანამშრომლობდა როგორც ქართულ („დროება“, „კრებული“, „ივერია“...), ისე რუსულ პრესაში („ტიფლისკი ვესტნიკ“, „ფალანგა“ და სხვ., აგრეთვე, „კავკაზ“, რომელსაც 1882-1884 წწ. რედაქტორობდა კიდეც), აქვეყნებდა პუბლიცისტურ თხზულებებს, ორიგინალურ მხატვრულ ნაწარმოებებს, თარგმანებს, მონაწილეობდა „ქმნ-კგ საზოგადოებისა“ და „ქართული დრამატიული საზოგადოების“ დაფუძნებაში, გადმოაკეთა ფრანგი დრამატურგის, ვ. სარდუს, პიესა „სამშობლო“ („Patrie“), რომლის დადგმას შთამბეჭდავი რეზონანსი მოჰყვა. დაკრძალეს თბილისში, კალოუზნის ეკლესიის გალავანში (1930-იან წწ. ეკლესიის დანგრევის შემდეგ მთაწმინდაზე გადაასვენეს) – 145, 197

ერისთავი დავით გრიგოლის ძე (1818-1891) – კარის მრჩეველი (Надворный советник), სამეგრელოს მმართველობის საბჭოს წევრი (1862 წლიდან), ქუთაისის საგლეხო საქმეთა მმართველობის „წოდებრივი წევრი“ (1865 წლიდან), ქუთაისის საადგილმამულო ბანკის დირექტორი (1875 წლიდან). „ქმნ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი. დაკრძალულია ქუთაისში, მთავარანგელოზის ეკლესიის გალავანში – 148

ერისთავი დავით ლუარსაბის ძე (1814-1889) – ახალგორელი თავადი (ძირითადად სოფ. ოძისში ცხოვრობდა), სახელმწიფო მრჩეველი (Статский советник) – 319

ერისთავი დავით როსტომის ძე (დაახლ. 1780-1830) – გიორგი ერისთავის (დრამატურგის) მამა, მონაწილეობა აქვს მიღე-

ბული 1820-იანი წწ. სამხედრო კამპანიებში, გარდაიცვალა ქოლერით, დაკრძალულია სოფ. ოძისში – 77

ერისთავი დიმიტრი (1805/1811-1854) – დამთავრებული ჰქონდა პეტერბურგის საარტილერიო სასწავლებელი, 1832 წლის შეთქმულების წევრი, საგამომძიებლო კომისიამ გადასცა სამხედრო სასამართლოს, რომელმაც მას ჯერ ჩამოართვა თავადის წოდება, სამხედრო ჩინი და მიუსაჯა ოთხად განკვეთა, შემდეგ კი სასჯელი შეუცვალა და „არტილერიის მე-10 ბრიგადაში“ განაწესა; 1840-იან წწ. თავის ძმასთან, ელიზბარ ერისთავთან, ერთად ატენის ხეობის სოფ. ღვარებში დააარსა მინის ქარხანა – 101, 111, 113, 116, 346, 348, 351, 364

ერისთავი ელიზბარ – იხ. **ელიზბარ ქსნის ერისთავი**

ერისთავი ელიზბარ შანშეს ძე (1809-1871) – გენერალ-მაიორი, დამთავრებული ჰქონდა პეტერბურგის საარტილერიო სასწავლებელი, 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი მეთაური, მიუსაჯეს სიკვდილი – „ოთხად განკვეთა“, თუმცა შემდეგ სასჯელი შეუცვალეს და ფინეთში (ჰელინგფორსში, დღევანდელ ჰელსინკში) გაგზავნეს რიგით ჯარისკაცად. „ტფილისის კერძო საამხანაგო ბიბლიოთეკის“ (1842-1848) დამფუძნებელი წევრი. მრეწველი (1840-იან წწ. ძმასთან, დიმიტრი ერისთავთან, ერთად ატენის ხეობის სოფ. ღვარებში დააარსა მინის ქარხანა). სიცოცხლის ბოლო წლებში იყო გორის მაზრის უფროსი. დაკრძალულია გორში (საფლავი დაკარგულია) – 80-89, 91, 93, 94, 99, 100, 102-104, 109, 111, 115, 118, 119, 121, 122, 338, 340, 346-348, 357, 359, 460

ერისთავი ზაქარია გიორგის ძე (1844-1912) – საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი, „ქმნ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი, გიორგი რევაზის (რომანის, რომანოზის) ძე ერისთავის („ატამანის“) (1812-1891), შვილი – 146

ერისთავი ზაქარია გრიგოლის ძე – „ქმნ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი – 146

ერისთავი თამარ – ქართლელი თავადიშვილი, მამული ჰქონდა ქვიშხეთში – 185

ერისთავი იასე (1806-1845) – ელიზბარ ერისთავის (1809-1871) ძმა, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე, თუმცა კომისიის „დანაშაულს“ არ ჩაეძია და გაათავისუფლა პასუხისმგებლობისგან. დაკრძალულია იკორთაში, ქსნის ერისთავთა საგვარეულო სამარხში – 346

ერისთავი ივლიტა – 1869 წ. დიმ. ყიფიანი საჩუქრად უგზავნის თავის ბროშურას „სამეგრელოს მთავრის სახლი და დიმიტრი ყიფიანი“ – 188

ერისთავი კონსტანტინე – „ქმნ-კვ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი – 148

ერისთავი ლევან (დაბ. 1808) – სამხედრო პირი (პრაპორ-შჩიკი), მონაწილეობდა 1828-1829 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომში, 1832 წლის შეთქმულების წევრი, მიესაჯა პატიმრობა ექვსი თვით – 115, 116

ერისთავი მიხეილ ბიძინას ძე (1827-1894) – გენერალ-ლეიტენანტი, „ქმნ-კვ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი – 146

ერისთავი მიხეილ ქაიხოსროს ძე (1817-1870) – გურული თავადი, ჩაის კულტურის პიონერი საქართველოში (გურიაში, კერძოდ, გორაბერეჟოულში), დიმ. ყიფიანთან დაახლოებული პირი და მძახალი (ნიკო ყიფიანის სიმამრი). გაურკვეველი მიზეზით მოკლეს საკუთარ სახლში. მიხეილის მიერ წამოწყებული მეჩაიეობის საქმე გააგრძელა მისმა შვილმა ანდრია ერისთავმა (1855-1932; გარდაიცვალა ემიგრაციაში – პარიზში. იქვეა დაკრძალული) – 414

ერისთავი ნიკოლოზ (კოლა) (1865-1933) – დეკლამატორი და თეატრალური მოღვაწე, „ქმნ-კვ“ და „დრამატიული“ საზოგადოებების წევრი – 319

ერისთავი რაფიელ (1824-1901) – მწერალი, ეთნოგრაფი, ფოლკლორისტი, ლექსიკოგრაფი, გამომცემელი, საზოგადო მოღვაწე, „ქმნ-კვ საზოგადოების“ პირველი გამგეობის წევრი, „ქართული დრამატიული საზოგადოების“ თავმჯდომარე (1884-1886), „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის ერთ-ერთი ინიციატორი (1882); ქუთაისის გუბერნატორის სა-

განგებო დავალებათა მოხელე (1855-1857), ზუგდიდის ოლქის (შემდგომში – მაზრის) უფროსი (1857-1867). დაკრძალეს მშობლიურ სოფ. ქისტაურში, საიდანაც 1938 წ. თელავში, ერეკლე II-ის სასახლის გალავანში, გადაასვენეს – 146, 379, 400

ერისთავი რევაზ (1828-1899) – ანასტასია ერეკლე II-ის ას. ბატონიშვილის (1763-1838) შვილიშვილი, მწერალი (პოეტი, მთარგმნელი), „ქმნ-კვ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი; სამხედრო პირი (პოლკოვნიკი), გორის მაზრის უფროსი, ადრესატი ი. ჭავჭავაძის კრიტიკული წერილსა „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვიდგან „შეშლილის“ თარგმნაზედა“, რითაც დაიწყო „მამებისა“ და „შვილების“ ცნობილი ბრძოლა. დაასაფლავეს გორის „სობოროს“ გალავანში (ბოლშევიკების მიერ „სობოროს“ დანგრევის შემდეგ საფლავი დაიკარგა) – 149

ერისთავი სამსონ – დიმ. ყიფიანის პეტერბურგელი ნაცნობი, „ქმნ-კვ საზოგადოების“ წევრი – 193

ერისთავი ქეთევან – 1869 წ. დიმ. ყიფიანი საჩუქრად უგზავნის თავის ბროშურას „სამეგრელოს მთავრის სახლი და დიმიტრი ყიფიანი“ – 188, 396

ერისთავი შალვა – იხ. **შალვა ქსნის ერისთავი**

ერისთავი შალვა რევაზის (რომანის, რომანოზის) ძე (გარდ. 1894) – ერეკლე II-ის შვილიშვილი (ანასტასია ბატონიშვილის ვაჟი), გორის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლი (1830-იანი წწ.), 1832 წლის შეთქმულების მონაწილე, თუმცა ვერ დაუმტკიცეს და გაათავისუფლეს; თავისი დროის კვალობაზე განათლებული პირი (იცოდა რუსული, ფრანგული და ლათინური ენები; 1835 წ. მშობლიურ კარალეთში ააგო საფრენი აპარატი, რომლის გამოცდა წარუმატებლად დამთავრდა). დაკრძალულია იკორთაში, ქსნის ერისთავთა საგვარეულო სამარხში – 343

ერისთავ-მელნიკოვა მელანია (1808-1836) – შეთქმულების წევრების: ელიზბარ, დიმიტრი და იასე ერისთავების და, შეთქმულ ანდრია მელნიკოვის მეუღლე, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე, თუმცა კომისია საქმეს არ ჩაეძია და გაათავისუფლა – 346

ესკალუსი (ესკალოსი) (პერს.) – 389

ესტატე არამიძე (პერს.) – 226-230, 232-236, 419

ეფრო – იხ. **კლდიაშვილი ეფროსინე (ეფრო)**

ეფრონი ილია (1847-1917) – დამაარსებელი საგამომცემლო ფირმისა „ბროკჰაუზი-ეფრონი“, რომელმაც რუსულ ენაზე გამოსცა „ბროკჰაუზი-ეფრონის ენციკლოპედია“ (1890-1907) – 344, 345; იხ. აგრეთვე: **Ефрон И. А.**

3

ვარანცოვი მიხეილ – იხ. **ვორონცოვი მიხეილ**

ვართანოვი ალექსანდრე (გარდ. 1874) – აგრონომი, ჟურნალისტი, „გუთნის-დედის“ თანარედაქტორი ანტონ ფურცელაძესთან ერთად (1873-1874 წწ.) – 188, 395, 396

ვასვასი – იხ. **ჩიტაძე ვასვასი**

ვასილ ანტონის ძე – იხ. **ინსარსკი ვასილ**

ვასილ ნიკოლოზის ძე – იხ. **სემიონოვი ვასილ**

ვასილიევი ვ. ვ. – 1869 წ. დიპ. ყიფიანი საჩუქრად უგზავნის თავის ბროშურას „სამეგრელოს მთავრის სახლი და დიმიტრი ყიფიანი“ – 189

ვალაპეტოვი (პერს.) – იხ. **არუთინ არტემიჩი ვალაპეტოვი**

ვანაძე – კახელი თავადი, მომრიგებელი მოსამართლე – 182

ვახტა (პერს.) – 238, 274, 275

ვახტანგ I გორგასალი (დაახლ. V ს. 40-იანი წწ.-502) – ქართლის მეფე, იღვწოდა ირანელთა ბატონობისაგან ქართლის გათავისუფლების, ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ცენტრალიზაციისათვის – 64

ვახტანგ იმერეთის ბატონიშვილი – იმერეთის მეფე დავით II-ის შვილიშვილი; მონაწილეობდა იმერეთის 1819-1820 წწ. აჯანყებაში. დამარცხების შემდეგ გადაიხვეწა ახალციხეში, საიდანაც პარიზში გაემგზავრა (ურთიერთობა ჰქონდა მარი ბროსესთან) – 355

ვლადიმირი (ვლადიმერი) (წმ.) – **ვლადიმირ I სვიატოსლავის ძე დიდი** (958-1015), კიევის რუსეთის დიდი მთავარი, რომელმაც 988 წელს ქრისტიანობა ოფიციალურ რელიგიად გამოაცხადა. ეკატერინე II-მ 1782 წელს წმ. ვლადიმირის სახელობაზე დააარსა ორდენი, რომელიც 1917 წ. გაუქმდა – 311

ვოდოვი ნიკოლოზ (გარდ. 1879) – რუსი ფინანსისტი, რომელსაც დიმ. ყიფიანთან ერთად მონაწილეობა აქვს მიღებული თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის წესდების შედგენაში; თვალსაჩინო ფიგურა რუსეთის „საიმპერატორო დამოუკიდებელ ეკონომიკურ საზოგადოებაში“ – 189

ვოლხოვსკი ვლადიმერ (1798-1841) – გენერალ-მაიორი. მონაწილეობდა რუსეთ-ირანის 1826-1828 და რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წწ. ომებში (მათ შორის, ახალქალაქის, ახალციხის, აწყურის აღებაში). რუსეთის გენერალური კონსული ეგვიპტეში (1830), 1832 წლიდან – კავკასიის ცალკე კორპუსის შტაბის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, 1834 წლიდან – შტაბის უფროსი; 1832 წლის შეთქმულების საგამომძიებლო კომისიის წევრი – 103, 104, 111, 118, 120, 122, 123, 337, 344

ვორონცოვი მიხეილ (1782-1856) – გენერალ-ფელდმარშალი, კავკასიის მეფისნაცვალი („ნამესტნიკი“) და ცალკე კორპუსის მთავარსარდალი (1844-1854; კავკასიის მართვას პრაქტიკულად 1845 წლის გაზაფხულიდან შეუდგა). მიიჩნევა, რომ ენობრივი და კულტურული მრავალფეროვნება იმპერიის ძლიერების წყარო იყო და არა – მისი სისუსტის მაჩვენებელი. ამიტომაც, თუ ერთი მხრივ, ზრუნავდა რუსეთის იმპერიაში საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ასიმილირებაზე, იმავედროულად, ხელს უწყობდა ევროპეიზაციის გზით ქართული კულტურის აღორძინებასა და განვითარებას – 7, 15, 17, 29-31, 177, 297, 299, 300, 309, 310, 387, 446, 448, 461

ზ

ზავილესკი მათე – სახელმწიფო მოხელე (ტიტულარული მრჩეველი), პეტრე ზავილესკის (1800-1843) ძმა; 1832 წლის

შეთქმულების წევრი (თბილისი შეთქმულების ჩავარდნამდე, 1832 წ. 21 სექტემბერს, დატოვა), ვარშავაში დაკითხვისას უარყო შეთქმულებაში მონაწილეობა და კომისიის ინტერესი ამით ამოიწურა – 344

ზავილესკი პეტრე (1800-1843) – პოლონური წარმოშობის სახელმწიფო მოღვაწე, თბილისის სამოქალაქო გუბერნატორი (1829-1832.ი), ამიერკავკასიის სავაჭრო პალატის დამაარსებელი; მამულების მფლობელი სამცხეში (ასპინძასთან); 1832 წლის შეთქმულების მონაწილე (ვერ დაუმტკიცეს, თუმცა პოლიციის მეთვალყურეობა დაუნესეს) – 96, 100, 344, 355

ზაზა – დიმ. ყიფიანის ერთ-ერთი პაციენტის მამა – 160

ზარე (პერს.) – 348

ზაქარია მღვდელი – დიმ. ყიფიანის პაციენტის, ოლინკა გოგოშიძის, ბიძა – 164

ზაჩ. ივ. ზაქ. – 188

ზედგინიძე – შტაბს-კაპიტანი – 191

ზუბალაშვილი (ზუბალოვი) – 1869 წ. დიმ. ყიფიანი საჩუქრად უგზავნის თავის ბროშურას „სამეგრელოს მთავრის სახლი და დიმიტრი ყიფიანი“ – 187

ზუბალაშვილი ალექსანდრე – „ქმწ-კგ საზოგადოების“ წამდელი წევრი 1879 წლიდან – 324

ზუბალაშვილი ივანე ანდრიას ძე – სამოქალაქო მრჩეველი („Статский советник“), „ქმწ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი – 147

ზუბალაშვილი ივანე გიორგის (იაგორის) ძე – სამოქალაქო მრჩეველი („Статский советник“), დუშეთის მაზრის უფროსი (1870-1880-იანი წწ.), „ქმწ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი – 149

ზუბალაშვილი ნიკოლოზ (1832-1898) – იურისტი (მომრიგებელი მოსამართლე), ქველმოქმედი, „ქმწ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი – 146

ზურაბ (პერს.) – იხ. ელიავა ზურაბ

თ

თ. ჯ. – 115, 160, 164, 171, 177, 185, 186, 238, 248, 250, 258, 263, 283, 288, 312, 341, 352, 358, 367, 372, 382, 393, 414-415, 421, 422, 425, 427, 435; იხ. აგრეთვე: **ჯოლოგუა თამაზ**

თავზიშვილი გიორგი (1902-1963) – ისტორიკოსი, ლიტერატურათმცოდნე. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში – 299, 300, 448

თამარი (დაახლ. 1160-1213) – საქართველოს მეფე 1184 წლიდან (გიორგი III-ის თანამოსაყდრე 1178-1184 წწ.) – 64

თარხნიშვილი (თარხან-მოურავი) ალექსანდრე – დავით თარხნიშვილის (თარხან-მოურავის) (1762/1765-1839) შვილი, 1820-იან წწ. დიშ. ყიფიანთან ერთად სწავლობდა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში – 102

თარხნიშვილი (თარხან-მოურავი) გიორგი (1841-1911) – რუსეთის არმიის გენერალი და ქართველი საზოგადო მოღვაწე („ქმნ-კვ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი; თვალსაჩინო ფიგურა თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკში, 1890-იან წწ. ბანკის თანადირექტორი). გარდაიცვალა ქართლის სოფ. ახალქალაქში, დაკრძალულია ერთანწმინდის ტაძრის გალავანში – 147

თარხნიშვილი (თარხან-მოურავი) დავით (1762/1765-1839) – ერეკლე II-ის მიმბაში, გორის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლი (1820-1830-იანი წწ.), პოლკოვნიკი, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე, თუმცა ვერ დაუმტკიცეს და ძიება შეწყვიტეს, დაკრძალულია ერთანწმინდის ტაძარში – 102

თარხნიშვილი (თარხანოვი) დიმიტრი (დაბ. 1774) – დავით თარხნიშვილის (თარხან-მოურავის) ძმა, სისხლის სამართლის ექსპედიციის თანამშრომელი (1820-იანი წწ.), 1832 წლის შეთქმულების წევრი (მოაქციეს IX კატეგორიაში, რომლებზეც ეჭვის შეტანა შეიძლებოდა და გაათავისუფლეს) – 102

თარხნიშვილები (თარხანოვები, თარხან-მოურავები) – თავადური გვარეულობა (ქართლი); სათავადოს ცენტრი – ახალქალაქი (ამჟამად სოფ. კასპის მუნიციპალიტეტში) – 124

თაყაიშვილი ანა – იხ. **ელიავა ანა (ანნა)**

თაყაიშვილი ქაიხოსრო – გურული აზნაური – 426

თევდორე (პერს.) (I) – 226, 227, 230, 231

თევდორე (პერს.) (II) – 238, 264

თეიბალდი – იხ. **ტიბალტი**

თეიმურაზ ბატონიშვილი (1782-1846) – გიორგი XII-ის ძე, მწერალი, მეცნიერი, ბიბლიოფილი, პეტერბურგის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი, პარიზის სააზიო და კოპენჰაგენის სამეფო ანტიკვართა საზოგადოებების წევრი, პეტერბურგის ქართველოლოგიური სკოლის ფუძემდებელი. 1810 წ. გადაასახლეს პეტერბურგში, იქვე გარდაიცვალა, დაკრძალულია ალექსანდრე ნეველის ლავრის წმ. თედორეს ეკლესიაში – 368

თეიმურაზ უხვაძე (პერს.) – 226-229, 232-236, 418

თეიმურაზი (თეიმურაზ ვაკელი) – დიმ. ყიფიანის ფსევდონიმი – 176-179, 389, 390; იხ. აგრეთვე: **ყიფიანი დიმიტრი ივანეს (ქოროს) ძე**

თეკლე (თეკლა) ბატონიშვილი (1776-1846) – ერეკლე II-ისა და დარეჯან დედოფლის ასული, პოეტი. მონაწილეობდა 1832 წლის შეთქმულებაში, რისთვისაც გადაასახლეს კალუგაში (იქვე იხდიდნენ სასჯელს მისი შვილები: ვახტანგ და დიმიტრი ორბელიანები). სამშობლოში დაბრუნდა 1835 წელს. დაკრძალულია მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში – 101, 122, 352

თელია ავთანდილ – მკვლევარი. ავტორი წიგნისა „ქართული სათავადაზნაურო ბანკი და ილია ჭავჭავაძე“ (თბ.: 1989) – 307, 448

თემურლენგი (1136-1405) – გათურქებული მონღოლი, მხედართმთავარი, ემირი (1370-1405). 1386-1403 წწ. რვაჯერ დალაშქრა საქართველო – 67

თეოფანე ჭყონდიდელი (გაბუნია) (1803-1859) – სამეგრელოს ეპისკოპოსი 1854-1859 წწ.; პერსონაჟი დიმ. ყიფიანის დაუმთავრებელი პიესისა „ალექსი დგებუაძისა და ელისაბედ ელიავას სიყვარულის ამბავი“ – 237, 246, 250, 251, 421, 427, 428

თერზიბაშოვი ალექსანდრე – თბილისელი მღებავი – 9, 204, 409

თვარაძე რევაზ (1928-2006) – ლიტერატურათმცოდნე, მემუარისტი, მთარგმნელი (უ. ფოლკნერი, მ. ლერმონტოვი, ა. ბლოკი და სხვ.), გაზ. „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორი (1967-1968) – 448, 454

თიკანაშვილი პავლე – დიმ. ყიფიანის პაციენტი – 166

თიკანაშვილი სალომე – დიმ. ყიფიანის პაციენტი – 166

თმოგველი სარგის – იხ. **სარგის თმოგველი**

თოდუა გრიგოლ (1928- 2011) – ეკონომიკურ მოძღვრებათა და ქართული საზოგადოებრივ-ეკონომიკური აზრის ისტორიის მკვლევარი – 376, 449

თომინ-ცაგერელი მელიტონ – იხ. **ფომინ-ცაგარელი მელიტონ**

თულაშვილი ვახტანგ (1834-1910) – პუბლიცისტი, პედაგოგი, ქველმოქმედი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, „ქმნ-კგ საზოგადოების“ დამაარსებელთაგანი (1904 წლიდან საპატიო წევრი), თვალსაჩინო ფიგურა იმ მოძრაობაში, რომელიც მიზნად ისახავდა კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესების აღორძინებასა და განვითარებას (ყურნალისტიკა, თეატრი, სასტამბო-საგამომცემლო საქმე და სხვ.) – 147, 319, 320, 377, 378, 380-382, 449, 454

თუმანიშვილი (თუმანოვი) ბირთველ (1760-1836) – ქართლ-კახეთის უკანასკნელ მეფეთა (ერეკლე II, გიორგი XII) მდივანი, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, მიხეილ თუმანიშვილის (1818-1875), მამა, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე (გაათავისუფლეს, თუმცა საგანგებო მეთვალყურეობა დაუნესეს) – 86, 87, 119

თუმანიშვილი (თუმანოვი) იაზონ (იასონ) (1827-1883) – ნამდვილი საიდუმლო მრჩეველი (Действительный тайный советник), თეატრის დირექტორი თბილისში (1863-1867), თბილისის ქალაქისთავი (1870-1875; ამ თანამდებობაზე დიმ. ყიფიანმა

შეცვალა), „ქმნ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი. დაკრძალულია თბილისში – 144, 381, 382

თუმანიშვილი ივანე – სამოქალაქო მრჩეველი, „ქმნ-კგ გამაგრცვლები საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი – 146

თუმანიშვილი (თუმანოვი) ისააკ (1803-1880) – გენერალ-ლეიტენანტი, საზოგადო მოღვაწე. რუსეთ-სპარსეთის (1826-1828), რუსეთ-ოსმალეთისა (1828-1829) და „ყირიმის“ (1853-1856) ომების მონაწილე, „ქმნ-კგ გამაგრცვლები საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი, „რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებისა“ და ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტის საბჭოს წევრი – 144, 382

თუმანიშვილი მიხეილ (1818-1875) – მწერალი, ჟურნალისტი, თეატრალური კრიტიკოსი, ეთნოგრაფი, საიდუმლო მრჩეველი (Тайный советник); 1830-იან წწ. თბილისის გიმნაზიის მონაწილეთა ლიტერატურული ჯგუფის ხელმძღვანელი, „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ (1842-1848) დამფუძნებელი წევრი, ივ. კერესელიძის „ცისკარში“ გამოქვეყნებული „სალაყბოს ფურცლების“ ერთ-ერთი ავტორი. დაკრძალულია თბილისში, ხოჯავანქის სომხურ სასაფლაოზე – 307

თუმანიშვილი პავლე (1841-1900-იანი წწ. შემდეგ) – სასამართლოს მოხელე, საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი, ქუთაისში გაზეთ „შრომის“ დაარსების ინიციატორი (1897 წ.; გამოცემაზე უარი ეთქვა), ქუთაისის საკრებულოს ხმოსანი (1900-იანი წწ.) „ქმნ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი – 148

თურნავა სერგო (1915-2001) – ლიტერატურათმცოდნე, ძირითადად იკვლევდა XIX-XX სს. ქართულ-ფრანგულ ლიტერატურულ ურთიერთობებს – 389, 449

თურქისტანიშვილი ალექსანდრე (საშა) (1837-1872) – სამხედრო პირი (მაიორი), „კავკასიის ომის“ მონაწილე, 1872 წ. 29 სექტემბერს ყაჩაღებმა გაძარცვის მიზნით მოკლეს თბილისში, დაკრძალულია იქვე, სოლოლაკის ამაღლების ეკლესიის გალავანში – 187

თხელიძე ნინო (დაბ. 1854) – დიპ. ყიფიანის პაციენტი – 162

იაკოვლევა კეკელა – დიმ. ყიფიანის ნათლიდედა (1880-იან წწ. ცხოვრობდა სტავროპოლში და ურთიერთობა ჰქონდა იქ გადასახლებულ დიმ. ყიფიანთან) – 187

იანოვსკი კირილე (1822-1902) – ნამდვილი საიდუმლო მრჩეველი (Действительный тайный советник), რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭოს წევრი, „მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების“ წევრი, კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი (1878-1899), უკიდურესი რეაქციონერი, კავკასიაში ცარიზმის ასიმილაციორული პოლიტიკის ერთ-ერთი ბურჯი. გარდაიცვალა სოხუმში, იქვეა დაკრძალული – 331

იასე რომ. – 188, 396

იედიგარაშვილი (იედიგაროვი) ისრაფილ-ბეგ (1815-1885) – გენერალ-ლეიტენანტი, „ქმნ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი. დაიბადა და გაიზარდა ბორჩალოს მაზრის სოფ. ყაჩაღანში (ამჟამად მარნეულის მუნიციპალიტეტი), განათლება მიიღო თბილისის კერძო გიმნაზიაში, სამხედრო კარიერა დაიწყო ამიერკავკასიის მუსლიმთა საცხენოსნო პოლკში; რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წწ. და სხვა ომების მონაწილე – 145

იესო ქრისტე – ძე ღვთისა, ქრისტიანული რელიგიის ფუძემდებელი – 14, 74, 196, 438

ივანე (პერს.) – 238, 270-272

ილია – იხ. **ჭავჭავაძე ილია**

ილინი ნიკოლოზ – ჩინოვნიკი ქუთაისის გუბერნიაში (განსაკუთრებულ დავალებათა მოხელე). 1857 წ. 20 ოქტომბერს მოკლა კონსტანტინე (მურზაყან) დადიშქელიანმა – 255

ინასარიძე ნინია – ქვიშხეთის მკვიდრი – 394

ინგოროყვა პავლე (1893-1983) – ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს პირველი რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს (შემდგომში პარლამენტის) წევრი – 460

ინსარსკი ვასილ (1814-1882) – სახელმწიფო მოღვაწე, საიდუმლო მრჩეველი (Тайный советник), მემუარისტი, კავკასიის

მეფისნაცვლის კანცელარიის დირექტორი (1857-1862); 1862 წ. დატოვა კავკასია. 1866-1872 წწ. იყო მოსკოვის ფოსტის დირექტორი – 420, 424

იოანე შავთელი – მწერალი (XII-XIII სს.), მიეწერება „აბდულ-მესიანი“ – 199, 408

იოანისიანი (იონისიანი) აბგარ (1849-1904) – თბილისელი ჟურნალისტი, გამომცემელი, თბილისის საბჭოს ხმოსანი – 197

კ

კაზი-მულლა – იხ. **ყაზი-მოლა**

კაკიაშვილი ვასიკო (დაბ. 1880) – დიმ. ყიფიანის პაციენტი – 163, 387

კაკიაშვილი ზაქარია – დიმ. ყიფიანის პაციენტის, ვასიკო კაკიაშვილის, მამა – 163

კალანდარიშვილი გულნარა – ფილოლოგი, XIX ს. ქართული ლიტერატურის მკვლევარი – 448

კალისტოვი ნ. – რუსი ჟურნალისტი, გაზეთ „კავკაზის“ თანამშრომელი – 327, 450

კალისტრატე (ერისკაცობაში – **კალისტრატე (ბიჭიკო) ცინცაძე**) (1866-1952) – სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი (1932-1952), საზოგადო მოღვაწე, მკვლევარი. დაკრძალულია თბილისის სიონის ტაძარში – 382, 458

კალუბანსკი კონსტანტინე (კოტე) – იხ. **კოლუბანსკი კონსტანტინე (კოტე)**

კანდინოვი ივანე – დიმ. ყიფიანის მევალე – 197, 406

კარატიგინი პეტრე (1805-1879) – რუსი დრამატურგი და მსახიობი – 342, 343, 360

კარბელაშვილი მეგი – ფილოლოგი, XIX ს. ქართული ლიტერატურის მკვლევარი – 448

კატო – დიმ. ყიფიანის „ძალუა“ და მისი პაციენტი – 168

კაფაფოვი ნ. – მომრიგებელი მოსამართლე, სურამის სა-მომრიგებლო უბნის უფროსი (1870-1880-იანი წწ.) – 440

აკატიბაძე კახა (1959-2012) – ფილოსოფოსი, ლიტერატურათმცოდნე, პუბლიცისტი, პოლიტოლოგი – 342, 356, 450

კახოსი – ლეონტი მროველის მიხედვით, ქართველთა ერთ-ერთი ეთნარქი, ქართლოსის ძე – 303

კებერი ალფრედ – დიპ. ყიფიანის ნათელ-მირონი – 182

კეზევაძე მერაბ – ისტორიკოსი, ქუთაისის ცენტრალური არქივის დირექტორი – 428, 450

კეკელიძე კორნელი (1879-1962) – ლიტერატურათმცოდნე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთ დამფუძნებელი – 1, 464

კეკელიძე პროკლე (1905-1990) – ფილოლოგი, XIX ს. ქართული ლიტერატურის მკვლევარი – 448

კერემეტი – ჩუვაშებისა და ჩერემისების ღვთაება – 186

კერესელიძე ივანე (1829-1892) – მწერალი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, პედაგოგი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, ჟურნალ „ცისკრისა“ (1857-1875) და გაზეთ „ცისკრის“ (1887) რედაქტორ-გამომცემელი. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში – 370, 450, 454

კერესელიძე მათე (გარდ. 1896) – პოლიტიკური (ხალხოსანი), საზოგადო და თეატრალური მოღვაწე, მისი ოჯახი გორში კულტურის მნიშვნელოვანი კერა იყო, გენერალ ლეო კერესელიძის (1885-1943) მამა, დაკრძალეს თბილისში, წმ. ნინოს ეკლესიის გალავანში – 199

კვალიაშვილი ანასტასია – დიპ. ყიფიანის და – 407

კვალიაშვილი (კვალიევი) სოლომონ – 1869 წ. დიპ. ყიფიანი საჩუქრად უგზავნის თავის ბროშურას „სამეგრელოს მთავრის სახლი და დიმიტრი ყიფიანი“ – 188

კვატაია მანანა – ლიტერატურათმცოდნე, მთარგმნელი, ქართული ლიტერატურის ისტორიის მკვლევარი – 460

კვანაძე ხათუნა – შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ბიბლიოთეკის გამგე – 404

კვინიკაძე ანტონ – დიპ. ყიფიანის პაციენტის, მართა კვინიკაძის, მეუღლე – 159

კვინიკაძე მართა (დაბ. 1864) – დიმ. ყიფიანის პაციენტი – 159

კიკაჩიშვილი თენგიზ (1940-2017) – ლიტერატურათმცონე, ქართული ლიტერატურის ისტორიის მკვლევარი – 448

კიკაძე ბერუა – სოფ. ბეკამის მკვიდრი – 394

კიკაძე თომა – სოფ. ბეკამის მკვიდრი – 185

კიკაძე სოსია – სოფ. ბეკამის მკვიდრი – 394

კიკაძე ტიმოთე – სოფ. ბეკამის მკვიდრი – 185

კიკნაძე ბათლომე – სოფ. ქვიშხეთის მკვიდრი – 163, 386

კიკნაძე გიგო – დიმ. ყიფიანის პაციენტის მამა – 386

კიკნაძე გიორგი (დაბ. 1820) – დიმ. ყიფიანის პაციენტი – 168

კიკნაძე ვანო – დიმ. ყიფიანის პაციენტი – 386

კიკნაძე ვასილ – დიმ. ყიფიანის პაციენტის, იოთამ კიკნაძის, მამა – 163, 168

კიკნაძე იოთამ (დაბ. 1881) – დიმ. ყიფიანის პაციენტი – 163, 168

კიკნაძე მარიამ (დაბ. 1841) – დიმ. ყიფიანის პაციენტი – 166

კიკნაძე მატატია – დიმ. ყიფიანის პაციენტი – 386

კიკნაძე ფილადელფოს (ერისკაცობაში – **ნიკიფორე კიკნაძე**) (1793-1833) – სასულიერო პირი (ბერი), 1832 წლის შეთქმულების მონაწილე [შეთქმულთა წესდებისა („აკტი გონიური“) და საიდუმლო ანბანის ავტორი]. გასამართლებამდე გარდაიცვალა საპატიმროში. დაკრძალულია თბილისში, დარის მონასტრის გალავანში – 91, 107, 345, 349, 358, 451, 460

კიკნაძე ჯუფარა (დაბ. 1854) – დიმ. ყიფიანის პაციენტი – 163

კლდიაშვილი დავით (1862-1931) – მწერალი, საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვალა მშობლიურ სოფ. სიმონეთში. დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში – 331, 332, 451

კლდიაშვილი ეფროსინე (ეფრო) (1839-1913) – მსახიობი, მთარგმნელი, საზოგადო მოღვაწე, ქუთაისის პროფესიული თეატრის ერთ-ერთი დამაარსებელი, დიმ. ყიფიანის ძმისწული (ქაიხოსრო ყიფიანის ას.), არქიტექტორ სიმონ კლდიაშვილი-

სა (1865-1920) და ქიმიკოსის, ოდესაში ებრაელთა ინტერესების დაცვისთვის მოკლული ალექსანდრე (საბა) კლდიაშვილის (1873-1905) დედა. გარდაიცვალა თბილისში, დაკრძალეს იქვე, ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში – 161, 386

კობაძე ბონდო – პროექტის ავტორი და შემდგენელი კრებულებებისა: „აკაკი წერეთელი – 170“ (თბ.: 2010), „დიმიტრი ყიფიანი – 200“ (თბ.: 2014) და სხვ. – 456

კობიაშვილი ნიკოლოზ (1822-1880) – გენერალ-მაიორი, „ქმნ-კგ გამავრცელებელი საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი – 147

კოვალევსკაია მარია (დაბ. 1871) – დიმ. ყიფიანის პაციენტი – 167

კოლა (კოლია) – იხ. **ყიფიანი ნიკოლოზ (ნიკო) დიმიტრის ძე კოლდუელი რობერტ** (1814-1891) – შოტლანდიელი ორიენტალისტი, ლინგვისტი, დრავიდულ (სამხრეთინდურ) ენათა მკვლევარი – 186

კოლიუბაკინი მიხეილ (1806-1872) – გენერალ-ლეიტენანტი, ნიკ. კოლიუბაკინის (1810-1868) ძმა. ჭარ-ბელაქნისა და ყარაბაღის მაზრების უფროსი, თბილისისა და ქუთაისის ვიცე-გუბერნატორი, სამეგრელოს მმართველი, ბაქოს სამხედრო გუბერნატორი – 316

კოლიუბაკინი ნიკოლოზ (1810-1868) – გენერალ-ლეიტენანტი და სენატორი, მიხ. კოლიუბაკინის (1806-1872), ძმა, ქუთაისის ვიცე-გუბერნატორი და სამეგრელოს მმართველი (1857), ერევნისა (1858-1861) და ქუთაისის (1861-1862) სამხედრო გუბერნატორი. 1862 წ. გაიწვიეს კავკასიიდან. სიცოცხლის ბოლო წლებში იყო ვლ. ოდოევსკის ლიტერატურული წრის წევრი – 316, 429

კოლუბანსკი (კალუბანსკი) კონსტანტინე (კოტე) (1839-1891) – სამხედრო პირი (კაპიტანი), მწერალი, მთარგმნელი, პედაგოგი, მსახიობი, თბილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანი, გარდაიცვალა 1891 წ. 22 ოქტომბერს თბილისში – 199

კონსტანტინე ქავთარაძე (პერს.) – იხ. **ქავთარაძე კონსტანტინე**

კოტე (კოსტია, კოსტიუკი, კოსტუკა) – იხ. **ყიფიანი კონსტანტინე (კოტე) დიმიტრის ძე**

კოტინოვი ნორა – ფილოლოგი, ქართული ლიტერატურის ისტორიის მკვლევარი – 460

კონია (პერს.) – 273

კრეიტანი ვასილ (1832-1896) – სკულპტორი, მხატვართა სანქტ-პეტერბურის არტელის (1863-1871) ერთ-ერთი დამაარსებელი – 309

კრიტი ალექსანდრე – გენერალი, 1860-იან წწ. თბილისში პოლკოვნიკის ჩინით კავკასიის მესანგრეთა ბატალიონში მსახურობდა – 188

კუდავა ბუბა – ისტორიკოსი, იკვლევს შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიასთან, ტაო-კლარჯეთის რეგიონთან, ქართულ პალეოგრაფიასა და სხვ. დაკავშირებულ პრობლემათიკას – 458

კუზმინა ეკატერინე – ვოლოგდის გუბერნატორ სტეფანე კუზმინის მეუღლე, დიმ. ყიფიანის ნაცნობი ვოლოგდაში გადასახლების წლებში – 175, 387

კუზმინი სტეფანე – ვოლოგდის გუბერნატორი (1834-1836 წწ.) – 387

კუკავა თამარ (1921-2007) – ფილოსოფოსი, ფილოლოგი – 446, 451

კუსრაშვილი რუსუდან (1930-2018) – ფილოლოგი, ქართული ლიტერატურის ისტორიის მკვლევარი – 446, 460

კუნოსი – ლეონტი მროველის მიხედვით, ქართველთა ერთ-ერთი ეთნარქი, ქართლოსის ძე – 303

ლ

ლაბენსკი (ლაბინსკი) – ქუთაისის ჟანდარმერიის ოფიცერი, მაიორი (1850-იანი წწ.) – 428, 429, 433

ლაბზინი ალექსანდრე (1766-1825) – რუსი ფილოსოფოსი, მწერალი, მისტიკოსი, დამაარსებელი მასონური ლოჟისა „მოაკვდავი სფინქსი“ – 351

ლაზარე (პერს.) – 238, 260, 264, 265

ლაზარევი – რუსი ოფიცერი, რომელთანაც დაუქორწინებელი ცოლქმრობა აკავშირებდა ნიკოლოზ დიმიტრის ძე ყიფიანის (1846-1905) ყოფილ ცოლს, ანასტასია (ტასო) მიხეილ ერისთავის ას. ყიფიანს (1858-1920) – 415

ლამაზისეული (პერს.) – 226

ლანჩელოტი (ლანსლო) (პერს.) – 396, 397

ლაროში ბენჟამენ (1797-1852) – ფრანგი მწერალი, უ. შექსპირის, ვ. სკოტის, ჩ. დიკენსისა და სხვ. მთარგმნელი ფრანგულ ენაზე – 457

ლალაშვილი იოსებ (სოსო) (1866-დაახლ. 1913) – თბილისის სასულიერო სემინარიის მოწაფე, რომელიც სწავლის გაგრძელების უფლების აღკვეთით (ე. წ. „მგლის ბილეთით“) გარიცხეს სასწავლებლიდან. 1886 წ. 24 მაისს ხანჯლით მოკლა სემინარიის რექტორი, დეკანოზი პავლე ჩუდეცკი, რისთვისაც ოცნლიანი კატორღა მიუსაჯეს. სასჯელს იხდიდა კუნძულ სახალინზე, საპორტო ქალაქ კორსაკოვში, საიდანაც გაიქცა და საბოლოოდ მოხვდა ამერიკის შეერთებულ შტატებში (იქ ცხოვრობდა თომას კოკის სახელით). გარდაიცვალა იქვე – 331

ლაცაბიძე (გარდ. 1884 წ. 31 მაისამდე) – დიმ. ყიფიანის პაციენტის, ნინო როფაქიძის, მეუღლე – 159

ლაცაბიძე პეპენა – ბლუაშვილის მეუღლე, დიმ. ყიფიანის პაციენტი – 164

ლეგენზევიჩი ალექსანდრე – იურისტი, მოსამართლე; 1869 წ. დიმ. ყიფიანი საჩუქრად უგზავნის თავის ბროშურას „სამეგრელოს მთავრის სახლი და დიმიტრი ყიფიანი“ – 189

ლევან V დადიანი (1791-1846) – სამეგრელოს (ოდიშის) მთავარი (1805-1840; უშუალოდ ოდიშის მართვას 1811 წლიდან შეუდგა), სამთავრო ტახტი სიცოცხლეშივე გადასცა თავის

მემკვიდრეს – დავით დადიანს, თუმცა მთავრის ტიტული სიკვდილამდე შეინარჩუნა – 131, 373

ლეონიძე გიორგი (1899-1966) – მწერალი, მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე. მისი ინიციატივით დაარსდა ქართული ლიტერატურის მუზეუმი (ამჟამად გ. ლეონიძის სახელობისა), ი. ჭავჭავაძის საგურამოს სახლ-მუზეუმი, პერიოდული გამოცემა „ლიტერატურული მემკვიდრეობა“ და სხვ. – 1, 414, 463

ლეთელი ვიქტორ – საფრანგეთის საკონსულოს მდივანი თბილისში. აქტიური კონფიდენციალური ურთიერთობები ჰქონდა როგორც საქართველოში მცხოვრებ, ისე რუსეთში მყოფ (ოქროპირ, დიმიტრი, ფარნაოზ და სხვ. ბატონიშვილები) შეთქმულებთან, აგრეთვე, პარიზში – მარი ბროსესთან (ეს უკანასკნელი, დოკუმენტური წყაროების მიხედვით, მინიმუმ შეთქმულების კურსში იყო). ლეთელი ფლობდა ქართულ ენას, ჰქონდა ქართული წიგნების საინტერესო კოლექცია და სხვ.; შეთქმულების ჩავარდნისას იმყოფებოდა პეტერბურგში და სასწრაფოდ დატოვა რუსეთის ტერიტორია. საგამომძიებლო კომისიამ საქმე არ გაართულა და იგი დაკითხვის გარეშე შეიყვანა „დამნაშავეთა“ VIII კატეგორიაში („ვიზედაც შეიძლება ეჭვის მიტანა, რომ მათ ან იცოდნენ შეთქმულების ამბავი, ან მას თანაუგრძნობდნენ“) – 349

ლივნი ანდრია (1839-1913) – რუსეთის სახელმწიფო ქონების მინისტრი (1877-1881 წწ.) – 401

ლიზა – იხ. **ყიფიანი ლიზა**

ლოკა – იხ. **ლორთქიფანიძე ელენე**

ლოლუა ლუარსაბ (1872-1907) – იურისტი (ადვოკატი), ქუთაისის ქალაქისთავი (1890-იანი წწ.), ქუთაისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის ზედამხედველი კომიტეტის წევრი, „ქმნ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი. დაკრძალულია ქუთაისში – 148

ლომისეული (პერს.) – 226, 231

ლომოური (ლომაუროვი) ივანე – სასულიერო პირი (თბილისის მეტეხის ეკლესიის მღვდელი 1880-იანი წწ.), „ქმნ-კგ საზოგადოების“ ნამდვილი წევრი – 400

ლომსაძე ზაქარა – დიმიტრი ყიფიანის პაციენტი – 158

ლომსაძე მართა (დაბ. 1844) – ქოზაშვილის მეუღლე, დიმიტრი ყიფიანის პაციენტი – 162

ლომსაძე პაატა – დიმიტრი ყიფიანის პაციენტის, სალომე ლომსაძის, მეუღლე – 168

ლომსაძე სალომე – დიმიტრი ყიფიანის პაციენტი – 168

ლოპუხინა ეკატერინე – იხ. **კუზმინა ეკატერინე**

ლოპუხინა ნადეჟდა – პოლკოვნიკ ალ. ლოპუხინის (1830-იანი წწ.) მეუღლე, დიმიტრი ყიფიანის ნაცნობი ვოლოგდაში გადასახლების წლებში – 175

ლორთქიფანიძე ანტონ (1847-1894) – ვეჭილი, ბიბლიოფილი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, „ქმნ-კვ საზოგადოების“ ნამდვილი წევრი (1879 წლიდან), ელენე დიმიტრის ას. ყიფიანის (1855-1890) მეუღლე. დამთავრებული ჰქონდა ოდესის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. ცხოვრობდა ქუთაისში და მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქუთაისის კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებაში. ხალხოსნური მოძრაობის მონაწილე (შედიოდა ხალხოსანთა ქუთაისის წრეში). დაკრძალულია ქუთაისში, წმ. გიორგის ეკლესიაში (გორის უბანი) – 148, 197

ლორთქიფანიძე დავით (1852-1920) – ნაფიცი ვეჭილი, ქუთაისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის ზედამხედველიკომიტეტისა და ქუთაისის საკრებულოს წევრი (1900-იანი წწ.), ქუთაისის ქალაქისთავი, „ქმნ-კვ საზოგადოებრიუს დამფუძნებელი წევრი – 148

ლორთქიფანიძე ელენე (ლოკა, ლოლა) (1855-1890) – მწერალი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, „ქმნ-კვ საზოგადოების“ ნამდვილი წევრი (1879 წლიდან), დიმიტრი ყიფიანის ქალიშვილი, ანტონ ლორთქიფანიძის (1847-1894) მეუღლე; მოღვაწეობდა ქუთაისში, დიდი ამაგი დასდო ქართული ხალხური სიმღერებისა და სასულიერო საგალობლების შეკრებასა და ნოტებზე გადატანას. მისი ინიციატივით გამოიცა „თარგმანნი საამო საკითხავთა თხზულებათა“ (1872), აღმანახ „ქართული

ბიბლიოთეკის“ (ქუთაისი, 1883 წ.) ერთ-ერთი დამაარსებელი და რედაქციის წევრი. გარდაიცვალა ქუთაისში, დაკრძალულია იქვე, წმ. გიორგის ეკლესიაში (გორის უბანი) – 162, 164, 194, 197, 198, 221, 386, 404, 407, 414, 415; იხ. აგრეთვე: ე. დ.

ლორთქიფანიძე ირაკლი (გარდ. 1881) – პოეტი (ლექსები და კრიტიკული წერილები აქვს გამოქვეყნებული ივ. კერესელიძის „ცისკარში“), ეკატერინე დადიანის მდივანი, შემდეგ – სამეგრელოს სამთავრო მამულების მოურავი; გარდაიცვალა 1881 წ. დეკემბერს, ქუთაისში – 36

ლორთქიფანიძე კირილე (1839-1919) – კრიტიკოსი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, „თერგდალეული“, გაზეთ „დროების“ რედაქტორი (1873-1874), აღმანახ „ჩონგურის“ (1864) შემდგენელ-გამომცემელი. დაკრძალულია ქუთაისში, მწვანეყვავილაზე – 328

ლორის-მელიქოვი მიხეილ (1825-1888) – კავალერიის გენერალი, გენერალ-ადიუტანტი, სახელმწიფო საბჭოს წევრი, რუსეთის I კონსტიტუციის პროექტის ფაქტობრივი ავტორი, 1880-1881 წწ. – რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრი და ჟანდარმთა შეფი; სანქტ-პეტერბურგის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი; „ქმწ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი; ქართული ლიტერატურის ისტორიაში შესულია, როგორც ი. ჭავჭავაძისა („კიდევი გამოცანები“) და ა. წერეთლის („ჩვენი მიხაკა“) გამანადგურებელი სატირის ობიექტი. გარდაიცვალა საფრანგეთის ქ. ნიცაში, დაკრძალულია თბილისში, ვანქის ეკლესიის გალავანში – 149, 192, 382, 400

ლუკა (ლუკაია) (პერს.) – 238, 270-272

ლხოვსკი – საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორის, ნიკ. ფალავანდიშვილის (1790-1855), მდივანი (1830-იანი წწ.) – 89

მ

მაკიევსკი-ზუბოკი ნიკოლოზ (დაბ. 1866) – მკვლევარი, ავტორი ნაშრომისა კავკასიის მთავარმართებლებისა და მეფისნაცვლების შესახებ – 300, 451

მაკრინე (პერს.) – 388

მამაცაშვილი იოსებ (1810-1874) – საზოგადო მოღვაწე, ჟურნალისტი, მწერალი; ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი (Действительный статский советник); 1832 წლის შეთქმულების მონაწილე (გადაასახლეს ვიატკაში, სადაც ს. დოდაშვილთან ერთად იხდიდა სასჯელს). სამშობლოში დაბრუნებული (1836 წ. მარტი) გორში დამკვიდრდა და დიდხანს იმსახურა მაზრის მოსამართლედ – 82, 84, 85, 93, 102-105, 108, 121, 336, 340, 353, 354, 378

მამაცაშვილი კონსტანტინე (1818-1900) – სამხედრო (გენერალ-ლეიტენანტი) და საზოგადო მოღვაწე, „კავკასიის ომის“ მონაწილე, „ქმნ-კვ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი, მემუარისტი (გამოქვეყნებული აქვს მოგონებები სიყრმის მეგობარ ნ. ბარათაშვილზე), გამოუქვეყნებელი დარჩა ვრცელი მოგონებები (14 რვეული, 1025 გვერდი), რომელიც მნიშვნელოვან მასალას შეიცავს საქართველოს საზოგადოებრივი და პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ცხოვრების შესახებ 1837 წლიდან 1860-იან წლებამდე. ხელნაწერი ამ მოგონებებისა („Записки генерала Константина Мамацева, начатые 23 июня 1862 года“) დაცულია პეტერბურგში, „პუშკინის სახლში“. გარდაიცვალა თბილისში, დაკრძალულია დიდუბის პანთეონში – 145

მამაცაშვილი ქრისტეფორე (1839-1909) – სამხედრო (გენერალ-მაიორი) და საზოგადო მოღვაწე, იოსებ მამაცაშვილის (1818-1900) შვილი, „ქმნ-კვ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი, ქველმოქმედი. დაკრძალულია თბილისში, ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში – 147

მანია – იხ. **ანდროსოვა მანია**

მანჩხაშვილი (გარდ. 1884 წ. 10 აგვისტომდე) – დიმ. ყიფიანის პაციენტის, ნინო თხელიძის, მეუღლე – 162

მანჩხაშვილი დათიკო – სოფ. ნუნისის მკვიდრი – 386

მანჩხაშვილი ტასია – დიმ. ყიფიანის პაციენტი – 386

მარგარიტისა (პერს.) – 237, 241

მარიამ ღვთისმშობელი – დედა იესო ქრისტესი, „ყოვლადნიდა“, „მარად ქალწული“, დედობისა და შვილიერების მფარველი – 17, 88, 260

მარიამი – დიმ. ყიფიანის პაციენტი, სანო ყიფიანის დედა – 166, 167

მატი (მატტი) – გრაფი, ჰომეოპათი – 385

მაქსიმე (პერს.) – 390, 391

მაქსიმოვიჩი პავლე (1796-1888) – რუსი პედაგოგი, პეტერბურგის სასწავლო ოლქის ინსპექტორი და განათლების სამინისტროს სწავლულთა კომიტეტის წევრი; ძმა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის თანაშემწისა და საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარის (1850-იან წწ.), ალექსანდრე მაქსიმოვიჩისა (1799-1873 წ. შემდეგ) – 370

მაღალაშვილი ლუარსაბ (შაქრო) (1839-1907) – საზოგადო მოღვაწე, „თერგდალეული“, „ქმნ-კვ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი, ი. ჭავჭავაძის ლექსის („მტკვრის პირას“) ადრესატი; გენერალ-ლეიტენანტ ლევან მაღალაშვილის (1879-1926; გარდაიცვალა ემიგრაციაში, მიუნჰენში) მამა; თბილისის მაზრისა (1880-იანი წწ.) და თბილისის გუბერნიის (1891-1894) თავადაზნაურობის წინამძღოლი, სამოქალაქო მრჩეველი („Статский советник“), რუსეთის საიმპერატორო კარის კამერჰერი. გარდაიცვალა თბილისში, დაკრძალულია მშობლიურ სოფ. თელოვანში – 145

მაღალაშვილი მარიამ – დიმ. ყიფიანის და – 407

მაჩაბელი ანემპოდისტე (1843-1911) – მომრიგებელი მოსამართლე (საჩხერე), „ქმნ-კვ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი – 148

მაჩაბელი დავით (1814-1873) – პოეტი, მთარგმნელი, ბიბლიოფილი; 1873 წ. 10 ოქტომბერს მოკლეს თამარაშენში, საკუთარ სახლში, ცხედარი კი დაწვეს. მკვლევლობის მიზეზზე არსებობს ორი ძირითადი ვერსია: ძარცვა და მიტოვებული ცოლის შურისძიება. დაახლოებული იყო შეთქმულთა წრესთან, თუმცა ამ ფაქტით საგამომძიებლო კომისია სერიოზულად არ დაინტერესებულა – 79, 188

მაჩაბელი ვასილ (1845-1918) – იურისტი (ნაფიცი ვეკილი), მემუარისტი, საზოგადო მოღვაწე, ივანე მაჩაბლის (1854-1898) ძმა, ქართული პოლიტიკური ემიგრაციის თვალსაჩინო წევრის, გიორგი მაჩაბლის (1885-1935), მამა. გარდაიცვალა თბილისში, დაკრძალეს ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში – 147, 404

მაჩაბელი ივანე (1854-1898) – მწერალი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, „ივერიის“ თანარედაქტორი (1882-1883; ი. ჭავჭავაძესთან ერთად), „დროების“ რედაქტორი (1883-1885), „ვეფხისტყაოსნის“ 1888 წ. „ქართველიშვილისეული“ გამოცემის ფაქტობრივი რედაქტორი, ერთ-ერთი წამყვანი თანამშრომელი თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკისა, „ქმნ-კგ საზოგადოებისა“, „ქართული დრამატიული საზოგადოებისა“. უმაღლესი განათლება მიღებული ჰქონდა პეტერბურგის, ჰოპენჰაიმის, სორბონის უნივერსიტეტებში. უ. შექსპირის მთარგმნელი („ჰამლეტი“, „ოტელო“, „იულიუს კეისარი“ და სხვ.) – 324, 379, 400

მაჭავარიანი სარდიონ – სურამის მკვიდრი, რომელიც 1888 წ. დიმი. ყიფიანის ძმისწულს, ლუარსაბ ყიფიანს, შემოაკვდა – 439

მაჭავარიანი სპირიდონ (1807-1892) – გენერალ-მაიორი, „ქმნ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი, ოზურგეთის მაზრის უფროსი (1850-1857). დაკრძალულია შორაპნის მაზრის სოფ. ცხრანყაროს (ამჟამად ზესტაფონის მუნიციპალიტეტი) წმ. გიორგის ეკლესიაში – 148

მეგრელიშვილი ნინიკა – შორაპნის მაზრის მცხოვრები, ყიფიანების მოვალე – 213

მეკენჭე – სერგეი მესხის ფსევდონიმი – 451; იხ. აგრეთვე: **მესხი სერგეი**

მელიქიშვილი ლევან (1817-1892) – გენერალ-ლეიტენანტი, ანდრია პირველწოდებულის ორდენის კავალერი, კავკასიის მეფისნაცვლისა და მთავარსარდლის მოადგილე (1880 წლიდან); „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკისა“ (1842-1848) და „ქმნ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი – 144, 194, 198

მელიქიშვილი სტეფანე (1841-1887) – გაზეთ „დროების“ გამომცემელი (1866-1883), პუბლიცისტი, მესტამბე. თავისი ავლადიდება შესწირა „დროების“ გამომცემას. სიცოცხლე თვითმკვლევლობით დაასრულა აშხაბადში – 312, 376, 427, 443, 455, 459

მელნიკოვა მელანია – იხ. **ერისთავ-მელნიკოვა მელანია**

მელნიკოვი ანდრეი (გარდ. 1836) – 1832 წლის შეთქმულების მონაწილე, მელანია ერისთავის (ელიზბარ ერისთავის დის) მეუღლე, თბილისის პოლიცმაისტერი, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე (გაათავისუფლეს, თუმცა პოლიციის „სასტიკი მეთვალყურეობის“ ქვეშ დატოვეს), 1836 წ. 8 აგვისტოს მოკლეს ქოლაგირში – 81, 93, 346

მერკუციო (პერს.) – 389

მესხი იოსებ – დიმ. ყიფიანის პაციენტის მეუღლე – 386

მესხი მართა – დიმ. ყიფიანის და – 407

მესხი ნინა – დიმ. ყიფიანის პაციენტი – 386

მესხი სერგეი (1845-1883) – ჟურნალისტი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი, კულტურისა და განათლების პოპულარიზატორი, გაზეთ „დროების“ რედაქტორი (1869-1883; 1880-1881 წწ. – ი. ჭავჭავაძესთან ერთად „დროებისა“ და „ივერიის“ გაერთიანებული რედაქციის თანარედაქტორი). თვალსაჩინო ფიგურა XIX ს. ქართული კულტურის ისტორიაში. გარდაიცვალა აბასთუმანში. დაკრძალულია მშობლიურ სოფელ რიონში – 323-325, 427, 428, 451; იხ. აგრეთვე: **მეკენჭე; ს. მ.**

მეტრეველი ივანე – შორაპნის მაზრის მცხოვრები, ყიფიანების მოვალე – 213

მეუნარგია იონა (1852-1919) – მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, ქართულ მწერლობაში ბიოგრაფიული ჟანრის დამამკვიდრებელი, „ქმწ-კვ საზოგადოების“ მდივანი, „ვეფხისტყაოსნის“ 1888 წლის (ე. წ. ქართველიშვილისეული) გამომცემის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი. თანამშრომლობდა ქართულ და რუსულ პრესასთან („დროება“, „ივერია“, „Кавказ“,

„Новое обозрение“ და სხვ.). ფრანგულ ენაზე თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“ (თარგმანი დაკარგულად ითვლება). დაკრძალულია მშობლიურ სოფ. ცაიშში – 315, 398, 399, 402, 403, 428, 451

მთვარელიძე მურად – მწერალი, ლიტერატურათმცოდნე, ავტორი მონოგრაფიული ნაშრომისა „დღივითი ყიფიანი – ლიტერატორი“ (თბ.: 2018) – 402, 452

მიკირტუმ გასპარიჩი (პერს.) – 388

მინაშვილი ლადო – ფილოლოგი, XIX ს. ქართული ლიტერატურის ისტორიის მკვლევარი – 448

მინგრელსკაია მარია – იხ. **დადიან-მინგრელსკაია მარია**

მინგრელსკი ანდრია – იხ. **დადიანი (დადიან-მინგრელსკი) ანდრია**

მინგრელსკი ნიკოლოზ (ნიკო) – იხ. **დადიან-მინგრელსკი ნიკოლოზ (ნიკო)**

მირზაშვილი დავით (მარალო) – დიმ. ყიფიანის პაციენტის, ღიზა მირზაშვილის, მამა – 162

მირზაშვილი ღიზა – დიმ. ყიფიანის პაციენტი – 162

მიტრო – დიმ. ყიფიანის პაციენტი – 171, 385

მიურატი სალომე – იხ. **დადიან-მიურატი სალომე**

მიქავა უტუ (1812-1878) – 1856-1857 წწ. სამეგრელოს აჯანყების მეთაური, გადაასახლეს არხანგელსკის გუბერნიაში, საიდანაც 1867 წ. დაბრუნდა – 372

მიქელაძე ალექსანდრე (1818-1881) – პოლკოვნიკი, მულახ-იფარისა (1847-1848) და ზემო სვანეთის (1852-1858) პრისტავი (ბოქაული), ყირიმის ომის (1853-1858) მონაწილე, ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი (1864-1867); „ქმნ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი. გამოირჩეოდა გლეხობისადმი ლოიალური დამოკიდებულებით, წინამძღოლად ყოფნისას საგანგებო ყურადღებას აქცევდა სწავლა-განათლების საკითხებს – 148

მიქელაძეები – იმერელი (სოფ. კულაშიდან) თავადები – 268

მიცუკევიჩი ადამ (1798-1855) – პოლონელი პოეტი, პუბლიცისტი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე – 81, 346

მიხეილ ნიკოლოზის ძე (რომანოვი) (1832-1909) – დიდი მთავარი, გენერალ-ფელდმარშალი, კავკასიის მეფისნაცვალი და ჯარების სარდალი (1862-1881), რუსეთის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე (1881-1905; 1905 წ. გადადგა პოსტიდან, თუმცა სიკვდილამდე დარჩა სახელმწიფო საბჭოს საპატიო თავმჯდომარედ). მისი მმართველობის დროს დამთავრდა რუსეთის იმპერიის თითქმის ნახევარსაუკუნოვანი ომი ჩრდილოეთ კავკასიის დასამორჩილებლად – 7, 8, 31, 62, 71, 307, 308, 311, 322, 329, 330, 333, 413

მიხეილ სვიმონის ძე – იხ. ვორონცოვი მიხეილ

მონაგარდისა (პერს.) – 226, 231, 233

მოსე ხონელი – მწერალი, ტრადიციის საფუძველზე „ამირან-დარეჯანიანის“ ავტორად მიიჩნევა – 199

მურავიოვი ნიკოლოზ (1794-1866) – კავკასიის მეფისნაცვალი და ცალკე კორპუსის მთავარსარდალი (1854-1856) – 372

მუსხელიშვილი (მუსხელაშვილი) ალექსანდრე (1835-1897) – გენერალ-მაიორი, „ქმნ-კვ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი, თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწის, ანა ბესარიონ ლოლობერიძის ას. მუსხელიშვილის (1842-1890), მეუღლე – 149

მუსხელიშვილი (მუსხელაშვილი) გიორგი (1844-1929) – გენერალ-მაიორი (1902 წლიდან), „ქმნ-კვ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი – 145

მუსხელიშვილი (მუსხელაშვილი) დიმიტრი (1841-1913) – გენერალ-მაიორი, „ქმნ-კვ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი – 149

მუსხელიშვილი თინათინ – დიმ. ყიფიანის და – 407

მუშთაიდი (მუჯთაჰიდი) მირ-ფეთე-ალა სეიდ თავრიზელი (გარდ. 1892) – თავრიზის მუჯთაჰიდი [შიიტური სასულიერო წრეების (ღვთისმეტყველთა) უმაღლესი წარმომადგენელი]. შაჰის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობის ბრალდებით დევნილმა თავი შეაფარა თბილისს, სადაც 1820-იანი წწ. ბოლოს ცნობილი (მუშთაიდის) ბალი გააშენა. 1845 წ., შაჰის მიერ შეწყალებული, თავრიზში დაბრუნდა. გარდაიცვალა იქვე – 309, 320

მიცკევიჩი ადამ (1798-1855) – პოლონელი პოეტი, პუბლიცისტი, პოლონეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი (რევოლუციური) მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი. გარდაიცვალა კონსტანტინოპოლში, დაკრძალეს პარიზში, საიდანაც 1890 წ. გადაასვენეს სამშობლოში (კრაკოვი) – 81, 346

მუხრანბატონები (ბაგრატიონ-მუხრანსკები, მუხრანსკები) – ფეოდალური საგვარეულო (XVI-XIX სს.), რომელიც ფლობდა მუხრანს (სამუხრანოს, სამუხრანბატონოს) – 305

მუხრანბატონი (ბაგრატიონ-მუხრანსკისა) ბარბარე (1848-1930) – „ქმნ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი – 145

მუხრანბატონი (მუხრანსკი, ბაგრატიონ მუხრანსკი) დავით (1793-1878) – ერეკლე II-ის შთამომავალი, დუშეთის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლი – 187

მუხრანბატონი (ბაგრატიონ-მუხრანსკი) ერეკლე (1813-1892) – სახელმწიფო მოხელე, ივ. მუხრანბატონის (1812-1895) ძმა, „ქმნ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი – 144

მუხრანბატონი (ბაგრატიონ-მუხრანსკი, მუხრანსკი) ივანე (იოანე) (1812-1895) – გენერალ-ლეიტენანტი, ერეკლე II-ის შთამომავალი (ქეთევან ბატონიშვილის შვილიშვილი), ქუთაისის გუბერნიის სამხედრო გუბერნატორი (1853-1856), თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი (1885-1891), „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკისა“ (1842-1848) და „ქმნ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი (თავმჯდომარე 1882-1885 წწ.). დაკრძალულია სვეტიცხოვლის ტაძარში – 146, 302, 327, 372, 443

მუხრანბატონი (ბაგრატიონ-მუხრანსკი, მუხრანსკი) კონსტანტინე ივანეს ძე (1779-1842) – რუსული ორიენტაციის პოლიტიკური ფიგურა, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი („მარშალი“) 1812-1839 წწ.; დაკრძალულია სვეტიცხოვლის ტაძარში – 83, 84, 98, 110, 111, 304, 350, 351

მუხრანბატონი (ბაგრატიონ-მუხრანსკი) კონსტანტინე (კონია) ივანეს ძე (1838-1903) – სამხედრო (გენერალ-მაიორი) და საზოგადო მოღვაწე, „ქმნ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებე-

ლი ნევრი, ქველმოქმედი (საგანგებოდ ზრუნავდა განათლების გავრცელებაზე), გავლენიანი მემამულე, რუსეთის საიმპერატორო კარის ეგერმეისტერი (1895), თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი (1894-1900). დაკრძალულია სვეტიცხოვლის ტაძარში – 146

მუხრანსკი (ბაგრატიონ-მუხრანსკი) – იხ. მუხრანბატონი
მუჰამად ალი (1769-1849) – ეგვიპტის გამგებელი (ფაშა) 1805-1848 წწ., წარმოშობით ალბანელი (იანიჩარი). გარდაიცვალა ალექსანდრიაში – 349

6

ნათალიშვილი (ნათალოვი) დავით (დაბ. 1799) – 1795 წლის კრწანისის ბრძოლის გმირისა და ალექსანდრე ბატონიშვილის თანამებრძოლის, გორჯასპი ნათალიშვილისა (გარდ. 1818) და კახეთის 1812 წლის აჯანყების მონაწილე გუქა დიმიტრის ას. ორბელიანის შვილი, 1826-1828 წწ. რუსეთ-ირანისა და „კავკასიის ომის“ მონაწილე, 1832 წლის შეთქმულების ნევრი (გაათავისუფლეს, თუმცა საგანგებო მეთვალყურეობა დაუნესეს) – 101

ნათაძე ალექსანდრე (1864-1916) – პედაგოგი, პუბლიცისტი, მთარგმნელი, მოსე ნათაძის (1851-1890) ძმა – 198

ნათაძე მოსე ივანეს ძე (1851-1890) – პედაგოგი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, 1882 წლიდან – „ქმნ-კვ საზოგადოების“ ბათუმის სკოლის მასწავლებელი. ხალხოსნური მოძრაობის მონაწილე. გარდაიცვალა თბილისში, უკიდურეს სიღარიბეში – 407

ნაკაშიძე ივანე (1848-1917) – გენერალ-ლეიტენანტი, რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წწ. ომის მონაწილე, წითელი ჯვრის რუსეთის მთავარსამმართველოს ნევრი (1900-იანი წწ.). ცხოვრობდა პეტერბურგში (1882 წ. პეტერბურგში მყოფ დიმი. ყიფიანს მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ივ. ნაკაშიძესთან) – 404

ნაკაშიძე მიხეილ – გურული თავადი, 1869 წ. დიმი. ყიფიანის საჩუქრად უგზავნის თავის ბროშურას „სამეგრელოს მთავრის სახლი და დიმიტრი ყიფიანი“ – 188

ნაკაშიძე პეტრე (1838-1895) – მწერალი, პუბლიცისტი, „თერგდალეული“, „ქმნ-კვ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი, მწერალ ილია ნაკაშიძის (1866-1923) მამა; ერთხანს ქართულ ენას ასწავლიდა მოსკოვის ლაზარევის აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტსა და მოსკოვის უნივერსიტეტში. 1870-იანი წლებიდან ცხოვრობდა ქუთაისში; ოზურგეთის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლი (1885 წლიდან). გარდაიცვალა ბორჯომში, დაკრძალეს იქვე – 147

ნანიტაშვილი ლეილა – მკვლევარი, ლიტერატორი, გამომცემელი; ძირითადად იკვლევს XIX-XX სს. ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიას – 377, 380, 452

ნაპოლეონ I ბონაპარტი (1769-1821) – ფრანგი სახელმწიფო მოღვაწე და მხედართმთავარი, საფრანგეთის იმპერატორი (1804-1815) – 345

ნაპოლეონ III ბონაპარტი (1808-1873) – საფრანგეთის II რესპუბლიკის პრეზიდენტი (1848-1852), საფრანგეთის იმპერატორი (1852-1870) – 375, 447

ნატო – იხ. **ყიფიანი ნატო**

ნასერ ალ-დინ შაჰი ყაჯარი (1831-1896) – ირანის შაჰი (1848-1896) ყაჯართა დინასტიიდან. შეეწირა ქურთი რევოლუციონერის თავდასხმას – 323

ნეესაძე იაგორა – შორაპნის მაზრის მცხოვრები, ყიფიანების მოვალე – 213

ნეონილა – დიმიტრი ყიფიანის „ძალუა“ და მისი პაციენტი – 160, 165

ნესრ-ედდინი – იხ. **ნასერ ალ-დინ შაჰი ყაჯარი**

ნიკ. ვას. – 188, 396

ნიკო (პერს.) – 237, 261, 262

ნიკოლაი ალექსანდრე (1821-1899) – ბარონი, სენატორი, სახელმწიფო მდივანი (Статс-секретарь). სხვადასხვა წლებში: მიხ. ვორონცოვის სალაშქრო კანცელარიის დირექტორი, კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს წევრი და სასწავლო ოლქის მზრუნველი, კიევის სასწავლო ოლქის მზრუნველი, კავკასი-

ის მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს უფროსი, რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრი, განათლების მინისტრი, სახელმწიფო საბჭოს კანონთა დეპარტამენტის თავმჯდომარე; მეუღლე სოფიო ალექსანდრეს ას. ჭავჭავაძისა (1833-1862). გარდაიცვალა ბეთანიაში, საკუთარ მამულში – 30, 31, 187, 302, 304, 305, 310, 315, 369, 395

ნიკოლაიშვილი ნ. – მკვლევარი, ავტორი ნაშრომისა „1830-1831 წლების პოლონეთის აჯანყება და საქართველოს მონაწილე საზოგადოება“ – 345, 452

ნიკოლოზ I (1796-1855) – რუსეთის იმპერატორი (1825-1855). სახელმწიფოს მართვაში აბსოლუტური მონარქიის მიმდევარი, თუმცა მის მიერვე ნახალისებულმა ბიუროკრაციამ იმპერატორის აბსოლუტიზმი ბიუროკრატიული ტირანიით შეცვალა. გარდაიცვალა პეტერბურგში 1855 წ. 18 თებერვალს – 297, 298, 308, 336-338, 355, 357, 457

ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე (1843-1865) – იმპერატორ ალექსანდრე II-ის ძე, დიდი მთავარი, რუსეთის საიმპერატორო ტახტის მემკვიდრე, ტუბერკულოზური მენინგიტით დაავადებული, გარდაიცვალა საფრანგეთის ქ. ნიცაში – 7, 28, 307, 308

ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე (1831-1891) – იმპერატორ ნიკოლოზ I-ის ძე, დიდი მთავარი, გენერალ-ფელდმარშალი – 62

ნინა – დიმ. ყიფიანის პაციენტი – 162

ნინა სოლომონის ას. – დიმ. ყიფიანის „ძალუა“ და მისი პაციენტი – 171

ნინო (წმ.) – ქართველთა განმანათლებელი (დაახლ. IV ს. პირველი მესამედი), მოციქულთასწორი – 8, 74, 335, 458, 459

ნინო დადიანი (1772-1847) – გიორგი XII-ის ასული, სამეგრელოს დედოფალი [გრიგოლ კაციას ძე დადიანის (1770-1804) მეუღლე], 1811 წელს „განვეულ“ იქნა პეტერბურგში, სადაც სიცოცხლის ბოლომდე ცხოვრობდა (მინიჭებული ჰქონდა სტატუს-დამის ტიტული), წმ. ეკატერინეს ორდენის კავალერი. დაკრძალულია პეტერბურგის წმ. ალექსანდრე ნეველის ლავრის თედორეს ეკლესიაში – 130, 373, 374

ნიჟარაძე ალმასხან (გარდ. 1890) – პოდპოლკოვნიკი, ქუთაისის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლი (1879-1885; 1880-იან წწ. რამდენჯერმე ასრულებდა ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის მოვალეობას) – 69, 328, 329

ნიჟარაძე ეფემია (ფეფენა) – დიმ. ყიფიანის ბიძაშვილი (დავით გიორგის ძე ყიფიანის ას.), კონსტ. ნიჟარაძის მეუღლე – 208

ნიჟარაძე კონსტანტინე – სამეგრელოს სამთავროს საქმეთა მმართველი (1860-იანი წწ.), დიმ. ყიფიანის ბიძაშვილის, ეფემია (ფეფენა) დავითის ას. ყიფიანის, მეუღლე – 39, 187, 189, 210, 317, 395

ნონე ნიკოლოზ ფონ დერ (1836-1906) – რუსეთში დაბადებული გერმანული წარმოშობის ინჟინერი, სამხედრო პირი (პოლკოვნიკი), ბაქოს განაშენიანების გეგმის ავტორი და ქალაქისთავი (1898-1902), დიმ. ყიფიანთან დაახლოებული პირი (ნ. ფონ დე ნონეს მეუღლე მარიამ ბაშინჯალიანი ნათლია იყო დიმ. ყიფიანის ქალიშვილის – ელენე ყიფიან-ლორთქიფანიძისა) – 187

ო

ოლგა თეოდორეს ასული (1839-1891) – კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძის მეუღლე, საქართველოში დიდი ამაგი დასდო ქალთა განათლების საქმეს – 71, 332, 333

ომერ-ფაშა (ლატასი მიხაილ) (1806-1871) – სერბული წარმოშობის ავსტრიელი ოფიცრის შვილი, რომელმაც ისლამი მიიღო. ყირიმის 1853-1856 წწ. ომში ჯერ მთავარსარდლობდა ოსმალეთის ჯარს რუსების წინააღმდეგ დუნაის მიმართულებით, შემდეგ კი (1855) მისი ჯარი გადასროლილ იქნა საქართველოსკენ: აფხაზეთიდან შეიჭრა სამეგრელოში, აიღო ზუგდიდი, გადანვა დადიანების სასახლე, მოაოხრა ახლო-მახლო სოფლები, მაგრამ გრიგოლ დადიანის საერთო ხელმძღვანელობით გაშლილ პარტიზანულ ბრძოლებს ვერ გაუძლო და იძულებული გახდა, უკუქცეულიყო, შემდეგ კი საერთოდ დაეტოვებინა საქართველო; ივო ანდრიჩის რომანის „ომერ ფაშა ლატასი“ მთავარი პერსონაჟი – 128, 373

ონიკაშვილი ალექსანდრე (გარდ. 1885) – მწიგნობრისა და კალიგრაფის, ნიკოლოზ ონიკაშვილის, ძე; „კავკასიის ომის“ მონაწილე, „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკისა“ (1842-1848) და „ქმნ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი, ბიბლიოფილი – 145

ორბელიანები – ფეოდალური საგვარეულო აღმოსავლეთ საქართველოში – 305

ორბელიანი ალექსანდრე დავითის ძე (გარდ. 1869) – გენერალ-მაიორი, მანანა ორბელიანის (1808-1870) ვაჟი, „კავკასიის ომის“ მონაწილე, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი („მარშალი“) 1856-1864 წწ. (ამ პოსტზე დიმი. ყიფიანმა შეცვალა). ცხოვრების უკანასკნელი წლები გაატარა პეტერბურგში, სადაც ფლიგელ-ადიუტანტის ჩინით იმპერატორ ალექსანდრე II-ის ამაღლებაში ირიცხებოდა. გარდაიცვალა იალტაში. დაკრძალულია კუმისის წმ. სამების ეკლესიაში – 304-305

ორბელიანი ალექსანდრე ვახტანგის ძე (1802-1869) – მწერალი, ისტორიკოსი, ერეკლე II-ის შვილიშვილი (თეკლა ბატონიშვილის უფროსი ვაჟი), 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი ხელმძღვანელი (გადაასახლეს ორენბურგის გუბერნიაში, საიდანაც 1838 წ. „კავკასიის ხაზზე“ გადმოიყვანეს, ხოლო სამშობლოში 1840 წ. დააბრუნეს). გამოირჩეოდა მკაფიოდ გამოკვეთილი ანტირუსული სულისკვეთებით. დიდი ამაგი დასდო ივ. კერესელიძის „ცისკარს“. დაკრძალულია სიონის ტაძარში – 77-89, 93, 94, 98, 99, 101-104, 107, 109, 111, 112, 115, 119, 121, 122, 338, 340, 341, 344, 346, 349, 351, 352, 357, 359, 365

ორბელიანი (ჯამბაკურ-ორბელიანი) ალექსანდრე (სამიკო) ივანეს ძე (1847-1919) – გენერალ-მაიორი, ქველმოქმედი და კულტურტრეგერი, „ქმნ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი, თბი, დაკრძალულია თბილისში, სიონის ტაძარში – 146

ორბელიანი ბარბარე (ვარინკა) (1831-1884) – ილია ბატონიშვილის (1790-1854) ასული, გენერალ-მაიორ ილია ზურაბის (დიმიტრის) ძე ორბელიანის (1815-1853) მეუღლე, შამილთან ტყვედ ნამყოფი, „ქმნ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი – 145

ორბელიანი გრიგოლ (1804-1883) – პოეტი, გენერალ-ადიუტანტი, ინფანტერიის გენერალი, რუსეთის იმპერიის უმაღლესი ჯილდოს, ანდრია პირველწოდებულის ორდენის, კავალერი, კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს თავმჯდომარე (ხანგამოშვებით ასრულებდა მეფისნაცვლის მოვალეობას), თბილისის გენერალ-გუბერნატორი, „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკისა“ (1842-1848) და „ქმნ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე [მიესაჯა გადაყვანა „პირველი ლინიის“ (მოიცავდა ტერიტორიას ყუბანიდან თერგის შესართავამდე) ქვეით კორპუსში რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოში ჩამოსვლის უფლების აღკვეთით]. დაკრძალულია ქაშვეთის ტაძარში – 65, 144, 194, 302, 310, 317, 324, 325, 346, 375, 378, 379, 381, 451

ორბელიანი დიმიტრი ვახტანგის ძე (1808-1882) – ერეკლე II-ის შვილიშვილი (თეკლა ბატონიშვილის შვილი), 1832 წლის შეთქმულების მონაწილე; დაკავშირებული იყო შეთქმულთა როგორც თბილისის, ისე პეტერბურგისა და მოსკოვის წრეებთან (მიუსაჯეს გადასახლება პენზაში, თუმცა მოგვიანებით პენზა კალუგით შეუცვალეს). დაკრძალულია ქაშვეთის ტაძარში – 81-84, 87, 88, 93, 94, 99-101, 119, 344, 352

ორბელიანი დიმიტრი თამაზის (თომას) ძე (1797-1868) – გენერალ-ლეიტენანტი; თვალსაჩინო ფიგურა „კავკასიის ომში“ (მეთაურობდა ქართულ მილიციას). 1832 წლის შეთქმულების წევრი (ვერ დაუმტკიცეს და გაანთავისუფლეს), თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი (1839-1855) – 112, 296-297, 304

ორბელიანი ეკატერინე (კატინა) – იხ. **ბარათაშვილ-ორბელიანი ეკატერინე (კატინა)**

ორბელიანი ვახტანგ (1812-1890) – პოეტი, სამხედრო (გენერალ-მაიორი) და საზოგადო მოღვაწე, ერეკლე II-ის შვილიშვილი (თეკლა ბატონიშვილის შვილი), 1832 წლის შეთქმულების მონაწილე (გადასახლეს კალუგაში; სამშობლოში დაბრუნდა 1837 წ.). „ტფილისის კერძო საამხანაგო ბიბლიოთეკისა“ (1842-

1848) და „ქმნ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი. 1850-იან წწ. დიდი ამაგი დასდო თბილისის საჯარო ბიბლიოთეკას. დაკრძალულია თბილისის სიონის ტაძარში – 77-84, 86-88, 93, 94, 99, 101, 102, 104, 105, 107-113, 116-121, 146, 188, 197, 198, 338, 341-343, 352, 360, 404

ორბელიანი ივანე თამაზის (თომას) ძე (1809-1866) – თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი („მარშალი“) 1855-1856 წწ.; დაკრძალულია თბილისის სიონის ტაძარში – 304

ორბელიანი იოსებ (სოსიკო) (1824-1879) – გენერალ-მაიორი, ალაზნის ხაზის ჯარების მეთაური (1877 წლიდან), „ქმნ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი – 149, 378

ორბელიანი ლუარსაბ ივანეს ძე (1794-1835) – მაიორი, რუსეთ-ირანის (1826-1828), რუსეთ-ოსმალეთისა (1828-1829) და „კავკასიის“ ომების მონაწილე; 1832 წლის შეთქმულების აქტიური წევრი (აჯანყების ღამეს მის სახლში გამართულ ბალზე უნდა გაენეიტრალებინათ რუსები და მათი თანამდგომი ქართველები). 1834 წ. ივნისში ნიკოლოზ I-ის შეწყალების საფუძველზე გაათავისუფლეს პატიმრობიდან – 86, 353-355

ორბელიანი მამუკა (მაკარ) (1800-1871) – გენერალ-მაიორი, მონაწილეობდა რუსეთ-ირანის (1826-1828), რუსეთ-ოსმალეთის (1828-1829; 1853-1856), აგრეთვე „კავკასიის“ ომებში; 1832 წლის შეთქმულების მონაწილე (მიესაჯა სამსახური „მალოროსიულ ყაზახთა პოლკში“); გარდაიცვალა თბილისში. დაკრძალულია თბილისის სიონის ტაძარში – 114-116, 188

ორბელიანი სოფიო – იხ. სვიატოპოლკ-მირსკაია სოფიო
ოქრომჭედლიშვილი (სერებრიაკოვი) ივანე (1833-1868) – აგრონომი, ჟურნალისტი. დამთავრებული ჰქონდა გორიგორეცკის სამინისტროქმედო ინსტიტუტი. მნიშვნელოვანი ფიგურა „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოებაში“ (1850-1918). ჟურნალ „გუთნის-დედის“ დაარსების სავარაუდო ინიციატორი და გარდაცვალებამდე – მისი ფაქტობრივი რედაქტორი. იქვე

აქვეყნებდა აგრონომიული ხასიათის ორიგინალურ თუ ნათარგმნ ნერილებს (ფსევდ. „ი. ს.“) – 376, 447, 449

ოქრომჭედლიშვილი (სერებრიაკოვი) ილია (1838-1898) – მეცნიერი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, მრეწველი, ქველმოქმედი. დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტი. გამოქვეყნებული აქვს საისტორიო ნაშრომები, ფულად შემწეობას აძლევდა „ქმნ-კგ საზოგადოებას“, ქართულ თეატრს, სასწავლებლებს, ჰყავდა სტიპენდიანტები რუსეთსა და საზღვარგარეთ, გამოსცემდა ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლებს და სხვ.; დაკრძალულია დიდუბის პანთეონში – 376, 445

ოქრომჭედლიშვილი ნიკოლოზ (1861-1836/1837) – სასულიერო პირი (დეკანოზი), ჰომეოპათი, ბიბლიოფილი, ქაშვეთის ტაძრის ასაშენებლად შექმნილი კომიტეტის წევრი და ახალაშენებული ტაძრის დიაკვანი, „ქმნ-კგ საზოგადოების“ წევრი, 1930-იანი წწ. ბოლშევიკური რეპრესიების მსხვერპლი – 385, 386, 452

ოქროპირ ბატონიშვილი (1794-1857) – გიორგი XII-ის ძე. 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი ინიციატორი (დემიტრი ბატონიშვილთან ერთად). 1803 წ. დედასთან – მარიამ დედოფალთან – და და-ძმებთან ერთად გადაასახლეს ბელგოროდში, რამდენიმე წლის შემდეგ გადაიყვანეს პეტერბურგში, საბოლოოდ კი მოსკოვში დამკვიდრდა. საგამომძიებლო კომისიამ იგი მიიჩნია „ბოროტგანზრახულების დასაბამის მიმცემად“ და კოსტრომაში გადასახლება მიუსაჯა; რამდენიმე წელიწადში ხელისუფლებამ შეინყალა და მოსკოვში დააბრუნა. დაკრძალულია იქვე, პოკროვის სამონასტრო კომპლექსის წმ. იონა მიტროპოლიტის ეკლესიაში – 109, 350

პ

პავლაძე გიო – დიმ. ყიფიანის პაციენტის, კეკე პავლაძის, მეუღლე – 167

პავლაძე ელისაბედ – დიმ. ყიფიანის პაციენტის, ივანე პავლაძის, დედა – 169

პავლაძე კეკე – დიმ. ყიფიანის პაციენტი – 167

პავლაძე ივანე (დაბ. 1884) – დიმ. ყიფიანის პაციენტი – 169

პავლაძე მარკოზა – დიმ. ყიფიანის პაციენტი – 161, 169

პავლე (პერს.) – 388

პავლე – ქრისტეს მოციქული – 195, 196, 403

პავლე ეგზარქოსი (ერისკაცობაში – **პეტრე ლებედევი**) (1827-1892) – საქართველოს ეგზარქოსი და ქართლ-კახეთის არქიეპისკოპოსი (1882-1887), მანამდე: ვიბორგის (1868-1869), ლადოგის (1869-1871), კიშინიოვისა და ხოტინის (1871-1882) ეპარქიების ეპისკოპოსი (1879 წლიდან – მთავარეპისკოპოსი), რუსეთის წმ. სინოდის წევრი. 1887 წ. გადაიყვანეს ყაზანისა და სვიაჟსკის არქიეპისკოპოსად და ამ თანამდებობაზე გარდაიცვალა ყაზანში, იქვეა დაკრძალული – 8, 66, 326, 327, 331, 450

პალადი ეგზარქოსი (ერისკაცობაში – **პავლე რაევი**) (1827-1898) – საქართველოს ეგზარქოსი და ქართლ-კახეთის არქიეპისკოპოსი (1887-1892). 1892 წლიდან – სანქტ-პეტერბურგისა და ლადოგის მიტროპოლიტი და წმ. სინოდის წევრი – 327

პალტარაცკი – იხ. **პოლტორაცკი**

პაპავა ნანული – ისტორიკოსი, ძირითადად იკვლევს XIX ს. საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურულ პრობლემატიკას – 378, 380, 452

პასკევიჩი ივანე (1782-1856) – ფელდმარშალი, კავკასიის მთავარმართებელი (1827-1831) და ჯარების სარდალი (1826-1831); ერევნის აღებისათვის მოპოვებული ჰქონდა გრაფ ერივანსკის (Граф Эриванский; 1828 წ.), ხოლო ვარშავის დამორჩილებისათვის – უგანათლებულეს თავად ვარშავსკის (Светлейший князь Варшавский; 1831 წ.) ტიტულები; რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წწ. ომში რუსეთის გამარჯვების შემდეგ წინ აღუდგა ქართველი მუსლიმებისგან დაცლილ ჯავახეთში დასავლეთ საქართველოდან მოსახლეობის გადმოყვანის ინიციატივას და იქ ოსმალეთიდან გადმოსული სომხები ჩაასახლა.

გარდაიცვალა ვარშავაში. დაკრძალეს სოფელ ივანოვსკოეში (ყოფილი დემბლინი) – 98

პაუშენკო დიმიტრი (დაბ. 1793) – ტიტულარული მრჩეველი (Титулярный советник), ნაპოლეონის წინააღმდეგ ომის მონაწილე, საქართველოში მსახურობდა 1824 წლიდან, დუშეთის სამაზრო პოლიციის უფროსი, 1832 წლის შეთქმულების აქტიური წევრი, მიესაჯა ქ. ასტრახანში გადასახლება – 102

პიმენოვი ნიკოლოზ (1812-1864) – რუსი სკულპტორი, სანქტ-პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის პროფესორი – 309

პიპინოვი ა. – იხ. **ფიფინაშვილი ალექსანდრე**

პირიმზისა (პერს.) – 226

პლატონი (დაახლ. ძვ. წ. 427-ძვ. წ. 347) – ძველი ბერძენი ფილოსოფოსი – 195, 196

პობედონოსცევი კონსტანტინე (1827-1907) – რუსეთის წმ. სინოდის ობერპროკურორი (1880-1905), რუსეთის იმპერატორების, ალექსანდრე III-სა და ნიკოლოზ II-ის, აღმზრდელთაგანი და უახლოესი მრჩეველი (ითვლებოდა ალექსანდრე III-ის ე. წ. „რუხ კარდინალად“), საფრანგეთის აკადემიის ნამდვილი წევრი, „ველიკოდერჟავნიკი“ და იდეოლოგიური ანტისემიტი – 331

პოლიევქტოვი მიხეილ (1872-1942) – ისტორიკოსი. 1919 წ. ივ. ჯავახიშვილმა თბილისის უნივერსიტეტის პროფესორად მოიწვია პეტროგრადიდან. ძირითადად იკვლევდა რუსულ-ქართულ ურთიერთობათა ისტორიას. დაკრძალულია თბილისში, ვაკის სასაფლაოზე – 342, 356, 452

პოლტორაცკი ალექსანდრე (გარდ. 1900) – იურისტი (ნაფიცი ვეჟილი), „ქმნ-კვ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი, ივ. პოლტორაცკის (1836-1892) ძმა – 147

პოლტორაცკი (პოლტარაცკი) ივანე (1836-1892) – უკრაინული წარმოშობის ქართველი საზოგადო მოღვაწე (დედით ზედგინიძე), მთარგმნელი, სხვადასხვა წლებში: მომრიგებელი მოსამართლე, ვეჟილი, ნოტარიუსი, ი. ჭავჭავაძესთან დაახლოებული პირი (რუსულ ენაზე თარგმნა „კაცია-ადამიანი?!“,

„ოთარაანთ ქვრივი“, „გლახის ნაამბობი“; ილიამ ივ. პოლტარაცკისა და ი. წინამძღვრიშვილს უძღვნა „აჩრდილი“; მონანილეობდა ი. ჭავჭავაძის ჟურნ. „საქართველოს მოამბის“ (1863) დაარსებაში; „ქმნ-კვ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი. გარდაიცვალა თბილისთან ახლოს, ოქროყანაში, დაკრძალულია იქვე – 34, 50, 52, 147

პოპოვა პრასკოვია – იაგორ (გიორგი) ჭილაშვილის (1790-1838) მეუღლე, დიმ. ყიფიანის სიდედრი – 351, 352

პორპოე (პერს.) – 391

პრიბილი ივანე (1782-1866) – რუსეთის ქვეშევრდომი ჩეხი ექიმი; 1808 წლიდან ცხოვრობდა თბილისში (აქვე გარდაიცვალა); თბილისში პირველი სამხედრო ჰოსპიტლის დამაარსებელი, საქართველოში კურორტოლოგიის ფუძემდებელი – 80, 99, 344

პუბლია – 115; იხ. აგრეთვე: **ორბელიანი ალექსანდრე ვახტანგის ძე**

უ

უანლისი მადლენ ფელისიტე (1746-1830) – ფრანგი მწერალი, ავტორი პროზაული, დრამატული, საბავშვო, ლიტერატურულ-კრიტიკული, დიდაქტიკურ-მორალისტური თხზულებებისა. დიმ. ყიფიანმა შემოკლებულად („გამოკრებით“) თარგმნა მისი რომანი „ზვიმა. ქინაქინის ამბავი“ და გამოაქვეყნა „ცისკარში“ (1858, №9) – 370

ჟურ. – 1869 წ. დიმ. ყიფიანი საჩუქრად უგზავნის თავის ბროშურას „სამეგრელოს მთავრის სახლი და დიმიტრი ყიფიანი“ – 188, 396

რ

რადიანი შალვა (1904-1977) – ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი (1929-1932) – 448

რაზმაძე სოლომონ (1897-1860) – პოეტი, მთარგმნელი (ა. მიცკევიჩი, ალ. პუშკინი, ო. ბარო...), 1832 წლის შეთქმულების

მონაწილე; მსახურობდა ირანში, რუსეთის საელჩოში, დავალებული ჰქონდა ალექსანდრე ბატონიშვილთან კავშირი (გარკვევით არ ჩანს, შეძლო თუ არა მან ამ დავალების შესრულება). დააპატიმრეს თავრიზში, გაასამართლეს თბილისში და გადაასახლეს რუსეთის ქ. პენზაში, სადაც ოჯახს მოეკიდა და სამუდამოდ დარჩა; მამა მოსკოვის კონსერვატორიის პროფესორ ალექსანდრე რაზმაძისა (1845-1896) – 80-82, 84, 93, 94, 121, 122, 345, 346, 359, 452

რამაზი (პერს.) – 388

რატინი შალვა (1933-1982) – ფილოლოგი, XIX ს. ქართული ლიტერატურისა და ჟურნალისტიკის ისტორიის მკვლევარი – 346, 452

რაუტლეჯი (რაუტლიჯი) – შექსპირის თხზულებათა გამომცემელი – 457

რეიტერი კონსტანტინე – იურისტი (ნაფიცი ვექილი), „ქმნკგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი, ქველმოქმედი (1897 წ. 3 000 მან. ღირებულების საბანკო ბილეთი შესწირა გორის მაზრის სოფ. ვაყის ახალდაარსებულ სკოლას) – 34, 40, 146, 312

რიკაძე ნიკო – დიმ. ყიფიანის პაციენტი, პელო რიკაძის მამა – 170

რიკაძე პელო (დაბ. 1881) – დიმ. ყიფიანის პაციენტი – 170

როზენი გრიგოლ (1782-1841) – ინფანტერიის გენერალი, გენერალ-ადიუტანტი, ბარონი, მონაწილეობდა პოლონეთის 1830-1831 წწ. აჯანყების ჩახშობაში, კავკასიის მთავარმართებელი და ცალკე კორპუსის მეთაური (1831-1837); 1837 წ. ნიკოლოზ I-მა გაიწვია კავკასიიდან და საერთოდ ჩამოაშორა სამხედრო სამსახურს (სიცოცხლის ბოლო წლებში რუსეთის სენატის წევრი იყო) – 359

რომეო (პერს.) – 176, 388, 389, 457

როფაქიძე ანეტა (დაბ. 1882) – დიმ. ყიფიანის პაციენტი – 169

როფაქიძე გიგოლა – დიმ. ყიფიანის პაციენტი – 168, 169

როფაქიძე ნინო – დიმ. ყიფიანის პაციენტი – 159

როფაქიძე სვიმონა – შორაპნის მაზრის მკვიდრი, ყიფიანების მოვალე – 213

რუსთველი (რუსთაველი) შოთა – პოეტი, ავტორი „ვეფხისტყაოსნისა“ – 199, 404, 408, 461

რჩეულიშვილი (რჩეულოვი) გრიგოლ (1820-1877) – მწერალი (პროზაიკოსი, პოეტი, მთარგმნელი), ჟურნალისტი (ძირითადად თანამშრომლობდა ივ. კერესელიძის „ცისკართან“) – 188

ს

ს. მ. – 451; იხ. აგრეთვე: **მესხი სერგეი**

საბინინი მიხეილ (გობრონ) (1845-1900) – რუსი მღვდლის, პავლე საბინინისა და ქართველი ეკატერინე მირზაშვილის ძე, დამთავრებული ჰქონდა თბილისის კლასიკური გიმნაზია და პეტერბურგის სასულიერო აკადემია, ბერი, საქართველოს ეკლესიის ისტორიკოსი, 1882 წ. სანქტ-პეტერბურგში გამოსცა ქართულ ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა ილუსტრირებული კრებული „საქართველოს სამოთხე“. გარდაიცვალა მოსკოვში, დაკრძალეს იქვე, წმ. დანიელის მონასტერში – 404

საგინაშვილი ალექსანდრე (1808/1810-1887) – გენერალ-ლეიტენანტი, „კავკასიის ომის“ მონაწილე, ი. ჭავჭავაძის დის, ელისაბედ (ლიზა) ჭავჭავაძის, მეუღლე, „ფთილისის კერძო ბიბლიოთეკისა“ (1842-1848) და „ქმნ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი – 144

საგინაშვილი ელისაბედ (1840-1925) – ილია ჭავჭავაძის და, მეუღლე გენერალ ალ. საგინაშვილისა (1808/1810-1887), „ქმნ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი – 145

სალარინო (სალერიო) (პერს.) – 396

სალმინი თედორე – გადამდგარი კაპიტანი, დიმ. ყიფიანის სტავროპოლელი ნაცნობი და კეთილისმყოფელი, ხშირადაა ნახსენები დიმ. ყიფიანის მიერ 1886-1887 წწ. მეუღლისთვის სტავროპოლიდან გამოგზავნილ წერილებში – 222, 415

სალომე (პერს.) (I) („სცენები თავადაზნაურობის ცხოვრებიდან“) – 226

სალომე (პერს.) (II) („ალექსი დგებუაძისა და ელისაბედ ელიავას სიყვარულის ამბავი“) – 238, 261

სამსონ (პერს.) – იხ. **ანჯაფარიძე სამსონ**

სამხარაძე ალმასხან (დაბ. 1859) – დიმ. ყიფიანის პაციენტი – 164

სამხარაძე გიორგი (დაბ. 1855) – დიმ. ყიფიანის პაციენტი – 171

სანკოვსკი პავლე (1798-1832) – უკრაინული წარმოშობის (პოლტავიდან) სახელმწიფო მოხელე, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, გაზეთ „ტიფლისსკიე ვედომოსტის“ (1828-1832) გაერთიანებული რედაქციის რედაქტორი, 1823-1832 წწ. ცხოვრობდა თბილისში და აქვე გარდაიცვალა ქოლერისგან – 81, 93, 347, 360

სანო – იხ. **ყიფიანი სანო**

სარაჯიშვილი ალექსანდრე (1851-1914) – მწერალი, მეცნიერი, პუბლიცისტი, გამომცემელი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე. სწავლობდა პეტერბურგის, ყაზანის, კიევის უნივერსიტეტებში, საბოლოოდ კი ჟენევის უნივერსიტეტის სიტყვიერების ფაკულტეტი დაასრულა (1876); „ქშნ-კგ საზოგადოებისა“ და „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი, გაზეთ „ივერიის“ რედაქტორი (1902-1903) და გამომცემელი (1902-1905), „ვისრამიანის“ გამომცემელი (1884; ი. ჭავჭავაძესა და პ. უმიკაშვილთან ერთად), მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა რუსთველოლოგიის განვითარებაში – 379

სარაჯიშვილი დავით (1848-1911) – საზოგადო მოღვაწე, ქართული კონიაკის წარმოების ფუძემდებელი, ქველმოქმედი, ქიმიისა და ფილოსოფიის დოქტორი, სწავლობდა პეტერბურგის, მიუნხენის, ჰაიდელბერგის, ჰალეს უნივერსიტეტებში, კონიაკის წარმოებას დაეუფლა საფრანგეთში. დაკრძალეს დიდუბის პანთეონში, საიდანაც ჯერ ვაკის სასაფლაოზე (1938), მოგვიანებით კი (1995) ქაშვეთის ტაძრის გალავანში გადაასვენეს – 379

სარაჯიშვილი (სარაჯოვი) ვასილ (გარდ. 1888) – ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი (Действительный статский советник), კანდიდატის ხარისხით დამთავრებული ჰქონდა სანქტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური სიტყვიერების განყოფილება (1850), 1850-იან წწ. თარჯიმნად მსახურობდა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის (попечитель) კანცელარიაში, შემდეგ – საკანცელარიო მოხელედ ქარ-ბელაქნისა და დაღესტნის მმართველობაში, კავკასიის მთავარმართებლის კანცელარიაში, „რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების“ წევრი, „ქმნ-კვ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი. გარდაიცვალა თბილისში, დაკრძალეს კალუშნის ეკლესიის გალავანში (საფლავი დაკარგულია) – 149

სარაჯიშვილი მიხეილ – თბილისის საჯარო ნოტარიუსი (1840-იანი წწ.) – 408

სარგის თმოგველი – XII-XIII სს. მიჯნის ქართველი მწერალი, მეცნიერი, ფილოსოფოსი, რიტორი. ტრადიცია მიაწერს ჩვენამდე მოუღწეველი პოემის, „დილარგეთიანის“ („დილარიანის“), ავტორობას – 199, 408

სახოკია თედო (1868-1956) – მწერალი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, ეთნოგრაფი, ფოლკლორისტი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე; სწავლობდა ჟენევისა და სორბონის უნივერსიტეტებში, პარიზის უმაღლეს ანთროპოლოგიურ სასწავლებელში (იყო პარიზის ანთროპოლოგიური საზოგადოების წევრი). 1903-1905 წწ. რედაქტორობდა (ა. ჯორჯაძესა და გ. ლასხიშვილთან ერთად) პარიზში გამომავალ სოციალისტ-ფედერალისტთა გაზეთ „საქართველოს“ – 418, 444, 453

სემიონოვი ვასილ (1801-1863) – სახელმწიფო მოხელე (საიდუმლო მრჩეველი), ლიტერატორი, აღ. პუშკინთან დაახლოებული პირი. 1827-1836 წწ. პეტერბურგში მსახურობდა ცენზორად. თბილისში გადმოიყვანეს 1842 წ. დეკემბერში და დანიშნეს ამიერკავკასიის მთავარმმართველობის საბჭოს წევრად. 1847 წლიდან – კავკასიის სასწავლო უწყების ხელმძღვანელი.

1848 წლიდან – კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი. 1852 წ. იანვარში გავიდა სამსახურიდან და რუსეთში დაბრუნდა – 16, 56, 57, 300, 318, 319

სენ-კასტი (პერს.) – 390

სერებრიაკოვი ივანე – იხ. **ოქრომჭედლიშვილი (სერებრიაკოვი) ივანე**

სერებრიაკოვი ილია – იხ. **ოქრომჭედლიშვილი (სერებრიაკოვი) ილია**

სერებრიაკოვი ლაზარე – სიღნაღელი სახაზინო გლეხი და ხელოსანი (ოქრომჭედელი), ივანე (1833-1868) და ილია (1838-1898) სერებრიაკოვების (ოქრომჭედლიშვილების) მამა – 375, 376

სერებრიაკოვი ნიკიტა – 8, 135, 375, 376

სერჟუტოვსკაია ნინა – დიმ. ყიფიანის ნათელ-მირონი – 182

სერჟუტოვსკი მიხეილ – დიმ. ყიფიანის ნათელ-მირონი – 182

სვიატოპოლკ-მირსკაია სოფიო (1829-1879) – იაკობ ორბელიანის (გარდ. 1853) ასული, მეუღლე დიმ. სვიატოპოლკ-მირსკისა (1825-1899), „ქმნ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი. დაკრძალულია თბილისში, ქაშვეთის ტაძარში – 146

სვიატოპოლკ-მირსკი დიმიტრი (1825-1899) – გენერალ-ადიუტანტი, ინფანტერიის გენერალი (კარიერის უმეტესი ნაწილი კავკასიაში გაატარა), ანდრია პირველწოდებულის ორდენის კავალერი, „კავკასიის“ (1817-1864), ყირიმისა (1853-1856) და რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წწ. ომების მონაწილე. ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი (1863-1867), 1875 წლიდან – კავკასიის მეფისნაცვლის თანაშემწე (მოადგილე; 1875-), ხარკოვის გენერალ-გუბერნატორი (1881 წლიდან); გარდაიცვალა საფრანგეთის ქ. ნიცაში. დაკრძალულია საკუთარ მამულში, ხარკოვის ოლქის სოფელ გიევკაში, საგვარეულო სამარხში – 378

სვიმონა (პერს.) – 226, 227, 230, 232, 233

სვიმონიშვილი იოკიმე – დიმ. ყიფიანის პაციენტის, სალომე სვიმონიშვილის, მეუღლე – 159, 168

სვიმონიშვილი მარიამ (დაბ. 1878) – დიმ. ყიფიანის პაციენტი – 168

სვიმონიშვილი სალომე – 159

სიღამონ-ერისთავი დიმიტრი (1829-1902) – საზოგადო მოღვაწე, „ქმნ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი – 147

სიღამონ-ერისთავი ეროთეოზ (იაროთე) (1840-1901) – საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი, „ქმნ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი. სიცოცხლის ბოლო წლებში სამიჯნე ნანილის უფროსად მსახურობდა ვლადიკავკაზში. გარდაიცვალა იქვე – 148

სიმონიჩი ივანე (1794-1851) – რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი, გრაფი, რუსეთის სრულუფლებიანი მინისტრი ირანში (1832-1838) – 80, 84, 345

სიმონოვი – სასულიერო პირი (ბლალოჩინი) – 199

სიმონსონი ოტო (1829/1832-1914) – არქიტექტორი, დამთავრებული ჰქონდა სანქტ-პეტერბურგის სამხატვრო აკადემია, 1858 წლიდან ცხოვრობდა და მოღვაწეობდა თბილისში, 1909 წლიდან ცხოვრობდა რიგაში, გარდაიცვალა იქვე – 309

სირაძე ივანე – დიმ. ყიფიანის პაციენტის, კეკე სირაძის, მეუღლე – 171

სირაძე კეკე – დიმ. ყიფიანის პაციენტი – 171

სირაძე მიქელა – დიმ. ყიფიანის პაციენტის მამა – 386

სისო (პერს.) – 237, 253-258

სკლოტოვსკი პავლე (1841-1903) – სამხედრო ექიმი, მკვლევარი. 1880-იან წწ. მსახურობდა სტავროპოლში. წლების განმავლობაში იყო კისლოვოდსკის მთავარი ექიმი. დიდი ამაგი დასდო კავკასიის მინერალური წყლების მეცნიერულ კვლევას. დაკრძალულია კისლოვოდსკში – 222, 415

სლივიციკი ივანე (1819-1874) – სამხედრო პირი, ჟურნალისტი, ლიტერატორი, ფოლკლორისტი, ქართული კულტურის პოპულარიზატორი, გაზ. „კავკაზის“ რედაქტორი (1850-1854, 1868-1872). გარდაიცვალა თბილისში – 187

სმეკალოვი ალექსი (1838-1890) – გენერალ-ლეიტენანტი, ბათუმის ოლქისა (1881-1883) და ქუთაისის გუბერნიის (1883-1887) სამხედრო გუბერნატორი (ამ უკანასკნელ თანამდებობაზე ყოფნისას დაპირისპირებული იყო დიმ. ყიფიანთან). 1887 წლიდან გარდაცვალებამდე იყო თერგის ოლქის უფროსი და კაზაკთა ჯარის დანიშნული ატამანი. გარდაიცვალა გროზნოში. დაკრძალეს ვლადიკავკაზში, საიდანაც მოგვიანებით პეტერბურგის წმ. ალექსანდრე ნეველის ლავრაში გადაასვენეს – 331

სმირნოვი თედორე – ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი (Действительный статский советник), ნიკო დადიან-მინგრელსკის მაიორატის საქმეთა გამომრკვევი დროებითი სახელმწიფო კომისიის მდივანი – 194, 195, 401

სონა (ქვასრა) ზაზას ას. (გარდ. 1884) – დიმ. ყიფიანის პაციენტი – 160

სპასოვიჩი ვლადიმირ (1829-1906) – თვალსაჩინო ფიგურა XIX ს. რუსულ იურისპრუდენციაში, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი, ორატორული ნიჭით განთქმული ნაფიცი ვეჟილი; იცავდა რუსეთის იმპერიაში შემავალი არარუსი ხალხების მშობლიურ ენათა ინტერესებს, თანამიმდევრულად იბრძოდა სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ. გარდაიცვალა ვარშავაში, ანდერძით მთელი თავისი ავლა-დიდება ვარშავის მეცნიერებათა აკადემიასა და პეტერბურგის კათოლიკურ საზოგადოებას დაუტოვა – 314

სტანისლავი (წმ.) – კრაკოვის ეპისკოპოსი, 1079 წ. მოწამებრივად აღსრულებული. 1765 წ. პოლონეთში დააარსდა მისი სახელობის ორდენი, რომელიც 1831 წ. იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა რუსეთის ორდენტა ნუსხაში შეიტანა – 131

სტანტონი – იხ. **სტაუნტონი (სტანტონი) ჰოვარდ**

სტარიცკი ეგორ (იაგორ) (1825-1899) – ნამდვილი საიდუმლო მრჩეველი (Действительный тайный советник), რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრი, სენატორი, თბილისის კომერციული სასამართლოს თავმჯდომარე (1850-1870), კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს წევრი (1862 წელს, როცა დიმ. ყიფიანი სამ-

სახურიდან დაითხოვეს, მის ადგილზე ე. სტარიცკი დაინიშნა);
სიცოცხლის ბოლო წლებში იყო რუსეთის სახელმწიფო საბჭოს
საკანონმდებლო დეპარტამენტის თავმჯდომარე – 317

სტაროსელსკაია ეკატერინე (1834-1901) – თადეოზ გუ-
რამიშვილის (გარდ. 1875) ასული, მეუღლე გენერალ დიმიტრი
სტაროსელსკისა (1832-1884), „ქმნ-კვ საზოგადოების“ დამ-
ფუძნებელი წევრი. გარდაიცვალა თბილისში, დაკრძალულია
საგურამოში – 144

სტაროსელსკი დიმიტრი (1832-1884) – გენერალ-ლეიტენან-
ტი, სენატორი, კავკასიაში ჩამოვიდა 1857 წ. და სამუდამოდ აქ
დარჩა. კავკასიის მეფისნაცვლის (შემდგომში – მთავარმართე-
ბლის) მთავარსამმართველოს უფროსი (1877-1884); ეკატერ-
ინე თადეოზის ას. გურამიშვილ-სტაროსელსკაიას (1834-1901)
მეუღლე. მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი „ქმნ-კვ სა-
ზოგადოების“ დაარსებაში. დაკრძალულია საგურამოში – 194

სტაუნტონი (სტანტონი) ჰოვარდ (1810-1874) – ინგლისელი
ლიტერატურათმცოდნე, შექსპირის შემოქმედების მკვლევარი,
მოჭადრაკე და ჭადრაკის ისტორიკოსი – 457

სტიფანე (პერს.) – იხ. **გაბუნია სტიფანე**

სტრეპეტოვი გრიგოლ (დაბ. 1844) – დიმ. ყიფიანის ერთ-ერ-
თი მკვლელი (თედორე შულგინთან ერთად). 1889 წ. სტავრო-
პოლის საოლქო სასამართლომ თორმეტწლიანი კატორღა მიუ-
საჯა – 415

სუვორინი ალექსი (1834-1912) – რუსი მწერალი, ჟურნალის-
ტი, გამომცემელი – 457

სუთიაშვილი გარსო – დიმ. ყიფიანის პაციენტის, კატო სუ-
თიაშვილის, მამა – 160

სუთიაშვილი გიორგი – დიმ. ყიფიანის პაციენტის, ფეფე სუ-
თიაშვილის, მამა – 167

სუთიაშვილი ზაქარა – დიმ. ყიფიანის პაციენტის, ილიკო სუ-
თიაშვილის, მამა – 160

სუთიაშვილი ილიკო (დაბ. 1879) – დიმ. ყიფიანის პაციენტი
– 160

სუთიაშვილი კატო (დაბ. 1868) – დიმ. ყიფიანის პაციენტი – 160

სუთიაშვილი მამა – დიმ. ყიფიანის პაციენტი – 163

სუთიაშვილი პეტრე (დაბ. 1872) – ივ. გიგიტაშვილის გერი, დიმ. ყიფიანის პაციენტი – 167

სუთიაშვილი ფეფე – დიმ. ყიფიანის პაციენტი – 167

სულხანიშვილი ელისაბედ (ვეტა) (1876-1943) – დიმ. ყიფიანის შვილიშვილი (ნიკ. ყიფიანის ასული). ბოქაულ გაბრიელ (გაბო) სულხანიშვილის მეუღლე (იქორწინეს 1899 წ.); პედაგოგი (რუსულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა თბილისის სკოლებში) – 221, 405

სუმბათაშვილი (სუმბატიშვილი) დავით (1831-1920) – გენერალ-ლეიტენანტი, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი (1879-1885), თბილისის მომრიგებელი მოსამართლე (1897-1904), „ქმნ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი – 146

სუმბათაშვილი (სუმბათოვი) ვასილ – ნიკოლოზ ბარათაშვილის სიძე (სოფიო ბარათაშვილის მეუღლე). გენერალი. სამსახურიდან გასვლის შემდეგ მშობლიურ ქვიშხეთში ცხოვრობდა – 438

სურგულაძე აკაკი (1913-1991) – ისტორიკოსი, ძირითადად იკვლევდა XIX-XX სს. საქართველოში საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების ისტორიას – 350, 453

ტ

ტაბატაძე ელისაბედ – დიმ. ყიფიანის პაციენტი – 158

ტაბატაძე კატო – დიმ. ყიფიანის პაციენტი – 160

ტაბატაძე ნინიკა – დიმ. ყიფიანის პაციენტის, ელისაბედ ტაბატაძის, მეუღლე – 158

ტაბატაძე პეტრე – დიმ. ყიფიანის პაციენტის, კატო ტაბატაძის, მეუღლე – 160

ტაბატაძე სვიმონა (დაბ. 1800) – დიმ. ყიფიანის პაციენტი – 166

ტაბიძე ნოდარ (1930-2016) – მკვლევარი, ლიტერატორი, ძირითადად იკვლევდა XIX ს. ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის საკითხებს, მნიშვნელოვანი თხზულებების ავტორი გალაკტიონოლოგიაში – 346, 453

ტარასი არქიმანდრიტი (ერისკაცობაში – **ტარიელ ელიავა**) – მარტვილის ტაძრის არქიმანდრიტი (1850-იანი წწ.), სამეგრელოს ეპისკოპოსი (1860-იანი წწ.) – 427

ტარიელ კაციას ძე დადიანი (გარდ. 1833 წ. შემდეგ) – სამეგრელოს მთავარი (1793-1794, 1802), წმ. ანას I ხარისხის ორდენის კავალერი; დაპირისპირებული იყო მცირეწლოვანი მთავრის, ლევან დადიანის, რეგენტთან, სამეგრელოს დედოფალ ნინო გიორგი XII-ის ასულთან, ემხრობოდა სოლომონ II-ის კურსს რუსეთის წინააღმდეგ, 1826 წ. კი რუსეთის სამსახურშია და სამეგრელოს სამთავროს სახელით შედის დასავლეთ საქართველოს დეპუტაციაში, რომელიც მოსკოვში მიემგზავრება ნიკოლოზ I-ის კორონაციაზე (აქტები 1874: 91) – 131

ტარიელი (პერს.) – 199

ტასია – ფოფოღია, დიმ. ყიფიანის პაციენტი – 386

ტატიშვილი გიორგი (1870-1955) – საზოგადო მოღვაწე, მემუარისტი, ქველმოქმედი, დიმ. ყიფიანის ოჯახთან დაახლოებული პირი (კოტე ყიფიანის ცოლისძმა); მსახურობდა სააქციო უწყების მოხელედ (ნუხა, სიღნაღი, გომი). პატრიოტული სულისკვეთების მოღვაწე, რომლის ოთხი ვაჟიშვილიდან სამი 1920-1930-იანი წწ. ბოლშევიკურ რეპრესიებს შეეწირა. დაკრძალულია გორში – 414, 415, 437, 438, 453

ტატიშვილი ნიკოლოზ (ნიკო) (გარდ. 1943) – XIX ს. ქართული მწერლობის, ჟურნალისტიკისა და მთარგმნელობითი ლიტერატურის მკვლევარი. დაიღუპა II მსოფლიო ომში – 460

ტატიშვილ-ყიფიანი ნინო (1867-1937) – დიმ. ყიფიანის რძალი (კოტე ყიფიანის მეუღლე), პუბლიცისტი (ფსევდ.: „ნ-ნო ყ-სა“, „მეთვალყურე“, „მეგობარი“...), მწერალი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, რ. ჯოვანიოლის „სპარტაკის“ მთარგმნელი. 1923 წ. მემკვიდრის უფლებით დიმ. ყიფიანისეული სახლ-

-კარი უსასყიდლოდ გადასცა საქართველოს მწერალთა კავშირს. დაკრძალულია ქვიშხეთში, ყიფიანების კარის ეკლესიის (ამჟამად მაცხოვრის აღდგომის დედათა მონასტერი) ეზოში – 301, 384, 437, 439, 455, 456

ტერ-არუთინიანცი ტიგრან – „ქმნ-კვ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი – 149

ტერლუკასოვი (ტერგუკასოვი) არზას (1819-1881) – გენერალ-ლეიტენანტი, „კავკასიისა“ (მონაწილეობდა ლუნიბის აღებაში) და რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წწ. ომების მონაწილე, „ქმნ-კვ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი. გარდაიცვალა თბილისში, დაკრძალულია იქვე, ვანქის ეკლესიის გალავანში – 149

ტიბალტი (თეიბალდი) (პერს.) – 176

ტიმოთე (პერს.) – 238, 265

ტოლსტი დიმიტრი (1823-1889) – რუსი სახელმწიფო მოღვაწე, ისტორიკოსი, გრაფი, რუსეთის წმ. სინოდის ობერპროკურორი (1865-1880), შინაგან საქმეთა მინისტრი და ჟანდარმთა შეფი (1882-1889), პეტერბურგის საიმპერატორო აკადემიის პრეზიდენტი – 331

ტრიტილევინი – კავკასიის სასანგრე ბატალიონის მეთაური (1830-იანი წწ.), პოლკოვნიკი, 1832 წლის შეთქმულების საგამომძიებლო კომისიის წევრი – 362

უ

უთურაშვილი იოსებ (1915-1999) – ისტორიკოსი, ავტორი მონოგრაფიისა „დიმიტრი ყიფიანი“ (თბ.: 1989) – 304, 314, 368, 380, 413, 453

ურდია ოთარ (1923-1998) – გრამატიკოსი, პედაგოგი, გიორგი ერისთავის (1813-1864) თხზულებათა მკვლევარი და გამომცემელი – 388, 448

ურუშაძე ნათელა (1923-2013) – თეატრმცოდნე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, დაკრძალულია დიდუბის პანთეონში – 341, 453

უფლოსი – ლეონტი მროველის მიხედვით, ქართველთა ერთ-ერთი ეთნარქი, მცხეთოსის ძე – 303

უხვაძე (პერს.) – იხ. **თეიმურაზ უხვაძე**

ფ

ფალავანდიშვილი იასე (1803-1857/1870-იან წწ. შორის) – 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი ხელმძღვანელი, შეთქმულების გამცემი, მიუსაჯეს საქართველოდან სამუდამო გადასახლება და ჰელსინგფორსის (ამჟამად ჰელსინკი) დისციპლინურ ბატალიონში გაამწესეს, გარდაიცვალა არხანგელსკის გუბერნიაში (პეჩორის მხარე, დასახლება უსტ-ცილმა, სადაც მოსახლეობის კეთილგანწყობა და ურყევი ავტორიტეტი ჰქონდა მოპოვებული). დაკრძალეს უსტ-ცილმის ეკლესიაში (სხვა ვერსიით – იმავე ეკლესიის გალავანში); ბოლშევიზმის პერიოდში ეკლესია დაანგრიეს და საფლავი დაიკარგა – 85-89, 99, 102, 103, 106, 107, 110, 111, 116-121, 337-340, 344, 354, 355, 359, 362, 363, 365, 461

ფალავანდიშვილი იოსებ (გარდ. 1831) – ნიკოლოზ და იასე ფალავანდიშვილების მამა, სასულიერო პირი (დეკანოზი), 1795 წ. ოჯახითურთ აღა-მაჰმად-ხანის მიერ წასხმულ ტყვეთა შორის მოხვდა, თუმცა ტყვეობას თავი დააღწია (ერთ-ერთი ვაჟის, ზებედეის, კვალი დაიკარგა). დაკრძალულია თბილისში, სიონის ტაძრის ეზოში – 355

ფალავანდიშვილი მიხეილ (გარდ. 1821) – სახელმწიფო მოხელე (სასულიერო უწყების თარჯიმანი), მთარგმნელი, იასე და ნიკოლოზ ფალავანდიშვილების უფროსი ძმა, მკვლევრისა და საზოგადო მოღვაწის, ზაქარია ფალავანდიშვილის (1818-1845), მამა – 355

ფალავანდიშვილი (ფალავანდოვი) ნიკოლოზ (1790-1855) – თვალსაჩინო ფიგურა კავკასიის ხელისუფლებაში, „ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი“ (Действительный статский советник; 1831 წლიდან), 1832 წ. შეთქმულების გამცემის, იასე ფალავანდიშვილის, ძმა, საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორი (1832-1838; 1837 წ. ნოემბრიდან 1838 წ. მარტამდე ასრულებდა

კავკასიის მთავარმართველის მოვალეობას. ამის შემდეგ გავიდა სახელმწიფო სამსახურიდან და ტაბახმელაში დასახლდა). 1850-იანი წწ. დასაწყისში მეფისნაცვალ მიხ. ვორონცოვის თხოვნით კვლავ დაუბრუნდა სახელმწიფო სამსახურს: ჯერ მეფისნაცვლის განსაკუთრებულ დავალებათა მოხელედ (1851 წლიდან), შემდეგ – მეფისნაცვლის საბჭოს წევრად; რუსეთის ხელისუფლებას ემსახურა არა მარტო ადმინისტრაციულ, არამედ სამხედრო სფეროშიც: პ. ციციანოვის მხარდამხარ იბრძოდა ბაქოს მისადგომებთან (1806), ვოლონტიორად იყო საფრანგეთში (1815), ჩრდილოეთ კავკასიაში მთავარმართველ ალექსი ერმოლოვთან ერთად დალაშქრა ხასან-სუ (1826) და სხვ.; გამოირჩეოდა ნიგნიერებით, იშვიათი მეხსიერებით, დიპლომატიური და ორატორული ნიჭით; დიდი სახელი და გავლენა ჰქონდა მოპოვებული არა მარტო კავკასიის მმართველ წრეებში, არამედ ქართველ არისტოკრატიასა და ამიერკავკასიის მუსლიმთა მაღალ ფენებში. 1832 წლის შეთქმულების ორგანიზატორებს გადაწყვეტილი ჰქონდათ, გამარჯვების შემთხვევაში ნ. ფალავანდიშვილისთვის ფინანსთა მინისტრის თანამდებობა შეეთავაზებინათ (მოსაზრება, თითქოს იასე ფალავანდიშვილი ძმამ აიძულა, გაეცა შეთქმულება, დოკუმენტურად არ დასტურდება) – 110, 111, 354, 355

ფანქრათ – გაუხსნელი ფსევდონიმი – 439, 453

ფალავა გრიგოლ (გიგო) – საჭილაოს მდივანბეგი, სამეგრელოს სამთავროს უზენაესი სასამართლოს წევრი, პერსონაჟი დიმ. ყიფიანის დაუმთავრებელი პიესისა „ალექსი დგებუაძისა და ელისაბედ ელიავას სიყვარულის ამბავი“ – 248, 249, 428

ფეიე (ფელიე, ფელიეტი) ოქტავ (1821-1890) – ფრანგი მწერალი (პროზაიკოსი, დრამატურგი), ფრანგული აკადემიის წევრი, ნაპოლეონ III-ის კართან დაახლოებული პირი, როიალისტი – 370, 389-391, 454

ფელიქსი (?) – 89, 356

ფიოდოროვი (ფედოროვი) ნიკიფორე – პრაპორშჩიკი (1830-იანი წწ. უბნის ზედამხედველად მსახურობდა თბილისში), დიმ. ყიფიანის მამობილი – 97, 98, 121, 366, 367

ფიოკლინი მიხეილ – დიმ. ყიფიანის პაციენტი – 163

ფიოლა – იხ. **ფეიე (ფელიე, ფელიეტი) ოქტავ**

ფიტ. – 188, 396

ფიფინაშვილი (პიპინოვი) ალექსანდრე – ქუთაისის საოლქო სასამართლოს წერი, „ქშნ-კვ საზოგადოების“ დამფუძნებელი წერი – 148, 414

ფომინ-ცაგარელი დიმიტრი (გარდ. 1888) – დეკანოზი, ვერის ნმ. ნიკოლოზის ეკლესიის წინამძღვარი (1850-იანი წლებიდან), 1884 წლიდან – კალოუბნის ეკლესიის შტატგარეშე მღვდელი – 382

ფომინ-ცაგარელი მელიტონ – დამთავრებული ჰქონდა პეტერბურგის სასულიერო აკადემია (1847), „ქშნ-კვ საზოგადოების“ დამფუძნებელი წერი – 146, 382

ფრენკელი ალექსანდრე – იურისტი (ნაფიცი ვეჩილი), ჟურნალისტი, ქართული სამართლის ისტორიის მკვლევარი [1887 წ. გამოსცა ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის რუსული თარგმანი (დიმ. ბაქრაძის რედაქციით)]. თბილისში გამომავალ ჟურნალ „იურიდიჩესკოე ობოზრენიეს“ (1881-1886) გამომცემელი (1881-1883) და რედაქტორ-გამომცემელი (1883-1886), გაზეთ „კავკაზსკოე ობოზრენიეს“ რედაქტორ-გამომცემელი (1887-1888) – 406

ფროსა – იხ. **ანდროსოვა ფროსა**

ფულიე (ფურიკი) – იხ. **ფეიე (ფელიე, ფელიეტი) ოქტავ**

ფურცელაძე – დიმ. ყიფიანის „ძალუა“ – 188

ფურცელაძე ანტონ (1839-1913) – მწერალი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი (ფსევდ.: „ქერელი ბექა“, „ზურაბ მონიძე“, „თავხედი“ და სხვ.), თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, დაკრძალულია მშობლიურ სოფელ მერეთში (გორის მუნიციპალიტეტი) – 189, 199, 304, 314, 454

ფურცელაძე ბარბარე – დიმ. ყიფიანის დედა. მერეთელი (გორის მაზრა) აზნაურის, ქაიხოსრო ფურცელაძის, ასული. ზოგიერთი წყაროს ცნობა, თითქოს დიმიტრის დედა ბავშვობაში გარდაეცვალა, სწორი არ არის (1834 წ. ბარბარე ფურცე-

ლაძე წერილს უგზავნის ვოლოგდაში გადასახლებულ დიმ. ყიფიანს) – 366

ფურცელაძე დარიკო – 1869 წ. დიმ. ყიფიანი საჩუქრად უგზავნის თავის ბროშურას „სამეგრელოს მთავრის სახლი და დიმიტრი ყიფიანი“ – 187

ქ

ქავთარაძე კონსტანტინე – ქუთაისის საგუბერნიო ჟანდარმერიის თარჯიმანი, პერსონაჟი დიმ. ყიფიანის დაუმთავრებელი პიესისა „აღექსი დგებუაძისა და ელისაბედ ელიავას სიყვარულის ამბავი“ – 237, 260, 261

ქავთარია მიხეილ (1929-2019) – ლიტერატურათმცოდნე, წყაროთმცოდნე, იკვლევდა ძველ და ახალ ქართულ ლიტერატურულ პროცესებსა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიასთან დაკავშირებულ პრობლემატიკას – 458

ქართლოსი – ლეონტი მროველის მიხედვით, ქართველთა ეთნარქი, თარგამოსის ძე – 303

ქეთხუდოვი თომა – დიმ. ყიფიანის ნათლიმამა – 410

ქიტიაშვილი ეფემია – დიმ. ყიფიანის პაციენტი – 165

ქოზაშვილი – დიმ. ყიფიანის პაციენტის, მართა ლომსაძის, მეუღლე – 162

ქორქაშვილი ლევან (1801-1879 წ. შემდეგ) – ქუთაისის საგუბერნიო პროკურორი, კოლეგიის მდივანი (Коллежский советник), დიმ. ყიფიანთან დაახლოებული პირი – 419, 425, 427, 429

ქრისტე – იხ. **იესო ქრისტე**

ქსნის ერისთავი – იხ. **ერისთავი**

ქუთათური მემატიანე (ფსევდ.) – 447

ქურდაძე გიგო (დაბ. 1870) – დიმ. ყიფიანის პაციენტი – 170

ქურდაძე ფილო – დიმ. ყიფიანის პაციენტის, გიგო ქურდაძის, მამა – 170

ქურდევანიძე ნიკოლა – დიმ. ყიფიანის პაციენტი – 159

ქურციკიძე ციალა (1930-2010) – ძველი ქართული მწერლობის მკვლევარი – 459

ღ

ღამბაშიძე დავით (1837/1842-1910) – სასულიერო პირი (დეკანოზი), პუბლიცისტი (ფსევდ.: „დ. ღ.“, „სოფლის ხუცესი“, „სოფლის მღვდელი“, „შორაპნელი ბლადოჩინი“, „იმერელი მღვდელი“ და სხვ.), ჟურნალ „მწყემსის“ (1883-1910) რედაქტორ-გამომცემელი, „ქართული საეკლესიო გალობის აღმადგინებელი კომიტეტის“ (ქუთაისი) თავმჯდომარე, XX ს. ქართული პოლიტიკური ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენლების, ვახტანგ და დავით ღამბაშიძეების, მამა. გარდაიცვალა ყვირილაში, დაკრძალულია იქვე, წმ. ნინოს ეკლესიის გალავანში – 199

ღამბაშიძე ივანე – დიმ. ყიფიანის პაციენტი – 171

ღვთისმშობელი – იხ. **მარიამ ღვთისმშობელი**

ღლონტი ალექსანდრე (1912-1999) – ენათმეცნიერი, იკვლევდა ქართული ენისა და მისი დიალექტების, ლექსიკოლოგიის, ონომასტიკის, ფოლკლორის საკითხებს – 457, 458

ღლონტი ბარბარე – დიმ. ყიფიანის პაციენტი – 171

ღონლაძე – დიმ. ყიფიანის პაციენტის მეუღლე – 386

ღონლაძე ანდრო (დაბ. 1855) – დიმ. ყიფიანის პაციენტი – 166, 170

ღონლაძე ნანა (დაბ. 1864) – დიმ. ყიფიანის პაციენტი – 159, 166

ღონლაძე სოსიკა – დიმ. ყიფიანის პაციენტის, ანა ღონლაძის, მამა – 159, 166

ღოღობერიძე (ღოღაბერიძე) ბესარიონ (1832-1879) – საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი; დამთავრებული ჰქონდა პეტერბურგის უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტი. ეწეოდა ნაყოფიერ საგანმანათლებლო საქმიანობას. „ქმნ-კვ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი. სიცოცხლის ბოლო წლებში ხელმძღვანელობდა მისივე პროექტით ჩამოყალიბებულ ქუთაისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკს. დაკრძალულია მშობლიურ სოფ. ჯიხაიში – 144, 148, 377-379

ღოღობერიძე (ღოღაბერიძე) გიორგი (1832-1900) – იურისტი, საზოგადო მოღვაწე, მოსკოვის უნივერსიტეტის კურს-

დამთავრებული (1856), ქუთაისის საგუბერნიო სამმართველოს საქმეთამწარმოებელი, მაზრის უფროსი რაჭაში, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის საგანგებო მინდობილობათა მოხელე, 1868 წლიდან – ნაფიცი ვექილი; მისი ოჯახი იყო ქუთაისის ინტელიგენციის თავშესაყარი და კულტურის კერა. დაკრძალულია იქვე, ბაგრატიის ტაძრის გალავანში – 148, 328

ლოლობერიძე (ლოლაბერიძე) ნიკოლოზ (1838-1911) – საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი, გაზ. „დროების“ დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი, თბილისში ქართული სტამბის დამაარსებელი (დიმ. ბაქრაძესთან, სტ. მელიქიშვილთან და ვ. თულაშვილთან ერთად), „ქმნ-კგ საზოგადოების დამფუძნებელი წევრი. ჭიათურის შავი ქვის წარმოებით მოპოვებული ქონების დიდი ნაწილი ანდერძით დაუტოვა ქართულ საგანმანათლებლო ორგანიზაციებს. თანამშრომლობდა ქართულ პრესაში („საქართველოს მოამბე“, „დროება“, „შრომა“, „ცნობის ფურცელი“), აქვეყნებდა პუბლიცისტურ წერილებს (ფსევდ. „გვანელი“). გარდაიცვალა თბილისში. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში – 148

ლოლობერიძე (ლოლაბერიძე) სვიმონ (სიმონ) (1843-1913) – საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი, „ქმნ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი, სწავლობდა პეტერბურგისა და მოსკოვის უნივერსიტეტებში, თარგმნა (განმარტებების დართვით) მ. ბროსეს „საქართველოს ისტორია მეფეთა და მთავართა გენეალოგიით და ხრონოლოგიით“ (ნან. I. ტფ.: 1895); ცხოვრობდა ქუთაისში – 148

ყ

ყაზბეგი გიორგი (1839-1921) – გენერალ-ლეიტენანტი, მკვლევარი, ავტორი უაღრესად მნიშვნელოვანი წიგნისა „Три месяца в Турецкой Грузии“ (Тифлис: 1875), რომელსაც ე. თაყაიშვილი უწოდებს „ნამდვილ განძს... ჩვენი ისტორიისათვის“. გარდაიცვალა ემიგრაციაში (სტამბოლი), იქვეა დაკრძალული – 149

ყაზი-მოლა (ყაზი-მუჰამადი) (1795-1832) – დალესტნელი სასულიერო მოღვაწე და რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის მეთაური (ეროვნებით ავარიელი), დალესტნისა და ჩეჩნეთის პირველი იმამი (1828 წ. დეკემბრიდან); 1829 წ. გამოაცხადა მუსლიმთა საღვთო ომი (ჰაზავათი); დაიღუპა მშობლიური აულის, გიმრის, შტურმით ალებისას – 82-83, 349

ყანიმათ (პერს.) – 348

ყიასაშვილი ნიკო (1926-1996) – ლიტერატურათმცოდნე, მთარგმნელი, შექსპირის საერთაშორისო ასოციაციის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი (1971 წლიდან გარდაცვალებამდე) – 457, 458

ყიფიანები (I) – დიმ. ყიფიანის გენეალოგია – 407

ყიფიანები (II) – დიმ. ყიფიანის ნათესავები, შორაპნის მაზრის საერთო მამულის მონილეები – 9, 207, 208, 210, 211, 411

ყიფიანები (III) – ნიკოლოზ დიმიტრის ძე ყიფიანის ყოფილი ცოლის, ანასტასია (ტასო) ერისთავისა და ოფიცერ ლაზარევის დაუქორწინებლად დაბადებული შვილები – 415

ყიფიანი ალექსანდრე (1845-1920 წლამდე) – დიმ. ყიფიანის უფროსი ძმის, ქაიხოსრო ივანეს (ქოჩოს) ძის, შვილი – 208, 218-220, 437

ყიფიანი ალექსი – დიმ. ყიფიანის ნათესავი. ყიფიანთა საერთო მამულის (შორაპნის მაზრა) მონილე – 209

ყიფიანი ანასტასია ივანეს (ქოჩოს) ას. – იხ. **კვალიაშვილი ანასტასია**

ყიფიანი ანასტასია (ტასო) მიხეილის ას. (1858-1920) – გურული თავადის, მიხ. ერისთავის (1817-1870), ქალიშვილი, დიმ. ყიფიანის რძალი (ნიკოლოზის ცოლი; იქორწინეს 1875 წ., თუმცა 1880-იან წწ. გაიყარნენ). „ქმნ-კვ საზოგადოების ნამდვილი წევრი“ (1879 წლიდან). გარდაიცვალა 1920 წ. ივლისში თბილისში, სიღარიბესა და მიუსაფრობაში – 415

ყიფიანი ანტონ გიორგის ძე – დიმ. ყიფიანის ძმისწული – 191, 397, 398

ყიფიანი ანტონ ქაიხოსროს ძე – ყიფიანთა საერთო მამულის (შორაპნის მაზრა) მონილე – 209

ყიფიანი ალათი – იხ. **განგესოვა ალათი**

ყიფიანი ბაბუცა – ზაზა ყიფიანის ას., დიმი. ყიფიანის პაციენტი – 385

ყიფიანი ბარბარე (ვარო) (1879-1965; თ. პაპავას ცნობით, გარდაიცვალა 1950 წ. და დაკრძალულია მონაკოში) – მეცნიერი (ფსიქოფიზიოლოგი), პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, დიმი. ყიფიანის შვილიშვილი (ნიკ. ყიფიანის ასული); დამთავრებული ჰქონდა ბრიუსელის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი; მოღვაწეობდა იქვე, სადაც, გარდა სპეციალური ფსიქოფიზიოლოგიური დისციპლინებისა, კითხულობდა ქართული სიტყვიერების კურსს; ევროპაში ქართული კულტურის პოპულარიზატორი – 221, 406, 414

ყიფიანი გიგო – 1869 წ. დიმი. ყიფიანი საჩუქრად უგზავნის თავის ბროშურას „სამეგრელოს მთავრის სახლი და დიმიტრი ყიფიანი“ – 189

ყიფიანი გიორგი ივანეს (ქოროს) ძე (1800-1874 წ. შემდეგ) – დიმი. ყიფიანის ძმა; იბრძოდა „კავკასიის ომში“ (მილიციის რიგებში მონაწილეობა აქვს მიღებული დარგოსა და ანდის ექსპედიციებში). ცხოვრობდა ქვიშხეთში – 208, 209, 398

ყიფიანი გიორგი მამისთვალის ძე – ყიფიანთა საერთო მამულის (შორაპნის მაზრა) მონილე – 209, 214

ყიფიანი გიორგი პაატას ძე – ყიფიანთა საერთო მამულის (შორაპნის მაზრა) მონილე – 209

ყიფიანი გიორგი სვიმონის ძე – ყიფიანთა საერთო მამულის (შორაპნის მაზრა) მონილე – 210, 213, 214

ყიფიანი გლახა – ყიფიანთა საერთო მამულის (შორაპნის მაზრა) მონილე – 209

ყიფიანი დავით გიორგის ძე – დიმი. ყიფიანის ბიძა, ალათი ყიფიან-განგესოვასა და ეფემია ყიფიან-ნიჭარაძის მამა – 209, 210, 394

ყიფიანი დავით მამისთვალის ძე – ყიფიანთა საერთო მამულის (შორაპნის მაზრა) მონილე – 208, 209

ყიფიანი დავით ქაიხოსროს ძე (1835-1892) – იურისტი, პუბლიცისტი, მთარგმნელი, გამომცემელი, საზოგადო მოღვაწე, დიპ. ყიფიანის ძმისწული, ი. ჭავჭავაძის მეგობარი (ერთად სწავლობდნენ პეტერბურგის უნივერსიტეტში), თანამოაზრე და თანამშრომელი (განსაკუთრებული ამაგი დასდო ილიას „საქართველოს მოამბეს“), თბილისში ვაჟთა კერძო პანსიონის დამაარსებელი (1862), „ქმნ-კვ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი, თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის ზედამხედველი კომიტეტის ჯერ წევრი, შემდეგ – თავმჯდომარე. თანამშრომლობდა ქართულ პრესასთან („საქართველოს მოამბე“, „დროება“, „ივერია“), აქვეყნებდა პუბლიცისტურ და სამეცნიერო თხზულებებს (ფსევდ. „ქართლელი“). გარდაიცვალა ქვიშხეთში, იქვეა დაკრძალული – 147, 208, 209, 218-220, 437, 440, 449

ყიფიანი დიმიტრი – ნიკოლოზ დიმიტრის ძე ყიფიანის (1846-1905) ყოფილი ცოლის, ანასტასია (ტასო) ყიფიანისა (1858-1920) და ოფიცერ ლაზარევის ქორწინების გარეშე შობილი შვილი – 415

ყიფიანი დიმიტრი ივანეს (ქოროს) ძე (1814-1887) – საზოგადო მოღვაწე, მწერალი, პუბლიცისტი, მკვლევარი, თეატრალი, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე (გადაასახლეს ვოლოგდაში; სამშობლოში დაბრუნდა 1837 წ. თებერვალში), „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ (1842-1848) დამაარსებელი, თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის დაარსების ინიციატორი, „ქმნ-კვ საზოგადოების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და პირველი თავმჯდომარე (1879-1882)... მოკლეს გადასახლებაში (სტავროპოლში). დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში – 4, 8, 37, 46, 90, 92, 94, 97, 101-106, 108, 110-118, 120-123, 144, 147, 150, 164, 171, 175, 193, 197, 203, 205, 206, 208-211, 214-222, 276, 293-347, 350, 352, 357-359, 361-362, 364-375, 377-417, 419, 420, 424-430, 432-438, 440-443, 444-447, 449, 451,

453, 455-461; იხ. აგრეთვე: **ბაქარ ქართლელი, დ. ყ.**, თეიმურაზი (თეიმურაზ ვაკელი), **Кипиани Д. И.**

ყიფიანი დიმიტრი პაატას ძე – ყიფიანთა საერთო მამულის (შორაპნის მაზრა) მონილე – 209

ყიფიანი ელენე – იხ. **ლორთქიფანიძე ელენე (ლოკა, ლოლა)**
ყიფიანი ელისაბედ (ვეტა) – იხ. **სულხანიშვილი ელისაბედ (ვეტა)**

ყიფიანი ესტატე გიორგის ძე – ყიფიანთა საერთო მამულის (შორაპნის მაზრა) მონილე – 210, 213

ყიფიანი ესტატე (ტატო) პაატას ძე – იხ. **ყიფიანი ტატო (ესტატე) პაატას ძე**

ყიფიანი ეფემია (ფეფენა) – იხ. **ნიჟარაძე ეფემია (ფეფენა)**
ყიფიანი ეფროსინე (ეფრო) – იხ. **კლდიაშვილი ეფროსინე (ეფრო)**

ყიფიანი ვასილ (1839-1880 წ. შემდეგ) – დიმ. ყიფიანის ძმისშვილი (იოსების ძე) – 189, 208, 210

ყიფიანი ზაალ გიორგის ძე – ყიფიანთა საერთო მამულის (შორაპნის მაზრა) მონილე – 209

ყიფიანი ზაალ გლახას ძე – იხ. **ყიფიანი ზაზა (ზაალ) გლახას ძე**
ყიფიანი ზაალ პაატას ძე – ყიფიანთა საერთო მამულის (შორაპნის მაზრა) მონილე – 209

ყიფიანი ზაზა გლახას ძე – დიმ. ყიფიანის ნათესავი (1870-იან წწ. გორის საპყრობილის უფროსია) – 209, 385

ყიფიანი ზაქარია ქაიხოსროს ძე – ყიფიანთა საერთო მამულის (შორაპნის მაზრა) მონილე – 209, 210, 214

ყიფიანი თინათინ – იხ. **მუსხელიშვილი თინათინ**
ყიფიანი ივანე (ქოჩო) გიორგის ძე (გარდ. 1814) – დიმიტრი ყიფიანის მამა. ერთხანს იმერელი აბაშიძეების მოურავი იყო ქვიშხეთში, თუმცა აბაშიძეებთან კონფლიქტის გამო დატოვა სააბაშიო ტერიტორია, გადავიდა ქართლის სოფ. მერეთში და ოჯახსაც იქ მოეკიდა. სიცოცხლის ბოლო წლებში იყო ოკრიბის (იმერეთი) მოურავი. დაკრძალულია სოფ. მერეთში – 97, 366

ციფიანი ივანე ზაალის ძე – ციფიანთა საერთო მამულის (შორაპნის მაზრა) მონილე – 209, 210

ციფიანი ივანე ზაქარიას ძე – 1869 წ. დიმი. ციფიანი საჩუქრად უგზავნის თავის ბროშურას „სამეგრელოს მთავრის სახლი და დიმიტრი ციფიანი“ – 188

ციფიანი ივანე მამისთვალის ძე – ციფიანთა საერთო მამულის (შორაპნის მაზრა) მონილე – 209, 210, 213, 214

ციფიანი იორამ ქაიხოსროს ძე – ციფიანთა საერთო მამულის (შორაპნის მაზრა) მონილე – 209-212, 215

ციფიანი იოსებ – სოფ. ქვიშხეთის (?) მკვიდრი – 160

ციფიანი იოსებ გლახას ძე – ციფიანთა საერთო მამულის (შორაპნის მაზრა) მონილე – 209-211, 215

ციფიანი იოსებ ივანეს (ქოროს) ძე (1805-1841/1851) – დიმი. ციფიანის ძმა – 208

